

ალეკო ნაჭყებია

ადმინისტრაციულსამართლებრივი
ნორმების განმარტებები უზენაესი
სასამართლოს პრაქტიკაში

(2005-2014)



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ალეკო ნაჭყებია

ადმინისტრაციულსამართლებრივი
ნორმების განმარტებები უზენაესი
სასამართლოს პრაქტიკაში

(2005-2014)

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. 1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: <http://lawlibrary.info/ge/>

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე გამოცემის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

© ალექო ნაჭყებია, 2015

© GIZ, 2015

ISBN 978-9941-0-7573-5

სარჩმვი

წინასიტყვაობა	4
1. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	5
1.1. ძირითადი დებულებანი	5
1.2. ინფორმაციის თავისუფლება	16
1.3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	24
1.4. ადმინისტრაციული ხელშეკრულება	52
1.5. ადმინისტრაციული წარმოება	63
1.6. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით	75
1.7. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა	89
1.8. გარდამავალი დებულებანი	123
2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები	127
3. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია	175
4. პირთა მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება	200
5. საგადასახადო და საბაჟო სამართალი	212
6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარეგულირებელი ნორმები	261
7. სამშენებლო სამართალი	284
8. უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზება	310
9. სააღსრულებო სამართალი	320
10. სახელმწიფო ქონების პრივატიზება და კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა	338
11. საპროცესო სამართალი	362
11.1 ადმინისტრაციული პროცესი	362
11.2 სამოქალაქო პროცესი	411
12. განსჯადობა	460
13. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები	486
14. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი	527
15. სხვადასხვა	540

წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია 2014 წელს გამოცემული „სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში“ ნაშრომის ერთგვარი გაგრძელებაა. ისევე როგორც წინა ნაშრომი, აღნიშნული პუბლიკაციაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სამართალწარმოებისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების განმარტებათა, ასევე საქმის გარემოებათა შეფასების კომპილაციასა და სისტემატიზაციას ახდენს.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2005 წლიდან 2014 წლამდე (ივნისის თვის ჩათვლით) მიღებულ განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში გამოყენებული ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმათა განმარტებები, რომელიც სისტემატიზებულად და ქრონოლოგიურადაა დალაგებული, რაც ნაშრომს მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას სძენს. თემატურად დაჯგუფებული ამონარიდების საშუალებით სასამართლოს გადაწყვეტილებათა მოძიება კონკრეტულ საკითხზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად და სწრაფად არის შესაძლებელი.

პუბლიკაციაში არ ასახულია 2005 წლამდე არსებული კანონმდებლობის სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, რამდენადაც, ამ სახით მოქმედი საკანონმდებლო რედაქცია დღეს აღარ არსებობს, თუმცა ნაშრომში ასახულია 2005 წლის შემდგომ პერიოდში ძალადაკარგული ნორმატიული აქტების ცალკეული ნორმები, რომელთა რეალური შინაარსი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტშია გაბნეული და მისი ნორმატიული ძალა შენარჩუნებულია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამას „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“, რომლის მხარდაჭერითაც გამოიცა აღნიშნული პუბლიკაცია.

1. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

1.1. ძირითადი დებულებანი

საქმე № ბს-381-370 (კ-13)

21 იანვარი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანო (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის საკვანძო საკითხს წარმოადგენს კანონის მიზნის გარკვევა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით ტერმინი „პენსია“ დეფინირებულია შემდეგნაირად: პირისთვის ამ კანონის შესაბამისად დანიშნული ყოველთვიური ფულადი სარგებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთობლიობა. საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, რის გამოც მას სახელმწიფო პენსიის სტატუსი გააჩნია. საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მოხდეს ორი ფულადი გასაცემლის გაცემა, შესაბამისად, სახელმწიფო პენსიის მიღების გამომრიცხველი ფაქტორია, თუ პირი არის საჯარო საქმიანობის განმხორციელებელი, რაც ნიშნავს, რომ პენსიის დანიშვნის მოთხოვნის მომენტში პირი იმავდროულად არ უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის მიმღები სუბიექტი (რაც გამორიცხავს სახელმწიფო დაფინანსებით ერთდროულად ხელფასისა და პენსიის მიღების შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გ)ქვეპუნქტის დადგენის მიზანი სწორედ საბიუჯეტო სახსრებიდან პირისთვის ორი სახის გასაცემლის დაუშვებლობის პრინციპს ემსახურება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დეფინირებული ტერმინის – „ადმინისტრაციული ორგანო“ საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონალური გაგება. ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როდესაც ეს სუბიექტები ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით. არსებითი არ არის ხელისუფლების რომელი შტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ესა თუ ის ორგანო, არამედ მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ფუნქციის განხორციელება გულისხმობს საქმიანობას, რომელიც არ არის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საეკლესიო საქმიანობა, კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება.

ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება როგორც კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები, ასევე საწარმოები (მაგ. შპს, სს), კერძო სამართლის იურიდიული პირს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს დელეგირებით ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა კანონის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით, თუ იგი მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას. სწორედ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კერძო სამართლის იურიდიული პირები განიხილებიან ადმინისტრაციულ ორ-

განოებად და ამ დროს არიან ვალდებული მიიღონ გადაწყვეტილებები ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შპს „...“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ როგორც საქმეში წარმოდგენილი (ს.ფ. 11; ტ.1) შპს „...ს“ ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლისა და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს № 14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალანირების ქსელით უკანონო სარგებლობისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების თანახმად, შპს „...“ მიენიჭა უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით აწარმოოს საქმეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ სამართალდარღვევების გამოვლენისა და შემდგომ დაჯარიმების საკითხში, ხოლო, სხვა ყველა შემთხვევაში იურიდიული კომპანია ფუნქციონირებს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო სუბიექტი. ამასთან, შპს „...“ არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამავე ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელე მ. მ-ე მუშაობდა შპს „...“ წყალმომარაგების დეპარტამენტის სატუმბო სადგურების და რეზერვუარების განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორის თანამდებობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს, ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას იმასთან მიმართებაში, რომ შპს „...“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ სამართალურთიერთობაში, როდესაც ის ახდენს სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალანირების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სანქცირებას, რა დროსაც ის, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია იმოქმედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ხოლო სხვა, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში შპს „...“ განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოდ არ ეფუძნება არც ერთ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მ. მ-ის მიმართ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული აკრძალვის გავრცელება არის უკანონო, ვინაიდან მ. მ-ე შპს „...“ არ ახორციელებდა საჯარო ფუნქციას, მას არ ევალებოდა სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალანირების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სანქცირება, რომლის განხორციელების დროსაც შპს „...“ დელეგირებული აქვს საჯაროსამართლებრივი ფუნქციის განხორციელება და ამ შემთხვევაში მიიჩნევა ადმინისტრაციულ ორგანოდ

საქმე № ბს-1010-963(კს-06)

5 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი შეიძლება კლასიკური გაგებით არ შეესაბამებოდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს, მაგრამ იმავე დროს შეიძლება შექმნას გარკვეული სამართლებრივი შედეგების წარმოშობის საფუძველი, რის გამოც ასეთი სახის დოკუმენტებს ზოგადმა ადმინისტრაციულმა

კოდექსმა ადგილი მიუჩინა სამართლებრივი აქტების სისტემაში და მათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტატუსი მიანიჭა, კერძოდ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად ითვლება ისეთი დოკუმენტებიც, რომლებიც ქმნის სამართლებრივი შედეგის წარმოშობის საფუძველს და არ არის აუცილებელი, რომ დოკუმენტს პირდაპირ მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს და კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ელემენტები არა ალტერნატიული, არამედ კუმულაციური სახით არის რეგლამენტირებული. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც იგი სრულად შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობა, სამართლებრივად, გამორიცხავს კონკრეტული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევას.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ამ დოკუმენტს შეეძლოს გარკვეული სამართლებრივი შედეგის დამოუკიდებლად გამოწვევა, რაც უშუალოდ განსაზღვრავს გასაჩივრებისადმი იმავე დოკუმენტის დამოუკიდებლად დაქვემდებარების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია კასპის რაიონული პროკურორის – გ. ა-ის 2004 წლის 23 ივნისის მოხსენებით ბარათის ლ. ბ-ის პროკურატურიდან დათხოვნის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 28 ივლისის № 91927 ბრძანებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე აღებული გასაჩივრება სასამართლოში, რადგან მას აღნიშნული ბრძანებისაგან განსხვავებით, უშუალოდ არ გამოუწვევია არავითარი სამართლებრივი შედეგი.

საქმე № ბს-939-899 (კ-09)

17 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსზე დაყრდნობით განმარტავს შემდეგს: **ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული ყველა ის დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. ამასთან, შესაბამისი შედეგი უნდა დადგეს არა სხვა რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, არამედ უშუალოდ ამ აქტით – სხვა აქტის გამოცემის გარეშე.**

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან დგინდება, წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს სამეგრელო-გურია სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 27 მაისის 216/71-2/3 და ამავე სამმართველოს 2010 წლის 13 აგვისტოს № 216/495 წერილები, რომლის საფუძველზეც ქონება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ აღირიცხა სახელმწიფო საკუთრებად.

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის უარყოფის ერთდეროტ მოტივს წარმოადგენს სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული წერილები არ მიეკუთვნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რის გამოც მათი კანონიერების შემოწმება ფორმალურ-მატერიალური თვალსაზრისით არის შეუძლებელი.

საკასაციო სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას მიიჩნევს არამოტივირებულად და თვლის, რომ სასამართლომ სარჩელის უარყოფა მოახდინა ფორმალური ნიშნით, რის შედეგადაც მოსარჩელეს ფაქტობრივად უარი ეთქვა დარღვეული უფლების აღდგენაზე; საქართველოს კონსტიტუციის 82.1 მუხლის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელება, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, წარმოადგენს პირის დარღვეული თუ სადავო ქცეული უფლების დაცვის ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლების დაცვის ყველაზე მეტ გარანტს შეიცავს სამართალწარმოებისათვის დადგენილი წესები, რის გამოც პირისათვის სამართალწარმოების განხორციელებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ მოტივზე მითითებით, რომ მოთხოვნის შემოწმება შეუძლებელია ფორმალურ-მატერიალური ნიშნით, არასწორია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების გზით, სასამართლოს პირველ რიგში უნდა შეემოწმებინა დავის საგნით შეილახა თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლებები და იმ პირობებში თუ, მისი მოსაზრებით, არ არსებობდა სადავო წერილების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად მიჩნევის შესაძლებლობა, უნდა გამოერიცხა ადმინისტრაციული ორგანოს რეალური მოქმედების, კერძოდ, კონკრეტული ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული ქმედების არსებობა.

ზემოაღნიშნული მოსაზრების განვითარების შესაძლებლობას საკასაციო სასამართლოს აძლევს თავად სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადავო ქონების იდენტურობის თაობაზე, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე აღიარებს მოსარჩელის სუბიექტური უფლებების შელახვის ფაქტს, თუმცა ფორმალური ნიშნით უარყოფს მის საფუძვლიანობას.

გარდა იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო არ წარმოადგენს კანონშესაბამის განმარტებას ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არაარგუმენტირებულად მიიჩნევს იმ მოსაზრებასაც, რაც წარმოადგენილია სადავო წერილების შეფასების ნაწილში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის

აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული მუხლის იმპერატიულ-ნორმატიულ მოთხოვნებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ყოველთვის მიმართული და ორიენტირებულია სამართლებრივი შედეგისაკენ, აქტი, რომელიც დამოუკიდებლად აღებული სამართლებრივ შედეგს ვერ გამოიწვევს, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თეორიული შეფასების ნაწილში საკასაციო სასამართლო წინააღმდეგობაში არ მოდის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებთან, თუმცა იმავე დროულად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მოუხდენია სადავო წერილების სრულყოფილი სამართლებრივი ანალიზი.

საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისი აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისათვის. კანონმდებლობის საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოებს მიეცათ უფლება დაადასტურონ ქონების სახელმწიფოსადმი კუთვნილების ფაქტი, საკასაციო სასამართლო თვლის, იმას, თუ რა შინაარსის მქონე დოკუმენტით მოახდენს ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნულის დადასტურებას, არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან მთავარი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არის ის, რომ სახელმწიფოს უფლება სადავო ქონებაზე დგინდება სადავო წერილებით, რაც წარმოადგენს რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძველს. **საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქონების რეგისტრაციის რეგულირების სფეროში მოქმედი ყველა დროის კანონმდებლობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, სახელმწიფო, როგორც სამართლის სუბიექტი, ვერ იქნება გამონაკლისი.**

სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრში სახელმწიფო სახელზე რეგისტრაციის საფუძველად უდევს ის დოკუმენტი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა და დაადასტურა საკუთარი უფლებები სადავო ქონებაზე. მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს რეგისტრაციის ბათილობასთან ერთად, ბუნებრივია, წარმოადგენს იმ საფუძველების მოსპობა, რომელიც ქმნის ქონების რეგისტრაციის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს და რომლითაც, მოსარჩელის (კასატორის) მოსაზრებით, შეილახა მისი, როგორც მესაკუთრის, უფლება.

საქმე № ბს-567-557(კ-12)

26 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დისკრეციული უფლებამოსილება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველის მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი)

2011 წლის 6 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს სამსახურებრივი ბარათით მიმართა კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა იოსებ ხარებავამ და განუმარტა, რომ შპს „...“-ის მიერ დარღვეულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის და „გ“ ქვეპუნქტები, კერძოდ: სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში 2011 წლის 20 აპრილს განხორციელებული ცვლილება (ა. თ-ის ნაცვლად 100% წილის მფლობელად განისაზღვრა კომპანია „...“ (...)) დამადასტურებელი დოკუმენტი: (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო და (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან), კომისიაში წარმოადგინა 2011 წლის 14 ივნისს, ანუ გადააცილა 32 დღე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის N241 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ამონაწერი განმარტებულია, როგორც „საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის, უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (მუდმივი

დაწესებულების, წამომადგენლობის) შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, საჯაროსამართლებრივ და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრებში არსებული მონაცემების შემცველი, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტი“; ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამონაწერი მზადდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს. ამასთანავე, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, ამონაწერში აისახება ინფორმაცია საწარმოს პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ;

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც დაფიქსირებულია ყველა მონაცემი და დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საჯარო, ხელმისაწვდომია ყველასათვის და იგი გაცივმა ნებისმიერ პირზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კომისიამ უნდა იმსჯელოს, მოცემულ შემთხვევაში რამდენად მართებულია კომისიის მიერ ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმა) დადება იმ საფუძველით, რომ შპს „...-იმ“ დროულად არ აცნობა მას სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო პროცესზე კასატორის წარმომადგენელმა წარმოადგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რიგი ავტორიზებული პირების სანქციონების შესახებ და აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით სხვა კომპანიებსაც ჰქონიათ მსგავსი პრობლემები და კომისია შემოიფარგლა მხოლოდ მათი გაფრთხილებით ან სულაც ეპატიათ აღნიშნული დარღვევები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით, დისკრეციული უფლებამოსილება ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება; დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით. ის, პირველ რიგში კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაიაზროს თუ რა მიზნის მისაღწევად მიენიჭა ეს უფლებამოსილება და რომელი ფაქტორივი გარემოებები გაითვალისწინოს. მხოლოდ ამის შემდეგ ის შეაფასებს შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია საკითხის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს თუ რამდენად შეიძლებოდა შპს „...-ისათვის“ ადმინისტრაციული სახდელის დადების დროს გამოყენებული ყოფილიყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. ასევე მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იმსჯელოს და მოცემულ საქმეზე მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

განმარტების საგანი: რეალაქტი

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 11.07.96წ. № 11.18.705 დადგენილებით ლ. ქ-ავას დაუმაგრდა ... ქუჩის დასაწყისში მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1996 წელს მომზადდა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ... ქუჩის დასაწყისში მოქ. ლ. ქ-ავასათვის ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად დამაგრებული მიწის ნაკვეთის გეგმა, რასაც საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 11.07.96წ. № 11.18.705 დადგენილება, მიწის ფართობმა 470 კვ.მ. შეადგინა. 29.06.2000წ. ლ. ქ-ავას სახელზე გაიცა საკუთრების მოწმობა 470 კვ.მ. მიწის ფართობზე, საკუთრება შესაბამისი პარამეტრებით დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ბ-შვილმა 20.06.06წ. ლ. ქ-ავასაგან თბილისში, ... ქუჩის დასაწყისში შეიძინა 470 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ტ1, სფ.12-15) და მოახდინა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (ტ1, სფ. 16). საჯარო რეესტრის ამონაწერით ... ქუჩის დასაწყისში, 470 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე შ. ბ-შვილის უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს სანოტარო წესით დამოწმებული ლ. ქ-ავას და შ. ბ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 05.07.07წ. № 141 ბრძანებით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის – ბ.მ-შვილის განცხადების საფუძველზე, კორექტირებულ იქნა არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1996 წელს ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ... ქუჩის დასაწყისში, ლ. ქ-ავასათვის ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გენ-გეგმა. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრა, რომ საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნავთლულის დასახლება I შესახვევში ბ. მ-შვილისათვის 1940 წელს დამზადებული ტექნიკენტარობაციის გეგმის საზღვრები, რომლის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია აღნიშნული ნაკვეთების გადაფარვა. მოცემული აქტის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ლ. ქ-ავასათვის ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად დამაგრებული მიწის ნაკვეთის გეგმაში განახორციელა საზღვრების კორექტირება, რაც შემდგომში, სასამართლოში სარჩელის აღძვრის და საქმის განხილვის პერიოდში საფუძვლად დაედო საჯარო რეესტრში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, შ. ბ-შვილის საკუთრებაში არსებული ფართის 470 კვ.მ. ნაცვლად 368 კვ.მ.-ით განსაზღვრას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აქტის კანონიერების სავალდებულო, ფორმალურ პირობას წარმოადგენს მისი გამოცემა საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. **ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი უფლებამოსილება უკავშირდება მოწესრიგების საგანს (ობიექტს), ანუ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას მოაწესრიგოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა.** საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ბ-შვილის უფლების წარმომქმნელ დოკუმენტს 470 კვ.მ მიწის ნაკვეთზე წარმოადგენს სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო შ. ბ-შვილის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ჩანაწერებში. სადავო აქტის გამოცემისას არც ხელშეკრულებაში და არც საჯარო რეესტრის ჩანაწერებში რაიმე სახის ცვლილება შეტანილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ნორმატიული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ზემოაღნიშნულ პირობებში მხარეთა თანხმობის გარეშე ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსი, აქტით მოცემული კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგება საქმის გარემოებებს და აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველს უნდა შეესაბამებოდეს. საქმის გარემოებებით დასტურდება, რომ შ. ბ-შვილის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებით ფაქტიურად ადგილი აქვს მესაკუთრის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის ფართის 102 კვ.მ.-ით შემცირებას. სკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები, ამასთანავე

საჯარო რეესტრში აღირიცხება უკვე მოპოვებული უფლება. უფლებათა რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აუცილებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მას მნიშვნელობა აქვს ბრუნვის სტაბილურობის და მესამე პირთა ინტერესებისათვის. საჯარო რეესტრი ასრულებს მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას, სკ-ის 312.1 მუხლის შესაბამისად რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი უზუსტობა. საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს და ბ. მ-შვილს სარჩელი არ აღუძრავს, რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის გამო საჩივარი არ შეტანილა, რაც სკ-ის 313.2 მუხლის თანახმად იქნებოდა რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ვარაუდის შექმნის საფუძველი. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის თანახმად საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია მიზნად ისახავდა ამ უფლების აღიარებას და დადასტურებას (1.1. მუხ.), საკადასტრო გეგმა წარმოადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს (11.1 მუხ.). კანონის 26-ე მუხლი ითვალისწინებდა საზღვრების დადგენისას დაშვებული ან დაზუსტებისას გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას სარეგისტრაციო ორგანოს მიერ 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილი წესის დაცვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას უძრავი ქონების განმსხვავებელი (ლ. ქ-ავა) რეგისტრირებული იყო ქონების მესაკუთრედ, ქონების რეალიზაციის მომენტში დავა საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებით არ არსებობდა, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების თანახმად ნასყიდობის საგანი უფლებრივად უნაკლო იყო და მესამე პირებს არ შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე პრეტენზია ნასყიდობის საგნის მიმართ (ტ.1, ს.ფ. 15). ამდენად, სახეზე იყო ყველა საფუძველი საიმისოდ, რომ შემძენს (შ. ბ-შვილი) განმსხვავებელი (ლ. ქ-ავა) ქონების მესაკუთრედ მიეჩინა, სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე განმსხვავებელი ითვლება მესაკუთრედ თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შემძენს ჰქონდა საკმარისი საფუძველი ევარაუდა უძრავი ნივთის არამესაკუთრისაგან შეძენა, ქონების გადაცემამდე შემძენის არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი რაიმე ფაქტი საქმეზე დადგენილი არ არის. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ბ-შვილი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სადავო აქტის სკ-ის 312-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე.

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.07.07წ. №141 ბრძანებით დადგინდა 1996 წელს ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ... ქუჩის დასაწყისში ლ. ქ-ავასათვის ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად დამზადებული მიწის ნაკვეთის გენ-გეგმაში კორექტირების განხორციელება. **სადავო აქტი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას იმის შესახებ თუ რამდენად უნდა შემცირდეს შ. ბ-შვილზე რიცხული მიწის ნაკვეთი. ნაკვეთის შემცირების მაშტაბი არის არა სადავო აქტის, არამედ ადმინისტრაციული მოქმედების – რეალაქტის განხორციელების შედეგი. სადავო აქტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რეალაქტი ფაქტობრივად შედეგების დადგომისკენ მიმართული საჯარო-სამართლებრივი ღონისძიებაა, რამაც უშუალოდ გამოიწვია მოსარჩელისათვის მიწის ნაკვეთის ფართის მნიშვნელოვანი შემცირება, ამდენად, გენ-გეგმაში განხორციელებული საზღვრების შეცვლა მოსარჩელის კანონიერი ინტერესების მიმართ კონკრეტული შედეგის დადგომისაკენ მიმართული ადმინისტრაციული მოქმედებაა (რეალაქტი), რომლის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად უნდა იქნეს განხილული.** საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეზე უნდა დაზუსტდეს დავის საგანი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ სასკ-ის 28¹ მუხლის შესაბამისად იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო განცხადების ფორმულირებით, სასამართლო უნდა დაეხმაროს მხარეს სასარჩელო მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში.

განმარტების საგანი: საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 8 აპრილს შპს „ბ. დ-ემ“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იყო ქ. ბათუმში, ქ. № 40-ში მდებარე 259,9 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. სააუქციონო ვაჭრობაში მხოლოდ შპს „ბ. დ-ე“ მონაწილეობდა და გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც წინასწარ, ბეს სახით გადაიხადა 60600 ლარი (ტ. 1, ს.ფ. 18). გასაყიდი ობიექტის ფასმა შეადგინა 68554 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2005 წლის 11 აპრილს შპს „ბ. დ-ის“ დირექტორმა ჩაიბარა დოკუმენტი სახელწოდებით – „სააუქციონო ვაჭრობა ლოტი № „ (ტ. 1, ს.ფ. 10). 2005 წლის 20 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი (ტ. 1, ს.ფ. 11), ხოლო 2005 წლის 28 აპრილს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ბ. დ-ეს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (ტ. 1, ს.ფ. 13-17). შპს „ბ. დ-ემ“ სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან დარჩენილი თანხა, სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი – 64585 ლარი გადაიხადა 2005 წლის 18 მაისს (ტ. 2, ს.ფ. 18-19). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის № 184 ბრძანებით (ტ. 2, ს.ფ. 20) ამ სამინისტროსა და შპს „ბ. დ-ეს“ შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება მოიშალა ცალმხრივად, ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო. ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ამ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ ეძლეოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უბრუნდებოდა შეტანილი ბე და არ უნაზღაურდებოდა დანახარჯები. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 მაისის № 197 ბრძანებით შპს „ბ. დ-ის“ მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი ჩაითვალა არასწორად გადარიცხულ თანხად და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მიუთითებს, რომ „მყიდველის“ მიერ თანხის გადახდა მოხდა მხოლოდ 2005 წლის 18 მაისს და აქედან გამომდინარე, არ შესრულებულა აღებული ვალდებულება ნასყიდობის საგნის ღირებულების სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარულ დღეში გადახდის შესახებ, მოპასუხე სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლა იმიტომ კი არ მოხდა, რომ შესაბამისი თანხა არ იყო გადახდილი, არამედ იმიტომ, რომ 30 დღეში არ მოხდა ამ თანხის გადახდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „ბ. დ-თან“ დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა უდავოა განხორციელდა სწორედ იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დანარჩენი თანხა – 64585 ლარი, ანუ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს „ბ. დ-ეს“ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამოცემისას უკვე სრულად ჰქონდა გადახდილი აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების მთლიანი ღირებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და

კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მისთვის დაბრკოლებების შექმნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით რეგლამენტირებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რაც იმაში გამოიხატა, რომ, ჯერ ერთი, კონკრეტული შემთხვევისთვის განისაზღვრა საკმაოდ დიდი ოდენობით ბეს თანხა – 60600 ლარი (თითქმის გასაყიდი ობიექტის ღირებულების ნახევარი), მეორეც, კასატორმა ვერ დაასაბუთა, თუ რა საჯარო ინტერესი იყო ჩადებული იმაში, რომ შპს „ბ. დ-ეს“ ცალმხრივად შეწყვეტოდა მასთან დადებული ხელშეკრულება, ანუ რატომ მიანიჭა მან უპირატესობა საჯარო ინტერესს კერძო ინტერესთან შედარებით და ამის შესახებ საერთოდ არ აღუნიშნავს გასაჩივრებულ აქტებში. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამის შედეგად საჯარო ინტერესს დაუსაბუთებელი უპირატესობა მიენიჭა კერძო ინტერესთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ მხარეთა შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში მყიდველს ბე არ უბრუნდება. გარდა ამისა, გაუგებარია, თუ რა ზიანი მიადგება საჯარო ინტერესს მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შესრულებით, მით უმეტეს, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით იხდის 100000 ლარს მორიგების პირობით, რაც ჯამში შეადგენს 225185 ლარს. აღნიშნული თანხა გაცილებით მეტია კონკრეტული პრივატიზებული სახელმწიფო ქონების მთლიან ღირებულებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების გამოცემისას აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადოდ არ შეუფასებია ისინი, რის შედეგადაც გამოსცა დაუსაბუთებელი აქტები. კასატორმა – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ საკასაციო სასამართლოს სხდომებზეც ვერ დაასაბუთა აღნიშნული საკითხი და ვერ დაადასტურა შესაბამისი საჯარო ინტერესის არსებობა, რომელიც გაამართლებდა დასახელებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, ანუ დაამტკიცებდა კასატორის მოქმედების მართლზომიერებას და გასაჩივრებული აქტების კანონიერებას, რაც ამავე აქტების ბათილად ცნობის საფუძველია. ამდენად, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ არ გამოიკვლია ის ძირითადი გარემოებები, რომელთა შეფასებაც მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რის გამოც მან აღნიშნულის გარდა, ასევე უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს იმავე უფლებამოსილებაში შემავალი, მოსარჩელეზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზეც.

საქმე № ბს-535-506(კ-09)

6 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელე რ. შ-იანცს გაშვებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მოუხდენია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბინის დანგრევიდან 2004 წლამდე რ. შ-იანცს არ მიუმართავს გამგეობისათვის ბინის გამოყოფის მოთხოვნით. საქმის მასალების თანახმად, ბინა დაინგრა 1992

წელს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი დოკუმენტით, დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის 2004 წლის 7 ოქტომბრის № შ-14777 პასუხით, რომლითაც რ. შ-იანცს ეცნობა, რომ მისი განცხადება საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების შესახებ აყვანილია კონტროლზე და გამოთავისუფლებული ბინის შემთხვევაში განიხილებოდა მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხი (იხ. ს.ფ. 10). სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიდა და მხოლოდ ერთ წერილზე დაყრდნობით მიიჩნია მოთხოვნა ხანდაზმულად, კერძოდ, არ დაუდგენია მიმართავდა თუ არა რ. შ-იანცი ბინის დანგრევის შემდეგ, 2004 წლამდე ადმინისტრაციულ ორგანოებს ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით. არ უსარგებლია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებით და არ გამოუთხოვია აღნიშნულთან დაკავშირებით სათანადო მტკიცებულებები ადმინისტრაციული ორგანოდან. მით უფრო, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომას არ ესწრებოდა რ. შ-იანცი და სააპელაციო სასამართლოს არ მოუსმენია მისი განმარტებები მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განიხილისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე, შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესრულების შედეგად სათანადოდ გამოიკვლიოს იგი და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა მოახდინოს საქმის გარემოებების სათანადო სამართლებრივი შეფასება.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუფასებია გამგეობის 2004 წლის 7 ოქტომბრის № შ-14777 პასუხი, კერძოდ, არ უმსჯელია წარმოდგენდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი შინაარსის წერილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, რადგან მითითებული წერილის თანახმად, გამგეობა პირდება რ. შ-იანცს, რომ მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხს განიხილავს ბინის გამოთავისუფლების შემთხვევაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი ნდობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა წარმოქმნა თუ არა რ. შ-იანცს კანონიერი ნდობის უფლება გამგეობიდან პასუხის მიღებით და ასეთ ვითარებაში, არსებობდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ხანდაზმულობის მოტივით და მოსარჩელეს მოთხოვნის უფლების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოდან დაპირების მიღება.

საქმე №ბს-708-693(3კ-12)

04 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობის საფუძველს შესაძლოა ქმნიდეს არა მხოლოდ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი (სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები), არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომელიც სზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდე-

ბა, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. დაპირების შინაარსიდან აშკარად უნდა მომდინარეობდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულებას იღებს შეასრულოს რაიმე ქმედება. ქმედების შესრულებაში იგულისხმება აგრეთვე რაიმე მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაც ანუ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულებას უნდა იღებდეს არ განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებისაგან რომელიმეს.

1.2. ინფორმაციის თავისუფლება

საქმე № ბს-1435-1393(კ-08)

17 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომერციული საიდუმლოება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლი)

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადების: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“ ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ასოციაციის სარჩელის საფუძველიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამავე ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ, ან პირად საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, ეს დებულება შემუშავებული იყო „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავდა სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო (შემდგომში გამყიდველი). ამავე დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალური იყო. ხსენებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენდა: განაცხადს, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აუქციონის მონაწილეზე, სახელმწიფო ქონების დასახელებას, იმ სახელმწიფო ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურდა მონაწილეს, ხოლო პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, გა-

ნაცხადში უნდა ასახულიყო მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე; „ბეს“ და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და ა.შ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი, ხოლო, მართალია, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ აღნიშნული უფლება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კომერციული საიდუმლოების ცნებას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27²-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად, ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამავე კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტით კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ,* მიეკუთვნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27²-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გამჟღავნებამ შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის, კერძოდ, სახელმწიფო ქონების გამყიდველის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობას, რომელიც პრივატიზების პროცესში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სწორედ აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის სიუხვითაც ქმნის, ასევე – კასატორის მითითებას მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, კერძოდ, თუ ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება საპრივატიზაციო ობიექტის შესყიდვით დაინტერესებული პირისათვის, სრულიად შესაძლებელია, რომ მის მიერ მიღწეულ იქნეს აუქციონის ჩაშლა, აღნიშნულით კი საბოლოოდ არსებითად დაზარალდება სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მითითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-5 და მე-2 მუხლის პირველ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებდა გამყიდველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობა და ამის შედეგად, არარეალურად მიიჩნია მისი კონკურენტუნარიანობის შელახვის ობიექტური

* ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 7 სექტემბრის N 1-1/1487 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-8 პუნქტი.

შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იყო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების გამყიდველი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობა გამოიხატებოდა არა სტატუსის მიხედვით, თანაბარ სუბიექტებს შორის კონკურენციის კლასიკური გაგებით, არამედ – პრივატიზების პროცესში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესის დაცვაში. მართალია, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაში იგულისხმება აუქციონში მონაწილე კერძო პირის ინტერესი აუქციონში გამარჯვების თაობაზე, მაგრამ ამავე გარემოში არსებითი და დომინანტურია სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები მაქსიმალური მატერიალური სარგებლის მიღების შესახებ, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობაზე დიდად არის დამოკიდებული, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების მოცულობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანი იყო, საკუთრების უფლება გადასცემოდა მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადებოდა პირობებით – საკუთრების უფლება გადასცემოდა იმ მყიდველს, რომელიც აიღებდა ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინა გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა. აუქციონის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასი გამყიდველის მიერ დგინდებოდა „საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის № 671 ბრძანებულების შესაბამისად. ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, აუქციონატორი სთხოვდა აუქციონში მონაწილეებს, გაეგრძელებინათ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებდა ყველაზე მაღალ ფასს, ხოლო ფასის სამჯერ გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო ქონება ითვლებოდა გაყიდულად აუქციონის იმ მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა. ამდენად, აღნიშნულ ნორმებში პირდაპირ იყო მითითებული სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით გამყიდველის მიზანზე – აუქციონის, რაც შეიძლება მაღალ კონკურენტულ გარემოში ჩატარებასა და სახელმწიფო ქონების, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდვამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა აშკარად შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აუქციონის კანონით დადგენილი წესით, დაუბრკოლებლად ჩატარებას და სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებას, კერძოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესისათვის პოტენციური, კონკრეტული ზიანი და აუქციონის შესაძლო ჩაშლა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ აუქციონში მონაწილე პირს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ქმედებით მატერიალური ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, რაც პრაქტიკულად, ერთი მხრივ, შეიძლება განხორციელდეს იმ მიმართებით, რომ, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველს ექნება აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თუ მისთვის ცნობილი იქნება იმის თაობაზე, რომ არავის არა აქვს შეტანილი განაცხადი კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლებელია მან აღარ შეიტანოს განაცხადი და თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასის შემცირების შემდეგ, შესაძლებელია მან წარადგინოს განაცხადი და შემცირებულ ფასად შეიძინოს საპრივატიზებო ობიექტი, რაც, ცხადია, დააზარალებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს. მეორე მხრივ, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველს ექნება აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინ-

ფორმაცია, კერძოდ, თუ მისთვის ცნობილი იქნება იმის თაობაზე, რომ განაცხადი კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი აქვს არაერთ სუბიექტს, შესაძლებელია მან თავი შეიკავოს განაცხადის წარდგენისაგან, რაც შეამცირებს აუქციონის პროცესში კონკურენციის ხარისხს და საბოლოო ჯამში, ამ შემთხვევაშიც, შესაძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკური ინტერესებისათვის მატერიალური ზიანის მიყენება. ამის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, თუ აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საპრივატიზებო ობიექტის შესყიდვით დაინტერესებული პირისთვის, სრულიად შესაძლებელი იქნება, მის მიერ მიღწეულ იქნეს აუქციონის ჩაშლა, აღნიშნულით კი დაზარალება სახელმწიფოს ინტერესი, ვინაიდან თუ არ მოხდება აუქციონზე გამოტანილი ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი შეიძლება შემცირდეს 50%-ით.

საქმე № ბს-1278-1240(კ-08)

5 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პერსონალური მონაცემების დაცვა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37¹ მუხლი)

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეწყალების აქტთან მიმართებით სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირმა მოახდინა ამავე კოდექსის 27¹ მუხლის თანახმად, პირადი განცხადებით მის პირად საიდუმლოებად აღიარება. საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 30 ოქტომბრის № 2/3/406,408 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაციის დიფერენცირება, რომლებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში და დაყო ისინი რამოდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს. მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღება, ასევე, შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია ინფორმაციის მეოთხე ჯგუფი, რომელიც განსხვავებით 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებას გულისხმობს. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება კერძო პირის კერძო საკითხებს, ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და მისი განსაიდუმლოება შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ინფორმაცია შეეხება. ამდენად, ოფიციალურ წყაროებში არსებული პირის კერძო საკითხებს მიკუთვნებული მონაცემები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული გამხელისაგან, რაც შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს, ასევე 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან დაცვის პრინციპს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ინფორმაციის პირადი საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისათვის კონკრეტული კრიტერიუმია კანონის მიერ მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და ის, რომ ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს, რომელთა მიმართ პირს უნდა ჰქონდეს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ფინანსებთან, ჯანმრთელობასთან, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასთან და სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონეა და მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს ქვეყნის უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. ამდენად, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება კერძო ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ავტომატურად გასაიდუმლოებული სახე და

ასევე საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა საიდუმლოდ. ზაკ-ის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ამავე კოდექსის 27-ე მუხლი ადგენს პირის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი გადაწყვიტოს თავად. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება ემსახურება მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილების განხორციელებას და ამ მონაცემთა წრე თითოეული დაწესებულებისათვის კანონის მიერ მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამდენად, საჯარო დაწესებულებაში მოქალაქეთა შესახებ დაცული პერსონალური მონაცემების ის ნაწილი, რომელთაც დაცვის აბსოლუტური ხასიათი გააჩნიათ პირად საიდუმლოებას განეკუთვნება და მათი ღიაობა მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია დაშვებული. კონსტიტუციურ ნორმათა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებთან ერთობლიობაში ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული პირის შესახებ კერძო ხასიათის ინფორმაციის დაცულობის მიმართ ამ ნორმებს გააჩნიათ განსაზღვრულობის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირს უქმნის სამართლიან შეგრძნებას, რომ მის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად საიდუმლო ხასიათი გააჩნია, დაცული იქნება გამხელისაგან, გარდა მისივე თანხმობის ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის მესამე მუხლი ადგენს ამავე კოდექსის გავრცელების სფეროს სახელმწიფო ორგანოებზე. აღნიშნული მუხლის ნაწილები აკონკრეტებენ იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა და მათ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ შემზღუდვით ან არ ვრცელდება აღნიშნული კოდექსის ნორმები. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ზემოაღნიშნულ შეფასებასთან სზაკ-ის მე-3 მუხლის შეპირისპირებით შესაძლებელი ხდება გარკვევა რამდენად პირდაპირია მე-3 მუხლის სხვადასხვა ნაწილით გათვალისწინებული შემზღუდვების გავრცელება ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ორგანოზე ან მისი საქმიანობის პროცესში შექმნილ ინფორმაციაზე. სზაკ-ის 3.2 მუხლის თანახმად, კოდექსის მოქმედება მასში ჩამოთვლილ ადინისტრაციულ ორგანოებზე ვრცელდება კოდექსის მხოლოდ მე-3 თავის ფარგლებში, 3.3 მუხლის გათვალისწინებით კი მე-3 თავის მოქმედება დამატებით იზღუდება და იგი შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებისას შექმნილი ინფორმაციის საჯაროობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან. განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განხორციელებისას. ადმინისტრაციული კანონმდებლობა აღიარებს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალურ გაგებას და ასეთად მიიჩნევს კანონით მინიჭებული მმართველობითი ფუნქციების განხორციელების პროცესში ნებისმიერ პირს და ორგანოს, მიუხედავად ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსადმი მისი ორგანიზაციული კუთვნილებისა. იმის გასარკვევად, თუ რატომ ითვალისწინებს სზაკ-ის მესამე მუხლის მე-4 ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის ამ კონკრეტულ საქმიანობაზე ამავე კოდექსის სრულ გავრცელებლობას, საჭიროა ამ უფლებამოსილების ფუნქციონალური გაგება და იმის გარკვევა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს კანონი მოიპოვებს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განმხორციელებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე 2006 წლის № 73 და № 280 განკარგულებების გამოცემა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ უფლებამოსილების განხორციელებას. ამ დროს პრეზიდენტი არ ეწევა მმართველობით საქმიანობას, ადმინისტრირებას, რის გამოც იგი არ ექვევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოწესრიგების სფეროში. განსახილველ შემთხვევაში აქტის გამოცემი სუბიექტი

– საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოს ორგანიზაციული გაგებით, ამასთანავე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი საქმიანობის ამ პროცესში არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს, ფუნქციონალური გაგებით იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მსჯავრდებულთა და პატიმართა შეწყალება წარმოადგენს პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საქმიანობას და ამ სახის აქტის მიღება არის პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომელიც ხორციელდება ფართო დისკრეციის პირობებში.

მეორე მხრივ, ამ სახის საქმიანობისას შექმნილი ინფორმაციის არასაჯაროობა განპირობებულია ასევე მასში შესატანი იმ მონაცემების პერსონალური ხასიათით, რომლებიც შეწყალებული პირის პირადი ცხოვრების კერძო საკითხებს განეკუთვნება და შესაძლოა არასათანადო წესით მესამე პირის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გაცნობისას გამოაშკარავდეს. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შეწყალების კომისიის წინადადება მსჯავრდებულის მიმართ შეწყალების გამოყენების თაობაზე, რომელიც მიიღება მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების აზრისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ამ სახის გარემოებებს შეადგენს ასევე შეწყალების გამოყენების მოტივი, რაც შესაძლოა იყოს პირის ჯანმრთელობის, ოჯახური და სხვა კერძო სახის ინფორმაცია. ამდენად, შეწყალებულ პირს გააჩნია იმის სამართლიანი მოლოდინი, რომ შეწყალების შესახებ აქტში ასახული ინფორმაცია დაცული იქნება გარეშე პირთათვის და მას არ ექმნება ვალდებულება შეხედულებისამებრ, წინასწარ მოითხოვოს მისი დაცვა პირადი განცხადების საფუძველზე პირად საიდუმლოებად აღიარებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შეწყალება თავისთავად უკავშირდება პირის ნასამართლობას, რაც ე.წ. სპეციალური, მგრძობიარე პერსონალურ მონაცემთა რიგს განეკუთვნება. განსაკუთრებულ მგრძობიარე კატეგორიის პერსონალური მონაცემები განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით გამიჯნულია ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემებისაგან. ამ კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება – გაცემა საჭიროებს პირის თანხმობას. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად პირს არ სურს ამ ინფორმაციის გამჟღავნება და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოავლენს ინფორმაციის გაცემის ნებას. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ სტრასბურგის 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის (მე-6 მუხლი) თანახმად (საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით მოახდინა კონვენციის რატიფიცირება) სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, სხვა სპეციალური კატეგორიისადმი კუთვნილ მონაცემებთან ერთად (რასობრივი წარმავლობა, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა მრწამსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ცხოვრება) არ ექვემდებარება დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს. ამდენად ამ სახის ინფორმაციის მიმართ არ არსებობს სზაკ-ის 27¹ მუხლის გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან მას გააჩნია 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებული ხასიათი.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 2004 წლის 19 ივლისის № 277 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით გარდა სხვა მონაცემებისა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს შეწყალებულის მიმართ არსებული სასამართლო განაჩენი, რაც ცხადდება საჯაროდ, მაგრამ განაჩენის გამოცხადებას ესწრება პირთა შეზღუდული წრე, ამასთან მიღებული გადაწყვეტილების ასლები ეგზავნებათ მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებს. **განაჩენი, როგორც საპროცესო დოკუმენტი საჯაროა სხვადასხვა, მათ შორის, სამეცნიერო მიზნებისათვის, მხოლოდ პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ამდენად, მიუხედავად კანონისმიერი დათქმისა, განაჩენის გამოცხადება აბსოლუტური საჯაროობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია.** ამასთან, როგორც უკვე აღნიშნა, მსჯავრდებული შეწყალების შესახებ პრეზიდენტის განკარგულება, გარდა განაჩენში არსებული ინფორმაციისა შეიცავს სხვა სავალდებულო მონაცემებს (შეწყალების საფუძველს და მოტივს), რომლებიც შესაძლოა ასახული არ იყოს მანამდე მიღებულ ამა თუ იმ საპროცესო დოკუმენტში, მათ შორის, სასამართლოს განაჩენში.

საქმე № ბს-1484-1466(2კ-11)

9 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული: 1. როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული 2. როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი იძლევა განსაზღვრებას საჯარო ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის – ასოციაცია „...ს“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მგ-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. **მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – წარმოადგენს ინფორმაციას წყლის მდგომარეობის თაობაზე, რაც თავისთავად თავსდება გარემოს შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში და შესაბამისად განეკუთვნება ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გასაიდუმლოება კანონმდებლობით არის აკრძალული.**

საქმე № ბს-527-518 (კ-12)

30 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პერსონალური მონაცემების (პრემიალური თანხების შესახებ ინფორმაცია) საიდუმლოება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. მოსარჩელის მოთხოვნა ეხება კონკრეტულ პირებზე გაცემული პრემიალური თანხების შესახებ ინფორმაციის გაცემის დავალებას, მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი. ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვა კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია და ამდენად კონსტიტუციური ბუნება აქვს, მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პრაქტიკულად ყველა დარგში არსებობს. მოცემულ შემთხვევაში საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემების ღიაობა. კერძოდ, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები – ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავის განხილვის პერიოდში მიღებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 28.12.11 წ. კანონი, პერსონალური მონაცემების დაცვის საბაზო კანონის მიღების გამო სზაკ-ში 25.05.12 წ. კანონით შეტანილი ცვლილებებით, კანონსა და

კოდექსს შორის კოლიზიის თავიდან აცილების მიზნით, ძალადაკარგულად გამოცხადდა კოდექსის ზოგიერთი ნორმა (39-ე, 43-ე, 45-ე, 46-ე მუხ.), კოდექსის რიგი ნორმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დებულებებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. განხორციელებული საკანონმდებლო ნოვაციების შედეგად პერსონალური მონაცემების დაცვა აგებულია მონაცემის კონფიდენციალობაზე. აღნიშნულის შესაბამისად, შეცვლილია სზაკ-ის 27¹ მუხლის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევისათვის ითვალისწინებდა პირის გადაწყვეტილების საჭიროებას, ნორმის ასეთი რედაქცია ქმნიდა პერსონალური მონაცემების ღიაობის, ხელმისაწვდომობის მტკიცების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. აღნიშნულის შესაბამისად, სზაკ-ში 25.05.12 წ. კანონით შეტანილი დამატებებით, ცვლილება განიცადა კოდექსის 27¹ მუხლის რედაქციამ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პერსონალური მონაცემი არის ღია, ხელმისაწვდომი, სანამ პირი კონკრეტულ სიტუაციაში არ განაცხადებს მონაცემს პირად საიდუმლოებად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება, პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება უკეთეს შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მონაცემის ღიაობა. „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის, აგრეთვე სზაკ-ში 25.05.12წ. კანონით შეტანილი ცვლილებების (მე-2 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი, 44-ე მუხ., 99-ე მუხ.) თანახმად, პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება, აგრეთვე სზაკ-ის 44-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო დებულებას თანამდებობის პირებისათვის (თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებისათვის). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა იმშემთხვევაში მოქმედებს, უკეთეს არ არსებობს სპეციალური რეგულირება ცალკეულ, სპეციალურ კანონებში. მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ტიპურ მაგალითს სხვადასხვა სფეროს მომცველი გამჭოლი საკითხისა, რომელიც არ თავსდება ერთი უნივერსალური საკანონმდებლო აქტის რეგულაციაში, ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაციასთან შედარებით მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციის ნორმებს უპირატესი, პრიორიტეტული ძალა ენიჭება, მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი ძირითად მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული რეგულაციის არ არსებობის პირობებში. სზაკ-ი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯაროება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფორმაცია, გამჭვირვალობა (კანონმდებლობა (მაგ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხ.) ითვალისწინებს არათუ თანამდებობის პირთა, არამედ მათი ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას). ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თანამდებობის პირის მონაცემები კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა, ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობის პირს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ხსენებული თანამ-

დებობის პირების მიმართ. ამასთანავე, ვინაიდან საკრებულოში მომუშავე ყველა პირი არ არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, მოსარჩელის მოთხოვნა საკრებულოს ყველა დანარჩენი თანამშრომლის მიმართ გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე, არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასეთი ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურეების პერსონალურ მონაცემებს, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური საიდუმლოება თვით ამ პირის თანხმობის გარეშე.

1.3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

საქმე № ბს-1433-1391(კ-08)

17 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესის არასწორად განმარტების გავლენა გასაჩივრების ვადის ათვლაზე (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლი მე-2 ნაწილი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების უფლების განმარტებისას დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა, ვინაიდან საგადასახადო კოდექსი ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისაგან განსხვავებულ, სპეციალურ გასაჩივრების ვადას, რის გამოც საგადასახადო აქტების გასაჩივრების მიმართ მოქმედებს სწორედ სპეციალური, კერძოდ, 20-დღიანი ვადა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ვინაიდან საგადასახადო ორგანომ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა აქტის გასაჩივრების უფლების განმარტებისას, ხოლო, ფიზიკური პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით, იგი უფლებამოსილია აქტი გაასაჩივროს იმ წესით და ვადაში, როგორც ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა.

საწინააღმდეგო განმარტების პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველთვის შეუძლია არასწორად განუმარტოს, ანუ შეცდომაში შეიყვანოს პირი, რაც სავსებით გამორიცხავდა საჩივრის ან სარჩელის წარდგენის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა ვერ გახდება პირის სარჩელის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული არ არის ამავე კოდექსის 52.2 მუხლით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესზე ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გავრცელება, რომლის მიხედვით, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, ან არასწორად განემარტა იგი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში, თუმცა კანონის ანალოგიის გამოყენების საჭიროება განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს, რადგან მოსარჩელის მხრიდან დაცულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმარტებული სადავო შეტყობინების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

საქმე № ბს-168-162(კს-09)

28 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესის არასწორად განმარტების გავლენა გასაჩივრების ვადის ათვლაზე (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ დავების განხილვის საბჭომ 2008 წლის 11 აპრილის № 05-04/3469 გადაწყვეტილებით არასწორად განმარტა მისი გასაჩივრების წესი, რადგან ნაცვლად პირველი ინსტანციისა, მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, რამაც გავლენა მოახდინა გასაჩივრების ვადაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სარჩელის დასაშვებობაზე იმსჯელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის № 7762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 05-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილშიც, სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მითითებულ გარემოებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესის არასწორი განმარტება გავლენას ახდენს თუ არა გასაჩივრების ვადაზე, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.2 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ორგანო, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება, მისამართი, საჩივრის (ან სარჩელის) შეტანის ვადა. კონკრეტულ შემთხვევაში, დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით განმარტა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და არა საქალაქო სასამართლოში. ამდენად, ამ ვითარებაში, სახეზეა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გასაჩივრების წესის არასწორი განმარტება აქტის გამომცემი ორგანოს მხრიდან, რაც გავლენას ახდენს აქტის გასაჩივრების ვადის ათვლაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების უფლების განმარტებისას დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა აქტის გასაჩივრების უფლების განმარტებისას, ხოლო, დაინტერესებული პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით, იგი უფლებამოსილია აქტი გაასაჩივროს იმ წესით და ვადაში, როგორც ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა.

საწინააღმდეგო განმარტების პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველთვის შეუძლია არასწორად განუმარტოს, ანუ შეცდომაში შეიყვანოს პირი, რაც სავსებით გამორიცხავდა საჩივრის ან სარჩელის წარდგენის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა არ უნდა გახდეს პირის სარჩელის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული არ არის ამავე კოდექსის 52.2 მუხლით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გავრცელება, რომლის მიხედვით, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, ან არასწორად განმარტა იგი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

საქმე № ბს-1342-1284(კ-09)

27 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო დადგენილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს ამავე კოდექსის IV თავის ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და გამოცემული უნდა იყოს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად სა-

ხელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება და გამოცემა საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული და ყოველ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია საჯარო ვალდებულება ზედმიწევნით დაიცვას იგი, თავის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება განაპირობებს დაინტერესებულ პირთა კანონიერ მოლოდინს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო აქტი არ შეიცავს რა რაიმე მითითებას მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე, პრაქტიკულად ქვემდგომმა სასამართლოებმა თავად მოახდინეს აქტით მოწესრიგებული ღონისძიების (სახლის დაკანონება) სამართლებრივი კვალიფიკაცია, მოპასუხის განმარტების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი კუთხით დასაბუთების ვალდებულების თაობაზე გამორიცხავს აქტის გასაჩივრებისას შემდეგ სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენის შესაძლებლობას, ვინაიდან სწორედ საკითხის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, დადგენილი გარემოებებისათვის სამართლის ნორმის შეფარდება უნდა განაპირობებდეს აქტის სამართლებრივ შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტის კანონიერების შემოწმებისას ადმინისტრაციული ორგანოს ასეთივე წარმატებით შეუძლია მიუთითოს ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება გაამართლოს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. სწორედ, ამგვარი სამომავლო ინტერპრეტაციების თავიდან არიდებას ემსახურება მიღებული გადაწყვეტილების არა მომავალ დროში, არამედ, მიღებისას საკითხის გადაწყვეტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ორგანოების პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, მათი გადაწყვეტილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უკომპრომისო შემოწმების მეშვეობით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას და ემსახურება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური – ხელისუფლების დანაწილების და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის რეალიზაციას.

საქმე № ბს-415-402 (კ-10)

15 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დაწყება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილში გაკეთებულ დათქმას კანონით გათვალისწინებულ ვადებზე და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლი აკეთებს ცალსახა მითითებას სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების 1 თვის ვადაში გასაჩივრების სავალდებულობის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლის

შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

საქმეში ს.ფ. 15 წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 01 აგვისტოს ბრძანება № 5300-პ თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის განყოფილების ... – ნ. კ-იას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. იმავე აქტზე განხორციელებული ჩანაწერით დასტურდება, რომ ნ. კ-იას ზემოაღნიშნული აქტი ჩაბარდა 2009 წლის 12 თებერვალს, აღნიშნულს მხარე ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში. ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დენის დასაწყისს უკავშირებს აქტის მხარისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გადაცემას, **საკასაციო სასამართლო, მიუხედავად აქტის გამოცემის თარიღისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებისა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელისათვის იმავე თვეს ცნობილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, ვადის ათვლის დასაწყისს უკავშირებს 2009 წლის 12 თებერვალს, ანუ იმ მომენტს, როდესაც ნ. კ-იას კანონით დადგენილი წესის დაცვით გადაეცა ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.**

საქმე № ბს-220-212 (2კ-13)

9 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა

საკასაციო სასამართლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატთა რაოდენობასთან, ასევე მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან. ოფიციალურობის თვალსაზრისით ეს სამივე ფორმა თანაბარი სამართლებრივი ძალის მატარებელია და თანაბარ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული ნორმა. კოდექსის ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იქედან, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისათვის გაცნობა არის ფინალი ადმინისტრაციული წარმოებისა და მისი შედეგი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით ((სზაკ-ის 54-ე მუხლი); ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ კანონმდებლობით შესაძლებელია მისი ძალაში შესვლის სხვა ვადები იყოს დადგენილი). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზუსტი დროის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის მიმართ საჩივრის და სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების (სარჩელის შეტანის) ვადების ათვლა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა წარმოადგენს არა მარტო აქტის კანონიერების კრიტერიუმს, არამედ მისი არსებობის წინაპირობას. როგორც საკანონმდებლო აქტი მისი ოფიციალური გამოქვეყნებით შედის ძალაში, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას მისი ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობით.

თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიმართულია რამდენიმე ადრესატის მიმართ, აუცილებელია თითოეული მათგანისათვის მისი ოფიციალური გაცნობა. აქიდან გამომდინარე შესაძლებელია თითოეული პირის მიმართ ძალაში შესვლის სხვადასხვა ვადები გვქონდეს სახეზე. ამან შეიძ-

ლება კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული პრობლემები წარმოშვას, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილებას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლში მოცემული მოწესრიგება. თუმცა ეს მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე – 58-ე მუხლების და სპეციალურ კანონებში მოცემული დანაწესების თავისებურებებს. **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის გადაცემის კანონით განსაზღვრული ფორმის დაუცველობა ყოველთვის არ აბრკოლებს მის ძალაში შესვლას, არამედ აქტს ხდის უკანონოს. ასე, მაგ., თუ წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ზეპირი ფორმით გაცნობა მოხდა, ასეთი აქტი მისი მხარისათვის გაცნობის კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამო არის უკანონო, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენადაც მოხდა ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობა, ის შეიძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. მაგრამ, თუ კანონით გათვალისწინებული აქტის მხარისათვის ინდივიდუალური გადაცემის მიუხედავად (სზაკ-ის 58-ე მუხლის შესაბამისად) მოხდება მისი საჯაროდ გამოცხადების გზით გაცნობა, ამ შემთხვევაში თვითონ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის ფორმა არის უკანონო და ამდენად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შედის ძალაში, ანუ აქტი მხარისათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მატარებელი არ არის.**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის გაცნობის პროცესში არსებითია შემდეგი გარემოება:

– მხარისათვის მისი გაცნობა უნდა ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, ანუ კონკრეტულად უნდა იყოს ადრესატი მითითებული, რამდენადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობა ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისეთი ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მიღებას, შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ნორმები მისი ნამდვილობის დასადგენად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტი პირდაპირ კავშირშია აქტის აღსრულების ინსტიტუტთან, ვინაიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება არის ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელოვანი სტადია. ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ვლინდება მის აღსრულებაში. აღსრულების ცნების ქვეშ მოიაზრება მოქალაქის ან სხვა სამართლის სუბიექტების საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების იძულების წესით განხორციელების შესაძლებლობა. კანონით მკაცრად განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დაწყება, თუ იგი ადრესატს არ ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და შესაბამისი სახდელის შეფარდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით ხორციელდება და მისი გაცნობა ადრესატისათვის განეკუთვნება ნორმატიულად გარანტირებულ უფლებას – გააჩნდეს კანონიერი მოლოდინი აქტის აღსრულების სტადიაში გადაზრდამდე დაკისრებული ვალდებულების გაცნობისა და გასაჩივრების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქმე № ბს-1718-1674(კ-10)

20 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული აქტის ფორმალური კანონიერება

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მატერიალური კანონიერების გარდა უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალური კანონიერების მოთხოვნებს, რაც

ვლინდება იმაში, რომ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის გზით. საქმიანობის სწორი სამართლებრივი ფორმის შერჩევის გარდა მნიშვნელოვანია, რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახისა და აქტის გამომცემი-სათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით იყოს გამოცემული.

საქმე № ბს-671-643(კ-08)

25 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა

ზემოაღნიშნული საქმის მასალების თანახმად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამომცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქმე № ბს-1477-1459(2კ-11)

24 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით კი, თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ისე რომ, ზემოაღნიშნული განჩინებების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს არც ამჯერად უმსჯელია, არ გაუქარწყლებია საკასაციო სასამართლოს მითითებები მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის 9 ბრძანებულებას“ და სადავო აქტის გამომცემი ორგანოს უფლებამოსილების არქონის გამო ბათილად ცნო სადავო აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

თ. ს-ის წარმომადგენელმა – პ. კ-ემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა: „სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 18 დეკემბრის N9 ბრძანებულების თანახმად, შესაძლებელი იყო განკარგულიყო მხოლოდ თავისუფალი ტერიტორია, ანუ რომელიც იყო მუნიციპალიტეტის საკუთრება. ამ ბრძანებულებაში ჩამოთვლილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა და ეს ტერიტორია არ არის ამ ნუსხაში. ეს არ იყო თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რასაც ადასტურებს, სადავო დადგენილების თუნდაც ის ჩანაწერი, რომ თ. ს-ზე რიცხული მიწის ნაკვეთი გადაეცა ლ. ვ-ს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ეს და არ შეიძლება ჩაითვალოს სარჩელის შეცვლად, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში კვალიფიკაცია უნდა მიეცეს სადავო აქტს. N9 ბრძანებულება მიუთითებს, რომ ქალაქის მერი იყო იმ კომპეტენციის მქონე, რომ განეკარგა მიწა და არა მუნიციპალიტეტის კაბინეტი, როგორც მერს დაქვემდებარებული აღმასრულებელი კოლეგიური ორგანო. შესაბამისად, ეს არაუფლებამოსილება არის, არა აქტის არარად ცნობის, არამედ, აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. ვინაიდან აქ არის არა ტერიტორიული უფლებამოსილება დარღვეული, არამედ საგნობრივი. მუნიციპალიტეტის კაბინეტის თავმჯდომარე იყო პრემიერი, ანუ სხვა პირი. ამიტომ ეს არის აქტის ბათილად ცნობის უპირობო საფუძველი, რომელსაც განმარტავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი“. (იხ. ს.ფ. 42-45. სასამართლო სხდომის ოქმი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენლის ზემომოყვანილი მსჯელობა, რომელიც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და თავის დასკვნაში ასახა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობის დადგენით, იურიდიული თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შინაარსის ერთობლივი წაკითხვიდან, კერძოდ: 2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დაკონკრეტდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი ხასიათი და მისი გაუქმების სამართლებრივი შედეგები. შედეგად, მივიღეთ მე-60 მუხლი – აქტის არარად აღიარების, 60¹ მუხლი – გამოცემისთანავე უკანონო აქტის ბათილად ცნობის და 61-ე მუხლი – გამოცემისას კანონიერი, თუმცა შემდგომში ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების გამო უკანონო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, 60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარა აქტს მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (60¹) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია 4 შემთხვევა, რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საფუძველს, კერძოდ: ა) შეუძლებელია მისი გამოცემა ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო და დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართლდარღვევას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უკავშირდება აქტის არარად აღიარების სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძველი – აქტის გამოცემა არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედ რედაქციაში ფორმულირებული იყო აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძველად, შესაბამისად, 5.3 მუხლის დანაწესი ადეკვატური იყო 2005 წლის 24 ივნისამდე მოქმედ მე-60 მუხლის ტექსტთან. მას შემდეგ, რაც ეს საფუძველი განეკუთვნა აქტის არარად აღიარების შემთხვევას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლი შესაბამისობაში უნდა მოსულიყო მოქმედ 60.1 მუხლთან, რაც არ განხორციელდა. ეს ფაქტი საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას და არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული 5.3 მუხლის ტექსტისთვის რაიმე სხვა გამოყენების თვალსაზრისის შემუშავება, რადგან ასეთ პირობებში, მთლიანად ინგრევა ის ლოგიკური სქემა, რომელიც კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლის თეორიის და მისი ინსტიტუტების კვალიფიციური გააზრებით ჩამოაყალიბა 2005 წელს. ამდენად, 5.3 მუხლისათვის რაიმე განსხვავებული, ახალი შინაარსის მინიჭება სრულიად წინააღმდეგობრივი და არასწორია. ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინა აქტის არარად აღიარების საფუძველს – არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა, არ ჰყოფს ტერიტორიულ და საგნობრივად არაუფლებამოსილების კუთხით, ნებისმიერი გადაცდომა კომპეტენციის ფარგლებიდან იწვევს აქტისათვის იურიდიული ძალმოსილების გამოცლას და მისი აღსრულება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში / ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელისა გამო ქ. ბათუმის მერიასა და მ. დ-ის მიმართ/, ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლის ამგ-

ვარი მიდგომა განპირობებულია თავად არარა აქტის ბუნებით. ვინაიდან ამგვარი აქტი აღსრულების ძალმოსილების ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, მისი მოქმედების შეწყვეტა ვერ მოხდება. კერძოდ, სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა სწორედ მისი მოქმედების ანუ აღსრულების ფუნქციაშია. აქტის გაუქმება ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას, ასე, მაგალითად: აქტის ბათილად ცნობა ნიშნავს რომ აქტის მოქმედების შეწყვეტას ამა თუ იმ მომენტიდან: ა) გამოცემის მომენტიდან; ბ) გამოცხადების მომენტიდან; გ) მომავალში კონკრეტული თარიღის დათქმით, ან ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს, რომ აქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან. ვინაიდან, გამოცემისას უკანონო და გამოცემისას კანონიერი აქტები იურიდიული ძალის მქონე აქტებია და მათი მოქმედება დამოკიდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ან ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრაზე ან გამოცემაზე ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მაშინ, როცა არარა აქტი ვერ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და მისით განსაზღვრული მოწესრიგება არ შეიძლება ძალაში შევიდეს, როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო მოვლენა. ამდენად, აქტის არარად აღიარება მიზნად ისახავს მისი იურიდიული ძალმოსილების არმქონე დოკუმენტად სასამართლო წესით დადასტურებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი აქტის აღსასრულებლად გადაცემა, ხოლო აღსრულების შემთხვევაში – მისი შედეგების გაქარწყლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მათ შორის, კომპეტენციის აღრევით, სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საფრთხეს წარმოადგენს საჯარო წესრიგისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილური მმართველობის განხორციელებისათვის. ვინაიდან არც ერთი საზოგადოება დაზღვეული არ არის ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების ჰიპოთეზისაგან, კანონმდებელმა მმართველობით ორგანოებში ქაოსის თავიდან ასაცილებლად ასეთი აქტებისათვის ნულოვანი სამართლებრივი შედეგი განსაზღვრა. ამავდროულად ეს იცავს მოქალაქეებს, რადგან მათ გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სწორედ კანონიერების პრინციპის საფუძველზე მმართველობის განხორციელებისა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სადავო აქტთან დაკავშირებული სარჩელის მოთხოვნის ფორმულირება დამოკიდებულია არა იმაზე, თუ დროში როგორ ზემოქმედებს აქტით განსაზღვრული შედეგები ადრესატის უფლებებზე, არამედ აქტის სამართლებრივ ბუნებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობის (ან ასეთის ვარაუდის) პირობებში უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული აქტების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრისას, მაშინ, როცა არარა აქტთან მიმართებაში ამგვარი უფლებამოსილება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული. **აღიარებითი სარჩელის განხილვისას სასამართლო ადასტურებს ან არ ადასტურებს სადავო აქტს, როგორც გამოცემისთანავე იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტს და სწორედ ეს მართლმსაჯულებითი ფუნქცია – სასამართლო წესით დადასტურება არის წინაპირობა ამ მოთხოვნის აღიარებითი სარჩელის სახისათვის მიკუთვნებისა.**

არარა აქტის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივ მოქმედებების და შედეგების თაობაზე საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას საქმეზე (ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-130-876(კ-05), გ. ჭ-ას საკასაციო საჩივრის გამო, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 აგვისტოს განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის არარად აღიარების საფუძველების დადგენისას კანონმდებელი მიზნად

ისახავს ადმინისტრირების კანონიერებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლო წესით აქტის არარად აღიარება, ანუ აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძვლის დადგენა – დადასტურება იწვევს მძიმე იურიდიულ შედეგს, რადგან მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ასევე მიიჩნევა არალეგიტიმურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არარა აქტების მიმართ, რამდენადაც: 1. ამგვარი აქტი არ არის იურიდიული ძალის მქონე; 2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მითითებული ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და არა მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; 3. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

ამ პირობებში აქტის არარად აღიარება, რომელიც უკანონობის იმგვარ საფუძველზე შეიცავს, რომელთა გამოც კანონმდებელი მას იმთავითვე, მიღების მომენტიდანვე აცლის იურიდიულ ძალას, რის გარეშეც იგი ვერ იძენს ისეთი სამართლებრივი აქტის შინაარსს, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება ანუ არ გააჩნია აღსრულების ძალმოსილება, განსხვავებით უკანონო (ბათილი) აქტებისგან, რომლის არამართლზომიერების მიუხედავად დაშვებულია მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების დროის გარკვეული მონაკვეთით შენარჩუნება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 პუნქტი), რამდენადაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ანიჭებს ამგვარი აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის უფლებამოსილებას“.

საქმე № ბს-919-881(კ-07)

6 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილი)

საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 7 აპრილის № 176/16 წერილის (ინფორმაცია) მიხედვით, ქ. ქუთაისში, ...-ის ქ. № 36/ნა-ში მდებარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის № 2 რეგიონალური ბაზის ყოფილი № ... ბაგა-ბაღის ნაწილის პრივატიზაციასთან დაკავშირებით, დადგინდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ცნობის თანახმად, აღნიშნული ობიექტი არ იყო შეტანილი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, რითაც დაირღვა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი (ს.ფ. 23-27). საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 30 ივლისის № 16/1217/3-6 წერილით, საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 7 აპრილის № 176/16 ინფორმაციის (წერილი) საფუძველზე, მოსარჩელეს ეთხოვა ქ. ქუთაისში, ...-ის ქ. № 36/ნა-ში მდებარე ყოფილი № ... ბაგა-ბაღის პრივატიზების შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება (ს.ფ. 13). შპს „კ.-ში“ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შეფასების შესახებ 2007 წლის 28 ივნისის აუდიტორული დასკვნის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები ჩატარებულ იქნა 2003 და 2006 წლებში და შესრულებული სამუშაოებისა და მასალების ღირებულებამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 130614 ლარი (ს.ფ. 119-120).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის (იმჟამად მოქმედი რედაქცია) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, საპრივატიზებო ობიექტების

ნუსხას ამტკიცებდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო მუნიციპალური დაქვემდებარების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით, – შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო. იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხენებული სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.

კასატორი კასაციის ერთ-ერთ მიზეზად მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი და მე-60 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, ვინაიდან დადგენილია, რომ ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ 2003 წლის 21 ივლისის № 1396 წერილით ითხოვა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) № ... ბაგა-ბაღი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეეტანა, ხოლო სადავო ქონების გაყიდვის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „...-ში“, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) გამოსცემდა, ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით დასტურდებოდა, რომ სახელმწიფოს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით სადავო ობიექტის პრივატიზება სურდა იმ გზით, რა გზითაც იგი გაიყიდა 2003 წლის 31 ოქტომბერს, დაინტერესებულ მხარეს – შპს „კ.-ს“ კი რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება პრივატიზების პროცესში არ ჩაუდგინა.

კასატორი კასაციის მიზეზად მიუთითებს იმაზეც, რომ შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით, შპს „კ“ გახდა შეძენილი ქონების მესაკუთრე, სადავო ობიექტზე ჩაატარა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები და მოაწყო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დაინტერესებულ პირს, ისე, რომ არ არის დადგენილი მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, განხორციელებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და სხენებული აქტის ბათილად ცნობით მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ამასთან, ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე ვერ დაასაბუთა, თუ რითი შეილახა შესაბამისი სამინისტროს, სამმართველოს ან სახელმწიფოს ინტერესები სადავო ობიექტის გაყიდვით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შპს „კ.-ს“ არ გააჩნდა კანონიერი ნდობა შესაბამისი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისადმი.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის სხდომაზე კასატორის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სადავო ფართში ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულება, დაახლოებით, 130000 ლარს შეადგენს, პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმებით კასატორს მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ამასთან, მას ჰქონდა კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ ბათილად ჩაითვლება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, უფრო დიდი ზიანი მიადგება სახელმწიფოს, რადგან შპს „კ.-ში“ ამჟამად დასაქმებულია ასამდე თანამშრომელი და იგი ასრულებს სახელმწიფო შეკვეთას, ემსახურება სხვადასხვა კატეგორიის პირებს, ხოლო აღნიშნული პროცესი არის უწყვეტი და დღემდე გრძელდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისში, ...-ის ქ. № 36/ნა-ში მდებარე ყოფილი № ... ბაგა-ბაღის სადავო 1052,11 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის შემდეგ კასატორი შპს „კ“ წარმოადგენს დასახელებული ქონების მესაკუთრეს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ გარე-

მოებაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასა და საერთოდ, პრივატიზაციის კანონიერების შესახებ დავის წარმოშობას საფუძვლად არ დასდებია მოპასუხე შპს „კ.-ს“ მხრიდან კანონის რაიმე დარღვევა, რაც მხარეთა შორის არც არის სადავო, დასახელებული პრივატიზებული ქონება კი არ წარმოადგენს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ქონებას, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, ანუ რომლის პრივატიზებაც არ შეიძლება და აკრძალულია, რის გამოც უდავოა, რომ შპს „კ.-ს“, როგორც დაინტერესებულ მხარეს, გააჩნია კანონიერი ნდობა გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა და არ მისცა სამართლებრივი შეფასება საქმეში წარმოდგენილ შპს „კ.-ში“ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შეფასების შესახებ 2007 წლის 28 ივნისის აუდიტორულ დასკვნას, რომლითაც უდავოდ დასტურდება და მხარეთა შორის დავას არ იწვევს, რომ შპს „კ.-ში“ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები და გასწია ხარჯები. შესაბამისად, ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიაღება მნიშვნელოვანი ზიანი.

საქმე № ბს-966-927(3კ-07)

26 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერი ნდობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილი)

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ № 36 გადაწყვეტილებით ზ. ფ-ას ქ. ბათუმში, ქუჩის № 13-ში გამოეყო მიწის ნაკვეთი სამსართულიანი შენობის ასაშენებლად. გამოყოფილი ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა ზ. ფ-ას სახელზე, ხოლო 17.06.02წ. ამ უკანასკნელის მიერ გასხვისდა თ. ა-ესა და ნ. ფ-ზე № და № ნასყიდობის ხელშეკრულებებით, რომელთა საფუძველზე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში განხორციელდა ჩანაწერები და მიწის ნაკვეთები აღირიცხა მყიდველების თ. ა-ისა და ნ. ფ-ას საკუთრებად. ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილებით სზაკ-ის 60¹ მუხლის საფუძველზე ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. № 36 გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მერიის 05.08.99წ. № 36 გადაწყვეტილების მიმართ კანონიერი ნდობა შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ზ. ფ-ას, ხოლო ნ. ფ-ას და თ. ა-ეს კანონიერი ნდობა შესაძლოა ჰქონოდათ მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ. საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფცია (სკ-ის 185-ე, 312.1 მუხლები) ადასტურებს ნ. ფ-ას და თ. ა-ის კანონიერ ნდობას არა მხოლოდ საჯარო ჩანაწერის, არამედ იმ აქტის მიმართაც, რომელიც საფუძვლად დაედო ასეთ ჩანაწერს.

საქმე № ბს-1096-1052(2კ-10)

29 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილი)

2008 წლის 17 თებერვალს მოსარჩელე ყ. ყ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართ, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს № 427 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 13 ივნისის ბრძანების ბათილად ცნობა და მისთვის ობიექტის ღირებულების დარჩენილი საფასურის დამატებით გადახდევინების დავალება მოითხოვა.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილად არის მიჩნეული, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს

2008 წლის 8 აპრილის № 427 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 19 თებერვლის ღია აუქციონის შედეგებში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № 3; ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 28 თებერვლის № 214 ბრძანება და ამ ბრძანების საფუძველზე სიმონ ყურაშიძემ გაცემული მიწისა და სხვა უძრავი ქონების შექენის დამადასტურებელი ოქმი № 232.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს – ს. ყ-ძეს არ გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი კანონიერ ნდობას განიხილავს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დოკუმენტს, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) განხორციელებაზე. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და განმარტავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 8 აპრილის № 427 და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 13 ივნისის ბრძანებები წარმოადგენენ აღმჭურველ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. სადავო ადმინისტრაციული აქტებით კი მოსარჩელემ – ს. ყ-ძემ მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60' მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დაპირებას – აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 8 აპრილის № 427 და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 13 ივნისის ბრძანებებს.

საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმასთან მიმართებაში, რომ მოსარჩელეს – ს. ყ-ძეს არ გააჩნდა გადაუდებელი კანონიერი იურიდიული ინტერესი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ ბათილად ცნობის შემდეგ მხარისათვის ახალი აქტების გამოცემის დავალების მიმართ მოსარჩელეს – ს. ყ-ძეს გადაუდებელი ინტერესი წარმოეშვა, ვინაიდან მან შეიძინა სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწა მისი ფუნქციონალური დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ჩაატარა გარკვეული მოცულობის სამუშაოები, კერძოდ, ამოძირკვა და გაასუფთავა ნაკვეთი, დარგა ნარგავები. მხარის გადაუდებელი ინტერესი, სწორედ მისი საქმიანობის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის დროულად განსაზღვრაში მდგომარეობდა, რაც ადმინისტრაციული აქტების მხოლოდ ბათილად ცნობის მეშვეობით ვერ მიიღწეოდა, ვინაიდან აღდგებოდა აუქციონის ჩატარებამდე არსებული სტატუს-კვო, რითაც გაურკვეველი და შესაბამისად, ნაკლებად დაცული იქნებოდა, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული ქმედების გამო სადავო მიწის ნაკვეთზე გაუქმებული მოსარჩელის საკუთრების უფლება.

საქმე № ბს-143-137(კ-10)

6 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60' მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. კ-ძეს კანონით დადგენილი წესით კომისიაში არ წარუდგენია ინფორმაცია საკუთრების უფლების

ალიარების საფასურის ოდენობის დასადგენად და გადახდილი არ ყოფილა საკუთრების უფლების აღიარებისათვის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების აღიარების საფასური.

აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კანონით დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე განიკარგა რა 1000 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უკანონო აქტით არსებითად დაირღვა სახელმწიფო ინტერესი, რის გამოც სახეზეა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უკანონო აქტის ბათილად ცნობის დაუშვებლობის გამომრიცხავი გარემოება.

საქმის მასალებით დადგენილია და კასატორი სადავოდ არ ხდის, რომ გასაჩივრებული აქტი ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით კლასიფიცირებული უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კატეგორიაში, რამდენადაც მისი გამოცემისას სახეზეა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქტის ბათილობის ორივე საფუძველი, აქტი ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე, თვალსაჩინოა, რომ კანონით დადგენილი საფასურის გადაუხდელობისას არ უნდა გამოცემულიყო აღმჭურველი აქტი, ანუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კანონის ამ დარღვევის არარსებობის პირობებში მოცემულ საკითხზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის აღმჭურველი შინაარსის სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „8“ ქვეპუნქტის მიხედვით გასაჩივრებული აქტი დაინტერესებულ მხარეს – კასატორ ბ. კ-ძეს ანიჭებს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე.

სადავო საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, მიუხედავად აქტის უკანონობისა, ექცევა თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში.

თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემოწმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

საკასაციო სასამართლო ზემომითითებული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მიუხედავად მისი უკანონობისა) განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მმართველობის ავტორიტეტს და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას.

ამ პირობებში უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი და თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირსი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერების პრინციპი“, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი“. ორივე პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, შეუძლებელია ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა. ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სასამართალწარმოების ამოცანაა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინონ ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი ანუ სახეზე არა გვაქვს კანონიერი ნდობა, თუ: ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება (მაგ., არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარმოდგენა თუ მოტყუება), ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თუ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები (უმუშევრობაზე დახმარება, სტიპენდია, ერთჯერადი სოციალური დახმარებები და ა.შ.), რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ან მისი ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამ საფუძველებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მიმართ არის დაცვის ღირსი, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მმართველობის კანონიერების პრინციპსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოახდინონ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და წარმოების სახე (წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ვიდრე ზეპირი. ასევე, რაც უფრო ფორმალურია ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო მეტია პირის კანონიერი ნდობის ხარისხი), მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები. განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, რომელთა საფუძველზეც ხდება ფულადი დახმარების მიღება, შესაძლებელია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების შეწყვეტით ბათილად გამოცხადების დღიდან, ასევე შეიძლება ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით, შეწყვეტით (სზაკ-ის მე-60¹ მუხლის 7-ე ნაწილი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევას, როცა კანონიერების პრინციპი პრიორიტეტულია კანონიერი ნდობის პრინციპთან მიმართებით, კერძოდ, თუ აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამდენად, განსახილველი შემთხვევა გადის განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი უკანონო აქტების ფარგლებიდან, რამდენადაც ადგილი აქვს საჯარო ინტერესების არსებითად დარღვევას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გადაუხდელოდ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებით არსებითად დაირღვა არა მხოლოდ კანონის – მატერიალური სამართლის ნორმის მოთხოვნა, ასევე, აქტის მომზადების და გამოცემის წესი – ფორმალური სამართლის ნორმა, არამედ, დარღვეულია ადმინისტრაციული სამართლის ასევე ძირითადი პრინციპი – თანასწორობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი საფასური განეკუთვნება კონკრეტულ სამართალური თვითობაში კონკრეტული სამართლებრივი შედეგი დადგომით დაინტერესებულ პირთათვის სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დაწესებულ საზღაურის კატეგორიას, რომლის გადახდა თანასწორობის პრინციპის არსიდან გამომდინარე სავალდებულოა ყველასათვის და რომლის შესრულების გარეშე პირს ვერ ექნება პატივსაღები მოლოდინი მისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი შედეგის მიმართ.

იმდენად, რამდენადაც ა. ნ-ძეს არ შეუსრულებია კანონით დადგენილი მტკიცებულებების სრულყოფილი წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში, შესაბამისად, არც საფასური არ გადაუხდია, აღნიშნულიდან გამომდინარე გასაჩივრებული აქტის მიმართ მისი კანონიერი ნდობა ვერ შეფასდება, როგორც დაცვის ღირსი, რამდენადაც მას არ შეუსრულებია იმგვარი სავალდებულო პროცედურული მოვალეობა /საფასურის გადახდა/, მხოლოდ რომლის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი აღმჭურველი აქტის გამოცემა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მატერიალური და პროცედურული უფლებების რეალიზაცია უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებული და განპირობებულია პირის მხრიდან მთელი რიგი მატერიალური და ფორმალური მოვალეობების შესრულებამდე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას საქართველოს კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შემლუდვის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი აღიარებს და უზრუნველყოფს საკუთრებას და მემკვიდრეობის უფლებას /პირველი პუნქტი/, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის უშვებს ამ უფლებათა შემლუდვას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით /მე-2 პუნქტი/. აქვე განისაზღვრა წესი – კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით /მე-3 პუნქტი/.

აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი გულისხმობს საკუთრების უფლებაში ჩარევას მხოლოდ საერთო ან საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე. საკუთრების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის უფლებამოსილება ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის I ოქმითაც.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ თავის გადაწყვეტილებაში განსაზღვრა | ოქმის | მუხლის ფარგლები, რომელიც ეხება მხოლოდ არსებულ საკუთრებას და „არ უზრუნველყოფს საკუთრების მიღების უფლებას“. აღნიშნული დებულება პირებს იცავს მათ საკუთრებაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან. ამასთანავე, იგი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა და ჩამოართვას კიდევ პირს მისი საკუთრება ამ დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სადავო სამართალურთიერთობაში ადგილი აქვს არა სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლებაში ჩარევას, არამედ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული საკუთრების უფლების კანონიერების შემოწმებას, რომლის სათანადო კომპეტენცია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გააჩნიათ როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, ასევე, სასამართლოს. ხოლო, ამგვარი შემოწმების პირობებში აქტის უკანონობის დადგენისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის IV-VII ნაწილები.

საქმე № ბს-1546-1525(კ-11)

1 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ 2002 წლის 4 აპრილის 06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით აიღო ვალდებულება კასატორის – ზ.ლ-ის მამის – პოეტ მ. ლ-ის ოჯახისათვის საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რომლის აშენებასაც ქ. თბილისის მთავრობა უზრუნველყოფდა. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოსარჩელის მამას – მ. ლ-ეს საკუთრების უფლებას ანიჭებდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოყოფილ ბინაზე. ხოლო დღეის მდგომარეობით მოსარჩელეს სადავო დადგენილებით („ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის 07.01.205 დადგენილებით) სრულად აქვს გაუქმებული ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის 06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით მისი ოჯახისათვის მინიჭებული უფლებები, კერძოდ, უფლება ბინაზე, უფლება მშენებლობაზე და უფლება ქ. თბილისის მთავრობის მიერ აშენებული ბინის ჩაბარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის 06.27.121 დადგენილება წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორს ანიჭებს საკუთრების უფლებას ასაშენებელ საცხოვრებელ ბინაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტავს, რომ დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დაპირებას – აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის 06.27.121 დადგენილებას. საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უდავოდ მიიჩნევს აღნიშნული აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობას. **საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ბათილად ცნობილი დადგენილების მიმართ არ გააჩნია კანონიერი ნდობა, ვინაიდან, მას არ განუხორციელებია რაიმე სახის იურიდიული მოქმედებები. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც მ. ლ-ის ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ასაშენებელი ბინა (რაც გამორიცხავს გამოყოფილ ბინაში ცხოვრების შესაძლებლობას), საგულისხმოა რა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების განხორციელება წარმო-**

შობდა კანონიერ ნდობას; ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ არ გაასხვისა აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული სამომავლო უფლებები, არ გამოირიცხავს მისი კანონიერი ნდობის არსებობას გაუქმებული დადგენილების მიმართ.

საქმე № ბს-1176-1165(კ-11)

6 დეკემბერი, 2012 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილი)

2010 წლის 6 ოქტომბერს შპს „...“ დირექტორმა ვ. რ-ამ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

2005 წლის 19 აპრილს ზუგდიდის რაიონის გამგეობასა და ვ. რ-ას შორის გაფორმდა ქ. ზუგდიდში, ... გამზ. № 43-ში მდებარე, 260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით. 2007 წლის 9 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა ქ. ზუგდიდში, ... გამზ. № 43-ში მდებარე, 260 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობაზე შპს „...“ საკუთრების უფლება. რეგისტრაციის საფუძვლად მიეთითა შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ 2007 წლის 25 სექტემბრის № 01 დადგენილება. 2010 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ № 1-3/105 ბრძანებით ბათილად ცნო ზუგდიდის რაიონის გამგეობასა და ვ. რ-ას შორის 2005 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. ამავე ბრძანებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს ეთხოვა ბათილად ეცნო შენობაზე შპს „...“ საკუთრების უფლება და გაუქმებინა იჯარის ხელშეკრულების შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერი. სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 19 აგვისტოს № 214062 გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „...“ საკუთრების უფლება შენობაზე, ხოლო მიწის ნაკვეთი დარჩა სახელმწიფო საკუთრებად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 10 აგვისტოს № 1-3/105 ბრძანებით ადმინისტრაციულმა ორგანომ ბათილად ცნო შპს „...“ გაფორმებული მიწის იჯარის ხელშეკრულება, როდესაც ხელშეკრულების ვადა ამოწურული იყო და იგი მხარეებს არ გაუგრძელებიათ. ხელშეკრულების ბათილად ცნობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შპს „...“ სურდა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, ანდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება, რის გამოც ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაამოწმა გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება. იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლად სადავო № 1-3/105 ბრძანებაში მითითებულია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.4 მუხლი და „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი. ფაქტობრივად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი, თუმცა დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, რამდენადაც იმ პირობებში, თუ ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევდა, რომ მიწის შპს „...“ იჯარით გაცემით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, ჯერ კიდევ ხელშეკრულების მოქმედების დროს შეეძლო გაუქმებინა იჯარის ხელშეკრულება ამ საფუძველით, რისი უფლებამოსილებასაც ხელშეკრულების 8.2 მუხლი ანიჭებდა მეიჯარეს. ასეთ პირობებში გაურკვეველია ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია გაუქმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, რაც მას მიღებული საიჯარო ქირის დაბრუნების ვალდებულებას წარმოუშობდა.

სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმებისას მიუთითა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ იჯარის ხელშეკრულების დადებით დაირღვა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის 3.4 მუხლით გათვალისწინებული მიწის განკარგვის წესი, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით არ უმსჯელია და შეუფასებია, რომ მითითებული კანონის 2.1 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება და მათ მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით სახელმწიფო ქონების განკარგვა რამდენად წარმოადგენს დაინტერესებული მხარის უფლების უპირობოდ გაუქმების საფუძველს, მით უფრო, რომ მოქმედი კანონმდებლობა იცავს დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 10 აგვისტოს № 1-3/105 სადავო ბრძანებით სარეგისტრაციო სამსახურს ეთხოვა შენობაზე შპს „...“ საკუთრების უფლების გაუქმება. ამ ნაწილში სადავო აქტი სრულიად დაუსაბუთებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, არ მიუთითებია რის საფუძველზე ითხოვდა რეგისტრაციის გაუქმებას მით უფრო, როდესაც საქმე ეხებოდა საკუთრების უფლების გაუქმებას, სარეგისტრაციო სამსახურმა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართვის საფუძველზე გააუქმა მის მიერვე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმ დასაბუთებით, რომ შპს „...“ საკუთრებად შენობის აღრიცხვის საფუძველად წარდგენილი შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ დადგენილება არ წარმოადგენდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრულ უფლების დამდგენ დოკუმენტს, იგი არ ადასტურებდა შენობა-ნაგებობაზე შპს „...“ საკუთრების უფლებას, შესაბამისად, რეგისტრაცია განხორციელდა უკანონოდ, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთება და უკანონოდ მიიჩნია შპს „...“ სახელზე შენობის საკუთრების უფლებით აღრიცხვა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, ამასთან აღნიშნა, რომ შპს „...“ მიწის ნაკვეთი არ გამოყოფია მშენებლობის მიზნით, ხოლო შენობის ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაცია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევად ჩათვალა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო აქტების კანონიერების შემოწმებისას არ გამოუკვლევიან საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. სასამართლო მხოლოდ გასაჩივრებულ აქტებში ჩამოყალიბებულ დასაბუთებაზე დაყრდნობით უარყოფს სარჩელს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების როგორც ფორმალურ, ასევე მატერიალურ კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს აღნიშნული გარემოებები და იმსჯელოს არსებობდა თუ არა სადავო მიწაზე შპს „...“ კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევის საფუძველი და სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მოხდა თუ არა შპს „...“ დამფუძნებლების მიერ წარმოებული მშენებლობის კანონიერების აღიარება.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას დაცულ იქნა თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. სადავო რეგისტრაციით შპს „...“ წარმოეშვა საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია თუნდაც კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მითითებული ნორმა

დაუშვებლად მიიჩნევა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ამ აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობისას. კანონიერი ნდობის უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულმა მხარემ აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. მისი ნდობა ამ ადმინისტრაციული აქტისადმი არის დაცვის ღირსი და აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. ამგვარი აქტის ბათილად ცნობას კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ აქტის არსებობით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების დარღვევის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია არსებობდა თუ არა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მის მიერვე მიღებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი და სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შპს „...“ სახელზე შენობის საკუთრების უფლების უკანონოდ დარეგისტრირების პირობებშიც კი მისი ბათილად ცნობისას დაცული იყო თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა.

საქმე № ბს-1142-1110(კ-10)

10 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონიერად მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2008 წლის 3 იანვარს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, გ. ბ-ძის განცხადება მიწის ნაკვეთის საკუთრებზე უფლების აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა და გაიცა № 4752 საკუთრების უფლების მოწმობა, გ. ბ-ძისათვის სოფ. ... მდებარე 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ (ს.ფ. 64-79). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი გ. ბ-ძის სახელზე გაცემული № 4752 საკუთრების უფლების მოწმობა, საოქმო გადაწყვეტილება გ. ბ-ძის ნაწილში და საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ს.ფ. 24-27).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე და მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, დასაბუთებულობა და მართებულობა, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა ამ აქტის უკანონობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის სწორი გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, 2008 წლის 3 იანვარს გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული იყო თუ არა კანონის მოთხოვნები. ის გარემოება, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას ადგილი არ ჰქონია კანონის დარღვევას, დადგენილია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (ს.ფ. 17-21).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ 2007 წლის 21 დეკემბერს წარდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან/და თვითნებურად დაკავების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ 1992 წლის საიჯარო ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, 1992 წლის 1 იანვრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე გ. ბ-ძესა და მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას შორის გაფორმდა მიწის იჯარის ხელშეკრულება (ს.ფ. 36). ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიწის იჯარის ოდენობა ემთხვევა საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის ოდენობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დასტურდება გ. ბ-ძის მიერ სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის ფაქტი.

საქმე № ბს-1023-976(2კ-06)

29 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ აუქციონში იგულისხმება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დაცვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების პროცედურა – კრედიტორის მიერ სააღსრულებო ბიუროში განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის წარდგენის მომენტიდან აღმასრულებლის იმ განკარგულების ჩათვლით, რომლითაც ხდება უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემა შემძენზე. ამასთან, აღმასრულებლის მიერ უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემის შესახებ განკარგულების გამოცემით ხდება აღმასრულებლის მიერ ჩატარებული სააღსრულებო მოქმედებების დამტკიცება, რასაც მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგი, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებლის 2004 წლის 5 აპრილის № 01/02 განკარგულება, რომლითაც იძულებით აუქციონზე საჯარო ვაჭრობის გზით რეალიზაციით, მ. ლ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ უძრავ ქონებაზე, ქ. თბილისში, ქ. № 3-ში მდებარე ბინა № 7-ზე, უფლება გადაეცა მის შემძენ თ. ნ-ას, ეწინააღმდეგება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის – თ. ნ-ას წარმომადგენელ მ. ს-ის მტკიცებას, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ თანამდევ შედეგებზე და მათ ავტომატურად დადგომამე მითითება, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონს, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მიხედვით, დადგენილია, რომ აქტის ბათილად ცნობა ავტომატურად არ იწვევს რესტიტუციას, არამედ დღის წესრიგში დგება კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძვლიანობა, რაც გათვალისწინებულია და წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-981-ე მუხლებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა იმავდროულად იწვევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გაბათილებას, ანუ ავტომატურად იწვევს რესტიტუციას – აღნიშნული აქტის გამოცემით პირდაპირ და უშუალოდ (ინდივიდუალურად) დაზარალებული პირის დაუყოვნებლივ აღდგენას თავის უფლებებში**, ამასთან, კონდიქციურ ვალდებულებას – უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას აფუძნებს ქონების უსაფუძვლოდ შეძენა – შემძენის ქონების გაზრდა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, რომლის დროსაც კრედიტორის შესაბამისი მოთხოვნის უფლება არ არის დამყარებული მოვალის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში არასწორია კასატორის – თ. ნ-ას წარმომადგენელ მ. ს-ის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-981-ე მუხლებზე მითითება.

საქმე № ბს-192-184(3კ-13)

16 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლი)

კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სარჩელის საგანს წარმოადგენს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის № 882011066229-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502

კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (საკადასტრო კოდით ...), სადავო აგრეთვე აღნიშნული რეგისტრაციის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, ვინაიდან, მოსარჩელის ნ.კ-ის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეგისტრაციით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მან 2001 წლის 10 ივლისის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ჯ. ფ-ისაგან.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების საფუძველზე იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებას, რომ თვითმმართველი ერთეულის სახელზე დარეგისტრირდა იგივე მიწის ნაკვეთი, რაც მოსარჩელეს აქვს რეგისტრირებული. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ 1502 კვ.მ. ს.კ. 01.72.14.035.073) აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა 2011 წლის 26 აპრილს.

2011 წლის 13 მაისს ჩატარდა აუქციონი, გამარჯვებულად გამოვლინდა მ. მ-ი და 2011 წლის 30 ივნისს გაცადა № დ-266 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის თანახმადაც მ. მ-ს საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. თბილისში, ... მიმდებარედ 1502 კვ.მ. საკადასტრო კოდით ...

2011 წლის 6 ივლისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ 2011 წლის 30 ივნისს უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ. დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

2011 წლის 19 ივლისს მ. მ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ქ. თბილისში, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაყოფის საფუძველზე მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მითითებული უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) და 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება (იხ. ს.ფ. 119-120; 109-110; 112 ტ.2).

2012 წლის 17 იანვრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა ა. ე-ის საკუთრების უფლება.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის № 882011066229-03 გადაწყვეტილება, თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, მიაკუთვნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით კლასიფიცირებულ უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კატეგორიას, ჩათვალეს, რომ მისი გამოცემისას სახეზე იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის, როგორც პირველი ნაწილით ასევე, მეორე ნაწილით განსაზღვრული აქტის ბათილობის საფუძველები, რის გამოც აქტი მიიჩნეოს უკანონოდ.

სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო უძრავი ნივთი უკვე გასხვისებულია და მის მესაკუთრეებს დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ კეთილსინდისიერი შემქმნები (და რომ საწინააღმდეგო მხარეებმა ვერ დაადასტურეს), რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტა განსაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან.

საკასაციო სასამართლო აძლევს რა სამართლებრივ შეფასებას ქვემდგომი სასამართლოების მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის № 882011066229-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისას მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღს განსაზღვრას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განმარტავს:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გულისხმობს მისი უკანონო ხასიათის დადგენას გამოცემის მომენტში. ანუ აქტი გამოიცა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, რაც მისი გაუქმების უპირობო საფუძველია მმართველობის კანონიერებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ

კანონმდებელი უშვებს დიფერენცირებულ სამართლებრივ მიდგომას აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრით. დიფერენცირებული მიდგომის მოტივი მდგომარეობს აღმჭურველი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობაში. აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრა ბათილად ცნობის მომენტიდან ან მომავალში, კონკრეტული თარიღის დათქმით, ნიშნავს აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნებას, რათა ზიანი არ მიაღვეს აღმჭურველი აქტის ადრესატს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.7 მუხლის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ და არა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება სადავო აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით. სასამართლო ხელისუფლება არ არის აღჭურვილი საპროცესო კანონმდებლობით, განსაზღვროს სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღები, რამდენადაც ეს აუცილებლად, როგორც განსახილველ დავაში მოხდა, გამოიწვევს წინააღმდეგობრივ დასკვნას. მაგ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით იურიდიულად ნ.კ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებული რჩება, თუმცა, ფაქტობრივად საკუთრების ობიექტი ამავდროულად სხვა პირთა საკუთრებაცაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, მისი კანონიერების გადაამოწმებისას აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეაფასოს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4-7 ნაწილებით.

აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს: მიუხედავად აქტის უკანონობისა, ექვევა თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ცალსახად მიიჩნევს, რომ თუ კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტით ილახება სხვა პირის კანონიერი უფლებები, შეუძლებელია მისი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება მესამე პირის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ერთი აქტის მიმართ სხვადასხვა პირების კანონიერი უფლებებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, თანაც ამ უფლებების უპირატესობის დაუსაბუთებლობის პირობებში, სრულიად არასამართლიანია.

თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემოწმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიაღება ზიანი.

საკასაციო სასამართლო შემომითითებული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მიუხედავად მისი უკანონობისა) განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მმართველობის ავტორიტეტს და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას.

ამ პირობებში უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი და თანაბომიერების პრინციპის მეშვეობით დად-

გინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირსი.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი ანუ სახეზე არა გვაქვს კანონიერი ნდობა, თუ: ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება (მაგ., არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარმოდგენა თუ მოტყუება), ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თუ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები (უმუშევრობის დახმარება, სტიპენდია, ერთჯერადი სოციალური დახმარებები და ა.შ.), რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ან მისი ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამ საფუძველებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მიმართ არის დაცვის ღირსი, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მათ მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემოწმებისას სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უკანონო აქტის ბათილად ცნობის დაუშვებლობის გამომრიცხავი გარემოებების ჩამონათვალიდან არის თუ არა სახეზე რომელიმე გარემოება.

აღნიშნული გარემოებების დადგენის პირობებში კანონმდებელი უკანონო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ მიიჩნევს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად, კერძოდ, თუ მისი სამართლებრივი შედეგებით დაირღვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებები ან კანონიერი ინტერესები, რამდენადაც აქტის კანონიერებისა და აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების კონფლიქტის, კონკურენციის პირობებში კანონმდებელი პრიორიტეტულად მიიჩნევს კანონიერი ნდობის უფლების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მმართველობის კანონიერების პრინციპსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოახდინონ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და წარმოების სახე (წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ვიდრე ზეპირი. ასევე, რაც უფრო ფორმალურია ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო მეტია პირის კანონიერი ნდობის ხარისხი), მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები. განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, რომელთა საფუძველზეც ხდება ფულადი დახმარების მიღება, შესაძლებელია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების შეწყვეტით ბათილად გამოცხადების დღიდან, ასევე შეიძლება ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების მომავალში, კონკრეტული

თარიღის მითითებით, შეწყვეტით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601ე მუხლის 7-ე ნაწილი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ორგანოები სასარჩელო წესით აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას ვერ შეაფასებენ აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლებას, შესაბამისად, ვერც დაიცავენ მას, რამდენადაც აქტის ადრესატს კანონიერი ნდობა წარმოეშვება მხოლოდ აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: 1. აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის; ან 2. აქტის გასაჩივრების შემთხვევაში მის უცვლელად დატოვების შემდგომ. სწორედ აქტის კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების წარმოშობას, და ამ უფლების დაცვა პრიორიტეტულ ხასიათს იძენს კანონიერების პრინციპთან მიმართებით. ამდენად, სამართალწარმოების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული სასამართლოების მხრიდან გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების შეფასება დაუშვებელია და არასამართლებრივი მიდგომაა, ვინაიდან ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601. 7 მუხლის ტექსტში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს, როგორც სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღების განმსაზღვრელ ორგანოებად მითითება მიჩნეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ხარვეზად, ეწინააღმდეგება რა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ინსტიტუტს, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დაცვის მიზანს, რაც თავის მხრივ, კანონიერი მმართველობის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო კონფლიქტს, დავის საგნიდან გამომდინარე შემდეგი სქემატური ხასიათი აქვს: ერთის მხრივ, აღმჭურველი კანონსაწინააღმდეგო აქტი (როგორც ეს ასე შეაფასეს ქვემდგომმა სასამართლოებმა, თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601.7 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობით შეინარჩუნეს მისი სამართლებრივი შედეგები და აქედან გამომდინარე, მის საფუძველზე გამოცემული ყველა სხვა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი შედეგები), რომლებითაც აშკარად უხეშად შეილახა ნ.კ-ის კონსტიტუციური – საკუთრების უფლება, რომელიც ამავედროულად კანონიერი ნდობის უფლების მატარებელია მისი საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერის მიმართ, მეორეს მხრივ თვითმმართველი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე ამავე კანონიერი ნდობის უფლებით აღჭურვილი მესამე პირების – მ. მ-ისა და ა. ე-ის საკუთრების უფლებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოსარჩელის კანონიერი ნდობის უფლებაზე, მაშინ, როცა სწორედ მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია იყო კანონიერ ძალაში შესული, რაკი იგი საერთოდ არავის გაუსაჩივრებია. სადავო სამართალურთიერთობაში თავის მხრივ მესამე პირს – მ. მ-საც გააჩნია კანონიერი ნდობა, ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, სსიპ ქონების მარ-

თვის სააგენტოს მიმართ, როდესაც მან აუქციონზე შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთი და შემდეგ აღნიშნულის საფუძველზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა საკუთრების უფლება, მაგრამ საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, რომ მისი კანონიერი ნდობის უფლება მხოლოდ ამ აქტების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარმოიშობა. ამ სამართლებრივი მომენტის დადგომამდე იგი არ არის დაცული ამ უფლებით. სასამართლოში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ სასამართლო გვევლინება სადავო აქტების კანონიერების შემფასებელ, დამდგენ ორგანოდ. ამდენად, სასამართლო ამოწმებს სადავო აქტების გამოცემისას დაირღვა თუ არა კანონიერების პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევიან რამდენად წარმოადგენენ მესამე პირები მ. მ-ი და ა. ე-ე კეთილსინდისიერ შემძენებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, არ იმსჯელა და არ შეაფასა მხარის – ნ.კ-ის აპელირება იმ ფაქტზე, მ. მ-ი და ა. ე-ე არიან თუ არა კეთილსინდისიერი შემძენები, მხოლოდ ის გარემოება, რომ აუქციონი ჩატარდა კანონმდებლობის დაცვით, არ ქმნის იმის საფუძველს, რომ მ. მ-ი მიჩნეულ იქნეს კეთილსინდისიერ შემძენად.

განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია თავისი ბუნებით წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის განხორციელებული. აღნიშნული ფიქცია ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამოირიცხავს განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით.

მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში სადავო მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, მაგრამ საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია ვერ გამოდგება შემძენის დაცვით არგუმენტად, თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა იცოდა უფლების ხარვეზის შესახებ.

დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის, არამედ, თვითმმართველი ერთეულის მოქმედებათა კანონიერება სადავო ობიექტის მიმართ, მათ შორის, ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების კანონიერება, მონაწილეთა რაოდენობა, პროცედურების დაცვის ხარისხი და ა.შ.

ყოველივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა, არ გამოიკვლია და არ დაადგინა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით მოცემული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს, იცოდა თუ არა შემძენმა უფლების რეგისტრაციის ხარვეზის შესახებ, ანუ იცოდა თუ არა შემძენმა, რომ არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთზე ნ.კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მოქმედება, ასევე უნდა გავრცელდეს ა. ე-ის მიმართ, შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იცოდნენ თუ არა მესამე პირებმა მ. მ-მა და ა. ე-ემ რეესტრის ჩანაწერის ხარვეზის შესახებ და საქმეში არსებული მასალებით იქმნება თუ არა იმის ალბათობა, რომ შემძენებმა იცოდნენ უფლების რეგისტრაციის ნაკლის თაობაზე.

საქმე № ბს-388-377 (კ-13)

27 თებერვალი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი)

ე. ბ-ის სარჩელით მოითხოვს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანების, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 პასუხის ბათილად ცნობას, მოპასუხისათვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის დავალდებულებას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.05.2013წ. გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თელავის რაიონული სასამართლოს 15.03.2013წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც: ე. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ძალადაკარგულად გამოცხადდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანება ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 2013 წლის 28 იანვრიდან და მისი მოქმედება შეწყდა ამ დღიდან; ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 აქტი ე. ბ-ისთვის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ე. ბ-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენაზე და განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 21.01.13წ. აქტის გასაჩივრების ვადაში, კერძოდ, 28.01.2013წ. ე. ბ-მა განცხადებით მიმართა გამგეობას, რომლითაც ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111.2 მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას.

ეფექტური მმართველობითი საქმიანობის იმპერატივი ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით მოახდინოს მმართველობითი აქტების რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონკრეტული ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგება. სზაკ-ის მე-5 მუხლით განმტკიცებული კანონიერების პრინციპი ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებას მმართველობითი ღონისძიების (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში, გააუქმოს იგი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს როგორც აქტის ბათილად ცნობას, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილად ცნობის ობიექტია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მათ შორის განსხვავება გაუქმებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში მდგომარეობს. ქართულ სამართალში აქტის გაუქმების თითოეული სახის თავისებურება ვლინდებოდა მხოლოდ აქტის გაუქმების სამართლებრივ შედეგებში, აქტის მოქმედების ძალის დაკარგვის მომენტში. სზაკ-ში 24.06.2005წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად უარი ითქვა სამართლებრივი შედეგებით, აქტის ძალის დაკარგვის მომენტით გაუქმების ორი სახის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე. ამჟამად, გამიჯვნის უმთავრესი კრიტერიუმი გაუქმებული აქტის კანონშესაბამისობაა. ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის გამო გამოცემის მომენტში კანონიერი აქტის შემდგომში უკანონოდ ქცევა იწვევს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას და შესაბამისად მისი მოქმედების შეწყვეტას ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან (სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილში

24.06.2005წ. კანონით შეტანილი დამატების გათვალისწინებით), ხოლო ბათილად ცნობის ობიექტი გამოცემის მომენტშივე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. ბრძანება ე. ბ-ის გათავისუფლების შესახებ, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. აქტი ე. ბ-ისთვის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ ბათილად იქნა ცნობილი. გადაწყვეტილების ეს ნაწილი მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და ძალაშია. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული აქტები, თუმცა არ დააკმაყოფილა ე. ბ-ის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტების გაუქმების მოთხოვნას საფუძვლად ედო ე. ბ-ის სამსახურში აღდგენის ინტერესი, რაც აქტების გაუქმებას შედეგად არ მოჰყვა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის სააპელაციო სასამართლოს სზაკ-ის 61-ე მუხლზე მითითება. სზაკ-ის 61.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმის გათვალისწინებით, რომ სზაკ-ის 61-ე მუხლი ითვალისწინებს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო აღმჭურველი აქტის გაუქმების შესაძლებლობას, მით უფრო არის შესაძლებელი შემზღუდავი აქტის გაუქმება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო ძალადაკარგულად ეცნო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. ბრძანება ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოეხდინა კასატორის უფლებებში აღდგენა, რადგან არ არსებობდა გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რის შესახებაც ადმინისტრაციამ მოგვიანებით – ე. ბ-ის 28.01.2013წ. განცხადებით შეიტყო.

სამსახურში აღდგენაზე უარს არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის მითითება სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.13წ. №7/1-66 ბრძანების გამომცემამდე ე. ბ-ი დასაქმებული იყო, ის იკავებდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის განცხადების და საჩივრების განხილვის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას, ამდენად გასაჩივრებული აქტის – 21.01.13წ. №7/1-66 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებით ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი სწორედ რომ სამსახურში აღდგენა და არა აღდგენაზე უარის თქმა. სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადასტურებს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმების არდაშვებას იმ თვალსაზრისით, რომ სამსახურიდან განთავისუფლებიდან აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი (განსახილველ შემთხვევაში – სამსახურიდან განთავისუფლება) არ გაუქმდება, ხსენებული ნორმა ადასტურებს ახალი მოწესრიგების შემოღებას არა სადავო აქტის გამოცემიდან, არამედ საკითხზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანიდან, სადავო აქტის გაუქმებიდან, რასაც მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ახალი მოწესრიგების ძალაში შესვლის მომენტისთვის (მოცემულ შემთხვევაში განაცდურის ანაზღაურებისათვის) და არ გამორიცხავს თვით ახალი მოწესრიგების – განსახილველ შემთხვევაში სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამრს დაკარგავდა სზაკ-ის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების წესი. ძალადაკარგულობა სამართლებრივ შედეგს იწვევს მომავალში, სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილი ხაზს უსვავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას ახალი აქტის გამოცემიდან, სამომავლოდ (ex nunc) და არა მანამდე (ex tunc), შესაბამისად, ის არ იწვევს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამ აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს, როდესაც პირმა მოახდინა რაიმე თანხის ან ქონების ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადაცემა ან მიიღო რაიმე სიკეთე ადმინისტრაციული ორგანოსგან. ძალადაკარგულობა იწვევს სამართლებრივ შედეგს, მაგრამ არა გაუქმე-

ბული აქტის ძალაში შესვლიდან, არამედ გაუქმებიდან, სახელდობრ ამ თვალსაზრისით აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. ამასთანავე, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ნიშნავს გაუქმებული აქტის რეგულაციის ძალაში დატოვებას, ნორმის ასეთი გაგება აზრს დაუკარგავდა აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, დავის სასამართლოში განხილვას, ვინაიდან სასამართლოს უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ნორმა, რაც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ქმნის.

ამდენად, ორსული მოხელის მიერ სამუშაოზე დარჩენის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უპირატესობით სარგებლობის უფლების რეალიზებისათვის ე. ბ-ი აღდგენილ უნდა იქნეს სამსახურში.

1.4. ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქმე № ბს-1300-876(კ-05)

31 ივლისი, 2007 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სადავო ხელშეკრულების კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებად მიჩნევის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს მისი დადების მიზანი; საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულების მიზანი უნდა განისაზღვროს მისი შინაარსიდან გამომდინარე, კერძოდ: არსებითა იმის დადგენა თუ როგორია ფაქტობრივი გარემოებები – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. მაგ, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება, როდესაც ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს, როდესაც ის მოქალაქის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის ნორმების საფუძველზე და ამ ნორმატიული აქტის ნორმების შესრულებას ემსახურება, რომელიც უპირობოდ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალს, ამასთან, სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოს უფლებამოსილება და სტატუსი – კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გამოვიდეს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა (პრივატიზაცია) წარმოადგენს საჯარო სამართლებრივ ურთიერთობას, სახელმწიფო გვევლინება ამ ქონების ექსკლუზიური გაყიდვის უფლების მქონე სუბიექტად და რა დროსაც შეზღუდულია სამოქალაქო გარიგების დამახასიათებელი აუცილებელი ორი ელემენტი: მხარეთა თანასწორობა და ნების ავტონომია.

საქმე № ბს-727-693(კ-07)

15 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რამდენადაც მოთხოვნა გამომდინარეობს არა კერძოსამართლებ-

რივი, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2003 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს მიერ თ. ბ-ან დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რადგან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „ა“ მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და იგი განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულების დადებისას სამინისტროს – ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს წარმოადგენდა საჯარო ამოცანების აღსრულება, მიღწევა რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტია. კერძოდ, საქართველოს იაპონიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების მიზნით იაპონიის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოში სურსათის წარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით, იაპონიის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გამოუყო გრანტი. აღნიშნული მიზნის აღსასრულებლად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თ. ბ-ან დაიდო იაპონიის გრანტის პროგრამით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადებით ნასყიდობით გადაცემის შესახებ.

საქმე № ბს-302-285(კ-07)

31 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტსა და ინდივიდუალურ საწარმო „...“ შორის დადებული საკანცელარიო ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას და მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია სწორედ სამოქალაქო-სამართლებრივი და არა ადმინისტრაციული-სამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება. აღნიშნული ხელშეკრულება არ არის დადებული საქართველოს პარლამენტის მიერ მის უშუალო კომპეტენციის მიკუთვნებული საჯარო უფლებამოსილების – საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, არამედ ამ საქმიანობისათვის მხოლოდ დახმარებას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება, შეწყვეტა.

საქმე № ბს-885-847(კ-07)

1 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი)

პ. ც-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა შესრულებული სამუშაოს გასამრჯელოს, მორალური ზიანისა და თვალის ოპერაციისათვის საჭირო თანხის მოპასუხისთვის დაკისრება, შემდეგი საფუძვლით:

2004 წლის 23 თებერვალს მოსარჩელეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში გაუფორმეს შრომითი ხელშეკრულება – შტატგარეშე მოსამსახურედ მიღების შესახებ. მოსარჩელეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომელს, სახელფასო განაკვეთი არ გააჩნდა და მას შრომითი გასამრჯელო უნდა მიეღო შესრულებული სამუშაოს ოდენობის მიხედვით. 2004 წლის 24 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით მოსარჩელე მივლინებული იყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში სატარიფო პოლიტიკის ამსახველი საქმიანობის კომპლექსური რევიზიის ჩასატარებლად. ამასთან, ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის 2004 წლის 15 მარტის № 27 ბრძანებით,

ამავე წლის 15 მარტიდან 5 მაისამდე პ. ც-ი ასევე მივლინებული იყო შპს „...“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩასატარებლად. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ რევიზიები ჩატარდა კეთილსინდისიერად. მიუხედავად აღნიშნული სამუშაოს შესრულებისა, ცენტრის ხელმძღვანელობას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არ მიუცია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნ5.1. მუხლის შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნ5.2. მუხლით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

დოქტრინის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების ერთმანეთისაგან გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი ანუ ნების გამოვლენის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა, რამდენადაც თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაა ორგანიზაციული. მათი მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, საჯარო სამართლებრივი ინტერესის განხორციელება. ხელშეკრულებათა გამიჯვნის დროს აქცენტი უნდა გამახვილდეს ხელშეკრულებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობისას ვისი ინტერესები დგას წინა პლანზე: ერთეულების კერძო ინტერესები თუ საჯარო ინტერესები (ინტერესთა თეორია).

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადებული მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებები შედის ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებულ საჯაროსამართლებრივ სფეროში, რომლის საგანიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით მოწესრიგდება და რომელიც ადმინისტრაციულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ პ. ც-ან შრომითი ხელშეკრულების დადებისას ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, რამდენადაც მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო საჯარო უფლებამოსილების – სისხლის სამართლის საქმეზე საექსპერტო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ანუ ხელშეკრულების საგანი საექსპერტო საქმიანობის შესრულება მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური და ობიექტური მოკვლევის ჩატარებას, რაც პროკურატურის საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საჯარო ვალდებულებას წარმოადგენს.

საქმე № ბს-1169-1131(კ-08)

15 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „...-ს“ შორის 18.10.06წ. დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 517, რომლის მიხედვით შპს „...-ს“ სამინისტროსათვის უნდა მიეწოდებინა 32000 ერთჯერადი ლუქი. მიწოდება უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის მიხედვით, ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით, 2006 წლის ბოლომდე. აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო სამინისტროს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხელშეკრულება ემსახურება სახელმწიფოს აუცილებელ ფუნქციათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესყიდვას, ამდენად, სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადებაზე ორმხრივი და ურთიერთთანმხმედრი ნების გამოვლენის შემდეგ, ხელშეკრულება თანაბარი ძალით ხდება ორივე მხარისათვის სავალდებულო და არ დაიშვება მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა, უკანასკნელი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტთან შეთანხმების არსს.

საქმე № ბს-1461-1395(გ-09)

17 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდ. საწარმო „...“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ი/ს „...“ იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ, საკრედიტო რესურსად გამოყოფილი 800 000 ლარი გაიცა ინდივიდუალურ საწარმო „...“ – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისგან ვაშლის შესყიდვის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საქმე № ბს-1662-1634(კ-11)

27 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების

უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩილო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 20 ივნისის № 2546 ბრძანებით ვ. კ-ი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს (38,94 ლარი), საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ სააკელიაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხიდან 38,94 ლარი წარმოადგენდა კვებაზე დახარჯულ თანხას (იხ. ს.ფ. 15). შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უკანა თარიღით

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტებს და მათი სამართლებრივი შეფასებების მართებულობას, კერძოდ:

ს.ფ. 20-ზე (ტ.1) წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. რ-შვილს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის 7.3. მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან მისი გამოსობით სამხედრო მოსამსახურის დატოვების შემთხვევაში განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის უპირობო ვალდებულება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აანაზღაუროს კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რამაც მხარეთათვის უდავო ფაქტის სახით შეადგინა 17 997,48 ლარი.

ამავე ხელშეკრულების 7.4 მუხლის მიხედვით, ჯარიმის თანხის დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2 %-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამისია ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა, რომ ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან.

ს.ფ. 26-ზე (ტ.1) წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის № 2172 ბრძანება, რომლის მიხედვით, ა. რ-შვილი ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 2 ივლისიდან.

ს.ფ. 31-ზე (ტ.1) წარმოდგენილია გაცნობის ფურცელი, დათარიღებული 2007 წლის 2 ივლისით, რომლითაც ირკვევა, რომ ა. რ-შვილს, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, მოუწევდა კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული თანხის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სასამართლოების სამართლებრივ შეფასებას, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დენის დაწყება პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შეწყვეტას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დაცულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თუმცა 2007 წლის 17 ივლისის ბრძანებით სამხედრო მოსამსახურესთან კონტრაქტი შეწყვეტილად ჩაითვალა უკანა რიცხვით – 2 ივლისიდან.

„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ;
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“ / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტუ-

ლი სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობაზე ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.“

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლას არაორაზროვნად და მკაფიოდ უკავშირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლი/, რაც ნიშნავს, რომ აქტით განსაზღვრული მოწესრიგება, სამართლებრივი შედეგი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მხოლოდ ადრესატისათვის აქტის გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს ადრესატის აქტის გამოცემის თარიღის შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა (უფლება-მოვალეობების დადასტურება, დაწესება, შეცვლა, შეწყვეტა). განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ადრესატისათვის სამართლებრივი შედეგის დადგომის უკანა თარიღით (15 დღით ადრე) განსაზღვრა ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზანს, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამი მნიშვნელოვანი ამოცანის: 1. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, 2. კანონის უზენაესობის და 3. საჯარო ინტერესების თითოეულ გადაწყვეტილებასა თუ მოქმედებაში, ერთობლივად უზრუნველყოფაში.

აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებისა და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების დადგენა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისათვის უკუძალის მიცემა იმ პირობებში, როცა არათუ დასაბუთებული, აღნიშნულიც კი არ არის აღმატებული საჯარო ინტერესის თაობაზე, რის გამოც ფიზიკური პირის – სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა 15 დღით უკანა თარიღით. უფრო მეტიც, ვინაიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების დაწყების ვადის დენა პირდაპირ არის მიბმული კონტრაქტის შეწყვეტის თარიღის იურიდიულ ფაქტთან, თვალსაჩინო ხდება პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკიდურესი სიმძიმე, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონტრაჰენტებს ზღუდავს არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობები და ვალდებულებები, არამედ სამართალურთიერთობის სუბორდინაციული ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები. ეს, უპირველესად, ეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონტრაჰენტ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც სუბორდინაციული სამართალურთიერთობის იერარქიულ სუბიექტს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეთა სამართლებრივად უთანასწორო მდგომარეობა (ნების თანადამთხვევის შემთხვევაშიც) გაწონასწორებულია სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპებით შეზღუდვის დადგენით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე კერძო სამართლის სუბიექტებისათვის კანონიერი ნდობის უფლებას წარმოშობს, რომლის დაცვა, პატივისცემა და უზრუნველყოფა ადმინისტრაციული ორგანოების კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკანა თარიღით დაუსაბუთებელი განსაზღვრა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სამართლის პრინციპების უგულვებელყოფით პრაქტიკის დამკვიდრების ტენდენცია, მიუკერძოებელ და ობიექტურ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება, რაც განსახილველ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ. ამდენად, იმ ვითარებაში, როცა:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კონკრეტულ საჯარო ინტერესზე მითითების დაუსაბუთებლად, პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა უკანა თარიღით;
- საქმის მასალებით მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო რა მინისტრის ბრძანების ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობის შესახებ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა /ასეთად ვერ ჩაითვლება 2007 წლის 2 ივლისის ე.წ. გაცნობის ფურცელი, რამდენადაც ბრძანება გამოიცა 15 დღის შემდეგ/, მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადის დარღვევის ფაქტი ვერ იქნება დადგენილი.

ვინაიდან სწორედ ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ვალდებულების წარმოშობი იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

საქმე № ბს-1300-876(კ-05)

31 ივლისი, 2007 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: არარა აქტის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლი)

ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსთან შექმნილი საკონკურსო კომისიის 2000 წლის 12 დეკემბრის დასკვნით განისაზღვრა შპს „...“-ის“ ბალანსზე რიცხული 40 მ2 არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზების ფორმა კონკურსის წესით, ხოლო ობიექტის საწყისი ფასი – 925 აშშ დოლარის ოდენობით. /იხ.ს.ფ. 12/.

2001 წლის 19 იანვარს გაზეთ „მ...ში“ გამოქვეყნდა განცხადება მითითებული ფართის პრივატიზების თაობაზე. /იხ.ს.ფ. 17-18/. 22001 წლის 20 თებერვალს საკონკურსო კომისიის სხდომაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი პრეტენდენტი გ. ჭ-ა.

იმავ დღეს სახელმწიფო ქონების ზუგდიდის სამმართველოსა და გ. ჭ-ს შორის დაიდო სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გ. ჭ-მ შეიძინა ქ. ზუგდიდში, ... ქ. 5-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი /აფთიაქი/ 17,5 მ2 925 დოლარად, რაც დამოწმდა სანოტარო წესით 2001 წლის 14 მაისს. /იხ.ს.ფ. 14/.

2001 წლის 11 მაისს მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით გ. ჭ-მ ჩაიბარა ქ. ზუგდიდში, ... ქ. 5-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი 40 მ2. /იხ.ს.ფ. 13/.

2001 წლის 22 აპრილს გ. ჭ-ს მიეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა 2001 წლის 20 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ მას კერძო საკუთრებაში აღერიცხა 25,7 მ2 ფართი. /იხ.ს.ფ. 15-16, 25-26/.

საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 18 იანვრის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 30 დეკემბრის 54 ბრძანება, რომლითაც არარად იქნა აღიარებული ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ გამოცემული შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: 1. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსთან შექმნილი საკონკურსო კომისიის 2000 წლის 12 დეკემბრის დასკვნა; 2. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსთან შექმნილი საკონკურსო კომისიის 2001 წლის 20 თებერვლის სხდომის ოქმი; 3. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ 2002 წლის 22 აპრილს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა 297/22-კ. /იხ.ს.ფ. 221/.

მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასარჩელო წესით გასაჩივრდა გ. ჭ-ს მიერ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში /იხ.ს.ფ. 245, სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინება/, მითითებულ ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 21 თებერვლის განჩინებით მოცემულ საქმეზე, სსსკ-ის 279 „დ“ პუნქტის საფუძველზე, შეჩერდა წარმოება, რამდენადაც 2005 წლის 30 დეკემბრის 54 ბრძანებით არარად იქნა აღიარებული ის ინდივიდუალუ-

რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო განსახილველი სარჩელის საგანს-სადავო პრივატიზაციის ხელშეკრულებას.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განჩინების მიხედვით დაუშვებლად იქნა მიჩნეული გ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 იანვრის განჩინებაზე, შესაბამისად კანონიერ ძალაში შევიდა მითითებულ საქმეზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. ჭ-ს სარჩელი 2005 წლის 30 დეკემბრის 54 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა – არარად აღიარებაა. არარად ადმინისტრაციული აქტი იმთავითვე ბათილია და არ არის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, შესაბამისად ამგვარი აქტის საფუძველზე განხორციელებული სამართალურ-თიერთობანი ან მოქმედებანი ვერ შეიძენს ლეგიტიმურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის არარად აღიარების საფუძვლების დადგენისას კანონმდებელი მიზნად ისახავს ადმინისტრირების კანონიერებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლო წესით აქტის არარად აღიარება, ანუ აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძვლის დადგენა – დადასტურება იწვევს მძიმე იურიდიულ შედეგს, რადგან მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ასევე მიიჩნევა არალეგიტიმურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, 60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამოიჯნა არარად, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარად აქტს მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (60¹) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი-კანონიერი ნდობის ინსტიტუტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არარად აქტების მიმართ, რამდენადაც: 1. ამგვარი აქტი არ არის იურიდიული ძალის მქონე; 2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მითითებული ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და არც მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; 3. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არარად აქტების საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ანუ მმართველობითი ღონისძიება ასევე ვერ იქნება მიჩნეული მართლზომიერად, რამდენადაც მოცემულ დავაში სახეზეა შემთხვევა, როცა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი, კერძოდ, ადმინისტრაციული აქტი სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების საფუძველია და ეს საერთოდ ახასიათებს ქვეყანაში მოქმედ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მომწესრიგებელ საკანონმდებლო ბაზას. ფაქტიურად, ქონების განსახილველ-

წიფობების ნებისმიერი ფორმით რეალიზაცია ითვალისწინებს პროცედურას, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, ასე მაგ. ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა, პრივატიზაციის ფორმის (კონკურსის, აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა) განსაზღვრა, ფასის დადგენა, გამარჯვებულად გამოცხადება, წინ უსწრებს და საფუძვლად ედება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას, რამდენადაც სწორედ აქტების შინაარსით განისაზღვრება ხელშეკრულების საგანი, სუბიექტი, პირობა, ფასი და სხვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თეორიაში ასევე დაშვებულია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება განაპირობებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან ხელშეკრულება დაედება საფუძვლად აქტის გამოცემას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ამგვარი პირდაპირი კავშირის მხოლოდ პირველი შესაძლებლობის სამართლებრივ შედეგზე, როცა მიუთითებს 70-ე მუხლში, რომ იმ ადმინისტრაციული აქტის ბათილობა, რომლის საფუძველზეც დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ბათილობის საფუძველსაც ქმნის. მითითებული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონმდებელი არამართლზომიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებას ასევე არამართლზომიერად მიიჩნევს. ამ პირობებში აქტის არარად აღიარება, რომელიც უკანონობის იმგვარ საფუძველზე შეიცავს, რომელთა გამოც კანონმდებელი მას იმთავითვე, მიღების მომენტიდანვე აცლის იურიდიულ ძალას, რის გარეშეც იგი ვერ იქნეს ისეთი სამართლებრივი აქტის შინაარსს, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება ანუ არ გააჩნია აღსრულების ძალმოსილება, განსხვავებით უკანონო (ბათილი) აქტებისგან, რომლის არამართლზომიერების მიუხედავად დაშვებულია მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების დროის გარკვეული მონაკვეთით შენარჩუნება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-7 პუნქტი), რამდენადაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ანიჭებს ამგვარი აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას სადავო ხელშეკრულების 1997 წლის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის თაობაზე,* თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მითითებული ნორმის გამოყენება არასწორია, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია არარა აქტის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება მართლზომიერად იქნეს მიჩნეული, მათ შორის უშუალოდ საპრივატიზაციო ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის გათვალისწინებით, ვინაიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობებში კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა შეუძლებელია გამოყენებულ იქნა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც დადებულია სამართლებრივი შედეგის ვერწარმოშობი არარა აქტის საფუძველზე და ვერ იქნება განხილული, როგორც სამართლით, მათ შორის პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტებით დაცული ნების გამოვლენა, რამდენადაც ამგვარი აქტების მიმართ არ არსებობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ის გარემოება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავში უშუალოდ არ არის მითითებული არარა აქტის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბედი, შეიძლება აიხსნას მხოლოდ საკანონმდებლო ხარვეზით და სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის ანალოგიით არარა აქტების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების მიმართ უნდა გავრცელდეს ადეკვატური სამართლებრივი მიდგომა, კერძოდ, ხელშეკრულების უპირობო ბათილობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის არმქონე არარა აქტების საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გავრცელება ნიშნავს არარა აქტებისათვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობის და ამ შედეგის მართლზომიერების დაშვებას, რაც არსშივე ეწინააღმდეგება აქტის არარად აღიარების ინსტიტუტს და არღვევს მმართველობის კანონიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას.

* ძალადაკარგულია 2010 წლის 21 ივლისის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.

განმარტების საგანი: მიღება-ჩაბარების აქტის სამართლებრივი ბუნება და ბათილად ცნობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლი)

04.08.2011წ. 8. გ-ემ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ 04.12.1998წ. მიღება-ჩაბარების N281 აქტის არარად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1997 წელს გარდაიცვალა მისი მამა – ი. ა. ძე ა-ი, რომლის სამკვიდრო ქონებაც მოიცავდა საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთებს. აღნიშნული ქონება, ყალბი მიღება-ჩაბარების N281 აქტის საფუძველზე, აღმოჩნდა მოსარჩელის ძმის – ი. ა-ის საკუთრებაში. მოსარჩელის ძმის გარდაცვალების შემდეგ ქონება თავის სახელზე გადაიფორმა გარდაცვლილის მეუღლემ – ე. ა-მა ისე, რომ მოსარჩელის ძმას არ ჰქონდა მიღებული მამის მემკვიდრეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა პოლიციას, რომლის მიერაც დადგინდა, რომ N281 მიღება-ჩაბარების აქტი ყალბია, შესაბამისად, იგი არარად უნდა იქნეს ცნობილი. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ სადავო აქტის არარად აღიარების ნაცვლად, ითხოვა მისი ბათილად ცნობა.

კასატორი თვლის, რომ 04.12.98წ. მიღება-ჩაბარების N281 აქტი არის ნამდვილი, რამდენადაც ი. ა-ი რეალურად ფლობდა და სარგებლობდა მამის მემკვიდრეობით და ეს საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მასთან გაეფორმებინა შესაბამისი ხელშეკრულება. **საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს 04.12.98წ. სადავო მიღება-ჩაბარების N281 აქტის ბათილობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მიღება-ჩაბარების აქტი თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.** ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მიღება-ჩაბარების N281 აქტი დადებულია არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირების მიერ, არამედ იმ პირთა მიერ, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ ემოქმედათ ადმინისტრაციული ორგანოს სახელით. საქმეზე დადგენილია, რომ N281 მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია არა აქტში მითითებული პირების, არამედ სხვა პირების მიერ, აქტზე დასმულია ხელმოწერები გაყალბებულია. 04.07.11წ. ახალციხის რაიონული პროკურორის დადგენილებით გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილია, რომ 04.12.98წ. მიღება-ჩაბარების N281 აქტი არის ყალბი. ამავე დადგენილებით მიღება-ჩაბარების N281 აქტი, გაცემული ი. ა. ძე ა-ის სახელზე, მოიცავს იმ უძრავ ქონებას, რომელიც შედიოდა მამკვიდრებლის ი. ა. ძე ა-ის სამკვიდროში და მემკვიდრეებს უნდა მიეღოთ, როგორც სამკვიდრო ქონება. გამოძიებით დადგენილია, რომ სოფ. ... 1997-2001წწ. საკომლო ჩანაწერების მიხედვით ი. ა. ძე ა-ი ირიცხებოდა კომლის უფროსად, ხოლო მისი შვილი – ი. ა. ძე ა-ი ცალკე კომლად ირიცხებოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 04.07.11წ. პროკურორის დადგენილება არ გასაჩივრებულა და იგი განსახილველ საქმეში მტკიცებულებას წარმოადგენს. ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. ამდენად, სახეზეა კანონმდებლობის მოთხოვნების არსებითი დარღვევა, რაც იწვევს მის ბათილობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 54-ე მუხლი ადგენს, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ მიღება-ჩაბარების N281 აქტი ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებს და შესაბამისად ბათილია.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის საერთო ვადას განსაზღვრავს ათი წლით. საერთო ვადის გარდა, კანონი ზოგიერთი მოთხოვნის მიმართ ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს, რომლებიც შეიძლება იყოს საერთო ვადაზე ნაკლები ან მეტი. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დროიდან როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ემ ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი 04.12.98წ. მიღება-ჩაბარების N281 აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით 04.08.2011წ. აღძრა. საქმის მასალებში არ მოიპოვება მიღება-ჩაბარების აქტის მოსარჩელისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ სადავო აქტის ბათილობის საფუძველი მისთვის ცნობილი გახდა გამოძიების შეწყვეტის შესახებ 04.07.11 წ. პროკურატურის დადგენილებით, მიღება-ჩაბარების აქტის სიყალბე დადგინდა გამოძიების მიერ შესაბამისად, მ. გ-ემ უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო მხოლოდ ამ დოკუმენტის შედეგად. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწო სწორედ პროკურატურის 04.07.11 წ. დადგენილების გაცნობიდან და არა მიღება-ჩაბარების N281 აქტის შედგენიდან, მით უფრო, რომ ხსენებული აქტის შედგენისას ადგილი ჰქონდა დოკუმენტის გაყალბებას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

1.5. ადმინისტრაციული წარმოება

საქმე № ბს-36-36(კ-08)

11 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განცხადებასთან და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

საკასაციო სასამართლო ერთმანეთისაგან გამიჯნავს განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, რა მიზნითაც კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის მოთხოვნით პირის განცხადებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურები ვალდებული არიან, ჩაატარონ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც დაცული უნდა იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-1 თავის მოთხოვნები. ამ ტიპის ადმინისტრაციული წარმოებისას კანონმდებელი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის სავალდებულო ჩაბმას, ანუ განმცხადებლის სავალდებულო მოწვევას. შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დასაშვებია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღება განმცხადებლის დაუსწრებლად, არსებულ და წარდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის 1 ნაწილი ხაზგასმას აკეთებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, ჩაბმას დაინტერესებული მხარე. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-2 ნაწილს, აღნიშნულში უკვე საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაზე, აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებულ მხარეს და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სავალდებულო პირობად კანონმდებლის მიერ მიჩნეულია ის ვითარება, როდესაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისაგან განსხვავებით, პირის საჩივართან დაკავშირებით, კანონმდებლობის მხრიდან შემოტანილია დაცვის

უფრო მაღალი ხარისხი, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარმოდგენის შესაძლებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლში ამომწურავადაა მითითებული ის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი მითითებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა ზემოაღნიშნული მუხლების მოთხოვნებს, განმარტავს, რომ მითითებულ მუხლებში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ პირის უფლებათა მაქსიმალური დაცვა, რომელთა ინტერესებიც შესაძლოა შეილახა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ აღნიშნული მუხლის ნორმები ატარებს იმპერატიულ ხასიათს და არ არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულობაზე.

უდავოა და აღნიშნულს არ უარყოფს თავად კასატორიც, რომ მისი მხრიდან საჩივრის განხილვა არ მომხდარა მითითებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქმნის გასაჩივრებული აქტის ფორმალური საფუძველით გაუქმების საკმარის მოტივს.

საქმე № ბს-813-807(კ-11)

01 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განცხადების წარდგენა არაუფლებამოსილ ორგანოში (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლი)

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს სზაკ-ის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის 15.09.07 წ. № 525 ბრძანებულებით განსაზღვრული წესით. კომისიას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, გარდა კანონისა და ბრძანებულებით დადგენილი ნორმების დაცვისა, გააჩნდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმების მოთხოვნათა დაცვის ვალდებულება, რომელთა დაცვა წარმოადგენდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების სავალდებულო პირობას. სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კომისიის 07.10.10 წ. № 224 ოქმით 79-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ნაკვეთისათვის მართლზომიერი მფლობელობის კატეგორიის მინიჭება გამორიცხავდა კომისიის მიერ საკითხის განხილვას. კომისიის 07.10.10 წ. გადაწყვეტილება შეიცავს მხოლოდ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთრების აღიარებისას მიწის ნაკვეთს მიენიჭა მართლზომიერი მფლობელობის კატეგორია, რის გამოც საკითხის განხილვა სცილდებოდა კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა

შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან აქტის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს ადმინისტრაციული წარმოების დროს საკითხის ყოველმხრივ გამოკვლევას. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სზაკ-ის 80.1. მუხლის თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. კანონის აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, თუ მოცემული საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს. უკეთუ კომისია მიიჩნევდა, რომ მ. ბ-ის მიერ მოთხოვნილი საკითხის განხილვა საჯარო რეესტრის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, აღნიშნული უნდა გამხდარიყო არა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ უფლებამოსილი ორგანოსათვის მასალების გადაგზავნის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში კომისიას გააჩნდა ვალდებულება მ. ბ-ის განცხადება თანდართული მასალით გადაეგზავნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის – საჯარო რეესტრისათვის. იმ შემთხვევაში თუ კომისია ვერ დაადგენდა საკითხის განხილვაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ან მიიჩნევდა რომ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მას შეეძლო შესაბამისი დასაბუთებით განცხადება დაებრუნებია მ. ბ-ისათვის. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესის თანახმად (სზაკ-ის 108-ე მუხ.) დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით. სზაკ-ის 111.4 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. სზაკ-ის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების და მასზე დართული საბუთების გადაგზავნას შესაბამისი დასაბუთებით. მოცემულ შემთხვევაში კომისია შემოიფარგლა მოსაზრებით იმის შესახებ, რომ განსახილველი საკითხი სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს, რითაც უგულებელყო კანონის მოთხოვნები და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე.

საქმე № ბს-80-75 (კ-13)

2 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს განსჯად საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში“.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენისას, ადმინისტრაციული ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ – სასამართლო ორგანოს, განსხვავებით ამავე კოდექსის 80.1 მუხლით დადგენილი ვალდებულებებისა.

ამგვარ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სა-
მართლებრივი დახმარების გაწევით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა
იურისდიქციას განეკუთვნება. აღნიშნული თავის მხრივ, შეესაბამება კონსტიტუციის 42.1 მუხლით დადგენილ
პრინციპს, რომ სწორედ მხოლოდ პირის უფლებას წარმოადგენს თავის უფლებათა და თავისუფლებათა და-
საცავად მიმართოს სასამართლოს ანუ სარჩელის აღძვრა – სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალი-
ზაცია მხოლოდ პირის ნების ავტონომიას ეფუძნება.

საქმე № ბს-779-763(კ-12)

3 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული წარმოების დროს დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობა

2011 წლის 28 აპრილს ზ. მ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს იჯარით გაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების თაობაზე. ხარვეზის შევსების შესახებ 2011 წლის 16 ნოემბრის შეტყობინებით ზ. მ-ეს დაევალა 10 დღის ვადაში სამხარეო სამმართველოში წარედგინა საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერები საჯარო რეესტრიდან საკადასტრო გეგმასთან ერთად და მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ გაცემული ორთოფოტოები დადასტურებული ასოციაციის შტრიხკოდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

მოსარჩელემ მოთხოვნილი დოკუმენტების მიღების მიზნით მიწის მესაკუთრეთა ასოციაციას მიმართა, სადაც განუმარტეს, რომ ვინაიდან 2011 წლის 1 მაისს დამთავრდა იჯარით გაცემული მიწის პრივატიზაცია, ასოციაციას აღნიშნული დოკუმენტის დამოუკიდებლად გაცემის უფლებამოსილება მოცემული დროისათვის აღარ გააჩნდა და ამისათვის ასოციაციამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან მისი ორგანოს მიმართვა მოითხოვა.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით, 2011 წლის 1 დეკემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სამხარეო სამმართველოს, სადაც მიუთითებდა, რომ ვერ ახერხებდა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციიდან ორთოფოტოს მიღებას მათი მიმართვის გარეშე, რის გამოც ითხოვა სამმართველოს მიერ შესაბამისი მიმართვის გაცემას. სამხარეო სამმართველომ 2011 წლის 6 დეკემბრის № ტ-1/845 წერილით მოსარჩელეს აცნობა, რომ ვერ გასცემდა მიმართვას, ვინაიდან ეს არ შედიოდა მათ უფლებამოსილებაში. ამის შემდეგ, მოსარჩელემ 2011 წლის 5 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სადაც ასევე მოითხოვა მიმართვის გაცემა, რათა 10 დღიან ვადაში შეევსო ხარვეზი და წარედგინა მოთხოვნილი დოკუმენტები. სამინისტრომ მისი წერილი განსახილველად სამხარეო სამმართველოს გადაუგზავნა, რომელმაც 2011 წლის 19 დეკემბრის წერილით მოსარჩელეს აცნობა, რომ მოთხოვნაზე მათი მხრიდან 2011 წლის 6 დეკემბრის № ტ-1/845 წერილით იქნა პასუხი გაცემული. ხოლო რაც შეეხება ზ. მ-ის განცხადებას იჯარით გაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 30 დეკემბრის № 1-3/130 ბრძანებით იგი განუხილველი დარჩა ხარვეზის შეუვსებლობის გამო. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის № 1-1/1022 ბრძანებით კი ზ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს თავად მოსარჩელის დამოკიდებულებაზე სამხარეო სამმართველოს მიერ დადგენილი ხარვეზის მიმართ. ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ზ. მ-ემ ჯერ სამხარეო სამმართველოს, ხოლო შემდგომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართა, მაგრამ მათ მიერ ასოციაციისათვის მიმართვის მომზადება არ განხორციელებულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ მხარეს დაუდგინა ხარვეზი, რომლის შევსება მხოლოდ მისივე დახმარებით იყო შესაძლებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან უარი განაცხადა გან-

მცხადებლის დახმარებასა და შესაბამისი მიმართვის გაცემაზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ქმედებით ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულ პირს უდგენს შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნას, რომლის შესრულების შესაძლებლობაც მას დამოუკიდებლად არ გააჩნია, მისი მხრიდან კი არ ხდება შესაბამისი მიმართვის გაცემა. ასეთი ქმედებით ადმინისტრაციული ორგანო მოქალაქეს უჭრის ყოველგვარ სამართლებრივ გზას, მოახდინოს მისივე აქტით დადგენილი ხარვეზის შეცვლა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ რეალურად, ზ. მ-ეს არ გააჩნდა სამართლებრივი შექანიზმი იმისა, რომ დამოუკიდებლად, ადმინისტრაციული ორგანოს დახმარების გარეშე მოეპოვებინა ხარვეზის გამოსასწორებლად წარსადგენი დოკუმენტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. მ-ის მიერ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობა და ხარვეზის შესავსებად მოთხოვნილი დოკუმენტის წარუდგენლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო და მისი ბრალის გარეშე. საყურდლებია, რომ ზ. მ-ემ დადგენილ ვადაში შეიტანა განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში იჯარით არსებული ნაკვეთის პრივატიზების მოთხოვნით, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა შეეფასებინათ რამდენად კანონიერად მოხდა ზ. მ-ის განცხადების განუხილველად დატოვება, იმ პირობებში, როდესაც მას ხარვეზის გამოსწორების სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩნდა. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ჰქონდა თუ არა ზ. მ-ეს სამინისტროსა და სამხარეო სამმართველოს დახმარების გარეშე ხარვეზის აღმოფხვრისათვის წარსადგენი დოკუმენტის დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა და თავის მხრივ ადმინისტრაციული ორგანო უნდა დახმარებოდა თუ არა ზ. მ-ეს მოთხოვნილი დოკუმენტის მოპოვებაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ შეუფასებიათ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზ. მ-ის მხრიდან სამხარეო სამმართველოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობასთან, როგორც მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო დამდგარ შედეგთან, თუ ხარვეზის შეუვსებლობასთან, როგორც მოსარჩელის მიერ ხარვეზის ბრალეულად შეუვსებლობის ფაქტთან.

საქმე № ბს-1250-1194(კ-09) 9 თებერვალი, 2010 წელი, ქ.თბილისი განმარტების საგანი: სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოხელის ქცევის (მომსახურების) სტანდარტი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი)

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასახადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

გადასახადის გადამხდელის ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციას, შესაბამისად მის დაჯარიმებას წინ უძღოდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სარწმუნოდ არის დადგენილი ქვემდგომი სასამართლოების მიერ და მათზე არც კასატორს წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, შეუდავებელი ფაქტები: შპს „...“, როგორც გადასახადის გადამხდელი, 1998 წლის 18 დეკემბრიდან დარეგისტრირდა თბილისის რეგიონალურ ცენტრში და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია; შპს „...“ საკონტროლო-სალარო აპარატზე 2008 წლის 16 სექტემბერს დაზიანდა ფისკალური მეხსიერება და იგი იმავე დღეს – 18²⁰ საათზე შესაკეთებლად გადაეცა ტმც-ის წარმომადგენელს – ი. ი-იანს; 17-18 სექტემბერს შპს „...“ დირექტორი გამოცხადდა მოპასუხე ორგანიზაციაში შესაბამის თანამდებობის პირებთან, რომელთაც შეპირად შეატყობინა აღნიშნული ფაქტის თაობაზე; შპს „...“ დირექტორი არ გაუფრთხილებიათ იმის შესახებ, რომ შეტყობინება წერილობითი ფორმით უნდა წარედგინა შეკეთებული საკონტროლო-სალარო აპარატის წარდგენამდე. საკონტროლო-სალარო აპარატი შეკეთებული სახით მეწარმეს დაუბრუნდა 18 სექტემბერს; 2008 წლის 25 სექტემბერს შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი № 325893, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა სამართალდარღვევა. კერძოდ, შპს „...“ მიერ დაგვიანებით იქნა წარდგენილი განცხადება თბილისის რეგიონალურ ცენტრში საკონტროლო-სალარო აპარატის ფისკალური მეხსიერების დაზიანების შესახებ.

აღნიშნულ ოქმზე შპს „...“ დირექტორმა გააკეთა შენიშვნა, რომ მან 17.09.08წ. საგადასახადო სამსახურში პ. ა-შვილთან, ხოლო 18.09.08წ. – უფროსთან, გააკეთა სიტყვიერი შეტყობინება საკონტროლო-სალარო აპარატის დაზიანების შესახებ, თუმცა მათ აღნიშნული ფაქტი წერილობით არ დაუფიქსირებიათ. თბილისის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილის საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ 2008 წლის 8 ოქტომბრის № 325893 ბრძანებით შპს „...“ პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა /იხ.ს.ფ. 103-105. ტ. I/, რომელიც სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ /იხ.ს.ფ. 9-10. ტ. II/, მდგომარეობს შემდეგში: მეწარმე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, ხოლო საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებული იყო განემარტა მისთვის, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის შეკეთების შესახებ განცხადება უნდა წარედგინა წერილობით. სასამართლოთა განმარტებით საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას გადასახადის გადამხდელის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში. განსახილველ საქმეში სახეზეა მითითებული მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც ჯარიმისაგან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლის განვითარებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისთვის აუცილებელია შეფასება მიეცეს თანამედროვე საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში ბიუროკრატის როლს, მის მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფოს და მმართველობის ავტორიტეტის შექმნაში. საკუთარი სახელმწიფოს, როგორც პერსონალური და ნაციონალური ინტერესების დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტიტუციის მიმართ მოქალაქეთა განწყობის ფორმირებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი სამართლებრივი შეფასება ხელს შეუწყობს საქართველოს საჯარო მოსამსახურის კანონით დაკისრებული მოვალეობების მნიშვნელობის, მისი, როგორც დაქირავებული მოსამსახურის სტატუსის კვალიფიციურ გააზრებას ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ტემპი და ხარისხი დიდწილად არის დამოკიდებული საჯარო სამსახურის თანამედროვე, ეპოქის შესაბამისი სტანდარტებით ფუნქციონირებაზე, ვინაიდან საზოგადოების წევრების, კანონით გარანტირებული, როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების სრულფასოვანი რეალიზაცია უდევს საფუძვლად სახელმწიფოსა და ხალხის სიმტკიცეს, თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, განაპირობებს მატერიალური დოვლათის შექმნას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ეკონომიკურ-საფინანსო ინსტიტუტების შექმნას, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლას და აღორძინებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ახალი თაობებისთვის განვითარებისა და წინსვლის უკეთესი ნიადაგის მომზადებას და ა. შ.

სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის და ყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძვლად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის. ასე, მაგალითად, 1979 წლის 17 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისგან მათი პროფესიისათვის საჭირო პასუხისმგებლობის მაღალი დონით. მე-2 მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებას, ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ. მე-8 მუხლის თანახმად კი მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი პატივს სცემენ კანონს და მოცემულ კოდექსს იყენებენ ხელთ არსებულ საშუალებებს და ყოველმხრივ აღკვეთენ და ეწინააღმდეგებიან მათ დარღვევას.

ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს წონასწორობა ერთის მხრივ, იმ დაწესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორეს მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების გაწევას, რომელნიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის ნორმები ჩამოყალიბებულია არაერთ საერთაშორისო ნორმატიულ აქტში /უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ეთიკის ნორმების შემცველი სპეციალური ნორმატიული აქტი არ გააჩნია, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ზოგადი ხასიათისაა და საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის და ქცევის მხოლოდ ზოგად წესებს ასახავს/.

საერთაშორისო აქტებით, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფოთა შიდაეროვნული დოკუმენტებით საჯარო მოხელეთა ძირითად პრინციპებს განეკუთვნება მოქალაქეთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა, კეთილსინდისიერი სამსახური, ეკონომიურობა, ეფექტურობა და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო და ხალხი მიისწრაფის რა საერთაშორისო თანამეგობრობაში კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, იზიარებს და აღიარებს ფასეულობების სისტემას, როგორც საერთო ცივილიზაციის ნაწილს და რაც დიდწილად ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენამ გამოიწვია თვისობრივად და ფუნქციურად ახალი, თანამედროვე ტიპის ბიუროკრატიული კლასის ფორმირების აბსოლუტური აუცილებლობა, რაც პრაქტიკაში უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად, ამ ფაქტორების ზეგავლენისა, მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიულად განმტკიცებული ტენდენცია ერის ინტერესების სამსახურში ჩამდგარი საჯარო მოსამსახურეთა კორუფსის შექმნა-ფუნქციონირებისა რეალურად დამკვიდრდეს ცხოვრებაში, უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა (მოქალაქეობის არ მქონე) ლეგიტიმური მოლოდინი კანონშესაბამისი, გულსხმიერი და კომპეტენტური მომსახურების მიღების თაობაზე.

საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურება, რისი გაუთვითცნობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრულებლობა უშუალოდ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე, ნაციონალური იდენტობის ხარისხზე, საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის თანაგანცდაზე, რომლის გარეშე საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოს ბიუროკრატიის ამოცანას, გამოწვევას წარმოადგენს განვითარებადი სახელმწიფოს სტატუსის დასაძლევად მაქსიმალური ძალისხმევა, რაც ქვეყნის სამართლებრივი, ეკონომიკური, მენტალური და კულტურული მოდერნიზაციის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს თანამედროვე ყოფა დაუყოვნებლივ საჭიროებს სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას, საჯარო სამსახურის სისტემის სამართლებრივი სტანდარტებითა და პრინციპებით ფუნქციონირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ექნება და პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენს საზოგადოების განვითარებაზე. განსხვავებით ტოტალიტარულიდან, დემოკრატიული სახელმწიფოს ბიუროკრატია, ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, ემსახურება არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის – მმართველი ფენის, ოლიგარქიის, რელიგიური კონფესიის, არამედ, დამქირავებლის – საკუთარი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს პროგრესს. თანამედროვე დემოკრატიული გაგება საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისა, გამორიცხავს საჯარო მოსამსახურეთაგან არაპროფესიულ, არაკომპეტენტურ, გულგრილ, ქედმაღლურ და დისკრიმინაციულ მოპყრობას დაინტერესებული პირისადმი.

საჯარო სამსახური, როგორც მხოლოდ პირადი კარიერის და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება, უნდა შეფასდეს, ვითარცა უკიდურესად დევრადირებული, ატროფირებული წარმოდგენა, არა

მხოლოდ ამ ინსტიტუტის, არამედ, საკუთარი ღირსების, მოქალაქეობრივი პოზიციის, ეროვნული და სამოქალაქო იდენტობის, მიმართ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო სამსახური თითოეული საჯარო მოსამსახურის შეგნებაში უნდა განიხილებოდეს, როგორც საპატიო მისია – ემსახურო, პირადი წვლილი შეიტანო საკუთარი ერის და სახელმწიფოს აწმყოს გაუმჯობესებაში, პატივი მიაგო მის წარსულს და აქტიური მონაწილეობა მიიღო უკეთესი მომავლის საძირკვლის ჩაყრაში, ამავდროულად, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა პირის კვალიფიკაციის გაზრდისა, სათანადო უნარ-ჩვევების გაღრმავებისა, პროფესიული და მორალური ავტორიტეტის შექმნისა.

საჯარო მოსამსახურის მსოფლმხედველობის ადეკვატურობა თანამედროვე დემოკრატიულ მოთხოვნებთან, დაახლოებს და შეაკავშირებს საზოგადოებისა და ხელისუფლების ინტერესებს, მისწრაფებებს. ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სოლიდარობის მიღწევას, გააძლიერებს თანასწორუფლებიანობის განცდას, საზოგადოებრივი და სოციალური ჯგუფების კონსოლიდირებას, ზოგადად, სახელმწიფო სისტემის მდგრადობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე საქართველოს საჯარო მოსამსახურეებს ეკუთვნით გადაამწყვეტი სიტყვა, თუ რომელი ტიპის სახელმწიფოს შექმნის ქართველი ერი XXI – ე საუკუნეში. სწორედ პროგრესულ საჯარო მოსამსახურეთა კასტა უზრუნველყოფს მთელი ერის ინტერესების მსახურების სტანდარტის და სამართლებრივი ტრადიციის დამკვიდრებას, სწორედ მათი პრინციპულობა და შეუვალობა განსაზღვრავს საზოგადოების სწორი განვითარების დინამიკას, კანონიერი ადმინისტრირების შექმნის და დაფუძნების, ადამიანის უფლებების დაცვის უმწვავესი პრობლემების გადაწყვეტას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სამოხელეო სამართალი, პრინციპებთან, როგორცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის, საქვეყნობის, საიდუმლოების და ა. შ. სრულ შესაბამისობაშია 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული – საქართველოში საჯარო სამსახურის პრინციპები, კერძოდ:

- * საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;
- * საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;
- * ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;
- * საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;
- * მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- * საქვეყნობა;
- * საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი;
- * მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;
- * მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

აღნიშნული პრინციპების დადგენით კანონმდებელი ხაზს უსვამს საჯარო სამსახურის მიზნის და დანიშნულების მნიშვნელობას, მის გავლენას საზოგადოების ინტერესებზე, ხოლო საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები ამავე პრინციპების კონტექსტში კონცენტრირებულია საჯარო მოსამსახურის ფიცის ტექსტში /მუხლი. 28./

საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერ აღსრულებას ემსახურება ქვეყნის ზოგადი წესების ანუ სპეციალური ეთიკის განსაზღვრა კანონის ახალი – VII თავის ნორმების დადგენით /2010 წლის 1 იანვარი/.

მიითითებული ნორმების შინაარსი აყალიბებს თანამედროვე საქართველოს საჯარო მოსამსახურის პროფესიულ სახეს, მთლიანად საჯარო სამსახურის იმიჯს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურს, მიუხედავად ერთიანი სისტემური ბუნებისა, ფუნქციური მრავალფეროვნება ახასიათებს. იქნება ეს – მართლწესრიგის დაცვის, საბაჟო-საგადასახადო სისტემის, სამხედრო სამსახურის, თუ თვითმმართველობის სფერო, ყოველ მათგანს განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა საერთო აქვთ მიზანი და ამოცანა – ზრუნვა საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვეყნის სწორ განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება საჯარო სამსახურის ფუნქციონირებას საბაჟო-საგადასახადო სისტემაში, რამდენადაც იგი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგრადობასთან, სამეწარმეო აქტივობის ხარისხთან, იმპორტ-ექსპორტის ინტენსიურობასთან, ინოვაციური პროექტების განხორციელებასთან, გადასახადის გადამხდელთა კულტურის ჩამოყალიბებასთან და სხვ.; საგადასახადო ადმინისტრირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც საჯარო მოსამსახურის ქცევის წესებსა და ეთიკის დაცვას შეეხება, საგადასახადო ადმინისტრირების ფუნდამენტად აღიარებენ შემდეგს:

- ა) სამართლიანობა;
- ბ) გამჭვირვალობა;
- გ) თანასწორუფლებიანობა;
- დ) პასუხისმგებლობა.

2004 წლის 22 დეკემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილით ტერმინი – გადასახადების ადმინისტრირება განმარტებულია, როგორც – გადასახადების გამონაგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა. აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე ასევე რეგლამენტირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39.1. „ა“ მუხლის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საგადასახადო კანონმდებლობის, გადასახადის გადამხდელთა უფლებების საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უფლებების შესახებ, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე.

ამავე კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებულია საგადასახადო ორგანოების ვალდებულებები, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: საგადასახადო კანონმდებლობის (I ნაწილის ა)ქპ.), გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის (ბ)ქპ.) გადასახადის გადამხდელის წერილების, საჩივრების და შეკითხვების დადგენილი წესით განხილვის, გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების (ნ)ქპ.) ვალდებულებები.

ამასთანავე, საგადასახადო კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილია გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივსადები მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ადმინისტრაციულ-სამართალურთიერთობის სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ფორმებს განსაზღვრავს, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ასევე, განსახილველი შემთხვევისთვის საინტერესო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლით აღიარებულია ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვის უფლება, როგორც პირის ძირითადი პროცედურული უფლება, ამასთანავე, 78-ე მუხლით განსაზღვრულია მიმართვის უფლების რეალიზაციის ფორმა – წერილობითი. ანალოგიურ ფორმას ამკვიდრებს კანონმდებელი საგადასახადო კოდექსის 44-45-ე მუხლებით.

აღნიშნული ნორმების მოთხოვნებს იშველიებს კასატორი სარჩელის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად, რომ აუცილებელი იყო საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთობას ჰქონოდა წერილობითი ხასიათი, ვინაიდან ზეპირ ურთიერთობას იურიდიული ძალა არ ჰქონდა, რომ მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა კანონის ნორმები, ემოქმედა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და საკონტროლო-სალარო აპარატის შეკეთების თაობაზე საგადასახადო ორგანოსათვის მიემართა წერილობითი განცხადებით.

საკასაციო სასამართლო კასატორის მტკიცების კატეგორიულობას ვერ გაიზიარებს, შემდეგ მოსაზრებაზე დაყრდნობით:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის ძიძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიუწვდომელობა, პროფესიული კავშირების საქმიანობის არაეფექტიანობა და სხვ., განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ, მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. სწორედ, თანამედროვე საჯარო მოსამსახურეების კეთილსინდისიერებაზე, ნებისყოფასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე არის მიბმული, თუ რამდენად მცირერიცხოვანი იქნება, ან რა მასშტაბებს მიიღებს მოქალაქეთა კონფლიქტი კანონთან. საჯარო სამსახურის არსი, ნამდვილი შინაარსი სწორედ ამგვარი შესაძლო კონფლიქტის პრევენციას გულისხმობს. თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორუფციის მხრიდან მითითებული პროფესიული და მორალური ტვირთის გასიგრძეგანება, საკუთარი სტატუსის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გათავისება უაღრესად დადებით როლს შეასრულებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებაში, საზოგადოების პოზიტიური განვითარების ტენდენციის გამოკვეთაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილია. გადასახადის გადამხდელის ვალდებულება – იცოდნენ კანონი, უშუალოდ გამომდინარეობს საგადასახადო /და არა მხოლოდ/ მოსამსახურის ვალდებულებისგან – ასწავლოს (განუმარტოს) კანონი. შესაბამისად, გადამხდელის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობა – სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, უზრუნველყოფილია.

საქმის გარემოებების და ზემომითითებული ნორმების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო ორგანოს საჯარო მოსამსახურე ვალდებული იყო მოსარჩელისათვის განემარტა, რომ მას მოთხოვნა სა-

კონტროლო-საღარი აპარატის შეკეთების თაობაზე უნდა წარედგინა წერილობითი სახით ფაქტის გამოვლენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა საჯარიმო სანქცია.

საქმე № ბს-324-320(კ-12)

6 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2009 წლის 20 ნოემბრის №90137 შეტყობინება-მოთხოვნით განმცხადებელს ეცნობა, რომ მის მიერ 25.08.09, 16.09.09 და 3.11.09 თარიღებით წარდგენილი მასალები კვლავ არ პასუხობდა შეტყობინებებში დასმულ მოთხოვნებს და წარმოდგენილი კორექტირებული მასალები ისევ სცილდებოდა პირველად წარმოდგენილ განცხადის ფარგლებს. ბოლოს წარდგენილ დამატებით მასალაში დასაზუსტებელი იყო ასევე გამოგონების დასახელებაც „ძრავა“, რის გამოც განმცხადებელს კვლავ მიეცა ვადა დასაბუთებული პასუხის წარმოსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, „საქპატენტი“ გამოიტანდა გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ „საპატენტო კანონის“ 32.2 მუხლის თანახმად (იხ.259-260; ტ.1).

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის განაცხადზე შეწყდა საქმის წარმოება არგუმენტირებული პასუხის წარმოუდგენლობის გამო

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქპატენტმა“ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, გ. ჭ-ს ვერ გაუწია სათანადო სამართლებრივი დახმარება, რაც მოქალაქეს მისცემდა შესაძლებლობას თავისი უფლების რეალიზაცია მოეხდინა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულებებმა ადმინისტრაციულ წარმოებათა ჩატარებისას უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოში არსებული დაბალი სამართლებრივი კულტურის ფონი, სამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი და მაქსიმალურად სრულფასოვანი სამართლებრივი კონსულტაციის გზით დაეხმარონ პირს მისი კანონიერი ინტერესების განხორციელებაში, რათა კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმალური პროცედურები არ იქცეს პირის მატერიალური უფლებების რეალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ. ჭ-ისათვის გაუგებარი იყო „საქპატენტის“ შეტყობინება-მოთხოვნებში მითითებული მოთხოვნები, რის წარმოდგენასაც ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანო გამოგონების განხილვისათვის. მოწინააღმდეგე მხარე ვალდებული იყო გამოგონების ავტორისათვის უფრო გასაგებად და მკაფიოდ განემარტა თუ რა სახის მასალები ან არგუმენტები უნდა წარმოედგინა გ. ჭ-ს, რომ დაეკმაყოფილებინა „საქპატენტის“ პროცედურული მოთხოვნები მისი გამოგონების განხილვისათვის.

საქმე № ბს-565-534(კ-06)

31 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევა

სახეზეა აგრეთვე სზაკ-ის 60¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ისეთი საფუძველი, როგორცაა სხდომის ჩატარება სზაკ-ის 32-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების მსგავსად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა. ამ თვალსაზრისით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში შემოტანილია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ელემენტები. ზეპირი მოსმენის გამართვა იძლევა საზოგადოების აზრის გათვალისწინების საუკეთესო შესაძლებლობას. ზაკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული

წარმოებისათვის დადგენილი წესები. ამავე კოდექსის 120-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება კოდექსის 110-112-ე მუხლების დებულებები. აღნიშნული დებულებებით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში შემოტანილია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ელემენტები. კოდექსის 110-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, მე-2 ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეული იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 111-ე მუხლის 1 ნაწილით დადგენილია, რომ სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, გადაწყვეტილების მიღების წინ ნორმატიული აქტის პროექტის ზეპირი მოსმენა უნდა გამართულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აჭარის ა/რ მთავრობა ვალდებული იყო სადავო საკითხთან დაკავშირებით სხდომები წარემართა ღიად და საჯაროდ. აღნიშნულს არ ცვლის საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ა/რ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „მთავრობის სხდომა როგორც წესი დახურულია“. ამავე ნორმის თანახმად, „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ“. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული წარმოების სახეობა, კერძოდ საჯარო წარმოების წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღება, განაპირობებდა ზეპირი მოსმენის ჩატარების საჭიროებას. სზაკ-ის 32-ე და 34-ე მუხლების დარღვევა ყოველთვის მიიჩნევა არსებით დარღვევად, გადაწყვეტილების ამ წესების დარღვევით მიღება მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

საქმე № ბს-167-161(კ-10)

10 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე მუხლი)

მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სზაკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების გამოყენებას.* სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ითვალისწინებდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებას, კერძოდ მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის – ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს ზეპირი მოსმენის გამართვა (სზაკ-ის 120-ე მუხ.), ზეპირი მოსმენის გამართვა არ არის დამოკიდებული მოსაზრებების წარდგენაზე, უკანასკნელი შეადგენს დაინტერესებული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. დამკვეთის მიერ საინფორმაციო დაფის (ბანერის) გამოკვრა, საინფორმაციო დაფაზე დაინტერესებული პირისათვის განცხადების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში ნებართვის გამცემ ორგანოში განმარტების მიღების და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება (სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი) არ ცვლის სზაკ-ის IX თავით განსაზღვრული ზეპირი მოსმენის გამართვის, ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ სზაკ-ის 110-ე მუხლის მოთ-

* აღნიშნული მუხლის მოქმედი რედაქცია მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 54-ე მუხლის პირველი პუნქტი მშენებლობის ნებართვის გაცემას ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ხოვნების დაცვით დაინტერესებული პირების შეტყობინების ვალდებულებას. სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას ზეპირი მოსმენის დღე ვერ იქნებოდა განსაზღვრული, ვინაიდან იგი დამოკიდებული იყო დაინტერესებული პირების მიერ წერილობითი მოსაზრებების წარდგენაზე, არ ემყარება საკანონმდებლო საფუძველს. სადავო ბრძანებით სწორედ წინასწარი ზეპირი მოსმენის გამართვის თარიღი უნდა განსაზღვრულიყო. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.07.06წ. № ა-წ360.ბ ბრძანების ტექსტში მითითებული არ არის ზეპირი მოსმენის გამართვის თვე, რიცხვი და საათი (ტ.1, ს.ფ.21). შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუსაზღვრია საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას გასამართი ზეპირი განხილვის ადგილი და თარიღი, მოსმენის გამართვის დრო, ამდენად ხსენებულ აქტში არ არის დადგენილი ის, რასაც ემსახურებოდა აღნიშნული აქტის გამოცემა. შესაბამისად, კასატორები მოკლებული იყვნენ სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვაში, ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია საჯარო წარმოების ჩატარებას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115.2 მუხლის მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების გამოყენების შესახებ, სზაკ-ის 60' მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის.

1.6. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

საქმე № ბს-614-593(კ-10)

12 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ამხანაგობის დაჯარიმების შესახებ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის № 00000619 დადგენილებით არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ამხანაგობა „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული დადგენილება ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მოადგილემ თ. ჩ-ძემ გასაჩივრა 2009 წლის 18 მარტს ქ. თბილისის მერიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის მერის 2009 წლის 30 აპრილის № 367 განკარგულებით სზაკ-ის 182-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მოადგილეს – თ. ჩ-ძეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ასევე დადგენილია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მოადგილეს თ. ჩ-ძეს არ წარუდგენია ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის № 00000619 დადგენილებით დაჯარიმებულ იქნა ამხანაგობა „...“ და გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია უშუალოდ მის მიმართ, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ... ქ. № 33-სა და № 43-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ამხანაგობა „...“ და სანამ ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ თავისი წილის პროპორციულად, მხარეებს არ შეუძ-

ლიათ განახორციელონ მათი საკუთრების მფლობელობა სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად და თ. ჩ-ძის მიერ ქ. თბილისის მერიაში გასაჩივრებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის № 00000619 დადგენილებასთან მიმართებაში დაინტერესებულ პირად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“. რადგან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ სადამფუძნებლო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ამხანაგობა ყველა მონაწილის, ან წარმომადგენლის საშუალებით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც მხარე, რომელსაც წარმოეშობა გარკვეული უფლებები ან (და) მოვალეობები. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა ხდება საერთო მიზნის მისაღწევად. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება მოხდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილება, მაგრამ ეს ხდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, რაც ყველა მონაწილის ერთიან ინტერესს წარმოადგენს. ამხანაგობის მნიშვნელობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ იგი არეგულირებს მის მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას, ხოლო ამავე კოდექსის 937-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ამხანაგობის დაჯარიმების შედეგად ზიანი მიადგა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის, თ. ჩ-ძესაც, ხოლო რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სანამ ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ თავისი წილის პროპორციულად, მხარეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათი საკუთრების მფლობელობა სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად, **საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ ამხანაგობაში წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.**

საკასაციო სასამართლო აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მიიჩნევს რომ ამხანაგობის დაჯარიმების შედეგად ზიანი მიადგა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის თ. ჩ-ძესაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის ცნება გულისხმობს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი უშუალოდ უნდა ეხებოდეს ან ზიანს აყენებდეს პირის სამართლებრივ ინტერესს. პირის სამართლებრივი ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს განურჩევლად იმისა, თუ საგნობრივად რომელ სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი უფლება-მოვალეობების დადგენა, შეწყვეტა, აკრძალვა, შეცვლა, გამოიწვია სადავო აქტით გათვალისწინებული სამართლებრივმა შედეგმა.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ჩ-ძის, როგორც ამხანაგობის წევრის – სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის, სამოქალაქო მოვალეობად განისაზღვრა (სხვა წევრებთან სოლიდარულად) ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის მერიის – სამართლებრივი შეფასება და დასკვნა – ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევის თაობაზე გამომდინარეობს პირის სამოქალაქო უფლებათა უნარჩინობის ცნების არასწორი გაგება-განმარტებიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, პროცედურები დიდწილად სწორედ პირის სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზანს ემსახურება, ხოლო ამ უფლებების დაც-

ვის სამართლებრივ საშუალებებს პროცედურული უფლებების რეალიზაცია (განცხადება, ადმინისტრაციული საჩივარი, შუამდგომლობა და სხვა) წარმოადგენს, რომლის განუხორციელებლობა სამოქალაქო უფლების დაცვის შესაძლებლობის მოსპობას უტოლდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთის მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

მითითებული ნორმის ნამდვილი შინაარსი გულისხმობს, რომ პირის კანონიერი ინტერესი არის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი გათვალისწინებული, სამართლის ნორმით დაცული ინტერესი.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ნიშნავს სწორედ სამართლის ნორმით დაცული ინტერესის – დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენის შესაძლებლობას. პირის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია მხოლოდ ორგანიზებული წარმონაქმნის, მოცემულ შემთხვევაში – ამხანაგობის სახელით, არ შეესაბამება პირის უფლებას დაცვის მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფილ სისტემას. ვინაიდან, ამხანაგობა, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ვერ შთანთქმავს მისი წევრების სამართლებრივი უფლებების დამოუკიდებლად რეალიზაციის შესაძლებლობას.

საქმე № ბს-106-99(კ-13)

25 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა; ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობის სამართლებრივი შედეგი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ 2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელე ს. ბ-ემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული პნევმატური თოფების დაბრუნება, ასევე ზიანის – 144, 75 ლარის ანაზღაურება (იხ. ს.ფ. 19-22; ტ.1);

2012 წლის 1 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის მიხედვით საჩივარი გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურს (იხ. ს.ფ. 23; ტ.1);

დადგენილია, რომ შემოსავლების სამსახურს კანონით დადგენილი წესით საჩივარი არ განუხილავს და არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ს. ბ-ის კუთვილ იარაღს ფლობს შემოსავლების სამსახური და ინახება შპს „...“ საწყობში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში აქტის გამოუცემლობის სამართლებრივი შედეგები განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად.

აღნიშნული დანაწესი არ ნიშნავს, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ ჩაატარონ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც საკასაციო სასამართ-

ლოს შეფასებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე. პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება ემსახურება კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლით განსაზღვრულია საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები, ხოლო 298-ე მუხლში ჩამოყალიბებულია საგადასახადო დავის პრინციპები, კერძოდ, დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ უგულვებელყოფილია ადმინისტრაციული და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების – საგადასახადო დავის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევა, სამართლებრივი შეფასების მოხდენა, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც ასევე ლახავს პირის კანონიერ მოლოდინს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსაგან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც არ შეესაბამება მმართველობის კანონიერების სტანდარტს.

საქმე № ბს-1113-692(კ-05)

18 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 182-ე მუხლები)

საკასაციო პალატა თვლის, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება ი. ჩ-ის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაცდენის შესახებ. ზაკ-ის 182-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის გასვლა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველია, ამავე კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამ ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევისას მისი აღდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს. **საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის მიღება ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ბატონ-პატრონის, თავისუფალი გადაწყვეტის სფეროს განეკუთვნება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საჩივარი მიიღოს გასაჩივრების ვადის დარღვევით, თუ იგი არ ეხება მესამე პირების ინტერესებს.** ვინაიდან გასაჩივრების ვადების შემოღება მიზნად ისახავს ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების დაცვას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს, უარი თქვას მასზე, რაც აფართოებს ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის სამართლებრივი უფლების დაცვის საშუალებას. განსახილველ შემთხვევაში ი. ჩ-ემ სასჯელალსრულებით დეპარტამენტს მიმართა განთავისუფლებიდან ცხრა თვის ვადაში. კერძოდ 08.12.04წ. მიმართა.

მოცემულ შემთხვევაში სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრებისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადის გაშვების მიუხედავად სასჯელალსრულების დეპარტამენტს საჩივრის მიღებაზე უარი არ განაცხადა. **მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვადის გაცდენით საჩივრის მიღება გზას უხსნის მომჩივანს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისაკენ, არამედ გავლენას ახდენს სასამართლოში სარჩელით მიმართვის დადგენილ ვადებზე და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გაცდენის შემთხვევაში ფაქტობრივად აღადგენს მას, ვინაიდან საჩივრის ავტორს შესაძლებლობა ეძლევა, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული აქტი სასამართლოში გაასაჩივროს.** ამდენად ის გარემოება, რომ ი. ჩ-ემ სამსახურიდან გათავისუფლებიდან 9 თვის შემდეგ მიმართა დეპარტამენტს, არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაცდენის შესახებ.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დაცვა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი)

საქმის მასალებიდან დასტურდება:

1. ჯ. მ-ი 2011 წლის ივნისის თვემდე იღებდა სოციალურ დახმარებას, ხოლო ივნისის თვიდან შეუწყვიტეს, აღნიშნულის გარკვევის მიზნით მან 2011 წლის 9 ივნისს მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს (იხ. ს.ფ. 144).

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილით ეცნობა, რომ 2011 წლის 1 ივნისს მასთან სოციალური აგენტის ვიზიტისას აღმოჩნდა რომ ადგილი ჰქონდა არასრული ინფორმაციის მიწოდებას, ოჯახი იყო ხელოვნურად გაყოფილი, რის გამოც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის № 141/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის გათვალისწინებით ოჯახის განაცხადი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, ძალადაკარგულად იქნა აღიარებული, აქედან გამომდინარე, გაუქმდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, აქვე განემარტა, რომ ოჯახი, რომ კვლავ დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, შეეძლო შეეტანა ახალი განაცხადი, სადაც მითითებული იქნებოდა ოჯახის წევრთა რეალური შემადგენლობა (იხ. ს.ფ. 15).

3. ჯ. მ-ის განმარტებით, მან კვლავ მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და ამჯერად მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილის გაუქმება და უსაფუძვლოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება, თუმცა ეს მტკიცებულება საქმეში დაცული არ არის, დიდი ალბათობით იგი წარდგენილია, რადგან:

4. სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 18 ივლისის წერილით ეცნობა, რომ როგორც 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილით განემარტა – გაუქმებული ჰქონდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში (იხ. ს.ფ. 13).

5. აღნიშნული ჯ. მ-მა 2011 წლის 17 აგვისტოს გაასაჩივრა საჩივრით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა ოჯახისათვის დახმარების შეწყვეტისა და მისი განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 2011 წლის 22 ივნისის № 05/135 და 2011 წლის 18 ივლისის № 05/1586 წერილების ბათილად ცნობა და შეწყვეტილი დახმარების განახლებისა და მიუღებელი დახმარების ანაზღაურება.

6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 23 აგვისტოს № 04/35171 გადაწყვეტილებით ჯ. მ-ს განემარტა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილით ეცნობა ფულადი სოციალური დახმარებისა (საარსებო შემწეობის) შეწყვეტის თაობაზე, რომლის კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში გასაჩივრების დამადასტურებელი დოკუმენტი საჩივარს არ ერთვოდა, შესაბამისად, დაევალა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, ორი კვირის ვადაში წარმოედგინა მოსაზრებები და მტკიცებულებები, იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ გაუშვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182.2 ნაწილით განსაზღვრული 1 თვიანი ვადა (იხ. ს.ფ. 16).

7. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის № 04/38930 გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის საჩივარი არ იქნა წარმოებაში მიღებული, იმ მოტივით, რომ არ წარმოედგინა 2011 წლის 23 აგვისტოს № 04/35171 გადაწყვეტილებაში მითითებული მტკიცებულებები (იხ. ს.ფ. 14).

სოციალური მომსახურების სააგენტომ 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილით აცნობა მისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზის თაობაზე (იხ. ს.ფ. 15), რის შემდეგაც მან კვლავ მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და უკვე მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და უსაფუძვლოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება, ჯ. მ-ის საჩივარი დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი პუნქტის და 180-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაეგზავნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – სსიპ სოციალური მომ-

სახურების სააგენტოში. ვინაიდან, მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ჯ. მ-ის 2011 წლის 17 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილი საჩივარი უნდა ჩაითვალოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ ვადაში შეტანილად, ვინაიდან, მართალია საქმის მასალებიდან არ ჩანს თუ როდის მიმართა ჯ. მ-მა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს (აღნიშნულის თაობაზე უთითებს 2011 წლის 17 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილ საჩივარში იხ. ს.ფ. 151), მაგრამ საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნულ განცხადებაზე მას 2011 წლის 18 ივლისის სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის წერილით უკვე ეცნობა, რომ როგორც 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 წერილით განემარტა გაუქმებული ჰქონდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში (იხ. ს.ფ. 13), ანუ ჯ. მ-ს სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 22 ივნისის № 05/1351 გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია 2011 წლის 22 ივლისამდე, როგორც კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა ითხოვს.

საქმე № ბს-854-836(კ-12)

10 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი)

სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად გასაჩივრების ვადა აითვლება სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან. აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის – კონტროლის განხორციელების უარყოფას, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებამდე კონტროლის განხორციელება არ დაიშვება. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი – წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.). აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. **გასაჩივრების ვადის ათვლა არ ხდება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან.** აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად მნიშვნელოვანია აქტის ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრა. საჩივრის უფლება წარმოიშობა გამოცემული აქტით უფლების დარღვევით, რომელიც მხოლოდ ძალაში შესული აქტით არის შესაძლებელი, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას მისი გასაჩივრების წესის შესახებ. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების ათვლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სზაკ-ის 94.2 მუხლი დამატებით ადგენს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, რომლის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან

ამ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის ადრესატისთვის ინდივიდუალური გაცნობა სირთულეებთან ან დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია სზაკ-ით გათვალისწინებული აქტის ოფიციალური გაცნობის ერთ-ერთი სახეობის (კერძოდ, აქტის გადაცემა (58-ე მუხ.), გამოქვეყნება შესაბამისი ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (56-ე მუხ.), საჯაროდ გამოცხადება (57-ე მუხ.)) გამოყენება.

საქმე № ბს-82-82(კ-12)

18 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენა

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ს უარი ეთქვა წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილებაზე (რომლითაც იგი ქ. მცხეთაში, ... ქ. № 20-ში მდებარე მის მართლმომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას მოითხოვდა) იმ საფუძველით, რომ წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული იმ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობის განმცხადებლის სასარგებლოდ შეცვლის თაობაზე, რომელიც საფუძველად დაედო მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილებაში სარეგისტრაციო სამსახური მიუთითებს, რომ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ლ. მ-ს უარი ეთქვა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 18 აგვისტოსა და 10 სექტემბრის გადაწყვეტილებებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას გასაჩივრებული აქტების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და უსაფუძვლო დაბრკოლებები შეუქმნეს მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ლ. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად ის გარემოება იქცა, რომ მისი საკითხი უკვე განხილული იყო და მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფაქტობრივად ადმინისტრაციულ ორგანოს ლ. მ-ის საკითხი არსებითად არ განუხილავს; არსებითი და დასაბუთებული უარი არ უთქვამს მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ერთ შემთხვევაში მოსარჩელეს დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო ეთქვა უარი საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე და შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება; ხოლო შემდგომ, მოსარჩელის განცხადება მის მიმართ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე მითითებით არ დაკმაყოფილდა.

საქმე № ბს-122-115 (2კ-13)

28 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტანდარტი

ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება-განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევიან აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და პასუხობდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია კოდექსის 181-ე მუხლში – ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი, რომელიც თავის მხრივ, შედგება

ფორმალური და მატერიალური ხასიათის რეკვიზიტებისაგან. ამავე კოდექსის 182-ე მუხლით განსაზღვრულია წინაპირობები, რომელთა არსებობის პირობებში ადმინისტრაციული საჩივარი არ ექვემდებარება განხილვას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო, სამართლებრივ შეფასებას აძლევს რა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის № 12/159542-7 საჩივარს, განმარტავს, რომ დოკუმენტი ცალსახად არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლის დანაწესს, ანუ იგი სრულყოფილად არ პასუხობს კანონით დადგენილ ადმინისტრაციული საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ რეკვიზიტებს შინაარსობრივი თვალსაზრისით, რაც საწარმოს დაბალი იურიდიული კულტურის მაჩვენებელია. ეს საზოგადოდ, საქართველოს ბიზნეს-სექტორისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა და თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის კანონით დადგენილი წესით წარუდგენლობა არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს მისი დასაშვებობის შემოწმების ვალდებულებისაგან.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე, 186-ე და 198-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოქმედებს ნეგატიური დათქმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის ჩატარებისას რიგ შემთხვევებში გამოიყენება, როგორც მარტივი, ისე ფორმალური და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული წესები და პროცედურული მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პირის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, მით უფრო, განცხადების ან საჩივრის ფორმით წარდგენა იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს უპირობო ვალდებულებას, დაარეგისტრიროს იგი. რეგისტრაციის სტადია იწვევს შემდეგი პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულებას – ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ორსაფეხურიანი პროცესის მეშვეობით:

- განცხადების/ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება.
- განცხადების/ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება.

დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში, განცხადების ან საჩივრის ფორმა, დასაშვებობის შემოწმების სტადია გულისხმობს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევას (უწყებრივი ქვემდებარეობა), რომლის წარმატებით გადალახვის პირობებში – ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

საკასაციო სასამართლო კატეგორიულად ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ „მხარემ წარადგინა კონკრეტული სამართლებრივი შედეგების მატარებელი მოთხოვნა „ძალადაკარგულად გამოცხადება“ და საფუძველს მოკლებული იყო, ადმინისტრაციულ ორგანოს ემსჯელა იმაზე, შემთხვევით სხვა რამეს ხომ არ გულისხმობდა განმცხადებელი“, მსჯელობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებსა და პრინციპებთან სრული შეუსაბამობის გამო და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა – განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა, ნიშნავს ხარვეზის დადგენას, შესაბამისი მითითებებით და დაინტერესებული პირისთვის მისი გამოსწორების შესაძლებლობის მიცემას. აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები არაერთგან ამკვიდრებს ამგვარი სულისკვეთების მატარებელ წესებს, რაც სავსებით ლოგიკურია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით ფუნქციონირებადი კანონიერი მმართველობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო, ასევე, სამართლებრივ შეფასებას აძლევს რა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ვ. მ-ის შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის № 12/159542-7 საჩივართან დაკავშირებულ 2011 წლის 20.12. №12/159542-1 პასუხს, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი გადაწყვეტილებას (იხ.ს.ფ.20., ტ.1.), მიაჩნია, რომ იგი საერთოდ არ

შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით გათვალისწინებულ განცხადების ან საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტანდარტს.

უდავოა, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივრის მიმართ საერთოდ გამოტოვებულია დასაშვებობის შემოწმების სტადია. მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევა (ინსტანციური უფლებამოსილება), რომლის კვალიფიციური შესწავლის პირობებში ცალსახად დადგინდებოდა, რომ წარმოდგენილი საჩივარი, მიუხედავად, ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ექვემდებარებოდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – თბილისის მერიაში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილი 2011 წლის 24 ნოემბრის № 12/159542-7 საჩივარი, ნამდვილად შეესაბამება ადმინისტრაციული საჩივრის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილ დეფინიციას. საჩივრის შინაარსის გაცნობა/შესწავლა ერთმნიშვნელოვნად აყალიბებს დასკვნას:

1. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი არის დაინტერესებული მხარე;
2. ადმინისტრაციული საჩივარი წერილობითი ფორმით არის წარდგენილი;
3. ადმინისტრაციული საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსით დადგენილ წესს /178-ე მუხლს/;
4. ადმინისტრაციული საჩივრის მიზანი არის დარღვეული უფლების აღდგენა;
5. ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
6. ადმინისტრაციული საჩივარი არ არის წარდგენილი უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ დაშვებული ორივე სამართლებრივი უსწორობა, შეცდომა – ადმინისტრაციული საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსით დადგენილ წესს /181-ე მუხლს/, და ადმინისტრაციული საჩივარი არ არის წარდგენილი უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ექვემდებარებოდა გამოსწორებას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიის კვალიფიციური ჩატარების პირობებში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

- ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრივი უფლებამოსილება;
- ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციური უფლებამოსილება;
- გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამოსილება.

დადგენილია, და ამას არც კასატორი ადმინისტრაციული ორგანოები არ ხდიან სადავოდ, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილი 2011 წლის 24 ნოემბრის № 12/159542-7 საჩივრის ობიექტი-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ. ამ ვითარებაში, ინსტანციური კომპეტენციის გამორკვევის შედეგად, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს გააჩნდა და მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – თბილისის მერიაში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნის თაობაზე.

მითითებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გამორიცხავს არაუფლებამოსილი ორგანოს მხრიდან საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლით/ შესაბამისობის საკითხის გამოკვლევა-შემოწმებას. ამგვარი კომპეტენცია მხოლოდ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ამდენად, კასატორების აპელირება, რომ საჩივრის მოთხოვნა – აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, არ განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ეს საკითხი საერთოდ არ წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შეფასების, როგორც მათი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა არსებულ საგანს. ადმინისტრაციული საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლთან/ შესაბამისობის საკითხის შეფასება მხოლოდ ზემდგომი ორგანოს – ქ. თბილისის მერიის იურისდიქციის სფეროს განეკუთვნებოდა, ხარვეზის დადგენის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი არ გამოასწორებდა ხარვეზს და არ მოიყვანდა საჩივარს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლთან შესაბამისობაში, საჩივარი დაექვემდებარებოდა განუხილველად დატოვებას ამავე კოდექსის 83.5. მუხლის საფუძველზე.

საქმე № ბს-1214-1158 (კ-09)

10 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის საუარესოდ შებრუნება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება გასცდეს მას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და განმარტავს შემდეგს: სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს პრინციპი, რომლის შესაბამისადაც დაუშვებელია სარჩელის საუარესოდ შემობრუნება, ანუ სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოსარჩელეს ჩააყენებს უფრო უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის სარჩელის წარდგენამდე იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ამ პრინციპის თაობაზე კონკრეტული მითითება არ არსებობს, კოდექსის ზოგადი პრინციპებიდან და ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე უდავოა, რომ მოთხოვნის საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობის პრინციპი გამოიყენება ადმინისტრაციულ წარმოებაშიც. თუმცა, როგორც ამავე მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამართალწარმოებისაგან განსხვავებით აქ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილ გარემოებებზე დაყრდნობით უდავოდ მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ იქნა კასატორის – ს. მ-ძის მიერ, რომელიც საჩივრის საფუძველზე სადავოდ ხდიდა 3,8 კვ.მ ფართის ქ. და მ. მ-ძეებზე გადაცემის კანონიერებას.

ქ. ბათუმის მერმა საჩივრის ავტორის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელა არა მხოლოდ 3,8 კვ.მ ფართის ს. მ-ძის ოჯახისადმი კუთვნილების კანონიერებაზე, არამედ მისივე საჩივრის საფუძველზე, ბათილად სცნო საკუთრების უფლების მოწმობა დამატებით 13,8 კვ.მ ფართის ნაწილშიც, როდესაც აღნიშნულის თაობაზე არ არსებობდა მე-3 პირის მოთხოვნა.

ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს: იყო თუ არა ქ. ბათუმის მერი უფლებამოსილი ადმინისტრაციული საჩივარი შემოებრუნებინა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის საუარესოდ; განსახილველი საკითხი მიეკუთვნება თუ არა კანონით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცდეს მოთხოვნის ფარგლებს და ისიც მომჩივანის საუარესოდ.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესი

საკასაციო სასამართლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოხსენებული ნორმების შეჯერებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისათვის ხსენებული კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, მაგრამ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება, როგორც სპეციალური წარმოება, არ არის განყენებული, ნორმატიულად და პროცედურულად აბსოლუტურად გამიჯნული წარმოება და იგი იმავდროულად, ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების კანონით დადგენილ ლეგალურ ფარგლებში რეალიზებითაც, ადმინისტრაციული წარმოების იმ სახის, კერძოდ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით, რომელსაც, მათ შორის, ეძღვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავი, რადგან ამ კოდექსის 185-ე მუხლის ნორმა არ შეიცავს რაიმე მითითებას ამავე კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებების მხოლოდ ნაწილის გამოყენებაზე. ამასთან, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციული ორგანო არ დგას ადმინისტრაციული წარმოების სახის არჩევანის წინაშე, რადგან აღნიშნული კანონითაა რეგლამენტირებული, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლში, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ არის მითითებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და ამავდროულად, ამავე მუხლში არ არის ბლანკეტური მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII და VI თავების დებულებებზე, რომლებიც, შესაბამისად, ითვალისწინებს ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სახეებს. აღნიშნული ასევე დასტურდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე მუხლისა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილების ნორმებით, რომლებითაც ხსენებული თავებით დადგენილი წესების შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით (შესაბამის შემთხვევაში, სასამართლო სხდომის ოქმი), **ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა, თავისთავად, არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის მხოლოდ ხელმოწერლობა დამოუკიდებლად ვერ გახდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ამგვარ საფუძველს საჯარო სამართლის სფეროში შემავალი შესაბამისი მატერიალურ-საკანონმდებლო აქტი – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.** საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის სხდომაზე აჭარის ა/რ მთავრობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული მოსმენის 2008 წლის 6 მარტის № 1 ოქმი ხელმოწერილია და სახეზეა ტექნიკური ხარვეზი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, მოცემულ საქმეში წარმოდგენილია აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული მოსმენის 2008 წლის 6 მარტის № 1 ოქმის ასლი (ს.ფ. 38-43), რომელზეც არ არის სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა და ამ ასლზე არის მხოლოდ სხდომის მდივნის ხელმოწერა, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული გარემოება ვერ დააფუძნებს ე.მ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების უკანონობას და ვერ ჩაითვლება იმავე საჩივრის განხილვის შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის № 24 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლი)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლი ადგენს საგადასახადო დავის გადაწყვეტის ორ ფორმას: დავის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის გზით და/ან დავის გადაწყვეტას სასამართლოს მიერ.

იმავე საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვის მიზანია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა. ხოლო მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა განიხილება და წყდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით განმარტავს შემდეგს: საგადასახადო ორგანოების საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას და იმ სპეციალური ნორმების გარდა, რაც საგადასახადო კოდექსით არის დადგენილი, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგადასახადო დავა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, თავისი არსით, უთანაბრდება ადმინისტრაციულ საჩივარს და საგადასახადო ორგანო, დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ნორმებს, როგორც სპეციალურ ნორმებს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან მიმართებაში.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გაწერილი ნორმების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილება საქმის გარემოებების დაზუსტებისა და გამოკვლევის მიზნით სადავო საკითხი დააბრუნოს მისივე სისტემის ქვედა რგოლში, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ შემოსავლების სამსახური შეზღუდული არ არის საჩივარში ჩამოყალიბებული მოთხოვნის ფარგლებით და არ არის ვალდებული დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაწესებული მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 05 მარტის № 481 ბრძანებით, ი/მ „ნ. მ-ძის“ 2009 წლის 14 იანვრის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს დაევალა ჩატარებინა ი/მ „ნ. მ-ძის“ საგადასახადო შემოწმება, შემოწმების დროს სხვა საკითხებთან ერთად დამატებით შეესწავლა სადავო საკითხი და შემოწმების მასალები წარედგინა ბათუმის რეგიონალური ცენტრისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, ამ კოდექსის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საჩივრის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში განიხილოს იგი, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან მე-3 სამუშაო დღისა გაუგზავნოს იგი მომჩივანს და იმ საგადასახადო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დაასკვნის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემ საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი.

* გადაწყვეტილებაში განმარტებულია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის მუხლები.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, ისევე როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შეიცავს ცალსახა მითითებას საჩივრის ფარგლებზე, საკანონმდებლო ნორმათა ამგვარი განაწესის პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ წარმოადგინოს მოტივაცია, რომელ ნორმებზე დაყრდნობით მიიჩნევს ზემოაღნიშნულ გასაჩივრებულ აქტს კანონშესაბამისად და გამოიკვლიოს, სახეზე იყო თუ არა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ის შემთხვევა, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მისცემდა უფლებას გაცდენოდა საჩივრის ფარგლებს და დაედგინა ახალი კომპლექსური შემოწმების ჩატარების საკითხი.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის იმ მოთხოვნაზე, რომელშიც საუბარია საქმის დამატებითი გამოკვლევისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემ საგადასახადო ორგანოში დაბრუნებაზე. საგულისხმოა, რომ წინამდებარე შემთხვევაში საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 24 დეკემბრის № 5028 ბრძანება და მის საფუძველზე შედგენილი № 160 საგადასახადო მოთხოვნა. საკითხი, შემოსავლების სამსახურმა დამატებითი გამოკვლევის მიზნით დაუბრუნა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს, ის, თუ რამ განაპირობა საქმის ამ უკანასკნელისათვის გადაცემა და აღნიშნულით დაირღვა თუ არ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე უნდა იქცეს სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგნად.

საქმე № ბს-1810-1778(კ-11)

12 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის ჩატარება დაინტერესებული პირის მონაწილეობის გარეშე (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე და 198-ე მუხლები)

ადმინისტრაციულმა ორგანომ მესამე პირების – ნ. დ-ისა და ო. ა-ის მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანი გ. ღ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობას, იმსჯელა სადავო აქტის კანონიერებაზე და ბათილად ცნო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურჯაანის სარ განყოფილების მიერ 02.03.04წ. რეგისტრირებული გ. ღ-ის სახელზე შედგენილი დაბადების აქტის ჩანაწერი № 0081202 ძალაში შესვლის დღიდან, სადაც გ. ღ-ის მშობლებად მითითებულნი იყვნენ ლ. გ-ი და ვ. ღ-ი. სასამართლომ გაიზიარა სამართლებრივი შეფასება დაბადების აქტის № 0081202 ჩანაწერის უკანონობის შესახებ და მიიჩნია, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა რა ადმინისტრაციული საჩივარი კანონიერი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, მოკლებული იყო სამართლებრივ შესაძლებლობას მიეღო განსხვავებული გადაწყვეტილება თუნდაც მოსარჩელეთა ზეპირ მოსმენაზე დასწრებისა და მათი პოზიციების მოსმენის პირობებშიც. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამგვარ შეფასებას და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესებების დაცვისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მინიჭებას, რამდენადაც კანონით დადგენილი პროცედურების დაცვა სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის საშუალებაა, მით უფრო მოცემული დავის არსისა და ხასიათის გათვალისწინებით, როდესაც დავა ფაქტობრივად არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებს ეხება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვისა და საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 198.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე წარმოებისას ზეპირი მოსმენა ტარდება ამავე კოდექსის მე-8 თავით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 110.2 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

საქმის მასალების მიხედვით, ლ. გ-მა და ვ. ღ-მა ადმინისტრაციული საჩივარი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურჯაანის სამსახურის 26.11.10წ. № 281 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ზემდგომ

ადმინისტრაციულ ორგანოში – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში წარადგინეს 27.12.10წ. პირველი ზეპირი მოსმენა 31.01.11წ. დაინიშნა, რის შესახებაც შეტყობინება საჩივრის ავტორებს ჩაჰბარდათ 03.02.11წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 08.02.11წ. გადაწყვეტილებით გაგრძელდა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე წარმოების ვადა, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მისივე მითითებით საქმის სირთულიდან გამომდინარე და მხარეთათვის კანონით მინიჭებული უფლებების სრულად რეალიზებისათვის საჭიროდ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება. ზეპირი მოსმენის თარიღი განისაზღვრა 21.02.11წ., რის შესახებაც შეტყობინება ვ. ლ-ს პირადად ჩაჰბარდა 22.02.11წ., რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კანცელარიის გაცემის ბარათით (იხ. ს.ფ. 26; ტ.1). ზეპირი მოსმენა გაიმართა 21.02.11წ., სადაც საჩივრის ავტორები არ გამოცხადებულან, ხოლო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 28.02.11წ. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა მოხდა ლ. გ-ისა და ვ. ლ-ის მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ მეორე მხარის მონაწილეობით, რაც სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ადმინისტრაციული წარმოების წესების არსებით დარღვევად, რომლის არარსებობის პირობებშიც მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ამრის წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე და იმ პირობებში, როდესაც თავად ადმინისტრაციული ორგანო წარმოების ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებებში მიუთითებდა, რომ საქმის სირთულიდან გამომდინარე და მხარეთათვის კანონით მინიჭებული უფლებების სრულად რეალიზებისათვის საჭირო იყო საქმის ზეპირი მოსმენის ჩატარება, რამდენად არსებითი იყო ადმინისტრაციულ წარმოებაში საჩივრის ავტორების მონაწილეობა.

საქმე № ბს-1706-1678 (კ-11)

8 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერების შემოწმების ფარგლებში (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისათვის დამაწყვეტია აქტის კანონიერება მატერიალური თვალსაზრისით, რაც ნიშნავს იმას, რომ აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს გამოცემის სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლო მოიხიბობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილს და აღნიშნავს, აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება შედის ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც შეეხება სასამართლოს, მის ვალდებულებას წარმოადგენს აქტის კანონიერების შემოწმება. ამდენად იმ გარემოებაზე მითითება, რომ ვ. ა-ისათვის თანხის მიცემა არის მიზანშეუწონელი, სასამართლოს არ აძლევს მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტების შემოწმების შესაძლებლობას.

1.7. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

საქმე № ბს-434-25 (3კ-05)

26 ივლისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სა-
მოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)**

2004წ. 29 მაისს გ. ქ.-ს კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. გ.-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობისა და „გ. კორპორეიშენის“ მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2002წ. 18 მარტს 12წ. გ. ქ.-ს გაუკეთდა B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა. აცრას წინ უსწრებდა გამოკვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ ბავშვი აცრის მომენტისთვის იყო ჯანმრთელი. აცრა განახორციელა წალენჯიხის ბავშვთა პოლიკლინიკის უბნის პედიატრმა ნ. კ.-მ. ასაცრელ მასალას წარმოადგენდა კორეული წარმოების ვაქცინა, რომელიც ჰუმანიტარული მისიით საქართველოში შემოიტანა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ. აცრიდან მესამე დღეს, კერძოდ, 2002წ. 20 მარტს გ. ქ.-ს განუვითარდა ტეტრაპარეზი (ზედა და ქვედა კიდურების პარალიზი) და ჩავარდა კომაში.

საკასაციო სასამართლო სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ პრეპარატს, რომელიც გამოყენებულ იქნა ვაქცინაციის მიზნით, არ გააჩნდა ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ. თუმცა, საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს იმ გვერდითი მოვლენების არსებობის ფაქტს, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, მაგ: პარეზი, გიემბარეს სინდრომი, ენცეფალიტი და ა. შ.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის 26.4 მუხლის შესაბამისად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში.

სამკურნალო საშუალების მიმოქცევა, ამავე კანონის 1¹ მუხლის მე-18 ნაწილის შესაბამისად, მოიცავს სამკურნალო საშუალების მომზადება-წარმოებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ „გ. კორპორეიშენის“ მიერ წარმოდგენილი არ არის არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებული ინფორმაციის მიწოდების ფაქტს, დაუშვებელია აღნიშნული სუბიექტის პასუხისმგებლობის გამორიცხვა და ვერ გაიზიარებს საოლქო სასამართლოს მოსაზრებას მითითებული კორპორაციის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიჩინოს, რომ სახეზეა უმოქმედობით გამოწვეული ზიანი, რომელიც, სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს და რომლის ანაზღაურებაც „გ. კორპორეიშენთან“ ერთად უნდა დაეკისროს სახელმწიფოს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 და მე-15 მუხლების პრინციპებიდან გამომდინარე და დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრს, როგორც იმუნოზაციის პროგრამის უშუალო მონაწილე პირს.

საქმე № ბს-234-221(2კ-07)

18 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარისადმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა

და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ 2005 წლის 10 იანვარს გაგზავნილი წერილის თანახმად, ხსენებული კოლეჯის ტერიტორიაზე (ფეხბურთის სტადიონზე) არსებული ყველა ალვის ხე გადაბერებული იყო და მათმა წაქცევამ არაერთხელ გამოიწვია აგურის ღობის ნგრევა, რის გამოც ხეები ამოძირკვას საჭიროებდა და ამიტომ, ხსენებული კოლეჯის დირექტორმა აღნიშნული ხეების ამოძირკვის ნებართვა მოითხოვა (ს.ფ. 18). 2005 წლის 20 მარტს ლ. ხ-მა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას მიიღო მძიმე ტრავმა – სამარშრუტო ტაქსს დაეცა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ეზოში მდგარი ალვის ხე, რა დროსაც მან მიიღო ორივე ბარძაყის გამჭოლი ტრიალობები და დასჭირდა რეგულარული მკურნალობა (ს.ფ. 1-6). სტაციონალური ავადმყოფის № 671 სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ლ. ხ-ი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში შეიყვანეს 2005 წლის 20 მარტს, 14.05 საათზე, ორთავე ბარძაყში გამჭოლი ტრიალობებით (ს.ფ. 22-23). ლ. ხ-ს მკურნალობისათვის დასჭირდა გარკვეული თანხები (ს.ფ. 12-17).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ქ. თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უშუალო კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მერიის მეშვეობით. ამდენად, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას, ხოლო აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერია ამტკიცებს ქ. თბილისის კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს*.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ სწორედ ქ. თბილისის მერია იყო ვალდებული, ამოეძირკვა ხეები, რომლებიც საშიშროებას ქმნიდა და შეექმნა უსაფრთხო გარემო, რაც არ შესრულდა და რამაც ზემოაღნიშნული შემთხვევა განაპირობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიამ არ შეასრულა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე შესაბამისი ვალდებულება, რამაც უშუალოდ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ასევე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მატერიალურ-საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიას ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მან უნდა აუნაზღაუროს ლ. ხ-ს მიყენებული ზიანი, რადგან მან თავისი ბრალეული უმოქმედობით არ გაატარა შესაბამისი აუცილებელი ღონისძიება, კერძოდ, არ მოახდინა მობერებული ხეების ამოძირკვა და, შესაბამისად, არ მოუხდენია მათგან მომდინარე საშიშროების გაუვნებელყოფა.

* ძალადაკარგულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას, მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მკურნალობის ხარჯები წინასწარაც მოეთხოვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ლ. ხ-ს მართებულად აღიარა მორალური ზიანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფიზიკური დაზიანების შედეგად მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანიც, ასევე სწორად განსაზღვრა მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულ და სამართლიან ოდენობად 3000 ლარი, კერძოდ, იმ სულიერ-მორალური ტკივილისა და რეალური ტანჯვის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელემ განიცადა.

საქმე № ბს-198-187(კ-07)

22 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლები)

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 30 000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის – 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“. აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. 2005 წლის 25 თებერვლის სისხლის სამართლის საქმის არალძვრის შესახებ დადგენილებით დადგენილია, რომ გ. ჯ-ის მიერ დროულად არ იქნა უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რითაც დაირღვა კასატორის უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თავად შს რაიგანყოფილების ინფორმირება დანაშაულის ფაქტის თაობაზე მ. გ-მა შესძლო არა დაუყოვნებლივ, არამედ დანაშაულის ჩადენიდან საკმაოდ დროის გასვლის შემდეგ. ამასთან, კიდევ რომ მომხდარიყო სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული, თავის მხრივ, ასევე სააღბათოა. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველია, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორის მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არალძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კასატორის უფლება შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, იმავდროულად, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდება აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად განცდილი მატერიალური ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის

992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.

საქმე № ბს-1025-978(კ-06)

22 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლები)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2004 წლის 4 ოქტომბერს თ. რ-ისა და ნ. ს-ის საცხოვრებელი სახლიდან დაიკარგა ოჯახის კუთვნილი ოქროს ნივთები, რაც თ. რ-ემ შს რაიგანყოფილებას აცნობა მომდევნო დღესვე. თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ თ. ი-ემ, რომელიც ამ დროს თერჯოლის შს რაიონული განყოფილების კრიმინალური განყოფილების უფროსად მუშაობდა, მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მიიჩნია, რომ დანაშაული ვერ გაიხსნებოდა და სამსახურებრივი საქმიანობის მაჩვენებლების შელამაზების მიზნით განიზრახა, მიეჩქმა და სახელმწიფო აღრიცხვაზე არ დაეყენებინა მომხდარი დანაშაული, რის გამოც არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, არ უზრუნველყო თ. რ-ისა და მისი ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგების სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად დაფიქსირება. მანვე განზრახ თავი აარიდა დანაშაულის შესახებ ზეპირი განაცხადის მიღების ოქმის შედგენას, შს თერჯოლის რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილის სათანადო სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციას და არ შეასრულა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა მხოლოდ 2004 წლის 8 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც თ. რ-ემ შეიტყო, რომ მისი საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტზე თ. ი-ის მხრიდან კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა, დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და 2004 წლის 6 დეკემბერს განმეორებით მიმართა შს რაიგანყოფილებას.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვენ მატერიალური ზიანის სახით დაკარგული ნივთების ღირებულების – 5000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის – 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას. მატერიალური ზიანის სახით მოსარჩელები ითხოვენ დაკარგული ნივთების ღირებულების ანაზღაურებას. რაც შეეხება მორალურ ზიანს, აღნიშნულს მოსარჩელები ითხოვენ, როგორც გამოძიების დროულად ჩატარებლობით მიყენებულ ზიანს. მოსარჩელები მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“. აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადაწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ თ. ი-ის უმოქმედობის შედეგად დროულად არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რითაც დაირღვა კასატორების უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად უდავოდ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ თ. ი-ის მიერ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. საქმის მასალებით არ დგინდება, თავიდანვე იყო თუ არა ნივთმტკიცებაზე – ჩაიდანზე კვალი სრულყოფილი დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებისათვის ვარგის მდგომარეობაში, ამასთან, კიდევ რომ მომხდარიყო ექსპერტიზის მიერ თითის ანაზღაურების იდენტიფიკაცია, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული, თავის მხრივ, ასევე სააღბათოა. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველია, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისა-

გან მოსარჩელეთა გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორების მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არაღძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კასატორთა უფლებები შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, იმავდროულად, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდება აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად განცდილი მატერიალური ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.

საქმე № ბს-494-488(2კ-12)

25 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის; სამედიცინო მომვლელის ხარჯისა და სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 997-ე, 1005-ე და 1008-ე მუხლები)

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 24.05.1996წ. სკოლის დამთავრებისას, ე.წ. „ბოლო ზარზე“, მასწავლებლებმა – მ. გ-მა და ც. ზ-მა წაიყვანეს მოსარჩელე და მისი კლასელები გარდაცვლილი კლასელის სასაფლაოზე. გზაში მასწავლებლებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანა (სახ. ნომ. – ...), პედაგოგები გაესაუბრენ ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფ მძღოლს და მოსწავლეები, მათ შორის – მოსარჩელე, დასვეს ავტომანქანის ძარაზე. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული 25.09.1996 წ. განაჩენით დადგენილია, რომ ავტომანქანის მძღოლი – რ. ტ-ი ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტომანქანას, მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესი, რის შედეგადაც ავტომანქანა გადაბრუნდა, ხოლო მოსარჩელე მოყვა ავტომანქანის ძარის ქვეშ. აღნიშნულის შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. საქმეში დაცული მტკიცებულებებით ასევე დგინდება, რომ პედაგოგებს მ.გ-სა და ც.ზ-ს აღნიშნული ფაქტის გამო დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ, გამოუცხადდათ საყვედური (ტ.1, ს.ფ.26). საქმის მასალებში დაცული განათლების ახალგორის რაიონული განყოფილების გამგის ნ.პ-ის მიმართვის (ტ.1, ს.ფ.25) მიხედვით ირკვევა, რომ 1996 წლის კურსდამთავრებულთა „ბოლო ზარის“ ზემოქმედებაში შეტანილი არ იყო სკოლის გარეთ გასვლა.

საკასაციო სასამართლოში კანონით განსაზღვრულ საპრეტენზიო ვადაში წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორად მოახდინა მათი შეფასება – არასწორად გააიგივა მ.გ-ისა და ც.ზ-ის ქმედებები სამინისტროს ქმედებებთან, რადგან პედაგოგები მოქმედებდნენ უფლებამოსილების გადამეტებით, როგორც ფიზიკური პირები, ამასთან არ იკვეთება პედაგოგთა ბრალი ზიანის დადგომაში და ვერ დასტურდება პედაგოგების ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი კი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის არსებობაა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სამინისტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ.გ-ი და ც.ზ-ი, აჭარბებდნენ რა თავიანთ უფლებამოსილებას, მოქმედებდნენ არა როგორც სამინისტროს სისტემის დასაქმებული პირები, არამედ როგორც ფიზიკური პირები. პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში. როგორც წესი სწორედ უფლებამოსილების გადამეტებისას

ხდება ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება, მათ მიერ კანონის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები იშვიათად წარმოადგენენ ზიანის წარმომშობ ქმედებებს. უფლებამოსილების გადაშეცემა, გაუფრთხილებლობა ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას და არა იმას, რომ მუშაკი კერძო პირის სახით მოქმედებს. სამინისტრო თავისი საქმიანობის მიზნებს აღწევს მისი სისტემის თანამშრომლების საქმიანობის მეშვეობით, რომელთა მოქმედება სამინისტროს მოქმედებად ითვლება. პედაგოგების ქმედება დაკავშირებული იყო სასწავლო პროცესის დასრულებასთან, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოწაფეების სკოლის ტერიტორიის გარეთ პედაგოგებთან ერთად გასვლა თავისთავად გულისხმობდა ამ უკანასკნელთა ვალდებულებას გამოეჩინათ წინდახედულება, სიფრთხილე, ეზრუნათ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პედაგოგებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. პედაგოგების ქმედება არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მიუხედავად იმისა, რომ ზიანი დადგა სკოლის ტერიტორიის გარეთ, შესაბამისად არსებობს სამინისტროს სკ-ის 997-ე, 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების საფუძველი. **პედაგოგების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების გადაჭარბებით განხორციელებული ქმედებები სააპელაციო სასამართლომ მართებულად გააიგივა სამინისტროს ქმედებებთან, რადგან პედაგოგები სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირებს წარმოადგენენ, სკოლა, სადაც დასაქმებული იყვნენ პედაგოგები, იყო სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებადი განათლების დაწესებულება. ამდენად, სწორედ სამინისტრო წარმოადგენს პედაგოგთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტს.**

სამინისტრო საკასაციო საჩივარში ასევე უთითებს, რომ პედაგოგთა ბრალეულობა მოცემული ზიანის დადგომაში არ დასტურდება, რადგან 25.09.1996წ. განაჩენით არ არის დადგენილი პედაგოგების – მ.გ-ისა და ც.მ-ის ბრალი. საკასაციო სასამართლო კასატორის ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ პედაგოგების ბრალი ი.გ-ისთვის მიყენებულ ზიანში დასტურდება, რადგან მათ დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა – გამოუცხადდათ საყვედური (ტ.1, ს.ფ.26). დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა პირს ეკისრება დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას, რაშიც თავის მხრივ მოიაზრება სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. განსახილველ შემთხვევაში პედაგოგებმა, გადააჭარბეს რა თავიანთ უფლებამოსილებას, არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები (აღნიშნულზე ასევე მითითებულია განათლების ახალგორის რაიონული განყოფილების გამგის წერილშიც (ტ.1,ს.ფ.25)) და თავიანთი ქმედებებით უხეშად დაარღვიეს აუცილებელი ყურადღებების, წინდახედულობის მოთხოვნები: მათ მოსწავლეები ჩასვეს ისეთ ავტომობილში, რომელიც არ იყო მგზავრთა გადაყვანისთვის განკუთვნილი და ამასთან, ავტომობილის მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რაც მასწავლებლებისთვის შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც ახალგორის რაიონის სასამართლოს 25.09.1996წ. განაჩენში ასახულ მოწმეთა ჩვენებებშია მითითებული, მძღოლი რ.ტ-ი გადმოვიდა ავტომობილიდან და ისე მიესალმა პედაგოგებს. განაჩენის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ ახალგორის რაიონის სასამართლოს განხილვის საგანი იყო მძღოლის – რ.ტ-ის დანაშაულებრივი ქმედების დადგენა, შესაბამისად სასამართლო მითითებულ განაჩენში ვერ იმსჯელებდა პედაგოგების ბრალზე, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ მოცემულ საქმეზე ბრალდებულ სუბიექტებს, მათი ბრალეულობის საკითხი ცალკე განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო, რის შესახებაც აღინიშნა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში, კერძოდ განაჩენში მიეთითა (ტ.1, ს.ფ. 24), რომ პედაგოგებთან დაკავშირებით კერძო განჩინება იყო გამოსატანი, რაც თავისთავად ადასტურებს პედაგოგების ქმედებაში სამართალდარღვევის არსებობას, მათ მიერ მძიმე შედეგის დადგომის ხელშემწყობი პირობის შექმნას. **ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სავალდებულო არ არის ზიანის მიმყენებლის ბრალის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენა, რადგან შესაძლოა ზიანის წარმომშობი ქმედება არ შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. უფრო მეტიც, პირს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც კი შეიძლება დაეკისროს, როდესაც ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლე-**

ბელი განაჩენია გამოტანილი, ამასთან ბრალის სამოქალაქო და სისხლის-სამართლებრივი გაგება არა-იდენტურია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სამინისტროს მითითება იმის შესახებ, რომ საქმეზე არ დასტურდება მ.გ-ისა და ც.ზ-ის ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობის არსებობა.

საფუძველს არის მოკლებული კასატორის მოსაზრება პედაგოგთა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელებასთან ერთად დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირი, ტრადიციული გაგებით, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი აუცილებელი ელემენტია. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. სკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან. განსახილველ შემთხვევაში პედაგოგთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად მოსწავლეები წაყვანილ იქნენ სკოლის ტერიტორიის გარეთ, მოსწავლეები აღმოჩნდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომობილის ძარაზე, სადაც სავსებით არ იყო უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხოება, მანქანა არ იყო განკუთვნილი მგზავრთა გადასაცვანად, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეექმნა მნიშვნელოვანი საფრთხე, რასაც შედეგად მოჰყვა ი.გ-ისთვის მძიმე მატერიალური და მორალური ზიანის მიყენება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამდგარი ზიანი პედაგოგთა მიერ წინდახედულობის ნორმების დარღვევის რეალურ და მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენდა. მძღოლისა და ავტომობილის მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული შედეგის განჭვრეტა, შედეგის თავიდან აცილება, – პედაგოგებისთვის ობიექტურად შესაძლებელი იყო, ამდენად სახეზეა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა პედაგოგების მხრიდან, გაუფრთხილებლობა, რომელმაც მძიმე ზიანი გამოიწვია, რაც სკ-ის 1005-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ დასტურდება პედაგოგთა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, სწორედ პედაგოგთა ქმედებით გამოწვეული რისკის რეალიზაციას მოჰყვა ი.გ-ისთვის ზიანის მიყენება. მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას აღნიშნული ზიანი არ მოჰყვებოდა, მასწავლებლებს მოსწავლეები ავტომობილის ძარაზე რომ არ აეყვანათ. ამასთანავე, კავშირი პედაგოგების გაუფრთხილებლობასა და დამდგარ შედეგს შორის არ წყდება იმის გამო, რომ ზიანი დადგა სკოლის ტერიტორიის გარეთ.

ამდენად, ხსენებულიდან გამომდინარე დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მომუშავე პედაგოგების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების ბრალეული გადამეტების შედეგად ი.გ-ს მიადგა მძიმე მატერიალური და მორალური ზიანი.

ი.გ-ი მოითხოვს აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, კერძოდ, სპეციალური სამედიცინო მომვლელის ხარჯის, ყოველთვიური სარჩოს, მომავალში გასაწევი სარეაბილიტაციო ხარჯის და მოსარჩელის დასახიზრებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების ხარჯების დაკისრებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელეს აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს ხანდაზმულობის მოტივით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი უკავშირდება მატერიალური ზიანის მიყენების მომენტს, საკასაციო პალატა თვლის,

რომ სამედიცინო მომვლელის ხარჯის, ყოველთვის სარჩოს, სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარი არ არის საკმარისად დასაბუთებული. მოსარჩელის მოთხოვნათა ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. **საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი.გ-ი ითხოვს მიყენებული ტრავმის შედეგად მომავალში და არა წარსულში გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ამასთანავე 1996 წელს მომხდარი ავარიის შედეგად დამღარი ზიანი განგრძობადი ხასიათისაა, მიყენებული ზიანის შედეგად მოსარჩელეს გაეზარდა მოთხოვნილებები დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. მომვლელის, სარჩოს დაკისრების მოთხოვნა შესაძლოა არ წამოიშვას დაზიანებისთანავე, ეს მოთხოვნა შესაძლოა მკურნალობის უშედეგობის გამო დადგეს, რის გამო ამგვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დადგენილია არა სკ-ის 1008-ე მუხლის დანაწესით, არამედ სკ-ის 129-ე მუხლით, მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი ეფუძნება სკ-ის 408.2 მუხლის დანაწესს, რის გამო ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის დადგენა ხანდაზმულობის ზოგად წესს უნდა დაემყაროს. სარჩოს დანიშვნის სხვა შემთხვევები (მაგ. მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილისთვის სარჩოს გადახდა, შვილის მიერ მშობლის რჩენის ვალდებულება), უკავშირდება მხოლოდ სარჩოს გადახდის საჭიროებას და არ არის დაკავშირებული მოთხოვნის წარმოშობის მომენტის ხანდაზმულობასთან. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე სადავოდ არ ხდის საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებში თვითთელი პერიოდი ცალკე ხანდაზმულობის ვადას ქმნის და მოთხოვნილია არა წარსული პერიოდის, არამედ მხოლოდ სამომავლო ხარჯების ანაზღაურება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით უარის თქმა არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მით უფრო, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი სპეციალური სამედიცინო მომვლელის დანიშვნას არ ზღუდავს ინვალიდობის დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით სათანადო საჭიროებისას პირს აქვს შესაძლებლობა მისთვის მისაღებ დროს მოითხოვოს სამედიცინო მომვლელის დანიშვნა. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთის მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებით და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, ამავე კანონის 26.1 მუხლის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ამდენად, კანონი ითვალისწინებს მომვლელის დანიშვნას და არა მისი მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას. შესაბამისად, მოცემული მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული მოთხოვნის მიმართ დაზუსტებას საჭიროებს მოპასუხეთა წრეც, რადგან აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის 31.12.05წ. №249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების ნორმების გათვალისწინებით, სწორედ აღნიშნული სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება.**

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლები)

ავთანდილ ლ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის – ქ. თბილისის მე-რიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება /იხ.ს.ფ. 1-4/.

მოსარჩელის მითითებით, 2005 წლის 16 ივლისს ის მოძრაობდა თბილისის მცხეთის მიმართულებით, საკუთარი ავტომობილით „მერსედეს-ბენცი“, რა დროსაც დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, სავალი გზის საფარის დაზიანების, განათების გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობის გამო, მოხდა ავტოსავაზო შემთხვევა და დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა.

მოსარჩელის ავტომანქანის დაზიანების გამო, შპს „...“ მიერ ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა მიყენებული ზიანი 454 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ლ-ას საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება /განზრახვა ან გაუფრთხილებლობა/ დადგენილი არის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ დავაში არ არსებობს მითითებული სამართლის ნორმის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები რეგლამენტირებულია რა სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, ჰ“ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონით, „საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის შესახებ“ კანონით, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა მმართველობის ორგანოების ტერიტორიული იურისდიქციის შესაბამისი კომპეტენცია მმართველობის სფეროში, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნას, როგორც მოქალაქეთა განცხადებების, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის

შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 10.10 № 66 ბრძანებით დამტკიცებული თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნება თბილისის გარეგანათების უზრუნველყოფა, შიდა სარგებლობის გზების შეკეთება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების მოწესრიგება. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად და სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს იყო თუ არა საგზაო შემთხვევის ადგილზე მოპასუხის მიერ მითითებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება უზრუნველყოფილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონით დადგენილი საჯარო ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უფლებას, რომლის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალურ ფორმას სწორედ სარჩელი წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშეც. ამდენად, საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს საჯარო ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იქნა თუ არა ჯეროვნად შესრულებული, შეუსრულებლობის შემთხვევაში იყო თუ არა პრევენციული ზომები (გამაფრთხილებელი ნიშნები) მიღებული, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო საგზაო შემთხვევები.

საკასაციო სასამართლო სრულად კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის განმარტებას შემდეგზე, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია სახელმწიფო ან მისი მოსამსახურის მიერ ადგილი ჰქონდეს განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას და რომ აღნიშნული გამომდინარეობს სახელმწიფოს როლის გაზრდისა და სულ უფრო ყოვლისმომცველი ხასიათის დამკვიდრებიდან, ასევე **სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სახელმწიფოს ნებაზე პრიორიტეტულად აქციოს ინფრასტრუქტურის აღდგენა, რისთვისაც ასეულობით მილიონი ლარი არის გამოყოფილი საავტომობილო გზების შეკეთებისათვის და ახალი გზების დასაგებად, რომ სახელმწიფოს ცხოვრების ამ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს სახელმწიფოს როლის განმტკიცება, მისი ვალდებულების რეალურად განხორციელება, მიზანშეუწონელია სახელმწიფოს დაეკისროს გზების დაზიანების გამო მოქალაქეთათვის ზიანის ანაზღაურება და რომ ამ საკითხს სახელმწიფოს საზიანოდ გადაწყვიტა აუცილებლად გამოიწვევს მსგავსი დავების დიდი რაოდენობით გაზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს /იხ.ს.ფ. 78/, არაფერი აქვს საერთო ობიექტურ, მიუკერძოებელ და სამართლიან მართლმსაჯულებასთან, რაც საქართველოს მოქალაქეთათვის გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.**

ზემოთითებული მსჯელობა ადასტურებს, რომ სასამართლომ დავა გადაწყვიტა არა საქმის ფაქტობრივი მასალების ობიექტური შეფასების საფუძველზე, არამედ მიზანშეუწონილებიდან გამომდინარე, რაც სრულ წინააღმდეგობაშია მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საქმე № ბს-1116-1067(კ-07)

17 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წელს ქ. ჭიათურაში „...“ მთიდან მოწყვეტილმა, დაახლოებით 16-ტონიანმა ლოდმა დაანგრია პ. ნ-ის საცხოვრებელი სახლი, ხოლო პ. ნ-ემ რამდენჯერმე მიმართა ჭიათურის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

(ტ. 1, ს.ფ. 4-6). შპს „.....“ გეოლოგის დასკვნის მიხედვით, ქ. ჭიათურაში, ქუჩის № 50-ში მცხოვრებ პ. ნ-ის საცხოვრებელ სახლს „.....“ მხრიდან დაეცა კირქვის ლოდი, დიამეტრით სამი მეტრი, სისქით 60-80 სმ. ლოდი დაეცა სახლს 80-100 მეტრის სიმაღლიდან, რომელიც მოსწყდა „.....“ კლდის ვერტიკალურ კედელს, რაც გამოწვეული იყო ნაპრალებით, რომლებიც ძლიერი წვიმის დროს უფრო ირეცხებოდა და ქმნიდა საშიშროებას. ამასთან, აღნიშნულმა ლოდმა დააზიანა პ. ნ-ის საცხოვრებელი სახლის სახურავი, მზიდი კედლები და ტიხრები, სახლი აუცილებლად საჭიროებდა გადახურვას და მზიდი კედლებისა და ტიხრების გამაგრებას, ლოდი ადგილზე უნდა დამტკრეულიყო პნევმატური ჩაქუჩით, „.....“ კლდის მხარეს ნაპრალების შემოწმება და ლოდების დროულად მოცილება აუცილებელი იყო, რადგან ძლიერი წვიმებისა და ყინვების დროს მოსალოდნელი იყო ქვების ცვენა (ტ. 1, ს.ფ. 8). საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 21 ნოემბრის წერილის მიხედვით, ჭიათურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისადმი, ხსენებული გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩინდა პ. ნ-ეს (ტ. 1, ს.ფ. 10). 2005 წელს შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, პ. ნ-ის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038 ლარი (ტ. 1, ს.ფ. 73-76). ჭიათურის რაიონის გამგეობამ (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) პ. ნ-ეს ორჯერ მისცა თანხა, ჯერ 300 ლარის, ხოლო შემდეგ – 1000 ლარის ოდენობით (ტ. 1, ს.ფ. 113-114). საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის 2007 წლის 31 მაისის № 17/840 წერილის მიხედვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, გეოლოგიის სამსახურმა ჩაატარა სპეციალური კვლევები და დასახა გამაჯანსაღებელი რეკომენდაციები, ხოლო ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დამუშავდა სათანადო ღონისძიებების პროექტი და გადაეცა ქ. ჭიათურის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას, ქ. ჭიათურაში, ქუჩაზე კი კლდეზვავებისა და ქვათაცვენებით გამოწვეული საშიშროების შესახებ გეოლოგიის სამსახურმა ჯერ კიდევ 2000 წელს გაუგზავნა ჭიათურის იმდროინდელ ხელმძღვანელობას ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის თაობაზე და სამუშაო პროგრამა (ტ. 2, ს.ფ. 22-23). ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 თებერვლის № 107 წერილში აღნიშნულია, რომ „.....“ კლდის თავზე მალაროთა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მანგანუმის მადნის მოპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილზე გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა „.....“ კლდეს (ტ. 2, ს.ფ. 25). საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 15 ოქტომბრის № 01-5/3120 წერილის თანახმად, „.....“ კლდიდან ლოდის მოწყვეტის მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან ხსენებული ფაქტი მოხდა 2005 წელს და იმჟამად ყველანაირი კვალი, როგორც მიწაზე, ასევე კლდეზე (მოწყვეტილი ლოდის ფუძეზე) განადგურებული იქნებოდა (ტ. 2, ს.ფ. 36).

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ პ. ნ-ის ზიანის მიყენება კომპლექსურად განაპირობა და ერთობლივად გამოიწვია, როგორც ბუნებრივმა, ანუ სტიქიურმა, ისე ადამიანურმა, ანუ ხელოვნურმა ფაქტორმა, რამაც ობიექტური თვალსაზრისით, მატერიალური გამოხატულება ჰპოვა, შესაბამისად, სტიქიური მოვლენის მოქმედებასა და შესაბამისი ვალდებული სუბიექტის – მოპასუხის პასიურობაში, უმოქმედობაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ ლოდის ჩამოვარდნა გამოწვეული იყო კლიმატური პირობებისა და მადნის უკანონო მოპოვების შედეგად, ხოლო ამ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მიიღო რაიმე ზომა ამ შემთხვევის თავიდან აცილებისათვის და შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) წარმოადგენს მოცემულ საქმეზე მოპასუხეს, რადგან ჭიათურის რაიონის გამგეობამ (უფლებამონაცვლე – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) არ უზრუნველყო უბედურების შედეგების ლიკვიდაცია, ანუ მისი უმოქმედობით დადგა მძიმე შედეგი, ამიტომ მას უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, ჭიათურის რაი-

ონის გამგეობის უმოქმედობა ბრალეულ და მიზნობრივ კავშირში იყო მოსარჩელის სახლის დანგრევასთან, რამდენადაც „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება* და აღნიშნული ღონისძიება არ გატარებულა მოპასუხის მიერ, ამიტომ პ. ნ-ის 1300 ლარის გადაცემა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, გულისხმობდა ვალდებულების აღიარებას, იმავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად კი, ყოველი შესრულება გულისხმობდა ვალდებულების არსებობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაცენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით რეგლამენტირებულ მავალდებულებელ ნორმაში, ჯერ ერთი, საუბარია ბრალის ორივე ფორმაზე, ანუ ზიანის მიმყენებელს გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევაში ეკისრება ზიანის ანაზღაურება და მეორეც, მიყენებულ ზიანში, ძირითადად, აქტიური მოქმედებით მიყენებული ზიანი იგულისხმება, თუმცა ზიანი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ასევე უმოქმედობით იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების შესრულება ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენდა. ამასთან, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის მიხედვით, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად ზიანის მიყენებაში მანამ, სანამ იგი არ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას, მიყენებული ზიანი კი ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას ვალდებული პირის მიერ, ანუ აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელი, ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა, ამ შემთხვევაში, სათანადო ფულადი კომპენსაციით.

საქმე № ბს-1030-994(კ-08)

10 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ყოფილი გამგებელი – რ. შ.-ი და გ. თ.-ე სადავო სამართალურთიეთობაში სათანადო მოპასუხეებს, რამდენადაც დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს, კერძო სამართლის იურიდიული პირის და ფიზიკური პირებისათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, მაშინ, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება თუ რა ზიანი მიადგა კონკრეტულად მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ასევე ყოფილი გამგებლის – რ. შ.-ის მიერ, ანუ სახეზე იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი ადგენს განსაკუთრებულ წესს მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, სოლიდარულია ვალდებულება, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადად მოთხოვნის უფლება, რა დროსაც ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სუბიექტთა სოლიდარული ვალდებულება უმეტესად დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის, როდესაც ურთიერთობის ერთ მხარეზე რამდენიმე მოვალე, ხოლო მეორე მხარეს კრედიტორი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად არის სახეზე მოპასუხეებისათვის სოლიდარულად პასუხისმგებლობის დაკირების წინაპირობები სახეზე.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/. ზოგადი კოდექსის 207.2. მუხლით კი ცალსახად განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაძლებელია წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითაც. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, სახეზეა თუ არა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული მმართველობითი ღონისძიებების მოწესრიგებისას მოსარჩელე ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებასა ან უმოქმედობასა და მოსარჩელეზე მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, რაც აუცილებელი პირობაა ზიანის განსაზღვრისას. შესაბამისად, რამდენად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობაში სათანადო მოპასუხეს, ხოლო იმ ვითარებაში, თუ ამგვარი საქმის განხილვისას არ დადასტურდა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს თუ რამდენად წარმოადგენს განსჯად სასამართლოს, კერძოდ ექვემდებარება თუ არა საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა გამოარკვიოს, რამდენად წარმოადგენს ყოფილი გამგებელი რ. შ.-ი, სადავო სამართალურთიერთობაში სათანადო მოპასუხეს, ხოლო იმ პირობებში თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს ზიანი მიაღდა მოპასუხის რ. შ.-ის, როგორც გამგებლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განხორციელებული მმართველობითი ღონისძიებათა შედეგად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV

თავით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესის მიხედვით; კანონმდებელი აღნიშნული თავის ნორმებით ადგენს პროცესუალურ სტანდარტს, დავაში სათანადო მოპასუხის განსაზღვრით, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.2 მუხლი/.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლო სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია თუ არა სათანადო მოპასუხის – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, შესაბამისი პირობების არარსებობისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და ჩაატაროს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები არასათანადო მოპასუხის დადგენის და სათანადო მოპასუხით შეცვლის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასევე სრულიად გაურკვეველია მოპასუხის გ. თ.-ის სტატუსი სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენადაც საქმის მასალებით არ დგინდება და არც სასამართლოს გამოუკვლევი, სახეზეა თუ არა გ. თ.-ის მიერ დელიქტით მიყენებული ზიანის გამო ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები, რამ განაპირობა მის მიმართ სარჩელის აღძვრა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემომითითებული საპროცესო მოქმედებების შესრულების შემდეგ, ასევე უნდა იმსჯელოს თუ რამდენად არის სახეზე ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რამდენადაც, სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მოპასუხეების (მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ უკანონოდ იქნა გატანილი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ვაგონის ჯიხური, რა დროსაც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხის ადმინისტრაციული ორგანოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცემულმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტმა, მოქმედებამ ან უმოქმედობამ მიაყენა მოსარჩელეს ზიანი, ხოლო იმ პირობებში, თუ სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების და საპროცესო მოქმედებების შესრულების საფუძველზე დაადგენს, რომ ამგვარს ადგილი არ ჰქონდა, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.5 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე თუ რამდენად არის სახეზე სამართლებრივი ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა.

საქმე № ბს-409-394(კ-09)

23 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით დავის გადაწყვეტის მართებულობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილში აღიარებულმა უფლებამ ასახვა ჰპოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

იმავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლ-საწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვა-

ლეობა სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა უდავოდ დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

წინამდებარე საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოები საქმის მასალებსა და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით უდავოდ მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა არ უზრუნველყვეს ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც გამორიცხავდა მისი თვისებების შეცვლას.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებისათვის იმთავითვე იყო ცხადი ის შედეგი, რაც თევზის არასათანადო პირობებში შენახვას მოჰყვებოდა.

მითითებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სარჩელის გადაწყვეტისას სასამართლოთა მხრიდან მართებულად იქნა გამოყენებული დელიქტური ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

წინამდებარე საქმის მასალებით დადგენილია, რომ თევზის, როგორც ნივთმტკიცების, ამოღება აწარმოეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია ნივთიერი მტკიცებულება შეინახოს ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას,* ხოლო ამავე კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას.**

საქმე № ბს-1521-1478 (2კ-08)

5 აგვისტო, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.06.2008 წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. დ-შვილმა უფლებამოსილების გადამეტებით 26.10.1992 წ. № 10 ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. 04.11.1992წ. გ.ბ-შვილი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს ღალატის ბრალდებით. გ. ბ-შვილს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ 09.11.1992 წ. განაჩენით სამშობლოს ღალატისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს მოყვანილი იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 18.05.2001 წ. დადგენილებით გ. ბ-შვილის და

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი.

** მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო, ამავე თარიღის დადგენილებით თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის წარმოებაში არსებულ № 22594/004 საქმეზე ე. მ-შვილი ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 04.04.2002 წ. დადგენილებით გ. ხ-შვილი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად.

საკასაციო პალატა არ იზიარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ობიექტური ოდენობის განსაზღვრისათვის საქმეში არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ გარემოებებს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნავს, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მოთხოვნა, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. დადგენილია პ. დ-შვილის და გ. ე-შვილის უკანონო, დანაშაულებრივი ქმედებები, ამ ქმედებებით გამოწვეული ტრაგიკული შედეგი. საქმეში დატყობილ აფხაზეთის საბრძოლო გარნიზონის კომენდანტის მიერ 20.11.1992წ. გაცემული № 3582 და № 3583 საშვები სოხუმიდან თბილისის მიმართულებით გასვლის თაობაზე, რაც ადასტურებს ე. მ-შვილის ჩვენების მართებულობას შვილის გარდაცვალების შემდგომ ცხედრის მოძებნისა და გადმოსვენებისათვის სოხუმის ტერიტორიაზე მისი გამგზავრებისა და ყოფნასთან დაკავშირებით, რაც ცხადია დაკავშირებული იყო მატერიალურ ხარჯებთან. მატერიალური სახსრების გაწევას ადასტურებს აგრეთვე თვით მოსარჩელეთა ჩვენებები, რომელთა საწინააღმდეგო რაიმე მტკიცება მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ წარმოუდგენია. საკასაციო პალატა თვლის, რომ კონფლიქტურ რეგიონში ორჯერ ჩასვლა-წამოსვლასთან, რეგიონში იმუამად არსებულ ვითარებაში გადაადგილებასთან და ყოფნასთან, საფლავის მოძიებასთან დაკავშირებული ხარჯები ამართლებს სასამართლოს შინაგან რწმენას მოსარჩელების მიერ განცდილი ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ გაწეული მატერიალური ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში სრულყოფილი წარმოდგენის შეუძლებლობა ობიექტური მიზეზებით, იმ დროისათვის არსებული ექსტრემალური პირობებით იყო გამოწვეული, რაც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს (სსკ-ის 106-ე მუხ. „ა“ ქვეპუნქტი). უდავოა და ეჭვს არ იწვევს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ანუ მოსარჩელების მიერ ხარჯის გაწევა გამოწვეული იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო დამდგარი შედეგით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს მატერიალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში. შედეგობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ რეაბილიტირებული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხ., ამაჟამად მოქმედი კოდექსის 1005-ე მუხ., 26.12.1964წ. სამოქალაქო კოდექსის 460-ე მუხ.). ხსენებული პირობების ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას, რაც ამაჟამად მოქმედი 992-ე, 1005-ე, 26.12.1964წ. სკ-ის 457-460 მუხლების საფუძველზე მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველს ქმნის.

საქმე № ბს-1338-1302(კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სანოტარო მოქმედების არასწორად განხორციელების გამო ზიანის ანაზღაურება

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აწ გარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ-ეს შორის 15.06.99 წ. დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ქ. № 16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე, ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმდა ნოტარიუს ე. მ-ას მიერ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარ-

მეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აწ გარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ-ის შორის ქ. თბილისში, ქ. № 16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე 15.06.99 წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ხელშეკრულების ბათილად ცნობას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვ. შ-ა არ ფლობდა ქართულ ენას, ხოლო ნოტარიუსს ხელშეკრულების დადების დროს არ მოუწვევია თარჯიმანი, არ განუმარტავთ ვ. შ-თვის ხელშეკრულების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 04.12.03 წ № ას-160-869-03 განჩინებით ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დამაყოფილდა, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილება.

კასატორი ნოტარიუსის მოქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადასტურებლად მიუთითებს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილებაზე და თვლის, რომ ნოტარიუსის ქმედებიდან გამომდინარე, დღეისათვის მას საკუთრებაში არ გააჩნია ბინა, რაშიც გამოიხატა მისთვის ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების არასწორად განხორციელებით მიყენებული ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება საჭიროებს კონტრაჰენტთა ორმხრივი ნების გამოვლენას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საფუძველს მოკლებულია ლ. ბ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანი აისახება იმ უძრავი ქონების ღირებულებაში, რომელიც საკუთრებაში ექნებოდა მას ნასყიდობის ხელშეკრულება რომ არ გაუქმებულიყო. აღსანიშნავია, რომ ბათილ გარიგებას არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება მისი დადების მომენტიდან და მხარე, რომელმაც მიიღო ქონება არ იძენს ქონებაზე უფლებას. ამდენად, ლ. ბ-ის საკუთრებაში ბინის არარსებობა რაიმე ზიანს არ წარმოშობს, ვინაიდან მას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ მოუპოვებია გამყიდველი პირის ნების არანამდვილობის გამო. ზიანის არარსებობა გამორიცხავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ნოტარიუსის ქმედებასა და ზიანს შორის. ნოტარიუს ე. მ-ას მიერ მოსარჩელე ლ. ბ-თვის ზიანის მიყენება არ დასტურდება თბილისის საოლქო სასამართლოს 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში მყოფ თბილისის საოლქო სასამართლოს 02.11.04 წ. განჩინებით ე. მ-ას განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული, განცხადების განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასამართლოს 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა განმცხადებელი, ე. მ-ას უფლებები და მოვალეობები რომელიმე მხარის მიმართ არ დადგენილა, უფრო მეტიც, 26.03.03 წ. გადაწყვეტილებაში იგი საერთოდ არ არის მითითებული.

ნების გამოვლენა გარიგების უმთავრესი ელემენტია, ადამიანის ცნობიერებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეგნული გამოვლენაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დასადასტურებლად საჭირო ბინის მესაკუთრის ნება. ის გარემოება, რომ ვ. შ-ა არ ფლობდა ქართულ ენას, რომელზედაც გაფორმებული იყო ხელშეკრულების ტექსტი, ხელშეკრულების დადებას არ ესწრებოდა თარჯიმანი, ვ. შ-ას არ განემარტა ხელშეკრულების შინაარსი, ადასტურებს იმას, რომ მას არ გამოუვლენია ბინის გაყიდვის ნება და არ მიუღია ხელშეკრულების კონტრაჰენტის ნება ბინის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასად შესყიდვაზე. ამდენად, არ დასტურდება, რომ გარეგნულად ხელშეკრულების ტექსტში ასახული ნება ემთხვეოდა პირის სურვილს მოეხდინა ბინის მოსარჩელისთვის მიყიდვა, არ დასტურდება, რომ ვ. შ-ას მიერ 15.06.99 წ. ხელშეკრულების ტექსტის შინაარსის გაცნობა მისი მხრიდან უცილობლად გამოიწვევდა ბინის გაყიდვის ნების გამოვლენას, მყიდველის მიერ შეთავაზებული პირობის მიღებას, ამ მიმართებით მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამდენად, სახეზე არ არის თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე პირის ნამდვილი ნება ბინის გაყიდვაზე, რის გამო, სახეზე არ არის ზიანი, რომელიც ანაზღაურების დაკისრების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად, არ დასტურდება უშუალოდ ნოტარიუსის ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მი-

ყენება, ნოტარიუსის მიერ სამართალწარმოების წესების ყოველგვარი დარღვევა არ უკავშირდება ქონებრივ პასუხისმგებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დელიქტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო პირობა – ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საქმე № ბს-1107-1096 (კ-11)

3 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. დათუაშვილმა უფლებამოსილების გადამეტებით 26.10.1992 წ. N10 ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. 04.11.1992წ. გ.ბ-ი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს ღალატის ბრალდებით. გ. ბ-ს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ 09.11.1992 წ. განაჩენით სამშობლოს ღალატისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს მოყვანილ იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 18.05.2001 წ. დადგენილებით გ. ბ-ის და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო არ აღიძრა, ხოლო ამავე თარიღის დადგენილებით, თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის წარმომებაში არსებულ N22594/004 საქმეზე ე. მ-ი ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 04.04.2002 წ. დადგენილებით გ. ბ-ი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა შვილის – გ. ბ-ის მიმართ უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მოხდა უკანონოდ, იმუამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა სრული უგულებელყოფით. პ. დათუაშვილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტებით სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნისათვის 12.01.1995წ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში სსკ 274-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 25.01.1995წ. შეწყდა გარდაცვალების გამო. ასევე, მოსარჩელებს უარი ეთქვათ უკანონოდ შექმნილი სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარის გ. ებიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მისი გარდაცვალების გამო. გ. ბ-ის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ, რასაც სსკ-ის 106-ე მუხლის მიხედვით პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმის მიმართ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნის თაობაზე, ასევე გ. ხაჩირიშვილის სამშობლოს მოღალატედ მიჩნევის თაობაზე ცნობა გამოქვეყნდა მასმედიის საშუალებით /იხ.ს.ფ. 189, ტ. II/.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანი მათ უშუალოდ დანაშაულით მიადგათ.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაც-

ვალეხას, არამედ აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ შვილის სამშობლოს მოლაღატედ გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამორგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, ნ. ბ-ი, გარდაცვლილის მამა, ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, ე. მ-ს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგათ მორალური ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საქმის მასალებით უტყუარად დგინდება სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია მოსარჩელეთა სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, მათ ჩვეულ გარემოში ადაპტირების შეუძლებლობა, რამდენადაც ცნობა, მათი შვილის სამშობლოს მოლაღატედ მიჩნევისა და დახვრეტის თაობაზე (რომელიც შემდგომ უდანაშაულოდ – რეაბილიტირებულად იქნა ცნობილი) მასმედიის საშუალებებით იქნა გამოქვეყნებული, მოსარჩელები რამდენჯერმე გადაადგილდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე შვილის ცხედრის გადმოსასვენებლად, რაც ასევე მძიმე სულიერ განცდებთან და რისკთან იყო დაკავშირებული.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას, შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია თავად განსაზღვროს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული ტკივილის (სულიერი, ფიზიკური) კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩე-

ლის მხოლოდ მოსაზრებაა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულების საკითხს განეკუთვნება. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად და მისი მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩევეების შვილის – გ. ხ-ის დამნაშავედ, სამშობლოს მოლალატედ ცნობა და მის მიმართ სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ განაჩენის გამოტანა, განეკუთვნება მორალურ ზიანს, მითუფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სამხედრო პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის, ასევე, სახეზეა ხელმყოფი პირის ბრალი, რამდენადაც, გ. ხ-ის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. შესაბამისად, პროპორციულობის გათვალისწინებით, ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდა.

საქმე № ბს-494-488(2კ-12)

25 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)

სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. **მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ქონებრივი მდგომარეობა, მკურნალობის ხანგრძლივობა, შრომის უნარის დაკარგვა, ზიანის მიყენების შედეგად მოთხოვნილებების და როგორც შედეგი – ხარჯების გაზრდა და სხვ.** მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.

საქმე № ბს-648-623(2კ-13)

10 აპრილი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო დაკავების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)*

საკასაციო სასამართლო მითითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი

* ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. სუსგ №ბს-656-631(2კ-13), 10 აპრილი, 2014 წელი.

ნაწილით და სასჯელის სახით და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 02 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით, ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მორალური ზიანის – 10 000 ლარის საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონოდ დაკავება და პატიმრობა წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ბუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გამრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ბუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსაზრებას, ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში განსაზღვრული არამატერიალური ზიანის (Non-Pecuniary Damage) თანხის ოდენობასთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევრო-სასა-

მართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევრო-სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხის ოდენობა მაღალია. **საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსარჩელის უკანონო პატიმრობას მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, რაიმე დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება არ გამოუწვევია.**

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმეს, კერძოდ, მას 2012 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 18 მარტამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული არის გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო ევრო-სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა – 7500 ლარია.

საქმე № № ბს-1779-1747 (კ-11)

28 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 10.09.2010წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის № ბდ 420408 ოქმის თანახმად, 10.09.2010წ. მესტიის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე, „კამაზის“ მარკის ავტომანქანის (სახ. ნომ.: ...) მძღოლმა ფ. კ-მა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და შეეჯახა საპირისპირო მხრიდან მოძრავ ნ.ფ-ის მართვის ქვეშ მყოფ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანას (სახ. ნომ.: ...), რამაც გამოიწვია სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. ფ. კ-ი დაჯარიმდა 250 ლარით (ტ.1, ს.ფ.13). ავტომობილის № MI30416/10 დაზღვევის პოლისის თანახმად, ავტომანქანა „მიცუბიში ჩელენჯერი“ (სახ.ნომ.: ...) დაზღვეული იყო სს „...“ (ტ.1, ს.ფ.17). შპს „...“ მიერ 17.09.2010წ. გაცემული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანის (სახ.ნომ.: ...) მიმართ შესრულებული სამუშაოების ხარჯებმა შეადგინა 9325 ლარი, ევაკუატორის მომსახურებამ – 1200 ლარი (ტ.1, ს.ფ.18,23). 28.09.2010 წ. საგადასახადო დავალების თანახმად, სს „...“ მიერ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანის მესაკუთრის ზ.გ-ის ანგარიშზე გადარიცხულ იქნა სადაზღვევო ანაზღაურება 5619 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, კერძოდ, 10 230 ლარი და 51 თეთრი (ტ.1, ს.ფ.25). ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მზღვეველმა აუნაზღაურა დამზღვევეს ზიანი. სკ-ის 832-ე მუხლის მიხედვით, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს. განსახილველ დავაში მოსარჩელე სს „...“ სარჩელზე მოპასუხეებს წარმოადგენენ ფ. კ-ი, აფხაზეთის ა.რ. მთავრობა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა. მოპასუხე ფ. კ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.07.11წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5619 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში არ გასაჩივრებულა, რის გამოც საკასაციო სასამართლო ფ. კ-ისათვის თანხის დაკისრების ნაწილში მსჯელობას ვერ იქონიებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 992-ე მუხლის, არამედ აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე. სზაკ 207-ე მუხლის

მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნორმები იმ შემთხვევაში, უკეთეს ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სზაკ 208-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პასუხს აგებს, როგორც მისი მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის, ასევე იმ კერძო პირის ქმედების შედეგად დამდგარი ზიანისთვის, რომელიც თვითმმართველობის ორგანოს დავალების საფუძველზე მოქმედებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფ. კ-ი არ იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე არ გამოირიცხავს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ პასუხისმგებლობა ზიანისთვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი (სკ-ის 999.1 მუხ.). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას ხელშეკრულების საფუძველზე. სკ-ის 155.2 მუხლის თანახმად, მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან, მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. საქმეში დაცულია ფ. კ-სა („დაქირავებული“) და მესტიის მუნიციპალიტეტს („დამქირავებელი“) შორის 01.02.2009წ. დადებული №93 შრომითი ხელშეკრულება (ტ.1, ს.ფ.196), რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაქირავებული დამქირავებლისთვის ახორციელებს მოსახლეობის ტრანსპორტირებას: მესტია – ბეჩო – მაზერის მიმართულებით. ამავე ხელშეკრულების 5.1.2 პუნქტით დამქირავებელი მოვალეა მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-6 მუხლში მითითებული ოდენობით, რომლის თანახმად, დაქირავებულის ანაზღაურებას წარმოადგენს სვლა-გეზიდან მიღებული შემოსავალი.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ფ. კ-ს შორის 01.02.09წ. დადებული №93 ხელშეკრულების თანახმად, ფ. კ-ი ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დავალებით ახორციელებდა გარკვეულ ანაზღაურებად საქმიანობას, შესაბამისად, სზაკ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას, წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ დადგინდება, რომ ავტოავარიის შედეგად ზიანის მიყენებისას ფ. კ-ი მოქმედებდა დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. აღნიშნულ გარემოებაზე მსჯელობის გარეშე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტზე ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები არ არსებობს მისი არაბრალეულობის გამო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ ფიზიკური პირის ბრალეულობა გამოიხატება განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, რაც პირის სუბიექტური დამოკიდებულებით განისაზღვრება, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამ სხვაობას განაპირობებს ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო როგორც ასეთი თავად არ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, იგი თავის საქმიანობას ახორციელებს თავისი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობის შეფასებისას, უნდა შეფასდეს სწორედ ამ პირისა თუ ორგანოს ბრალეულობის საკითხი. განსახილველ შემთხვევაში თვითმმართველობის ორგანოს დავალებით მოქმედ პირს წარმოადგენს ფ. კ-ი, რომელიც მოქმედებდა ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ, რის შედეგადაც დადგა ზიანი. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანის დადგომაში არ იკვეთება ფ. კ-ისთვის „დავალების მიმცემის“ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრალი არ გამოირიცხავს უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმადაც, მოვალე, რომელიც თავისი ვალდებულებების შესრულებისას იყენებს მე-სამე პირებს, ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს მესამე პირების ქმედებებისთვის, როგორც საკუთარი ქმედებების დროს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას (სკ-ის 999.1 მუხ.), რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა. მძლოლი ფ. კ-ი სატრანსპორტო საშუალებას იყენებდა მფლობელის – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნებართვით, შესაბამისად, ად-

გილი არ ჰქონია მფლობელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას – ფ. კ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენებას (სკ-ის 999.4 მუხ.). გამგეობის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ გამოირიცხავს აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას შეადგენს მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და არა უშუალოდ მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ შეიცავს ასეთი მომსახურების აკრძალვის რაიმე ნორმას, ამასთანავე მესტიის გამგეობას ავტოსატრანსპორტო საშუალება სწორედ გამგეობის ინიციატივით გადაეცა (იხ. მესტიის გამგეობის 26.08.08 წ. № 284 წერილი), ხოლო გამგეობასა და ფ. კ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ცნობილი არ ყოფილა.

რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც მოსარჩელე ავტომობილ „კამაზის“ (სახ.ნომ.:...) შესაკუთრედ მიიჩნევს და სკ 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ითხოვს ზიანის ანაზღაურების მასზე დაკისრებას, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს აფხაზეთის ა.რ. მთავრობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ავტომანქანა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადასცა აფხაზეთის ა.რ. ეკონომიკის სამინისტრომ, მინისტრის პირველი მოადგილის 27.11.08წ. № 01/126 ბრძანებით აფხაზეთის ა.რ. კუთვნილი, სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანა გადაეცა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას სამსახურებრივი საჭიროებისთვის („სსიპ აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 24.03.2009წ. № 5 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დაევალა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებისთვის – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოსთვის გადაცემა). ხსენებული ბრძანების საფუძველზე აფხაზეთის ა.რ. ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტს და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 28.11.08 წ. დადებული ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, მონათხოვრე ვადებული იყო „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე არ გადაეცა ქონება სარგებლობაში მესამე პირისთვის. მასვე უნდა გაეწია ყველა ხარჯი, ეზრუნა ქონების ნორმალური მოვლისთვის, რაც „გამნათხოვრებლის“ მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარებოდა. ხელშეკრულების თანახმად, გამგეობას ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისთვის გადაცემა არ შეეძლო აფხაზეთის ა.რ. მთავრობის წერილობითი თანხმობის გარეშე. საქმეში არ მოიპოვება ასეთი თანხმობა. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აფხაზეთის მთავრობის ნებართვის გარეშე გადასცა ავტომანქანები ფ. კ-ს, რომელიც, როგორც აღინიშნა, მესტიის მუნიციპალიტეტის დავალების საფუძველზე ახორციელებდა მგზავრთა გადაყვანას. ამდენად, იმისთვის რომ დადგინდეს რამდენად შეესაბამებოდა მესტიის მუნიციპალიტეტის ეს ქმედება მუნიციპალიტეტსა და აფხაზეთის ა.რ. ეკონომიკის სამინისტროს შორის დადებული თხოვნების ხელშეკრულების 2.3. პუნქტს, (მონათხოვრე ვალდებულია „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე არ გადაეცეს ქონება სარგებლობისათვის მესამე პირებს), უნდა გაირკვეს მიიჩნევა თუ არა ფ. კ-ი მესამე პირად ხელშეკრულების ამ პუნქტის მიზნებისთვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გამგეობის მიერ ფიზიკური პირისთვის ავტომობილის სამართავად გადაცემა, თავისთავად არ ქმნის ამ პირის „მესამე პირად“ მიჩნევის საფუძველს, რადგან ადმინისტრაციული ორგანო, როგორც აღინიშნა, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით, შესაბამისად, ბუნებრივია ავტომობილის ფიზიკური პირისათვის სამართავად გადაცემა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთ ფიზიკურ პირებად, შეიძლება მოვიაზროთ ერთი მხრივ, ორგანოს თანამდებობის პირები ან მოსამსახურეები და მეორე მხრივ, ფიზიკური პირები, რომლებიც ორგანოს დავალების საფუძველზე გარკვეულ საქმიანობას ახორციელებენ. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ფ. კ-ს შორის 01.02.09წ. დადებული №93 ხელშეკრულების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ფ. კ-ი მართალია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მისთ-

ვის ავტომობილის გადაცემის საფუძველზე მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, თუმცა არ წარმოადგენდა ორგანოს მოსამსახურეს ან თანამდებობის პირს, შესაბამისად, მისთვის ავტომობილის გადაცემა განიხილება როგორც ხელშეკრულების საფუძველზე ავტომობილის მესამე პირისთვის სამართავად გადაცემა და არა, როგორც ორგანოს მიერ თავისი მოსამსახურეების მეშვეობით ავტომობილის მართვა. ამდენად, ავტომანქანის ფ. კ-ისთვის გადაცემა საჭიროებდა გამნათხოვრებლის თანხმობას.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ქმნის არაბრალეული მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში აფხაზეთის მთავრობას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან 28.11.08.წ. თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ჰქონდა ქონების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება. საქმეში კი თანხმობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ მოიპოვება. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე – აფხაზეთის ა.რ. მთავრობის მიმართ ადგილი არ აქვს სკ-ის 463-ე, 999-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს. აფხაზეთის ა.რ. მთავრობა არ მონაწილეობდა ზიანის დადგომაში, ის არ არის სოლიდარული მოვალე, ვინაიდან არ არსებობს სკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძველი. მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ ფ. კ-ისთვის ავტომობილის უნებართვო გადაცემით აფხაზეთის ა.რ. მთავრობა განთავისუფლდა არაბრალეული პასუხისმგებლობის ტვირთისგან, რადგან მომეტებული საფრთხის წყარო – ავტომობილი, მთავრობის კონტროლის სფეროდან მის მიერ შესაბამისი ნებართვის გაცემის გარეშე გავიდა. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

საქმე № ბს-78-78(კ-12)

27 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელი ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით მუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართვე-

ლოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზე, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტრუქციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, თუმცა აღნიშნული არ გამოირჩეხავს გარდაცვლილის მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, უკეთუ მას დანაშაულით უშუალოდ მიაღდა ზიანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე შვილის უკანონოდ დაკავებას, მის წამებით სიკვდილს, წლების განმავლობაში ეფექტური მართლმსაჯულების განუხორციელებლობას შვილის დაღუპვით განცდილი უდიდესი სულიერი ტანჯვის ფონზე, ასევე, მოპასუხეთა მიერ აღნიშნული საქმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით მისთვის უშუალო ზიანის მიყენებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ სწორედ მოპასუხეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია მოსარჩელის მძიმე სულიერი ტანჯვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის შვილის – თ. მ-ას უკანონოდ დაკავება და მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით მისი წამებით გარდაცვალება დედისათვის განეკუთვნება მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის, ასევე, სახეზეა ხელმყოფი პირის ბრალი, რამდენადაც, თ. მ-ას უდანაშაულობა და მისი უკანონოდ დაკავება დადასტურებულია ქალაქ თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბ-

რის დადგენილებით და ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის დადგენილებით, რომლითაც გარდაცვლილი თ. მ-ა მოსარჩელის დაჟინებული ბრძოლის შედეგად სრულად იქნა რეაბილიტირებული.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით მუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის მუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პროპორციულობის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მ. ს-ს, კ. ა-ას, ე. მ-ეს და ჰ. კ-ეს ლ. მ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ მორალური ზიანის სახით – 10 000 ლარის სოლიდარულად ანაზღაურება.

საქმე № ბს-972-936(3კ-08)

8 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 992-ე მუხლები)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილია ვაქცინაციასა და დამდგარ მძიმე შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და უმოქმედობით გამოწვეული ზიანის არსებობა. საკასაციო სასამართლომ 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ქ-ია B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრის გაკეთებამდე იყო ჯანმრთელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ემთხვევა ვაქცინაციის შემდგომ პერიოდს, საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა პოსტვაქცინალური მწვავე ენციფალომელიტი და შესაბამისად, ადგილი აქვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის. ბალცბურგის კლინიკის წინასწარი ანგარიშის, ერლანგერ-ნიურნბერგის ფრიდრიხ ალექსანდერის უნივერსიტეტის ორთოპედიის, ნევროლოგიის, პედიატრიის და რევმატოლოგიის კლინიკის დიაგნოზის, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე საკასაციო პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილია პოსტვაქცინალური მწვავე ენციფალომიელიტის ფაქტი. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 11 მუხლის მე-18 პუნქტის, სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად დადგინდა, რომ სახეზეა უმოქმედობით გამოწვეული ზიანი. ამდენად დადგენილია, რომ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ იზიარებს კასატორების შპს „...“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივ-

რებში მოყვანილ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ არ არის დადგენილი ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-ის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ და „ა.დ“ ქვეპუნქტის, თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.07.05წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფოს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-15 მუხლების პრინციპებიდან გამომდინარე, დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა, რომ პრეპარატს, რომელიც გამოყენებულ იქნა ვაქცინაციის მიზნით, არ გააჩნდა ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი იყო არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა იმ გვერდითი მოვლენების არსებობის ფაქტს, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, მაგ: პარეზი, გიემბარეს სინდრომი, ენცეფალიტი და ა. შ. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ. აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ახსნა-განმარტების მიცემის იგნორირება დაუშვებელია. აღნიშნული ინფორმაციის – ვაქცინის უკუჩვენებების სრულად დაუფიქსირებლობამ მშობლებს მოუსპო საშუალება, გაეკეთებინათ არჩევანი ვაქცინასა და სავარაუდო შედეგს შორის. მოსალოდნელი მძიმე შედეგების გათვალისწინებით შპს „...“ ვალდებული იყო ვაქცინის გვერდითი მოვლენების შესახებ გაეცა ინფორმაცია და განემარტა მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ, რათა მათი გათვალისწინებით მოსარჩელე მხარეს მიეღო მისი ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საშიშრო გადაწყვეტილება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პაციენტს მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების ახსნის შემთხვევაში მიეღო გადაწყვეტილება B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრის შესახებ. მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო, პაციენტს არ ჰქონდა შეთავაზებული ვაქცინაზე უარის თქმის საბაბი.

მოპასუხეების ქმედებას (უმოქმედობას) უდავოდ მოჰყვა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით. ამასთანავე, მოსარჩელეს შენარჩუნებული აქვს აღქმის და კომუნიკაციის უნარი, მისი ცნობიერება და ინტელექტი ჩვეულებრივი განვითარებისაა. გ. ქ-ია ყოველდღიურად და რეგულარულად საჭიროებს სხვა პირის მზრუნველობას. სახეზეა დელიქტი, რომელსაც მოჰყვა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მის ანაზღაურებას. მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას (სრულწლოვნების ასაკს) და იგი ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვ.) შესაძლოა უფრო მეტი სიმწვავეთ განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ამასთანავე, გ. ქ-ია საქმის განხილვის დროისათვის არის სრულწლოვანი. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. ქ-იას ასაკის გამო გათვითცნობიერებული არ აქვს მორალური ზიანის არსებობა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შპს „...“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრებში მოყვანილ მოსაზრებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების

შესახებ გ. ქ-იას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გ. ქ-იასათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არ უკავშირდება კონკრეტულ თარიღს. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ გ. ქ-იას აცრა 18.03.02წ. ჩაუტრდა, პირველი სამედიცინო დასკვნა მომზადდა 2002 წლის ივლისში, მოსარჩელემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს 29.05.04წ. მიმართა, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი 02.06.06წ. აღძრა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, მკურნალობის უშედეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვეველობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოებაც, რომ მოსარჩელესათვის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირების შესახებ საბოლოოდ ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.07.05წ. გადაწყვეტილებით, რაც ასევე ადასტურებს ხანდაზმულობის ვადის გაცდენით სარჩელის აღძვრის კასატორთა მოსაზრების უსაფუძვლობას. ამდენად, შპს „...“ საკასაციო საჩივარში მითითება სკ-ის 128-ე, 1008-ე მუხლებით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაზე არ ადასტურებს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაცდენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეგება. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში დელიქტით გამოწვეული მძიმე შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაცია არ არის საკმარისი არაქონებრივი სიკეთის (ჯანმრთელობის) შელახვით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. ქ-იას სასარგებლოდ შპს „...“ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის 5000 (ხუთი ათასი) ლარის დაკისრება სამართლიან შესაბამისობაში არ არის მიყენებულ ზიანთან. **სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.**

ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ მიუთითებს მორალური ზიანის ოდენობაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე (ქონებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვ). საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, მკურნალობისათვის გასაწევი ხარჯები მატერიალური და არა მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მიიღება მხედველობაში, ამდენად გ. ქ-იას საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება საზღვარგარეთ მკურნალობის გაგრძელების საჭიროების შესახებ არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების სიდიდის განმსაზღვრელ ფაქტორს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება, ამასთანავე, მოსარჩელე გ. ქ-იას ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მშობლების სულიერ განცდებს აგრეთვე არ აქვს მნიშვნელობა კომპენსაციის ოდენობისათვის, ვინაიდან ისინი არ არიან თანამოსარჩელები საქმეზე. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, სახეზეა გაუფრთხილებელი ბრალი. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოპასუხეთა ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, და მოპასუხეებს, მოსარჩელის მოთხოვნის პროპორციულად, უნდა დაეკისროთ გ. ქ-იას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: შპს „...“ – 75 000 ლარისა, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15 000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთჯერად ფულად კომპენსაციასთან ერთად, გ. ქ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით 2054 წლის 1 ივნისამდე. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული თანხის დაკისრებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს „...“ შედარებით, გ. ქ-იასათვის მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული აქვს მომეტებული მატერიალური პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ შპს „...“ უმოქმედობით გამოწვეული გ. ქ-იასათვის მიყენებული ზიანი და მისი, როგორც პროდუქციის მწარმოებლის ბრალეულობის მაღალი ხარისხი, დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მწარმოებელი – შპს „...“ ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გვერდითი მოვლენების სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, კორპორაცია ვალდებული

ლია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე, რათა პაციენტმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ხსენებული დასტურდება აგრეთვე სკ-ის 318-ე მუხლით, რომელიც ადგენს კონტრაპტენტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ,* რაც მისცემს მას სწორი არჩევანის შესაძლებლობას. ამავე წესს ითვალისწინებს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.4 მუხლი, რომლის თანახმად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში. ამდენად, მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ფარმაცევტული საწარმოს უმოქმედობით გამოწვეული მძიმე შედეგი ქმნის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გ. ქ-იას სასარგებლოდ შპს „...“ უნდა დაეკისროს 75 000 ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15 000 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გ. ქ-იას მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმე № ბს-523-503(კ-10)

12 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი; სამოქალაქო კოდექსის 1000-ე მუხლის პირველი ნაწილი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

მოსარჩელების მითითებით, 2007 წლის 25 აგვისტოს გორის რ/ნ სოფ. ... ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანების გამო ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მათი მეწველი ძროხა, რომელიც იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. აღნიშნულ ფაქტზე შინდისის თემის საკრებულოს მიერ შედგენილ იქნა აქტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაც-

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლის პირველი ნაწილი.

ვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, ხოლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ვ“ ნაწილის გ) ქვეპუნქტით უზრუნველყოფილია სასამართლოს იურისდიქცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებების გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან. ამავდროულად, რეალაქტს გააჩნია, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოვლენის ფორმა. კერძოდ, უმოქმედობა – როგორც მმართველობითი ღონისძიების ერთ-ერთი საშუალება.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა მმართველობითი ღონისძიების – მოქმედების განუხორციელებლობას, რამაც თავისი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირებს მიაყენა ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი,

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სოფ. ... წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობოდის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა. აღნიშნული ელექტრობოდის აღდგენა-შეკეთება უნდა მოეხდინა გორის რაიონის გამგეობას (მისი უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო) ამ შემთხვევაში სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში, რის გამოც აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, გორის რაიონის გამგეობა (უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ვალდებული იყო მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა მისი უმოქმედობის შედეგად წარმოშობილი ზიანი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1000.1 მუხლების საფუძველზე მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით გონივრულია მოსარჩელეთა სასარგებლოდ 1000 ლარის გადახდის დაკისრება.

საქმე № ბს-704-670(2კ-06)

5 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის განსაზღვრისას

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ხელვაჩაურის რაიონში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის მოთხოვნა და უფლება მიეცა მეურნეობას აეშენებინა ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზია. 05.01.94წ. გაფორმდა მაღაზიის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულება საინიციატივო ჯგუფსა და მეურნეობის დირექტორს შორის, რომლის თანახმად, მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის

გაუმჯობესების შემდეგ საინიციატივო ჯგუფს აუნაზღაურებოდა საფირმო მალაზიის შშენებლობაზე გაწეული ხარჯები. მეურნეობის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო საინიციატივო ჯგუფს ნება დაერთო საკუთარი სახსრებით ეწარმოებინა მალაზიის შშენებლობა შესაბამისი აქტების გაფორმებით, რომელსაც დაამტკიცებდა მეურნეობის დირექტორი. საინიციატივო ჯგუფის მიერ აშენებული ობიექტი დანგრეული იქნა ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 05.03.02წ. ზეპირი განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროკურატურის დადგენილებიდან გამომდინარე, ობიექტის დანგრევა მართლზომიერად იყო მიჩნეული, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა არის სამართალწარმოების ზოგადი პრინციპი და მისი გამოყენება დასაშვებია არა მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის, არამედ აგრეთვე ქმედების (რეალაქტის) შედეგად ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისას. დადგენილია, რომ შენობის ალება მოხდა საზოგადოებრივ ინტერესებში. საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის პირის უფლების შელახვა ვერ იქნება მიჩნეული საზოგადოების ინტერესების ცალმხრივ დაკმაყოფილებად. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე.

საქმე № ბს-908-768-კ-04

17 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აქციონერის მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განსახილველი დავის საგანს შეადგენს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 09.11.98წ. № 1/3-699 ბრძანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ბრძანებით სს „...-ის“ აქციათა 100%-იანი პაკეტი გადაეცა შპს „ბ.-ს“. დადგენილია, რომ ბრძანების გამომცემი სამინისტრო სს „...-ის“ დამფუძნებელი პარტნიორი და მისი აქციების 100%-ის მესაკუთრეა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორი თავად ეს სააქციო საზოგადოებაა, რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი. ამდენად სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა კორპორაციულად ორგანიზებულ სუბიექტს – სააქციო საზოგადოებასა და დამფუძნებელ-აქციონერს შორის. კასატორის მიერ მითითებული ზიანის გამოწვევი ქმედება გამოიხატა აქციონერის მიერ მის საკუთრებაში არსებული აქციების გასხვისებაში, რამაც ზიანი მიაყენა თავად ამ სააქციო საზოგადოებას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.1 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, აქცია არის ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. აქციების გასხვისებისას საზოგადოების წინაშე აქციონერის რაიმე ვალდებულებას კანონი არ ითვალისწინებს (მე-3 პირების მიმართ შესაძლებელია აქციონერს რაიმე ვალდებულება ჰქონდეს, მაგალითად, აქციათა პაკეტი სახელმწიფოს ქონებაა, მისი გასხვისებისას შესაძლოა სახელმწიფო ვალდებული იყოს გამოაცხადოს კონკურსი, ჩაატაროს აუქციონი და ა.შ., რა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც მე-3 პირმა შესაძლოა მოითხოვოს აქციათა გადაცემის გადაწყვეტილების გაუქმება პრივატიზების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის, მაგრამ თავად ამ სააქციო საზოგადოებამ აქციების გასხვისებისას სახელმწიფოს შეიძლება მოსთხოვოს მხოლოდ იმ ვალდებულებების შესრულება, რაც აკისრია აქციონერს სააქციო საზოგადოების წინაშე მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ფარგლებში). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3 მუხლის 09.11.98წ. № 1/3-699 ბრძანების მიღების დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, სახელობითი აქციების გასხვისება შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო საზოგადოების თანხმობაზე და ამგვარი თანხმობის აუცილებლობის შესახებ აღნიშნული უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდებასა და სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში. მოცემულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს, რომ „...-ის“ ერთადერთ აქციონერს მიღებული ჰქონდა თვითმობილური გადაწყვეტილება – აქციების

გასხვისებისას საზოგადოებისაგან თანხმობის მიღების აუცილებლობის შესახებ და რომ აქციების გასხვისებისას მის მიერ დარღვეული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3 მუხლის მოთხოვნა.

კასატრის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სს „...-ის“ აქციების სს „ბ.-სათვის“ გადაცემა ვაკის რაიონული სასამართლოს 18.09.98წ გადაწყვეტილებით არ იყო დადგენილი, არ ქმნის სააქციო საზოგადოებისათვის აქციების გადაცემით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. სს „...-ის“ აქციონერი უფლებამოსილი იყო კუთვნილი აქციები საზოგადოების თანხმობისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გადაეცა სხვა პირისათვის და აღნიშნულისათვის მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე კანონი არ ითვალისწინებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მოვალეობის დაკისრება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.1 მუხლი). აქციის დეფინიციიდან გამომდინარე, აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი ადასტურებს მხოლოდ მის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში და საზოგადოების ვალდებულებებს მის მიმართ (მუხლი 51.1).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.4 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამის კომპენსაცია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ინტერესების საზიანოდ იქნა ქმედება განხორციელებული, აქციონერს პასუხისმგებლობა ეკისრება არა საზოგადოების, არამედ სხვა აქციონერთა წინაშე. საზოგადოების ინტერესები გაიგივებულია აქციონერის ინტერესებთან, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი საბოლოოდ აქციონერებისათვის მიყენებული ზიანია. სააქციო საზოგადოების კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა უზრუნველყოფს საზოგადოების ფუნქციონირებას აქციონერთა ნების შესაბამისად, მათი კანონიერი ქონებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან საზოგადოებასთან. ისინი ანგარიშვალდებული არიან აქციონერთა წინაშე და პასუხს აგებენ საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე. ამ თვალსაზრისით საფუძვლიანია სასამართლო კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სს „...-ის“ მიერ აღძრული სარჩელი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ არის აღძრული, ვინაიდან მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს „...-ის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეა.

საქმე № ბს-664-631(კ-06)

21 ნოემბერი, 2006 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმის არასწორი განმარტების სამართლებრივი შედეგი

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება – საქართველოს სოციალური დამღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1998 წლის 1 დეკემბრიდან 2005 წლის 1 თებერვლამდე საპენსიო დანამატის 25%-ის ოდენობით გადაანგარიშება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ დააფუძნა იმ გარემოებას, რომ ვ. ქ.-ასათვის საპენსიო დანამატის გადაანგარიშება არ მოხდა კანონით დადგენილი წესით, რაც გამოწვეული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს დააკისრა მთლიანი თანხის ანაზღაურება პენსიის დანიშვნის დღიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით თანხის გადაუანგარიშებლობის თაობაზე, რამდენადაც კანონის მითითებული ნორმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით /ადმინისტ-

რაციულ საქმეზე ვ. რ.-ს სარჩელისა გამო, მოპასუხე საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, პენსიის გადიდების თაობაზე/ ინტერპრეტირებულ იქნა სხვაგვარად, ვიდრე სოცფონდი განმარტავდა და გამოიყენებდა კანონის ნორმას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხელისუფლების, მათ შორის საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სამართლის ნორმის ლოგიკური, დინამიური და პროგრესული განმარტების მოხდენა, რაც საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად სავალდებულოა ყველასთვის შესასრულებლად, და რაც აღსრულებულ იქნა მოპასუხე სოცფონდის მიერ, შესაბამისად, სასამართლოს კანონის ახლებური განმარტება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ნორმის არასწორი გამოყენების საფუძველზე პენსიის თანხის გაუცემლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიზგებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ნამდვილი შინაარსის განმარტება გულისხმობს, კანონის ტექსტის ამგვარ გაგებას მისი ამოქმედების მომენტიდან, თუმცა, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბრალეულად არ მოხდა ნორმის სწორი გაგება და გამოყენება.

1.8. ბარდამაშალი დებულებანი

საქმე № ბს-201-195 (კ-09)

3 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. № 22.17.1228 დადგენილების საფუძველზე ლ. ვ-შილმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ამასთანავე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო აქტის გაუქმება გამოირიცხებოდა სზაკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანაწესის გამო. ხსენებული ნორმის თანახმად „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლით კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამოირიცხავდა სასამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას. აღნიშნულის საფუძველს არ იძლეოდა აგრეთვე სასამართლოს მითითება სზაკ-ის 218.2 მუხლის საგამონაკლისო შემთხვევების არ არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას საგამონაკლისო შემთხვევის – ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით (სზაკ-ის 60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო სზაკ-ის 218 მუხლის მოქმედი რედაქცია ფაქტიურად აღარ შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან ხსენებული ნორმა არ ითვალისწინებს კოდექსში ბოლო პერიოდში შეტანილ ცვლილებებს, კერძოდ სზაკ-ის 218-ე მუხლი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს უთითებს, როგორც აქტის ბათილობის გამომრიცხავ გარემოებას, მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლი სადღეისოდ ეხება აქტის არა ბათილობას, არამედ არარად გამოცხადების საფუძველს, კერძოდ სზაკ-ის მე-60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. მიუხედავად

აღნიშნულისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც გენერალური მოწესრიგების, სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს მიუხედავად აქტის აღმჭურველი თუ ამკრძალავი ხასიათისა, რამდენადაც ერთი პირისათვის აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა მესამე პირების უფლებების შეზღუდვა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. № 22.17.1228 დადგენილების სადავო 25-ე პუნქტი ადგენს რა თ. ს-შვილის სახელზე ...ის ქ. № 2-ში რიცხული ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ. ნაკვეთის ლ. ვ-შვილის სახელზე დამაგრებას, მოსარჩელისათვის არის შემზღუდავი, ამკრძალავი, ვინაიდან ხსენებული აქტი თ. ს-შვილს ჩამოერთვა უფლება მიწის ნაკვეთზე და სახლთმფლობელობის ნაწილზე. ამდენად, სადავო აქტი შეიცავს როგორც აღმჭურველ, ასევე შემზღუდავ ნაწილს. უკანასკნელი ყოველთვის საჭიროებს საკანონმდებლო საფუძველს. შესაბამისად დავის საგანს შეადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ორმაგი ზემოქმედების ძალით. ამ აქტის ამკრძალავი ნაწილის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აქტის აღმჭურველი ნაწილის გამოცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ზღუდავს მესამე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, სწორედ ასეთი აქტების მიმართ ხსენებული მუხლი აღიქმება ერთგვარ „ამნისტიად“ და სახელდობრ ასეთი აქტების მიმართ არის მუხლში გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები (სზაკ-ის 60.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 61.2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). სზაკ-ის 218-ე მუხლი არ ვრცელდება ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ მესამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ თუ სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელია მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ არ დაიშვება იურისდიქციის თვითნებური გადაწესება სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არ საჭიროებს საკანონმდებლო საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ზღუდავს სხვა პირის სამართლებრივ მდგომარეობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლი ვერ იქნება მიჩნეული სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ნებართვად, ამგვარი მიდგომა მოკლებულია რაიმე სამართლებრივ საფუძველს, აშკარად უპირისპირებს ხსენებულ ნორმას იერარქიით ზემდგომ, კერძოდ კონსტიტუციურ ნორმებს, ფაქტობრივად უტოლდება სასამართლოს უფლებაზე უარის თქმას, რომელიც თავისი არსით ყველა სხვა უფლების გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლების ადგილს სახელმწიფო მოწყობის სისტემაში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების მოცულობა, რომელზედაც არის დამოკიდებული უფლებებისა და ინტერესების დაცვის ფარგლები. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის უფლება ფორმალურად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად-ადამიანის სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს, უკანასკნელი ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს ყველა იმ მოქმედების თუ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, კანონიერების დადგენას, რომლებიც ეხება პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. აქტის კანონიერება უკავშირდება მის შინაარსს და მოითხოვს, რომ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენება შეუძლებელი იყო სადავო აქტით (მისი ნაწილით) მოსარჩელის უფლების ან კანონიერი ინტერესის შეზღუდვის გამოორიციხვის გარეშე, რაც თავის მხრივ საჭიროებდა სადავო მიწის ნაკვეთის, სახლთმფლობელობის კუთვნილების გარკვევას, აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის პირობებში იყო შესაძლებელი.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა სადავო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის – 13.11.1997წ.

№ 22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება – სახლთმფლობელობის საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე სახლთმფლობელობის რეგისტრაცია, აღმჭურველი აქტის მიმართ აქტის ადრესატის მხრივ კანონიერი ნდობის არსებობა (სზაკ-ის 60¹ მუხ.). **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შემთხვევაში, რომლის უფლებებსაც უშუალოდ ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება.** საქმეზე არ არის დადგენილი აგრეთვე სზაკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებების არ არსებობა. სზაკ-ის 60¹ მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიერ სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების დარღვევა წარმოადგენს აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების წინაპირობას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სადავო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი უნდა გადაწყდეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების, სადავო აქტის გამოცემისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის არსებობის შემთხვევაში დარღვევის ხარისხის შედარებით, აგრეთვე მმართველობის კანონიერების პრინციპისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მიყენებული ზიანის შეპირისპირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დაუსაბუთებელია სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენების, სადავო აქტის კანონიერებაზე არსებითი მსჯელობის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქმე № ბს-1105-1074(2კ-10)

1 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, უნდა განიმარტოს და განისაზღვროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს მის სწორად და ლოგიკურად გამოყენებასა და სადავო სამართალურთიერთობასთან მისადაგებას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, არ შეიძლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ძირითადი მიზანი და ფუნქცია მდგომარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგების დაცვასა და კანონიერი სამართლებრივი აქტის სტატუსის შენარჩუნებაში, რომლებიც შეესაბამებოდა მათი გამოცემის დროს მოქმედ სამართლებრივ აქტებს, ანუ იმ პერიოდისათვის მოქმედი სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად იქნა გამოცემული, მაგრამ წინააღმდეგობაში მოვიდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების შედეგად აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მაღალი სამართლებრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ანუ სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, კანონმდებელმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებული ნორმის მეშვეობით დაადგინა დამცავი მექანიზმი მის ამოქმედებამდე გამოცემული აქტებისა და მათი სამართლებრივი შედეგების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით დადგენილი ერთგვარი იურიდიული იმუნიტეტი გამოყენებულ უნდა იქნეს არა კოდექსის ამოქმედებამდე გამოცე-

მული ყველა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის, არამედ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემული აქტი შეესაბამება გამოცემის მომენტისათვის არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ (პროცედურულ) მაღალ სტანდარტებს და სწორედ, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის – სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ ნორმას აქვს ერთგვარი შემაკავებელი დატვირთვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გარკვეულწილად უფრთხილდება აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებრივ მდგომარეობას და პრიორიტეტს ანიჭებს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას, რამდენადაც ამგვარი აქტის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის ქმედების ფაქტის არსებობის ხაზგასმა, გულისხმობს სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უფლების პატივისცემას, ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედების პერიოდში (2000 წლის 1 იანვრიდან) დაუშვებელია ამ კოდექსით გარანტირებული პირის კანონიერი ნდობის უფლების შელახვა სხვათა სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სანაცვლოდ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უპირობოდ ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის წინაპირობა, რომელიც მომზადდა და გამოიცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე – 2000 წლის 1 იანვრამდე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს მესამე პირის კასაციის მოტივს და მიაჩნია, რომ წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს კოდექსში შეტანილ ცვლილებებს. აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენების საფუძველი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის როგორც თავდაპირველი, ასევე ამჟამად მოქმედი რედაქცია დაუშვებლად მიიჩნევს მის გამოყენებას იმ აქტების მიმართ, რომლის შესრულება გამოიწვევს დანაშაულს; ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. კოდექსში 2005 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რომლის თანახმად, ზემოთ მითითებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველები განისაზღვრა როგორც აქტის არარად აღიარებისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობებად, ხოლო 218.2 მუხლის რედაქციაში ადეკვატური ცვლილების შეუტანლობა განხილულ უნდა იქნეს კანონმდებლობის ტექნიკური ხასიათის ხარვეზად და არ უნდა განიმარტოს, როგორც კანონმდებლის მხრიდან საგამონაკლისო შემთხვევებზე უარის თქმად. შესაბამისად, შეუძლებელია ნორმა იმგვარად გავიგოთ, რომ იგი არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით განსაზღვრულ არარა აქტების ან 60¹ და 61-ე მუხლებით დადგენილი აქტების მიმართ.

2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები

საქმე № ბს-281-274(კ-08)

6 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულების დრო

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ა. მ-ი გარდაცვალების მომენტში იმყოფებოდა მივლინებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად და ბრუნდებოდა ქ. ბათუმიდან, თუმცა ა. მ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გამოიხატებოდა სასამართლო პროცესზე წარმომადგენლად გამოსვლაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ავანსის ანგარიშ-ფაქტურა-შეკვეთაზე, რომელშიც აღნიშნული მივლინების ვადა 2004 წლის 10-14 ივნისია (ს.ფ. 31). საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის წარმომადგენლის მიერ ა. მ-ის აღნიშნული პროფესიული მოვალეობის ამგვარ ვიწრო განმარტებას, ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის წარმომადგენლის მიერ ამავე სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. მ-ი ვადაზე ადრე დაბრუნდა მივლინებიდან. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაძლოა მივლინება იყოს 5-დღიანი, ხოლო სასამართლო პროცესი, რისთვისაც გაფორმდა მივლინება, დამთავრდეს ერთ, ან ორ-სამ დღეში, რის შემდეგაც, მიუხედავად მივლინების სრულად გაწერილი ხარჯისა, წარმომადგენელი არ არის ვალდებული, დარჩეს მივლინების ადგილას მივლინების ვადის ბოლომდე. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. მ-ი გარდაიცვალა არა შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ შრომითი მოვალეობის განხორციელების შემდგომ.

საქმე № ბს-835-797(კ-07)

5 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ ორგანოსთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სახეები

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ქალაქ ქუთაისის მერის 2002 წლის 1 ნოემბრის № 208 განკარგულებით გ. შ-ე დაინიშნა სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად, ხოლო ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის № 537 ბრძანებით სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორ გ. შ-თან შეწყდა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის თაობაზე, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დავის საგანს მიიჩნია რა, რომ სადავო განკარგულება არ შეესაბამებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ გ. შ-ე, როგორც ბიბლიოთეკის დირექტორი, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და შესაბამისად, მისი გათავისუფლების დროს ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი ნორმები და პროცედურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით

დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორი /იმ პირობებში, როცა ეს უკანასკნელი, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ წარმოადგენს/ ვერ მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-ის, როგორც სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის, თანამდებობიდან გათავისუფლების დროს დაუშვებელი იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებების გამოყენება, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის მოქმედების სუბიექტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა რა საჯარო მოხელის სტატუსი, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომელთა არსებობის პირობებში ეს უკანასკნელი იძენს ამგვარ სტატუსს. შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებელმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო შრომით-სამართლებრივი ნორმატიული აქტით – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციაში არ თავსდება, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა გ. შ-ის სტატუსს მიიჩნია რა საჯარო მოხელედ და შესაბამისად მისი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება შეაფასა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმებთან შესაბამისობაში, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა და შესაბამისად არ არსებობს აღნიშნული გარემოების გამო სააპელაციო სასამართლოს გასაჩირებელი გადაწყვეტილების გაუქმების არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-ე სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავისუფლდა ქ. ქუთაისის მერიის განკარგულების (ბრძანების) – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონის 22.1. მუხლი, რამდენადაც მითითებული ნორმის თანახმად ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-ე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქ. ქუთაისის მერიის ბრძანების საფუძველზე. მართალია ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის – შრომის კანონთა კოდექსის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გა-

მოყენება, რამდენადაც მისი გათავისუფლების საკითხი, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ უნდა ყოფილიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე უნდა განხორციელებინა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს; ასევე, მესამე შემთხვევა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეგა, კერძოდ პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება, დაუშვებელია.

საქმე № ბს-431-409(კ-07)

3 ოქტომბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თანამდებობაზე დანიშვნის გაუქმება („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ, ზ. შ-ის მიერ 2005 წლის 5 ივნისს შედგენილ ანკეტა-ავტობიოგრაფიაზე (ს.ფ. 69-70), რომელშიც არაფერი არ არის აღნიშნული ადრე შინაგან საქმეთა ორგანოებში ზ. შ-ის მუშაობის შესახებ, მაშინ, როდესაც ხსენებულ ანკეტაში არსებობდა სპეციალური გრაფა წინა წლებში გაწეული შრომითი საქმიანობის შესახებ, რომლის შევსებაც სავალდებულო იყო – ზ. შ-ი ვალდებული იყო მიეთითებინა ბოლო სამსახურის ადგილსა და თანამდებობაზე. თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის სხდომაზე მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზ. შ-მა დოკუმენტაციის მომზადებისას შეგნებულად დამალა შინაგან ჯარში მისი სამსახური, რადგან უარყოფითი მოტივით იყო იქიდან წამოსული და ამის გამო, მას, როგორც ყოფილ თანამშრომელს, ახალ სამსახურში აღარ მიიღებდნენ, რეალურად კი ამ ფაქტს შეიძლება საერთოდ არ შეეშალა ხელი მისთვის სამსახურის დაწყებაში, რადგან შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელახლა მისაღებ კანდიდატზე არც ერთ კანონში არ იყო მითითება იმის თაობაზე, რომ წინა სამსახურიდან უარყოფითი მოტივით წამოსული თანამშრომელი ხელახლა აღარ მიიღებოდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. ამიტომ, მას შესაბამის დოკუმენტებში გარკვევით უნდა მიეთითებინა ზემოაღნიშნულის შესახებ, ხოლო აღნიშნულის მიუთითებლობა შეუძლებელს ხდიდა მის მუშაობას, რადგან მასზე შექმნილი იყო ორი პირადი საქმე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ ზ. შ-მა სამსახურის დაწყებამდე პირადი ანკეტის შევსებისას შეგნებულად დამალა მისი ბოლო სამუშაო ადგილი და იქიდან გათავისუფლების საფუძველი – შესაბამის ანკეტაში არ მიუთითა ბოლო სამუშაო ადგილის შესახებ, ამასთან, მართალია, აღნიშნულ პერიოდში

მოსარჩელე არ იყო საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ მან არც სამსახურის დაწყების შემდეგ განაცხადა აღნიშნულის თაობაზე, მ. შ-ს რომც არ სცოდნოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამის ანკეტაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარში მუშაობის ფაქტზე მაინც უნდა მიეთითებინა, რაც მან არ განახორციელა, რითაც შეცდომაში შეიყვანა კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა და ჩაიდინა უღირსი საქციელი, მიმართული ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ, რაც გახდა მ. შ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მას უფლება ჰქონდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე მ. შ-ი გათავისუფლებინა სამსახურიდან აღნიშნული გარემოების გამოვლენისთანავე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს შეუძლია ბრძანების გაუქმება, თუ თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებამდე გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც ამ კანონის თანახმად, გამორიცხავდნენ თანამდებობაზე პირის დანიშვნას. იმავე კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელის და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურში იყო ჩადენილი თუ მის გარეთ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაბამისი ავტობიოგრაფიისა თუ ანკეტის შევსების დროს მ. შ-მ ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და იგი მიიჩნეოდა საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მონაწილედ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ შესაბამისი ავტობიოგრაფიისა თუ ანკეტის შევსების დროს მ. შ-მ არ ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მ. შ-მა სამსახურის დაწყებამდე პირადი ანკეტის შევსებისას შეგნებულად დამალა მისი ბოლო სამუშაო ადგილი და იქიდან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნულის კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის შეტყობინების შემთხვევაში, მ. შ-ის სამსახურში მიღების საკითხი უარყოფითად გადაწყდებოდა, ხოლო ამას ადასტურებდა ისიც, რომ მოსარჩელემ შესაბამის ანკეტაში არ მიუთითა ბოლო სამუშაო ადგილის შესახებ, ხოლო წინა წლებში ნამსახურობა დეტალურად ასახა, ამასთან, მართალია, აღნიშნულ პერიოდში მოსარჩელე არ იყო საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ მან არც სამსახურის დაწყების შემდეგ განაცხადა აღნიშნულის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. შ-ის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ შეგნებულად არ დაუმაღლავს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში მისი მუშაობის ფაქტი და უნებლიედ გამორჩა ყოფილი სამსახურის შესახებ გრაფის, კერძოდ, 2001 წლიდან 2003 წლამდე შინაგან ჯარებში მუშაობის პერიოდის შევსება და აღნიშნულის დაწერა.

საქმე № ბს-738-713(კ-10)

16 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი განეკუთვნება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის სახეს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს პარლამენტი არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, ხოლო მე-5 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამსახურის სახეები, მათ შორისაა – სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. მოსარჩელე ვ. ყ-ია საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, სადებუტატო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში წარმოადგენდა რა სახელმწიფო მოსამსახურეს, მასზე უნდა გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებათა ფარგლებში.

ზემოღნიშულიდან გამომდინარე, არამართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის თაობაზე და მასზე 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 128.3. მუხლის მიხედვით, სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. ეს ვადა არის საერთო წესის განმსაზღვრელი, კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგამონაკლისო ხანდაზმულობის ვადებსაც, კერძოდ, ამავე კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრულია სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, მათ შორის, მე-2 პუნქტით დადგენილი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პერიოდული ვალდებულებებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სახეგა არა კერძოსამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პერიოდული ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნა, არამედ, საჯარო სამართლებრივი, კერძოდ, კანონისმიერი მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნა, ანუ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც თვისობრივად კარდინალურად განსხვავებს მას კერძოსამართლებრივი ვალდებულებითი სამართალურთიერთობისგან.

მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნას საჯარო სამართლის ნორმატიული აქტები, სადავო სამართალურთიერთობას აწესრიგებს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, შესაბამისად საჯარო სამართლებრივი უფლების რეალიზაციისას დაუშვებელია გამოყენებულ იქნას კერძოსამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით.

განსახილველი დავა არც ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან არ წარმოშობილა, არათუ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან, იგი ადმინისტრაციული ორგანოს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ნიადაგზეა წარმოშობილი (ამაზეა დამყარებული მოთხოვნა), მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის წევრის სტატუსი, ფუნქცია არჩევითი თანამდებობის კანონისმიერი გაგება გამოირიცხავს სახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობის ხასიათს, შესაბამისად, არჩევითი თანამდებობის პირის სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება ალოგიკურია. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლისა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

საქმე № ბს-638-633(კ-11)

2 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელფასო დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

საკასაციო სასამართლო სამართლებრივი კვალიფიკაციის ნაწილში იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას და თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლის რეგულაციის ფარგლებში.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული

სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისი აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროს სახით შრომით სახელმწიფოებო ურთიერთობაში შევიდა კასატორებთან, რათა უზრუნველყო საჯარო უფლებამოსილების, კერძოდ კი წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების განხორციელება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებითი ურთიერთობა, რა დროსაც გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას, შესაბამისად თითოეული მათგანისათვის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა იწყება დამოუკიდებლად.

საქმე №ბს-1445-1427(კ-11)

04 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრემიის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

კასატორების მ. ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ. ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის და მ.მ-ის განსახილველად დაშვებულ მოთხოვნას შეადგენს მოპასუხისათვის პრემიის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ პრემია არ არის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, მას არ აქვს ხელფასის სტატუსი და იგი წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომელზეც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მოქმედება, რის საფუძველზეც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტთა მოთხოვნა პრემიის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრემია განიხილება ხელფასის შემადგენელ ნაწილად, ხელფასის დანამატად, რადგან თავად კანონი განსაზღვრავს პრემიის სამართლებრივ სტატუსს. **პრემიის სამართლებრივ ბუნებას არ ცვლის ის ფაქტი, რომ იგი გაიცემა პერიოდულად. მისი გაცემა გარკვეული ინტერვალებით არ წარმოშობს სკ 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისთვის, პრემიის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის საფუძველს.**

პრემიის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ არ გავრცელდება არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარჩილო ხანდაზმულობის ერთგვანი ვადა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა მოხდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის შესაბამისად. სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად ხდება წარმოქმნილ დავალიანებათა დასაფარავად გარკვეული თანხების გამოყოფა და განისაზღვრება დავალიანების დაფარვის წესი. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაცემლებზე (მათ შორის პრემიაზე) ხანდაზმულობის გამო სარჩილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. კასატორთა სამსახურიდან 2005 წლის 01 იანვრამდე დათხოვნა და პრემიალური თანხის დავალიანების არსებობა ქმნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. ამდენად, საქმეზე საჭირო დასადგენ გარემოებათა რიგს განეკუთვნება კასატორთა სამსახურიდან გათავისუფლების თარიღი და პრემიალური

დავალიანების არსებობა, შემადგენლობა და მისი ოდენობა, საქმეზე უნდა გაირკვეს აგრეთვე თუ რა სტატუსით სარგებლობდნენ მოსარჩელები გათავისუფლების მომენტში, კერძოდ მათზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5 – მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის სტატუსის გავრცელების შესაძლებლობა. გარკვევას საჭიროებს აგრეთვე ხანდაზმულობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა.

საქმე № ბს-450-447(კ-11)

04 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება არ არის მოცული ხელფასის ცნებით, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ კომპენსაციაზე, გარკვევას საჭიროებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელები სამსახურიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 31.12.04 წ. ბრძანებით გათავისუფლდნენ მიმდინარე რეორგანიზაციის გამო, სარჩელი აღძრულია 28.12.07 წ., შესაბამისად დაცულია კანონმდებლობით (სკ-ის 129-ე მუხ.) განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საქმე № ბს-1149-1138(კ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მივლინების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელი კომპონენტები, კერძოდ, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა, მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. ამასთანავე, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. აღნიშნული კანონის 38-ე მუხლი ადგენს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს, რომლის თანახმადაც, მოსამსახურეს აქვს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი). ამდენად, საჯარო მოსამსახურეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან ერთად უფლება აქვს მიიღოს სამივლინებო თანხა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სამივლინებო თანხაზე ვერ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის დებულება, ვინაიდან სამივლინებო თანხა წარმოადგენს მისაღები კომპენსაციის სახეს, რომლის გადახდის ვალდებულება მოქცეული არ არის მითითებული მუხლის რეგულაციაში.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ მოსამსახურეზე სამივლინებო თანხის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქმე № ბს-1588-1547(კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამკურნალო დახმარების თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას გ. ლ-თვის სამკურნალო დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ და თვლის, რომ მოთხოვნა ამ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა. **სამკურნალო დახმარების ანაზღაურება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამკურნალო დახმარების ანაზღაურება არ არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი.** ვინაიდან სამკურნალო დახმარების ანაზღაურება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, მასზე ვერ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლის დებულება. **მოსამსახურეზე სამკურნალო დახმარების თანხის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.** სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამკურნალო დახმარების კომპენსაციის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რომელიც აითვლება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1999-2000 წლების სამკურნალო დახმარების თანხები. შესაბამისად, სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (24.02.10წ.) გასული იყო ხანდაზმულობის კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა.

საქმე № ბს-605-574(კ-09)

23 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებასთან დაკავშირებით („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი პირველი პუნქტი)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 01 აგვისტოს 5357-პ ბრძანებით, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილების ინსპექტორი – მ. კ-ძე – გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 1 აგვისტოდან.

მ. კ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის ბრძანებით № 529 ბრძანება. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) რეორგანიზაციის თაობაზე“.

დადგენილია, რომ გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილებაში, სადაც მ. კ-ძე მუშაობდა, რეორგანიზაციამდე იყო ინსპექტორის 37 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ განისაზღვრა 27 საშტატო ერთეულით.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, სამსახურის რეორგანიზაციისა და საშტატო ერთეულების შემცირების თაობაზე, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს კასატორის მოტივაცია გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის თაობაზე და თვლის, რომ განჩინებაში წარმოდგენილი მოტივაცია არ იძლევა განჩინების კანონიერების შემოწმების საკმარის საფუძველს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.

იმავე შინაარსის დებულებას შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 97-ე მუხლის 1 ნაწილი მიუთითებს, დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების შემთხვევაში, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო გამოიკვამივს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მხოლოდ იმ გარემოებაზე მოტივირების შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა საკუთარი დისკრეციის ფარგლებში. საკასაციო სასამართლო ცალსახად განსაზღვრავს, რომ დისკრეციის უფლების გამოყენება უნდა მოხდეს კანონიერების ფარგლებში. კანონიერების დადგენის მიზნით კი საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან განისაზღვროს არსებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის თუ არა პირის გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს და სამსახურიდან გათავისუფლება არსებულ ვითარებაში იყო თუ არა მისაღები, აუცილებელი და პროპორციული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ ვითარებაში, თუ სამართალდარღვევათა განყოფილებაში სადაც მ. კ-ძე მუშაობდა, შტატების შემცირების მიუხედავად ადგილი ჰქონდა მე-3 პირების მიყვანის ფაქტს, სახეზეა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის ფუძემდებლური პრინციპის დარღვევა, რაც სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ხდის კანონშესაბამისად.

საქმე № № ბს-166-160(კ-09)

30 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებასთან დაკავშირებით („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შეხახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს № 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის № 28 დადგენილებით სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შემცირდა და ნაცვლად 45 საშტატო ერთეულისა განისაზღვრა 27 საშტატო ერთეულით.

„აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის № 32 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს ახალი დებულებით, საშტატო რიცხოვნობა დარჩა კვლავ 27 ერთეული და გაუქმდა სამინისტროს რიგი სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის ის დეპარტამენტი რომელშიც ს. შ-ძე მუშაობდა.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2007 წლის 10 აპრილის № 07-01/39 ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე და 97-ე მუხლების, „აჭარის ა/რ მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ა/რ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის № 32 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის № 01-06/20 ბრძანების შესაბამისად, ს. შ-ძე გათავისუფლდა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის ... თანამდებობიდან.

საქმეზე ასევე დადგენილადაა ცნობილი, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეებს ეცნობათ შტატების შემცირების გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

რაც შეეხება თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორადაა გაგებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო კვლავაც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული დისკრეცია არ გამოორიცხავს სასამართლოს კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე – და ეს კონტროლი დაყვანილი არ უნდა იყოს ფორმალურ ნიშნამდე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებას მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და ა.შ. ადექვატური, ობიექტური შეფასება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს ობიექტურობის კრიტერიუმის გამოორიცხვას და ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობას.

საკასაციო სასამართლო დისკრეციის ფარგლების დარღვევად და საქმის გარემოებების არასრულყოფილ გამოკვლევად ვერ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ მუშაობის უფრო ნაკლები სტაჟის მქონე პირს ს. შ-ძესთან მიმართებაში მიენიჭა სამსახურში დანიშვნის უპირატესი უფლება.

საქმე № ბს-342-331(კ-10)

20 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებასთან დაკავშირებით („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. შ-შვილი გათავისუფლდა ქ. ქუთაისის მერიის ... სამსახურის ... თანამდებობიდან შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირების გამო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას გაათავისუფლოს მოხელე დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ნორმა პირდაპირ არ უთითებს დისკრეციული უფლებამოსილების ტერმინს, ნორმის შინაარსი ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მისი მიზნის შესაბამისად (სზაკ-ის 6.2 მუხ.). შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მერის სადავო ბრძანებაში ს. შ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია სზაკ-ის მე-6 მუხლი („დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი“).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია იქონიოს მსჯელობა სადავო აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე ანუ მის კანონიერებაზე, დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, უკანასკნელს არა აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა კანონმდებლობის ნორმატიული მოთხოვნების დაცვასთან. სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას სადავო გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის ასპექტებზე, აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება სცილდება სასამართლო კონტროლის ფარგლებს, რაც ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით არის განპირობებული, სასამართლო ვერ იქცევა შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდე-

ბა კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას გარკვეულწილად გაითვალისწინოს მიზანშეწონილობის, რაციონალობის ასპექტები. მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს ადმინისტრაციას უფლებამოსილებით გაათავისუფლოს სამსახურიდან მოხელე შემცირებასთან დაკავშირებით. ქ. ქუთაისის მერის 18.04.07წ. № 351 ბრძანებით დამტკიცდა მერიის ... საქალაქო სამსახურის საშტატო განრიგი, ხსენებული ბრძანებით განისაზღვრა სამსახურის და არა მისი რომელიმე ჯგუფის საშტატო განრიგი, დამტკიცებული განრიგით დასტურდება რომ ... შტატი ექვსი ერთეულით შემცირდება. შტატების შემცირებისას ადმინისტრაციას შესაძლო მისაღები გადაწყვეტილებებიდან არ აურჩევია ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონით არ იყო გათვალისწინებული, საკასაციო პალატა თვლის, რომ ს. ზ-შვილის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციას არ დაურღვევია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, მაშასადამე სახეზე არ არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, არ დარღვეულა პროპორციულობის, თანასწორობის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეთათვის, მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად, საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები, რომელთა დაცვა საჭიროა არა მხოლოდ კასატორის, არამედ ... სამსახურში დარჩენილი მოხელეების მიმართაც. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით, დაცულია აქტის მომზადების და გამოცემის მოთხოვნები, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სზაკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შესწავლილი იქნა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის გამოცემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისაღები გადაწყვეტილებისათვის საჭირო ფაქტების გამოკვლევა-შესწავლას, სადავო აქტში თითოეული კანდიდატის მონაცემების მიუთითებლობა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული (სზაკ-ის 60' მუხლის მე-2 ნაწ.). საქმეში დაცული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს 20.10.08წ. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ქ. ქუთაისის მერიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, მოკვლეულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. საქმის მასალებში დაცული იურიდიული საქალაქო სამსახურის 03.04.09წ. დასკვნით დასტურდება, რომ შესწავლილ იქნა მერიის ... საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა, ... თანამდებობაზე დანიშნულ პირთა – მ. ბ-შვილის, მ. კ-შვილის, ბ. ს-ძის, ი. რ-ძის, ზ. მ-ძის, მ. ტ-შვილის, მ. ს-ძის, ბ. კ-შვილის, მ. ს-შვილის, ვ. ა-შვილის პირადი საქმეები, რომელნიც დარჩნენ სამსახურში ს. ზ-შვილის გათავისუფლების შემდეგ. ადმინისტრაციული წარმოების სრულფასოვნად ჩატარებას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგნად იქცა თითოეული მოხელის განათლების დონე, სპეციალობა, სტაჟი, დაკავებული თანამდებობა, მიეთითა შესაბამისი ბრძანებები თითოეული მოხელის სამსახურში დანიშვნის შესახებ. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ ყველა თანამშრომელს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება, გარდა მოსარჩელის – ს. ზ-შვილისა და მ. ს-შვილისა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ზ-შვილს ეცნობა ქ. ქუთაისის მერიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი, განემარტა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, ასევე სზაკ-ის 86-ე, 87-ე, 96-ე, 98-ე მუხლებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი, იგი მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ჩანიშნულ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისად მისთვის ცნობილი უნდა

ყოფილიყო სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია არ იყო შეზღუდული კვალიფიკაციის ისეთი გარეგნული ნიშნით, როგორცია სტაჟი, აღნიშნული მაჩვენებელი არ წარმოადგენს სამსახურში უპირატესი დარჩენის უპირობო კრიტერიუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არა დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ სრული განსაზღვრულობა. **საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა მუშაკების სამსახურებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება, თითოეული მუშაკის პროფესიონალიზმის, შრომითი უნარ-ჩვევების, კომპეტენტურობის, მიღებული განათლების, კარიერული ზრდის პერსპექტივის, კრეატიულობის, პირადი თვისებების, თანამშრომლობის უნარის, კოლეგიალობის, რეპუტაციის, სხვა გარემოებების გათვალისწინება და კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილების მიღება.** ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას სხვა პირებთან შედარებით გააჩნდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება, საკასაციო პალატა თვლის, რომ კადრების შემცირებისას ობიექტურად, ადეკვატურად შეფასდა თანამშრომელთა პროფესიული ჩვევები, სადავო გადაწყვეტილება არ დაფუძნებულია ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქმე № ბს-301-292(2კ-13) 19 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებასთან დაკავშირებით („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი)

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის № 109 ბრძანებით გ. ბ-ე გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩევლის (I კატეგორია) თანამდებობიდან 2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (იხ. ს.ფ. 12; ტ.1).

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის № 108 ბრძანებით თ. ზ-ი გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩევლის (I კატეგორია) თანამდებობიდან 2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (იხ. ს.ფ. 13; ტ.1).

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის № 179 ბრძანებით დადგინდა რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირების საფუძველზე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებზე კომპენსაციის – ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით გაცემა. აღნიშნული ბრძანების დანართის შესაბამისად, კომპენსაციის გაცემა დადგინდა თ. ზ-სა და გ. ბ-ებზეც (იხ. ს.ფ. 68; 70; ტ.1).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 29 ოქტომბრის № 577 ბრძანების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის № 455 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება; კერძოდ, დადგენილია, რომ რეორგანიზაციამდე (ანუ 2012 წლის 01 დეკემბრამდე) საქართველოს მთავრობის კანცელარიაში იყო სულ – 214 საშტატო ერთეული, რეორგანიზაციის შედეგად კანცელარიის შტატების რაოდენობა განისაზღვრა – 150 საშტატო ერთეულით (ანუ შტატების რიცხოვნება შემცირდა 64 საშტატო ერთეულით). საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის № 455 დადგენილებით შეიცვალა საქართველოს მთავრობის კანცელარიის შინაგანი სტრუქტურა, კანცელარიის შიგნით შეიქმნა (გარდაიქმნა, ჩამოაყალიბდა) შესაბამისი საშტატო ერთეულების მქონე ახალი სტრუქტურული ერთეულები (დეპარტამენტები, დეპარტამენტების შიგნით – სამსახურები და სამმართველოები).

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩევეები მუშაობდნენ საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში – საგარეო ურთიერთობათა სამსახურში, რომელშიც რეორგანიზაციამდე არსებობდა ექვსი საშტატო ერთეული, მათ შორის, სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, მრჩეველის (I კატეგორია) სამი საშტატო ერთეული, მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, წამყვანი სპეციალისტი – ერთი საშტატო ერთეული. რეორგანიზაციის შემდგომ შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი და მასში შევიდა იგივე სტრუქტურული ქვეერთეული – საგარეო ურთიერთობის სამსახური შემდეგი საშტატო რიცხოვნებით: სამსახურის უფროსი – ერთი შტატი, მრჩეველი (1-ლი კატეგორია) – 1 შტატი, ანუ სულ 2 საშტატო ერთეული.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალებიდან და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საკასაციო საჩივრიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება, მაგრამ ვერ გაიზიარებს მთავრობის საკასაციო საჩივრის მოტივს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბრძანებები თ. 8-ისა და გ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეწყდა შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩევეებსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიას შორის. სადავო აქტებში ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია: „შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე“.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალების თანახმად ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა შტატების შემცირების მოტივით მოსარჩევეები, რომ არ გამოუკვლევიან საქმის გარემოებები, ადმინისტრაციამ ცალმხრივი ნების გამოვლენით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა მოხელესთან, ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ

პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოსაზრებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო მართალია ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების პროცესში მოახდინოს ცალკეულ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

შრომის კონსტიტუციურ უფლებას სოციალურ ხასიათთან ერთად გააჩნია კლასიკური უფლების მნიშვნელობა, რომლის დანიშნულებაც გამოიხატება იმაში, რომ პირს ეძლევა უფლება დაიცვას თავი სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის, როგორც განუსაზღვრელი უფლების თაობაზე, ამ შემთხვევაში შრომის უფლება, ისევე როგორც პირის უფლება – დაიცვას თავი, იქნეს ფიქტიურ შინაარსს და გამოდის სასამართლო კონტროლის ფარგლებიდან.

სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი, როგორც ქვეყნის ზოგადი წესი, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას განსაზღვრული ურთიერთობა დაარეგულიროს თანასწორობის პრინციპის დაცვით. რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი პირის სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება გადაწყდეს მეორე პირის სამართლებრივი მდგომარეობისაგან განსხვავებულად იმ ვითარებაში, როდესაც მათ შორის არსებული განსხვავება ვერ ამართლებს დადგენილ უთანასწორობას. ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვა პირთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული განსხვავება იძლევა ამ უთანასწორობის დასაბუთების შესაძლებლობას.

საქართველოს მთავრობის კანცელარია მოსარჩევეებთან – თ. ზ-თან და გ. ბ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, შეზღუდული იყო კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ მთლიანად საჯარო სამსახურისათვის. სწორედ ამგვარი ობიექტური შერჩევა განაპირობებს საჯარო სამსახურის სტაბილურ, კვალიფიციურ და ეფექტიან მუშაობას, რაც ბიუროკრატიისადმი ნდობის ხარისხს და ავტორიტეტს უნდა განაპირობებდეს.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრეამბულის საფუძველზე განმარტავს, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძველს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და შესაბამისად სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გასაჩივრებული აქტებით მოხდა მოსარჩელების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების (კერძოდ, შრომითი საქმიანობის სტაბილურად, უწყვეტად განხორციელების, ადეკვატური გასამრჯელოს მიღების უფლებების, პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ. ინტერესების) შეზღუდვა, იმისთვის, რომ შემოწმდეს შეზღუდვის კანონიერება იგი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, კანონშესაბამისი. დასაბუთების ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს ასევე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმებისას, ვინაიდან, დასაბუთება იძლევა ამ აქტში გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს შემზღუდველი ხასიათის გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, იმასთან მიმართებაში, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება, მაგრამ არა მთლიანად გაუქმება, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიას უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი სახის ადმინისტრაციული წარმოება და გამოეკვლია რეორ-

განიზაცის მომენტში კანცელარიაში დასაქმებული საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და ა.შ. მით უფრო იმ ვითარებაში, როცა კანონმდებელი საჯარო სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მოსამსახურეთა პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის „ე“ პუნქტი) აღიარებს, ადმინისტრაციის მხრიდან ასეთის გაუთვალისწინებლობა საჯარო სამსახურის არსის, საჯარო ვალდებულებისა და მთლიანად საჯარო ინტერესის გაუთვითცნობიერებლობის და არაკომპეტენტური მართვის ნიშანია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით სადავო ბრძანებები გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად, სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება თ. ზ-ისა და გ. ბ-ის საქმიანობასა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით. გაურკვეველია, იქნა თუ არა მოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასრულებდნენ თუ არა მოსარჩელები სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად, მისცა თუ არა ობიექტური შეფასება ადმინისტრაციულმა ორგანომ მოხელეების გათავისუფლებისას მისი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ხარისხს შტატების შემცირების მომენტში.

საქმე № ბს-981-935(კ-06)

6 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმების შეფასების ნაწილში და განმარტავს: საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება არის დანიშვნის პროცედურის სავალდებულო კომპონენტი, კომისიის გადაწყვეტილება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაცია კონკურსში გამარჯვებულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემისას. საკონკურსო კომისიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს სამინისტროს შიდაქვედანაყოფს, გააჩნია გარკვეული, კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს უფლებათა უნარიანობის ერთგვარ გამიჯვნას, კერძოდ, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი აღასრულოს იგი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია აღასრულოს გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის კონკურსში გამარჯვებულად ცნობის შესახებ. ამდენად, კონკურსის შედეგების, საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი აქტი ცალკე გასაჩივრებას საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კონკურსის შედეგად კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამგვარი უფლებამოსილება ორგანოს ანიჭებს თავისუფლებას კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კოლეგიური ორგანოს განსაკუთრებული სტატუსი, მისი დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვის დაუშვებლობა დადგენილია არათუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების, არამედ ადმინისტრაციული წარმოების წესებითაც, რომლისთვისაც ჩვეულებრივსამებრ დაშვებულია მიზანშეწონილობის თვალსაზრისით მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. სზაკ-ის 203-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კოლეგიური ან სათათბირო ორგანოს გადაწყვეტილების ან საზოგადოებრივი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ავალებს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები, დგება კონკურსში გამარჯვებული და არა კონკურსში დამარცხებული კანდიდატის შესახებ. კონკურსში მონაწილეს, რომელმაც ვერ გაიმარჯვა კონკურსში, უფლება არა აქვს მოითხოვოს უარის მოტივაცია, ვინაიდან კომისიის გადაწყვეტილება წარმოადგენს კომისიის წევრთა გადაწყვეტილებების ჯამს, ხოლო შეფასება განეკუთვნება დისკრეციის სფეროს. გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს არა შეფასება, არამედ კონკურსის ჩატარების დადგენილი წესის დარღვევა (მაგ. მინისტრის მიერ ისეთი კანდიდატის დანიშვნა, რომელიც არ წარდგენილა დასანიშნად საკონკურსო კომისიის მიერ, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ქვორუმის არარსებობა, პროგრამით გაუთვალისწინებული შეკითხვების დასმა და სხვ.).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ სადავო აქტის გამოცემისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ გამოუკვლევიდა და არ შეუფასებია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება არ მიუღია მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება მიეკუთვნება კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეფასების ნაწილში იმსჯელოს კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობაზე და თვლის, რომ სასამართლო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2005 წლის 5 დეკემბრის № 7863-კ ბრძანების (კასატორის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე) მიღებამდე კომისიისა და საბაჟო დეპარტამენტის მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვის საკითხი.

საქმე № ბს-886-848(3კ-07)

6 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების საფუძველზე

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. გვ.-ე და ო. კ.-ე მუშაობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო „...-ის“ საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ...-ად, მ. გ.-ი კი იმავე განყოფილების ...-ად, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 11 აგვისტოს № 403-კ ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან (ს.ფ. 9), ხოლო მ. ჯ.-ი მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო „...-ის“ საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილებაში ...-ად, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს № 395-კ ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (ს.ფ. 8), მათი გათავისუფლების საფუძველი კი გახდა 2006 წლის 30 ივლისის ჩატარებული ატესტაცია. 2006 წლის 1 აგვისტოს შედგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა და № 42 ოქმის თანახმად, იმავე კომისიის გადაწყვეტილებით (დანართი – ატესტაციის შედეგები) რეკომენდაცია გაეწია მოსარჩელებს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (ს.ფ. 10-15). იმავე ოქმის კიდევ ერთი დანართის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში იყო 6 წევრი (ს.ფ. 16). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის № 8 ოქმით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა განცხადებები პრეტენზიების შესახებ, ამასთან, მ. ჯ.-ის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) ეთხოვა მისი სხვა თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის, ხოლო მ. გ.-ის შესახებ – უფრო დაბალ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის საკითხის განხილვა (ს.ფ. 17-18). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის № 879 ბრძანებით განისაზღვრა საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეების დაკავებულ თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, მათთვის ატესტაციის ჩატარება 2005 წლის 15 ოქტომბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი უნდა ჩატარებულიყო გასაუბრების ფორმით (ს.ფ. 92-93). მოსარჩელები 2006 წლის 30 იანვარს ხელმოწერებით გააფრთხილეს საქართველოს ფი-

ნანსთა მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის № 879 ბრძანების თანახმად, ატესტაციის ჩატარების შესახებ (ს.ფ. 110-111). მოსარჩელები 2006 წლის 30 იანვარს ასევე ხელმოწერებით გააფრთხილეს სამსახურიდან მოსალოდნელი ვათავისუფლების შესახებ (ს.ფ. 112-113). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 25 ოქტომბრის № 02-01/10938 წერილის თანახმად, 2006 წლის 30-31 ივლისს ატესტაცია ჩატარდათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) რეგიონალური საბაჟო „...-ის“ საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების მოხელეებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ატესტაცია ჩატარა 6 წევრის შემადგენლობით, რომლებიც ხელს აწერენ იმავე კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის № 42 ოქმის დანართს (ს.ფ. 125-126).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადი თვისებების დაკავებულ (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამავე კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პირი მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, რა შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ პირის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ობიექტური თვალსაზრისით, დადგენილი წესით შეფასებას, საბოლოო ჯამში კი, მოხელეთა ატესტაცია ემსახურება საჯარო სამსახურისა და საჯარო დაწესებულებათა ნორმალური, სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ, მართალია, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ატესტაციის საფუძველზე მოხელის შეფასება წარმოადგენს ამავე კომისიის დისკრეციას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე მოკლებულია უფლებას, მოითხოვოს მის მიერ გაცემული პასუხების მიმართ შეფასების ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება, ხოლო თუ მიიჩნევს, რომ შეფასება არ მოხდა ობიექტურად, წარადგინოს განცხადება-პრეტენზია საპრეტენზიო კომისიაში.

კასატორები – მ. გვ.-ე, მ. გრ.-ი, ო. კ.-ე და მ. ჯ.-ი მიუთითებენ, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ატესტაცია ჩატარდა შესაბამისი ბრძანების გარეშე, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის № 879 ბრძანების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეებს, თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ატესტაცია უნდა ჩატარებოდათ 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი ჩატარდა 2006 წლის 30 ივლისს, რასთან დაკავშირებით არც ახალი ბრძანება გამოცემულა და არც ზემოთ მითითებულ ბრძანებაში შესულა რაიმე ცვლილება, ანუ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ატესტაცია 2006 წლის 30 ივლისს ჩატარა თვითნებურად, შესაბამისი ბრძანების გარეშე, რაც წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კასატორების ზემოაღნიშნული მოსაზრება არ წარმოადგენს მათი საკასაციო საჩივრისა და შესაბამისად, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს, რადგან, მართალია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის № 879 ბრძანება გამოიცა 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე ატესტაციის ჩატარების თაობაზე, ხოლო ატესტაციის 2006 წლის 30 ივლისს ჩატარების შესახებ არ გამოცემულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცალკე ბრძანება, მაგრამ აღნიშნული გარემოება ვერ დაედება საფუძველად მოსარჩელეთა ნაწილში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მით უმეტეს, მანამდე დაკავებულ თანამდებობებზე მათ პირდაპირ აღდგენას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ სხდომაზე გაკეთებული დასკვნა თავისთავად არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს, არამედ იგი ატარებს სა-

რეკომენდაციო ხასიათს. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კომპონენტი. კომისიის გადაწყვეტილება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია წარმოადგენს მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ ე.წ. შიდა ქვედანაყოფს, მას უდავოდ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაწესებულებასა და ამავე დაწესებულების ფარგლებში შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შორის უფლებამოსილებათა ერთგვარ გამიჯვნას, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია, გამოიტანოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ აღასრულოს იგი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, აღასრულოს გადაწყვეტილება, თუმცა, იმავდროულად, არ არის უფლებამოსილი, გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის ტესტირების შედეგების თაობაზე. რაც შეეხება საპრეტენზიო კომისიას, ამ კომისიასაც გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც, აღნიშნული კომისია, ისევე, როგორც საკონკურსო-საატესტაციო კომისია თავის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ასორციელებს. რაც შეეხება საპრეტენზიო განცხადებას, ადმინისტრაციული საჩივრის ლეგალური დეფინიციიდან გამომდინარე, საპრეტენზიო განცხადებაც წარმოადგენს სწორედ წერილობით მოთხოვნას იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს № 395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს № 403-კ ბრძანებების საფუძველად მიეთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის № 42 ოქმზე. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 11 აგვისტოს № 403-კ ბრძანებაში ასევე მიეთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის № 8 ოქმზე, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს № 395-კ ბრძანებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის № 8 ოქმი არ არის მითითებული. ამდენად, დასახელებული ოქმი და შესაბამისად, ხსენებული ბრძანებები, საბოლოო ჯამში კი, მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება არ არის სამართლებრივად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის № 409 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში იმპერატიულად არის მითითებული, რომ საპრეტენზიო კომისიის მიზანია ატესტაცია-კონკურსის ჩატარების დროს პრეტენზიების განსაზღვრულ ვადებში განხილვა და კომისიისათვის სამართლებრივად სრულყოფილი დასკვნის წარდგენა. ამდენად, აღნიშნული პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისია ვალდებულია, ყველა შემთხვევაში წარუდგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას სამართლებრივად სრულყოფილი, ანუ დასაბუთებული დასკვნა, რაც წარმოადგენს საპრეტენზიო კომისიის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის № 8 ოქმში არ არის მითითებული მოსარჩელეთა განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე, ანუ იგი საერთოდ არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, მაშინ, როდესაც ზემოხსენებული დებულების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს № 395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს № 403-კ ბრძანებების, ასევე საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს № 8 სხდომის ოქმის გამოცემისას დაირღვა ზემოთ დასახელებული წესით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, დასახელებული ოქმი და შესაბამისად, ხსენებული ბრძანებები, საბოლოო ჯამში კი, მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება არ არის დასაბუთებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე), რომ, ვინაიდან მოსარჩელეთა განცხადებაში საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის № 409 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი“ მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხები არ იყო დაყენებული, საპრეტენზიო კომისია შესაბამისი დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოკლებული იყო შესაძლებლობას, საატესტაციო კომისიისათვის წარედგინა მოტივირებული დასკვნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხსენებული დებულების მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში საპრეტენზიო კომისიას უფლება ჰქონდა გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შეედგინა ოქმი და წინადადებით მიემართა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. გასაჩივრებული საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმით კი მოსარჩელებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეთქვათ უარი განცხადებების, ანუ პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე.

საქმე № ბს-1001-958(კ-07)

14 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგეები სულ 7 ფიზიკური პირი წარმოადგენდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 10 ოქტომბრის № 2-234 ბრძანების საფუძველზე ჩაუტარდათ ატესტაცია და ატესტაციის შედეგებზე მითითებით იმავე სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

ზემოაღნიშნულმა ფიზიკურმა პირებმა სადავოდ გახადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი № 3, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის № 276-კ ბრძანება – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე და მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანება № 309-კ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მათ ნაწილში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული აქტები ეწინააღმდეგებოდა კანონს, არსებითად იყო დარღვეული მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც მითითებული აქტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი.

კასატორი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას ზემოაღნიშნულ აქტებთან მიმართებაში და თვლის, რომ სასამართლოს მოტივაცია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული აქტების შეფასებისას მართებულად გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სწორად შეუსაბამა მითითებული კოდექსის ნორმები განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კომპონენტი. კომისიის გადაწყვეტილება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია წარმოადგენს მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ ე.წ. შიდაქვედანაყოფს, მას უდავოდ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული უფლებამოსილება. **საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უფლებამოსილებათა ერთგვარ გამიჯვნას, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას აღასრულოს იგი. შესაბამისად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მინისტრი) უფლებამოსილია აღასრულოს გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის ატესტირების შედეგების თაობაზე.**

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მინისტრის დისკრეციის ნაწილში და თვლის, რომ მინისტრი მოკლებულია უფლებამოსილებას თანამდებობაზე დანიშნოს ის პირი, რომელმაც არ ან ვერ გაიარა კონკურსი ან ატესტირების საფუძველზე დაექვემდებარა თანამდებობიდან გათავისუფლებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მინისტრის დისკრეცია თანამდებობაზე დანიშნოს ან გაათავისუფლოს პირი ამ შემთხვევაში არ არის აბსოლუტური და იგი ეფუძნება კომისიის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი აქტი ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას და მისი კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მსჯელობა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შეფასებისას სასამართლომ მართებულად მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემისას ფორმალური და მატერიალური კანონიერების დაცვის სავალდებულობაზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სასამართლოს მსჯელობას მოხელეთა ატესტაციის პროცედურის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარების თაობაზე და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის საფუძველზე, მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის და პირადი თვისებების დაკავებულ (ან დასაკავებელ) თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამდენად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პირი დაკავებულ თანამდებობას, რა შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას.

საკასაციო სასამართლო ცალსახად ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოხელის შეფასება წარმოადგენს კომისიის დისკრეციას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე მოკლებულია უფლებას მოითხოვოს მის მიერ გაცემული პასუხებისადმი შეფასების ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების“ მე-12 მუხლის შესაბამისად, დავა, რომელიც წარმოიშობა ატესტაციის შედეგების გამო, შეიძლება გასაჩივდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი არ იქნა არცერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს გასაუბრების მიმდინარეობას, დასმულ შეკითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს, გაუგებარი ხდება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის კონტროლის რამეჯანიზმი რჩება თუნდაც იმავე ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რომლის გამოყენების შესაძლებლობასაც არ გამოირცხავს დებულების ზემოაღნიშნული მუხლი. და რაც, თავის მხრივ, ართმევს სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და იმის დადგენის შესაძლებლობას, თითოეული მოხელის შეფასებისას იყო თუ არა განმსაზღვრელი მოხელის პროფესიონალიზმი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და ადასტურებს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მხრიდან დარღვეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების 6.4 და 10.9 მუხლების მოთხოვნები. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ოქმები შედგენილია მითითებული ნორმების უგულვებელყოფით. საქმეში წარმოდგენილია აპარატის მოხელეებთან წარმოებული გასაუბრების ოქმები, რომელშიც ასახული არ არის გასაუბრების პროცედურა, ოქმს ხელს აწერს მხოლოდ კომისიის მდივანი, ოქმი შეიცავს ზოგად მითითებას იმის თაობაზე, რომ გასაუბრების შედეგად მიღებული მონაცემები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომას.

საქმეში დაცული სხდომის ოქმების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს ოქმის შეფასების ნაწილში დაეთანხმოს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და თვლის, რომ გაურკვეველია, სად ჰპოვა ასახვა საბოლოო მონაცემებმა, შეფასების პროცესში რა კრიტერიუმებს ეფუძნებოდა კომისია და რას დაეყრდნო იგი გადაწყვეტილების მიღებისას. რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ საკითხის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომაზე განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას წარმოდგენილი ოქმების სრულყოფილების თაობაზე და აღნიშნავს, მართალია, ოქმის წარმოების პროცედურა მკვეთრად გაწერილი არ არის დებულებით, მაგრამ ოქმის დანიშნულებას და მისი წარმოების სამართლებრივ მიზანს წარმოადგენს სხდომის მსვლელობის აღწერა და იმ ფაქტების დეტალიზაცია, რასაც ადგილი ჰქონდა სხდომაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია მშრალი, არაინფორმაციული ხასიათის გასაუბრების ოქმები, რომლებიც არ იძლევიან გასაუბრების პროცესის ანალიზის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს რა კომისიის სრულ უფლებამოსილებაზე დამოუკიდებლად განსაზღვროს მოხელის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, იმავდროულად არსებითად მიიჩნევს თითოეული მოხელისათვის უზრუნველყოფილი და იმთავითვე ცნობილი იყოს გასაუბრების თემატიკა და შეფასების კონკრეტული საფუძველი, რომელთა არარსებობაც სასამართლოს მხრიდან მიჩნეულ უნდა იქნას მოხელეთა უფლებების უხეშ დარღვევად.

საქმე № ბს-81-81(კ-08)

16 ივლისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლი)

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის № 1007-კ ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის ნ. გ-ი სამი თვის ვადით გადაყვანილ იქნა დეპარტამენტის თანამდებობაზე. დაქვეითების საფუძველად მითითებულია ნ. გ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაერთგზის უგულვებელყოფა, კერძოდ ნ. გ-ი ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პროგრამის ყველა მეცადინეობას, მათ შორის იმ პერიოდში, როდესაც შრომისუნარობის გამო არ ცხადდებოდა სამსახურში. ამასთან, ბრძანების შესაბამისად, ნ. გ-ი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა არაჯეროვნად და გააჩნდა ზერეულე დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლო კასატორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო პრეტენზიის საფუძველზე გაეცნო სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მოტივაცია ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის არამართებულ განმარტებას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს მოხელის დროებით შრომისუნარობაზე ყოფნის ფაქტი.

იმავე კანონის 88-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოხელის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და შესაბამისი დაწესებულების გათავისუფლებას მოხელის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

აღნიშნული მუხლის შინაარსი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ **სამსახურებრივი მოვალეობის შეჩერების პერიოდში მოხელე არ არის უფლებამოსილი რაიმე ფორმით წარმოადგენდეს იმ დაწესებულებას სადაც ის მუშაობს, ანუ არ არის უფლებამოსილი რაიმე სახის ურთიერთობაში გამოვიდეს დაწესებულების სახელით.** უდავოა, რომ ნ. გ-ი, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა დროებითი შრომისუუნარობის ფურცელზე, ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პროგრამის მეცადინეობებს.

ასეთ ვითარებაში საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად მართებული გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, ნ. გ-ი მეცადინეობას ესწრებოდა როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი და სემინარზე წარმოადგენდა მითითებულ სამინისტროს, თუ ის, როგორც კერძო პირი, მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მეცადინეობაში.

იმავედროულად საკასაციო სასამართლო იზიარებს მეორე კასატორის ნ. გ-ის არგუმენტაციას და აღნიშნავს, დროებითი შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნა, მართალია, აჩერებს მოხელის სამსახურებრივ ურთიერთობას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ პირი ვალდებულია, შეწყვიტოს რაიმე სხვა სახის საქმიანობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ შემთხვევაში, თუ ნ. გ-ი სემინარებზე არ წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ის გარემოება, რომ ის საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე მონაწილეობდა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მას არ შეიძლება შეერაცხოს გადაცდომად.

საქმე № ბს-178-167(კ-07)

26 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ ქ. თბილისის მერის 05.09.05წ. № 1243 განკარგულებით ე. რ-ი დაინიშნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სანიტარული ზედამხედველობის განყოფილების ...ის თანამდებობაზე 2005 წლის 05 სექტემბრიდან სამი თვის გამოსაცდელი ვადით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერის 02.12.05წ. № 2110 განკარგულება ე. რ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, სხაკ-ის მოთხოვნათა უგულვებელყოფით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნას გამოსაცდელი ვადით, რომლის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადაამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. ამავე კანონის 98-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები, დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. „ე. რ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ 02.12.05წ. № 2110 სადავო განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს,

რომელმაც გამოსცა ეს აქტი. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადის შედეგების შეფასება შეადგენს ადმინისტრაციის დისკრეციის სფეროს.** ამასთანავე, სზაკ-ის 53-ე მუხის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციულ ორგანოებს ქ. თბილისის მერიას, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ დაუსახელებია ე. რ-ის სამსახურებრივი საქმიანობის არადაამაკმაყოფილებლად შეფასების რაიმე საფუძველი, აღნიშნულის შესახებ მონაცემები საქმის მასალებში არ მოიპოვება, ასეთს არ შეიცავს სადავო აქტი, ინსპექციის უფროსის 02.12.05წ. მოხსენებითი ბარათი, აღნიშნულის შესახებ ვერ უთითებენ ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. ამასთანავე, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის მხოლოდ ფაქტებზე მითითება საკმარისი არ არის, საჭიროა მათი შესაბამისი გამოკვლევა და შესწავლა. ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასება არ მისცა საქმეში დაცულ მოსარჩელის კვალიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებს, 16.03.05წ. ინსპექციის უფროსის მიერ გაცემულ დადებით რეკომენდაციას.

საქმე № ბს-1805-1760(კ-10) 20 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი*)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 1 მარტის № პ-455 ბრძანებით ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ... ი. ა-ი არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გათავისუფლების ბრძანებას საფუძველად დაედო მომსახურების დეპარტამენტის უფროსის დ. ტ-ას 2010 წლის 18 თებერვლის № 7730 მოხსენებითი ბარათი.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველებზე: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტსა** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის № 170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტზე.

მომსახურების დეპარტამენტის უფროსის დ. ტ-ას 2009 წლის 18 თებერვლის № 7730 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ... კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციებთან ერთად შედის მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, რაც ი. ა-ის მიერ ჯეროვნად ვერ სრულდებოდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის № 170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად, გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სწორედ კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა.

მითითებული სამართლებრივი საფუძველით მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მოსამსახურის პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორ-

* „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია არ ადგენს არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლების საფუძველს, შესაბამისად საქმეზე გაკეთებული განმარტება შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მითითებული ნორმის შინაარსს.

** ძალადაკარგულია 2010 წლის 23 თებერვლის „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

განოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს, ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაცულია თუ არა მოსარჩელის პროფესიული ჩვევების შეფასების ობიექტურობის კრიტერიუმები, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. ა-ის მიერ მომზადებული საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ ინფორმაცია საქმის წარმოების სამმართველოში არ იძებნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ ი. ა-ი იყო ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ..., რომლის განთავისუფლებაც „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას წარმოადგენს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობების მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და არ არსებობს მისი, როგორც კანონსაწინააღმდეგო აქტის, ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმე № ბს-270-255(კ-07)

18 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის; მინისტრის მოადგილის გამომხატვის თავისუფლება („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი)

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2005 წლის 16 აგვისტოს № 258 ბრძანებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობით, მოსარჩელე გათავისუფლდა საქართველოს ...-ის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომისათვის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის საფუძველზე (ტ. 1, ს.ფ. 9, ს.ფ. 299-300).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, მინისტრის მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. იმავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მთავრობის შემადგენლობის მიერ უფლებამოსილების მოხსნა ან სხვა საფუძველზე მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე პირის დასანიშნად საჭიროა, პირველ ყოვლისა, ამის თაობაზე მინისტრის ნება-სურვილი და წარდგინება პრემიერ-მინისტრის სახელზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე პირის დანიშვნა. გარდა ამისა, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე პირის მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია მინისტრის მუშაობაზე, ანუ მინისტრის მოადგილემ ამ თანამდებობაზე შეიძლება იმუშაოს მინისტრის უფლებამოსილების ვადით, ხოლო მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან მინისტრის მოადგილესაც უწყდება უფლებამოსილება. აქედან ნათლად ჩანს ის მჭიდრო კავშირი და ურთიერთმიმართება, რაც არსებობს მინისტრსა და მის მოადგილეს შორის, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზრუნველყოს სამინისტროს გამართული და სტაბილური ფუნქციონირება. ამდენად, მინისტრის მოადგილე, აღნიშნული თავისებურებების გამო, წარმოადგენს სპეციფიკური სამართლებრივი სტატუსის მქონე საჯარო მოხელეს. მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის ინიციატორს სწორედ მინისტრი წარმოადგენს, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე შეარჩევს ისეთ პირს, რომელთან მუშაობაც არ გაუჭირდება და მისი დახმარებით წარმართავს კონკრეტული დარგის მმართველობას. აღნიშნული გარემოება ავალდებულებს მინისტრის მოადგილეს, პატივი მანც სცეს მინისტრს და თუ მათ შორის ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, შესაბამისი სამინისტროს ფარგლებში, შიდაუწყებრივად მოაგვაროს ასეთი საკითხი. **იმ შემთხვევაში კი, თუ მინისტრის მოადგილე არ დაეთანხმება**

მინისტრს ამა თუ იმ საკითხზე, მას სამსახურებრივი ზნეობა ავალდებულებს, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში საჯაროდ შეურაცხყოფა არ მიაყენოს მას, აგრეთვე, არ მოახდინოს საჯარო დაწესებულების შიდა საქმეების შეუზღუდავად, საჯაროდ გამომხეურება. თუ მინისტრის მოადგილე მაინცდამაინც საჭიროდ მიიჩნევს პრესის მეშვეობით საკუთარი პოზიციის დაცვას, იგი ჯერ უნდა გადადგეს თანამდებობიდან, ხოლო შემდეგ საჯაროდ დაიცვას თავისი შეხედულებები და მოსაზრებები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მასა და მინისტრს შორის უთანხმოება მუდმივ ხასიათს მიიღებს, ამით საფრთხე შეექმნება სამინისტროს სტაბილურ, ნორმალურ მუშაობას და საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ამის თაობაზე ლ. მ.-ი თვითონაც მიუთითებს 2005 წლის 11 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე წარდგენილ განცხადებაში, რომ ამ წერილის დაწერა ძალიან გაუჭირდა, ვინაიდან იგი მოადგილედ მინისტრმა თვითონვე აირჩია (ტ. 1, ს.ფ. 63).

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის მასალებით დადგენილია ლ. მ.-ის მიერ მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში საქართველოს ...-ის მინისტრის მიმართ პრესაში შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთება, ასევე იმავე სამინისტროში გარკვეულ დარღვევებზე ინტერვიუს მიცემა, რაც წარმოადგენს საქართველოს ...-ის სამინისტროსა და მისი მოხელეების სახელის დისკრედიტაციას. ამდენად, სახელმწიფო ორგანოებისა თუ ხელმძღვანელი პირების საჯარო კრიტიკა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, მოქცეული უნდა იყოს ზნეობის ჩარჩოებში და არ უნდა შეიცავდეს პიროვნული ხასიათის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს და არ უნდა ისახავდეს მიზნად კონკრეტული საჯარო დაწესებულების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის თავისუფლება, დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის გამო, აგრეთვე, მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ, დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, ხოლო ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლით რეგლამენტირებულია აზრის გამოხატვის თავისუფლება. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია, ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით კი დადგენილია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები, კერძოდ, მასში მითითებულია, რომ ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, სხვათა უფლებების, ან ღირსების დასაცავად.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების

ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. ხსენებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისუფლებას, რომელიც არ არის აბსოლუტური, შეუზღუდავი ხასიათის და მისი რეალიზება მართლმომიერადაა შეზღუდული, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აქტებით. შესაბამისად, აზრის გამოხატვის თავისუფლების მოცულობა შეფარდებითია, რაც იმაში გამოიხატება, რომ აზრის გამოხატვამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სხვათა უფლებებს, რაც იმავდროულად გულისხმობს მნიშვნელოვანი ნორმებით ხელმძღვანელობასაც. აღნიშნული ვრცელდება სახელმწიფო მოხელეების მიერ თანამდებობაზე ყოფნისას აზრის გამოხატვამაც. შესაბამისად, თუ აზრის გამოხატვა სცილდება დასაშვებ ზღვარს და სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს მასზე შესაბამისი რეაგირება სახელმწიფო უშიშროების, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. ამასთან, ხსენებული პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გამოყენება არ ნიშნავს ამ უფლების ხელყოფას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითა, რომ საქმეში – „ბარტოლდი გერ-ს წინააღმდეგ“ – აღნიშნულია, რომ ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში ეწინააღმდეგება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას“, თუ არ შეესაბამება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული, მიმართული ამ პუნქტით განსაზღვრული კანონიერი მიზნის ან მიზნების განხორციელებისაკენ და იყო თუ არა ის ამ მიზნის მისაღწევად „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, „აუცილებელი“ ამ პუნქტის აზრით, გულისხმობს „მწვავე საზოგადოებრივ აუცილებლობას“, საზოგადოდ კი სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული რაიმე შეზღუდვის აუცილებლობა უნდა იქნეს დამაჯერებლად დასაბუთებული, რომ უპირველესად ეროვნული ხელისუფლების ამოცანას წარმოადგენს იმის შეფასება, არსებობს თუ არა შეზღუდვის „განსაკუთრებული სოციალური საჭიროება“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოთ მითითებული საქმისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „იაკუბოვსკი გერმანიის წინააღმდეგ“ – არ დააფიქსირა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. ხსენებული საქმე შეეხებოდა სასამართლო აკრძალვის დაწესებას, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს ეკრძალებოდა მისი ყოფილი ხელმძღვანელის მაკრიტიკებელი მასალების გავრცელება, ხოლო მოსარჩელის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა მისი ინტერესების წინ წამოწევაში და ამდენად, თავისი აზრის გამოთქმის უფლების შენარჩუნებაში, დაეცვა თავი სხვა საშუალებებით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებებითა და საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გარკვევით და ცხადად არის დადგენილი, რომ პირის მიერ მისი ყოფილი ხელმძღვანელის გაკრიტიკება და მის მიმართ მაკრიტიკებელი მასალების გავრცელება ფასდება, როგორც ხსენებული პირის ინტერესების წინ წამოწევა და შესაბამისად, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ, თუ პირის მიერ მისი ყოფილი ხელმძღვანელის გაკრიტიკება და მის მიმართ მაკრიტიკებელი მასალების გავრცელება წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, პირის მიერ მისი მოქმედი, თანამდებობაზე მყოფი ხელმძღვანელის გაკრიტიკება და მისთ-

ვის შეურაცხყოფის მიყენება მით უმეტეს, წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სრულად ამართლებს ამავე პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გამოყენებას, ხოლო ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი შემფასებლური და გადაწყვეტი, საზოგადოებრივი აუცილებლობით გამოწვეული ჩარევა საერთოდ არ აფუძნებს აზრის გამოხატვის თავისუფლების ხელყოფას.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მთელ რიგ საქმეებზე მორალის დაცვის მიზნით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დაუჭირა მხარი, კერძოდ, საქმეებში – „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ და – „მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ“. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მორალის დაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოყენებული „დასაშვები გადახვევის ფარგლები“ ფართო იყო, მაგრამ არა შეუზღუდავი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სახელმწიფო ხელისუფლებას ანიჭებს ფართო უფლებებსა და მოქმედების არეალს მორალის დაცვის სფეროში, გამოხატვის თავისუფლებას არ თვლის უპირატეს და უფრო მეტი ღირებულების მქონე სიკეთედ მორალთან შედარებით და მნიშვნელოვანი ნორმების დარღვევას მიიჩნევს უფრო დიდ დარღვევად, მორალის დარღვევას არ ამართლებს გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე აპელირებით და სწორედ მნიშვნელოვანი ნორმებისა და მორალური პრინციპების დაცვას მიიჩნევს თავისი მნიშვნელობით პრიმატულად აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება უთანხმოება და დაპირისპირება ლ. მ.-ს და საქართველოს ...-ის მინისტრ ე. ა.-ს შორის, რაც გასცდა შიდაუწყებრივ ფარგლებს. ლ. მ.-ი ყოველთვის პრესის მეშვეობით, ღიად და საჯაროდ გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს. გარდა ამისა, ლ. მ.-ი არაფერს ამბობს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ზემოაღნიშნულ შეზღუდვებზე, ასევე მან ვერ დაასაბუთა, რომ შეურაცხყოფა არ მიუყენებია მინისტრ ე. ა.-სათვის და არ მოუხდენია საქართველოს ...-ის სამინისტროსა და მისი მოხელეების სახელის დისკრედიტაცია, ანუ თავისი კონკრეტული მოქმედებებისათვის, ამ თვალსაზრისით, არ მიუცია სამართლებრივი შეფასება. ამასთან, ლ. მ.-ს და ე. ა.-ს შორის უთანხმოება და მათ შორის არსებული პრობლემა საჭიროებდა სასწრაფოდ მოგვარებას, რადგან საქმე შეეხებოდა კონკრეტული სამთავრობო დაწესებულების სტაბილურ ფუნქციონირებასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზე იყო სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელი ჩარევის აუცილებლობა, რითაც, შესაძლოა, შეიზღუდა კასატორის აზრის გამოხატვის თავისუფლება, მის მიერ გამოხატული მოსაზრების სამართლებრივი შეფასების კუთხით, მაგრამ ასეთი შეზღუდვა მთლიანად ჯდება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის აღმჭურველი ნორმის დეფინიციაში, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო სწორედ შეზღუდვის განსაკუთრებული სოციალური აუცილებლობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელიც მართებულად მიუთითებს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ განმარტებაში, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელთ არსებული მასალები მას აძლევდა საშუალებას გაეკეთებინა დასკვნა, რომ სახეზე იყო მინისტრსა და მის მოადგილეს შორის არსებული დაპირისპირება, გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე, ისიც, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობაში, კერძოდ, მინისტრსა და მის მოადგილეს შორის არსებული დაპირისპირება დაუყოვნებლივ ითხოვდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან შექმნილი სიტუაციის გაგრძელება მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა და ზიანს მიაყენებდა საჯარო ინტერესებს – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი სამინისტროს ნორმალურ ფუნქციონირებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ გაზეთ „...-ში“ გამოქვეყნებული კონკრეტული ინტერვიუ არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამსახურიდან მისი გათავისუფლების საფუძველი და სახელმწიფოს მიერ მასთან მიმართებაში ხელყოფილ იქნა აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება.

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი)

ე. მ-ძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის № 01-03/16 ბრძანების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლზე, რომელშიც ჩამოთვლილია დისციპლინური გადაცდომის სახეები, რომლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ ზომას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. ხსენებული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება ე. მ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომის გამოყენება, მაგრამ მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების არარსებობა არ გამორიცხავს შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, კერძოდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებლად მოხელის სამსახურიდან პირდაპირი გათავისუფლების შესაძლებლობა დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულია სამსახურიდან გათავისუფლების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემთხვევები. **პრაქტიკაში სავსებით შესაძლებელია, რომ სახეზე არ იყოს მოხელის მიერ თვითნებურად, 5 დღეზე მეტი ხნით სამსახურის მიატოვება, მაგრამ მოხელე სისტემატურად, 5 დღეზე ნაკლები დროის განმავლობაში, პერიოდულად არ ცხადდებოდეს სამსახურში და არსებობდეს მოხელის მიერ სამსახურში სისტემატური, პერიოდული გამოუცხადებლობის დადასტურებული ფაქტები, რაც სამართლებრივად, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა და იგი ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც სამსახურში 5 დღეზე მეტი ხნით დენადი გამოუცხადებლობა.** შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოხელის ქმედების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკვალიფიცირებისას უფლებამოსილია, მოახდინოს ამ პუნქტის ნორმის დამოუკიდებლად რეალიზება, ანუ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის ნორმა ამ კანონში, განსახილველი კუთხით, შეტანილია სწორედ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოხელის ქმედებაში არ არის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების ნორმის შემადგენლობა, თუმცა რეალურად, სახეზეა მოხელის მიერ სამსახურში სისტემატური, პერიოდული, კერძოდ, 5 დღეზე ნაკლები ხნით გამოუცხადებლობა, რაც იურიდიულად, ქმნის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის ცალკე, დამოუკიდებელ შემადგენლობას.

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი)

2008 წლის 02 მაისს კასატორის მ. ბ-ელის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე გაიგზავნა ახსნა-განმარტება, ხოლო იმავე წლის 15 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 497/კ ბრძანებით, ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მ. ბ-ელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა შემდეგ გარემოებებზე: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რესურსცენტრის უფროსი ვალდებულია თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. იმის გათვალისწინებით, რომ მ. ბ-ელმა თავისი შვებულების თაობაზე ინფორმაცია სამინისტროს მიაწოდა მიმდინარე წლის 21 აპრილს (სამინისტროში წერილობითი ინფორმაციის წარდგენის თარიღი), ხოლო შვებულებაში გავიდა 14 აპრილს, მ. ბ-ელის მხრიდან დარღვეულია ზემოაღნიშნული ერთკვირიანი ვადა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. ბ-ელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება უდავოდ წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას გავიდეს საკანონმდებლო ნორმების რეგულაციის ფარგლებიდან, კერძოდ, იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილი შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მითითებული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაცულია თუ არა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი და გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ზომა რამდენად აკმაყოფილებდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით რეგლამენტირებულ დანაწესს.

დადგენილია და აღნიშნულს ვერ უარყოფს თავად კასატორიც, რომ წერილობითი ინფორმაცია მ. ბ-ელის შვებულებაში გასვლის თაობაზე სამინისტროსათვის ცნობილი გახდა 2008 წლის წლის 21 აპრილს, მაშინ, როდესაც კასატორი ფაქტობრივად შვებულებაში გავიდა იმავე წლის 14 აპრილს. უდავოა, რომ ნორმატიული აქტის არცოდნა პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ იმ პირობებშიც კი, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილების შესახებ, რომელიც რესურსცენტრის უფროსს ავალდებულებს თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აღნიშნული, სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გამოირიცხავს კასატორის პასუხისმგებლობის საკითხს, ვინაიდან მისი მხრიდან შეტყობინება შვებულებაში გასვლის თაობაზე მომხდარია შვებულებაში გასვლიდან 8 დღის დაგვიანებით. აღნიშნუ-

ლი კი საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას დაასკვნას, რომ მართალია მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა შვებულების თაობაზე სამინისტროს ინფორმირება, მაგრამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის მაკონტროლებელი ორგანოსათვის, მ. ბ-ელის შვებულებაში გასვლის მომენტიდან ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე და ამ პერიოდის განმავლობაში სამინისტროს არ შეზღუდვია რესურსცენტრისათვის დაკისრებული ვალდებულებებისა და ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების საშუალება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორი ვერ უარყოფს რა სამინისტროსათვის შვებულების თაობაზე შეტყობინების ვალდებულებას, იმავდროულად ვერ უთითებს შესაბამის ობიექტურ გარემოებებზე რამაც განაპირობა ინფორმაციის 8 დღის დაგვიანებით მიწოდება, რაც, როგორც აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს არ აძლევს იმის მტკიცების საკმარის საფუძველს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კასატორთან მიმართებაში დაირღვა თანაზომიერების პრინციპი.

საქმე № ბს-664-642(კ-10)

3 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

საკასაციო სასამართლო არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის თაობაზე განვითარებულ მსჯელობას და ადასტურებს, რომ წინამდებარე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა.

უდავოა, რომ ი. ვ-ძის მიმართ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 15.07.09წ. № 141 ბრძანებით გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება-შენიშვნა. რაც მხარეს არ გაუსაჩივრებია და რის შედეგადაც ფაქტი გადაცდომის არსებობის თაობაზე იძენს უდავო ხასიათს.

ამდენად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 27.10.2009წ. № 218 სადავო ბრძანება აფიქსირებს გადაცდომის მე-2 შემთხვევას, რაც იძლევა ზემოაღნიშნული 99.2 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ ფორმალური კანონიერების თვალსაზრისით შემოწმებას და თვლის, რომ დავის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ცალსახა მითითებას გამგებლის დისკრეციაზე და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს (გამგებლის) მხრიდან ამ უფლების კანონიერების ფარგლებში გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში აქტის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლს ეძლევა ფორმალური ხასიათი, რაც გამორიცხავს თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დისკრეცია ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევს უფლებას მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესების უარყოფით და ვერ გაიზიარებს სასამართლოთა მითითებას გამგებლის მხრიდან სადავო აქტის გამოცემისას მითითებული წესების დაცვის თაობაზე.

საქმე № ბს-1502-1433 (კ-09)

17 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2009 წლის 11 თებერვალს სსიპ – დავის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთ. სამმართველოს ინსპექტორებისა და მონიტორინგის განყოფილების

ინსპექტორების მიერ შემოწმდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოების თანამშრომელთა მიერ საშემსრულებლო დისციპლინა, რის შედეგადაც დაფიქსირდა დისციპლინური დარღვევის რამოდენიმე ფაქტი. კერძოდ, 2009 წლის 11 თებერვალს 14 საათსა და 50 წუთზე შემოწმდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს ობიექტების დაცვის განყოფილების შპს „...ის“ ოფისის დასაცავი ობიექტი, რა დროსაც გამოვლინდა, რომ აღნიშნული ობიექტების დაცვის უმცროს ინსპექტორებს მიტოვებული ჰქონდათ საგუშაგო.

თანამშრომელთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტზე ჩატარებული შემოწმების თაობაზე შედგა დასკვნა.

გემოაღნიშნული დასკვნა საფუძვლად დაედო შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 24.02.09წ. № 317 ბრძანებას ბ. გ-ძის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, ხოლო საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 02 მარტის № 962 პ/შ ბრძანებით ბ. გ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა საქართველოს შსს ორგანოებიდან 2009 წლის 24 თებერვლიდან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას და თვლის, რომ საქმის მასალებში ასახული მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს აძლევს საკმარის საფუძველს წარმოადგინოს სამართლებრივი დასკვნები და შეფასებები და სადავო საკითხთან მიმართებაში მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომელშიც სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ არ იზიარებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ ბ. გ-ძის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფასებელი საქციელის ჩადენას, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

ასეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს შეფასება არის ცალსახა და ფაქტობრივად უარყოფილია გათავისუფლების საფუძვლების არსებობის ფაქტი, სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლზე მითითებით ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე, ჩადენილი გადაცდომის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ადექვატურობა და მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება მიექცეს ბ. გ-ძის სამსახურებრივ სტატუსს და საკითხი გადაწყდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და იმ სპეციალური კანონმდებლობის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს პოლიციის თანამშრომელთა შრომით სამართლებრივი მოწყობის საკითხებს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პოლიცია არის ადმინისტრაციული ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შსს ორგანოებში სამსახურის გავლის სპეციფიკა და მუშაობის გასამხედროებული რეჟიმი, შსს ორგანოს თანამშრომლებს მკვეთრად გამიჯნავს საჯარო სამსახურის დარჩენილი მოხელეებისაგან. რაც ძირითადად გამოიხატება სამსახურებრივი დისციპლინის, თანამდებობრივი სუბორდინაციისა და წოდებრივი ქვემდებარეობის განუხრეღ დაცვაში.

„შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, შსს ორგანოებში სამსახურებრივი დისციპლინა ნიშნავს შსს ორგანოს თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, ფიცის, სამსახურის ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე საქართველოს შსს მინისტრ-

რის ბრძანებების, უშუალო უფროსის მითითებებისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობისა და უფლებამოსილების შესრულებას.

იმავე სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების 41-ე მუხლის საფუძველზე, შს ორგანოს უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი თანამშრომლების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ამ უკანასკნელი ნორმის შინაარსს და იმ ვითარებაში, როდესაც დაცვის პოლიციის ფუნქციას წარმოადგენს დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების, კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კვლევის საგნად იქცეს, შედიოდა თუ არა უშუალოდ ბ. გ-ძისათვის დაკისრებულ მოვალეობაში საგუშაგოზე გამწესებულ ინსპექტორებზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

შს ორგანოს თანამშრომელთა მიმართ მაღალი სადისციპლინო-სამშრომლებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვილოს და შეაფასოს ბ. გ-ძის მხრიდან ხელქვეითთა მიმართ კონტროლის შესუსტება ქმნის თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველს.

საქმე № ბს-456-434(კ-07)

19 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების წესი

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ნ. ქ.-ე 2006 წლის 1 მარტიდან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა აჭარის ა/რ ...-ის დეპარტამენტში გზის მომვლელების სამსახურის ხელვაჩაურის რაიონის მე-... უბნის ...-ის მოვალეობის შემსრულებლად. აჭარის ა/რ ...-ის დეპარტამენტის ...-ის მ/შ 01.09.06წ. № 83 ბრძანებით ნ. ქ.-ე სამსახურიდან იქნა დათხოვნილი სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო. სადავო აქტში განთავისუფლების სამართლებრივ საფუძველად მითითებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

მხარეთა შორის გაფორმებული 01.03.06წ. № 6 შრომის ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ნ. ქ.-ე შრომის კონტრაქტის საფუძველზე სამსახურში მიღებული იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურე წარმოადგენს საჯარო სამსახურის ერთ-ერთ სახეს (მე-8 მუხ.), თუმცა ამავე კანონის მე-10 თავი და კერძოდ 99-ე მუხლი ადგენს მოხელის და არა შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველსა და წესს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის თანამდებობა საჯარო სამსახურის დამოუკიდებელი სახეა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების წესს აღნიშნული კანონი არ არეგულირებს. **ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, შტატგარეშე მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლებისას მათზე ვერ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისი დებულებები და შტატგარეშე მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნის მართლზომიერების დასადგენად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს შრომის კანონმდებლობა.**

საქმე № ბს-518-500(2კ-კს-13)

30 იანვარი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის გათავისუფლება საპენსიო ასაკის გამო

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი სადავო ბრძანებების გამოცემის მომენტისათვის სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს განსაზღვრავდა 65 წლით.

ამავე კანონის 101-ე მუხლი ითვალისწინებდა მოხელის გათავისუფლების შესაძლებლობას სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. 2013 წლის 20 მარტს № 358 კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები. კანონის 50-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მოსამსახურე პენსიაში გადის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ხოლო კანონის 101-ე მუხლი ამოღებულ იქნა. ამდენად, კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილებით დაადგინა, რომ მოხელის საპენსიო ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს პენსიაზე გასვლის საკითხი. ხოლო დამსაქმებელისათვის მოხელის ასაკი („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 5.1 პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან) აღარ წარმოადგენს მოხელის სამუშაოდან დათხოვნის შესაძლებლობას. ამდენად, საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელე, ისევე როგორც სხვა მოსამსახურე, ადმინისტრაციამ შეიძლება გაათავისუფლოს სამუშაოდან საერთო საფუძველით (საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 94-ე-მე-100 მუხლებით გათვალისწინებული საფუძველებით).

საქმე № ბს-144-135(კ-07)

26 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების იძულებით შედგენის ფაქტის მტკიცების სტანდარტი

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, რამდენადაც საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ პირის მიმართ იძულების ფაქტის არსებობა, არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მიმართ იძულება დადგენილი უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც სწორედ მითითებული ნორმატიული აქტი განსაზღვრავს იძულებას, როგორც კანონით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას, დანაშაულის სახეს. ამდენად, პირის მიმართ იძულების ფაქტი უნდა დადგინდეს სისხლის სამართალწარმოების წესით, ხოლო იმ პირობებში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე იძულების ფაქტი იქნა დადგენილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე,* მას მიენიჭება პრეიუდიციული ძალა სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენადაც, მითითებული ნორმის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგის შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო იხილავდა რა დავას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, არაუფლებამოსილი იყო მხოლოდ მოწმის ჩვენების საფუძველზე მიენიჭა დადგენილად შ. ქ.-ის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერაზე იძულების ფაქტი, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

* აღნიშნული პუნქტი ამოღებულია 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ შ. ქ.-ის მიმართ იძულების ფაქტი მიიჩნია დადასტურებულად მტკიცებულებით – მოწმის ჩვენებით, რაც სრულიად დაუსაბუთებელია, რამდენადაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იძულების ფაქტის არსებობა, გარემოება, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს მოთხოვნას, ექვემდებარება დამტკიცებას სისხლის სამართალ-წარმოების წესით, რა დროსაც, ამგვარის არსებობის პირობებში, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს მიენიჭება პრეიუდიციული ძალა სადავო სამართალურთიერთობაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია არანაირი მტკიცებულება გამგებლის მიერ კანონსაწინააღმდეგო და არაკეთილსინდისიერი ქმედების /გამოხატულს – განცხადების დაწერის იძულების ფორმით/ გარდა მოწმის ჩვენებისა, აღნიშნული მტკიცებულებით ვერ იქნება მიჩნეული, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შ. ქ.-ის გათავისუფლება მოხდა არა მისივე ინიციატივით, არამედ გამგებლის მიერ იძულების საფუძველზე.

საქმე № ბს-199-193(კ-09)

30 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის გაფრთხილება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლი)

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტაბებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. იმავე კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო გათავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ავალდებულებს ადმინისტრაციას მათ გაფრთხილებას ჰქონდეს წერილობითი ხასიათი და წერილობითი გაფრთხილება სავალდებულოა მხოლოდ ხანგრძლივი შრომისუუნარობის დროს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წერილობითი გაფრთხილება სავალდებულოა როგორც ხანგრძლივი შრომისუუნარობის დროს, ისე დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო გათავისუფლებისას.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 108-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევა არის საფუძველი 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოსა და დამატებით ყოველი გადაცილებული დღისათვის ხელფასის მიღების. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, ხოლო **108-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევა არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ისეთ დარღვევას, რაც აქტის ბათილობის საფუძველი იქნებოდა.**

საქმე № ბს-179-173(კ-09)

30 სექტემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლი)

მართალია მოსარჩელე სამხედრო ნაწილი 20232-ის მეთაურის 2005 წლის 15 აგვისტოს № 88 ბრძანების თანახმად „კრწანისის“ ეროვნულ სასწავლო ცენტრში სწავლების დამთავრებასთან დაკავშირებით ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ერთად გაშვებულ იქნა შვებულებაში 2005 წლის 15 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც იგი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, მაგრამ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას შვებულებაში ყოფნის პერიოდში; „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს საჯარო მოხელის შრომის უფლებების დაცვის გარანტიებს და ამ უფლებების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ერთ-ერთ ასეთ გარანტიას წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევებში ადმინისტრაციისათვის მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შეზღუდვის დაწესება. მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების დროისათვის მოქმედი აღნიშნული კანონის 111-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო მოხელის სამუშაოდან განთავისუფლება შემცირების, ასაკის ან ატესტაციის შედეგების გამო, ამავე კანონის 89-ე მუხლის „ბ“-“ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში. ამავე კანონის 89-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს მოხელის შვებულებაში ყოფნა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, ვინაიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან მოსარჩელის განთავისუფლების საფუძველი არ ყოფილა შტატების შემცირება, განსაზღვრული ასაკის მიღწევა ან ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგები და იგი სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის დაითხოვეს სამუშაოდან, რაც დასტურდება მოპასუხის მიერ შ. მ-ძისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ღონისძიებების დაკისრებით, ამიტომ შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი განთავისუფლება სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს.

საქმე № ბს-171-160 (კ-07)

13 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განაცდური ხელფასის ანაზღაურება

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურში აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს სამომავლო უფლების აღდგენას. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების დადგენა, რეორგანიზაციის გამო ...-ის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 05.01.05წ. № 24-კ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ადასტურებს იმას, რომ მუშაკი იმავდროულად პასუხობდა იმ სალიკვიდაციო მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინებოდა ა. ი.-ის სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ გამრდილი ხელფასის მქონე მოსამსახურეს. **კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება აუნაზღაუროს ა. ი.-ს განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ანუ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ნიშნავს იმას, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგარიშებას საფუძველად უნდა დაედოს ის საშუალო ანაზღაურება, რომელსაც ა. ი.-ე იღებდა მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე, განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი**

აქტის გამოცემამდე არსებული ანაზღაურების შესაბამისად. გაზრდილი ხელფასი კასატორს დაენიშნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული აქტით სამსახურში დანიშვნის შემდეგ.

საქმე № ბს-907-868(კ-06)

7 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომითი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

მოწინააღმდეგე მხარე – თ. ნ-ე საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის 1998 წლის 20 მაისის № 234 პ/შ ბრძანებით დაინიშნა საქართველოს შინაგანი სამინისტროს შინაგანი ჯარების № ნაწილის განყოფილებაში მორიგე ექიმ-ად.

სამედიცინო სანიტარული ნაწილი-ის მეთაურის 2003 წლის 14 მაისის № 133 ს/ნ ბრძანებაზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ნ-ე 2003 წლის 8 მაისიდან 2003 წლის 10 სექტემბრამდე იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში.

როგორც საქმეში, ს.ფ. 27-31-ზე დაცული ნამსახურობის ნუსხიდან ირკვევა, საქართველოს შინაგანი სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოს თ. ნ-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე არ მიუღია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ნამსახურობის ნუსხაში ასევე არ ასახულა ამ უკანასკნელის დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის ფაქტი.

დადგენილია და აღნიშნულს სადავოდ არ ხდის თავად კასატორიც, რომ „საქართველოს სამხედრო ძალებში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის № 616 ბრძანებულებით განხორციელდა საქართველოს შინაგანი სამინისტროს შინაგანი ჯარების რეორგანიზაცია. იმავე ბრძანებულების საფუძველზე შინაგანი ჯარების ქვეგანყოფილებები, მათ შორის – სამედიცინო-სანიტარული ნაწილი ს/ნ № გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა უზრუნველყო შინაგანი ჯარების ქვედანაყოფებისა და ცენტრალური აპარატის სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამხედრო სამსახურის გაგრძელება საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულება და მიაჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ თ. ნ-თან დაკავშირებით კასატორს არ მიუღია კონკრეტული გადაწყვეტილება, მათან მიმართებაში დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის შემოადინებული ბრძანებულების მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განხორციელებული რეორგანიზაცია არ იძლეოდა ყველა თანამშრომლის დასაქმების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ არსებით ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ თ. ნ-თან მიმართებაში ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუღია არანაირი აქტი, მათ შორის – რეორგანიზაციის გამო სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, რის გამოც, საკასაციო სასამართლო მოკლებულია კასატორის მიერ წარმოდგენილი საფუძველების შემოწმების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოები, მათ შორის საკასაციო სასამართლოც ვერ იმსჯელებს გათავისუფლების კანონისმიერ საფუძველზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არის შემოწმების ფორმალური საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე ადასტურებს კასატორის მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის დარღვევის ფაქტს, კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. შრომის წიგნაკში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გათავისუფლების თარიღის აღნიშვნით, რაც თ. ნ-თან მიმართებაში არ განხორციელებულა.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სახეზეა პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვის ფაქტი, რაც ამ უკანასკნელს აძლევს შესაძლებლობას, საქართ-

ველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, თ. ნ-ის შრომითი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

საქმე № ბს-823-789(კ-06)

21 მარტი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენა

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ქ-ე აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მუშაობდა ...ის თანამდებობაზე. აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის № 313 ბრძანებით ნ. ქ-ე გათავისუფლდა ხსენებული სამინისტროს აპარატის უფროსის თანამდებობიდან ამ თანამდებობის შესაბამისი შტატის გაუქმების გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, ვინაიდან აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ახალი საშტატო ნუსხით შექმნილი ადამიანური რესურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის თანამდებობა თავისი ფუნქციური დატვირთვითა და შინაარსით წარმოადგენს იმავე სამუშაო ადგილს, რაც მანამდე ჰქონდა დაკავებული ნ. ქ-ს, იგი აღდგენილ უნდა იქნეს დასახელებული განყოფილების ...ის თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად, რასაც ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ახალი საშტატო განრიგით მანამდე არსებული თანამდებობის გაუთვალისწინებლობა და აღნიშნული თანამდებობის მსგავსი ფუნქციების მქონე სხვა თანამდებობის გათვალისწინება ნიშნავს შესაბამისი ფუნქციების მქონე ახალი თანამდებობის შემოღებას, ანუ ძველი და ახალი თანამდებობების ფუნქციების იგივეობა არ აფუძნებს ხსენებული თანამდებობების იდენტურობას და, ამდენად, მოსარჩელის ფუნქციონალურად შესაბამის ახალ თანამდებობაზე აღდგენა ვერ ჩაითვლება მის მიერ მანამდე დაკავებულ, იმავე თანამდებობაზე აღდგენად. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. ქ-ე, ფაქტობრივად, მის მიერ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე აღადგინა, ხოლო ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საქმე № ბს-555-529(კ-07)

11 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

სამხედრო კომისარიატის რეორგანიზაციის შედეგად, ... განყოფილება, სადაც დეკრეტულ შვებულებაში გასვლამდე ნ. ვ.-ე მსახურობდა და წვევამდელთა გაწვევის აღრიცხვიანობას აწარმოებდა, გაუქმდა და „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, წვევამდელთა აღრიცხვიანობა დაევალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სადაც შეიქმნა სამხედრო განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებაში უნდა დასაქმებულიყვნენ კომისარიატის ის თანამშრომლები, რომლებიც შტატების შემცირების ან რეორგანიზაციის შედეგად სარგებლობდნენ კანონით მინიჭებული სამსახურში დარჩენისა და დასაქმების უპირატესი უფლებით.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე აღარ არსებობს ის თანამდებობა, რომელიც გათავისუფლებამდე ეკავა კასატორს, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.1. მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე მოხელე ექვემდებარება აღდგენას მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში რეორგანიზაციის გამო გაუქმდა.

საქმე № ბს-641-610(კ-07)

18 დეკემბერი, 2007 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი)

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე „აღდგენა“ თავისთავში გულისხმობს ზოგადად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლებულ იქნა, თუმცა საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, რომ ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (ასე მაგალითად, შტატი არ საჭიროებდა უმაღლეს განათლებას, მაშინ, როცა რეორგანიზაციის საფუძველზე ამგვარი შტატის დასაკავებლად უმაღლესი განათლება საჭირო.), ხოლო ის გარემოება, რომ უფროსი სპეციალისტის შტატი ამგვარი სახელწოდებით აღარ არსებობს, არ წარმოადგენს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ფუნქციურად სხვა საშტატო ერთეული, რომელიც რეორგანიზაციის შემდგომ ჩამოყალიბდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურაში, იმავე სახის უფლება-მოვალეობებით არ არის აღჭურვილი.

საქმე № ბს-1032-996(კ-08)

8 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილი)

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული ნორმა მოხელის აღდგენას თანამდებობაზე ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც კვლავ არსებობს გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა. სამმართველოს სტრუქტურული ერთეული-გენერალური ინსპექცია, „აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 11.02.06წ. № 60 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ა/რ მთავრობის 30.06.08წ. № 29 დადგენილებით, გაუქმდა. „აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შექმნის შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 02.09.04წ. № 36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ა/რ მთავრობის 30.06.08წ. № 28 დადგენილებით აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა (50 საშტატო ერთეული) შემცირდა და 47 საშტატო ერთეულით განისაზღვრა. აჭარის ა/რ მთავრობის 16.12.08წ. № 56 დადგენილებით სამმართ-

ველოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა კვლავ განისაზღვრა 50 საშტატო ერთეულით, თუმცა მთავრობის ამ დადგენილების საფუძველზე სამმართველოს უფროსის 25.12.08წ. ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს სამმართველოს სტრუქტურული ერთეულის სახით – გენერალური ინსპექციის არსებობას, შესაბამისად საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული გენინსპექციის ... შტატი. ამდენად, სადღეისოდ არ არსებობს თანამდებობა, საშტატო ერთეული, რომელიც სამსახურიდან განთავისუფლებამდე ეკავა მ. კ-ძეს, რის გამოც არ არსებობს წინანდელ თანამდებობაზე მ. კ-ძის აღდგენის და ამ ნაწილში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საქმე № ბს-1373-1312(კ-09)

2 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენა

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ქობულეთის რაიონის გამგეობის 28.01.05წ. № 46 ბრძანება, რომლითაც მ. ბ-ძე განთავისუფლდა ქობულეთის რაიონის გამგეობის ... განყოფილების ... მოვალეობის შესრულებისაგან და დაინიშნა რაიონის გამგეობის აპარატის ... განყოფილების ... 0,5 საშტატო განაკვეთზე. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით მ. ბ-ძე აღდგენილ იქნა იმ განყოფილების ... თანამდებობაზე, რომელიც ასრულებდა ... პრობლემების ფუნქციებს, მოსარჩელეს აუნაზღაურდა აგრეთვე ნაცდური ხელფასი 435 ლარის ოდენობით. ქობულეთის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს 14.06.05წ. განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქობულეთის გამგეობის სააპელაციო საჩივარი. აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს 14.06.05წ. განჩინება საკასაციო წესით გამგეობის მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. № 3-27 სააღსრულებო ფურცლით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილება 19.10.05წ. მიექცა აღსასრულებლად. ქობულეთის რაიონის გამგეობის 06.04.06წ. განკარგულებით, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მ. ბ-ძეს რაიონის ბიუჯეტის გამგეობის რეზერვიდან გამოეყო 435 ლარი, რითაც ნაწილობრივ აღსრულდა სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობის 30.05.06წ. წერილით სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ გამგეობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გამო მოხდა ... განყოფილების ლიკვიდაცია, რაც შეუძლებელს ხდიდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 05.04.05წ. გადაწყვეტილების აღსრულებას. გამგებლის პირველი მოადგილის იმავე თარიღით გამოცემული № 120 ბრძანებით ... მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე სხვა პირი დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლო ამ გარემოების აღწერით შემოიფარგლა და არ მიუცია მისთვის რაიმე შეფასება. საკასაციო პალატისათვის მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ მ. ბ-ძის ... თანამდებობიდან განთავისუფლების მომენტისათვის გამგეობაში არსებობდა ორი სტრუქტურა-ერთი, ... განყოფილება, რომლის ... მოვალეობასაც ასრულებდა მ. ბ-ძე და რომელიც მხოლოდ გამგეობის დაქვედებარებაში იმყოფებოდა და მეორე, ... განყოფილება, რომელიც ორმაგი დაქვემდებარების იყო და რაიონის გამგეობასთან ერთად ექვემდებარებოდა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ქობულეთის რაიონის ... ადგილობრივი სამსახური, რაც დასტურდება ქობულეთის რაიონის გამგებლის 30.05.06წ. № 120 ბრძანებით აღნიშნული სამსახურის ... მოვალეობის შემსრულებლად სხვა პირის დანიშვნის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დავა ისე გადაწყვიტა, რომ არ შეუსწავლია რეორგანიზაციამდე არსებული გამგეობის ორი განყოფილების ფუნქციონალური დატვირთვა, მათი ხელმძღვანელად დანიშვნის წესი, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლივია რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სტრუქტურული ერთეულის – ... ადგილობრივი სამსახურის ფუნქციები, არ დადგენილა თუ რატომ არ იყო შესაძლებელი ამ სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მ. ბ-ძის აღდგენა, რით განსხვავდებოდა აღნიშნული სამსახურის ფუნქციები ... განყოფილების ფუნქციებისაგან, რომელსაც ... მ. ბ-ძე. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სამსახურის სტრუქტურა-

ლი დაქვემდებარება, გამგეობის ახალი სტრუქტურული დანაყოფის ორმაგი დაქვემდებარების შემთხვევაში განყოფილების უფროსის დანიშვნის წესი, გამგეობის კომპეტენცია უფროსის დანიშვნის საკითხში და შესაბამისად გამგეობის სათანადო მოპასუხეობის საკითხი. ფუნქციონალური დატვირთვის გამოკვლევის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანამდებობის არარსებობის გამო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან სასამართლოს არ უმსჯელია თუ რა არის მითითებული ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში: განყოფილების დასახელება თუ ფუნქცია, სააპელაციო პალატამ არ გასცა პასუხი მოსარჩელის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ გათავისუფლებამდელი თანამდებობის არარსებობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითა, რომ მ. ბ-ქ უნდა აღდგენილიყო იმ განყოფილების ... თანამდებობაზე, რომელიც ასრულებდა ... პრობლემების ფუნქციებს, ამასთანავე სასამართლოს არ გაურკვევია სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია.

საქმე № ბს-893-855-კ-06

7 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოხელის სამსახურში აღდგენის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

ნ. ი-ი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 20 თებერვლის № 41-კ ბრძანებით დათხოვნილი იქნა საბაჟო „ქუთაისის“ განყოფილების ინსპექტორის თანამდებობიდან.

ნ. ი-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე მიღებული ზემოაღნიშნული ბრძანება უკანონოდ იქნა მიჩნეული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით და ნ. ი-ი აღდგა სამუშაოზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში, რეგიონალური საბაჟო „რკინიგზის“ განყოფილების ქუთაისის ჯგუფის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 ივნისის განჩინებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2003 წლის 3 დეკემბრის № 410-კ ბრძანებით, ნ. ი-ი აღდგენილი იქნა სამსახურში და დაინიშნა რეგიონალური საბაჟო „რკინიგზის“ განყოფილების ქუთაისის ჯგუფის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. იმავე ბრძანების მე-2 პუნქტით ნ. ი-ის აღდგენასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლდა ბ. მ-ი.

ბ. მ-ის სარჩელის საფუძველზე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ბ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეულ იქნა კანონსაწინააღმდეგოდ და იგი აღდგა თავდაპირველ თანამდებობაზე.

მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2004 წლის 15 მარტის № 202-კ ბრძანებით ბ. მ-ი აღდგა რეგიონალური საბაჟო „რკინიგზის“ განყოფილების ქუთაისის ჯგუფის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად, რა მოტივითაც, ნ. ი-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ამდენად სახეგა კანონიერ ძალაში შესულ ორ სასამართლო გადაწყვეტილებას შორის კონფლიქტი, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის არასწორი განმარტებით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ნ. ი-ის უფლებათა შელახვა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებელ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს

ამბობს აღდგენაზე. ხოლო იმავე კანონის 97.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების შტაბებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმების არასწორ გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს შემდეგს: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97.1 მუხლი უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენის შემთხვევაში ითვალისწინებს იმ პირის სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას, რომელსაც ამ მომენტისათვის დაკავებული აქვს უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის ადგილი. შესაბამისად, მითითებული მუხლის საფუძველზე დაუშვებელია იმ პირის უპირობო გათავისუფლება, რომელიც ირიცხება საკუთარ სამშაბტო ერთეულზე და არ დაუკავებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის ადგილი. თუმცა, აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მ. ბ-თან მიმართებაში საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან ზემოაღნიშნული მუხლი სწორად იქნა განმარტებული.

საკასაციო სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს ნ. ი-ის უფლებების შელახვის ფაქტს, სახეზეა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური ნიშნით აღუსრულებლობის ფაქტი, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33.1 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. ი-ის შრომითი მოწყობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ნ. ი-ის რეგიონალური-საბაჟო რკინიგზის განყოფილების ქუთაისის ჯგუფის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად აღდგენის შესახებ, რაც საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს.

საქმე № ბს-1374-1338(კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირის ნების საწინააღმდეგოდ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისას პრემიისა და სხვა დანამატების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქ.თბილისის მერის 2005 წლის 05 მაისის № 23 ბრძანება გამოცხადებულია ძალადაკარგულად და არა ბათილად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ იძლევა მოსარჩელეთა უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობას, ვინაიდან მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული თავად სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტთან, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გაგებული იქნას იმგვარად, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და არ იყოს ორიენტირებული შესაბამის შედეგზე.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებს იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეთ ლიკვიდაციის თაობაზე მიღებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან მერიის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

გადაწყვეტილება, რომელიც იქცა მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძველად და რომლითაც, როგორც აღინიშნა, სადავო აქტი გამოცხადდა ძალადაკარგულად, ძალაში შევიდა 2009 წლის 8 აპრილს, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ქ.თბილისის მერიაში ჩატარდა 2009 წლის 9 ნოემბერს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული წარმოადგენს სწორედ იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეებს (კასატორებს) უნდა აუნაზღაურდეთ იძულებითი განაცდური.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას სამსახურში აღდგენისა და თანამდებობრივ სარგოზე დამატებით პრემიისა და კანონით გათვალისწინებული დანამატების მიცემის თაობაზე, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო ფაქტობრივად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობას და დამატებით აღნიშნავს, პრემიისა და სხვა დანამატების გაცემის საფუძველი განსხვავდება თანამდებობრივი სარგოს გაცემისაგან. პრემია და დანამატი არ წარმოადგენს სტაბილურ და წინასწარ დადგენილ დანამატს, იგი ხშირად დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და ა.შ. რის გამოც სასამართლო, როგორც წესი, ვერ განსაზღვრავს, ვერ დაადასტურებს და ვერც გამორიცხავს ამ გარემოებების არსებობის საკითხს იმ პირობებში, როდესაც პირი, მართალია, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ფაქტობრივად არ ასრულებს დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას.

საქმე № ბს-1608-1536(კ-09)

7 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ქ-შვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, როგორც საჯარო მოსამსახურე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის № 139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ შესაბამისად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახეზეა არა კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა არ იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას მოსარჩელესათვის 1998 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმასთან მიმართებაში და განმარტავს, რომ მოსარჩელე ნ. ქ-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდებოდა არა რაიმე სახის ხელშეკრულების, არამედ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ბრძანებების მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა და ნ. ქ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293, 62 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის № 139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაცი დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და

უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისევე როგორც „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის № 413 კანონით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ქ-შვილის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999 და 2000 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაცია და სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) რომლის თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებული „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღირებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, არ არსებობს მოსარჩელის მიმართ არსებული 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293, 62 ლარისა და 1998-1999-2000 წლების კვების(ულუფის კომპენსაციის) – 708, 00 ლარის ოდენობით ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

განმარტების საგანი: ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლი)

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ს-ძე 2001 წლამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს № 10-8/8099 ცნობის (ს.ფ. 15) თანახმად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის დავალიანება შეადგენს: 1998 წლის ხელფასს – 308,26 ლარს, კვების კომპენსაციას – 192,34 ლარს. 1999 წლის ხელფასს – 150,38 ლარსა და კვების კომპენსაციას – 94,40 ლარს, სულ – 745,38 ლარს.

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფის სახით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს ცნობა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც

შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის – 286,18 ლარის ა. ს-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ა. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

საქმე № ბს-442-439(კ-11)

26 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე გასაცემი სახელფასო დავალიანება („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 6 ოქტომბრის ცნობით დადგენილია, რომ თ. ფ-ძის ხელზე მისაღები ხელფასი შეადგენდა სულ 2233,20 ლარს, მათ შორის: 1998 წლის ხელფასი – 978,51 ლარს, 1999 წლის ხელფასი – 471,82 ლარს, 2000 წლის ხელფასი – 158,23 ლარს და ულუფა – 519,92 ლარს, 2003 წლის ხელფასი – 52,80 ლარსა და ულუფა – 51,92 ლარს (ს.ფ. 12).

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმედლებებში მუშობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის № 413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1. მუხლის მიხედვით კი საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო პოლიციის შესახებ კანონის 31-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი

ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლები-სას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოიყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საქმე № ბს-98-91 (კ-13)

25 ივნისი 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურება („ყოველწლიური ფასიანი შვებულების“ შესახებ კონვენციის მე-6 მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, ნორმის შეფარდების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უშუალოდ გამოიყენება.

„ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის განჩინებაში (სამოქალაქო საქმე № ას-836-1122 თ.ც.ძის სარჩელისა გამო ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ), ჩამოყალიბებულ სამართლებრივ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს გამოუყენებელი საშვებულებო დახმარების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რატეფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით, ძალაშია 1997 წლის 22 ივნისიდან) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა.“

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე ჩამოყალიბებული აღნიშნული განმარტება და სასამართლო დასკვნა სავსებით ესადაგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში საჯარო შრომითი ურთიერთობების სწორ და კანონშესაბამის მოწესრიგებას, შრომითი უფლებების რეალიზაციის ხასიათის იდენტურობის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ბ-ი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ესე იგი, თავად დამსაქმებლის ინიციატივით, შესაბამისად, მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია „ყოველწლიური ფასიანი შვებულების“ შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის, შიდაეროვნული კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სწორი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების განხორციელებისას, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია აქტიური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნული უფლებით სარგებლობას, არამედ – უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა სამართალშეფარდების პროცესში არ გამოიყენეს კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ და გამოიყენეს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ნორმატიული აქტების იერარქიამათი იურიდიული ძალის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტების იერარქიის დაცვა განაპირობებს სამართლიან და კანონიერ სამართალშეფარდებას. 1996 წლის 29 ოქტომბრის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქიის შესაბამისად, საქართველოს კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიმართ. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს მინისტრის ბრძანების მიმართ. საქართველოს მინისტრის ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც უნდა გამოიცეს კანონის საფუძველზე, ესე იგი, შეესაბამებოდეს იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ

აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ენიჭება იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენს საჯარო სამსახურს სახელმწიფოს თავდაცვის სისტემაში. 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. 1998 წლის 25 ივნისის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ კასატორების მიერ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მინისტრის ბრძანების გასაჩივრების უფლების გამოყენებლობა იწვევს შვებულების ანაზღაურების უფლების დაკარგვას, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ შესახებ დებულების მე-9 თავით განსაზღვრულია, რომ შვებულების ანაზღაურების უფლება დათხოვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრების გარეშეა გარანტირებული.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის № 583 ბრძანება არ ითვალისწინებს დათხოვილ სამხედრო მოსამსახურეთა შვებულების ანაზღაურებას, რაც სარჩელის არდაკმაყოფილების საფუძველი გახდა, უხეშად უგულებელყოფს მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებისა და მათი გამოყენების წესს.

3. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია

საქმე № ბს-576-566(კ-12)

31 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცნობა-დახასიათებაში ცვლილების შეტანა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 თებერვლის № 22238 გადაწყვეტილებით მ. ფ-ის განცხადება 2011 წლის 3 თებერვლის ცნობა-დახასიათებაში არსებული უზუსტობის შესწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რამდენადაც მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ ცნობა-დახასიათება ზუსტად შეესაბამებოდა ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცულ დოკუმენტებს. მითითებული გადაწყვეტილება მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე გაუქმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრილის № 62673 გადაწყვეტილებით და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... № ...-ში მდებარე უძრავი ნივთის შესახებ ცნობა-დახასიათების მომზადება, რამდენადაც ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ № 3 და № 4 ოთახების მესაკუთრედ სახელმწიფოს მითითება უძრავ ნივთთან დაკავშირებით ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობის მოტივით კანონსაწინააღმდეგო იყო. აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა ცნობა-დახასიათება, რომლის მიხედვით, ამოირიცხა № 4 ოთახზე სახელმწიფო საკუთრება, ხოლო მის მოსარგებლედ კვლავ მიეთითა აფთიაქი. მ. ფ-ემ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობა-დახასიათება კვლავ შეიცავდა არასწორ მონაცემებს, რის გამოც ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა ხავეზის გასწორების შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობა და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებაში შესწორების იმგვარად შეტანა, რომ № 4 ოთახის მოსარგებლედ ნაცვლად აფთიაქისა მითითებული იქნებოდა გ. ფ-ე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მ. ფ-ე სასარჩილო მოთხოვნების

დაზუსტების შედეგად ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის № 95670, ცნობა-დახასიათებაში უსწორობის ნაწილობრივ გასწორების შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებიდან ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... № ...-ში მდებარე № 4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის ამორიცხვის და გ. ფ-ის მითითების სარეგისტრაციო სამსახურისათვის დავალუბას ითხოვდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ცნობა-დახასიათებაში უსწორობის გასწორებისა და ინფორმაციის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოსცა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და დადგენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის თანახმად, სააღრიცხვო ბარათი წარმოადგენდა სარეგისტრაციო ფურცელს, რომელიც დგებოდა თითოეული მიწის ნაკვეთზე და მოიცავდა ინფორმაციას ამ ნაკვეთისა და მასზე არსებული სხვა უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობისა და საზღვრების შესახებ, აგრეთვე რეგისტრირებული უფლებების ობიექტების გეგმას. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააღრიცხვო ბარათზე მოცემული ჩანაწერები წარმოადგენდა ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითად იურიდიულ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახური ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის № 416 ბრძანებულებით და ამ სამსახურში არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და არქივი გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში აღრიცხული უძრავი ნივთების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საჯარო რეესტრის სამსახურების მიერ ინფორმაციის გაცემისას მხოლოდ არქივში არსებული მონაცემების ტექნიკურ გადმოტანას, არსებული მასალების ურთიერთშესაბამისობისა და მონაცემების დამუშავების გარეშე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელ ორგანოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინფორმაციის მომზადებისას თავად დაადგინოს გარკვეული მონაცემები, კერძოდ, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით კონკრეტულად არ დგინდება მიწის ნაკვეთის ნაწილების ფართობები და საზღვრები, იგი თავად ადგენს ფართობს და საზღვარს აღნიშნული ნაწილების შეერთების წერტილების მიხედვით; მას შეუძლია დაამოწმოს ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს სააღრიცხვო ბარათში არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები სათანადო წესით, თუ ისინი ინახება დაუმოწმებელი სახით; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში ერთ უძრავ ნივთზე მოცემულია რამდენიმე სააღრიცხვო გეგმა და მათზე არსებული მონაცემები ერთმანეთს არ შეესაბამება, უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გაიცეს ის სააღრიცხვო გეგმა, რომელიც შეესაბამება ამ უძრავ ნივთზე არქივში დაცულ ბოლო მდგომარეობას; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე დატანილ თანამესაკუთრეთა სიაში არ არის მითითებული უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული რომელიმე თანამესაკუთრე, ასეთ შემთხვევაში ცნობა-დახასიათება ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გაიცეს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებით დადგენილი ბოლო უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისად; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე უფლება არ არის აღრიცხული, მაგრამ სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ტექნიკური აღრიცხვის არქივი ინფორმაციას გასცემს სააღრიცხვო ბარათში დაცული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამო ადმინისტრაციული ორგანოს მითითება არსებული მდგომარეობისა და მონაცემების გაუთვალისწინებლობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკითხის ხელახლა განხილვისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას მარეგისტრირ-

რებელმა ორგანომ უნდა დაიცვას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, სადავო საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ საქმის გარემოებებისა და არსებული მასალების სათანადო გამოკვლევის შედეგად და იმსჯელოს არსებობდა თუ არა სადავო ფართის მოსარგებლედ აფთიაქის მითითების საფუძველი, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი 1957 წლის 20 სექტემბრის ქირავნობის ხელშეკრულებით ფართი დროებით ჰქონდა გადაცემული ... გ. დ-ეს. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქსტატის მიერ 2010 წლის 2 და 8 დეკემბრის № 5/1-06/25 და 5/1-06/24 წერილების თანახმად, საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში სააფთიაქო სამმართველოს ავტოლის სახელმწიფო აფთიაქის შესახებ ინფორმაცია არ იძენებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ ყველა დოკუმენტისა და მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე და განახორციელოს ცვლილება 2011 წლის 3 მაისს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამოირიცხა სადავო № 4 ოთახზე სახელმწიფო საკუთრება, რამდენადაც არ არსებობდა სახელმწიფოს საკუთრებად ფართის აღრიცხვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ასევე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა უნდა იმსჯელოს არსებობს თუ არა აფთიაქის სადავო ფართის მოსარგებლედ მითითების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივში არსებული მონაცემებით უძრავ ნივთზე აღრიცხული სარგებლობის უფლება ძალადაკარგულია, მაშინ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ ინფორმაციის გაცემისას აღნიშნული უფლება არ მიეთითება, ხოლო მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით უძრავ ნივთზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს ან სხვა პირის საკუთრების უფლება, უფლებამოსილი პირი ვალდებულია ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან უძრავ ნივთზე ინფორმაციის ან ცნობა-დახასიათების გაცემისას მიუთითოს, რომ უძრავ ნივთზე უფლება არ არის აღრიცხული.

საქმე № ბს-367-363(კ-12)

28 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკადასტრო მონაცემების ზედდება

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 18.12.1998წ. მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების N635 აქტის საფუძველზე ბ. მ-ეს გადაეცა 0,08 ჰა. მიწის ნაკვეთი. 30.04.03წ. მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად ბ. მ-ის სახელზე გაცემულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 0,080 ჰა დაუზუსტებელი ფართობით. 28.10.05წ. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ნაკვეთი ირიცხებოდა ბ. მ-ის სახელზე. 25.02.11წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და სოფ. ..., „...“ არსებულ 545 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების დარეგისტრირება მოითხოვა. განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 04.03.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მოთხოვნა. საჯარო რეესტრიდან 04.03.2011წ. ამონაწერით უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, სოფ. ... „...“, ნაკვეთი 06/402, დაზუსტებული ფართობი 545,00 კვ.მ. აღირიცხა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე. 19.05.11წ. ბ. მ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. სარეგისტრაციო სამსახურის 25.05.2011წ. გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ მიწის ნაკვეთის წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე ნაკვეთის საკადასტრო მონაცე-

მებს, მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე ნაკვეთის საზღვრებში, რის გამოც წარმოსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო ამომავალი ნახაზი. საჯარო რეესტრის 27.01.12წ. ამონაწერის თანახმად სადავო ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართობი – 545,00 კვ.მ., მდებარე: ქ. თბილისი, სოფ., „...“) დარეგისტრირებულია დ. ბ-ის საკუთრების უფლება.

საქმის მასალებში დაცული მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით დასტურდება, რომ რეგისტრატორის მიერ 30.04.03წ. ბ. მ-ის სახელზე განხორციელდა სადავო ნაკვეთის აღრიცხვა, რეგისტრაციის განხორციელების დროს მოქმედი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.1996წ. კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად რეგისტრატორი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა დამატებითი ინფორმაცია ნაკვეთის შესახებ, დამატებითი დოკუმენტაცია, დაინტერესებული მხარე ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეესრულებინა რეგისტრატორის მოთხოვნა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ წარდგენილი მონაცემები საკმარისად ჩაითვალა რეგისტრაციისათვის. „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.1996წ. კანონი ითვალისწინებდა რეესტრში ფიქსირებული და მიახლოებითი საზღვრების აღრიცხვას, თუ ადგილი არ ჰქონდა მოსაზღვრე მხარეებს შორის შეთანხმებას და სათანადო წესით შესრულებული კადასტრული სამუშაოების მონაცემების რეესტრში შეტანას, ყველა სხვა სახის საზღვარი მიახლოებით საზღვრად ითვლებოდა (მე-13.1 მუხ.). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.05 წ. კანონი ასევე ითვალისწინებდა უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში დამატებული ან დაზუსტებული ფართობის მითითებას (8.3. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოფილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრატურაში რეგისტრირებული უფლებები მიიჩნეოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ 19.12.08წ. კანონის საფუძველზე მიღებული იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 8.7, 31.4 მუხლები ასევე ითვალისწინებენ დაზუსტებულ რეგისტრაციას. ამდენად მიწა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. კანონმდებლობა არ შეიცავს დაუზუსტებელი მონაცემებით მიწის ნაკვეთის სუბიექტზე აღრიცხვის გამომრიცხავ დანაწესს. ამასთანავე, პირველად დაუზუსტებულ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადასტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერებას. რეგისტრაციას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს, ის არის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის პირობა, რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა განამტკიცოს, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა.

მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ის მოსაზრება, რომ საკადასტრო ინფორმაცია ბ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში არ აღმოჩნდა. პირველადი რეგისტრაცია კასატორის სახელზე განხორციელდა 30.04.03წ., რასაც ადასტურებს სარეგისტრაციო მოწმობა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, ნაკვეთის სხვა მახასიათებლებთან ერთად, შეიცავს აგრეთვე საკადასტრო გეგმას 1:1000 მასშტაბში (ტ.1.ს.ფ.17), ბ. მ-ის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, ნაკვეთის საზღვრების პარამეტრებს, რაც ასევე იძლეოდა ნაკვეთის ადგილმდებარეობის დადგენის საკმარის შესაძლებლობას. ვინაიდან საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ბ. მ-ის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 3.3 მუხლის და 7.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბ. მ-ის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის

აღწერილობის პარამეტრების გარდა შეიცავდა აგრეთვე სარეგისტრაციო კადასტრული (ინდექსირებული) რუკის მონაცემებსაც, საკადასტრო გეგმას, უკანასკნელი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის განკარგულებაში, ვინაიდან საჯარო რეესტრი პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემების შექმნასა და შენახვაზე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 12.06.12წ. გადაწყვეტილება საქმეზე „დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“, §15). ამასთანავე, დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეესტრში რეგისტრირებული იყო მოსარჩელის მეზობლად მდებარე ნაკვეთი, რაც იძლეოდა ელვერსიით შედგენილი საკადასტრო ნახაშში სადავო ნაკვეთის მოსარჩელეზე აღრიცხვის დადგენის შესაძლებლობას, ვინაიდან საკადასტრო ამოწმითი ნახაშის თანდართული წერილობითი ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26.5 მუხლის შესაბამისად, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს ინფორმაციას მოსაზღვრე უძრავი ნივთის მფლობელის ან მესაკუთრის შესახებ, ამასთანავე ნ. ქ-ის სახელზე 18.12.1998წ. გაცემული N634 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მოსაზღვრედ მითითებულია ბ. მ-ე.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 18.12.1998წ. მიღება-ჩაბარების აქტი, 30.04.03წ. სარეგისტრაციო მოწმობა, საჯარო რეესტრის მონაცემი შეიცავდა ბ. მ-ის კუთვნილი ნაკვეთის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს (სარეგისტრაციო ზონის და სექტორის კოდები, ნაკვეთის ნომერს, კონტურს), ამასთანავე, სარეგისტრაციო სამსახურის სადავო გადაწყვეტილების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 7.3 მუხლის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განაცხადით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ვერ ხერხდება ნაკვეთის იდენტიფიცირება და არ დასტურდება დაუზუსტებელი მონაცემებით ბ. მ-ეზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელზე რეგისტრაცია. სარეგისტრაციო სამსახური თვითმმართველობის ორგანოს სახელზე სადავო რეგისტრაციის განხორციელებამდე ვალდებული იყო სხვა პირზე რეგისტრაციის არსებობა დაედგინა, აღნიშნულის გადამოწმების გარეშე რეგისტრაციის განხორციელებით მოსარჩელეს ფაქტურად წაერთვა საკუთრების უფლება სადავო ნაკვეთზე, მით უფრო, რომ სარეგისტრაციო სამსახური ვერ უთითებს ბ. მ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. ბ. მ-ისათვის ნაკვეთის გადაცემის დროისათვის მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა მცხეთის რაიონს, ამჟამად ის თბილისის ტერიტორიას განეკუთვნება. სოფლის ტერიტორიის მცხეთის რაიონიდან თბილისისათვის გადმოცემის შემდეგ სადავო ნაკვეთის მონაცემები გადაეცა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, შესაბამისად მოპასუხეს არსებითი გამოკვლევის შემთხვევაში შეეძლო დაედგინა ნაკვეთის მესაკუთრე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო გამოერკვია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთზე სხვა პირის უფლების რეგისტრაციის არსებობა. კანონმდებლობა არ გამორიცხავს დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაშის მეშვეობით არ ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ყოველგვარ ამრს უკარგავს დაუზუსტებელ რეგისტრაციას, რეესტრის სამსახური ვალდებული იყო გამოეკვლია ნაკვეთზე სხვა რეგისტრაციის არსებობა, სზაკ-ის 95-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაინტერესებული მხარისათვის – ბ. მ-ისათვის ეცნობებინა წარმოების დაწყების შესახებ, მიეცა მისთვის ამრის გამოთქმის შესაძლებლობა. სადავო გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ ბ. მ-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრების მოწმობა, მის სახელზე საჯარო რეესტრის განხორციელებული ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შესაძლებლად მიიჩნევს და ფაქტურად ეთანხმება სარეგისტრაციო მონაცემის შეუსაბამობას, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა

ლახავს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ქმნის მდგომარეობას, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად. სადავო სამართალურთიერთობის ასეთი გადაწყვეტით ბ. მ-ის სახელზე იარსებებს რეგისტრირებული უფლება ქონებაზე, ხოლო თავად ქონება ანუ უფლების ობიექტი სახელზე არ იქნება, რაც მესაკუთრის უფლებებიდან და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის წინააღმდეგობრივი, ის ერთის მხრივ აღიარებს მიწის ნაკვეთის მოსარჩელისადმი კუთვნილებას ფორმალურად (ე.ი. ეთანხმება რეესტრის ჩანაწერს), ხოლო მეორეს მხრივ სასამართლო თავის გადაწყვეტილებით გამორიცხავს, ფაქტობრივად უარყოფს საკუთრებას, ვინაიდან არც სასამართლო და არც საჯარო რეესტრის სამსახური არ უთითებს ბ. მ-ის საკუთრებაში მყოფი ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ზომების შედეგად პირზე რიცხული უძრავი ქონება გამოუყენებადი ხდება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ აღინიშნა, რომ საკუთრების უფლება ფაქტობრივად ჩამორთმეულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო უარყოფს ქონების ექსპროპრიაციის ფაქტს და ქონების ფლობის სამართლებრივი უფლება ფორმალურად პირველად მესაკუთრეს რჩება, თუმცა მისით სარგებლობა შეუძლებელი ან მნიშვნელოვნად გართულებულია. 4460,63). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფიქციაა არა ის ქონება, რომელსაც პირი რეგისტრაციის საფუძველზე ფლობს, არამედ ფიქციაა თავად რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობა, შესაბამისად დაუშვებელია სარეგისტრაციო მონაცემის და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, არ დაიშვება რეგისტრირებულ მონაცემებს შორის კონკურენციის არსებობის შესაძლებლობა. **საკასაციო პალატა თვლის, რომ საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხვედრაში, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი.** ბ. მ-ის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, სარეგისტრაციო მოწმობა ქმნიდნენ ნაკვეთის ბ. მ-ის სახელზე აღრიცხვის მყარ საფუძველს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თვითმმართველობის ორგანოს სახელზე სადავო რეგისტრაციის დროს მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესაბამისად ბ. მ-ის სახელზე იყო რეგისტრირებული. საერთო წესის მიხედვით ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს. მოცემულ შემთხვევაში თვითმმართველობის ორგანოს სახელზე განხორციელებული სადავო ჩანაწერით არ გაუქმებულა ბ. მ-ის სახელზე არსებული ჩანაწერი, სახელზე ერთი და იგივე ობიექტზე ორი ჩანაწერის კონკურენცია, რომლის პირობებშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლის შესაბამისად, თუ სარეგისტრაციო ობიექტზე მოთხოვნილია რამდენიმე ისეთი უფლების რეგისტრაცია, რომლებიც თავიანთი შინაარსით გამორიცხავს ერთმანეთს, მაშინ რეგისტრირდება მხოლოდ ის უფლება ან უფლებები, რომელიც (რომლებიც) სხვა უფლებაზე ან უფლებებზე ადრე იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ. ამდენად არ იკვეთება სადავო რეგისტრაციის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი.

საქმე № ბს-671-657 (კ-12)

16 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკადასტრო მონაცემების ზედდება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 1 ივლისს ვ. მ-ემ განცხადებით მიმართა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს და ქ. რუსთავი, ... ქუჩა № 22-1-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, რეგისტრირებულ მონაცემებთან ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდების არსებობის მოტივით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2011 წლის 22 ივნისის რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა თ. ბ-ის განცხადება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით; ხოლო 2011 წლის 23 ივნისის რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელდა უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება, რის საფუძველზეც თ. ბ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა 264.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას 4.82 კვ.მ. მიწის ფართი იწვევს, რაც 2011 წლის 23 ივნისის განხორციელებული სადავო რეგისტრაციით მესამე პირის თ. ბ-ის საკუთრებაში მოექცა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკადასტრო მონაცემების დაზუსტების მიზნით თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელებისას რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ დარღვეულა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვ. მ-ეს ისე ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი ობიექტური შეფასების საფუძველზე არ მიიღო გადაწყვეტილება. სარეგისტრაციო სამსახურს არ დაუდგენია სადავოდ ქცეული – მესამე პირის თ. ბ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების დაზუსტებით და ახალი წესის შესაბამისად საკუთრების უფლების რეგისტრაციით ვისი უფლებები ილახებოდა; სახეზე ხომ არ იყო ინტერესთა კონფლიქტი. ადმინისტრაციულ ორგანოს ფაქტობრივად ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია, რა დროსაც მას შესაძლებლობა და ვალდებულებაც ჰქონდა მიეწვია ყველა დაინტერესებული პირი, ვის ინტერესსაც შესაძლოა შეხებოდა გადაწყვეტილება. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორი ვ. მ-ე მიუთითებს, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურმა თ. ბ-ის სახელზე ისე განახორციელა საკუთრების უფლების დაზუსტება, რომ იგი, როგორც დაინტერესებული მხარე არ ყოფილა ადმინისტრაციულ წარმოებაში მიწვეული, მას მონაწილეობა არ მიუღია ადმინისტრაციულ წარმოებაში და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობაც არ მისცემია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ვ. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად ის გარემოება იქცა, რომ სახეზე იყო რეგისტრირებულ მონაცემებთან ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე გაიზიარეს მოპასუხე მხარის აღნიშნული მსჯელობა, რომ ფაქტობრივად არ შეფასებულა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ თ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 23 ივნისის განხორციელებული რეგისტრაციის კანონიერება, იმ პირობებში, როდესაც ვ. მ-ე სადავოდ ხდიდა აღნიშნულ რეგისტრაციას და ერთერთ სასარჩელო მოთხოვნას სწორედ სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა წარმოადგენს, რომლითაც თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქუჩა № 22-ში, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება განხორციელდა. სასამართლომ გასაჩივრებული რეგისტრაციის კანონიერება მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით დაასაბუთა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს აქვს ცდომილების უფლება და არ იმსჯელა იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი ცდომილების დაშვების უფლება, რომელიც ლახავს სხვის საკუთრების უფლებას და სასამართლოს შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისთვის, შეიძლება თუ არა ცდომილებაში უძრავი ნივთი მოექცეს. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადავოდ ქცეული თ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 23 ივნისის განხორციელებული რეგისტრაციით მესამე პირის თ. ბ-ის საკუთრებაში საერთო სარგებლობის დამხმარე ნაგებობა მოექცა, რომელსაც მოსარჩელის მტკიცებით იგი წლების განმავლობაში როგორც საკუთარს ისე ფლობდა.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს აპელირებას „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტზე, ვინაიდან, აღნიშნული ნორმა, შინაარსობრივი განმარტებიდან გამომდინარე, მიზნად არ ისახავს კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგებას სხვათა უფლებების შეზღუდვის საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს რეგისტრაციის წარმოებას ბოლო საკადასტრო აღწერის შედეგად დადგენილი ფართობის შესაბამისად, თუ საკადასტრო აღწერის შედეგებით მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაციის მიუხედავად, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობზე მეტია (5 ჰა–მდე ან 50 000 კვ.მ–მდე არა უმეტეს 1 პროცენტისა, ხოლო 5 ჰა–ზე ან 50 000 კვ.მ–ზე მეტით – არა უმეტეს 0.5 პროცენტისა) ან ნაკლებია, მაგრამ არა სხვისი საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარჯზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება, ერთის მხრივ, არის საკუთრების როგორც ინსტიტუტის, ასევე საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 23 ივნისს განხორციელებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტებამ (რომლის საფუძველზეც თ. ბ-ის სახელზე დაზუსტებული მონაცემებით საკუთრების უფლებით 264 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა) უდავოდ გავლენა იქონია ვ. მ-ის საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იცავს მესაკუთრეს, ახალი წესით აქვს მას ქონება დარეგისტრირებული თუ ძველი წესით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიწა საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით; მიწის ნაკვეთზე არსებული დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა. სააღრიცხვო მონაცემებს კი, იქნება ეს დაზუსტებული თუ დაუზუსტებელი მონაცემების სახით, იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება განხორციელდა ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ და დაცულ ინფორმაციათა სათანადო შეფასების გარეშე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე საკადასტრო მონაცემების დაზუსტებამდე უნდა გამოეკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია მასთან დაცულ მონაცემებთან, დაედგინა მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერების არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებას რეგისტრირებულ მონაცემებთან შედგების არსებობის მოტივით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიზღუდა კასატორის საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ გაუმახვი-

ლებიან ყურადღება მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე და შეფასების საგნად არ ქცეულა მოცემულ შემთხვევაში სადავოდ ქცეული რეგისტრაციით დარღვეულია თუ არა მხარეთა შორის არსებული შეთანხმების პირობები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2000 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელე – ვ. მ-მ და მესამე პირმა – თ. ბ-მა შეადგინეს შეთანხმება საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება და საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრში. შეთანხმების შესაბამისად ვ. მ-ის სახელზე დარეგისტრირდა 265.5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (დანიშნულება – არასასოფლო-სამეურნეო), ხოლო თ. ბ-ის სახელზე – დაუმუსტრებელი ფართობით 262 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მალალი ხარისხით, იმის გათვალისწინებით, რომ თავად მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არის ცნობილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კი, ისე უთხრა უარი განმცხადებელს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ ფაქტობრივად არც გამოუკვლევი საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ უმსჯელია ვ. მ-ის არგუმენტებზე და არ გაუკეთებია დასაბუთებული სამართლებრივი შეფასება რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოების ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს შიდა კონტროლს და სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მას უფლება აქვს თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების არაჯეროვანი განხორციელება და დაშვებული ხარვეზების გამოუსწორებლობა კი ახდენს სამართლებრივი დავების პროვოცირებას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად დანიშნულებას, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

საქმე № ბს-488-482(კ-12)

25 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკადასტრო მონაცემების ზედდება

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების (საალრიცხვო ბარათი) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში ნაწილობრივ ბათილად ცნობა და მიმართვის 477/4-ის ნაწილობრივ ბათილად ცნობა (დამოწმების თარიღი 04/05/2010, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2-ე მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილებით შ.პ.ს „...“ ... ქუჩაზე კონოთეატრ „...“ მახლობლად არქიტექტურის განყოფილების მიერ შედგენილი სქემის მიხედვით გამოეყო სარგებლობის უფლებით 150 მ² მიწის ფართობი მცირე გაბარიტიანი ავტობუსების სადგურის მოსაწყობად და ნება დაერთო ამავე ტერიტორიაზე ჩაედგა დროებითი ნაგებობის ტიპის მომსახურების სალარო. უძრავი ქონება მდებარე ... ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე: სარეგისტრაციო ზონა ... კოდი ...; სექტორი ... კოდი ..., კვარტალი № ..., ნაკვეთი № ... ფართობი 150 კვმ. აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“ თანახმად, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა შპს „...“. 2011 წლის 15 ივლისს მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე მდებარე ... ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შპს „...“ უარი ეთქვა ცვლილებების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლების საგანზე რეგისტრირებულია სხვა უფლება, კერძოდ რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრება საკადასტრო კოდით ..., რომელიც გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარმოდგენილი უფლების რეგისტრაციას. 2010 წლის 10 მაისის ამონაწერით დასტურდება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 04 მაისის 477/4 მიმართვის საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებულ იქნა ... ქუჩის მიმდებარე ცენტრალური პარკი (მიწის საკადასტრო კოდი: ... ზონა, სექტორი ქ., კვარტალი..., ნაკვეთი ..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8759.00 კვ.მ დაზუსტებული ფართობი).

საკასაციო პალატა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ საკუთრება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამასთან საჯარო რეესტრში აღირიცხება უკვე მოპოვებული უფლება. უფლებათა რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აუცილებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მას მნიშვნელობა აქვს ბრუნვის სტაბილურობის და მესამე პირთა ინტერესებისთვის. ამდენად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაცია, რაც საქმის მასალებით დასტურდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად, სახეზეა დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოშობილი სხვადასხვა პირის საკუთრების უფლება. ერთ-ერთი მათგანის დაზუსტებული მონაცემების რეგისტრირებამ გამორიცხა შემდგომში მეორე პირის მიერ წარდგენილი დაზუსტებული მონაცემების დარეგისტრირება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ რეგისტრირებული საკუთრების უფლება ხელყოფილ იქნა საჯარო რეესტრის ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის საფუძველზე, რომელმაც მიწის ნაკვეთზე ს/კ ... (ფართობი – 8759 კვ.მ) ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრების უფლება დაარეგისტრირა 2010 წლის 10 მაისს, იმ პირობებში როდესაც შპს „...“ რეგისტრირებული საკუთრების უფლება 2007 წელს უკვე არსებობდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქმის მასალებს მიხედვით არ დასტურდება ის გარემოება, რომ რეგისტრაციის მომენტისათვის სადავო მიწის ნაკვეთი (150 კვ.მ) წარმოადგენდა საჯარო რეესტრში, მოსარჩელის სახელზე დაზუსტებული მონაცემებით, რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაც გამორიცხავდა მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. მოსარჩელის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურში განცხადებასთან ერთად წარდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რაიონული სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით 2008 წლამდე ახალციხის რაიონში ელექტრონული ნახაზები არ არსებობდა (24.01.2012 სხდომის ოქმი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის განხილვისას ვალდებული იყო გამოეკვლია ხდებოდა თუ არა მუნიციპალიტეტის სახელზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას სხვა პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის გადაფარვა. საქმეში არსებული აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიით 18.07.2011 (ტ.1, ს.ფ. 89) დასტურდება, რომ არსებობდა ზედდება რეგისტრირებული მონაცემებთან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელე შპს „...“ ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილებით ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე კონოთეატრ „...“ მახლობლად არქიტექტურის განყოფილების მიერ შედგენილი სქემის მიხედვით გამოეყო სარგებლობის უფლებით 150 მ² მიწის ფართობი. **იმ პირობებში, როცა მიწის ნაკვეთზე პრეტენზიას აცხადებს ორივე მხარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია განიხილოს განცხადება და საკითხის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს და იმსჯელოს, არის თუ არა მოსარჩელის-თვის გამოყოფილი და მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი იდენტური, კერძოდ ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირებულ (ფართობი – 8 094) მიწის ნაკვეთში შედის თუ არა შპს „...“ საკუთებაში არსებული 150 კვ. მ მიწის ნაკვეთი (მდებარე: ახალციხე, ... ქ. კონოთეატრ ... მიმდებარე ტერიტორია) ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აღნიშნული საკითხის გარკვევისას იხელმძღვანელოს საკადასტრო ამომვითი ნახაზების ელექტრონული ვერსიებით, საიდანაც ცალსახად იკვეთება გადაფარვის ფაქტი. ამ კონკრეტული გარემოების შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამდენად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმის გარემოებები, აღნიშნული გამოიწვევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური) დისკრეციულ უფლებამოსილებაში შეჭრას.**

საქმე № ბს-885-867(კ-12)

4 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკადასტრო მონაცემების შედგენის გამო დავის სასამართლოში წარმოების სწორი პროცესუალური გზა

მოსარჩელემ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით მიმართა ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს; წარადგინა საკადასტრო ნახაზი და სათანადო დოკუმენტაცია. 2011 წლის 29 დეკემბერს სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული შედეგები. კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო ამომვითი ნახაზის მიხედვით წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვარი იჭრებოდა მომიჯნავე ნაკვეთის საზღვრებში.

2012 წლის 13 იანვარს გ. კ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის № 882011625988-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ას ადმინისტრაციული საჩივარი.

ამდენად, მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის № 882011625988-03 გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის № 7637 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. კ-ას არც მოცემული სარჩელის და არც სხვა სამართალწარმოების ფარგლებში არ მოუთხოვია იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლებიც საფუძვლად დაედო მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. მოსარჩელეს ასევე სადავოდ არ გაუხდია ის საკადასტრო ამომვითი ნახაზის სისწორე, რომლის საფუძველზეც მარეგისტრირებელმა ორგანომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა რ. ბ-ის საკუთრებაში არსებული ფართობის ადგილმდებარე-

ობა და სხვა მონაცემები. დავის საგანს არ წარმოადგენდა ის სამართლებრივი აქტები, რომლებმაც წარმოშვა რ. ბ-ის საკუთრების უფლება და რომელთა საფუძველზეც დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაციის შემდეგ სახეზე იყო ორი პიროვნების ცალ-ცალკე საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადაფარვა. ასევე კანონიერ ძალაში იყო ის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სარეგისტრაციო ჩანაწერები, რომლებიც განხორციელდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი არ გაუქმებულა და ნაკვეთი რაიმე ფორმით არ გასხვისებულა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. კ-ამ ვერ დაასაბუთა რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის უკანონობა. მოსარჩელის მტკიცებით, რ. ბ-ს არასწორი დოკუმენტაციის საფუძველზე მითვისებული ჰქონდა 144 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თუმცა მას არც სარეგისტრაციო სამსახურისათვის და არ სამართლოსათვის არ წარმოუდგენია რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველად არსებული კონკრეტული დოკუმენტის უსწორობის (ბათილად ცნობის ან არარად აღიარების) საფუძველი, რაც გამორიცხავს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც სახეზე გვაქვს ინსტრუქციით გათვალისწინებული შედეგა და ამასთან, ძალაშია რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მსჯელობა იქონიოს რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აგრეთვე, დღეს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფიცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედი უტყუარობის პრეზუმფიცია განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს. აღნიშნული საჯარო რეესტრს წარმოაჩენს, როგორც უფლებათა უტყუარობისა და სისრულის გარანტს. ამდენად, საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიციიდან გამომდინარე ითვლება, რომ როგორც გ. კ-ას, ასევე, რ. ბ-ს საკუთრებაში გააჩნიათ მათ სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები იმ ოდენობითა და მოცულობით, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. კ-ამ დავა არასწორად წარმართა და სასარჩელო მოთხოვნა იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ დავა გაგრძელდა არა შედეგსთან დაკავშირებით, არამედ, თავად წარმოების შეჩერების შესახებ მიღებულ აქტთან მიმართებაში. მოსარჩელე მხოლოდ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის № 882011625988-03 გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის № 7637 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვს და არა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების განხორციელებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. კ-ას მიერ წარმოებული დავა სამართლებრივი შედეგის მომტანი ვერ იქნება მისთვის, რადგან სადავოდ ქცეული – სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების გამოცემის საფუძველი გ. კ-ას კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია.

საქმე № ბს-849-831(კ-12)

25 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაა 30 კალენდარული დღე. ამავე კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შე-

საბამისად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს ყველა იმ საბუთისა თუ ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ, რომელიც საჭიროა მოთხოვნილი რეგისტრაციისათვის. აკრძალულია სარეგისტრაციო წარმოების ვადის დინების რამდენჯერმე შეჩერება დამატებითი საბუთის ან ინფორმაციის მოთხოვნის მოტივით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენისას გამოვლინდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ახალი საფუძველი.

საქმე № ბს-1738-1707(კ-11)

27 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლის (უფლების დამდგენი დოკუმენტის) ბათილად ცნობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბათილად ცნობა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის მე-7 ნაწილი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, დიდმის მასივის ... კვ. ... კორპუსში არსებული 77 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრები არიან ა. ძ-ი (42 კვ.მ.) და ა. ბ-ი, უკანასკნელს საკუთრებაში აქვს 35 კვ.მ. ფართი, ურბანული დაგეგმარების სამსახურმა ა. ბ-ს, ფართის ლეგალიზაციის შედეგად, დაუკანონა 57.26 კვ.მ. ანტრესოლი. ანტრესოლის, როგორც შიდა არქიტექტურის ნაწილის, კერძოდ, სასარგებლო ფართის გამრდის მიზნით ზედა ნაწილში მოწყობილი ნახევარსართულის, თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე, მთლიანად ა. ბ-ის სახელზე დაკანონებით, გაიზარდა ა. ბ-ის წილი თანასაკუთრებაში. სკ-ის 173-ე მუხლის თანახმად, საერთო საკუთრების მართვა უნდა განხორციელდეს თანამესაკუთრების მიერ ერთობლივად. ამდენად, ობიექტის ლეგალიზება საჭიროებდა თანამესაკუთრის თანხმობას, მიუხედავად ამისა ანტრესოლის ლეგალიზება მოხდა თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. N660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ 6.1 მუხლის თანახმად, შესაბამისი ორგანო ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. სზაკ-ის 601 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მონაცემები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერის 06.07.09წ. N747 განკარგულებით დაკმაყოფილდა ა. ძ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 23.06.08წ. Nლგ-2015 ბრძანება, რომელიც საფუძვლად დაედო საჯარო რეესტრში ა. ბ-ის სახელზე ფართის რეგისტრაციას. ა. ძ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში ლეგალიზაციის აქტი ძალაში იყო. საერთო წესის თანახმად, რეგისტრაციის საფუძვლის (ანტრესოლის ლეგალიზების აქტის) ბათილად ცნობა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობას. მოცემულ შემთხვევაში სადავო რეგისტრაცია, ა. ბ-ის მიერ ანტრესოლის გაყიდვის გამო, ამჟამად ისედაც ძალადაკარგულია. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის საფუძვლის ბათილად ცნობა არ გამოორიცხავს რეგისტრაციის მომენტიდან რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის დასმის შესაძლებლობას. სზაკ-ის 61.7 მუხლის მიხედვით აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. კოდექსის 601 მუხლის თანახმად ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აქტის გაუქმების მიუხედავად მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს აგრეთვე სზაკ-ის 190-ე, სასკ-ის 32.3 მუხლების შინაარსიდან. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტ-

ტის მიხედვით რეგისტრაცია ბათილად ან არარად გამოცხადდება: თუ ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს; არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის ბათილად ან არარად გამოცხადების შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო* ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს, შესაძლებელია განისაზღვროს აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობის დღიდან და მომავალში კონკრეტული თარიღის მითითებით. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ რეგისტრაციის მომენტში უფლების დამდგენი დოკუმენტის არსებობა არ ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ცნობის შეუძლებლობას, ვინაიდან ლეგალიზაციის აქტი ბათილად იქნა ცნობილი გამოცემის დღიდან ქ. თბილისის მერის 06.07.09წ. N747 განკარგულებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტებით არ დაკმაყოფილდა მერის 06.07.09წ. № 747 განკარგულების გაუქმების მოთხოვნა, დადასტურდა 06.07.09წ. № 747 განკარგულების კანონიერება. ამასთანავე, რეგისტრაციის საფუძვლის ბათილად ცნობა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26.3 მუხლის მიხედვით, ქმნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველს. აღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის საგანს არ შეადგენს ანტრესოლის შემდგომი განკარგვები და მათთან დაკავშირებული რეგისტრაციები (ანტრესოლის გასხვისებასთან დაკავშირებული რეგისტრაციების არარად აღიარების ნაწილში სარჩელი არ იქნა დაშვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ა. ძ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გამოცემის მომენტიდან სადავო რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ თავისთავად გულისხმობს შემდგომი რეგისტრაციების გაუქმებასაც, ხოლო უკანასკნელი თავის მხრივ შეუძლებელია რეგისტრაციის საფუძვლის გაუქმების გარეშე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. N4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 17.1 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო ან ადმინისტრაციული აქტით გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ბათილად ან არარად იქნება ცნობილი, რეგისტრაციის შედეგად საჯარო რეესტრში დაუყოვნებლივ აღდება ბათილად/არარად ცნობილი/აღიარებული აქტით რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს დავის საგანი, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა თავის თავში მოიცავს შემდგომი რეგისტრაციების, კერძოდ ანტრესოლის ფართზე რ. ა-ის, ბ. შ-ის, ი. ლ-ის უფლების რეგისტრაციების, აგრეთვე ხსენებული რეგისტრაციების საფუძვლების (ნასყიდობის ხელშეკრულებების) ბათილად ცნობის მოთხოვნებსაც. საკასაციო სასამართლოს 21.06.11წ. განჩინებაში მითითებულია, რომ ა. ბ-ის სახელზე სადავო ანტრესოლის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან განსხვავებით, წარმოშობდა რეგისტრაციის სამართლებრივი შედეგების, მომდევნო რეგისტრაციების ბათილად ცნობის საფუძველს, აღნიშნული ასევე ადასტურებს ა. ძ-ის მოთხოვნის დაზუსტების საჭიროებას. ვინაიდან რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა იმთავითვე მოიცავდა ხსენებულ საკითხებსაც, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო სამართალურთიერთობების წრის გაფართოება მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია არა დავის საგნის გაზრდის შედეგად, რაც მოცემულ ეტაპზე დაუშვებელია, არამედ დავის საგნის დაზუსტების შედეგად. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ დავის საგნის დაზუსტების შემთხვევაში დავის საგნით მოცული სამართალურთიერთობების კომპლექსურობის გამო, უნდა გაიმიჯნოს დავის ცალკეული ასპექტების (ნასყიდობის ხელშეკრულებები, საჯარო რეესტრში რეგისტრაციები) განსჯადობის და განხილვის რიგითობის საკითხები.

* აღნიშნული მუხლი განსხვავებულად განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ (იხ. საქმე № ბს-192-184(3კ-13) 16 ივლისი, 2013 წელი).

განმარტების საგანი: საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლის (უფლების დამდგენი დოკუმენტის) ბათილად ცნობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბათილად ცნობა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილი)

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. № 430 განკარგულების თანახმად ქ. ბათუმში, ... ქ. № 70–72–ში მდებარე 116. 18 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართს შეეცვალა დანიშნულება და ჩაირიცხა საცხოვრებელ ფონდში, ფართი საცხოვრებელი ბინის დანიშნულებით გამოეყო ი. გ-ეს, ქ. ბათუმის საბინაო სამმართველოს დაევალა ბინის ორდერის გაცემა, ხოლო ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს და № 3 მიკრორაიონის გამგეობას – სათანადო ცვლილებების შეტანა აღრიცხვაში. ი. გ-ის სახელზე 22.09.2000 წ. გაიცა № 00457 ორდერი. 2008 წლის აპრილის თვეში ი. გ-ემ სადავო ფართის პრივატიზების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. № 73 ბრძანებულების საფუძველზე, განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას, რასაც დაურთო 22.09.2000წ. გაცემული ორდერი და ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. № 430 განკარგულება. ქ. ბათუმის მერის 23.09.08წ. № 836 ბრძანებით ი. გ-ეს უარი ეთქვა ფართის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ 31.12.99წ. № 430 განკარგულება არ აღსრულებულა. მერის 23.09.08წ. № 836 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით ი. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.12.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 23.09.08წ. № 836 ბრძანება, მერიას დაევალა უძრავი ქონების საკუთრების უფლებით ი. გ-ზე გადაცემის საკითხის განხილვის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ბათუმის მერიამ 30.09.08წ. № 2-26-2428 წერილით მიმართა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ითხოვა ქ. ბათუმში, ი. ... ქ. № 70–72–ში მდებარე 116 კვ.მ ფართის სახელმწიფოს სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვის საკითხის განხილვა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 26.11.08წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს გაუგზავნა № 01–22/4500 მიმართვა, რომლითაც მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ. № 70–72–ში მდებარე ფართის სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 26.11.08წ. მიმართვის საფუძველზე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 27.11.08წ. სადავო ფართი აღირიცხა სახელმწიფო საკუთრებად. აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარემ 08.12.08წ. წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგინა აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადასაცემი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემები, რის თაობაზეც თავის მხრივ ეცნობა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. № 151 განკარგულებით აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაეცა რამოდენიმე ობიექტი, მათ შორის ქ. ბათუმში, ... ქ. № 70–72–ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის 10.03.09წ. დაიდო სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, რომლითაც ... ქ. № 70–72–ში მდებარე 116 კვ.მ. ფართი გადაეცა აჭარის ა.რ. მთავრობას საკუთრებაში და იგი 14.03.09წ. საჯარო რეესტრში აღირიცხა აჭარის ა.რ. საკუთრებად. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 18.03.09წ. № 143 ბრძანებით ქ. ბათუმში, ... ქ. № 70–72–ში მდებარე 116 კვ.მ. ფართზე გამოცხადდა აუქციონი. 21.04.09წ. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი № 201 ოქმით ფართი შეიძინა ე. ბ-ემ, 23.04.09წ. სადავო ფართზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ბ-ის საკუთრების უფლება. 24.04.09წ. ე. ბ-ემ გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა ი. გ-ის მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი 27.11.08წ. ჩანაწერი, რომლითაც სადავო ფართი აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო ფართის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაცია ამჟამად გაუქმებულია, ვინაიდან ფართი შემდგომში აღირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად, ხოლო შემდგომ ე. ბ-ის საკუთრებად. აღნიშნული არ გამოორიცხავს ფართის სახელმწიფოს სახელზე 26.11.08წ. განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილებას არ გამოორიცხავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის

26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია ძალადაკარგულად ცხადდება თუ ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძველად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს მიმართვა. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლის – სამინისტროს მიმართვის ბათილად ცნობა არ გამოირიცხავს რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რეგისტრაციის საფუძვლის – აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 26.11.08წ. № 01-22/4500 მიმართვის ბათილად ცნობით არ ისობა რეგისტრაციის მომენტიდან რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის დასმის შესაძლებლობა.** სზაკ-ის 60¹ მუხლის თანახმად ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. რეგისტრაციის საფუძვლის გაუქმების შემთხვევაში რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გამოდინარეობს აგრეთვე სზაკ-ის 190-ე, სასკ-ის 32.3 მუხლების შინაარსიდან. რეგისტრაციის საფუძვლის ბათილად ცნობა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ქმნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის ბათილად ან არარად გამოცხადების შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს, შესაძლებელია განისაზღვროს აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობის დღიდან და მომავალში კონკრეტული თარიღის მითითებით. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს საჯარო რეესტრის სამსახურის წარმომადგენლის მოსაზრებებს გასაჩივრებული განჩინების ამ ნაწილის მიმართ.

საქმე № ბს-548-539(კ-12)

2 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იპოთეკის უფლების გავრცელება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე; რეგისტრირებულ მონაცემებში ტექნიკური ხარვეზის შესწორება („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2-ე მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებს: 1999 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით სს „გ...“ (უფლებამონაცვლე სს „...“) სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა სს „გ.გ...“ საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი – გორის რაიონის სოფელ ... მდებარე „ტ...“ (ლიტერ „ა“ ჰესის შენობა, ლიტერ „ბ“ ავტოფარეხი, ლიტერ „გ“ მექანიკური სახელოსნო), გაშენების ფართი ძირითადი შენობის ქვეშ 847 მ², სასარგებლო ფართი – 721 მ², ოთახების რაოდენობა – 21, დამხმარე ფართი – 721 მ². გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით „ტ...“ შენობა-ნაგებობები საკუთრებაში გადაეცა გ. გ-ს, ხოლო სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე შემდგომში აღირიცხა გ., ნ. და ნო. გ-ების სახელზე. გორის რაიონის სოფელ ... მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 26 808 მ² მიწის ფართი შესყიდულ იქნა გ., ნ. და ნო. გ-ების მიერ და საკუთრების უფლებით აღირიცხა მათ სახელზე; „ტ...“ შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ერთ უძრავ ქონებად, ერთი საკადასტრო კოდით – გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა, მოეხდინა სს „გ...“ და სს „გ.გ...“ შორის 1999 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებისა და სს „გ...“ უფლებამონაცვლე სს „...“ პირველი რიგის იპოთეკარად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აშუამად გ., ნ. და ნო. გ-ების სახელზე რიცხულ, გორის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავ ქონებაზე – „ტ...“ შენობა-ნაგებობებზე – საკადასტრო კოდი ...; გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და 2010 წლის 31 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იპოთეკა დარეგისტრირდა გ., ნ. და ნო. გ-ების სახელზე რიცხულ, გორის რაიონის სოფელ ... მდებარე შენობა-ნაგებობებზე; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 17 მარტის №882011113618-03

გადაწყვეტილებით იპოთეკა გავრცელდა 26 808 მ² მიწის ნაკვეთზე, რაზეც დამაგრებულია მითითებული შენობა-ნაგებობები. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 28 აპრილის № 64118 გადაწყვეტილებით გ.გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; განიმარტა, რომ შენობა-ნაგებობები წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს და შენობებზე რეგისტრირებული იპოთეკის უფლება უნდა გავრცელდეს მიწის ნაკვეთზეც.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლება-მოვალეობებს, მის მიერ გაწეული მომსახურების ვადებს, საფასურის განაკვეთებს, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტია სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ: ა) ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს; გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია, აღმოჩენისთანავე შეასწოროს მის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოწვეულია დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვლება ასევე ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და თვლის, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იყო შეესწორებინა გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ტექნიკური შეცდომით გამოწვეული ხარვეზი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს რაიონული და სააპელაციო სასამართლოების სამართლებრივ დასკვნას იმის შესახებ, რომ გორის რაიონის სოფელ ... მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 26 808 მ² მიწის ფართი შესყიდული იქნა გ., ნ. და ნო. გ-ების მიერ 2005 წელს და საკუთრების უფლებით აღირიცხა მათ სახელზე. „ტ...“ შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ერთ უძრავ ქონებად ერთი საკადასტრო კოდით – ... და რომ შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ერთ უძრავ ქონებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რაც გამოიყენება მხოლოდ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკავებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მეორე ნაწილის თანახმად კი, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სამართლო ეთანხმება, როგორც რაიონული სასამართლოს, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული იპოთეკის უფლება დარეგისტრირდებოდა საჯარო რეესტრში მისი დადების დროს – 1999 წელს

მხოლოდ შენობა-ნაგებობებზე, ანუ იმ დროს, როდესაც მიწა სს „გ.გ.“ საკუთრებას არ წარმოადგენდა, 26 808 მ² მიწის შეძენის შემდეგ – 2005 წელს იპოთეკა უნდა გავრცელებულიყო ამ მიწის ნაკვეთზეც, რამდენადაც მითითებული შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი გახდა ერთი უძრავი ქონება, შენობები წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს, ერთი უფლების ობიექტს ერთი საკადასტრო კოდით და თუნდაც ის ფაქტი, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით განისაზღვრა იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაცია შენობა-ნაგებობებზე, მდგომარეობას ვერ ცვლის, რადგან იპოთეკა უნდა გავრცელდეს უძრავ ქონებაზე, უძრავ ქონებას კი წარმოადგენს № ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი.

საქმე № ბს-270-267(კ-11)

16 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია ორი სუბიექტის საკუთრებაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მისი უზუსტობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავის არსებობა ანუ ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი დღეის მდგომარეობით დარეგისტრირებულია ორი სუბიექტის საკუთრებაში და აქედან ერთ-ერთი სადავოდ ხდის რეგისტრაციის კანონიერებას, თუნდაც შეგებებული სარჩელის არარსებობის პირობებში, ნიშნავს იმას, რომ მოდავე მხარე ვალდებულია ამტკიცოს, რომ მისი რეგისტრაცია მოპასუხისგან განსხვავებით ემყარება უპირატეს სამართლებრივ საფუძველს, ანუ მოსარჩელეს ეკისრება არა მხოლოდ მოპასუხის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის უკანონობის, არამედ საკუთარი რეგისტრაციის საფუძვლად გამოყენებული დოკუმენტის კანონიერების მტკიცების ვალდებულებაც. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რეგისტრაციის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ამ შემთხვევაში მოქმედებს ორივე რეგისტრაციის მიმართ და აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, რომელ მათგანს გააჩნია საკუთრების უფლების რეგისტრაციის უპირატესი საფუძველი. ვინაიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია განსახორციელებელი რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძვლის არა მხოლოდ წარმოშობის ქრონოლოგიაზე, არამედ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, მის კანონიერებაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება მხოლოდ ის გარემოება, რომ სარეგისტრაციო ობიექტზე რამოდენიმე თავისი შინაარსით ურთიერთგამომრიცხავი რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ უფლებას, რომელიც სხვა უფლებაზე ადრეა რეგისტრირებული.

საქმე № ბს-618-606(კ-12)

16 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი და 55-ე მუხლის პირველის ნაწილი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. ამავე კოდექსის 55.1. მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.1 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახ-

მად, სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს როგორც ქალაქის მატარებელზე, ასევე ელექტრონული და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ელექტრონული სახით დოკუმენტი გაიცემა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის – www.napr.gov.ge შესაბამისი ბმულის მეშვეობით და მისი ამონაბეჭდის მიმართ ასლის დედანთან სისწორის დამოწმებისათვის დადგენილი წესები არ გამოიყენება. ამ ამონაბეჭდს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც თავად ელექტრონული სახით გამოცემულ დოკუმენტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სს „...“ მიერ 2011 წლის 15 აპრილის განცხადებაზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო 2011 წლის 8 ნოემბერს კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით, ისე, რომ ვადის გაგრძელების თაობაზე დაინტერესებული პირისათვის არ უცნობებია. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების თაობაზე გამოქვეყნდა www.napr.gov.ge ვებგვერდის მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტის მხარისათვის პირადად გადაცემის, ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება მარეგისტრირებელ ორგანოს არ წარმოუდგენია, რაც მან სასამართლოს მიერ დავის განხილვის ვერცერთ ეტაპზე ვერ წარმოადგინა. **შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით, დაუშვებელი იყო ადმინისტრაციულ ორგანოს ვადის ათვლისათვის მხედველობაში მიეღო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი, ვინაიდან დაინტერესებული მხარე არ არის ვალდებული უსასრულოდ ჰქონდეს სარეგისტრაციო განცხადებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნების მოლოდინი.** მითუმეტეს, რომ სს „...“ 2011 წლის 15 აპრილის განცხადებაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან უმოქმედობის ფაქტზე 2011 წლის 10 ივლისს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი ზემდგომ ორგანოში და დაინტერესებულ პირს გააჩნდა ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამოიწვევდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაძლო მოქმედებების განხორციელებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მოუხდენია დაინტერესებული პირის ინფორმირება საჩივრის თაობაზე მიღებული იქნა თუ არა რაიმე გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ვალდებულება, დროულად გაეცნოს მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილ განცხადებაზე დამდგარ შედეგს, რათა კანონით დადგენილ ვადაში შეძლოს მისი გასაჩივრება, დაუშვებელია არ შეიზღუდოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებით კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს დაინტერესებული პირის სათანადოდ ინფორმირება – მიღებული გადაწყვეტილების უშუალოდ გაცნობა. ამდენად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2011 წლის 14 დეკემბრის № 882011179468 გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა სს „...“ 2011 წლის 15 აპრილს წარდგენილ განცხადებაზე, ეწინააღმდეგება საკანონმდებლო დანაწესს, რომელიც ემსახურება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ინტერესების დაცულობას.

განმარტების საგანი: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების გადაწყვეტილებათა კონტროლი

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მ. შ-შვილმა 2009 წლის 22 ოქტომბერს დ. ი-საგან შეიძინა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ..., მე3 მ/რ, მე-4 კვ, კორპუსი 62, ბინა 18. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. შ-შვილმა დ. ი-ს გადაუხადა 20 000 აშშ დოლარი შესაბამისი კურსით ლარში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 28 ოქტომბრის ... გადაწყვეტილებით აღნიშნულ ბინაზე დარეგისტრირდა მ. შ-შვილის საკუთრების უფლება.

2010 წლის 20 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საჩივრით მიმართა მ. ძ-ძმ და მოითხოვა იმ აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მ. შ-შვილის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. ადმინისტრაციული წარმოებისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგინდა, რომ მ. შ-შვილის მიერ სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენამდე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის ... გადაწყვეტილებით აღნიშნულ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა – ყადაღა, რისი საფუძველიც გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცელი 10323.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მ. შ-შვილის სახელზე რეგისტრაციის შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2009 წლის 28 ოქტომბერს მიღებული ... გადაწყვეტილება. აღნიშნული ცვლილება აღირიცხა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემოაღნიშნული გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან აღსტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებს და მოვალეობებს.

იმისათვის, რომ აქტი მიჩნეულ იქნას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, შემოაღნიშნული დეფინიციის საფუძველზე, ის უნდა შეიცავდეს 4 ელემენტს: გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს ლონისძიება მიმართული უნდა იყოს პირის ან პირთა შეზღუდული წრისაკენ და აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან აღსტურებდეს პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

გამომდინარე იქიდან, სადავო აქტი აკმაყოფილებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი კანონიერების შემოწმება გარდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა უნდა მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ მათი მხრიდან არ მომხდარა მ. ძ-ძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოება განახორციელა საკუთარი ინიციატივით, დაშვებული შეცდომის გამოსწორების მიზნით, რის გამოც არ ევალებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს ყურადღებას მიაქცევს გასაჩივრებული აქტის შინაარსს და აღნიშნავს, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის მ. ძ-ძის ინიციატივა, მის მიერ წერილობით წარდგენილი საჩივარი, რაც ცალსახად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმებას, ეს ხორციელდება არა სზაკ-ის მე-13 თავის საფუძველზე, არამედ ამავე კოდექსის მე-60-62-ე მუხლებზე დაყრდნობით. საკასაციო სასამართლო თვლის, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს დაიცვას სზაკ-ით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.3 მუხლზე დაყრდნობით საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების და ავტორიზირებული პირების მეშვეობით. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია სააგენტოზე, როგორც ერთიან ადმინისტრაციულ ორგანოზე, თუმცა საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის სტრუქტურული წყობა არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ მას არა აქვს უფლება ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე გადამოწმოს მის მიერვე მიღებული აქტის კანონიერება.

გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი იძლევა ადმინისტრაციულ სფეროში პრევენციული ზომების მიღების, ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის საშუალებას, იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავადვე გამოასწოროს საკუთარი შეცდომა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს, საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსთვის და აძლევს დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას, მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული სზაკ-ის 178-ე მუხლში განხორციელებული ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

შესაბამისად მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს არარსებობის მოტივით, შეუძლებელია თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არის არასწორი და არ გამომდინარეობს სზაკ-ის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის განმარტების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას და აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლებამოსილებათა დისბალანსი, მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, რაც გამოვლენას ჰპოვებს ერთის მხრივ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი და მეორეს მხრივ იძლევა შესაძლებლობას ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ვერ გამორიცხავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებას კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ზემომითითებული მსჯელობა არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ადმინისტრაციული კონტროლის პროცესში დასაშვებია პირის სუბიექტური უფლებების ხელყოფა. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით განხორციელებული წარმოების გაგრძელებას, რომლის მიზანია ახალი გადაწყვეტილების მიღება.

რეგისტრაციის შესახებ ... გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებით ადგილი აქვს აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობას, რომელიც, ამავე აქტში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე მიზნად ისახავს კანონიერების აღდგენას. თუმცა ამ შემთხვევაში საგულისხ-

მოა ასევე დაინტერესებული პირის მ. შ-შვილის ნდობის პრინციპი, რომელიც ისევე როგორც კანონიერების აღდგენის პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციური რანგის პრინციპს, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საკითხის გადაწყვეტა მოახდინოს ამ ორი პრინციპის შეპირისპირებით, მიიღოს თანაბრობიერი გადაწყვეტილება და დაიცვას ის მოთხოვნები, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საფუძველს. მათ შორის კი უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული პირის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქმე № ბს-1436-1418 (კ-11)

26 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: 1998 წლის 28 ოქტომბრამდე სახელმწიფოს მიერ განკარგულ შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაცია*

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ 1997 წლის 14 აპრილს ვ. ბ-სა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს შორის გაფორმდა სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვ. ბ-ს საკუთრებაში გადაეცა ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩა № 46-ში მდებარე № 8 სასურსათო პავილიონი, რომელზეც შედგა მიღება-ჩაბარების აქტი და 1997 წლის 17 აპრილს გაიცა საკუთრების მოწმობა. საკუთრების მოწმობაში მითითებულია 24,26 კვ/მ მიწის ნაკვეთით სარგებლობის თაობაზე.

2001 წლის 05 სექტემბერს ვ. ბ-ს ეცნობა, რომ მისი იმავე წლის 27 აგვისტოს განცხადების საფუძველზე მიწის ნაკვეთი 29,14 კვ/მ დარეგისტრირდა მის სახელზე.

საქმეზე ასევე დადგენილადაა ცნობილი, რომ შპს „...ს“ საკუთრებაში გადაეცა მის მიერ შეძენილი, მანამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბაზრის ქონება შენობა-ნაგებობებით, განთავსებული 4177 კვ/მ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად 1995 წლის 01 ნოემბერს გაცემულ საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში მიწის ფართი აისახა 4 177 კვ/მ-ის ოდენობით.

1999 წლის 31 დეკემბერს დაკმაყოფილდა შპს „...ის“ იმავე რიცხვით დათარიღებული მოთხოვნა და შპს-ის სახელზე აღირიცხა 7 239 კვ/მ მიწის ნაკვეთი, ანუ საკუთრების მოწმობაში მითითებული 4 177 კვ/მ-ის ნაცვლად შპს-ის სახელზე დარეგისტრირდა ტექნიკურის მონაცემებით ყოფილ აგრარულ ბაზარზე დამაგრებული მიწა სრული მოცულობით.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას მიაქცევს ორ მოდავე სუბიექტზე განხორციელებული პრივატიზაციის ქრონოლოგიას და აღნიშნავს შემდეგს: შპს „...ს“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბაზრის ქონება შენობა-ნაგებობებით საკუთრებაში გადაეცა 1995 წლის 1 ნოემბერს.

ვ. ბ-ზე № 8 სასურსათო პავილიონის პრივატიზება მომხდარია 1997 წლის 17 აპრილს. მითითებული პავილიონი საპრივატიზაციოდ გამოტანილია და ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს მიერ. დადგენილია, რომ პავილიონი არ შედიოდა შპს „...ისათვის“ გაცემული ქონების ჩამონათვალში. პრივატიზაციის კანონიერება დადასტურებულია თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ. ამდენად, ცალსახაა, რომ № 8 პავილიონი გასხვისების მომენტში არ წარმოადგენდა შპს „...ის“ საკუთრებას და მისი გასხვისება მოხდა სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონების გასხვისებისათვის დადგენილი წესების დაცვით.

„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების განკარგვა ხდებოდა იმ მიწის ნაკვეთის გარეშე, რომელზეც ის არსებული წესით იყო დამაგრებული.

შესაბამისად, ვ. ბ-ზე, ისევე როგორც შპს „...ზე“ შენობა-ნაგებობების გასხვისება მოხდა მიწის ნაკვეთის გარეშე, საკუთრების მოწმობაში ასახული და ამ შენობა-ნაგებობებზე მიმაგრებული მიწა დარჩა სახელმწიფო საკუთრებად.

* ამოქმედდა „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქმის მასალებში წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ № 8 სასურსათო პავილიონი 1997 წლის 02 მაისს ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში აღრიცხულია ვ. ბ-ის საკუთრებაში.

სამოქალაქო კოდექსის 1515-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებულ ფუნქციას ახორციელებდნენ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები.

ცალსახაა, რომ ქონება, კერძოდ № 8 პავილიონი, იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით აისახა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში.

„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება მიენიჭება პრივატიზირებულ (კერძო) საწარმოთა სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ არის № 8 პავილიონის გასხვისების მომენტში მიწაზე სახელმწიფო საკუთრების ფაქტი და ამასთანავე პავილიონი არის ამ მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი, სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მოტივაცია, რაც დაასაბუთებს მიწისა და პავილიონის სხვადასხვა უფლების ობიექტებად დარეგისტრირების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ 2001 წელს ვ. ბ-ის სახელზე მიწის დარეგისტრირების მომენტში, სადავო მიწა ამ დროისათვის წარმოდგენდა შპს „...ის“ საკუთრებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები იმდენად არასრულყოფილია, რომ შეუძლებელია ფაქტის კანონიერების გადამოწმება.

„მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის* მე-16 მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბარათში აღნიშნული მიწისა და სხვა უძრავი ქონების არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადავიდეს სხვის საკუთრებაში, თუ მესაკუთრემ წინასწარ არ დაყო ეს ქონება ამ კანონის თანახმად, თუ არ არის გახსნილი ახალი სააღრიცხვო ბარათი ამ ქონების თითოეული ნაწილისათვის და არ არსებობს საკუთრების გადასვლის დამადასტურებელი საბუთი.

იმ პირობებში, როდესაც № 8 სასურსათო პავილიონზე, როგორც უძრავ ქონებაზე, დარეგისტრირებულია ვ. ბ-ის უფლება და დადგენილია ამ უფლების კანონიერება, სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს, არსებობდა თუ არა შპს „...ზე“ რეგისტრაციის იმგვარად განხორციელების შესაძლებლობა, რის შედეგადაც რეგისტრაცია მოიცავდა სხვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს.

საქმე № ბს-1428-1003(კ-05)

27 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე უძრავი ქონების რეგისტრაციის წესი

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მიწაზე უფლებრივ რეგისტრაციას წარმოადგენდა მიწის რეგისტრაცია შესაბამის საჯარო რეესტრის სამსახურში. 1997 წლის 25 ნოემბრამდე საქართველოში მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის რეგისტრაცია ხდებ-

* ძალადაკარგულია 2005 წლის 28 დეკემბრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ბოდა ცალ-ცალკე, ანუ საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მიწა შეიძლება ყოფილიყო ერთი პირის, ხოლო შენობა, რომელზეც იგი იყო განთავსებული, სხვა პირის საკუთრებაში. 1997 წლის 25 ნოემბრიდან კი, როდესაც ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიწა და შენობა ერთმანეთისაგან განუყოფელი გახდა, ანუ მითითებული დროიდან მიწისა და მასზე განთავსებული შენობის საკუთრებაში გადაცემა ხდება ერთდროულად.

საქმე № ბს-238-226(კ-07)

19 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ცალმხრივად იმსჯელა საქმის გარემოებებზე, მიუთითა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის 2004 წლის 7 ივნისის ტექნიკური პასპორტი წარმოადგენდა საკუთრების უფლების დამდგენ საბუთს, რომლის მიხედვითაც ხსენებული კაფე-ბარი დ. შ.-ისა და ზ. ი.-ის საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ მოსარჩილეების მიერ აშენებული კაფე-ბარის შენობა-ნაგებობის საკუთრების უფლებებზე და საერთოდ არ განუხილავს აღნიშნული შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთთან მოსარჩილეთა უფლებრივი მიმართების საკითხი. ამის თაობაზე კასატორიც მართებულად მიუთითებს საკასაციო საჩივარში, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის გამოყენებამდე, უნდა გაერკვია იმ მიწის ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობა, რომელზეც განლაგებული იყო საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობა.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ზემოაღნიშნული ორგანოებიდან (მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის სახით არსებული საჯარო რეესტრი და ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახური) რომელი მათგანი ახდენდა უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციას და რომელ მათგანში რეგისტრაცია წარმოშობდა ზემოაღნიშნულ უფლებებს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 10 იანვრის № 2-5 ბრძანებაზე, რომლის თანახმად, საქართველოში საჯარო რეესტრი ამოქმედდა 1998 წლის 10 იანვრიდან და ამდენად, იმის მიუხედავად, რომ საჯარო რეესტრის პარალელურად არსებობდა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურები, მათ კომპეტენციას 1998 წლის 10 იანვრის შემდეგ აღარ მიეკუთვნებოდა უძრავ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაზე საკუთრებისა თუ სხვა უფლების რეგისტრაცია. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2004 წელს დ. შ.-სა და ზ. ი.-ზე გაცემული, ზემოთ მოხსენიებული ტექნიკური პასპორტი ვერ ჩაითვლება ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული ისეთი უფლების დამადასტურებლად, რომელიც შემდეგში, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვლება საჯარო რეესტრში უფლების პირველადი რეგისტრაციის საფუძვლად, ანუ აღნიშნული ტექნიკური პასპორტის გაცემა და მოსარჩილეთა კაფე-ბარის პასპორტიზაცია არ წარმოშობდა შესაბამის უფლებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი მართებულად მიუთითებს საკასაციო საჩივარში, რომ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 10 იანვრის № 2-5 ბრძანების თანახმად, საქართველოში საჯარო რეესტრი ამოქმედდა 1998 წლის 10 იანვრიდან, აღნიშნული პერიოდის შემდეგ კი, მიწის ნაკვეთსა და სხვა უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციას „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ახდენდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის სახით არსებული საჯარო რეესტრი, ამასთან, საჯარო რეესტრის პარალელურად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გამგებლობის სფეროში არსებობდა ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც 2004 წელს „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ახდენდნენ შესაბამის უფლებათა რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს დავის წარმოშობის პერიოდში მოქმედ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მიწის მიმართ უფლებათა

სახელმწიფო რეგისტრაცია იყო საქართველოს მიწის კადასტრის შემადგენელი ნაწილი და შეიცავდა აუცილებელ მონაცემებს მიწის ნაკვეთის და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების ობიექტების საზღვრების, რაოდენობრივ-თვისებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. იმავე მუხლის მე-5 პუნქტში კი ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად იყო აღნიშნული, რომ მიწის სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა საჯარო რეესტრში ამ კანონით განსაზღვრული ჩანაწერის წარმოების ერთიანი სისტემით. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ აღრიცხვა-დახასიათებას, ინვენტარიზაციასა და პასპორტიზაციას ახორციელებდნენ ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები, ხოლო აღნიშნული მონაცემები დადგენილი წესით წარედგინებოდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საჯარო რეესტრის სამსახურს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მიწის მიმართ შესაბამისი უფლებების წარმოსაშობად აუცილებელი იყო საჯარო რეესტრში მიწის სახელმწიფო რეგისტრაცია, ანუ აღნიშნული უფლებების რეგისტრაციას ახდენდა სწორედ საჯარო რეესტრი, ხოლო ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები ახორციელებდნენ მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ აღრიცხვა-დახასიათებას, ინვენტარიზაციასა და პასპორტიზაციას. შესაბამისად, ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები ახდენდნენ მხოლოდ მიწასთან მყარად დაკავშირებული ობიექტების ტექნიკური ხასიათის რეგისტრაციას და ამ რეგისტრაციას არ გააჩნდა გადამწყვეტი და უფლებაწარმომქნელი მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ ასეთი რეგისტრაციის შედეგად შეკრებილი მონაცემები საბოლოოდ წარედგინებოდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საჯარო რეესტრის სამსახურს. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, როგორც მიწის ნაკვეთის, ისე მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების იურიდიულად უფლებაწარმომქმნელი რეგისტრაციის განმახორციელებელ სუბიექტს წარმოადგენდა სწორედ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საჯარო რეესტრის სამსახური და მიწის ნაკვეთზე ან სხვა უძრავ ქონებაზე შესაბამისი უფლების წარმოშობის აუცილებელი პირობა იყო მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე ე. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონმა გაითვალისწინა რა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები, იმავე დროულად გამიჯნა მათი ფუნქციები, რაც გამოიხატა იმაში, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციას, ნებისმიერ შემთხვევაში, ახორციელებდნენ საჯარო რეესტრები, ხოლო ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების ფუნქციად განისაზღვრა შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაცია, აზომვითი ნახაზების შედგენა და მათი წარდგენა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიჯნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. იმავე კოდექსის 1514-ე მუხლის მიხედვით, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება უნდა მომხდარიყო ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე, ამასთან, მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შექმნის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან უნდა მომხდარიყო მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ისევე, როგორც „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმადაც, მიწაზე უფლებრივ რეგისტრაციას წარმოადგენდა მიწის რეგისტრაცია შესაბამის საჯარო რეესტრის სამსახურში. 1997 წლამდე საქართველოში მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის რეგისტრაცია ხდებოდა ცალ-ცალკე,

ხოლო 1997 წლის 25 ნოემბრიდან, როდესაც ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიწა და შენობა არის ერთმანეთისაგან განუყოფელი და ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ საჯარო რეესტრი არ არის უფლებამოსილი ცალკე დაარეგისტრიროს საკუთრების უფლება შენობაზე, თუ პირს არ გააჩნია არანაირი საბუთი იმ მიწაზე, რომელზეც დგას აღნიშნული შენობა.

4. პირთა მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება

საქმე № ბს-343-332(კ-10)

29 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი“ განსაზღვრავს იმ დოკუმენტთა ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა მიწის მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დასადგენად. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელ დოკუმენტებს მიეკუთვნება – ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწის განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელის (კასატორის) მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტები ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში ვერ ხვდება, მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სასამართლო შეფასების საგნად იქცეს სწორედ ის გარემოება, ქედის რაიონის ადგილობრივი მმართველობის კაბინეტის 1992 წლის 30 სექტემბრის № 118 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა ... კოლმეურნეობის 1992 წლის 10 მაისის რწმუნებულთა კრების დადგენილება და კოოპერატივ „...“ დროებით სარგებლობაში გადაეცა 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი, მიეკუთვნება თუ არა იმ „სხვა დოკუმენტთა“ რიცხვს, რომელზე მითითებასაც ზემოაღნიშნული მუხლი შეიცავს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელობა არის ფაქტი და მართლზომიერ მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას.

ცალსახაა, რომ მართლზომიერი მფლობელობისათვის საჭიროა, რომ პირი მართლზომიერი საფუძვლით იყოს ნივთს დაუფლებული და მართლზომიერად განაგრძობდეს მის მფლობელობას (სარგებლობას).

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, მიწის მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დასადგენად, საკასაციო სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ კოოპერატივი „...“

თავის დროზე მიწას დაეუფლა მართლზომიერი საფუძვლით და აღნიშნულზე ამჟამად, ა. ბ-ის მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე, მფლობელობას განაგრძობს მ. ბ-ცე (კასატორი).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დასადასტურებლად აუცილებელია მეორე გარემოების არსებობაც – ე.წ. „ლეგალიზაციის“ მოთხოვნის მომენტისათვის – პირი მიწის ნაკვეთით უნდა სარგებლობდეს მართლზომიერად.

ქედის რ-ნის ადგილობრივი მმართველობის კაბინეტის 1992 წლის 30 სექტემბრის № 118 დადგენილებაში საუბარია „დროებით სარგებლობაში გადაცემასა“ და „საფასურის გადახდის“ საჭიროებაზე. საქმეში წარმოდგენილი არ არის არცერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ფაქტს იმის თაობაზე, რომ კოოპერატივი „...“ იხდიდა გადასახადს და შესაბამისად, ნივთის ფლობას განაგრძობდა მართლზომიერი საფუძვლით. საქმეში ასევე წარმოდგენილი არ არის სამართლებრივი ხასიათის აქტი, რომელიც დაადგენდა კოოპერატივი „...“ მიერ შენობის აშენების ფაქტს, შენობა რეგისტრირებული არ არის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში, არ არსებობს მშენებლობის ნებართვა და/ან პროექტი, არ არის წარმოდგენილი აზომვითი ნახაზი (საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზი შედგენილია 2007 წლის 20 დეკემბერს, ანუ ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედების შემდგომ), შენობა არ ირიცხება კოოპერატივის ბალანსზე. საგულისხმოა, რომ მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა, კასატორის წარმომადგენლის მიერ მითითებული ვერ იქნა ვერცერთი აღნიშნული აქტის არსებობის ან მოძიების შესაძლებლობის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეტყვევებს არ აყენებს რა ფაქტს იმის თაობაზე, რომ კოოპერატივი „...“ (შესაბამისად მისი უფლებამონაცვლე) თავის დროზე სამართლებრივი საფუძვლით დაეუფლა მიწის ნაკვეთს, მაგრამ თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტი არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კოოპერატივი „...“ (შესაბამისად მისი უფლებამონაცვლე) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე სამართლებრივი საფუძვლით განაგრძობდა მიწის ნაკვეთით სარგებლობას.

საქმე №ბს-22-22(კ-12)

31 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 16 ივნისს ც. ბ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მემკვიდრეობის საფუძველზე, მცხეთის რაიონში სოფ. ... მდებარე მართლზომიერი მფლობელობაში არსებულ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (№ 365) საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. განმცხადებელმა სარეგისტრაციო განცხადებას დაურთო: 1) სანოტარო წესით დამოწმებული (რეგისტრაციის № 100293890) 2010 წლის 30 მარტის სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახმად, ც. ბ-მა საკუთრებაში მიიღო „მამკვიდრებლის“ – ლ. ბ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება და ამ ქონებაში შემავალი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები; 2) 1989 წლის 25 იანვარს გაცემული მებაღეობის ამხანაგობა „...“ მებაღეთა სია, რომელშიც რიგით ნომრად № 301 მითითებული იყო განმცხადებლის მეუღლე – ლ. ბ-ი, ხოლო მასზედ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ნომრად № 365; 3) მებაღეობის ამხანაგობა „...“ მიერ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „...“ არსებული მებაღეობის „...“ წევრთა დამოწმებული სია (1992 წელს გადამოწმებული), სადაც რიგით ნომრად № 301 მითითებული იყო ლ. ბ-ი, ხოლო სოფ. ... მასზედ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ნომრად № 365; 4) 1986 წლის 28 მაისის ჩამონათვალი; 5) მებაღეობა „...“ გამგეობის თავმჯდომარის გ. ჯ-ის მიერ 2010 წლის 16 ივნისს

გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ლ. ბ-ი (ლ. ბ-ის ოჯახი) იყო მებაღეობა „...“ წვერი და ... არსებული ამხანაგობა „...“ საერთო კრების გადაწყვეტილების (1981 წლის № 1 ოქმი) საფუძველზე მას გამოეყო № 365 მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ). განცხადებას ასევე ერთვოდა 2010 წლის 23 მაისის მცხეთის რაიონის, სოფ. ... მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ელ. ვერსიით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლობითი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტები: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, ზემოაღნიშნულ მუხლში მართლობითი მფლობელობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად მითითებულია „მებაღის წიგნაკი“, მაგრამ ამავე მუხლის ბოლოს წინადადების თანახმად, მართლობითი მფლობელობა შეიძლება ასევე დადასტურდეს „სხვა დოკუმენტით“. ამდენად, კანონმდებელმა გამოხატა აშკარა ნება, რომ ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მართლობითი მფლობელობის ფაქტი შეიძლება დადასტურებულიყო „სხვა დოკუმენტიდან“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელობა არის ფაქტი და მართლობითი მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას.

ცალსახაა, რომ მართლობითი მფლობელობისათვის საჭიროა, რომ პირი მართლობითი საფუძველით იყოს ნივთს დაუფლებული და მართლობითად განაგრძობდეს მის მფლობელობას (სარგებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია ც. ბ-ის მიერ ვერც ადმინისტრაციულ ორგანოსა და ვერც სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი მებაღის წიგნაკი (მხარის განმარტებით აღნიშნული წიგნაკი ოჯახს დაკარგული აქვს), მაგრამ როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა ემსჯელათ იმ გარემოებაზე, განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხომ არ მიეკუთვნებოდა სწორედ იმ „სხვა დოკუმენტებს“, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთზე მართლობითი მფლობელობის დადასტურება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილებით მცხეთის რაიონში ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობისა და კალინინის სახელობის რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა

კოლექტიური მებალეობისათვის მუშა-მოსამსახურეებს მებალეობის მოსაწყობად მცხეთის რაიონის საბჭო-თა მეურნეობიდან გამოეყოთ 58.45 ჰა მიწა (... ექსპერიმენტული მეურნეობიდან 48.99 ჰა მიწის ნაკვეთი).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1989 წლის 25 იანვარს გაცემული მებალეობის ამხანაგობა „...“ მებალეთა სიაში რიგით ნომრად № 301 მითითებული არის ც. ბ-ის მეუღლე – ლ. ბ-ი, ხოლო მასზე გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ნომრად № 365. ამასთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „...“ არსებული მებალეობა „...“ წევრთა დამოწმებული სიის (1992 წელს გადამოწმებული) თანახმად, ლ. ბ-ი იყო ამხანაგობა „...“ წევრი და მცხეთის რაიონის, სოფ. ... მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ნომერი იყო № 365. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მებალეობა „...“ წევრთა 1986 წლის 28 მაისის ჩამონათვალი. საგულისხ-მოა ასევე ის გარემოებაც, რომ 2010 წლის 16 ივნისს მებალეობა „...“ გამგეობის თავმჯდომარის გ. ჯ-ის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ლ. ბ-ი (ლ. ბ-ის ოჯახი) იყო მებალეობა „...“ წევრი და ... არსებული ამხანაგობა „...“ საერთო კრების გადაწყვეტილების (1981 წლის № 1 ოქმი) საფუძველზე მას გამოეყო მცხეთის რაიონში, სოფ. ... მდებარე № 365 მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ).

საქმეში ასევე წარმოდგენილი არის მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის მიერ 2011 წლის 21 მარტს და 2011 წლის 24 ოქტომბერს გაცემული ცნობები, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ კასა-ტორის (ც. ბ-ის) მეუღლე – ლ. ბ-ი ნამდვილად იყო მებალეობა „...“ წევრი და ... სააგარაკო მებალეობის ტერი-ტორიაზე ფლობდა 600 კვ.მ მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ გარემოებას ასევე ადასტურებს მებალეობის წევრების (ი. ბ-ის, ბ. გ-ას, გ. გ-ის) ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები.

ამდენად, ცალსახაა ის გარემოება, რომ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ამხანაგობა „...“ მება-ლეობის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან, ლ. ბ-ს, როგორც მებალეობა „...“ წევრს ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოეყო 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც მისი ოჯახი წლე-ბის განმავლობაში მართლობიერად ფლობდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათ-ვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერ-თშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტების მიღებისას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა ადმინისტრაციული აქტის საფუძ-ვლად არსებული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და შეფასება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია ც. ბ-ის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში ვერ იქნა წარდგენილი „მებალის წიგნაკი“, მაგრამ მან განცხადებას დაურთო მართლობიერი მფლობელობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია, შესაბამი-სად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სათანადოდ შეეფასებინა განცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მის მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებული იდენტური გადაწყ-ვეტილება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი და სარეგისტ-რაციო სამსახურს სწორედ ც. ბ-ის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების სათანადოდ შეფასება დაევალა.

საქმე № ბს-569-559(კ-12)

2 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის მართლობიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებ-ლი დოკუმენტი („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარ-გებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი)

2011 წლის 29 სექტემბერს ლ. ბ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბი-ლისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეფორმით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, მდებარე ...,

2011 წლის 5 ოქტომბრის № 882011476500-03 გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძველით, რომ დამატებით წარმოსადგენია განცხადებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედანი, ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველის აღმოსაფხვრელად მოსარჩელეს განესაზღვრა 30 კალენდარული დღე.

მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 05.10.2011წ. № 882011476500-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალების მოთხოვნით.

2011 წლის 10 ოქტომბრის № 153507 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო სამსახურის 05.10.2011წ. გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი, რადგან მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დარღვეულია მისი ასლის მომზადების ფორმა, იგი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული.

2011 წლის 8 ნოემბრის № 882011476500-04 გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან დაინტერესებული პირის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საქმეში დაცულია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, რომელიც აღიარების კომისიის და შემდგომ უკვე სასამართლოების მიერ მიჩნეულ იქნა დოკუმენტად, რომლის არსებობის შემთხვევაშიც გამორიცხული იყო მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტის აღიარება, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ დადგინდეს თუ რამდენად წარმოადგენდა ლ. ბ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-4¹ მუხლის თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართლზომიერ მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მართლზომიერი მფლობელის (მოსარგებლის) საკუთრების უფლების რეგისტრაციით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტებია: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მეზლის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნულ ბრძანებულებაში მითითებულია მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი სხვადასხვა დოკუმენტების ჩამონათვალი. აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, მართლზომიერი მფლობელობა შეიძლება ასევე დადასტურდეს „სხვა დოკუმენტით“. ამდენად, კანონმდებელმა გამოხატა აზკარა ნება, რომ ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის ფაქტი შეიძლება დადასტურებულიყო „სხვა დოკუმენტითაც“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელობა არის ფაქტი და მართლზომიერ მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. ცალსახაა, რომ მართლზომიერი მფლობელობისათვის საჭიროა, რომ პირი მართლზომიერი საფუძვლით იყოს ნივთს დაუფლებული და მართლზომიერად განაგრძობდეს მის მფლობელობას (სარგებლობას).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართალია ლ. ბ-ის მიერ ვერც ადმინისტრაციულ ორგანოსა და ვერც სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი, მაგრამ როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა ემსჯელათ იმ გარემოებაზე, განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხომ არ მიეკუთვნებოდა სწორედ იმ „სხვა დოკუმენტებს“, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის დადასტურება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 19 მაისის № 117 გადაწყვეტილებით, 1988 წელს ... ინსტიტუტის თანამშრომლებს კოლექტიური მეზალების მოსაწყობად ... საბჭოთა მეურნეობიდან გადაეცათ 1.95 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. დადგენილია ასევე, რომ ლ. ბ-ე 1978 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ... ინსტიტუტში და იყო ამხანაგობა „...“ წევრი. მან როგორც ამხანაგობის ერთ-ერთმა წევრმა მეზალებისთვის მიიღო № 3 მიწის ნაკვეთი, რომელზეც 1989 წელს ააშენა ორსართულიანი სახლი. მიწის რეფორმის შემდეგ 1997 წლის 21 ივნისის ლ. ბ-ესა და ... ინსტიტუტის წარმომადგენელს ლ. ძ-ს შორის გაფორმდა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი.

ამდენად ცალსახაა ის გარემოება, რომ ... ინსტიტუტის თანამშრომელთათვის კოლექტიური მეზალების მოსაწყობად ... საბჭოთა მეურნეობიდან გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან, ლ. ბ-ეს როგორც ამხანა-

გობა „...“ წევრს გამოეყო 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც იგი წლების განმავლობაში მართლზომიერად ფლობდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტების მიღებისას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა ადმინისტრაციული აქტის საფუძვლად არსებული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და შეფასება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია ლ. ბ-ის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში ვერ იქნა წარდგენილი დოკუმენტის დედანი ან მისი სათანადო წესით დამოწმებული აქტი, მაგრამ მან განცხადებას დაურთო მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სათანადოდ შეეფასებინა განცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები.

საქმე № ბს-656-642(კ-12)

11 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. შ-ამ 2011 წლის 10 ოქტომბერს განცხადებით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი ...) სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელება. განცხადებასთან ერთად ზ. შ-ამ სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის № 882011492906-07 გადაწყვეტილებით ზ. შ-ას მითითებულ განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს დავალა უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის ან/და სათანადო წესით დამოწმებული ასლის წარდგენა. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით № 882011492906-08 ზ. შ-ას განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილებები ზ. შ-ამ გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლის 2012 წლის 18 იანვრის № 8831 და 2012 წლის 25 იანვრის № 11853 გადაწყვეტილებებით ზ. შ-ას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზ. შ-ას სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა შეიცავს უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომლის თანახმად, მცხეთის სარეგისტრაციო ზონაში, ... კოდით, ... სექტორში, კოდით ..., № ... კვარტალში, № 238 ნაკვეთი 0.098 ჰა ფართობით, ადგილმდებარეობა – მცხეთის რაიონი, ... საკრებულო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ზ. შ-აზე. მოწმობაში შეტანილი ჩანაწერები შესრულებული და დადასტურებულია 27.10.04წ. რეგისტრატორის მიერ. ზ. შ-ას სახელზე მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. № 327 ბრძანებულების საფუძველზე, რომლის მიხედვით მიწის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, საკუთრების უფლების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობის მომზადებისა და გაცემისათვის. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე მითითებული მონაცემებით საჯარო რეესტრში განხორციელებულია 0.098 ჰა მიწის ნაკვეთის დამუსტრებული რეგისტრაცია. 27.10.04წ. საჯარო რეესტრის ამონაწერით მიწის (უძრავი ქონების) შესახებ დასტურდება, რომ მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომრით ... მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ზ. შ-ა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექ-

ტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტებია: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მეზღვის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმგარების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი, აგრეთვე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 7³ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის დადგომამდე – პრივატიზაციის გეგმა, 1999 წლამდე შედგენილი დროებით სარგებლობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი, 1999 წლამდე მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ბალანსზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის გაუქმებული, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პროექტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული მუხლი არ შეიცავს იმპერატიულად განსაზღვრულ მოთხოვნას თუ რა სახით უნდა იყოს წარდგენილი მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი სარეგისტრაციო სამსახურში, კერძოდ, მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა უნდა მოხდეს დედნის თუ ასლის სახით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ასლის სახით წარდგენილი დოკუმენტისათვის მტკიცებულების მინიჭების საკითხს წყვეტს სასამართლო, რაც იმას გულისხმობს, რომ დოკუმენტის ასლს სასამართლოსათვის გააჩნია მტკიცებულების ძალა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. **საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით პირდაპირ არ არის განსაზღვრული მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის სახით წარდგენის ვალდებულება, დაუშვებელია განმცხადებლისათვის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ასეთი ვალდებულების დადგენა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურების მიერ ასეთი ვალდებულების დადგენა გამოიწვევს კანონის არასწორ განმარტებას და ხელოვნური ბარიერების შექმნას უფლებათა რეგისტრაციის პროცესში.**

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან

დოკუმენტის გარდა. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან გადაცხადების განხილვაზე უარის თქმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით განმცხადებლისათვის უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარდგენის დავალებას, ხოლო შემდგომში 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის ფაქტს, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარუდგენლობის გამო.

საქმე № ბს-439-434 (კ-12)

6 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 16 სექტემბერს პ. თ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ზუგდიდში, ... ქ. № 39-ში მდებარე, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. განმცხადებლის მიერ სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა შემდეგი დოკუმენტაცია: ქ. ზუგდიდის მერის 1996 წლის 16 თებერვლის № 51 განკარგულება, რომლის თანახმად, პ. თ-ას ნება დაერთო ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე მდებარე, ქალაქის ყოფილი ... ნახევრად დანგრეული შენობის ნაწილში მოეწყო პურის საცხობი. სარეგისტრაციო სამსახურს ასევე წარედგინა ზუგდიდის რაიონის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული მშენებლობის პროექტი, რომლის მიხედვით, ასაშენებელი შენობის ფართი შეადგენდა 200 კვ.მ-ს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის № 882011454134-03 გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პ. თ-ას განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს დაევალა წარედგინა უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის ან საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მითითებას, რომ პ. თ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ ქმნიდა საკმარის საფუძველს მისი სადავო მიწის მართლზომიერ მფლობელად მიჩნევისათვის.

სადავო არ არის ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერის 1996 წლის 16 თებერვლის № 51 განკარგულებით პ. თ-ას გადაეცა სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებული, ნახევრად დანგრეული შენობა პურის საცხობის მოსაწყობად. მთავარი არქიტექტორის მიერ შეთანხმდა მშენებლობის პროექტი. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ პ. თ-ა დღემდე სარგებლობს სადავო მიწის ნაკვეთით, რომელზეც მის მიერ მოწყობილია პურის საცხობი. მითითებული აქტები დღეისათვის ძალაშია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სადავოდ არ გაუხდიათ პ. თ-ას მიერ აღნიშნული უძრავი ქონების ფლობის ფაქტი. ამასთან, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, რომლის კომპეტენციაშიც შედის თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, დადასტურდა, რომ პ. თ-ას სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება არ განეკუთვნება თვითნებურად დაკავებულ კატეგორიას და მისი დაკანონება კომისიის უფლებამოსილებას სცილდება. ასევე დადასტურებულია, რომ პ. თ-ა სწორედ მის მიერ დაკავებულ 500 კვ.მ. მიწაზე იხდის გადასახადს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითითებული დოკუმენტაცია ადასტურებდა არა მიწის, არამედ შენობის მართლზომიერი ფლობის ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი „ფიზიკური პირებისა და კერძო

სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის განკარგვა ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე უფლების მოპოვებით, უფლება ვრცელდება მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზეც, რომლის არსებით შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს იგი და უსაფუძვლოა მითითება, რომ შენობის მართლზომიერი მფლობელობის მიუხედავად, სადავო შენობაზე დამაგრებული მიწის ფლობის მართლზომიერება მიწაზე სათანადო დოკუმენტაციის არსებობის გარეშე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოებისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის მასალები, სათანადოდ არ შეაფასა მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, უფრო მეტიც, ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის მიზნით განცხადებლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, სათანადო რეაგირება არ მოუხდენია და არ გამოუცია შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პ. თ-ას საჩივრის განხილვისას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა საჩივრის ავტორს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას რატომ არ დასტურდებოდა პ. თ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტებით მიწის მართლზომიერად ფლობის ფაქტი.

საქმე № ბს-1091-1047(კ-09)

14 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევა (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-12 მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, გ. თ-შვილმა კომისიას განცხადებით მიმართა, მოითხოვა მის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის მასალებში წარმოდგენილი წერილით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნაზე მოსარჩელეს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთზე ფლობისა და სარგებლობის ფაქტი. ასევე ვერ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთზე იყო თუ არა განთავსებული სახლი. მაშასადამე, კომისიამ სადავო მიწის ნაკვეთზე იმსჯელა, როგორც მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ როცა სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისიას უნდა განეხილა საკითხი, გამოეკვლია გარემოებები და დაედგინა გ. თ-შვილის მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტის არსებობა, ამასთან სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან მოთხოვნის შესაბამისობის განსაზღვრის შემდეგ, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან უნდა მიეღო ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რაც მოპასუხე კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალურად არ განხორციელებულა. ამას ადასტურებს საქმის მასალებში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალაც, რომელიც მხოლოდ სხდომის ოქმისაგან შედგება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საკითხის განხილვისას კომისიის მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისია ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ თავისუფლდება კანონით დადგენილი ვალდებულებისაგან – დაასაბუთოს თუნდაც მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. მეტიც, კომისია ვალდებულია, დაიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ გ. თ-შვილის განცხადების განხილვისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა, დაინტერესებული პირის – გ. თ-შვილის მოთხოვნა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ აკმაყოფილებდა თუ არა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსაზღვრული პირობების, კერძოდ, განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით დასტურდებოდა თუ არა მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, ხოლო ასეთის არარსებობის პირობებში, კომისია ვალდებული იყო დაესაბუთებინა თუ რის საფუძველზე მივიდა ამგვარ დასკვნამდე. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია, 2 სამუშაო დღით ადრე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე გამოაქვეყნოს ხოლო დაინტერესებულ პირს ერთი კვირით ადრე წერილობით აცნობოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, დაესწროს კომისიის სხდომებს და მისცეს ახსნა-განმარტება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ხსენებული ბრძანებულების მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, კომისია ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, დაესწროს სხდომას და მისცეს ახსნა-განმარტება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ნორმების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მართალია, კომისიას არ აკისრია დაინტერესებული პირის სხდომაზე მიწვევის ვალდებულება, მაგრამ კომისია ვალდებულია, სხდომის ადგილი და დრო შეატყობინოს დაინტერესებულ პირს, რომელიც თავის მხრივ, უფლებამოსილია, დაესწროს საჯარო სხდომას და გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. თ-შვილს არ მიეცა საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, რაც სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. ასევე გაურკვეველია, რის საფუძველზე დაასკვნა კომისიამ, რომ არ დასტურდება გ. თ-შვილის მიერ მიწის ნაკვეთის ფლობისა და განკარგვის ფაქტი, როდესაც კომისიისათვის წარდგენილ დოკუმენტებში, ნახაზებსა და ორთოფოტოებზე ჩანს, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთზე აგებულია საცხოვრებელი სახლი, რაც კომისიის მიერ არ ყოფილა განხილული და შეფასებული.

განმარტების საგანი: ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძვლით საკუთრების უფლების აღიარების კომისიისთვის ხელახლა მიმართვა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-18 მუხლი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით (მარტივი ადმინისტრაციული წარმოება) დადგენილი წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კოდექსის 102-ე მუხლი ადგენს ერთსა და იმავე საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების ხელახლა წარდგენის წესს. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ. 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა უშვებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმ საკითხზე ხელახლა მიმართვის შესაძლებლობას, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში: როდესაც შეიცვალა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე აქტს, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოება (მტკიცებულება), რომელიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. იგივე წესია დადგენილი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულების მე-18 მუხლით, რომლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება ხელახლა წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო განცხადების განუხილველად დატოვებას ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს დაინტერესებული პირისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ემ არაერთხელ მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით, მაგრამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. კომისიის გადაწყვეტილებები ემყარებოდა ერთი და იმავე დასაბუთებას, რომ არ დასტურდებოდა სადავო მიწის ნაკვეთზე კანონის ამოქმედებამდე კაპიტალური შენობის განთავსების ფაქტი. მ. გ-ის მიერ კომისიას თავდაპირველად წარედგინა საექსპერტო კვლევის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ 2005 წლის 8 აპრილის აქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საექსპერტო კვლევა ვერ ჩატარდებოდა 2004 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად დაშვარ ჯიხურს, რამდენადაც მის ადგილას განთავსებული იყო ახლად აშენებული შენობა. აღნიშნულის მიუხედავად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2010 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ მიიჩნია დადასტურებულად კანონის ამოქმედებამდე კაპიტალური შენობის არსებობის ფაქტი. 2012 წლის 27 თებერვალს წარდგენილ განცხადებასთან ერთად მ. გ-ემ კომისიას წარუდგინა 2011 წელს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2005 წლის 8 აპრილის აქტში მითითებული შენობა და წინამდებარე ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოკვლეული შენობა წარმოადგენდა ერთსა და იმავე ნაგებობას. სწორედ აღნიშნული გარემოება მიიჩნია განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რამდენადაც ადასტურებდა 2007 წლამდე სადავო ტერიტორიაზე შენობის განთავსების ფაქტს, თუმცა კომისიის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით განცხადება არ იქნა განხილული. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთება, რომ მ. გ-ის მიერ არ ყოფილა წარდგენილი რაიმე ახალი მტკიცება, რომელიც განაპირობებდა განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლომ ასეთ გარემოებად არ მიიჩნია 2011 წლის ექსპერტიზის დასკვნა და აღნიშნა, რომ აღნიშნული საექსპერტო კვლევა არ ადასტურებდა მ. გ-ის მიერ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე კანონის ამოქმედებამდე კაპიტალური შენობის განთავსების ფაქტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არც ადმინისტრაციული ორგანოსა და არც სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, რატომ არ წარმოადგენდა ექსპერტიზის დასკვნა საკმარის მტკიცებულებას იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ შენობა არსებობდა 2007 წლამდე. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, რატომარ დასტურდებოდა მითითებული მტკიცებულებით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოება და რატომ უარყო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს სახეზე იყო თუ არა მ. გ-ის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არაერთხელ მიმართა მ. გ-ემ, წარადგინა მტკიცებულებები თვითნებურად დაკავების ფაქტის დასადასტურებლად, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე უარყო განცხადება, რომზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად (რომელიც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ), არც ერთხელ არ განუმარტავს დაინტერესებული მხარისათვის რა მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა მას სადავო გარემოება და დამატებით რა დოკუმენტების წარდგენა იყო საჭირო.

5. საგადასახადო და საბაჟო სამართალი

საქმე № ბს-1121-1072(კ-07)

10 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდამულობის ვადა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქცია) 252-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი

ვალდებულია, გადაიხადოს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიჩნია, რომ 2004 წლის 23 ოქტომბრის № 7 საგადასახადო შემოწმების აქტით, რომლის ერთი ეგზემპლარი კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა ი/მ-ს, განიმარტა დარიცხული საგადასახადო თანხის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა (ტ.ი, ს.ფ. 11-12). ის გარემოება, რომ საგადასახადო მოთხოვნა 2004 წლის 23 ოქტომბრის საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გაიცა მხოლოდ 2006 წლის 31 ოქტომბერს, არ შეიძლება გახდეს ი/მ-ის საურავის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქცია) 237-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს გადასახადი დარიცხული თანხის დარიცხვა და გადასინჯვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (2004 წლის 22 დეკემბრის რედაქცია) მე-5 მუხლის შესაბამისად, „საგადასახადო მოთხოვნის“ (გადასახადის ან/და სანქციის თანხის დარიცხვის შესახებ) და „გადასახადის გამხდელის მოთხოვნის“ (ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან/და ჩათვლის თაობაზე) წარდგენის ხანდაზმულობის ვადა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს ვადა აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასასრულიდან.*

საქმე № ბს-1586-1515(კ-09)

22 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაბეგვრის რეჟიმი წილის საკომპენსაციოდ პარტნიორების მიერ საზოგადოებიდან უძრავი ქონების ნატურით გატანის დროს (2004 წლის საგადასახადო კოდექსის მე-19 და მე-20 მუხლები; მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და მე-16 მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 1999 წლის 6 მაისს შპს „...“ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქონების მართვის სამინისტროსგან საკუთრებაში მიიღო ქ. თბილისის № ... აფთიაქის კუთვნილი შენობა. შპს „...“ 2006 წლის 5 დეკემბრის № 5 ოქმის თანახმად, მოხდა პარტნიორების საზოგადოებიდან გასვლა და მათი წილების კომპენსაცია – ქონების ნატურით გადაცემა, რაზეც 2006 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა პარტნიორის წილის საკომპენსაციოდ გადაცემისა და გაყოფის ხელშეკრულება. შპს „...“ და საზოგადოებიდან გამსვლელ პირებს შორის პარტნიორის წილის საკომპენსაციოდ გადაცემისა და გაყოფის ხელშეკრულებით განხორციელდა საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანა, სადაც გარიგების ერთ მხარეს წარმოადგენდა საზოგადოება, ხოლო მეორე მხარეს ფიზიკური პირები. შპს „...“ შემცირებული წილი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და აღნიშნულთან ერთად საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა პარტნიორობიდან გასული ფიზიკური პირების მიერ გატანილი უძრავი ქონების წილები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მართალია, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანების თანახმად საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრშიც და 2006 წლის 8 დეკემბერს შპს „...“ პარტნიორების მიერ გაფორმდა პარტნიორის წილის საკომპენსაციოდ ქონების ნატურით გადაცემისა და გაყოფის ხელშეკრულება, მაგრამ რეალურად პარტნიორების სახელზე (შპს „...“ – 186,05 კვ.მ, ფიზიკურ პირთა (16-კაციანი) ჯგუფზე – 102,85 კვ.მ და მედეა ვაშაკიძეზე – 82,84 კვ.მ) ცალ-ცალკე საკუთრების ობიექტად საზოგადოების უძრავი ქონება არ დარეგისტრირებულა, რაც გულისხმობდა იმას, რომ რეალურად პარტნიორების მიერ საზოგადოებიდან უძრავი ქონების გატანა არ მომხდარა, ვინაიდან ქონების გატანა განხორციელებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უძრავი ქონება ცალ-ცალკე საკუთრების ობიექტებად დარეგისტრირდებოდა საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა დასტურდება 2006 წლის 8 დეკემბერს შპს „...“ პარტნიორების მიერ გაფორმებული პარტნიორის წილის

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლი.

საკომპენსაციოდ ქონების ნატურით გადაცემისა და გაცოფის ხელშეკრულებით, რომლითაც შპს „...“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საერთო ფართობით – 371,74 კვ.მ საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორების სასარგებლოდ შემცირდა 185,69 კვ.მ-ით, საზოგადოების საკუთრებაში კი დარჩა – 186,05 კვ.მ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლისა და „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად,* უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, საკუთრების უფლების წარმოშობისათვის სავალდებულო არ არის იდეალური წილის გამოყოფა და ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად დარეგისტრირება, საკუთრების უფლება ქონებაზე წარმოიშობა საერთო საკუთრების დროსაც.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.3 მუხლის თანახმად, შესატანის უკან დაბრუნება დაიშვებოდა მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შეცირების გზით, ანუ კაპიტალის უკან მიმღები პირები საკუთრებაში მიიღებდნენ გარკვეულ ქონებას, რაც თავისთავად არ გამოიწვევდა საერთო საკუთრების უფლების შენარჩუნებას ქონებაზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 173-ე მუხლების თანახმად, ქონებას საერთო საკუთრების უფლებით შეიძლება ფლობდნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები ერთად. ამასთან, თანამესაკუთრეთა წილი შეიძლება არ შედიოდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში, როგორც შპს „...“ პარტნიორების წილის საკომპენსაციოდ, ქონების ნატურით გადაცემისას მოხდა. კერძოდ, ქ. თბილისში, ... № ... მდებარე 371,74 კვ.მ ფართის ქონების მესაკუთრეებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ერთი მხრივ, შპს „...“ და მეორე მხრივ, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი ფიზიკური პირები. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საწესდებო კაპიტალიდან ქონების გადასაცემად ქონების ცალ-ცალკე საკუთრების ობიექტად დარეგისტრირება აუცილებელი არ არის, იგი შეიძლება დარეგისტრირდეს როგორც რამდენიმე დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის საერთო საკუთრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ შემცირებული წილი რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში და მასთან ერთად რეგისტრირებულია პარტნიორობიდან გასული ფიზიკური პირების მიერ გატანილი უძრავი ქონების წილები. ამდენად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საზოგადოებიდან პარტნიორების მიერ უძრავი ქონების გატანა რეალურად მოხდა.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ერთი მხრივ, შპს „...“ და მეორე მხრივ, საზოგადოებიდან გამსვლელ პარტნიორ ფიზიკურ პირებს შორის დადებული 2006 წლის 8 დეკემბრის პარტნიორის წილის საკომპენსაციოდ ქონების ნატურით გადაცემისა და გაცოფის ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოების უძრავი ქონების შემცირება განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებად, ვინაიდან ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ერთი პირის (შპს „...“) მიერ მეორე პირისათვის (შპს „...“ პარტნიორებისათვის) საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემას, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს მიწოდებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილ შპს „...“ წარმომადგენლის საპაექრო სიტყვაში კასატორი აღიარებს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ პარტნიორების მიერ თავიანთი წილების საკომპენსაციოდ შესატანის (უძრავი ქონების) უკან დაბრუნება წარმოადგენს მიწოდებას, თუმცა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაუბეგრავ მიწოდებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ იბეგრება თუ არა ზემოაღნიშნული ოპერაცია – საქონლის მიწოდება – საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადებით კერძოდ, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადით.

* ძალადაკარგულია 2008 წლის 19 დეკემბრის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაუბეგრავ მიწოდებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლზე, რომელიც ამომწურავად ითვალისწინებს საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და იმპორტის სახეებს, რომლებსაც კანონმდებლობა ათავისუფლებს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ხსენებული მუხლის როგორც სადავო პერიოდში, ისე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანას, როგორც საქონლის მიწოდების სახეს. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ვინაიდან შპს „...“ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით ნატურის სახით შესატანის უკან დაბრუნება (უძრავი ქონების გატანა), საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, როგორც საწესდებო კაპიტალში წილის მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაცია, წარმოადგენდა ფინანსურ მომსახურებას.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა საწარმოს საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა სხვა პირზე საკუთრების უფლებით, ხოლო მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ უნდა განხორციელდეს ერთი პირის მიერ მეორე პირის სასარგებლოდ გარკვეული სახის ქმედების და არა საქონლის საკუთრების უფლებით გადაცემა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფინანსურ ოპერაციას განეკუთვნება კაპიტალში წილის, აქციის, ობლიგაციის, სერტიფიკატების, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, შექმნასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან (მათ შორის, მომავალში) დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის, მათი მიმოქცევის უზრუნველყოფა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ფინანსურ მომსახურებას განეკუთვნება ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მითითებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე. კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან საწესდებო კაპიტალის შემცირება შესატანის დაბრუნების გზით წარმოადგენს საწესდებო კაპიტალში წილის მიმოქცევას, შესაბამისად, შპს „...“ შემთხვევაში, საწესდებო კაპიტალიდან დაბრუნებული წილის მიღება (საზოგადოების პარტნიორების მიერ უძრავი ქონების გატანა) წარმოადგენდა საწესდებო კაპიტალში წილის მიმოქცევასთან დაკავშირებულ ოპერაციას, რაც თავის მხრივ, ფინანსურ მომსახურებას განეკუთვნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ პარტნიორების მიერ თავიანთი წილების საკომპენსაციოდ შესატანის უკან დაბრუნება მოხდა ნატურით (ქონების გატანით).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განასხვავებს წილის მესაკუთრესა და ქონების მესაკუთრეს და შესაბამისად, განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს წილის მიმოქცევასა და საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანას. სამეწარმეო კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოების წილად მიიჩნევა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს საზოგადოების წევრობიდან გამომდინარე. ამასთან, საზოგადოების პარტნიორი არის წილის მესაკუთრე, რომელიც უფლებამოსილია განკარგოს თავისი წილი შეხედულებისამებრ, რა დროსაც ქონება არ გადის საზოგადოებიდან და საბალანსო ღირებულებაც ხელშეუხებელი რჩება. რაც შეეხება ქონებას, ქონების შეტანისას მისი მესაკუთრე ხდება საზოგადოება, რომელიც განკარგავს მას საერთო წესების დაცვით. რის გამოც, დაუშვებელია ქონების ნატურით გატანის გაიგივება წილის მიმოქცევასთან და შესაბამისად, მისი ფინანსური მომსახურების სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ ხსენებული ოპერაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ფინანსურ მომსახურებას, ვინაიდან აღნიშნული ნორმის რეგულირების საგანია წილების მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები და არა მატერიალურ აქტივებზე საკუთრების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო მიზნები-სათვის ქონების ნატურით გატანა არის აქტივი, რომელიც იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. ამასთან, კანონმდებელი პირდაპირ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანა გადასახადისაგან თავისუფლდება, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საწარმოსათვის შეღავათის დაწესებას, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლი მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი და ამასთან, პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში, მაშინ ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების რეალიზაციად (მიწოდებად) ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია საწარმოს ლიკვიდაციას ან გაყოფას, რაც საქმის მასალებითაც დასტურდება და აღნიშნულს არც მხარეები ხდიან სადავოდ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, შპს „...“ პარტნიორების მიერ საზოგადოებიდან შესატანის (უძრავი ქონების) უკან დაბრუნება – ქონების ნატურით გატანა განიხილება როგორც საქონლის მიწოდება და იგი წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მართებულად ჩაითვალა მიღებულ შემოსავლად საწარმოს აქტივებიდან ფიზიკურ პირებზე გადაცემული ქონების ნამატი ღირებულება (სხვაობა საბაზრო ფასსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის) და ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის შესაბამისად მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგრას მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადებით, შესაბამისად კანონიერად მოხდა ნამეტი თანხიდან კუთვნილი გადასახადების გამოანგარიშება. აღნიშნულ მსჯელობასა და საგადასახადო სფეროში ჩადებულ კანონმდებლის ნებას კიდევ უფრო ამყარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ნორმები, რომლებშიც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს შემთხვევებს, როდესაც საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანისას ნამატი ღირებულება განთავისუფლებულია გადასახადისაგან. ამდენად, საზოგადოებიდან ქონების ნატურით გატანა წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას და კანონმდებელი პირდაპირ ითვალისწინებს შემთხვევებს – ადგენს საგამონაკლისო ნორმებს, როდესაც ხსენებული ოპერაციები განთავისუფლებულია გადასახადისაგან, რომლებიც მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება.

საქმე № ბს-723-708 (კ-12)

15 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცალკეულ შემთხვევაში დაბეგრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასება ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს იმგვარი სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, როგორცაც ეს მიჩნეულ იქნა ჯერ ადმინისტრაციული ორგანოს, ხოლო შემდგომში გასაჩივრებული განჩინებით. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე საწარმო ახორციელებდა ექსელის ფაილების შედგენას კონკრეტული ბრენდების მიხედვით. ასევე წარმოდგენილია 2010-2011 წლების 9 თვის მანძილზე ყოველდღიურად ნაწარმოები თაბახის ფურცლები, რომლებსაც ადგენდნენ საწარმოს თანამშრომლები. მხარეთა შორის დავას იწვევს საწარმოს მიერ ბულალტრული აღრიცხვის არასათანადოდ წარმოების ფაქტის დადგენა ექსელის ფაილის, ე.წ. შავ ჩანაწერებზე დაყრდნობით. საგადასახადო კოდექსის (2004 წლის რედაქცია) 104.2 მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს ბულალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით ან არ ახორციელებს მას საერთოდ, ან სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგული ან/და განადგურებულია, რის გამოც შეუძლებელია დაბეგრის ობიექტის, დაბეგრასთან დაკავშირებული ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, მაშინ საგადასახადო ორგანოს გადასახადის ოდენობის დადგენის მიზნით უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს

გადასახადი დაარიცხოს არსებული მასალების საფუძველზე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე). ამდენად, ექსელის ფაილსა და თაბახის ფურცლებზე წარმოებულ ჩანაწერებში დადგენილ შემოსავლებსა და საწარმოს მიერ დეკლარირებულ შემოსავლებს შორის სხვაობის არსებობა შემომოწმებლის მიერ შეფასებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის არასათანადოდ წარმოებად. შესაბამისად, ექსელის ფაილი და თაბახის ფურცლები შეფასდა შავ ჩანაწერებად, მათში დაფიქსირებული მონაცემები გამოყენებულ იქნა დარიცხვების საწარმოებლად. საქმეში დაცულია ჩხრეკის ოქმი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას „...“ ოფისიდან, გარდა სხვა მასალისა, ამოღებულ იქნა შპს „...“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, დეკლარაციები, საბუღალტრო დოკუმენტაცია და სხვა დოკუმენტები. საქმეში წარმოდგენილია საკასო აპარატის ჩეკები, გასავლის შედეგბულები, რომლებიც ასახავს კონკრეტული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტს და ღირებულებას. რიგი რეალიზაცია განხორციელებულია საბანკო მომსახურების გამოყენებით, ე.წ. ტერმინალის მეშვეობით. ასევე საქმეს ერთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რაც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს და მასში ასახულია როგორც ოპერაციის სახე, ასევე საქონლის ღირებულება, დღგ და სხვა მონაცემები. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით თუ თაბახის ფურცელზე საწარმო ახდენს კონკრეტული ინფორმაციის დაფიქსირებას (თავმოყრას) არ ქმნის ერთმნიშვნელოვნად დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა არასათანადოდ, ე.ი. სახეზე იყო შემოსავლების დაფარვა. მაკონტროლებელი ორგანო მართალია, უფლებამოსილია ბუღალტრული აღრიცხვის არასათანადოდ წარმოების დასადგენად იხელმძღვანელოს საწარმოში არსებული მასალებისა თუ მოპოვებული ნებისმიერი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ ამგვარი დასკვნის გაკეთება, მხოლოდ რაიმე ჩანაწერების მხედველობაში მიღებით, არ შეესაბამება საგადასახადო კონტროლის მიზნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საწარმოში არსებული ამა თუ იმ სახის ჩანაწერი, რომელიც იძლევა საწარმოს შემოსავლის ან ხარჯის დადგენის შესაძლებლობას, განხილულ უნდა იქნეს სხვა უტყუარ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რათა საგადასახადო კონტროლის მიზნით სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული საწარმოს მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის სისწორე.

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო სამსახური შპს „...“ მიერ აღურიცხავი შემოსავლების დასადგენად დაეყრდნო ე.წ. შავ ჩანაწერებს, რომლებშიც ასახული იყო კონკრეტული ბრენდების მიხედვით პროდუქციის ყოველდღიური მოძრაობა (ნაშთი, მიღება, რეალიზაცია, უკან გატანა, ჩამოფასება და საბოლოო ნაშთი) სარეალიზაციო ფასებში. საზოგადოების თანამშრომლების დაკითხვისას მიცემული ჩვენებების შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნულ ექსელის ფაილში მონაცემების თავმოყრა ხდებოდა საზოგადოების სხვადასხვა თანამშრომლების მიერ თაბახის ფურცლებზე ნაწარმოები ინფორმაციის საფუძველზე, 2007 წლის ნოემბრამდე აშშ დოლარში, ხოლო შემდეგ პერიოდში – ევროში. ამასთან, ოთხი დასახელების ბრენდი აღირიცხებოდა ეროვნულ ვალუტაში. ბოლოს ხდებოდა ყველა ბრენდის შეჯამება ერთიან მონაცემად. ამასთან, თაბახის ფურცლებზე ნაწარმოებ ანალოგიურ ჩანაწერებში მითითებულია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებიდან (..., ..., ... და სხვა) დროის გარკვეულ პერიოდში საწარმოში შესული თანხები. ფაილში ასახულ ჯამურ მონაცემებსა და დეკლარირებულს შორის სხვაობა მიჩნეულ იქნა აღურიცხავ შემოსავლებად. საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გამოძიების მიერ შპს „...“ თანამშრომლების დაკითხვის ოქმები. საქმის სასამართლოში განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე ექსელის ფაილთან მიმართებით სასამართლოს განმარტება მისცეს საწარმოს თანამშრომლებმა, რომლებმაც განმარტეს, რომ ექსელის ფაილებს გააჩნდათ მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობა და იგი იქმნებოდა კონკრეტული ბრენდის პროდუქციის მოწოდებელი ბიზნეს-პარტნიორებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების თავმოყრის მიზნით. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილ იქნა შპს „...“ და სხვადასხვა უცხოურ კომპანიებს შორის წარმოებული მიმოწერის ამსახველი მასალა, აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნა-მიწოდების თაობაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია ამავე უცხოური კომპანიების დასტური, რომ შპს „...“ მათი მოთხოვნით უხდებოდა მოემზადებინა

ინფორმაცია – კონკრეტული ბრენდის პროდუქციის მიმოქცევის სტატისტიკა, შესათავაზებელი სარეალიზაციო ფასების მითითებით. საკასაციო პალატა მიუთითებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის ოქმების შინაარსზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ჩვენებებში დაფიქსირებული ინფორმაცია არ არის დადასტურებული სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გამატყუნებელი განაჩენით, რომელიც მოწმეთა ჩვენებაში ასახული ქმედების მართლწინააღმდეგობას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში დაადასტურებდა. ამდენად, მაკონტროლებელი ორგანო არ არის უფლებამოსილი სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმის ჩვენებას მიანიჭოს უდავო მტკიცებითი ხასიათი, იგი უნდა შეფასდეს საგადასახადო კონტროლის მიზნებისათვის საბუღალტრო-ეკონომიკური, საფინანსო და სხვა მასალებში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით.

საქმე № ბს-1221-1183(კ-08)

9 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვადის დარღვევა

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საგადასახადო აქტების ბათილად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 80.3 მუხლით დადგენილი საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის 5-დღიანი ვადის დარღვევა,* რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2 მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მომზადების წესის დარღვევა აქტის ბათილად ცნობის საფუძველია, თუ ამგვარი დარღვევების არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 80.3 მუხლით დადგენილი ვადის დარღვევით საგადასახადო მოთხოვნის გამოცემა არ წარმოადგენს არსებითი ხასიათის დარღვევას, რადგან მითითებული დარღვევის არარსებობის პირობებშიც საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

საქმე № ბს-1037-1008 (კ-10)

22 დეკემბერი, 2010 წელი ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილის გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან (საგადასახადო კოდექსის 2004 წელს მოქმედი რედაქციის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტი)

კასატორი ა. ლ-ია მუშაობდა და ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას შპს „...“ დასავლეთის სალიანდაგო სამართველოს სამტრედიის რეგიონში, მემანქანის თანამდებობაზე, იგი 1993 წლის 12 აგვისტოდან 1993 წლის 16 აგვისტომდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, გათანაბრებულია დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და სარგებლობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრული შეღავათებით.

დადგენილია, რომ მუშაობის პერიოდში კალენდარული წლის განმავლობაში მისი შემოსავალი არ აღემატებოდა 3000 ლარს, თუმცა საგადასახადო შეღავათის მასზე გავრცელება მოხდა 2008 წლის აპრილიდან, მას შემდეგ, რაც მისი მხრიდან წარდგენილი იქნა ომის მონაწილის მოწმობა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მე-2 მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე. ანალოგიური შინაარსის ნორმას შეიცავდა ასევე 2005 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლი.

* აღნიშნულ ჩანაწერს შეიცავდა 2004 წლის საგადასახადო კოდექსი. ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს „გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.

დავას არ იწვევს მოსარჩელის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი, მხარეებს შორის სადავოდ არ არის გამხდარი ასევე ის გარემოება, რომ ა. ლ-ია წარმოადგენს იმ პირს, ვისზეც უნდა გავრცელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეღავათი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაუსაბუთებლად მიიჩნიოს სასამართლოების მიერ აღნიშნული შეღავათის გაუვრცელებლობის მოტივად იმაზე მითითება, რომ მოსარჩელეს ომის მონაწილის მოწმობა 2008 წლამდე შპს „...“ არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეში ს.ფ. 27-28-ზე დაცულ კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ გაცემულ ცნობას იმის თაობაზე, რომ ცნობა ა. ლ-ის მიერ შპს „...“; რომლითაც დასტურდებოდა, რომ ა. ლ-ია 1993 წლის 12 აგვისტოდან 1993 წლის 20 აგვისტომდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, გათანაბრებულია დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და სარგებლობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრული შეღავათებით, წარდგენილი იქნა დროულად. საგულისხმოა, რომ შპს „...“ საშემოსავლო გადასახადზე შეღავათების გაუვრცელებლობის მოტივად ასახელებდა, არა ა. ლ-ის მიერ სათანადო დუკუმენტების წარუდგენლობას, არამედ მითითებულ წლებში შეღავათის გავრცელების შეჩერების ფაქტს (სფ.19).

საკასაციო სასამართლო საგადასახადო შეღავათის გავრცელებისა და საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს თავად ფაქტს იმის თაობაზე, საგადასახადო შეღავათის მომთხოვნი პირი წარმოადგენს თუ არა ამ შეღავათის მატარებელ სუბიექტს ანუ პასუხობს თუ არა კანონის იმ მოთხოვნებს, რომელთა არსებობის პირობებშიც მის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს საგადასახადო შეღავათი. იმ ვითარებაში, როდესაც დავას არ იწვევს ა. ლ-ის მონაწილეობის ფაქტი ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში და მისი სტატუსი შემდგომში დადასტურებულია ვეტერანის მოწმობის გაცემის გზით, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მიიჩნევს ფორმალურად და თვლის, რომ ა. ლ-ია სადავო პერიოდში წარმოადგენდა საგადასახადო შეღავათის მატარებელ პირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კანონით გაწერილი შეღავათი მოსარჩელეზე, როგორც ამ შეღავათის მატარებელ პირზე, უნდა გავრცელდეს და დაქვითული თანხა, როგორც ბიუჯეტში შეცდომით მოხვედრილი, უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

რაც შეეხება ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნებაზე მოპასუხეთა პასუხისმგებლობის საკითხს, საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით განმარტავს, რომ საწარმოს, მოცემულ შემთხვევაში შპს „...“, როგორც საგადასახადო აგენტს ეკისრებოდა ვალდებულება სწორად და დროულად გამოეანგარიშებინა და დაეკავებინა გადასახადი. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის (ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება) მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ გადასახადებისა და სანქციების გადახდილი თანხების ჯამი აღემატება დარიცხული გადასახადებისა და სანქციების თანხების ჯამს, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 თვისა, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს, სხვა ვალდებულ პირს უბრუნებს დარჩენილ თანხას სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან მასზე რიცხული ნაშთის ფარგლებში. „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა – ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის № 916 ბრძანების მე-11 მუხლის შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი რეგიონალური ცენტრის ან მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე“.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული ნორმები შეიცავს ცალსახა მითითებას უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოზე, ხოლო შპს „...“ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე იმყოფება მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტში, ეს უკანასკნელი წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს წარადგინოს საგადასახადო დავალება ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული საგადასახადო ნორმების შინაარსის ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ საგადასახადო აგენტის პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადების დაკავებასა და ბიუჯეტში მათ გადარიცხვაზე არ გულისხმობს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნებაზე პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრებასაც, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 71-ე მუხლისა და „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა – ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის № 916 ბრძანების მე-11 მუხლის დანაწესებს, თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს რკინიგზის ვალდებულებას, დაიცვას კანონით გაწერილი მოთხოვნები და წარადგინოს შესწორებული დეკლარაციები.

საქმე № ბს-1132-1100(კ-10)

10 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილის გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანების კატეგორიას მიეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლების მონაწილენი და მათზე ვრცელდება ამ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით ვეტერანებისათვის დაწესებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა სახის შეღავათები. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების შესახებ, რომლებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთი შეღავათი არის დადგენილი საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება იმ საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ცნობილნი იყვნენ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებად ან ცნობილნი არიან ვეტერანებად ამ კანონის შესაბამისად. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში. აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის № 1058 ბრძანებულებით დამტკიცდა ვეტერანის მოწმობის ნიმუში და მისი გაცემის წესი, რომლითაც განისაზღვრა ვეტერანის სტატუსის მინიჭების, მათი აღრიცხვის და შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრის წესი. ამავე წესის თანახმად, მხოლოდ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობა წარმოადგენს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და შეღავათების გავრცელების სავალდებულო პირობას. იგივე წესს ადგენს ამ ბრძანებულების მიღებამდე მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 ნოემბრის

№ 632 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი პირადობის მოწმობისა და მისი გაცემის წესის შესახებ დებულება. ამასთან, აღნიშნული ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად, 2002 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული მსგავსი შეღავათების მიღების უფლების დამადასტურებელი მოწმობები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები და შეღავათები ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონის ან ადრე მოქმედი კანონის საფუძველზე ცნობილნი არიან ვეტერანებად ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ, რომლებზედაც გაცემულია ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიშნების მოწმობა ან რომლებიც ამჟამადაც სარგებლობენ კანონით განსაზღვრული შეღავათებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე, არ არის მის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი გარანტიების და შეღავათების მიღების საკმარისი საფუძველი.

საქმე №ბს-631-619(კ-12)

24 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გადასახადისგან გათავისუფლება (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.გ“ ქვეპუნქტი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.გ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2004 წლის რედაქციის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები: ფიზიკური პირის მიერ: 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვიისების მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისა ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა შეაფასოს ის გარემოება, რომ მოსარჩელე მ. ს-ე გასხვისებამდე ორ წელზე მეტი ვადით ფლობდა შ.პ.ს. „...“ წილს. ამასთან, საგადასახადო ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მ. ს-ემ წილის მიწოდებამდე აღნიშნული წილი დატვირთა (დააგირავა) კომპანია „ი-ისგან“ მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. ამდენად, აღნიშნული გარემოების შეფასების საფუძველზე საგადასახადო ორგანომ უნდა გამოიტანოს დასკვნა, ის გარემოება, რომ მოსარჩელემ კუთვნილი წილი გამოიყენა სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ მოსარჩელე წილის მიწოდებამდე ცოტა ხნით ადრე მას იყენებდა ეკონომიკურ საქმიანობაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანომ მხოლოდ ზემოაღნიშნული გარემოების დადგენისა და შეფასების საფუძველზე უნდა გამოიტანოს დასკვნა, მოსარჩელის მიმართ უნდა გავრცელდეს თუ არა საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ“ პუნქტის დებულებები.

საქმე № ბს-734-699(კ-09)

19 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის პირველი ნაწილით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება

ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, დაქირავებულის მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული ოდენობით მიღებული სარგებლისათვის, გადახდილი თანხის გამოკლებით, მათ შორის, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ასანაზღაურებელი თანხა. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმების ფარგლებში.*

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება სამსახურეობრივი დავალების შესასრულებლად დაქირავებულის მივლინება მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ (ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ).

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებით გამოთხოვილი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 20 სექტემბრის № 2 ბრძანების საფუძველზე ქუთაისში მივლინებული თანამშრომლები საწარმომ დაიქირავა კონკრეტული სამუშაოების შესრულების მიზნით და იმ ვადით, რაც განისაზღვრა შპს „...“ და სს „...“ შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც საზოგადოებას ქუთაისის მომსახურების ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ელექტროენერჯის აღრიცხვის მოწესრიგების (გამრიცხველიანების) მიზნით უნდა ეწარმოებინა გარკვეული სამუშაოები, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2005 წლის 20 სექტემბრის № 2 ბრძანების საფუძველზე რეალურად ჰქონდა ადგილი არა შპს „...“ თანამშრომელთა მივლინებას სამსახურეობრივი დავალების შესასრულებლად, არამედ აღნიშნული ბრძანებით მოხდა ფიზიკური პირების დაქირავება დროებით, გარკვეული სახის სამუშაოს შესრულების მიზნით, რამაც გაფორმდა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დაქირავებულ პირებზე გაცემული 15 ლარი არის არა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული მივლინების ზღვრული თანხა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით არ შედის ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში, არამედ სწორედ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, რაც საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია.

საქმე № ბს-1136-1098(კ-08)

8 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხარჯი, რომელიც გამოქვითვას არ ექვემდებარება (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 106-ე მუხლი „ა“ ქვეპუნქტი)

კასატორი შპს „...“ ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე მოქმედ საწარმოს წარმოადგენს. ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო. კონტროლის ამოცანაა დაიცვას საქართველოს ბაზარი მომხმარებლისათვის საფრთხის შემცველი, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტისაგან („წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი). ვადაგასული და გაუვარგისებული მედიკამენტების განადგურების ვალდებულება სადავო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის დროს განსაზღვრული იყო „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის 17.1 მუხლით, ხოლო ამჟამად ვადაგასული ან გაუვარგისებული მედიკამენტების განადგურების ვალდებულებას დასახელებული კანონის 17.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს. ამდენად, ვადაგასული და გაუვარგისებული პროდუქტის განადგურების ვალდებულება შპს „...“ კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს. ვადაგადაცილებული საქონლის

* იგულისხმება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით განსაზღვრული ნორმები.

რეალიზაციის აკრძალვა არის არა მხოლოდ ფარმაცევტულ სფეროში, არამედ ზოგადად მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი იმპერატივი (მაგ. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მე-14 მუხ.). ამდენად, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში ვადაგასული და გაუვარგისებული მედიკამენტების განადგურების ვალდებულების განსაზღვრა არ ადასტურებს ეკონომიკურ საქმიანობად მისი მიჩნევის შესაძლებლობას. შპს „...“, როგორც ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში მოქმედი სუბიექტის საგადასახადო ვალდებულებებს და შეღავათებს განსაზღვრავს არა ხსენებული კანონი, არამედ საგადასახადო კოდექსი, რომლის 2.6 მუხლის თანახმად აკრძალულია არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი საკითხების რეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგრასთან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითება მოგების მიღებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ამდენად, დანახარჯი იმ შემთხვევაში ჩაითვლება შემოსავლის მიღებისათვის გაწეულ ხარჯად, თუკი მოგების მიღების მიზნით ხარჯის გაწევა აუცილებელი და გარდაუვალია. ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში განხორციელებული სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის შედეგად შემოსავლის მისაღებად სრულიადაც არ არის საგადასახადო შეძენილი მატერიალური ქონების – მედიკამენტების ნაწილის გაუვარგისება ვადის გასვლის ან შენახვის არასათანადო პირობების გამო. პირიქით ფარმაცევტულ სფეროში მოგების მიღება სწორედ აღნიშნულის თავიდან აცილებას, მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს, რაც საქმიანობის სწორი ორგანიზაციის, წამლების სათანადო შენახვით, სამომხმარებლო ბაზრის შესწავლით, მარკეტინგის მეშვეობით მიიღწევა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მედიკამენტები თავის დროზე მოსარჩელის მიერ შეძენილ იქნა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, შემდგომში მათი განადგურება გაუვარგისებლობისა და ვადის გასვლის გამო შეადგენს სამეწარმეო საქმიანობის თანხლებ რისკს და არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას ანუ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად (კოდექსის მე-13 მუხ.), რაც კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ასეთი ხარჯის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის გამომრიცხავ გარემოებას შეადგენს. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაკარგული ღირებულება არ წარმოადგენს საქონლის თვითღირებულების შემადგენელ ელემენტს და საგადასახადო კოდექსის 208.3 მუხლის შესაბამისად დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას მონაწილეობას არ ღებულობს ერთობლივი შემოსავლის კორექტირებაში. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი არ ქმნის მოსარჩელეზე საგადასახადო შეღავათის გავრცელების საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვადაგასული ან გაუვარგისებული პროდუქციის განადგურებით წარმოქმნილი სხვაობა შეძენილ და რეალიზებულ პროდუქტს შორის საგადასახადო კოდექსის 12.26 მუხლით გათვალისწინებულ დანაკლისს არ წარმოადგენს. განადგურების (უტილიზაციის) აქტის არსებობა გამორიცხავს განადგურებული საქონლის საგადასახადო კოდექსის 12.26 მუხლის მიხედვით დანაკლისად მიჩნევის, განადგურებული პროდუქციის კოდექსის 143.4 მუხლის საფუძველზე მიწოდებად განხილვის და განადგურებული საქონლის ღირებულების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 16.03.07წ. შემოწმების აქტის თანახმად, შეძენილი ნედლეულისა და მასალების საერთო ღირებულება გათვალისწინებულია მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას(ს.ფ. ნ-16). დავის საგანს ქმნის ვადაგასული მედიკამენტების ღირებულების დამატებით გათვალისწინება „სხვა დანახარჯებში“ და საერთო შემოსავლიდან აღნიშნული თანხის ხელმეორედ გამოქვითვა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170.1 მუხლის მიხედვით, საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადახდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. გამოსაქვითი თანხები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლით და იგი წარმოადგენს შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მედიკამენტების განადგურებით გამოწვეული ხარჯი არ არის დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან, რის გამოც არ ექვემდებარება საერთო შემოსავლებიდან გამოქვითვას.**

საქმე № ბს-1187-1134(კ-09)

24 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხარჯი რომელიც გამოქვითვას არ ექვემდებარება (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)

საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, ერთობრივი შემოსავლიდან გამოიქვითება მოგების მიღებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. საკასაციო სასამართლო აღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე თვლის, რომ დანახარჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება შემოსავლის მიღებისათვის გაწეულ ხარჯად, თუკი მოგების მიღების მიზნით ხარჯის გაწევა აუცილებელი და გარდაუვალია, ანუ სხვაგვარად მოგების მიღება შეუძლებელია.

დადგენილია, რომ შპს „...“ საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქციის და დამხმარე საშუალებების წარმოება-რეალიზაცია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პარფიუმერულ საქმიანობის სფეროში გაწეული სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის შედეგად შემოსავლის მისაღებად არ არის სავალდებულო შემოტანილი მატერიალური ქონების ნაწილის გაუვარგისება ვადის გასვლის ან შენახვის არასათანადო პირობების გამო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქონლის განადგურება ვადის გასვლის გამო შეადგენს სამეწარმეო საქმიანობის თანმხლებ რისკს და არ მიეკუთვნება იმ სახის საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, რაც საგადასახადო კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ასეთი ხარჯის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის გამომრიცხავ გარემოებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170.1 მუხლის შესაბამისად, საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობრივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხებს შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოსაქვითი თანხები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლით.

მოცემულ პირობებში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ პარფიუმერული საქონლის განადგურებით გამოწვეული ხარჯი არ არის დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან, რის გამოც ვერ დაექვემდებარება საერთო შემოსავლიდან გამოქვითვას.

საქმე № ბს-83-81(კ-09)

16 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლი)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იჯარის ხელშეკრულება არის ხარჯის გაწევის სამართლებრივი საფუძველი და არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თანხის ხარჯის დამადასტურებელ პირველად საგადასახადო დოკუმენტს, რომლის შედგენის სავალდებულობაზე მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. ხსენებული ნორმის მიხედვით, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულად და გარკვევით უნდა იყოს ასახული სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, საგანი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეების დასახელება.

განმარტების საგანი: უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლის გაუქმება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 251-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ დღგ-ის გადახდელისათვის თანხის შეცლომით დაბრუნების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს ამ თანხის დაბრუნება დღგ-ის გადახდევინების წესით. თუ საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ განხორციელდა უსაქონლო ოპერაციები ან ფიქტიური გარიგებები, მაშინ ამ ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით მყიდველისათვის დღგ-ს ჩათვლა უქმდება.**

როგორც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან დასტურდება, წინამდებარე შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლის გაუქმების საფუძველად მიჩნეულია უსაქონლო ოპერაციის განხორციელების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო უსაქონლო ოპერაციის განმარტების ნაწილში იზიარებს საკასაციო საჩივრებში წარმოდგენილ მოსაზრებას და თავის მხრივ, განმარტავს შემდეგს: უსაქონლო ოპერაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო დოკუმენტაცია შექმნილია არარსებულ, მიუწოდებელ ან მიუღებელ საქონელზე. ამდენად, მხარეთა ვალდებულებას წარმოადგენს ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობის დადგენა ან მათი არსებობის გამორიცხვა.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება დღგ-ის გადახდევინების ფაქტი. დღგ-ის გადახდელი ვალდებულია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებისთანავე და მისცეს მყიდველს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

სს „თ-ის“ მიერ საქმეში წარმოდგენილია 2005 წლის 3 აგვისტოს № 126658 სერია ბბ-04 ანგარიშ-ფაქტურა, რომლითაც დასტურდება შპს „დ-გან“ 1 ცალი შესადულებელი აპარატის შეძენის ფაქტი. ამდენად, საქმეში დაცულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დღგ-ს გადახდევინების ფაქტს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის საფუძველზე აკრძალულია ეკონომიკური საქმიანობისათვის შეძენილი ან მიწოდებული საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება.

საქმეში (ს.ფ. 25) წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები № 449, რომელიც საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს, კერძოდ: დოკუმენტის შედგენის თარიღს და ნომერს, სამეურნეო ოპერაციის მონაწილეთა დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომრებს, ინფორმაციას ტვირთის გადაზიდვის შესახებ, ინფორმაციას საქონლის შესახებ, ტვირთის გამყიდველის ხელმოწერას და ტვირთის გადაზიდველის ხელმოწერას ტვირთის მიღების შესახებ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობაში კასატორებს ეჭვი არ შეუტანით, რაც, თავის მხრივ, იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა შესადულებელი აპარატის ტრანსპორტირების ფაქტს.

ამავე საქმეში ს.ფ. 26-ზე განთავსებულია შემოსავლის ზედდებული № 32. ასევე სადავოდ არაა გამხდარი ფაქტი იმის თაობაზე, რომ აპარატი ფიზიკურად ამჟამად განთავსებულია მყიდველის – სს „თ-ის“ ობიექტში.

საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სამართალწარმოებისათვის მახასიათებელ ძირითად პრინციპს, რასაც მიეკუთვნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და აღნიშნავს, კასატორის მიერ წარმოდგენილი ერთადერთი მოტივაცია იმის თაობაზე, რომ გამყიდველს საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობის ჟურნალი არ გააჩნდა, არ იძლევა იმ მტკიცებულებების გაქარწყლების შესაძლებლობას, რაც პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან იქნა წარმოდგენილი, კერძოდ, ზემოაღნიშნული დოკუმენტები, საწინააღმდეგო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ცალსახად გამორიცხავს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ სახეზეა არარსებულ, მიუწოდებელ ან მიუღებელ საქონელზე წარმოებული ოპერაცია.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამივე აღნიშნული ოპერაციის წარმოების ფაქტი პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან დოკუმენტალურადაა დადასტურებული, ხოლო რაც შე-

* გადაწყვეტილებაში განმარტებულია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის მუხლები.

** მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნტი.

ეხება საქონლის გამყიდველის „ღ-ის“ მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას, მითითებული არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მყიდველს იმ პირობებში, როდესაც მისი ბრალეულობა დადგენილი არ არის.

საქმე № ბს-78-77(კ-11)

28 სექტემბერი, 2011 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლის გაუქმება

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ი/მ „ზ. ლ-ის“ მიერ სადავო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით საქონლის შეძენის ფაქტი არ დგინდებოდა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით დაეყრდნო მხოლოდ წინასწარი გამოძიების მასალებს, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული თემატური შემოწმების აქტს და კანონიერად მიიჩნია საგადასახადო კოდექსის 251.3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელისათვის დღგ-ს ჩათვლების გაუქმება. საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ მოსარჩელესა და შპს „...“-ს შორის განხორციელებული მიწოდების უსაქონლო ოპერაციად მიჩნევის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ წინასწარი გამოძიებით დადგენილი იყო ვ. გ-ის მიერ სხვადასხვა იურიდიული ფორმების, მათ შორის შპს „...“-ის შექმნა მხოლოდ ფიქტიური ოპერაციების განხორციელების მიზნით და მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით მას სათანადო დოკუმენტაციით, კერძოდ, ბუღალტრულად არ ჰქონდა აღრიცხული მოსარჩელისათვის მიწოდებული საქონელი, შესაბამისად, შპს-ს მიერ მისი დამზადებისა და მიწოდების ფაქტი სადავოდ გახდა ადმინისტრაციულმა ორგანომ და აღნიშნული მიიჩნია მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გავრცელების საკმარის საფუძველად. საგადასახადო კოდექსის 251.3 მუხლის შესაბამისად, **დღგ-ს ჩათვლების გაუქმებას კანონმდებელი უკავშირებს საგადასახადო შემოწმებით დადასტურებული უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების განხორციელების ფაქტს. ამდენად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტში – ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული მიწოდების უსაქონლო ოპერაციად მიჩნევისათვის უნდა დადგინდეს მიწოდების რეალურად განხორციელებლობა, აღნიშნულის დადგენის საკმარის საფუძველს არ ქმნის მიმწოდებლის მიერ საბუღალტრო დოკუმენტაციაში კანონით დადგენილი წესით მიწოდებული საქონლის აღრიცხვა, მომსახურების გამწვავის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით საქონლის აღრიცხვის, საბუღალტრო დოკუმენტაციის კანონის დარღვევით წარმოება მყიდველს ბრალად ვერ შეერაცხება, საქმეზე არ არის დადგენილი ფიქტიური გარიგების დადება, უსაქონლო ოპერაციის განხორციელების ფაქტი.**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსაქონლო ოპერაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო დოკუმენტაცია შედგენილია არარსებულ, მიუწოდებელ ან მიუღებელ საქონელზე, რის გამო მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნული გარემოების დამდგენი ან გამომრიცხავი მტკიცებულებები. საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ ი/მ „ზ. ლ-ი“ გამარჯვებულად გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ თეთრეულის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში. აღნიშნულის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ი/მ „ზ. ლ-ს“ დაევა ბალიშების დამზადება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება. ი/მ „ზ. ლ-მა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და საქონელი მიაწოდა შემსყიდველს, რაც დასტურდება 22.10.08წ. 495 ხელშეკრულების საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების ცენტრალური საწყობის გამგესა და ი/მ „ზ. ლ-ს“ შორის 26.12.08წ., 30.12.08წ. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით. საქმეში დაცული მკაცრი აღრიცხვის საბუთის 20.12.2008წ. ანგარიშ-ფაქტურის თანახმად, ი/მ „ზ. ლ-მა“ შპს „...“-ისაგან შეიძინა 15070 ლარის ღირებულების 2740 ცალი ბამბის ბალიში. საქმეში მოიპოვება აგრეთვე,

მითითებულ საქონელზე გამოწერილი 20.12.2008წ. 12 სასაქონლო ზედნადები და ი/მ „ზ. ლ-ის“ მიერ ბალიშების ღირებულების – 15070 ლარის შპს „...“-ისათვის გადახდის დამადასტურებელი 20.12.08წ. ... სალაროს შემოსავლის ორდერი. საქმეში დაცულია აგრეთვე სს „...“ დირექტორის 29.03.10წ. ... წერილი ვ. გ-ის მიერ ფაბრიკის საწარმოო ფართის იჯარით აღების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმის, მათ შორის ბალიშების წარმოების შესახებ. საქმეში დაცულია აგრეთვე გამოკითხვის ოქმები, რომლებითაც ვ. ლ-ის შეკვეთის შესაბამისად ბალიშების შეკერვის ფაქტს ადასტურებენ ქ. თბილისში, ... -ში არსებული ... ფაბრიკის ტერიტორიაზე ვ. გ-ის საამქროში მომუშავე პირები, ხოლო საქონლის საამქროდან გადაზიდვის ფაქტს ადასტურებს სატვირთო ავტომანქანის მძღოლი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტაციის გამოკვლევა-შეფასების გარეშე შპს „...“ და ი/მ „ზ. ლ-ს“ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით განხორციელებული მიწოდება ფიქტიურ გარიგებად და უსაქონლო ოპერაციად, ხოლო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერად მიიჩნია. საკასაციო პალატა თვლის, რომ მიწოდების ფიქტიურად მიჩნევისათვის არ არის საკმარისი ხელშეკრულების კონტრაჰენტის მიერ საბუღალტრო დოკუმენტაციის არასათანადო წარმოება. (იხ. სუს 26.02.09წ. ბს-1059-1022(3კ-08) განჩინება)

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობა თავისთავად არ გამორიცხავს გადასახადის გადამხდელის მიმართ უსაქონლო ოპერაციისათვის ან ფიქტიური გარიგებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას. ამასთანავე, სავარაუდო დარიცხვა თავის მხრივ არ ადასტურებს ასეთი დარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო პირობების არსებობის გამოკვლევის გარეშე. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შედგენილი თემატური შემოწმების აქტი წარმოადგენდა საგადასახადო კოდექსის 68.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ინფორმაციას, რის საფუძველზეც დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად მოსარჩელისათვის დღგ-ს ძირითადი თანხის, ჯარიმებისა და საურავების სავარაუდო დარიცხვა განხორციელდა კანონიერად. თემატური შემოწმების აქტის ტექსტით დასტურდება, რომ თემატური შემოწმებით ფაქტიურად მოხდა მხოლოდ უსაქონლო (ფიქტიური) ოპერაციის გამო თანხის გამოანგარიშება, შემოწმების აქტის ავტორი ამ გარემოებას იმთავითვე დადგენილად თვლის, შემოწმების აქტით მოხდა უსაქონლო ოპერაციის განხორციელებისათვის დასაკისრებელი თანხის გაანგარიშება, უსაქონლო ოპერაციის დამდგენ გარემოებად შემოწმებელმა მიიჩნია საგამოძიებო ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია და სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტის 23.02.2010წ. აქტი, რომელიც საქმეში არ მოიპოვება. თავის მხრივ საქმეში არ მოიპოვება მოსარჩელის მიერ ფიქტიური ოპერაციის განხორციელების დამადასტურებელი საგამოძიებო ორგანოს დოკუმენტი, სავარაუდო დარიცხვის საფუძველი ფაქტიურად გახდა მიწოდებლის მიმართ თვით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და წინასწარი გამოძიების წარმოების ფაქტი, საქმეში არ მოიპოვება ვ. ლ-ის დანაშაულებრივ კავშირში ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი საპროცესო დოკუმენტი. საგადასახადო აღრიცხვის ერთ-ერთი სახის – სავარაუდო დარიცხვის გამოყენების პირობას ქმნის გადასახადის გაანგარიშების ვალდებულების მქონე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის კუთვნილი გადასახადის შესახებ დეკლარაციის, საგადასახადო ანგარიშგების და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ინფორმაციის წარუდგენლობა, ბუღალტრული აღრიცხვის არ არსებობა, დაკარგული ან განადგურებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია. მოცემულ შემთხვევაში ი/მ „ზ. ლ-ის“ მიერ წარდგენილი იყო სათანადო დოკუმენტაცია, განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება არა დასაბეგრი ბრუნვის, საგადასახადო ვალდებულების არსებობის დადგენას და მის გაანგარიშებას, არამედ გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით ნაჩვენები ბრუნვის რეალურად შესრულებას, უსაქონლო ოპერაციის არსებობას. აღნიშნული ფაქტის არსებობა, როგორც სავარაუდო დარიცხვის პირობა, საჭიროებს

სათანადო დადგენას, მით უფრო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებებს, სსსკ-ის 106-ე მუხლში 24.09.2010წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, არ ენიჭება პრეიუდიციული მნიშვნელობა და პირიქით, ასეთი მნიშვნელობა ცხადია არც ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ექნება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. უსაქონლო ოპერაციის სათანადო დასაბუთების საჭიროებას მოწინააღმდეგე მხარეც არ უარყოფს, რომელიც ერთის მხრივ აღნიშნავს, რომ სავარაუდო დარიცხვის განხორციელების საფუძველი გახდა მიმწოდებლის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოება, ხოლო მეორეს მხრივ თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინააღმდეგოს დადგენის შემთხვევაში შესაძლოა შესწორებითი დარიცხვის განხორციელება, რაც სავარაუდო დარიცხვის გაუქმების საფუძველია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სავარაუდო დარიცხვის შემთხვევაში შესწორებითი დარიცხვის გამოყენების შესაძლებლობა თავისთავად არ გამოირიცხავს სავარაუდო დარიცხვის გასაჩივრებას და შესაბამისად მისი კანონიერების შემოწმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო, რომელიც მის უწყებრივად ქვემდებარე და განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, დავა საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსჯად საქმეთა კატეგორიის განეკუთვნება, თავის მხრივ სადავო აქტების კანონიერების, ჩათვლების გაუქმების და საჯარიმო სანქციების მოსარჩელის მიმართ გამოყენების საკითხი დამოკიდებულია უსაქონლო ოპერაციის განხორციელების ფაქტის დადგენაზე, რომლის დადგენა საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს.

საქმე № ბს-212-210(2კ-12)

8 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლის გაუქმება

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ დადგენილია სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-1059-1022(3კ-08) სს „თ...“ სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადასახადებთან საგადასახადო ინსპექციის მიმართ), მართალია, მითითებულ განჩინებაში და სადავო საკითხზე ფაქტობრივი გარემოებები განსხვავებულია, მაგრამ აღნიშნულ განჩინებაში განმარტებულია საგადასახადო კოდექსის 251-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ის ჩათვლების გაუქმების საფუძველად რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს უსაქონლო ოპერაციის განხორციელების ფაქტი, კერძოდ, კი **საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქონლის გამყიდველის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა ან მისი ბრალეული ქმედება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მყიდველს იმ პირობებში, როცა მისი მხრიდან დარღვეული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები და ამასთან, არც მისი ბრალეულობა დადგენილი.**

საქმე № ბს-135-127(კ-06)

27 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

სს „დ. ს. კ.“ საჩხერის რაიონული საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 26 ივლისის წერილით განემარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-19 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გამოუყენებელ სათიბებზე, საძოვრებზე, საკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.* შესაბამისად, მეწარმეზე, რომელსაც დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი განსაზღვ-

* ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

რული ვადით და ამ მიწის ნაკვეთს იყენებს ეკონომიკური საქმიანობისათვის, ზემოთაღნიშნული შეღავათები არ ვრცელდება და იბეგრება მიწის გადასახადის საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

სასამართლო სს „დ. ს. კ.“ სარჩელის საფუძველზე კანონშესაბამოდ მიიჩნია ზემოაღნიშნული აქტი და ჩათვალა, რომ აღნიშნული ემყარებოდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას, რასაც, თავის მხრივ, არ ეთანხმება კასატორი და თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა არ გამოძინარეობს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და განმარტავს შემდეგს:

„წილის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, წილით სარგებლობა ფასიანია. წილით სარგებლობის გადასახადის ფორმა, ოდენობა და ვადები მოცემულია ლიცენზიაში. ამავე კანონის 36-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წილით სარგებლობისათვის შესაბამისი გადასახადით იბეგრება სასარგებლო წილისეულის მოპოვება და გადამუშავება, სამთომადნო საწარმოთა ნარჩენებისა და გამდიდრების კუდების ექსპლოატაცია. ამავე კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წილით სარგებლობის ობიექტებს წილით სარგებლობის სახეობათა მიხედვით უწესდებათ მიწის მინაკუთვნები, რომელიც გამოიყოფა წილით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მიწის მინაკუთვნებს წარმოადგენდა წილის მიზნობრივი სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობები, რომლებიც უკვე დარღვეულია ან მომავალში ექვემდებარება წილით სარგებლობის აუცილებლობით გამოწვეულ დარღვევებს და სარეკულტივაციო მიწებს წარმოადგენს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (ძველი რედაქციით) 215-ე მუხლის მე-19 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის გადასახადით არ იბეგრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქმეში წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტებს, რომლებითაც დგინდება, რომ სააქციო საზოგადოებაზე წილის სარგებლობისათვის გაცემული მიწა წარმოადგენს სარეკულტივაციოს, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განაპირობებს მასზე საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი შეღავათის გამოყენებას.

საქმე № ბს-103-96(კ-13)

3 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცრუმაგიერ პირებად აღიარება (საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია არ ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მოპასუხეები – შპს „...“, შპს „ლ...“, ა. ჯ-ე და კ. ხ-ა საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ აღიარებულნი იქნენ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის (2010 წლის რედაქცია) მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადახდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გადასახადის გადახდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადახდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადახდელი პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი არის მათი განსხვავება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „...“ და ა. ჯ-ის ერთიმეორის ცრუმადიერ პირებად ცნობის საფუძველად მითითებული არის ის გარემოება, რომ 2008 წლის სექტემბერში შპს „...“ დისტრიბუციის უფროსმა ლ. ნ-ემ (ა. ჯ-ის მინდობილი პირი) საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ჯამურად გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით, რომელიც საწარმოს არ მოხმარდა და დარჩა ა. ჯ-ის განკარგულებაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ 2008 წლის სექტემბრის თვეში საწარმოს ანგარიშიდან უფლებამოსილი პირის, ლ. ნ-ის მიერ თანხების გატანის შესახებ მტკიცებულებები, ხოლო ინფორმაცია ამ თანხების ა. ჯ-ის მიერ მისაკუთრების ან არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საქმეში არ მოიპოვება – არც შემოსავლების სამსახურის გასვლითი საგადასახადო შემოწმების აქტის, არც სასამართლო გადაწყვეტილების, არც საგამოძიებო ორგანოს დასკვნის და არც თვით საწარმოს აუდიტორული შემოწმების აქტის სახით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ მიერ სამოქალაქო დავა იქნა აღძრული სასამართლოში საწარმოს ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის წინააღმდეგ, საწარმოდან გატანილი 2 მილიონი ლარის დაბრუნების მოთხოვნით (რომელიც ამ ეტაპზე დასრულებული არ არის) (ტ. II; ს.ფ. 120-132). ასევე, შპს „...“ ა. ჯ-ის წინააღმდეგ მიმართა პროკურატურას საწარმოს კუთვნილი თანხების დატაცების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით (ტ. II; ს.ფ. 133).

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურდებოდა ა. ჯ-ის, როგორც შპს „...“ დირექტორის მიერ საწარმოს კუთვნილი თანხის – 1 200 000 ლარის არამიზნობრივად გამოყენება, აღნიშნული მაინც არ ქმნიდა საფუძველს შპს „...“ და ა. ჯ-ის ცრუმადიერ პირებად აღიარებისათვის, რადგან მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი არ იყო შპს „...“, როგორც გადასახადის გადამხდელის განსხვავება ა. ჯ-ისგან, რომელსაც აღნიშნული ქმედებისათვის დამოუკიდებლად ეკისრებოდა ვალდებულება საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დადგენილი არ არის 2008 წლის სექტემბერში, გაჩნდა თუ არა საწარმოს შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, რომელთა უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით ა. ჯ-ის მიერ განხორციელდა საწარმოდან სადავო თანხების გატანა.

საქმე № ბს-20-19(კ-10)

7 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი*

განმარტების საგანი: საგადასახადო კანონმდებლობის უკუქცევითი ძალა

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ 2008 წლის 26 დეკემბრის № 871 კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისათვის შემცირდა საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია, კერძოდ, დადგინდა, რომ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისათვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) თვეზე. ამასთან, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელად დარიცხული გადასახადის თანხის 60 პროცენტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის თანახმად, საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუქცევითი ძალა და საგადასახადო დაბეგვისათვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ოფიციალურად გამოქვეყნებული და ძალაში შესული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს არა საგადასახადო დაბეგვრა, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევა, პასუხისმგებლობა.

* გადაწყვეტილებაში განმარტებულია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის მუხლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.*

საქმე № ბს-138-132(4კ-10)

29 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუძლეველი ძალა (საქართველოს საბაჟო კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილი)

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივი – განსახილველ დავაში ადმინისტრაციული აქტების კანონიერების შემოწმება ფორს-მაჟორული ვითარების კონტექსტში, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ასევე სამართალწარმოების პრაქტიკაში იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, შესაბამისად, წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება თუ რამდენად კანონიერად და ობიექტურად მიეცა შეფასება საქმის მასალებს და რამდენად სწორად შეეფარდა სადავო სამართალურთიერთობას სამართლის ნორმა. ვინაიდან აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენა და მის სამართლებრივი კვალიფიკაცია ორგანულია სამოქალაქო დავებისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრების მოტივები ქმნიან აბსოლუტური კასაციის წინამძღვრებს, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არის საგულისხმო და განსაკუთრებული. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა ასევე სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში დაუძლეველი ძალა ძირითადად განიხილება, როგორც სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებში მხარეთა მხრიდან თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან გამომრიცხველი გარემოება. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ მოვლენის გაგება მოცემულია სხვადასხვა ლექსიკონებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში შესაბამისი სახით.

თავად დაუძლეველი ძალის ცნება (ვის მაჯორ, ფორსე მაჯურე, აცტ ოფ გოდ) უკვე ათასწლეულია არსებობს და ნიშნავს ზეძალას „ღვთის ჩანაფიქრს“, ბედს, შემთხვევას, თავისი ძალით ადამიანურ ძალეებს აღმატებულს, რომელიც მას წინ უნდა აღუდგეს, ამიტომაც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. ეს ცნება ცნობილი იყო კლასიკური პერიოდის რომაული კერძო სამართლისთვის, კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართლისთვის, ანგლო-ამერიკული სამოქალაქო სამართლისთვის (ფორს-მაჟორული დათქმები ხელშეკრულებაში).

საერთაშორისო კერძო სამართლის ფარგლებში დაუძლეველი ძალის გაგება მოცემულია „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ 1980 წლის 11 აპრილის ვენის კონვენციის 79-ე მუხლში, სადაც მითითებულია: „მხარე არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ ეს გამოწვეული იყო მის კონტროლს მიღმა მყოფი შემთხვევით და რომ მისგან შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას ამგვარის გონივრული მოლოდინი.

საერთაშორისო საჯარო სამართალში ფორს-მაჟორის ქვეშ (იურიდიულ პრაქტიკაში ტრადიციულად ეს ორი გაგება ერთიანდება) იგულისხმება სიტუაცია, რომლის დროსაც სუბიექტი იძულებულია იმოქმედოს საერთაშორისო ვალდებულებების გვერდის ავლით დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების ან კონტროლს ვერაქვემდებარებული გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო.

საკასაციო სასამართლო ფორს-მაჟორულ გარემოებასთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს: დაუძლეველი ძალის შედეგად ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე მისდაუნებურად ხდება ზიანის მიმცენებელი მეორე მხარისათვის.

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დაუძლეველი ძალის განსაზღვრების საერთო პრინციპს განეკუთვნება გარემოებათა ობიექტური და სუბიექტური ხასიათი – ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც ვალდებულებათა შესრულების დაბრკოლება ხდება, უნდა იყოს ობიექტური და აბსოლუტური, ანუ უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ ზიანის მიმყენებელს, არამედ იგი უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე. შესრულების შეუძლებლობა უნდა იყოს აბსოლუტური და არა მხოლოდ ვალდებული პირის შემაფერხებელი.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაუძლეველ ძალას განაკუთვნებენ სტიქიურ უბედურებებს (მიწისძვრა, წყალდიდობა) ან სხვა გარემოებებს, რომლებიც შეუძლებელია გაითვალისწინო ან აღკვეთო (ან შესაძლებელია გათვალისწინება, მაგრამ შეუძლებელია მისი აღკვეთა) ადამიანთა ცოდნისა და ტექნიკური შესაძლებლობების თანამედროვე დონის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: ყველა სამოქალაქო-სამართლებრივ სისტემებში დაუძლეველი ძალა ითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

სამოქალაქო სამართალში – საგანგებო, გაუთვალისწინებელი, შეთანხმების მონაწილეთა ნებისა და მოქმედებისგან დამოუკიდებელი გარემოებაა, რომლებიც ვერ იქნება გათვალისწინებული, აღკვეთილი ან აღმოფხვრილი, მაგ. სტიქიური უბედურება.

საერთო ჯამში, ფორს-მაჟორი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. დაუძლეველი ძალა (მოკლე ვადიანი შემთხვევა)
2. იურიდიული ფორს-მაჟორი (განგრძობადი შემთხვევა)

ფორს-მაჟორად არ მიიჩნევა გარემოებები, რომლებიც თავისი არსით არის კომერციული რისკი, მაგ. სიძნელეები არახელსაყრელ კონიუნქტურასთან, ფასების ცვალებადობასთან და ა.შ. დაკავშირებით.

ფორს-მაჟორული გარემოებები ათავისუფლებენ კონტრაჰენტს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან სახელშეკრულებო ვალდებულებების დაუცველობისას, იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ აცნობებს პარტნიორს დაუძლეველი გარემოებების დადგომის შესახებ და განაახლებს ვალდებულებათა შესრულებას მათი ზემოქმედების შეწყვეტისთანავე.

იურიდიულ ფორს-მაჟორს განეკუთვნება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებები (იმპორტ-ექსპორტის აკრძალვები, სავალუტო შეზღუდვები და სხვ.) გაფიცვები, ომები, რევოლუციები და მსგავსი შემთხვევები.

იურიდიული ფორს-მაჟორის ცნებას არ გააჩნია ზუსტი განსაზღვრება. როგორც წესი, კონტრაჰენტები ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს და მათი სამართლებრივი შედეგების პირობებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფორს-მაჟორული გარემოებები ასევე იჩენენ თავს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში და აქაც იგი განიხილება, როგორც საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით /მოქმედი რედაქცია/ ფორს-მაჟორი განიხილება, როგორც საბაჟო სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, კერძოდ, ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ საბაჟო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგად.* დაუძლეველი ძალის პირობებად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

* ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს შეიცავს საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

მოცემული დავა წარმოშობილია ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის, კერძოდ, საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში. საბაჟო მომსახურება ძირითადად პროცედურულ სტადიებს ითვალისწინებს, რა დროსაც სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები მკაცრად არის გაწერილი და მათი შესრულება (დაცვა) სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი რიგ შემთხვევებში პროცედურების დაუცველობას სამართალდარღვევად აკვალიფიცირებს, შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობის დადგენით.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების კანონიერების შემოწმებას იმ კონტექსტში, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, ხოლო შემდგომ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გადაწყვეტილებების გამოტანისას ობიექტურად და სწორად არ დაადგინეს ისეთი ფაქტობრივი გარემოება, როგორცაა ფორს-მაჟორული სიტუაცია (რუსეთ-საქართველოს ომი, შესაბამისი შედეგებით) და ადეკვატურად არ განსაზღვრეს მეწარმის საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობა (საბაჟო პროცედურების კანონით დადგენილ ვადაში შესრულება) პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის გამო, რაც ნაწილობრივ გამიარებულია ქვემდგომი სასამართლოების მიერ და ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 14 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი № ...; № ...; № ...; № ...; 2008 წლის 26 სექტემბრის საბაჟო შეტყობინება № ...; № ...; № ...; № ..., ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 ნოემბრის № ... ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 12 დეკემბრის № ... ბრძანება.

მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების ნაწილში სასამართლოებმა დაადგინეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი გამოკვლევა-დადგენა-შეფასება.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, საქმეზე წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა ობიექტურად გამოიკვლიეს და დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, პირველი ინსტანციის სამართალწარმოება, გადაწყვეტილება; სააპელაციო სასამართლოს სამართალწარმოება, გადაწყვეტილება/, რამდენადაც მხარეებს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ჰქონიათ, ასევე ვერ უზრუნველყვეს სასამართლო შეფასებების დასაბუთებულად გაკრიტიკება, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების – ადმინისტრაციული ორგანოების არგუმენტებს მათი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოდან – 2008 წლის 3 სექტემბრამდე საქართველოში გამოცხადებული იყო საომარი მდგომარეობა. აღნიშნული მოვლენა განეკუთვნება სწორედ ფორს-მაჟორულ შემთხვევას, რომლის გათვალისწინება ან შედეგების აღმოფხვრა აღემატებოდა მოსარჩელის შესაძლებლობებს, შესაბამისად ამ ფაქტმა თავისი იურიდიული შედეგები განაპირობა მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რასაკვირველია, ეს აისახა როგორც სახელშეკრულებო, ისე საჯაროსამართლებრივი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე.

საქმე № ბს-572-540(კ-06)

16 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო სანქცია

საგადასახადო კოდექსის 126.3. მუხლის თანახმად /კანონის 2005 წლის რედაქცია/ საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.*

* ანალოგიური შინაარსის რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-4 ნაწილი

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ერთი კონკრეტული სამართალდარღვევა – მეურნე სუბიექტის მიერ სალარო-საკასო აპარატის გარეშე ფუნქციონირების ფაქტი, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა სამეწარმეო სუბიექტის მიერ სამ სხვადასხვა ობიექტზე ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობა – საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე ფუნქციონირება, რა დროსაც მეწარმე სუბიექტი ჯარიმდება თითოეულ ობიექტზე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ი/მ „ბ. ქ-ე“ დაჯარიმდა რა 1500 ლარით სამ სხვადასხვა ობიექტზე სალარო აპარატის გარეშე საქმიანობის გამო, აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევათა შეჯამებას, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობა, რა დროსაც საგადასახადო კოდექსი, 126.3 მუხლის თანახმად ცალ-ცალკე სანქციას /პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის// ითვალისწინებს.

საქმე № ბს-800-766(კ-06)

23 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესის დარღვევა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა საგადასახადო კოდექსის 119.1. მუხლი სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საგადასახადო ორგანოს ავალდებულებს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილზე,* საგადასახადო ორგანო არაუფლებამოსილი იყო გამოეყენებინა საგადასახადო კოდექსის 143.1. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და რ. ს-ა დაეჯარიმებინა სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისათვის, რამდენადაც სადავო არ არის, რომ სამართალდარღვევის ფაქტი მოხდა 2005 წლის 20 ივლისს, ი/მ „რ. ს-ას“ მიერ საქონლის ტრანსპორტირების ზედნადები საგადასახადო ორგანოს თანამშრომლისათვის წარდგენილია სამართალდარღვევის გამოვლენის მომენტიდან 10 წუთის შემდეგ, ხოლო საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი საგადასახადო ორგანოს მიერ შედგა არა უშუალოდ სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილზე და დროს, არამედ 2005 წლის 3 აგვისტოს, სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენიდან ორი კვირის ვადაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დარღვეულია მისი შედგენის პროცედურა და ვადა, ძირითადი ელემენტები, ოქმი შედგენილი არ არის სამართალდარღვევის ადგილზე, რის გამოც სამართალდარღვევის ოქმი, ისევე როგორც ოქმის საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემული დადგენილება, როგორც უკანონო, სწორად იქნა ცნობილი ბათილად სააპელაციო სასამართლოს მიერ, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საქმე № ბს-1239-1201(კ-08)

21 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენა

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არც 2006 წლის 24 ივლისის ოქმში და არც 2006 წლის 25 სექტემბრის საგადასახადო მოთხოვნაში არ იყო დაფიქსირებული, რომ თ. თ-შვილი განმეორებით აწარმოებდა მოსახლეობასთან ფულად ანგრიშსწორებას საკონტროლო-

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საღარო აპარატის გარეშე, რის გამოც მისი დაჯარიმება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით უკანონოა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს არ მოეთხოვება სამართალდარღვევის იურიდიული კვალიფიკაცია. ამასთან, ოქმის შედგენისას შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის განმეორებითობის განსაზღვრა, რის გამოც ოქმში აღნიშნულის მიუთითებლობა არ წარმოადგენს კანონის დარღვევას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევის იურიდიული კვალიფიკაცია, ანუ ნორმის შეფარდება, საგადასახადო ინსპექციის უფროსის/მოადგილის კომპეტენციაა, რაც ხორციელდება საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე.

საქმე № ბს-695-681(კ-12)

5 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი (საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენისა და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით დასტურდება და რასაც არც თავად ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს საგადასახადო სამართალდარღვევის № 021342 ოქმი შედგენილი არ ყოფილა სამართალდარღვევის ადგილას, აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეფასებულა არც – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ი/მ „ნ. ბ-ის“ საჩივრის განხილვისას, შემოსავლების სამსახურს არ გამოუკვლევიან ის გარემოება, რა ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენა, თუ წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა ადგილი, როგორც ამას ამტკიცებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რატომ არ მიიღო საგადასახადო ინსპექტორმა კანონით გათვალისწინებული ადეკვატური ზომები. აღნიშნულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებები არ არის გამოკვლეული და უტყუარად დადგენილი.

საქმე № ბს-708-680(კ-08)

27 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკონტროლო-საღარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 27 ივნისს შპს „მ-ის“ მიმართ შედგა № 303311 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი იმის თაობაზე, რომ შპს „მ-ის“ კუთვნილი ავტოსადგომი მოსახლეობასთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა მის მიერ საკონტროლო-საღარო აპარატის გამოყენების გარეშე (ს.ფ. 48). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 13 ივლისის № 303311 ბრძანებით შპს „მ-ს“ პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა, თანხით – 500 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლისა და 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე (ს.ფ. 47). იმავე ფაქტზე

განმეორებით 2006 წლის 1 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების მიერ შპს „მ-ის“ მიმართ საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების გარეშე ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მოტივით შედგა № 306979 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, ხსენებულ ოქმს არ დაეთანხმა გადასახადის გადამხდელი და ოქმზე განხორციელებული შენიშვნის გრაფაში დააფიქსირა, რომ ოქმის შემდგენმა და მოქმედების მონაწილე პირებმა მოლარეს პრეტენზია წაუყენეს ტერიტორიის დატოვების შემდეგ, ჩეკის ამორტყმისას ოქმის შემდგენები სალაროსთან არ მისულან (ს.ფ. 29). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 15 დეკემბრის № 306979 ბრძანებით შპს „მ-ს“ პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა, თანხით – 1500 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლისა და 139-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა 15.17 საათსა და 16.00 საათს შორის ინტერვალში. საქმეში წარმოდგენილი სალარო აპარატის ლენტით დადგენილი იყო, რომ 15.00 საათიდან 16.01 საათამდე პერიოდში შპს „მ-ის“ მხრიდან სახეზე იყო სალარო აპარატის 10-ჯერ გამოყენების ფაქტი, ხოლო კონკრეტულად, რომელ საათზე ჰქონდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს ადგილი, სამართალდარღვევის ოქმიდან არ იკითხებოდა. სამართალდარღვევის ოქმზე არსებული შენიშვნით კი დგინდებოდა, რომ ობიექტის დატოვების შემდეგ ოქმის შემდგენმა პირებმა დაბრუნებისას წაუყენეს პრეტენზია ამ გადასახადის გადამხდელს და შეადგინეს სამართალდარღვევის ოქმი. მათ მიერ ობიექტის ტერიტორიის მიტოვების ფაქტზე მეტყველებდა სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროის 43-წუთიანი ინტერვალი. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეს სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი სალარო აპარატის ლენტის ნამდვილობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არის პირველადი წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი, რომლის გამოც მომავალში პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით დადგენილი სანქცია. სანქციის გამოყენების საკითხს წყვეტს უფლებამოსილი პირი – საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე, რომელიც ამ დროს მოქმედებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მე-9-11 ნაწილები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეს ავალდებულებს, საგადასახადო სამართალდარღვევის გამო, ფინანსური სანქციის დაკისრების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, სრულყოფილად გამოიკვილოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე ვალდებული იყო, გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად შეესწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის № 145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,* შემოწმებინა, არსებობდა თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატიდან ამობეჭდილი, კონკრეტული პერიოდის მიხედვით, აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყო-

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანების 22-ე მუხლი.

ფილა. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროის ინტერვალი ზუსტად არ ასახავდა მისი ჩადენის დროს, რაც საგადასახადო ორგანოს მიერ ფისკალურ მეხსიერებასთან შედარების გარეშე იქნა განხილული საგადასახადო სამართალდარღვევად. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ხსენებული დარღვევები წარმოადგენდა არსებით დარღვევებს, რაც სადავო „საგადასახადო მოთხოვნის“ ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

საქმე № ბს-1677-1631(კ-08)

25 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისათვის. მითითებული მუხლი პასუხისმგებლობის განსხვავებულ ზომებს ადგენს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების სხვადასხვა წესების დარღვევისათვის, ანუ ფაქტობრივად ახდენს ამგვარი წესების სახეებად კლასიფიკაციას და მათ განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. საგადასახადო კოდექსის 139.1 მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გარეშე მუშაობისათვის, ხოლო 139.2 მუხლი პასუხისმგებლობას განსაზღვრავს მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებლობისათვის და განსხვავებულ სანქციას ადგენს ამ ქმედების განმეორებით ჩადენისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების სხვადასხვა წესის დარღვევაზე მიეთითა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმსა და მის საფუძველზე გამოცემულ სანქციის დაკისრების შესახებ ბრძანებაში, რადგან საგადასახადო კოდექსის 139.1 მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, საკონტროლო-სალარო აპარატების გარეშე მუშაობა და აპარატის არქონა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განხილულ უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსის 139.1 მუხლის დარღვევად, რადგან საკონტროლო-სალარო აპარატების გარეშე მომხმარებელთან ანგარიშსწორება გულისხმობს, როდესაც პირს საერთოდ არ გააჩნია სალარო აპარატი, ანუ არ შეუძენია და დაურეგისტრირებია საგადასახადო ორგანოში კანონით დადგენილი წესით. საგადასახადო კოდექსის 139.3 მუხლი კი სამართალდარღვევად მიიჩნევს სალარო აპარატის გამოყენებლობის ფაქტს, ანუ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირს აქვს სალარო აპარატი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არ იყენებს მას ანგარიშსწორების განხორციელებისას, არ ახდენს ანგარიშსწორების ფაქტის აღრიცხვას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმსა და სანქციის დაკისრების თაობაზე № 991 ბრძანებაში დაფიქსირებულია ერთი და იგივე საგადასახადო სამართალდარღვევა, გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსის 139.1 მუხლით.

საქმე № ბს-1174-1163(კ-11)

9 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლი მე-7 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილთან მიმართებაში და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული მუხლის დეფინიციას და პასუხისმგებლობის დადგენისა და განსაზღვრის სამართლებრივ პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე სადავოდ არ არის გამხდარი ფაქტობრივი გარემოებები, კასატორი სადავოდ ხდის მხოლოდ იმას, თუ რამდენად სწორად მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრება და სასამართლოთა მხრიდან გადაცდომის სამართლებრივი კვალიფიკაცია.

დადგენილია, რომ მ. ჭ-ის კუთვნილი მალაზიის გაქურდვისას წაღებულ იქნა მის სახელზე რიცხული საკონტროლო-სალარო აპარატი, ანუ ფაქტობრივად მოხდა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილის (2010 წლის რედაქციით) შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის შეფარდების პროცესში საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმების გარდა სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით რეგლამენტირებული ზოგადი პრინციპები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. ხოლო მე-12 მუხლი განმარტავს, რომ გაუფრთხილებლობა არის ისეთი შემთხვევა, როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასათანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში და ა.შ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის განმარტებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილის დისპოზიციასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოპასუხის მითითებით, სალარო აპარატის დაკარგვა ყოველთვის გამოიწვევს გადასახადის გადამხდელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი დადგენილებით დადასტურებულია, რომ აპარატის დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს პირისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრებას. საგადასახადო კოდექსისა და სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოთ დასახელებული დებულებებით ცალსახად არის დადგენილი ადმინისტრაციული (მათ შორის საგადასახადო) სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების საფუძვლები, რომლის მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც პირს არ ჩაუდენია

მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაურღვევია კანონმდებლობით განმტკიცებული მართლწესრიგი, მასზე დაკისრებული მოვალეობები, არ შეუღალავს სხვისი უფლებები და განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით არ გამოუწვევია მართლსაწინააღმდეგო შედეგი. საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილის შინაარსი, თავისთავად, მოიცავს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების ელემენტებს და დათქმა სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს თუ სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედება არ არის დადგენილი, ნებისმიერ შემთხვევაში სალარო აპარატის დაკარგვისათვის პასუხი უნდა აგოს გადასახადის გადამხდელმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილის დისპოზიცია პასუხისმგებლობას აწესებს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვისათვის, თუ ეს გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით. ხოლო თუ უტყუარად დადგენილია სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სალარო აპარატის დაკარგვა, ასეთ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უპირობოდ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტების გამომტან ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაედგინა გადასახადის გადამხდელის, სულ მცირე, გაუფრთხილებელი ქმედება, რამაც სალარო აპარატის დაკარგვა გამოიწვია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის 186 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესების და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების“ მიხედვით,* რომელიც მოქმედებდა მოსარჩელის მიერ სალარო აპარატის დაკარგვის დროს, არ არის დადგენილი საკონტროლო-სალარო აპარატების შენახვის რაიმე სპეციალური წესი, რომელიც სავალდებულოდ უნდა დაიცვას მეწარმემ. ამდენად, გადასახადის გადამხდელს არ მოეთხოვება რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან აიცილოს სალარო აპარატის დაკარგვა, არამედ იგი ვალდებულია, მეწარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერებით გაუფრთხილდეს საკონტროლო-სალარო აპარატს და შეინახოს იგი ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს სხვა პირთა უნებართვოდ დაშვებას მასთან, დაუფლებას ან სხვა გზით აპარატის გასვლას გადასახადის გადამხდელის მფლობელობიდან.

საქმე № ბს-892-854(3კ-09)

24 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა (2004 წლის საგადასახადო კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგადასახადო ორგანომ ბანკში წარადგინა 27.07.05წ. საინკასო დავალება 30 766 ლარზე, რომელიც ბანკს 28.07.05წ. ჩაბარდა. 31.10.05წ. გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე ჩარიცხა 675 ლარი. მოსარჩელემ – სს „...“ 675 ლარი ბიუჯეტში 15.05.06წ. ანუ 194 დღის დაგვიანებით გადარიცხა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ასრულებს რა კლიენტის დავალებას ბიუჯეტში ან სახელმწიფო ფონდში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე, ბანკი გვევლინება არა მხოლოდ საბანკო ანგარიშსწორების მხარედ, არამედ აგრეთვე საგადასახადო ურთიერთობის მონაწილედ – შუამავლად გადასახადის გადამხდელსა და ბიუჯეტს შორის. საგადასახადო ურთიერთობებში ბანკების მონაწილეობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობა ადგენს ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის ვალდებულებებს. საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბანკები და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან, უპირველეს ყოვლისა, შეასრულონ გადასახადის გადამხდელის (სხვა ვალდებული პირის) საგადასახადო დავალებ-

* ძალადაკარგულია „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით.

ბები და საგადასახადო ორგანოების გადაწყვეტილებები (საინკასო დავალებები) გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის გადახდის თაობაზე.

საგადასახადო სამართალდარღვევა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედებას გამოხატულს საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებაში, რომლისთვისაც დადგენილია პასუხისმგებლობა. საგადასახადო კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრება ბანკების პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი, გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშიდან თანხის ჩამოწერისა და ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე გადასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალებას ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებას არ შეასრულებს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბანკების მიერ საგადასახადო დავალება ან საინკასო დავალება სრულდება არა უგვიანეს აღნიშნული დავალების ან გადაწყვეტილების მიღების დღის მომდევნო საოპერაციო დღისა. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სანქციის გამოყენებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების არსებობა. საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის მე-2 წინადადებით თუ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს, სხვა ვალდებულ პირს ანგარიშებზე არ გააჩნია ფულადი სახსრები ან ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები არასაკმარისია საგადასახადო დავალების ან/და საინკასო დავალების შესასრულებლად, მათი აღსრულება ხორციელდება ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესაბამისად, არა უგვიანეს ყოველი ასეთი ჩარიცხვის დღის მომდევნო საოპერაციო დღისა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ბანკს ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი საფუძველი წარმოეშვა ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ნაწილში ანუ საინკასო დავალება შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე გახდა არა საინკასო დავალებაში მითითებული 30765 ლარის, არამედ ანგარიშზე ჩარიცხული 675 ლარის შესაბამისად, ამდენად ბანკს პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტის ანგარიშზე რეალურად არსებული თანხის მიმართ ბიუჯეტის შემოსავალში დავალების შეუსრულებლობას ან დაგვიანებისათვის. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება, მისი გამოცემა დამატებითი განსაზღვრებების დადგენით დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ამ აქტის გამოცემის კანონისმიერი პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამდენად, შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დამატებითი განსაზღვრებების დადგენით, კერძოდ, ძალაში შესვლის ან მოქმედების შეწყვეტის წინაპირობებით (პირობადადებული, მოდიფიცირებული აქტი), რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგის დადგომას უკავშირებს მოსალოდნელი მოვლენის დადგომას. საინკასო დავალება პასუხობს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის ნიშნებს, საინკასო დავალება ბანკებისათვის და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების შემსრულებელ სხვა ორგანიზაციებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად, ამასთან, ბანკის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული პირობის დადგომაზე, გადასახადის გადამხდელის ანგარიშიდან თანხის ჩამოწერისა და ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება ბანკს წარმოეშვა იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ანგარიშზე განხორციელდება ფულადი სახსრების ჩარიცხვა, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის – საინკასო დავალების აღსრულება ხორციელდება ამ ანგარიშებზე ჩარიცხული ფულადი სახსრების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში საინკასო დავალება შეადგენდა 30 766 ლარს, თუმცა საინკასო დავალებამ იურიდიული ძალა შეიძინა 675 ლარის ნაწილში, ამდენად საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწორედ 675 ლარი წარმოადგენდა საინკასო დავალებაში მითითებულ თანხას, ვინაიდან სხვა დანარჩენ მითითებას იურიდიული ძალა არ შეუძენია. საგადასა-

ხადო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. ამდენად, სანქცია ასეთ შემთხვევაში დგება მხოლოდ იმ გადასახადებთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკი ვალდებულია შეასრულოს საინკასო დავალება.

საქმე № ბს-947-907(კ-09)

18 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასაქონლო ზედნადების არასწორად შევსება (1997 წლის საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მე-5 ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლი და „გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 996 ბრძანების 25¹ მუხლი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ზედნადებში არაა მითითებული გადამზიდავი (გრაფა № 8), მაგრამ მიეთითა გადამზიდავი პირის (მძლოლის) რეკვიზიტები – სახელი, გვარი, მოწმობის ნომერი და სერია. (გრაფა № 12), აგრეთვე სატრანსპორტო საშუალება და მარკა (გრაფა № 11). ასევე არ არის მითითებული ნდობით აღჭურვილი პირის (რ. კ-შვილის) მინდობილობის ნომერი, რიცხვი, თვე, მაგრამ აღინიშნა მისი სახელი (გრაფა № 8 და № 9), რაც საკასაციო სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ზედნადების შევსების წესის არსებით დარღვევად.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სასაქონლო ზედნადებში ზემოაღნიშნული რეკვიზიტების არასრულყოფილად ასახვა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით შედგენილი ზედნადებით განხორციელებული ტრანსპორტირება ჩათვლილიყო, როგორც ოპერაციის განხორციელება ზედნადების გარეშე, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მე-5 ნაწილი სანქციას (ჯარიმას) უშუალოდ უკავშირებდა სასაქონლო ზედნადების ფაქტობრივ არარსებობას და არა ზედნადების არასწორ ან არასრულყოფილ შევსებას, იმის გათვალისწინებით, რომ სასაქონლო ზედნადები ადასტურებდა სამეურნეო ოპერაციის – ორმხრივი გარიგების არსებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ზემოხსენებული სასაქონლო ზედნადების შევსებისას დარღვეული არ ყოფილა საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997წ.) 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 223-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 9 ოქტომბრის № 362 ბრძანების მოთხოვნები

საქმე № ბს-1476-1438 (კ-10)

30 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასაქონლო ზედნადების არასრულად შევსების გამო სანქციის დაკისრება (საგადასახადო კოდექსის 2004 წელს მოქმედი რედაქციის 143-ე მუხლის მე-5 ნაწილი; საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-5 ნაწილი)

რაც შეეხება დაჯარიმების საფუძველად მითითებულ მეორე გარემოებას სასაქონლო ზედნადების გარეშე გამოვლენილი საქონლის არსებობის ფაქტს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში ასევე სრულად დაუსაბუთებელია გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 30 ივლისის № 2376 სადავო ბრძანება.

როგორც საქმეში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, დაჯარიმების საფუძველს ძირითადად წარმოადგენს არა სასაქონლო ზედნადებების არარსებობის, არამედ სასაქონლო ზედნადებების არასრულად (არასწორად) შევსების ფაქტი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სანქცია გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა სასაქონლო ზედნადებების არასრულად (ან არასწორად) შევსების ფაქტი. კერძოდ, როცა სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული: დოკუმენტის შედგენის თარიღი და ნომერი; სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (მისი არსებობის შემთხვევაში) ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი; საქონლის დასახელება და რაოდენობა.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთა არარსებობის შემთხვევაშიც ზედნადები ჩაითვლება არასრულად (ან არასწორად) შევსებულად, ადმინისტრაციული ორგანო, ამ მოტივით სანქციის გამოყენებისას, არ არის უფლებამოსილი შემოიფარგლოს ზოგადი მითითებით. სამართალდარღვევის ოქმის (შემოწმების აქტის) კანონით დადგენილი წესით შევსება ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ ცალსახა და გასაგები იყოს, კონკრეტულად რა სახის გადაცდომას ედავებიან მხარეს და რაში გამოიხატება ან/და რა სახით ვლინდება გადაცდომის ფაქტი.

საქმე № ბს-48-43(2კ-13)

18 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირება (საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლი)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 4 მაისს შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის თანამშრომლის მიერ ი/მ „ლ.ჩ-ის“ მიმართ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი № 002366, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, აღნიშნული ოქმის შედგენის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ 2012 წლის 4 მაისს ი. დ-ემ ი/მ „ლ.ჩ-ის“ პურის საცხობში შეიძინა 60 ცალი პური, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ი. დ-ე ახორციელებდა დისტრიბუციას სასაქონლო ზედნადების გარეშე (იხ. ს.ფ. 13; ტ.)

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 7 მაისის № 272/05 ბრძანებით კი ცვლილება შევიდა 2012 წლის 4 მაისის № 002366 სამართალდარღვევის ოქმში და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სანქციის სახით მოსარჩელეს შეეფარდა 5000 ლარი, აღნიშნული ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ის, რომ ი/მ „ლ.ჩ-ს“ 2011 წლის 13 სექტემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე ერთხელ უკვე დაეკისრა ჯარიმა საგადასახადო სამართალდარღვევისთვის (იხ. ს.ფ. 22; ტ.1).

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 8 მაისის № 081-საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად, ი/მ ლ.ჩ-ს გადასახდელად დაეკისრა 5000 ლარი (იხ. ს.ფ. 12; ტ.1). შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის № 10420 ბრძანებით ი/მ „ლ.ჩ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა (იხ. ს.ფ. 14-15; ტ.1).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაგების განხილვის საბჭოს 2012 წლის 20 ივლისის № 03/53517 გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ საჩივარი შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის № 10420 ბრძანებისა და შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის № 081-ს საგადასახადო მოთხოვნის გაუქმების თაობაზე

საგადასახადო კოდექსის (2012 წლის 4 მაისის მდგომარეობით) 286.1 მუხლით განსაზღვრული სანქციის შეფარდებისთვის აუცილებელია დადგინდეს, თუ ვინ არის ქმედების სუბიექტი, რომლის გამორკვევა შეუძლებელია ნორმის ფუნქციის, მიზნისა და სტრუქტურის ანალიზის გარეშე. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელი სამართალდარღვევად აკვალიფიცირებს შემდეგ შემთხვევებს:

1.სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება; 2. მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა; 3. საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა,

სამივე შემთხვევა ექვემდებარება სანქცირებას 1000 ლარით,* თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება 10 000 ლარის ფარგლებშია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ I – სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, და III შემთხვევაში – საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, ნათელია, რომ ნორმის სუბიექტად გვევლინება საქონლის შემძენი, ხოლო, II შემთხვევაში – მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა, ცხადია, რომ დამრღვევი პირი – საქონლის გამყიდველია.

* 2013 წლის 1 იანვრიდან ჯარიმის ოდენობა 500 ლარს შეადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, საქონლის გამყიდველი, ი/მ „ლ.ჩ-ი“ დაჯარიმდა I შემთხვევის – სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების საფუძვლით, რომელიც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ვ. შურლაიას მიერ ახსნილი იქნა იმ ლოგიკით, რომ ეს ორი სუბიექტი, გამყიდველი და შემძენი, თვისობრივად წარმოადგენს ერთ იურიდიულ პირს, ვინაიდან შემძენი წარმოადგენს გამყიდველის – ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს, ანუ თანამშრომელს. გამყიდველი კი ვალდებულია გამოწეროს ზედნადები თავის დისტრიბუტორზე (იხ. ს.ფ.ტ.), რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ზემოაღნიშნული მუხლების შინაარსის ანალიზიდან საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სასაქონლო ზედნადები უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც საქონლის მიმღები (მყიდველი) პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მიღებული საქონლის შემდგომი რეალიზაციით იგი ნახულობს მოგებას ან იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიმცემი (გამყიდველი) მის მიერ დაქირავებული თანამშრომლის, დისტრიბუტორის, მეშვეობით ახორციელებს საქონლის ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებას, ე.ი. გამყიდველი (მეწარმე) ყველა შემთხვევაში არ არის ვალდებული – გამოწეროს სასაქონლო ზედნადები, მას ამგვარი ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი წარუდგენს მეწარმის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად საგადასახადო კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს საგადასახადო ადმინისტრირების ცალკეული სტადიების მეწარმე სუბიექტებზე დელეგირების შემთხვევები, ასე, მაგ: საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების ფუნქციის დამსაქმებელზე გადატანა და სხვ., მაგრამ ისე, რომ ყველა შემთხვევაში, ეს ტვირთი არ შეიძლება აღემატებოდეს მეწარმის შესაძლებლობებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო ადმინისტრირება ურთულესი მმართველობითი საქმიანობაა თავისი სამართლებრივი ბუნებითა და დატვირთვით და ამისთვის ადეკვატური ტექნიკური შესაძლებლობები და სამართლებრივი ცოდნის ფლობა აუცილებელია. იმ ვითარებაში, თუ მეწარმე იქნებოდა ვალდებული – განსაზღვროს პროდუქტის შემძენი სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი პირია თუ არა, რის შედეგადაც მან აუცილებლად უნდა გასცეს სასაქონლო ზედნადები, აღნიშნული სამართლებრივი ტვირთი პრაქტიკულად გამოიწვევდა მეწარმეების, განსაკუთრებით კი მცირე მეწარმეების სამეწარმეო საქმიანობის სრულ პარალიზებას, რადგან საქონლის გამყიდველს ფაქტიურად დაეკისრებოდა ყოველი შემძენის მიმართ დაკვირვების, ფაქტების შეგროვების და სამართლებრივი შეფასების მოხდენის ვალდებულება, რაც პრაქტიკულად სრულებით არაგონივრული იქნებოდა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ამგვარი სამართლებრივი მიდგომა – სრულმასშტაბიანი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულების მეწარმეზე დაკისრება არარაციონალურია, ამრს უკარგავს საგადასახადო ბიუროკრატის და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირებისათვის სოლიდური სახელმწიფო სახსრების გაღებას, რომელიც ისევ გადასახადის (მათ შორის, მეწარმეთა) გადამდელოთა შენატანების მეშვეობით ხორციელდება.

საგადასახადო ადმინისტრირების სამართლებრივი ბუნების რთული შემადგენლობის გათვალისწინებით, კანონმდებელს არ მოუხდენია ამ ფუნქციის შესრულების მეწარმე სუბიექტებზე დელეგირება. სავსებით ლოგიკურად, კანონით გაწერილია საგადასახადო ადმინისტრირების განმხორციელებელი საგადასახადო მოხელეების კომპეტენცია საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისთვის საჭირო პროცედურული მოქმედებების წესების, ფორმებისა და საშუალებების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 286.1 ნაწილით განსაზღვრული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ამავე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად: „საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო

ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს. აღნიშნული ნორმის და-
ნაწესი ცალსახად ადასტურებს, საგადასახადო წესრიგის უზრუნველსაყოფად რამდენად ფართოა მოხელის
კომპეტენციის და ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის, შეფასებისა და დადგენის დიაპაზონი.

საკასაციო სასამართლო „საგადასახადო კონტროლის განხორციელებელი პირის შერჩევისა და საგა-
დასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-
მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის
ლონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ სა-
ქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 994 ბრძანების 72.1 მუხლისა და საგადასახადო
კოდექსის 136-ე, 286-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქონლის მიმწოდებელს (გამყიდ-
ველს) სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედნადებს
მოითხოვს საქონლის მიმღები (მყიდველი) ან იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გადაცემა ხდება სხვა პი-
რისათვის დისტრიბუციისათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა
რაოდენობის პური შეიძინა ი. დ-ემ ი/მ „ლ.ჩ-ის“ კუთვნილ საცხოვში, მას არ ევალებოდა ი. დ-ის მიმართ სასა-
ქონლო ზედნადების გამოწერა, ხოლო ი. დ-ეს ამ სასაქონლო ზედნადების თან ქონა, ვინაიდან, ი. დ-ე არ წარ-
მოადგენდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს და ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან მიმართებაში,
რომ ი. დ-ე წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს.

საქმე № ბს-46-45(კ-10)

22 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასა-
ხადო სანქციის დაკისრების დროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები (საბაჟო კოდექსის
242-ე მუხლის პირველი ნაწილი; მოქმედი საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილი)**

საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირის მიერ საქართვე-
ლოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ან მისგან
მალულად, იწვევს ვალდებულ პირის დაჯარიმებას უკანონოდ გადაადგილებული ნივთის საბაჟო ღირებულე-
ბის 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა, ან/და საბაჟო სამართალდარღვევის სატრან-
სპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია საბაჟო ორგანო ა. ა-ევისათვის სანქციის დაკისრე-
ბისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა მის მიერ არ იქნა გათვალისწინე-
ბული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის
მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის
კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, არამედ მთლიანად უნდა იქნას გათვა-
ლისწინებული საჯარო და კერძო ინტერესი. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ
მის მიმართ სანქციის შეფარდებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა საჯარო და კერძო ინტერეს-
თა პროპორციულობა. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორ-
განოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. ის ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს გარკვეულ უფლება-
მოსილებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე
გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია სანქციის შეფარდე-
ბის რამოდენიმე ალტერნატიული სახე ერთობლიობაში ან განცალკევებულად, რაც უფლებამოსილ ადმინის-
ტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე, გადაწყვეტილება მიიღოს ამ
საქმეზე არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გონივრული და ჯეროვანი შეფასების შედეგად. ადმი-
ნისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს

არჩევანის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებიდან რომელი გამოიყენოს. ამასთან ისე, რომ დაცულ იქნეს სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანები, რათა არ იქნეს დაუსაბუთებლად შეზღუდული მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები. მართალია, აღნიშნული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აძლევს უფლებას თავად შეარჩიოს მისაღები სანქცია, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება დამატებითი მოთხოვნების დაცვა. ანუ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც საჯარო ძალაუფლების მატარებელს დამატებითი მოთხოვნები წაეყენება, რადგან დაცულ იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა. ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესებს, თავის საქმიანობაში უნდა აბალანსებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიას არ უნდა ანიჭებდეს, ვინაიდან თითოეული მოქალაქის ინტერესი არანაკლებ ფასეულია, ვიდრე სახელმწიფოსი. ეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებაა ნებისმიერი მოქალაქის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ა. ა-ევის მიმართ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდებისას დარღვეულ იქნა საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი, რადგან გამოცემული ადმინისტრაციული აქტებით არ დასაბუთდა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სანქციის სრულად შეფარდების მართლზომიერება და მიზანშეწონილობა, რამაც გამოიწვია მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ანუ არ იქნა განსაზღვრული ა. ა-ევის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე მიღებული სანქციის შეფარდებით რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული ის შედეგი, რაც სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის ამოცანას წარმოადგენს. მართალია, საბაჟო კანონმდებლობა სამართალდარღვევათა შესახებ კონკრეტულად არ აწესებს საბაჟო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა წრეს, მაგრამ კონკრეტული ნორმის დადგენილი სანქციის ალტერნატივის არსებობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმეზე არსებული გარემოებები და მტკიცებულებები უნდა შეფასდეს იმ კონკრეტული საქმისათვის. ამ შემთხვევაში არ იქნა გაზიარებული ის გარემოებები, რომ სამართალდამრღვევი აღიარებდა ჩადენილ სამართალდარღვევას და იგი პირველად იყო გამოვლენილი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ ა. ა-ევის მოთხოვნა ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების დაბრუნების ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება ა. ა-ევისათვის ავტომანქანის უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ა-ევის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 6 ოქტომბრის საბაჟო შეტყობინება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 24 ნოემბრის ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება ა. ა-ევისათვის სატრანსპორტო საშუალების „...“ მარკის ავტობუსის სახ. № ... უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში.

საქმე № ბს-1655-1627(კ-11)

11 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციის დაკისრების დროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები (საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილი; * საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საბაჟო გამშვები პუნქტის – „სადახლოს“ ტერიტორიაზე სომხეთის მხრიდან 30.11.10წ. შემოვიდა „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა (სახელმწიფო № ...),

* ძალადაკარგულია 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

რომელსაც მართავდა ზ. ტ-ე. ავტომანქანის დათვალიერებისას აღმოჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, 400 კგ ყურძენი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონულმა ცენტრმა 30.11.10წ. ზ. ტ-ის მიმართ, საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეადგინა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი № 012257. საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის მიერ 20.12.10წ. გამოიწვია საბაჟო შეტყობინება № 11419/21-18 და საბაჟო შეტყობინების წერილობითი დასაბუთება, რომლითაც ზ. ტ-ეს სანქციის სახით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალება „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა (სახელმწიფო № ...). სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით, 03.12.10წ. ზ. ტ-ისათვის ჩამორთმეული საქონლის (ყურძენი სუფრის) საბაჟო ღირებულებამ 1 კილოგრამზე 2 აშშ დოლარი შეადგინა. სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შეტყობინება მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურში სანქციის ჯარიმით შეცვლის მოთხოვნით, ვინაიდან სატრანსპორტო საშუალება სხვა პირის საკუთრებას წარმოადგენდა. შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. № 258 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. № 258 ბრძანება ზ. ტ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომლის 14.03.11წ. გადაწყვეტილებით საჩივარი სანქციის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ტრანსპორტის საარეგიტრაციო მოწმობით დადგენილია, რომ „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა, № ... მ. ჩ-ის საკუთრებაა, რომელიც, 20.09.10წ. სანოტარო აქტით, მართვის უფლებით გადაცემული ჰქონდა ზ. ტ-ეს. საქმის მასალების მიხედვით არადეკლარირებული 400 კგ. ყურძენი საქონლის მფლობელისათვის საბაჟო ორგანოს არ დაუბრუნებია.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელე ზ. ტ-ეს საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო დეკლარაცია არ შეუვსია. არადეკლარირებული საქონლის აღმოჩენის გამო მის მიმართ შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და დაეკისრა სანქცია. აპელანტი ასაჩივრებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის, შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებებს სანქციის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევდა პირის დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანილი ან გადმოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა (საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10, მე-14 ნაწილები) საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით შემსუბუქებულ სანქციებს არ ითვალისწინებს.

ის გარემოება, რომ საბაჟო ორგანო სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ გამოირიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები სახდელის დაკისრებისას, მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს გამოყენებული სანქციის ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. სზაკ-ის 7.1 მუხლის მიხედვით დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიწვია. ამასთანავე, წერილობითი ფორმით

გამოცემული აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას (სზაკ-ის 53-ე მუხ.). ნორმაში ალტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, უკეთეს ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული თუ რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული მიზანი მოსარჩელისათვის სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე სანქციის შეფარდებით.

შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. № 258 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 14.03.11წ. გადაწყვეტილებით, რუსთავის რეგიონული ცენტრის 20.12.2010წ. საბაჟო შეტყობინებით გამოყენებული სანქცია მართლზომიერად იქნა მიჩნეული, ვინაიდან საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება არის საბაჟო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფერო, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება სამართალდამრღვევისათვის მხოლოდ ჯარიმის თუ სატრანსპორტო საშუალების და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევის გამოყენება (ტ.1., ს.ფ.13-14). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობის საკითხსაც, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის შესაძლებელია ჩვენაცვლოს ზემდგომი ორგანოს დისკრეცია. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო თავადაც იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფის შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა. მეორეს მხრივ, დისკრეციული სფეროს არსებობას ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ, კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირების ფორმებითა და მეთოდებით. ამდენად, დავების საბჭოს მითითება მხოლოდ 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებაში საბაჟო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის უარყოფის საკმარის საფუძველს.

კანონმდებლობა სასამართლოს, როგორც ნორმის შემფარდებელ ორგანოს, ანიჭებს უფლებამოსილებას თავად აირჩიოს სამართლებრივი შედეგი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. სასამართლო ხელისუფლება ამოწმებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაცულ უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიონ პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისაგან დაცვის ვალდებულების, იგნორირება არის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და აქტის გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდებისას დაირღვა საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი, არ იქნა განსაზღვრული კასატორის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე სხვა სანქციის შეფარდებით რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული სამართალდარ-

ღვევის საქმეთა განხილვის მიზანი. კონკრეტული ნორმით დადგენილი სანქციის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა. მოცემულ შემთხვევაში არადეკლარირებული ქონების ოდენობის (ღირებულების) გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას ეძლევა სადამსჯელო, რეპრესიული ხასიათი, ეწინააღმდეგება სამართლიანობის მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარიმო სანქცია უკავშირდება საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, გამოყენებული სანქცია ყველა შემთხვევაში უნდა პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპს. ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს იურიდიული თანასწორობა, გამოყენებული სანქცია უნდა ითვალისწინებდეს ჩადენილი ქმედების ხასიათს და იყოს თანაზომიერი იმ მიზნებთან და ღირებულებებთან, რომლის მიღწევასაც ისახავს საბაჟო რეჟიმის უზრუნველყოფი ნორმა, აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა შედეგად გამოიღოს ნორმის თვითნებური გამოყენება და განმარტება. ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას არ იმსჯელა სანქციის სახედ ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გამოყენების მართლზომიერებაზე. საქმის მასალების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მართავდა მ. ტ-ე არ წარმოადგენდა სამართალდამრღვევის საკუთრებას, ავტომანქანა მ. ტ-ეს მხოლოდ მართვის უფლებით ჰქონდა გადაცემული მესაკუთრის მიერ.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახდელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება ის ზოგადი საწყისები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად, მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რაც სანქციის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია. საბაჟო კოდექსი არ შეიცავდა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების წესების, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებისა და სხვა საკითხების მომწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც განმსაზღვრელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისას. საბაჟო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობაში მოიაზრება საკანონმდებლო აქტების სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის, ასევე სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც რეგლამენტირებულია პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლები. საბაჟო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კოდექსის, საბაჟო საქმის ორგანიზების მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ხასიათის ნორმები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. ზემოთაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბაჟო ორგანოს სამართალდარღვევის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა ეხელმძღვანელა როგორც სპეციალური კანონით, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალდარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის შეფარდების ზოგად წესს, რამდენადაც საბაჟო ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახე – სანქცია და ზომები ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, სამართალწარმოება ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

განმარტების საგანი: საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადა

საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის 80.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს. საგადასახადო მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს „საგადასახადო მოთხოვნას“ უგზავნის გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევაზე ან საგადასახადო შემოწმების მასალებზე თანხების დარიცხვის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

საგადასახადო კოდექსის 80.5. „ა“ პუნქტის თანახმად, საგადასახადო მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს მისი წარდგენის საფუძველი, საგადასახადო კანონმდებლობის აქტის ის ნორმა, რომლის თანახმადაც მოხდა გადასახადის ან/და საგადასახადო სანქციის დარიცხვა, ან, რომელიც დაარღვია გადასახადის გადამხდელმა და კონკრეტულად თუ რა სახის გადასახადის გადახდა ეკისრება გადასახადის გადამხდელს.**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია კასაციის მოტივი მოსარჩელის მიერ სადავო აქტის – საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვებასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო საგადასახადო მოთხოვნა, რომ უგულებელყოფილია საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, სადავო აქტში არ არის მითითებული, თუ რა გახდა მოსარჩელისათვის გადასახადის დარიცხვის საფუძველი, ამასთან, საგადასახადო მოთხოვნაში არ არის დაკონკრეტებული თუ რა სახის გადასახადები დაერიცხა მოსარჩელეს, გრაფაში „გადასახადის დასახელება“ ზოგადად არის მითითებული გადასახადის სახეობა – „სხვადასხვა“, რაც სრულ წინააღმდეგობაშია საგადასახადო კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აუცილებელი რეკვიზიტების მითითების და დასაბუთების ვალდებულებასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 150.1. და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3. მუხლებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის განსაზღვრული სასარჩელო ხანდამშულობის ვადები ვრცელდება სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი /მატერიალური/ კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნების დაცვით გამოცემული აქტის მიმართ. სწორედ ამგვარი – კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად გამოცემული /რეკვიზიტების თვალსაზრისით/ აქტების მიმართ წარმოეშობა ადრესატს ვალდებულება კანონით მკაცრად დადგენილ ვადებში გასაჩივრების უფლების გამოყენებისა. იმ პირობებში, როცა სადავო აქტით არ დგინდება თუ რა სახის გადასახადები და რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე დაეკისრა ადრესატს თანხის გადახდა, და რაც ვერცერთი ინსტანციის სასამართლოზე მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო თუ რა

* გადაწყვეტილებაში განმარტებულია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის მუხლები.

** საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის წესი განსაზღვრულია „გადასახადის ადმინისტრირების“ შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანების მე-17 მუხლით.

სახის გადასახადები დააკისრა მოსარჩელეს და რის საფუძველზე, შესაბამისად, პირის ვალდებულება – გასა-
ჩივრების უფლების საპროცესო ვადებში რეალიზაციის, არ შეიძლება წარმოიშვას, სწორედ ადმინისტრაცი-
ული სამართლის უმნიშვნელოვანესი – კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე; წინააღმდეგ შემთხვევაში,
ეს გამოიწვევდა ბუნდოვანი, დაუსაბუთებელი, რეკვიზიტების არმქონე ადმინისტრაციული აქტების გამოცემის
შესაძლებლობის დაშვებას, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად დაუცველ გარემოში მოაქცევდა
პირებს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეწინააღმდეგება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში პირის კანონიერი ნდობის უფლება
მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოსაგან კვალიფიციურად და ფაქტობრივ გარემოებების სრულფასოვან გა-
მოკვლევებზე დაფუძნებული აქტის გამოცემის, მიღების კანონიერ მოლოდინს, რათა ადრესატისათვის ცხადი და
გასაგები იყოს თუ რა სამართლებრივ შედეგს იწვევს მისთვის ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

სადავო აქტის სამართლებრივი შეფასებისას საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი
ვერ აკმაყოფილებს კანონის ელემენტარულ მოთხოვნებს, შესაბამისად, მას არ შეიძლება მოჰყვეს სამართ-
ლებრივი შედეგი.

საქმე № ბს-797-771(კ-10)

22 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგადასახადო შემოწმების აქტი

ი/მ „ზ. ტ-ძემ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც 28.09.07წ. საგადასახადო შე-
მოწმების აქტის ნაწილობრივ, კერძოდ ხე-ტყის ღირებულების 2380 ლარის, ჯარიმის – 3000 ლარის, სოციალუ-
რი დაზღვევის გადასახადის – 262 ლარის და საშემოსავლო გადასახადის – 330 ლარის დაკისრების ნაწილში
ბათილად ცნობა მოითხოვა. საგადასახადო შემოწმების აქტის რეკვიზიტებს განსაზღვრავს საგადასახადო კო-
დექსის 120-ე მუხლი, რომელიც ადასტურებს, რომ შემოწმების აქტი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის
შემოწმებისას გამოვლენილი გარემოებების ფიქსაციის საშუალებას. შემოწმების აქტს არ აქვს სამართლებრივი
რეგულირების დანიშნულება, იგი საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და „საგადასახადო
მოთხოვნისგან“ დამოუკიდებლად არ განსაზღვრავს პირის საგადასახადო ვალდებულებას, არ წარმოშობს
პირის უფლება-მოვალეობებს. **შემოწმების აქტი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიცავს
სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის დეფინიციის ნიშნებს.** საგადასახადო კოდექსის 21.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფროსი/
მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შემოწმების მასალების განხილვის შედეგებზე ან/და საგა-
დასახადო სამართალდარღვევის ოქმებზე გადასახადების ან/და საგადასახადო სანქციების თანხის დარიცხვის
ან არდარიცხვის შესახებ. ამდენად, საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენით საგადასახადო ვალდებულება
არ არის ამოქმედებული გადასახადის გადამხდელის მიმართ. შემოწმების აქტი შესაძლოა გახდეს თანხის და-
კისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, გადასახადის გადამხდელის პირად ბარათზე თანხის
დარიცხვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შემოწმების აქტში ასახული გარემოებების საფუძველზე
საგადასახადო ორგანო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე
გადასახადის გადამხდელს ეგზავნება „საგადასახადო მოთხოვნა“ გადასახადის ვადაგადაცილებული დავალი-
ანების, საგადასახადო სანქციების თანხის გადახდისა და გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრის შესახებ (121.2
მუხ.). პირისათვის წარდგენილი საგადასახადო მოთხოვნა უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ
არის მიმართული და იწვევს მასში ასახული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებას.

ვინაიდან, შემოწმების აქტი არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სა-
გადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს მისი ცალკე გასაჩივრების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს
საგადასახადო დავის დაწყების საფუძველს.* შესაბამისად, ი/მ „ზ. ტ-ძის“ მიერ შემოწმების აქტის გასაჩივრე-

* მოქმედი საგადასახადო კოდექსის 299-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო შემოწმების აქტი და მის სა-
ფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვ-
ნასთან ერთად.

ბა ავტომატურად არ იწვევს მის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებისა და „საგადასახადო მოთხოვნის“ გასაჩივრებას. სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების აქტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა იმსჯელეს მხოლოდ შემოწმების აქტის კანონიერებაზე. მოცემულ შემთხვევაში, ი/მ „ზ. ტ-ძის“ მიზანია დარიცხული თანხების ჩამოწერა, რომელიც მოსარჩელეს პირად ბარათზე დაერიცხა საგადასახადო ორგანოს ბრძანებით და რომელთა გადახდის ვალდებულებაც ეცნობა მას „საგადასახადო მოთხოვნით“. შესაბამისად, გადასახადის გადახდელის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ბიუჯეტის სასარგებლოდ ი/მ „ზ. ტ-ძის“ პირად ბარათზე თანხის დარიცხვის შესახებ და მის საფუძველზე წარდგენილი „საგადასახადო მოთხოვნა“. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელს თან ერთვოდა „საგადასახადო მოთხოვნა“, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა იმსჯელეს საგადასახადო შემოწმების აქტის კანონიერებაზე და ნაწილობრივ ბათილად ცნეს შემოწმების აქტი. შემოწმების აქტის ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს მოსარჩელის საგადასახადო ვალდებულებაზე, ვინაიდან, ძალაშია შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. აღნიშნულის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნის შინაარსისა და მასზე თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით (სარჩელს თან ერთვოდა მოსარჩელისათვის წარდგენილი „საგადასახადო მოთხოვნა“), სასამართლოს ხსენებული მუხლის საფუძველზე უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების წინადადება, დავის საგნის დაზუსტების შემთხვევაში, ემსჯელა საგადასახადო ორგანოს ბრძანების და „საგადასახადო მოთხოვნის“ კანონიერებაზე და შემოწმების აქტში ასახული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებზე და მოცულობაზე.

საქმე № ბს-215-207(კ-10)

7 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კამერალური საგადასახადო შემოწმების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვის კანონიერების ხელახლა შესწავლა

საგადასახადო მოთხოვნა რ. ჭ-იამ 2007 წლის 29 ნოემბერს გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2008 წლის 21 იანვრის № 81 ბრძანებით ი/მ „რ. ჭ-იას“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ფოთის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 ნოემბრის № 1566 საგადასახადო მოთხოვნა და ფოთის საგადასახადო ინსპექციას დაევალა ი/მ „რ. ჭ-იას“ მიერ პურის წარმოებისათვის გამოყენებული საცხობი ღუმელის ფართის დაზუსტება, კონკრეტულ პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების გაანგარიშება და შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის გაგზავნა.

ფოთის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 1 ივნისის № 89 ბრძანებით დგინდება, რომ რეგიონალურმა ცენტრმა, ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, დაამუსტა ი/მ „რ. ჭ-იას“ კუთვნილი პურსაცხობი ღუმელის საცხობი ფართი და გამოარკვია, რომ მეწარმეზე 2003 წლის 10 იანვრის კამერალური შემოწმების აქტით დარიცხული თანხები იყო სწორი და გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა, რაზედაც 2009 წლის 05 ივნისს გაიცა „საგადასახადო მოთხოვნა“ № 748.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სადავო აქტების კანონშესაბამისობის თაობაზე და თვლის, რომ საგადასახადო ორგანოს მხრიდან მეწარმის შემოწმება მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რაც არ იძლევა მითითებული სადავო აქტების კანონიერად მიჩნევის საფუძველს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დარიცხვის საფუძველად მიჩნეულია 2003 წლის 10 იანვრის კამერალური შემოწმების აქტი. პროცესუალური თვალსაზრისით შემოწმების აქტი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის

საფუძველზეც განისაზღვრება იმ გარემოებების არსებობის ან არარსებობის ფაქტი, რომელიც ასაბუთებს მოთხოვნას ან ადგენს სხვა რაიმე გარემოებას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის. მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ ის დოკუმენტი, რომელიც მიღებულია დადგენილი წესის დაცვით.

იმ ვითარებაში, როდესაც მეწარმე სუბიექტი სადავოდ ხდის შემოწმების აქტს და მის საფუძველზე განხორციელებული დარიცხვის კანონიერებას, ხოლო შემოსავლების სამსახური ნაწილობრივ აკმაყოფილებს მის მოთხოვნას და ქვემდგომ ორგანოს ავალებს საკითხის ხელახალ გამოკვლევას, აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საწარმოში ჩაატაროს ხელახალი შემოწმება და ნ წლის შემდეგ გამოიკვლიოს და დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა გადასახადის დარიცხვისათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2009 წლის 05 ივნისის № 748 „საგადასახადო მოთხოვნა“ არ ემყარება კანონიერ საფუძველს და ბათილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პირობებში საგადასახადო ორგანო ვალდებულია უკვე არსებულ მასალებზე დაყრდნობით განსაზღვროს არსებობს თუ არა დარიცხვის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კამერალური შემოწმების სპეციფიკას და, თავის მხრივ, განმარტავს შემდეგს: საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საგადასახადო შემოწმება, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. ამასთან, კამერალური საგადასახადო შემოწმება იმით განსხვავდება გასვლითი საგადასახადო შემოწმებისაგან, რომ კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება უშუალოდ გადასახადის გადამხდელთან გაუსვლელად, გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბალანსების, დეკლარაციების, ანგარიშგებების, ცნობების, განმარტებების, დასკვნებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების საფუძველზე.

ამდენად, კამერალური საგადასახადო შემოწმება წარმოებს საგადასახადო ორგანოში, გადამხდელისაგან საგადასახადო დეკლარაციების გაანგარიშების მიღების სტადიაზე ანუ გადასახადის გადამხდელთან გაუსვლელად.

აღნიშნული ტიპის შემოწმებისას, ძირითადად მოწმდება დეკლარაციებისა და ანგარიშგების შესაბამისი გრაფებისა და სტრიქონების შევსების სისწორე, ამა თუ იმ შეღავათების გამოყენების მართბომიერება, ასევე ხორციელდება საანგარიშო მაჩვენებლების არითმეტიკული შედარება.

ასეთ პირობებში, როდესაც სახეზე არ არის გასვლითი საგადასახადო შემოწმება, ფიქსირებული გადასახადის დარიცხვის ერთადერთ საფუძველად შეიძლება ქვეულიყო გადასახადის გადამხდელის მხრიდან შესაბამისი დეკლარაციების საგადასახადო ორგანოში წარდგენა.

საქმე № ბს-976-936(3კ-07)

23 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის ხელახლა განსახილველად დაბრუნება

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ შპს „.....“ 2005 წლის 27 დეკემბერს ჩაჰბარდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნა № 1714, რომლის შესაბამისადაც 2005 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით მისი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ განისაზღვრა 16 044,33 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საგადასახადო მოთხოვნაზე შპს „.....“ იმავე წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა შესაგებელი „მოთხოვნის არცნობისა და დავალიანების გაუქმების თაობაზე, რაზედაც კანონით დადგენილ ვადაში ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციიდან პასუხი არ მიუღია. აღნიშნულის გამო შპს „.....“ 2006 წლის 17 იანვარს საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტს, რომლის მიერაც 2006 წლის № 179 ბრძანებით საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აღდგენას დაექვემდებარა შპს „.....“ და შპს „.....“ მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგა-

რიშ-ფაქტურების მიხედვით გაუქმებული დღგ-ს ჩათვლა თანხით 149,51 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად გაუქმებული დღგ-ს აღდგენაზე მხარეს ეთქვა უარი, რაც ასევე შესაბამისი წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოში.

მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას და თვლის, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამება საგადასახადო კოდექსისა და აღნიშნული მუხლის პრინციპებსა თუ მიზანს.

საგადასახადო დავების განხილვის საერთო წესს განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-161-ე მუხლები.* აღნიშნული მუხლების შესაბამისად, საგადასახადო დავის დაწყების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ამა თუ იმ ვალდებულების დარღვევა, ხოლო რაც შეეხება ფორმალურ საფუძველს, ეს არის საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის მითითებული კოდექსის მე-80 მუხლით განსაზღვრული „საგადასახადო მოთხოვნის“ წარდგენა, ან საგადასახადო ორგანოს მიერ ამავე კოდექსის 81-ე მუხლით განსაზღვრული „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე უარი. საგულისხმოა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა საგადასახადო დავის დაწყების როგორც ფორმალური, ისე მატერიალური საფუძველი.

იმავე საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო დავის გადაწყვეტის ორი შესაძლო ფორმიდან აირჩიოს ერთ-ერთი: დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით და დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის გადაწყვეტა შედგება სამი შესაძლო ეტაპისაგან: პირველი ეტაპი დავის გადაწყვეტა იმავე საგადასახადო ინსპექციაში, რომელმაც წარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა; მეორე ეტაპია დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტში, ხოლო მესამე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოში.

საგულისხმოა, რომ შპს „...“ დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, რის შედეგადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტის 2006 წლის № 179 ბრძანებით მისი საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

შპს „...“ პრეტენზია დანარჩენ ნაწილში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ, ამდენად, უდავოა, რომ შპს „...“ ამოწურა დავის გადაწყვეტის ერთი ფორმა, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის ფორმა.

მითითებული გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, ამ შემთხვევაში, როდესაც ამოწურულია დავის ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის ყველა ეტაპი, იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის დაბრუნება, საკითხის ხელახალი განხილვისათვის, მოკლებულია შესაძლო შედეგს და არ იძლევა საკმარის საფუძველს, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეთითოს საკითხის ხელმეორედ განხილვის საკლებულობაზე.

საქმე № ბს-930-890(კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო ვალის გაქვითვა საგადასახადო დავალიანებასთან

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 28-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ საგადასახადო ვალდებულება ითვლება გადასახადის გადამხდელის ვალდებულება, გადაიხადოს კანონით დაწესებული გადასახადი. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის, აგრეთვე მისი შესრულების წესი და პირობები რეგულირდება მხოლოდ ამ კოდექსით ან/და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

* მოქმედი საგადასახადო კოდექსის 296-ე-308-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხ-
ლზე, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულების შესრულება წარმოადგენს გადასახა-
დის გადამხდელის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება სრულდება გადასახადის
გადამხდელისათვის დაკისრებული არასაგადასახადო ხასიათის ვალდებულებათაგან დამოუკიდებლად. იმავე
მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი აკრძალულია გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ
საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმა ან მისი შესრულების წესის ცალმხრივად
შეცვლა, თუ ეს გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობით.

**საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უმართებულო იქნება სახელმწიფო ვალის გაქვითვა საგა-
დასახადო დავალიანებასთან, რადგან საგადასახადო დავალიანება არ არის დამოკიდებული სხვა საბიუჯე-
ტო დავალიანებაზე, საგადასახადო ვალდებულება სრულდება გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრე-
ბული არასაგადასახადო ხასიათის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად.**

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონი,
რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს, არ ითვალისწინებს სახელმ-
წიფო ვალის გაქვითვის ამგვარ ფორმას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 ივლისის „გადასახა-
დებისა და საბიუჯეტო დავალიანებების უნაღდო ანგარიშსწორებით ჩათვლის წესის გაუქმების შესახებ“ ბრძა-
ნებულებით, გაუქმდა მიმდინარე გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანებების ბიუჯეტიდან კუთვნილი
მიმდინარე ან ვადაგადაცილებულ მისაღებლებთან გაქვითვის გზით აღსრულების პრაქტიკა. შესაბამისად,
ყველა მიმდინარე თუ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გადახდის განხორციელება საკასო
შენატანის, საბანკო გადარიცხვის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით დადგინდა. აგრეთვე მიეთითა,
რომ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ იყო დამოკიდებული საბიუჯეტო რესურსებიდან მიმდინარე ან
მოსალოდნელი დაფინანსების მიღებაზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მიიჩ-
ნევს, რომ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
442-ე მუხლის გამოყენება საჯარო-სამართლებრივ, საგადასახადო ურთიერთობებზე არ არის კანონშესაბამისი.

საქმე № ბს-44-42(3კ-07)

25 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ
გაცემული განმარტების სამართლებრივი ძალა**

2005 წლის 28 მარტს შპს „... ..მა“ სასარჩილო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დე-
პარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტის
ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით უგულებელყოფილია იმ პერიოდში (2001-2002 წლებში) მოქმედი საქართვე-
ლოს საგადასახადო კოდექსის 224-ე მუხლი, საიდანაც პირდაპირ გამომდინარეობს, რომ თუ საგადასახადო
ორგანოს განცხადება გადამხდელის მიმართ ბარდება გადამხდელს წერილობითი ფორმით, მაშინ მას აქვს
სავალდებულო ხასიათი საგადასახადო ორგანოსათვის და გადამხდელისათვის. მათ შემთხვევაში ასეთ წე-
რილობით დოკუმენტს წარმოადგენს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული და
მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციისათვის გაგზავნილი 2001 წლის 26 ოქტომბრის №
1-03/5786 დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ სს „ო...ს“ უფლება აქვს, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის
შესაბამისად მოახდინოს დღგ-ის ჩათვლები საკუთარი სასტუმროს მშენებლობის დროს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა დღგ-ის მრავალსაფეხურიან ბუნებას, თვლის, რომ
სწორედ აღნიშნული განაპირობებს იმ თავისებურებას, რაც მითითებულ გადასახადს განასხვავებს გადასახა-
დის დანარჩენი სახეებისაგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას არ წარმოადგენს გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება.

იმავე საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებს იმ საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) გადახდილ დღგ-ზე, რომელიც გამოიყენება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საწარმოებლად.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე თუ მეწარმე სუბიექტი ყიდულობს საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას) რომლის შეძენის დროსაც გადახდილი იყო დღგ, მაგრამ იყენებს გათავისუფლებული საქონლის ან/და მომსახურების საწარმოებლად, მაშინ ეს პირი ვერ ჩაითვლის ნაყიდ საქონელზე ან/და მომსახურებაზე გადახდილ დღგ-ს.

საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უძრავი ქონების მიწოდება, გარდა ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობისა წარმოადგენდა დღგ-სგან გათავისუფლებულ ოპერაციას. დადგენილია, რომ შპს „... ..ზე“ დარიცხვა განხორციელდა საზოგადოების მიერ უძრავი ქონების საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე ე.ი. დღგ-საგან თავისუფალ ოპერაციაზე გადახდილი დღგ-ს ჩათვლების გაუქმებით, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გასაჩივრებული აქტი მითითებულ ნაწილში მიიჩნიოს კანონშესაბამისად.

საკასაციო სასამართლო კასატორის შპს „... ..ს“ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საგადასახადო დეპარტამენტის 2001 წლის 26 ოქტომბრის № 1-3/5786 წერილს, რომელიც კასატორისავე განმარტებით, წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს როგორც საგადასახადო ორგანოს, ისე გადასახადის გადამხდელისათვის, საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: **გადასახადის სრულყოფილი გადახდა წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება საგადასახადო კანონმდებლობის ძალით და ატარებს უნივერსალურ ხასიათს, ამდენად გადასახადის გადახდასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება საგადასახადო კანონმდებლობით, რომლის შეცვლაც დაუშვებელია ცალკეული თანამდებობის პირის განმარტების საფუძველზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განმარტების მიმღებ პირს განმარტების მიმცემი პირისადმი გააჩნდა კანონიერი ნდობა, აღნიშნული შესაძლოა იქცეს ცალკე დავის საგნად, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ვერ მოახდენს წინადადარე დარიცხვის კანონიერებაზე.**

საქმე № ბს-1104-1056(კ-07)

20 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საბაჟო პასუხისმგებლობის სუბიექტი

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი. ამასთან, საბაჟო ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხები საბაჟო სამართალში წარმოიშობა მრავალმხრივი მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, საფინანსო, საგადასახადო, საერთაშორისო სამართალთან და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება არა მარტო საბაჟო კანონმდებლობით, არამედ სხვა დარგის სამართლებრივი ნორმებითაც.

საკასაციო სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე მიაჩნია, რომ საბაჟო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევები კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და ხასიათიდან გამომდინარე, იწვევს სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო სამართლებრივ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით საბაჟო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი თავისი სტრუქტურით არის ურთიერთდაკავშირებული სამართლის სხვა დარგების ერთობლიობა, რომლებითაც დადგენილია სამართალდარღვევის სახეები საბაჟო ურთიერთობათა სფეროში და მათი ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლის დარგით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

საბაჟო კოდექსის 232.1 მუხლის მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არამედ, საბაჟო სამართალდარღვევა, რაკი ეს გათვალისწინებულია საბაჟო კოდექსით და არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, შემდეგ გარემოებათა გამო: მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიცირებულ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, იგი არ არის ამომწურავი ხასიათის, რადგან სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში არცთუ იშვიათად გვხვდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები, მათი კვალიფიკაცია, სანქცია. ამასთან, საბაჟო სამართალდარღვევა წარმოადგენს სწორედ საბაჟო საქმიანობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაირსახეობას, გააჩნია რა საერთო ნიშნები – საჯარო-სამართლებრივი ბუნება, პასუხისმგებლობაში მიცემის პროცედურები და ა.შ.

საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებს შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი სამართლის ნორმატიული აქტებით, საბაჟო კოდექსითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს სამართალდარღვევის შედარებით მსუბუქ ფორმას და მისი ჩადენისას გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ადეკვატურად ნაკლებად მკაცრი ზომები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს სახე არ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლების მკაცრ შემზღუდვასთან, არ იწვევს ნასამართლობასა და სხვა იმგვარად ძვირად შედეგს, რომელიც დგება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და სასჯელის შეფარდების დროს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 მუხლით ადმინისტრაციულ გადაცდომად მიჩნეულია ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულია თუ რომელი ადმინისტრაციული სახდელების სახეები შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საბაჟო კოდექსის 34-ე თავის 237-253-ე მუხლებით დადგენილია საბაჟო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახეები და განსაზღვრულია ამ დარღვევებზე პასუხისმგებლობის – საბაჟო სანქციის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო კოდექსი განეკუთვნება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, საბაჟო სამართალი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი უცილობლად არის სახელმწიფო მმართველობის განმხორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად, საბაჟო საქმიანობა წარმოადგენს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას. სამართლებრივი ურთიერთობა საბაჟო სფეროში არის სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების, ფიზიკური და იურიდიული პირების (სამართლის სუბიექტების) სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულება, რომლებიც წარმოიშობა საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო სამართალურთიერთობის მონაწილეებს საბაჟო სფეროში ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებანი და მოვალეობანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით, ანუ კანონმორჩილებით და მისი დარღვევის შემთხვევაში – სახელმწიფო იძულებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საბაჟო კოდექსით დადგენილი არ არის საბაჟო პასუხისმგებლობის სუბიექტი ფიზიკური პირის ასაკი. კოდექსის მხოლოდ ტერმინთა დეფინიციების განმსაზღვრელ ნორმაში (მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი) ზოგადი ხასიათის დათქმაა გაკეთებული საგადასახადო კოდექსის გამოყენების თაობაზე, ხოლო საგადასახადო კოდექსის 124.1. მუხლის თანახმად ამ კოდექსის XVIII თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზი-

კურ პირებს. თუმცა, ეს ნორმატიული აქტივ, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, საგადასახადო პასუხისმგებლობის გამოყენებისას საერთოდ არ ითვალისწინებს ფიზიკური პირის ასაკსა და შერაცხადობის ფაქტს, ხოლო ტერმინთა დეფინიციის განმსაზღვრელი ნორმით „პირი“ განმარტებულია, როგორც ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომლის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 7-დან – 18 წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა.

საკასაციო სასამართლო როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის საერთო ხარვეზად მიიჩნევს საბაჟო და საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტის – ფიზიკური პირის ასაკის განუსაზღვრელობას, რამდენადაც როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო პასუხისმგებლობა არის განსაზღვრული საბაჟო თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვალდებულება, კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლითა და წესით აგოს პასუხი მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე.

ამგვარ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის ქმედუნარიანობის განსაზღვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლით დადგენილი წესი, ვინაიდან მითითებული ნორმით განისაზღვრა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ სუბიექტთა ერთიანი ასაკობრივი ზღვარი, კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისგან, რაც გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ საბაჟო კოდექსით (ისე, როგორც სხვა ნორმატიული აქტებით) გათვალისწინებული საბაჟო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, როგორც მმართველობით სფეროში წარმოშობილი სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ამავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის ასაკი უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პირის ქმედუნარიანობის მიხედვით, რასაკვირველია, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კანონმდებელი შესაბამის ნორმატიულ აქტებში სპეციალურად, კონკრეტულად ადგენს პასუხისმგებელი პირის ასაკს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის არგამოყენების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო: მითითებული ნორმა განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის ქმედუნარიანობის საკითხს, მაშინ, როცა მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა ზიანის ანაზღაურება, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შეფასება, ანუ სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მსჯელობა მოცემულ დავაში მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზიანის მიყენების თაობაზე ალოგიკურია, როგორც დავის საგანთან შემხებლობაში არმყოფი, შესაბამისად სამართლებრივად სრულიად დაუსაბუთებელია.

ასევე, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მსჯელობა მოსარჩელის შეგნებულ მოქმედებასთან დაკავშირებით, კერძოდ, საზღვრის 53-ჯერ გადალახვის, იდენტური ნივთების გათვითცნობიერებულად დამალვის შესახებ, რამდენადაც 16 წლამდე პირს ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ მიიჩნევს სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტად.

საქმე № ბს-362-343(3კ-07)

17 ოქტომბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

საკასაციო სასამართლოს მოცემული საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის სექტემბერში ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციიდან ი/მ „მ. ჩ-ვის“

(ს.ფ. 120-121) ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთში გაკოტრდა ფირმა „...“, რომელიც იაფად ყიდდა გარკვეული დასახელების საქონელს, ი/მ „ჩ-ემ“ ნაყიდ საქონელზე გადაიხადა მოთხოვნილი თანხა და 2004 წლის 3 ნოემბერს საფრანგეთიდან მის სახელზე შემოვიდა კონტეინერი, რომელშიც ჩატვირთული იყო 10372 ცალი, 2180 კგ წონის, 1196 ევროს საერთო ღირებულების ავტომანქანის ზეთის, დიზელისა და ჰაერის ფილტრები

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ძირითად, სპეციალურ ნორმატიულ აქტს, რომელიც სადავო პერიოდში არეგულირებდა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას, წარმოადგენდა „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 9 ნოემბრის № 736 ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები“. აღნიშნული წესების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ითვალისწინებდა საბაჟო მიზნებისათვის საქონლის შეფასებას საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის. იმავე წესების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული (იმპორტირებული) საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდებით: ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი); ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი); გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი); დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი); ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი); ვ) სარეზერვო მეთოდი (მექვსე მეთოდი). ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენებოდა მაშინ, როცა ვერ ხერხდებოდა წინა მეთოდის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ მე-4 მუხლის (გარიგების ფასი) პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომელთა მიხედვით, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება წარმოადგენდა გარიგების ფასს, ანუ იმპორტიორ ქვეყანაში საექსპორტოდ გაყიდულ საქონელში გადახდილ ან გადასახდელ ფასს, ხოლო გარიგების ფასის განსაზღვრის საფუძველად მიიღებოდა ხელშეკრულებაში და ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული ფასი საქონლის მიწოდების („ინკოტერმსის“) და გარიგების ფასის გადახდის პირობების გათვალისწინებით. იმავე წესების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი იყო გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენდა პირობა, რომ მყიდველი და გამყიდველი არ უნდა ყოფილიყვნენ ურთიერთდაკავშირებული პირები, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტით რეგლამენტირებული იყო ურთიერთდაკავშირებული პირები მათ შორის კავშირის ხასიათის მიხედვით. დასახელებული წესების მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საბაჟო ღირებულების კორექტირება ფორმდებოდა საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით (აქტით) და საბაჟო ღირებულების კორექტირება ხდებოდა გარიგების ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომლებიც მყიდველს რეალურად გაწეული ჰქონდა, მაგრამ არ იყო ჩათვლილი გარიგების ფასში. იმავე წესების მე-8 მუხლი ეხებოდა ფასდაკლების გათვალისწინებას საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს და ჩამოთვლილი იყო ფასდაკლების გამომწვევი ფაქტორები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გამოყენების დროს საბაჟო ორგანო ითვალისწინებდა გარიგებით განსაზღვრულ შესაბამის ფასდაკლებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებდა, როგორც ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტები, ასევე არეგულირებს „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმება“.

კასატორები საკასაციო საჩივრების საფუძველად მიუთითებენ იმაზე, რომ ფრანგული ფირმის გაკოტრება წარმოადგენს ზემოხსენებული შეთანხმების პირველი მუხლით გათვალისწინებულ პირობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებით“ შემოღებულია საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები, რომლის პირველ მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება წარმოადგენს გარიგების ღირებულებას, ანუ იმპორტიორ ქვეყანაში საექსპორტოდ გა-

ყიდულ საქონელში გადახდილ ან გადასახდელ ფასს, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი ამ შეთანხმების მე-8 მუხლთან იმ პირობით, თუ გაყიდვა ან ფასი არ წარმოადგენს რაიმე პირობის საგანს, რომლის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელს გახდის შესაფასებელი საქონლის ღირებულების განსაზღვრას. იმავე შეთანხმების (წესები) მე-2-7 მუხლებში რიგითობის მიხედვით არის ჩამოთვლილი იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდები და გზები, რომლებიც გამოიყენება, თუ შესაბამისად, შეუძლებელია წინა მეთოდის გამოყენება, ანუ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, კერძოდ, ხსენებული შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად, თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა პირველი მუხლის დებულებების მიხედვით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაიყიდა იმავე იმპორტიორ ქვეყანაში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შეფასებულ იქნა საქონელი. იმავე შეთანხმების მე-8 მუხლის მიხედვით, საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას იმპორტირებულ საქონელზე გადახდილ ფასს დაემატება ამავე მუხლში ჩამოთვლილი ხარჯები იმ პირობით, რომ ისინი გასწია მყიდველმა, მაგრამ არ არის შეტანილი საქონელში ნამდვილად გადახდილ ფასში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავის წარმოშობის პერიოდში საქონლის საბაჟო ღირებულებას შეადგენდა (მოიცავდა) გარიგების ფასი, ანუ გარიგების ფასის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი იყო პირველი მეთოდი. ამდენად, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრებოდა, როგორც გარიგების ფასი, ანუ შესაბამის ხელშეკრულებაში მითითებული ფასი, რასაც გადაიხდიდა იმპორტიორი საქონლის გაყიდულ საქონელში, ხოლო გარიგების ფასის განსაზღვრის საფუძვლად, თავის მხრივ, მითითებული იყო შესაბამის ხელშეკრულებასა და ანგარიშ-ფაქტურაში, ანუ ინვოისში აღნიშნული ფასი, რომელიც დაკავშირებული იყო საქონლის მიწოდების („ინკოტერმის“) და გარიგების ფასის გადახდის პირობებთან.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობებიდან რომელიმეს არარსებობა გამორიცხავდა გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრას, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე გადახდილ ფასს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაემატებოდა შესაბამისი ხარჯები, თუ სახეზე იყო მყიდველის მიერ მათი ნამდვილად გაწევის ფაქტი და ხსენებული ხარჯები შეტანილი არ ყოფილა საქონელში ნამდვილად გადახდილ ფასში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის № 1768 ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ ინსტრუქციის“ პირველი მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა მიხედვით, საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი და შეაქვს იგი საბაჟო დეკლარაციაში, ხოლო დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს და ამოწმებს წარდგენილ საბაჟო დეკლარაციას, გარიგების ფასის განსაზღვრის საფუძვლად კი მიიღება ხელშეკრულებაში ან ანგარიშ-ფაქტურაში ან ნებისმიერ სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტში მითითებული ფასი. იმავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის მიხედვით, დეკლარირებული საბაჟო ღირებულების სისწორეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, დეკლარანტს გაუგზავნოს „შეტყობინება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ“ და მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის (მათ შორის, მტკიცებულებების და დოკუმენტების) წარმოდგენა, როგორცაა ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ორიგინალი. ხსენებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, ეჭვი შეიტანოს დეკლარანტის მიერ გაცხადებულ საბაჟო ღირებულების სისწორეში და მოახდინოს მისი კორექტირება ან განსაზღვროს იგი სხვა მეთოდით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უნდა გამოეყენებინა გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვ-

რის მეთოდი, ვინაიდან აღნიშნული იმპერატიულად გამომდინარეობდა საქონლის იმპორტის დროს მოქმედი ნორმატიული აქტებიდან.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე მართებულად მიიჩნია, რომ აპელანტები არასწორად განმარტავდნენ ზემოხსენებულ ნორმას, რადგან არც ფრანგული კომპანიის გაკოტრება და არც მისგან საქონლის იაფად შექმნა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო „პირობის საგნად“, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ შეიძლებოდა არსებულიყო მყარად ფიქსირებული ფასები გარკვეულ საქონელზე, ასევე – ერთი ფასი, მაგალითად, მანქანის ზეთისა და ჰაერის ფილტრების მიმართ, ზოგიერთ იმპორტიორს შეიძლებოდა უფრო იაფად ეყიდა გარკვეული საგნები, ხოლო ზოგიერთს – უფრო ძვირად, ამასთან, ფრანგულ კომპანიას შეეძლო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გაკოტრების პირას არ იქნებოდა მისული, შედარებით იაფად გაეყიდა კუთვნილი საქონელი და სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა გარიგების ფასს, ანუ მხარეთა თავისუფალი ნების თანხვედრის შედეგად შეთანხმებულ თანხას. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგიონალურ საბაჟო „...“ არ გადაუმოწმებია ი/ს „...“ (ი/მ „მ. ჩ-ე“) მიერ სარჩელში მითითებული ძირითადი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში გაკოტრდა ფირმა „...“, რომელიც იაფად ყიდდა გარკვეული დასახელების საქონელს და მოსარჩელემ სწორედ აღნიშნულის საფუძველზე შეიძინა იაფად კონკრეტული საქონელი, ანუ არ დაუდგენია ხსენებული ფაქტობრივი გარემოების არარსებობა, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სხვა შესაბამისი მეთოდის გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებული გარიგების კონტრაქტებში არ წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს და სახეზე არ არის არც მათ შორის ფიქტიური გარიგება, რის გამოც საბაჟო ორგანოს „...“ აღნიშნულ საქონელზე უნდა გამოეყენებინა პირველი მეთოდი – გარიგების ფასის მიხედვით იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი.

საქმე № ბს-922-884(კ-07)

20 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განბაჟების პროცესში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ მოთხოვნათა დაცვის საკითხს. კერძოდ, მითითებული წესების 3.1 მუხლის შესაბამისად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული (შემდგომში – იმპორტირებული) საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება შემდეგი მეთოდებით: ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი); ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მე-2 მეთოდი); გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მე-3 მეთოდი); დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მე-4 მეთოდი); ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მე-5 მეთოდი); ვ) სარეზერვო მეთოდი (მე-6 მეთოდი).*

საგულისხმოა, რომ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება.

ანალოგიური შინაარსის დებულებებს შეიცავს 1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომლის დაცვის ვალდებულებაც ეკისრება საქართველოს, როგორც წევრ ქვეყანას.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უპირატეს საფუძველს წინამდებარე შეთანხმების თანახმად წარმოადგენს „გარიგების ღირებულება“, ანუ პირველი მეთოდი, რომლის მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში გამოყენების ვალდებულებაც აღიარებულია თთ-ის წევრი ქვეყნების მიერ.

მითითებული წესების თანახმად, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება წარმოადგენს გარიგების ღირებულებას, ანუ იმპორტიორ ქვეყანაში საქსპორტოდ გაყიდულ საქონელში გადახდილ ან გადასახდელ ფასს, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი შეთანხმების მე-8 მუხლთან.

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია გარიგების ფასის მიხედვით, საბაჟო ადმინისტრაციასა და იმპორტიორს შორის ღირებულების საფუძვლების დადგენის მიზნით ტარდება კონსულტაცია. ამასთან, თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა პირველი მეთოდის მიხედვით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაყიდული იქნა იმავე იმპორტიორ ქვეყანაში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შეფასებული იქნა საქონელი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ შემთხვევაში თუ შპს „თან“ მიმართებაში გამოირიცხება პირველი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა, საბაჟო „დასავლეთს“, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია ვალდებულება მტკიცების, რატომ მოხდა „მ-თან“ მიმართებაში ბოლო მე-ნ მეთოდზე გადასვლა და არსებობდა თუ არა თუნდაც მე-2 მეთოდის გამოყენების შეუძლებლობა.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი წინა მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის გამორიცხვის გარეშე დაუშვებლად მიიჩნევს შემდგომ მეთოდზე გადასვლას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა გაარკვიოს, გარიგების ფასის გამორიცხვის შემთხვევაში, არსებობდა თუ არა იდენტური საქონლის ღირებულების გამოყენებისა და შესაბამისად, დანარჩენ მეთოდებზე გადასვლის შესაძლებლობა.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარეგულირებელი ნორმები

საქმე № ბს-1655-1627(კ-11)

11 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება – კანონის უკუძალა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საბაჟო გამშვები პუნქტის – „სადახლოს“ ტერიტორიაზე სომხეთის მხრიდან 30.11.10წ. შემოვიდა „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა (სახელმწიფო № ...), რომელსაც მართავდა ზ. ტ-ე. ავტომანქანის დათვალეირებისას აღმოჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, 400 კგ ყურძენი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონულმა ცენტრმა 30.11.10წ. ზ. ტ-ის მიმართ, საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეადგინა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი № 012257. საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის მიერ 20.12.10წ. გამოიცა საბაჟო შეტყობინება № 11419/21-18 და საბაჟო შეტყობინების წერილობითი დასაბუთება, რომლითაც ზ. ტ-ეს სანქციის სახით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალება „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა (სახელმწიფო № ...). სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით, 03.12.10წ. ზ. ტ-ისათვის ჩამორთმეული საქონლის (ყურძენი სუფრის) საბაჟო ღირებულებამ 1 კილოგრამზე 2 აშშ დოლარი შეადგინა. სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შეტყობინება მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურში სანქციის ჯარიმით შეცვლის მოთხოვნით, ვინაიდან სატრანსპორტო საშუალება სხვა პირის საკუთრებას წარმოადგენდა. შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. № 258 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. № 258 ბრძანება ზ. ტ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომლის 14.03.11წ. გადაწყვეტილებით საჩივარი სანქციის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობით დადგენილია, რომ „MERSEDES“-ის მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა, № ... მ. ჩ-ის საკუთრებაა, რომელიც, 20.09.10წ. სანოტარო აქტით, მართვის უფლებით გადაცემული ჰქონდა ზ. ტ-ეს. საქმის მასალების მიხედვით არადეკლარირებული 400 კგ. ყურძენი საქონლის მფლობელისათვის საბაჟო ორგანოს არ დაუბრუნებია.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ურთიერთობის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29.1 მუხლი, რამდენადაც აღნიშნული მუხლის რედაქცია, რომელიც მოქმედებდა სანქციის შეფარდებისას, ვრცელდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით და არა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო სამართალდარღვევებზე. 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად, იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საბაჟო წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო, მდგომარეობს ამ საგნის სახელმწიფო საკუთრებად იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემაში, კონფისკაციას ექვემდებარებოდა მხოლოდ დამრღვევის პირადი საკუთრების საგანი, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია თუ რატომ არ უნდა იქნეს გამოყენებული მითითებული ნორმით დადგენილი წესი იმ საბაჟო სამართალდარღვევებზე, რომელთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომები დადგენილი იყო საბაჟო კოდექსით, ამასთანავე, სასამართლო არ უთითებს თუ სახელდობრ რომელი საბაჟო სამართალდარღვევა იყო გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც ითვალისწინებდა სანქციის სახით ქონების კონფისკაციას. ამასთანავე, 29-ე მუხლის 01.01.2011წ. ამოქმედებული განახლებული რედაქცია შეიცვალა მხოლოდ იმ კუთხით, რომ იგი გავრცელდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის მიმართ. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო 17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის მიღებით, რომლის ამოქმედებასთან ერთად (01.01.11წ.) გაუქმდა საბაჟო კოდექსი და საბაჟო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები თავმოყრილი იქნა საგადასახადო კოდექსში. შედეგობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 20.12.06წ. № 238 დადგენილებით დამტკიცებული „საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამართალდარღვევის სუბიექტის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ გამოსაყენებელი უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის თანახმად, აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანქციის უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება სამართალდარღვევის სუბიექტის ქონება ან/და სამართალდარღვევის ობიექტი იყო. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას უნდა შეაფასოს სამართალდარღვევის ჩადენის საშუალების – ავტომანქანის ჩამორთმევის მართლზომიერება.

სადავო სამართალურთიერთობის მიმართ 29-ე მუხლის ძველი რედაქციის გავრცელებაზე უარის თქმის მიუხედავად, სააპელაციო პალატა ეთანხმება 29-ე მუხლის ახალი რედაქციით საბაჟო სამართალდარღვევებზე გავრცელებას, ამასთანავე თვლის, რომ ნორმის ახალ რედაქციას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის ძველი რედაქციის გავრცელებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29.1 მუხლში 01.01.2011წ. კანონით შეტანილი ცვლილებას (რომლის თანახმადაც საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგნის კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ დამრღვევის პირად საკუთრებაში არსებული საგნის მიმართ, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) არ უნდა მიეცეს უკუქცევითი ძალა, რამდენადაც იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება, კანონმდებლის მიერ ნორმით შეღავათიანი რეჟიმის დაწესება ანიჭებს მას ე.წ. „ნამდვილი უკუძალის“, რეტროაქტიული ზემოქმედების ეფექტით.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა არის სამართალდარღვევის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის მიმართაც (ზემოაღნიშნულ კანონში სპეციალური წესის არ არსებობის გამო) უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც სამართალდარღვევის ჩადენისათვის სანქციის შეფარდების წესებს ადგენენ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამ კოდექსის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლები განსაზღვრავენ სამართალდარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის შეფარდების ზოგად წესს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისი კანონის ნორმებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები უნდა გაეთვალისწინებინა.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების ერთ-ერთ საფუძველს, ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წარმოადგენს, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი. ამავე კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად კი ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მიერ ერთდროულად ერთი მუხლით (მუხლის ერთი ნაწილით/პუნქტით) განსაზღვრული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დამრღვევს აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ერთი სახდელი დაედება. ერთდროულად სხვადასხვა მუხლით (მუხლის სხვადასხვა ნაწილით ან პუნქტით) განსაზღვრული რამდენიმე (ორი ან მეტი) სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში კი, თუ საქმეებს ერთდროულად ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს, სამართალდამრღვევს უნდა დაედოს ერთი სახდელი, იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის საქმეები ერთდროულად ან/და ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ არ განიხილება, ადმინისტრაციული სახდელი დამრღვევ პირს დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რაც შეეხება სხვადასხვა დროს ჩადენილი ორი ან მეტი სამართალდარღვევის შემთხვევას, ისინი ერთმანეთისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, მხოლოდ განმეორებით იგივე/ერთგ-

ვაროვანი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში მიიჩნევიან (ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში მითითებული ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ – განმეორებით იგივე/ერთგვაროვანი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში მიიჩნევა. შესაბამისად, შპს „...“-ის ადმინისტრაციული სახდელი არა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკისრებოდა, რადგან 2011 წლის 21 დეკემბერს არსებული მდგომარეობით თითოეული სამართალდარღვევისათვის სახეზე იყო პირველად დაჯარიმების (დარღვევის პირველად განმეორების) შემთხვევა, ვინაიდან, პირველი და მეორე სამართალდარღვევა არაერთგვაროვან/სხვადასხვა სამართალდარღვევას წარმოადგენდა, ხოლო მესამე სამართალდარღვევა კი – სამაუწყებლო არხების არამართლმომიერი გადაცემის ნაწილში – პირველი სამართალდარღვევის, ხოლო ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის ნაწილში – მეორე სამართალდარღვევის იდენტური იყო.

საქმე № ბს-626-596(კ-07) 25 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი
განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობის დროს (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი)

სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციის – ინსპექტორსა და მძღოლს (კასატორ ზ. ნ.-ს) შორის.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ 2006 წლის 16 იანვრის დილის 10 00 საათზე ...-ზე ავტომანქანით მოძრაობისას კასატორი ზ. ნ.-ი გააჩერა საპატრულო პოლიციამ, რომლის მიჩნევით მძღოლი ...-ზე არ დაემორჩილა შუქნიშნის ამკრძალავ წითელ ფერს, რაც კანონის მიხედვით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის თაობაზე პატრულის მიერ შედგენილ იქნა ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე 101554 /იხ.ს.ფ. 2/, ოქმის მიხედვით ზ. ნ.-მ უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე.

ზ. ნ.-მ სადავოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქტი, მიიჩნია რა, რომ მას არ გაუვლია ამკრძალავ წითელ ფერზე. ამასთან, სადავო გახადა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მართებულობა და მოითხოვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის გამოყენება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავისი იურიდიული ბუნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, აღნიშნულისაგან პრინციპულად განსხვავებული ანუ ადმინისტრაციასთან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს განსაზღვრულ ფორმალურ წესს ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც დაცული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სამართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემულ კანონ-ქვემდებარე ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საქართველოს შს მინისტრის 2005 წლის 4 აგვისტოს 792 ბრძანებით დამტკიცებულ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარი-მო ქვითრისა და სატრანსპორტო საშუალების მისთვის დროებითი ნებართვის ფორმირების დამტკიცების, მათ შევსებასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს საჯარიმო ქვითრის შევსების შესაძლებლობას და წესს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ იმ შემთხვევებში, როცა კოდექსის შესა-ბამისი მუხლით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ჯარიმას, სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, ხოლო საამისოდ უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევათა საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს, მიუხედავად იმისა, დამრღ-ვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას. ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სამართალდარღვევის უფლება, სურვილის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის | ნაწილს დაურთოს ახსნა-განმარტება და შენიშვნები, სადაც კეთდება სათანადო ჩანა-წერი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარ-ღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხ-ვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადე-ბის და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის მიხედვით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტი უნდა პასუხობდეს ამავე კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციული წარმოებისათვის (შესაბა-მისი სახით) დადგენილ წესს. კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინისტრაციული სანქციების დადებასთან დაკავშირებით. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრი-ვი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით ყოველი პროცესუალური კანონმდებ-ლობა აირეკლავს და ითვალისწინებს შესაბამისი დარგის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს, პრინციპებს, მიზანს. ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების მეშვეობით პირი ახდენს თავის სუბიექტური უფ-ლებების-სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის რეალიზაციას, ხოლო სასამართლო ამოწმებს ადმი-ნისტრაციის მოქმედების კანონიერებას.

ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დად-გენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებულ ურთიერთობებიდან წარმო-იშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იური-დიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარე-მოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, ნორმა განსაზღვრავს თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოში, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება, შეფასება და ა.შ.

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შევიბრებიითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის I პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შევიბრებიითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადაწევა აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მოწმეთა აუცილებელ დასწრებას, იგარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძობას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით არ არის განსაზღვრული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე გადაწევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკითხთან მიმართებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე, არ უნდა იქნა გამოყენებული, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სადავო და დამტკიცებას ექვემდებარება არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე /სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერება, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენცია, სამართალშეფარდების შესაბამისობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრინციპების დაცვა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ა.შ/ არამედ, სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნას გადაწეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნას გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუ-

ხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმფციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის კანონიერება მოწმდება არა სამართლებრივი საფუძველებით (სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი) არამედ, ფაქტის არასწორად დადგენისა და შეფასების შედეგად არასწორად ნორმის შეფარდების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადავო აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღწერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამდვილობის დადგენაზე, ლოგიკურია, რომ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1. მუხლით გათვალისწინებული საერთო წესი მტკიცების ტვირთის პროპორციულობის და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებების შესახებ, რაც დაცულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სასამართლოს წინაშე იმ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, რომ მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია, მისი განმარტებით სადავო მომენტში მას ეჩქარებოდა სამსახურში, რის გამოც მან ვერ შეძლო პატრულ-ინსპექტორი დაერწმუნებინა თავის სიმართლეში, ანუ სხვა ინტერესის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და შესაბამისი ახსნა-განმარტება არ მოუხდენია ადგილზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, შემდეგზე, რომ „სააპელაციო სასამართლოს განჩინების მოტივაციის თანახმად, პატრულ-ინსპექტორს შეუძლია „სწორად შეავსოს“ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმი, ჩაწეროს მასში დამრღვევ პირად ნებისმიერი გამვლელი ავტომანქანის ნომერი და მეპატრონე, მიაწეროს რომ პირი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე და არ ეთანხმება ოქმში მოყვანილ გარემოებებს. აღნიშნულის საფუძველზე საპატრულო პოლიცია გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და დააჯარიმებს მოქალაქეს ისე, რომ ასეთ გარემოებას ადგილი არც ექნება მისი მხრიდან და შესაძლოა, მან ეს მხოლოდ აღნიშნული ჯარიმის ქვითრის მიღების შემდეგ შეიტყოს“, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის ამ მოსაზრებაში იხატება არაკეთილსინდისიერი პატრულ-ინსპექტორის მორალური სახე, რაც არ შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპს. საქმის მასალებით დადგენილია და ამას თავად მოსარჩელეც არ უარყოფს, რომ მან მითითებულ ტერიტორიაზე გაიარა სწორედ ამ დროის მონაკვეთში და ამდენად, სამართალდარღვევის ამგვარი „გამოვლენა“, ე.ი. ფიქტიური სამართალდარღვევა არ არის სადავო, ეს მხოლოდ მოსარჩელის ჰიპოთეტური ვერსიაა და მას კონკრეტულ შემთხვევასთან საერთო არა აქვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ჩადენისას გაცილებით მარტივია ფაქტის გამორკვევა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, ვიდრე სასამართლოში, რამდენადაც სადავო გარემოების უშუალო მტკიცებულება (ვიდეოთვალი ან სხვ.) ან ნეიტრალური მოწმე არ არსებობს, თუმცა, სავსებით შესაძლებელია სადავობის შემთხვევაში ამგვარი ან მსგავსი მტკიცებულებების წარმოდგენის ალბათობა, მაგ. მტკიცებულება, რომ იმ მომენტში საერთოდ არ მუშაობდა შუქნიშანი, პატრულ-ინსპექტორის დისციპლინური დასჯის არსებობა მიუკერძოებლობის და არაობიექტურობის გამო, თვითმხილველთა ჩვენებები, ანუ მტკიცების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა უზრუნველყო ფაქტის დამტკიცება, რაც მან ვერ მოახდინა. ამ ვითარებაში, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლომ

არსებითად სწორად შეაფასა საქმის გარემოებები, ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას და ობიექტურად კანონიერად იქნა გადაწყვეტილი დავა.

საქმე № ბს-1635-1589(კ-08)

30 ივნისი, 2009 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობის დროს (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი)

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციის ინსპექტორსა და მძღოლს – ნ. პ-შვილს შორის.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ 2007 წლის 18 მარტს 11.20 საათზე თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის მე-7 კ.მ-ზე მოსარჩელის მიერ ავტომანქანით მოძრაობისას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ – ვ. გ-ძის მიერ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი № ბა 152164 /ღვედის გამოუყენლობის გამო/ და საჯარიმო ქვითრის საფუძველზე, ადმინისტრაციული სახდელის სახით ნ. პ-შვილს განესაზღვრა ჯარიმა 20 ლარის ოდენობით. ოქმის მიხედვით ნ. პ-შვილმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე.

ნ. პ-შვილმა სადავოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქტი, მიიჩნია რა, რომ სამართალდარღვევის არსებობის პირობებშიც იმ მანძილიდან, სადაც იმყოფებოდა პატრულ-ინსპექტორი ვერ შეამჩნევდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ანუ სახეზე იყო შეცდომა. ამასთან, პატრულ-ინსპექტორის შემთხვევის ადგილზე არ მომხდარა საქმის გარემოებების გამოკვლევა. ასევე, სადავო გახადა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მართებულობა და მოითხოვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესულური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპროცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების

გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაიცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია მიღწეული ვერ იქნეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სავსებით უგულვებელყო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი, საჯარო ინტერესის უზრუნველყოფი უფლებამოსილება (მით უფრო იმ ვითარებაში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა გადაწყვიტა მოსარჩელის სასარგებლოდ). კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია ზომები, დამატებითი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაშინ, როცა ისედაც მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა წრე უკიდურესად შეზღუდულია.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში /საქმეზე ზ. ნ-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ/ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს და კვლავაც იზიარებს მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მოწმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომ-

ვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამოირიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძობას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით არ არის განსაზღვრული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე გადანაწილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკითხთან მიმართებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე, არ უნდა იქნა გამოყენებული, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სადავო და დამტკიცებას ექვემდებარება არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე /სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერება, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენცია, სამართალშეფარდების შესაბამისობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრინციპების დაცვა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ა.შ/ არამედ, სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნას გადანაწილებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნას გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმფციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის კანონიერება მოწმდება არა სამართლებრივი საფუძვლებით (სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი) არამედ, ფაქტის არასწორად დადგენისა და შეფასების შედეგად არასწორად ნორმის შეფარდების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადავო აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღწერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამდვილობის დადგენაზე, ლოგიკურია, რომ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1. მუხლით გათვალისწინებული საერთო წესი მტკიცების ტვირთის პროპორციულობის და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ სასამართლო აღარ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს საკუთარი ინიციატივით. სადავო ფაქტთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის პროპორციული გადანაწილების ფორმულა სრულებით არ გამოირიცხავს სასამართლოს უფლება-

მოსილებას. პირიქით, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლომ ყველა შესაძლებელი ფაქტობრივი გარემოება უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი წერილობითი ხასიათის მტკიცებულება – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენილება, მტკიცებულება იმდენად, რამდენადაც მასშია აღწერილი გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტი, პირობები, დამრღვევი სუბიექტი. ამავდროულად, აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს დავის საგანს, რამდენადაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მის კანონიერებას, აქტში აღწერილი იურიდიული ფაქტის ნამდვილობის კონტექსტით ანუ სწორედ ერთერთ წერილობით მტკიცებულებაში აღწერილი, გადმოცემული ფაქტი წარმოადგენს სადავოს და მტკიცების საგანს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

მტკიცებულებათა ამგვარი სიმწირის პირობებში სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს არსებობს თუ არა სადავოდ გამხდარი გარემოების სხვა უშუალო მტკიცებულებები, მაშინ, როცა სასამართლომ არ შეაფასა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება, არ დაკითხა მოწმეებად თავად პატრულ-ინსპექტორი, მოსარჩელის ავტომანქანაში მყოფი თანამგზავრი, არ გამოიკვლია პატრულ-ინსპექტორის მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სათანადო უნარ-ჩვევების დამამტკიცებელი გარემოება /პოლიციის მოხელის პირადი საქმე/, არ მოუწვევია სპეციალისტი, რათა გაერკვია, რამდენად შესაძლებელი იყო პოლიციელს მაქსიმალურად ზუსტად აღექვა სამართალდარღვევის ფაქტი, იმ მანძილიდან, მიმართულებიდან, როგორც ეს აღწერა /რასაც სადავოდ ხდის მოსარჩელე/.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ წერილობითი სახის მტკიცებულებათა პრაქტიკულად არარსებობის პირობებში უნდა მოიპოვოს ზეპირი სახის მტკიცებულებები და სსსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესის მიხედვით ობიექტური შეფასება უნდა მისცეს მათ.

საქმე № ბს-544-535(კ-12)

2 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მითოვება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია: 2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი, კუთვნილი „მაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით ..., მოსაბმელი სახელმწიფო ნომრით ...) მართვისას, ქ. თბილისში, დილომი-10 -ის საავტომობილო გზაზე, ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით მოედო სიმაღლეზე გამავალ გაზამტარ მილს, რის შედეგადაც მილი გატყდა. შეჯახების შემდეგ, ვინაიდან გატეხილი მილიდან გამოდიოდა გაზი, აფეთქების თავიდან ასაცილებლად მძღოლმა ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით, ისე რომ არ მოუნიშნავს ავტომანქანის მდებარეობა შეჯახების შემდეგ.

მოსარჩელემ სადავო გახადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მიიჩნია, რომ ოქმში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საჯარიმო ქვითარში დაჯარიმების საფუძვლად მითითებული მიზეზი და სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლი ურთიერთწინააღმდეგობაშია. ოქმში მითითებული რომ თითქოს მან ვერ უზრუნველყო საგაბარითო სიმაღლის უსაფრთხოება და ამიტომ შეეჯახა ჰაერში გამავალ მილს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას არ განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს № ბდ 967448 საჯარიმო ქვითარი, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, შემდეგ გარემოებათა გამო: 1.სადავო აქტში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ოქმში მითითებული, რომ „ბ-მა ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და შეეცახა ჰაერში გამავალ მილს“, არ ჰპოვებს დადასტურებას საქმის მასალებით, პირიქით, დადგენილია, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი გაზის მილი, რომლის სიმაღლე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის № 1-1/525 ბრძანების მიხედვით უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით. ამდენად, აქტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოება არ ემყარება შემთხვევის ადგილზე საქმის გარემოებების ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას, შესაბამისად, ნორმათშეფარდების ფუნქცია განხორციელებულია სრულიად კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებასთან მას საერთო არა აქვს.

2. აქტში აღწერილი მეორე ფაქტობრივი გარემოება – „მძღოლმა ავტომანქანა შეეცახების ადგილიდან თვალთახედვიდან ყავდა გაყვანილი“ /ციტირებულია. იხ.ს.ფ. 10. ტ. 1/, რაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1. მუხლის შეფარდების საფუძვლად, ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, თუ რამდენად კანონიერად დაკვალიფიცირდა კონკრეტული ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის, რომელშიც დეფინირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განმარტავს: ქმედება, რომლითც გამოხატულია პოზიტიური თუ ნეგატიური ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) კვალიფიცირდება თუ სახეზეა შემდეგი ერთობლიობა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები:

1. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა /მუხლი 13. /;
2. აუცილებელი მოგერიება /მუხლი 18./;
3. უკიდურესი აუცილებლობა /მუხლი 19. /;
4. შეურაცხადობა /მუხლი 20. /.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹ მუხლით განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე განხილვის წესი, კერძოდ: „ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.“

ადმინისტრაციული სახდელის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის მონაწილის სამართალდამრღვევად მიჩნევა, ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენა და სამართალდამრღვევისთვის სანქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას. სწორედ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში შეიძლება პირს შეეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, რომლის დადების ზოგადი წესების თა-

ნახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებული ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით / მუხლი 33. 1/.

ბოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სახდელის დადებისას შეფასების საგანს წარმოადგენს – ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის ზედმიწევნით დაცვის საფუძველზე.

მოსარჩელის გამოძახების საფუძველზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა გ. თ-მა გ. ბ-ის მიმართ შეადგინა საჯარო ვითარებაში ჩადენილი ქმედების ჩადენის ფაქტზე და დააჯარიმა მოსარჩელე 300 ლარით განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასება-განმარტების საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის* ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომელიც განეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას და მისი ჩადენა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთხსენებული ნორმის ჩამოყალიბებისას, კანონმდებელმა არ განსაზღვრა თუ რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობლიობა ჩაითვლება ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის, რაც უდავოდ საკანონმდებლო ხარვეზად უნდა შეფასდეს. ასევე, ამ საკითხს არ აწესრიგებს არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც შეავსებდა ხარვეზს. ამგვარ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიული აქტით ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკას, თუ როგორ გამოიყენებენ აღნიშნულ ნორმას მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებისას. ასევე, ქვეყანაში საჯარო წესრიგისა და სამართლიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელება მართლმსაჯულების განმხორციელებელი სასამართლო ორგანოების მხრიდან, რომ დაცულ იქნეს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რათა მიღწეულ იქნეს მმართველობითი სამართლის უმთავრესი მიზანი: ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, სამართალდარღვევად დადგენა ვერ პასუხობს სამართლის ნორმის სიცხადის, განჭვრეტადობის, განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტანდარტს, რის გამოც ნორმის გამოყენება-განმარტება ნორმატიული აქტით ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შესაძლებელია უკიდურესად ფართო და გაუმართლებელი დისკრეციის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. აღნიშნულის პრევენციისთვის აუცილებელია სასამართლო ორგანოებმა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით დაადგინონ ნორმის ლოგიკური გამოყენება-განმარტების ფარგლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, განხილული უნდა იქნეს საგზაო-სატრანსპორტო კანონმდებ-

* აღნიშნულ მუხლში ცვლილება შევიდა 2013 წლის 24 დეკემბერს, მოქმედი რედაქციით სამართალდარღვევას წარმოადგენს „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ლობის მოთხოვნების კონტექსტში, კერძოდ, 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლით დადგენილია მძღოლის ზოგადი მოვალეობები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის ქცევის სტანდარტი განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-7 პუნქტით, რომლის მიხედვით: ა) დაუყოვნებლივ გააჩეროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო საშუალება, ჩართოს საავარიო მაშუქი სიგნალიზაცია.*

დ) სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანდასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის.

აღსანიშნავია, რომ არც მოცემული ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების კვალიფიკაციის განმსაზღვრელ გარემოებებს. ამგვარ ვითარებაში, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადების, ასევე, კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მძღოლისთვის შეფარდება უნდა გამომდინარეობდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნებიდან და ეფუძნებოდეს ობიექტურად გამოკვლეულ და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის ა) და დ) ქვეპუნქტებით—დადგენილი მოთხოვნები—მიზნად ისახავს და უზრუნველყოფს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების ზუსტ და უტყუარად დაფიქსირებას, მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრას, დაშავებულის დახმარებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმებით კანონმდებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლს, ავალებს რა შემთხვევის ადგილის ფაქტების ფიქსაციას, განიხილავს მას, როგორც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის კეთილსინდისიერ თანამონაწილედ, რაც საპოლიციო ორგანოების საქმიანობისა და საჯარო წესრიგისა და კანონიერების დაცვაში ხელშეწყობას მოიცავს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს საგამონაკლისო, ატიპიურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის არსებობას და მათ მიმართ იდენტური მიდგომები შესაძლებელია გაუმართლებელი აღმოჩნდეს

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამგვარ არაორდინალურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო პოლიციის მოხელის სტანდარტულმა მიდგომამ, საბოლოოდ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიად უნდა დაკვალიფიცირდეს მძღოლის მოქმედების არაკეთილსინდისიერების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის, როგორც საჯარო ფუნქციის განხორციელებაში თანამონაწილეობის, თავის არიდების ობიექტურად დადასტურების პირობებში. მძღოლის მოქმედების შეფასებისას შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოირიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტები. რა ამოძრავებდა მძღოლს შემთხვევის ადგილის მიტოვებისას, ჰქონდა თუ არა ადგილი იმგვარ ობიექტურ გარემოებას, რა შემთხვევაშიც შეიძლება გამოირიცხოს მისი ბრალეულობის საკითხი, რამდენადაც პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემადგენლობა სახეზე არ არის

მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ისე შეაფასეს კანონიერად საპოლიციო ორგანოს მიერ გ. ბ-ის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიჩნევის საკითხი, რომ ვერ დაასაბუთეს, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა, ობიექტურად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული შემთხვევის ადგილზე

* ანალოგიურ დანაწესს შეიცავს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

არსებული ვითარება, ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, რა მიზეზებმა განაპირობა მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა. საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ მძღოლს გ. ბ-ს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია, იგი დაელოდა პოლიციის მისვლას ადგილზე. სიზუსტისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილი დატოვა“ სატრანსპორტო საშუალებამ მეორე (სათადარიგო) მძღოლის მეშვეობით. სასამართლოებს არ შეუფასებიათ, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა იყო თუ არა გამოწვეული მომეტებული საფრთხის – ბუნებრივი გაზის გაჟონვის შესაძლო შედეგების (მაგ, აალება, აფეთქება და სხვა მსგავსი) თავიდან ასაცილებლად. შეეძლო თუ არა მძღოლს ამგვარ ექსტრემალურ ვითარებაში ობიექტურად განესაზღვრა მომეტებული საფრთხის მასშტაბი, მისი გადაწყვეტილება – განერიდებინა მატერიალური ქონება, სატრანსპორტო საშუალება მისი განადგურების, დაზიანების რისკის ზონიდან, გამომდინარეობდა მატერიალური ზიანის თავიდან აცილების, თუ შემთხვევის ადგილის ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის მიზნიდან. მძღოლის მოქმედების მიზნის განსაზღვრა უნდა დაემყაროს კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილის როლის გამორკვევასა და შეფასებას. დადასტურებულია, რომ შეჯახება გამოიწვია არა მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების, არამედ, ჰაერში გამავალი გაზის მილის სიმაღლის ნორმატიულად – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის № 1-1/525 ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტის დარღვევამ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის პრინციპულია, გაირკვეს ნორმის ფუნქცია, რათა სამართალშეფარდების მომენტში სანქციამ შეასრულოს ნორმის შექმნის მიზანი.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმის ნამდვილი შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების სამართალდარღვევად მიჩნევის და მისი სანქცირების დადგენით, კანონმდებელი პასუხობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანებს, რომლის მიხედვით ასეთს წარმოადგენს: „მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით“.

ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება სწორედ რომ ეწინააღმდეგება ქვეყანაში საჯარო წესრიგს, წარმოადგენს საერთო ცხოვრების წესების უპატივცემულობას, ხელს უშლის კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას.

აღნიშნული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. **საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნორმათშემფარდებელმა ორგანოებმა, კონკრეტულად მოხელე-პოლიციელებმა სამართალშეფარდების პროცესში უნდა გამოიკვლიონ და დაადგინონ შემთხვევის ადგილის მიტოვებისას მძღოლის ბრალეულობის (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) საკითხი. საკასაციო სასამართლო ლოგიკურად მიიჩნევს, რომ მონაწილე მძღოლის ქმედება შესაძლებელია ამგვარად დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაშიც, როცა თავად ადგილზე რჩება, მაგრამ ავტოსატრანსპორტო საშუალებას შეუცვლის ადგილმდებარეობას (გადაყენებს, გაარიდებს ან სხვა ამგვარი), თუკი იგი ამას ჩაიდენს ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლად), ე.ი. როცა ის შეგნებით მოქმედებს/უმოქმედობს ან ქარაფშუტულად ვარაუდობს ან არ ითვალისწინებს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მაგნი შედეგების დადგომის შესაძლებლობა.**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის ბრალეულობის საკითხის გამორკვევა, შეფასება, დადგენა უმნიშვნელოვანესი და ურთულესი სამართლებრივი ღონისძიებაა, რის გამოც ნორმათშემფარდებელი მოხელე

პოლიციელები აღჭურვილნი უნდა იყვნენ საფუძვლიანი იურიდიული ცოდნით, მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის, დადგენის ტექნიკას, შესაბამის აუცილებელ სათანადო უნარ-ჩვევებს. აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს საპოლიციო ორგანოებმა უნდა გაატარონ მასშტაბური სამართლებრივი, ტექნიკური, პროფესიული სწავლების ინტენსიური ღონისძიებები, რათა თავიდან იქნას აცილებული საპოლიციო ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება, რაც ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზი ხდება.

საქმე № ბს-770-739(კ-08) 18 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი
განმარტების საგანი: ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ 2007 წლის 24 ოქტომბერს თ. ჭ-ას მიმართ საპატრულო პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც დადგინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129.1 მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ტვირთამწეობის დადგენილ ზღვარზე გადაჭარბება. მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანა „მერსედეს-ბენც-ს“ მწარმოებლის მიერ დადგენილი აქვს ტვირთამწეობის ზღვარი – 7490 კგ, თუმცა ავტომანქანას კონსტრუქციული ცვლილების შედეგად გაზრდილი ჰქონდა ტვირთამწეობა. აღნიშნული კონსტრუქცია განახორციელა შპს „ი-მა“, რომელსაც ოფიციალურად გააჩნია მსგავსი საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა მოსარჩელის მიერ არ მომხდარა ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილების სამართლებრივი რეგისტრაცია. შესაბამისად, ავტომანქანის დასაშვები წონაა 13105 კგ. სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გადასატანი ტვირთი დასაშვებ ზღვარზე 3470 კგ-ით მეტი იყო, რაც ტვირთამწეობის გაზრდის შედეგად დასაშვებ ზღვარზე – 13105 კგ-ზე 2145 კგ-ით ნაკლებია.

საკასაციო სასამართლო „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 9.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, ხოლო მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, სავალდებულო რეგისტრაციას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.* ამავე ნორმის მე-3 პუნქტის თანახმად, ახლად დამზადებული თვითნაკეთი ან შეცვლილი შეთანწყობით, ან სხვა აგრეგატებითა და კვანძებით აწყობილი, დამატებითი მოწყობილობებით ახლად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია მისი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, აკრძალულია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონით დადგენილი ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილების – გაზრდილი ტვირთამწეობის სამართლებრივი რეგისტრაციის არარსებობის ფაქტს, არსებითი – განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენადაც მოსარჩელის მიერ ავტომანქანის ტვირთამწეობის გაზრდის მიზნით ჩატარებული სამუშაოები (ავტომანქანის კონსტრუქცია შპს „ი-ის“ მიერ ჩატარებული, რომელსაც ოფიციალურად გააჩნია მსგავსი საქმიანობის განხორციელების უფლება), მხოლოდ სამართლებრივი რეგისტრაციის შედეგად შეიძენდა ლეგიტიმურ ხასიათს, ანუ სწორედ რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ არის დასაშვები გადააკეთებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაცია წარმოადგენს სავალდებულო პროცედურას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის საფუძველზე ამოწმებს ა/მანქანის გადაკეთების შესაბამისობას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დადებით შემთხვევაში, განაპირობებს ამგვარი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების მართლზომიერებას. მეტიც, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი ადგენს მძღოლის ზოგად მოვალეობებს, რომლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები.

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასაციის მოტივს, რომ თ. ჭ-ას მიერ ადგილი არ ჰქონია სამართალდარღვევის ჩადენას, ვინაიდან ავტომანქანას კონსტრუქციული ცვლილების შედეგად გაზრდილი ჰქონდა ტვირთამწეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ **იმ პირობებში, როცა მოსარჩელის მიერ არ მომხდარა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 9.1 მუხლით იმპერატიულად დადგენილი ვალდებულების შესრულება ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილებების გაზრდილი ტვირთამწეობის სამართლებრივი რეგისტრაცია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასაციის მოტივს, რომ კასატორის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა უნდა დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 122.2 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ავტომანქანის დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე მართვისათვის და ადგენს სახდელის სახით ჯარიმას – 300 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 122.2. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვა რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ნორმით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა სახეზეა ავტომანქანის რეგისტრაციის წესების დარღვევით მართვა, რაც არ გამორიცხავს, რომ სახეზეა გამოვლენილი სამართალდარღვევა, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოტანის საფუძველი გახდა ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილებების – გაზრდილი ტვირთამწეობის რეგისტრაციის არარსებობა, რაც სწორად დაკვალიფიცირდა საპატრულო პოლიციის მიერ 129¹ მუხლით დადგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვას ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

საქმე № ბს-585-575(კ-12)

5 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისთვის დადგენილი რეკვიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. **ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.**

საქმე № ბს-808-777(კ-08)

8 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმის გასაჩივრება

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ 2006 წლის 11 მარტს საპატრულო პოლიციის მიერ კასატორ რ. გ-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი № 126610, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე გათვალისწინებული ასკ-ის 129¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, რის საფუძველზეც კასატორი დაჯარიმდა 4210 ლარით.

2006 წლის 10 აპრილს კასატორმა საჩივრით მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გაუქმების მოთხოვნით.

2006 წლის 20 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აქტით, საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადის გაშვების გამო, კასატორს უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სასამართლოს მსჯელობას გასაჩივრების ვადების ათვლასთან დაკავშირებით და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უდავოდ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასარჩელო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მხარეს არ ეძლევა უფლება აირჩიოს ის სამართლებრივი მექანიზმი რომლის მეშვეობითაც მისი სამართლებრივი ინტერესი უფრო სწრაფ მიღწევადი იქნება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება ან გადაწყვეტილება არღვევს მოქალაქის უფლებებს, მას აქვს გასაჩივრების შესაძლებლობა რაც წარმოადგენს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საშუალებას. ერთ-ერთ ასეთ დაცვის მექანიზმს მიეკუთვნება ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს თვითკონტროლის განხორციელების, ხოლო ფიზიკურ (იურიდიულ) პირს დავის უფრო სწრაფად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ რ. გ-მ დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია სამართალდარღვევათა თაობაზე მიღებული აქტის გასაჩივრება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით. მითითებული კატეგორიის აქტების გასაჩივრების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი განაწესისაგან. კერძოდ, სამართალდარღვევის სახეები, მათ მიმართ გამოსაყენებელი საჩივრები და გასაჩივრების წესი განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომლის 273-ე მუხლი შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ.

უდავოა, რომ აღნიშნული კოდექსი გასაჩივრების შესაძლებლობას იძლევა 10 დღიან ვადაში, რაც არ გამოირცხავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას აღადგინოს გასაჩივრების ვადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის მიღება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს თავისუფალი გადაწყვეტის სფეროს. ბუნებრივია, აღნიშნული სასამართლოს არ ართმევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვადის აღდგენაზე უარის თქმის მართებულობა, რის შესაძლებლობასაც წინამდებარე შემთხვევაში მოკლებულია საკასაციო სასამართლო, ვინაიდან მხარეს ასეთი მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გაშვების მოტივით უარი ეთქვა პირისათვის საჩივრის განხილვაზე. შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება საჩივრის განხილვაზე მისი მოწვევის სავალდებულობის თაობაზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და არ მომხდარა მისი საუფუძვლიანობის შემოწმება.

აქვე საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მას არ გამოუყენებია სამართალდარღვევათა ოქმის (რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მიეკუთვნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს) სასარჩელო წესით გასაჩივრების წესი და ვადები, რის გამოც სასამართლო მოკლებულია მითითებული აქტის კანონშესაბამისობის განსაზღვრის შესაძლებლობას.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების ვადის აღდგენა; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლი; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი და 180-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საქმის მასალების მიხედვით ფაქტობრივი გარემოებებით, დადგენილია რომ 2009 წლის 06 მარტს ა. წ-შვილი მოძრაობდა სს „...“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით (სახელმწიფო № ..., მისაბმელით ...) და გადაჰქონდა სს „...“ კუთვნილი ტვირთი – ქვიშა (დასტურდება სერია ბბ-24 № 005961 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით), რა დროსაც გაჩერებულ იქნა საპატრულო პოლიციის მიერ, გადამოწმდა ტვირთის წონა, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციამ დადგენილად მიიჩნია ა. წ-შვილის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რადგან, აწონვის შედეგად, ავტოსატრანსპორტო საშუალების საერთო მასამ შეადგინა 50880 კგ, რაც 6880 კგ-ით მეტი იყო ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილ ტვირთამწეობის ზღვრულ მასაზე – 44000 კგ-ზე. შესაბამისად, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი № 869448 საჯარიმო ქვითრით ა. წ-შვილს დაედო ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 3440 (სამი ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით. საჯარიმო ქვითარი ჩაიბარა სამართალდამრღვევმა ადგილზე, იმავე დღეს.

2009 წლის 13 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საჩივრით მიმართა სს „...“ და მოითხოვა № 869448 საჯარიმო ქვითრის გაუქმება, რაზედაც გამოიცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 23.03.09 წ. № 20/6-2599 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მითითებული საჯარიმო ქვითრის გასაჩივრების უფლება ჰქონდა მხოლოდ უშუალოდ სამართალდამრღვევს – ა. წ-შვილს.

2009 წლის 30 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საჩივრით მიმართა ა. წ-შვილმა და მოითხოვა № 869448 საჯარიმო ქვითრის გაუქმება, რაზედაც გამოიცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 06.04.09 წ. № 20/6-წ/5 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ გასული იყო საჯარიმო ქვითრის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა.

2009 წლის 11 მაისს ა. წ-შვილმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 06.04.09 წ. № 20/6-წ/5 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, აგრეთვე – № 869448 საჯარიმო ქვითრის გაუქმება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 08 ივნისის № 718 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სამინისტრომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი გასაჩივრების ვადის აღდგენისათვის, რადგან № 869448 საჯარიმო ქვითარში ნათლად იყო დაფიქსირებული სამართალდამრღვევად ა. წ-შვილი და არა სს „...“.

სასარჩელო წესით ა. წ-შვილმა სადავოდ გახადა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 6 აპრილის № 20/6-წ/5 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 08 ივნისის № 718 ბრძანება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹-ე მუხლის შინაარსის განმარტებას, კერძოდ, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა, რომლით გამოწვეული ზიანის ობიექტია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. რომ აღნიშნული ქმედებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტიც არ არის ერთპიროვნულად განსაზღვრული, რადგან იგი შეიძლება იყოს, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორი (მძღოლი) – ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე.

ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – თანაზომიერების პრინციპის რეალიზაციის მიზნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული წარმოების ამ სახეში გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობა, კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გაშვებული ვადა უნდა აღადგინოს, თუ მისი გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

ანალოგიურ შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლიც, რომლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის კომპეტენცია განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. აღნიშნული უფლებამოსილება ზემდგომით ხელსაყრელია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან გაშვებული ვადის აღდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა სამართლებრივი კონტროლი განახორციელოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე, თავიდან იქნას აცილებული სასამართლო დავა, რაც დამატებით სამოხელეო და საბიუჯეტო ტვირთთან არის დაკავშირებული.

დისკრეციული უფლებამოსილების დეფინიციის /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ლ) ქვეპუნქტი/ მიხედვით ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ვადის გაშვება, უნდა შეაფასოს, რამდენად ობიექტურ ხასიათს ატარებს ის მიზეზები /სუბიექტური ფაქტორი /, რამაც გამოიწვია ვადის გაშვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება უმნიშვნელოვანეს პროცედურულ სტადიას წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული გამოცემული აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. რამდენადაც სწორედ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს მოწესრიგებისთვის სამართლის ნორმის შეფარდება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასეს სამართალდარღვევის კოდექსის 234¹-ე მუხლი და სასამართლო პირდაპირ შეიტრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში და განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შებოჭილია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონისმიერი დათქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის სამართლებრივი არგუმენტი მცდარია, რაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტის – დისკრეციული უფლებამოსილების მეტად ზედაპირული გაგებიდან; ამგვარი მსჯელობა საერთოდ გამორიცხავს და ფორმალურ ნიშნამდე დაჰყავს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე.

მმართველობითი ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების არასწორი, ფორმალისტური გაგება წარმოადგენს არაკვალიფიციურ შეფასებას და ამგვარი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება ხელ-ფეხს გაუხსნიდა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კანონშეუსაბამო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებას საქართველოში, მაშინ, როცა სასამართლო ორგანოების პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, მათი გადაწყვეტილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უკომპრომისო შემოწმების მეშვეობით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას და ემსახურება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური – ხელისუფლების დანაწილების და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის რეალიზაციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა გამოიკვლიონ რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენა-შეფასებას. სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები, ოპტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივ შეფასებასა და დასკვნას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, კერძოდ, კანონით დადგენილი ვადის გაშვების საპატიოობის გამოკვლევა-შეფასებისას მიღებული გადაწყვეტილების სისწორის, კანონშესაბამისობის დასაბუთება. ადმინისტრაციული ორგანოების სამართლებრივი შეფასება საერთოდ გამორიცხავს ა. წ-შვილის ინტერესების გათვალისწინებას. მაშინ, როცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილით კოდექსის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა, შეიძლება თუ არა საპატიოდ იქნას მიჩნეული ა. წ-შვილის იმედოვნება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა არა მხოლოდ მას, არამედ, მის დამქირავებელ იურიდიულ პირსაც. ხოლო, დამქირავებლის – ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის სუბიექტად არმიჩნევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის საფუძველი გახდა. ამგვარი შეფასების მოხდენისას ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ხარისხი, სამართლის ნორმის განსაზღვრულობის არასაკმარისი დონე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ზოგადი სურათი, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულება და სამართლებრივი დახმარების (დაცვის) ხელმისაწვდომობის პრობლემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არაპროპორციული ფორმალისტული მიიღეს გადაწყვეტილებები, რითაც საერთოდ უგულებელყვეს

ა. წ-შვილის კერძო ინტერესი – ძირითადი პროცედურული უფლების – ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის და მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების რეალიზაციის თაობაზე. მაშინ, როცა მიუკერძოებელი და ობიექტური განხილვის პირობებში, ა. წ-შვილის ვარაუდი, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტს წარმოადგენდა არამხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მძღოლი), არამედ, შესაკუთრეც, შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ვადის გაშვების პატივსადებ მიზნად.

საქმე № ბს-220-212 (2კ-13)

9 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე და მე-300 მუხლები)

განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ლ. გ-ისათვის არ იყო ცნობილი მართვის უფლების აკრძალვის შესახებ. მართვის უფლების თაობაზე დადგენილება არ ჩაბარებია ადრესატს და იგი არ აღსრულებულა კანონით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო არა მხოლოდ გაეგზავნა დადგენილების ასლი ლ. გ-ისათვის, არამედ მე-300 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად აღსრულებინა კიდევ დადგენილება მართვის მოწმობის ჩამორთმევით. ფაქტობრივად ლ. გ-ისათვის მართვის მოწმობის ჩამორთმევა მოხდა 2011 წლის 21 მაისს. ამ მომენტისათვის კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლით გასაზღვრული დადგენილების აღსრულების ექვს თვიანი ვადა უკვე გასული, ხოლო 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება აღსასრულებლად ხანდაზმული იყო .

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის განმარტებას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე ზოგადი ნორმით განსაზღვრული დადგენილების აღსრულების ექვს თვიანი ვადა, რადგან მართვის მოწმობის ფიზიკურად ჩამორთმევა კი არ ზღუდავს პირის უფლებას, არამედ დადგენილება ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ, ამასთანავე, კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა მძღოლს მართვის მოწმობის ტარებას აღარ ავალდებულებს.

აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლში რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების კანონის ფარგლებში განხორციელების სავალდებულო პრინციპი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება ხორციელდება კანონის მკაცრი დაცვის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სახდელების, მათ შორის, მართვის უფლების ჩამორთმევის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღზრდა კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283.1 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ დადგენილების აღსრულებას მისი გამოტანის მომენტიდან, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით დადგენილების გამომტანი ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს – აღასრულოს მის მიერ გამოცემული აქტი. ამასთანავე, მე-300 მუხლით განსაზღვრულია როგორ უნდა აღსრულდეს დადგენილება, რომლითაც პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა მართვის უფლების ჩამორთმევა და იმპერატიულად არის დადგენილი, რომ დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის

ჩამორთმევით, უფრო მეტიც, ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია იძულებითი წესით მოწმობის ჩამორთმევა, როცა მძლოლი, რომელსაც უკვე ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, თავს არიდებს მოწმობის ჩაბარებას. შესაბამისად, **საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 303-ე მუხლით დადგენილი სპეციალური უფლების – სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებისათვის უფლების ჩამორთმევის ვადის გამოანგარიშებისათვის დადგენილი წესი არ აქარწყლებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში მოახდინოს მის მიერ გამოცემული დადგენილების აღსრულება.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახედელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადას. სადავო არ არის ფაქტი, რომ რეალურად ლ. გ-ისათვის, როგორც დადგენილების არსებობის შესახებ შეტყობინება, აგრეთვე მართვის მოწმობის ჩამორთმევა განხორციელდა 2011 წლის 21 მაისს, მაშინ როდესაც დადგენილების გამოტანიდან გასული იყო ექვს თვეზე მეტი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლის თანახმად კი დადგენილება აღსასრულებლად იყო ხანდაზმული და აღარ ექვემდებარებოდა აღსრულებას.

ის, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მძლოლის მოწმობის ტარება სავალდებულო აღარ არის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე ადმინისტრირება გულისხმობს უფლებამოსილებათა განხორციელებისას ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა-გამოყენებას, შესაბამისად შსს სპეციალური ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნით და მართვის მოწმობის ტარების ვალდებულების მოხსნით კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს მძღოლების გათავისუფლება ზედმეტი ბიუროკრატიული წნეხისაგან, მმართველობის ეფექტიანი და სწრაფი განხორციელება და არა ფიზიკურად მართვის უფლების მოწმობის ტარებასთან რაიმე სამართლებრივი შედეგის დაკავშირება. ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით მოწმობის ფიზიკურად ტარება არ არის სავალდებულო მძღოლებისათვის, არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო გათავისუფლებულია კანონის მოთხოვნების შესაბამისად მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების (მართვის მოწმობის ჩამორთმევა) ვალდებულებისაგან. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის არ გამოყენების წინაპირობად ვერ მიიჩნევა მძლოლის მართვის მოწმობის გარეშე მოძრაობის დაშვების შესაძლებლობა. ეს ორი საკითხი ვერ იქნება ურთიერთდაკავშირებული და ვერ გამოდგება ხანდაზმულობის ვადის გაქარწყლების არგუმენტად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის საჯაროსამართლებრივი ვალდებულების განსაზღვრისას კანონმდებლის მიერ გასათვალისწინებელია ნორმატიული, სოციალური და სხვა ხასიათის შეზღუდვები, მათ შორის ქვეყანაში არსებული კონკრეტული სამართლებრივი რეალობა. მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება თავის ბუნებით მიეკუთვნება შემზღუდველი (ამკრძალავი) აქტების სახეს, რომელიც პირის სამართლებრივ მდგომარეობას ამძიმებს კონკრეტული უფლებით სარგებლობის აკრძალვით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება ემსახურებოდეს კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი. კანონიერი მმართველობა, უპირველეს ყოვლისა ორიენტირებული უნდა იყოს პირის სუბიექტური უფლებების დაცვაზე. ხოლო კანონდარღვევის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფდეს პირისათვის მისი სასამართლოს წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მატერიალური და პროცესუალური ნორმების სწორი გაგება-გამოყენება უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

7. სამშენებლო სამართალი

საქმე № ბს-435-430(კ-12)

26 თებერვალი 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენება სამშენებლო კანონმდებლობიდან გამომდინარე საქმისწარმოების დროს

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „დავის საგანი მშენებლობის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სადაც ამ დარგის კანონმდებლობით არის გაწერილი აქტის მომზადებისა და გამოცემის საკითხები...“, მისი სრული კანონშეუსაბამობის გამო, ვინაიდან სამშენებლო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ (კერძო) ნაწილს, შესაბამისად, სამშენებლო სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ სრულად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემისათვის დადგენილი სამართლებრივი პროცედურები. მათ შორის, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისა და წარმოების ამ სახისათვის განსაზღვრული საპროცესო მოქმედებათა ჩატარების ვალდებულება, კერძოდ, მტკიცებულებათა მოპოვება, შეფასება, მესამე პირების ჩაბმა, მხარეთა მოსმენა და სხვა. ამდენად, სამშენებლო სამართლის (ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის ყველა სხვა სფეროს) ნორმატიული აქტები ამომწურავად არ განსაზღვრავს აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის წესებს, რადგან ეს საერთო წესი, დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სავალდებულოა ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მმართველობითი ღონისძიებების ყველა სამართლებრივი ფორმის განხორციელების მომენტში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება მმართველობის კანონიერების პრინციპს, ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის და სხვადასხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების სინთეზურად გამოყენების ვალდებულებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოცემული სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის სწორი გაგება-გამოყენება-განმარტებიდან, მეტიც ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები განაპირობებენ ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შინაარსს. ეს ნორმატიული აქტები ადგენენ კონკრეტულ მოწესრიგებას, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ ამ სამართალურთიერთობებში ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ნორმები არ გამოიყენება.

საქმე № ბს-60-55(კ-13)

2 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარეკლამო აბრის განთავსების უფლების დადასტურება

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე სამართლებრივი თვალსაზრისით, კერძოდ, მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სანებართვო სამართლის სფეროში მმართველობითი ფუნქციების კანონიერი განხორციელება; ამ პროცესში დაინტერესებულ პირთა უფლებების უზრუნველყოფა; ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სანებართვო სამართლის სფეროში გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას კვალიფიციური სამართლებრივი კონტროლის განხორციელება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით.

ვინაიდან სანებართვო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. მზარდი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში სულ უფრო ინტენსიური ხდება სანებართვო სამართლის ინსტიტუტების გამოყენება, რაც ასევე კავშირშია ქალაქების იერსახისა და

კეთილმოწყობის სტანდარტების დაცვასთან. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას. ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით დიფერენცირებულია საქმიანობის მთელი რიგი სფეროები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სათანადო ნებართვა ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. კერძოდ, შემომთითებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები და I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების სახეობები, რომელთა განთავსება/შენიშვნა მშენებლობის ნებართვის ან/და ამავე დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე იქნება შესაძლებელი (მუხლი 65.2).

სადავო აქტით მოპასუხემ – სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“ დაადასტურა შპს „რ...“ უფლება სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით, მიიჩნია რა, რომ შპს-ის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი საჭიროებს არა მშენებლობის ნებართვას, არამედ, დადასტურებას (იხ.ს.ფ. 17).

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევიდა საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო შპს „რ...“ მიერ პირველი კლასის სარეკლამო აბრის განთავსებისათვის ნებართვის მისაღებად წარდგენილ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკადასტრო კოდზე და მისამართზე არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ: 1. საჯარო რეესტრის 2011 წლის 4 ნოემბრის ამონაწერი № 882011541205 საკადასტრო კოდი – ..., რომლის შესაბამისად, შპს „რ...“ საკუთრებაშია ქ. თბილისი, ... ქ. № 70-ში (იგივე № 5) სართული 1-ლი, შენობა № 3-ში 872, 50 კვ.მ ფართი და 2. სარეკლამო აბრის განთავსებისათვის კედლის ფასადის ფოტომონტაჟი, რომელიც მოიცავს საკადასტრო კოდს (...) მისამართზე: ქ. თბილისი, № 5.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქ. თბილისი, ... № 70-ში (იგივე № 5) და ქ. თბილისი, ... № 5-ში მდებარეობს ორ საკადასტრო ერთეულად დაყოფილი უძრავი ქონება, კერძოდ: ა) უძრავი ქონება საკადასტრო კოდით (...) მისამართი – ქ. თბილისი, ... ქ. № 70 (იგივე № 5), სადაც შპს „რ...“ საკუთრებად რეგისტრირებულია სართული 1-ლი, შენობა № 3-ში 872,50 კვ.მ ფართი (იხ. ტ. 1; ს.ფ. 20-22); ბ) უძრავი ქონება საკადასტრო კოდით (...) მისამართი – ქ. თბილისი, № 5, სადაც შპს „რ...“ საკუთრებად რეგისტრირებულია 36 კვ.მ, ხოლო შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებულია 339 კვ.მ ფართი (იხ. ტ.1; ს.ფ. 40-44).

შპს „რ...“ მიერ სარეკლამო აბრის განსათავსებლად ნებართვის მისაღებად ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი მტკიცებულებები საკადასტრო კოდებით ერთმანეთს არ ემთხვეოდა და შესაბამისად, არც ქ. თბილისის მერიის მიერ არ იქნა გამოკვლეული თუ რატომ იქნა წარდგენილი სხვადასხვა საკადასტრო კოდზე და სხვადასხვა მისამართზე არსებული მტკიცებულებები (საჯარო რეესტრის ამონაწერი საკადასტრო კოდზე ... და ფასადის ფოტომონტაჟი საკადასტრო კოდზე ..., ასევე არ იქნა გამოკვლეული კონკრეტულად რომელ საკადასტრო ერთეულზე უნდოდა ნებართვის მაძიებელს განეთავსებინა სარეკლამო აბრა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებას, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ნებართვის მაძიებელი რომელ საკადასტრო კოდზე არსებულ ამონაწერს წარადგენდა, რაკი შპს „რ...“ შენობის ორივე მხარეს გააჩნია საკუთრება, შემდეგ გარემოებათა გამო: ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის სპეციალურად განსაზღვრული აუცილებელი პროცედურის – ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზანს სწორედ საქმის გარემოებათა ობიექტური და კვალიფიციური გამოკვლევა-შეფასება წარმოადგენს. სწორედ ეს ფუნქცია განაპირობებს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლით კანონმდებელი იმპერატიული შინაარსით ადგენს ადმინისტ-

რაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. თავის მხრივ, მტკიცებულებათა კვალიფიციური გამოკვლევა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს გამოსაცემი აქტის სამართლებრივი შედეგებით დაინტერესებულ პირთა წრე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95.1 ან 95.2 მუხლის შესაბამისად მოიწვიოს ისინი ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციულ ორგანოთა ამგვარი დამოკიდებულება – ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების გაუთვალისწინებლობა წინააღმდეგობაშია ქვეყნის კანონმდებლობით გარანტირებულ პირის პროცესუალურ უფლებებთან და არ შეესაბამება კანონიერი მმართველობის სტანდარტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მტკიცებულებების ამგვარმა არაჯეროვანმა გამოკვლევამ განაპირობა შპს „...“ მესამე პირად მოუწვეველობა ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომლის მონაწილეობა, შესაბამისი პროცესუალური უფლებების რეალიზების მეშვეობით დიდწილად განსაზღვრავდა აქტის სამართლებრივ ხასიათს, შედეგს და დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომ ორგანოში ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს და მას კოდექსში სპეციალური – XIII თავი აქვს დათმობილი, რომლის დებულებები დეტალურად აწესრიგებს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის საკითხებსა და პროცედურას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით სადავო 2012 წლის 19.07 № 2065 განკარგულების გამოცემისას უგულებელყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის მოთხოვნები, კერძოდ, გასაჩივრებული აქტის კანონიერების შესწავლა საქმის გარემოებების ობიექტური და კვალიფიციური გამოკვლევა-შეფასება-დადგენის საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია:

შპს „რ...“ საჯარო რეესტრის 2011 წლის 4 ნოემბრის ამონაწერის მიხედვით საკადასტრო კოდექსი (...) მისამართი – ... ქ. № 70 (იგივე ... № 5) თავის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე მიიღო სარეკლამო აბრის განთავსების ნებართვის დადასტურება. ნებართვის მძიებელმა სარეკლამო აბრა განთავსა შენობის წინა ფასადის მეორე სართულზე მისამართზე – ... № 5, საკადასტრო კოდექსი (...) წარდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, რომელ საკადასტრო ერთეულზე შპს „რ...“ საკუთრება გააჩნდა პირველ სართულზე – 27,93 კვ.მ, მეორე სართულზე – 91,33 კვ.მ და მესამე სართულზე – 183,92 კვ.მ. ხოლო შპს „რ...“ ამ საკადასტრო კოდექსი (...) საკუთრება გააჩნდა პირველ სართულზე – 36 კვ.მ, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ... № 5-ში მდებარე ... № 3 შენობის ფართების განშლა (იხ. ტ.1; ს.ფ. 32-39).

ამდენად, შპს „რ...“ სარეკლამო აბრის განთავსება მოხდა შენობის წინა ფასადის მეორე სართულზე, სადაც საკუთრება გააჩნდა შპს „რ...“. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მტკიცებულებათა მოპოვების და ობიექტური გამოკვლევის სტადიაზე შექმნილი გამოყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის გარემოების სახე – შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რითაც მიეცემოდა შესაძლებლობა ობიექტურად შეეფასებინა ყველა მტკიცებულება და გამოეტანა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობები, დანადგარები, საინჟინრო ქსელები, მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას) წარმოადგენს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის მზიდი და შემომზლუდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები (საძირკვლები, კარკასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუა გადახურვები, პარაპეტები (მოაჯირები), ლავგარდანები (კარნიზები), საწვიმარი მილები და ა.შ.

ამავე კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საგნის წარმოშობას.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიამ, როგორც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო განიხილავდა რა ადმინისტრაციულ საჩივარს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, ისე გამოსცა 2012 წლის 19 ივლისის № 2065 განკარგულება, რომ არ გამოუკვლევიან მთელი რიგი საქმის გარემოებები და მტკიცებულებები, არ დაუსაბუთებია ამ კონკრეტულ შემთხვევაში შპს „რ...“ რეკლამის განთავსებაზე უფლების დადასტურების მისაღებად ესაჭიროებოდა თუ არა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ რეკლამის განთავსება მოხდა შპს „...“ საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობა და რეკლამის განთავსებით ილახებოდა თუ არა შპს „...“ ინტერესები, რომელსაც მხოლოდ სასამართლო წესით დაუტოვა უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. ასევე, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია ის გარემოება, რომ ნებართვის მაძიებლის მიერ რატომ იყო წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში მტკიცებულებები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკადასტრო კოდსა და განსხვავებულ მისამართს შეიცავდა.

საქმე № ბს-746-730(კ-12)

14 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ მშენებლობის ნებართვის გაცემა

მშენებლობის ნებართვა არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მენაშენის უფლებას დაიწყოს სამშენებლო საქმიანობა როგორც ახლადსაშენებელ ობიექტზე, ასევე არსებულ შენობა-ნაგებობებზე. დაინტერესებულმა პირმა მშენებლობა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ. **პროექტის დამტკიცებამდე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე სამშენებლო სამუშაოების დაწყება არის თვითნებური მშენებლობა, ასეთ პირობებში მშენებლობის ნებართვის გაცემა უტოლდება თვითნებური ნაგებობის ლეგალიზაციას, რაც ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე შეესწავლა სამშენებლო ობიექტის რეალური მდგომარეობა.** ვინაიდან მშენებლობის ნებართვა არ უნდა იქცეს სამშენებლო სამართალდარღვევის აღმოფხვრის საშუალებად, დადგენას საჭიროებდა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს მითითების შესრულება – დაწყებული მიშენების დემონტაჟის განხორციელება, შემოწმების აქტის შედგენის დროს არსებული ნაგებობის შესაბამისობა 31.08.11წ. მშენებლობის ნებართვასთან.

საქმე № ბს-198-196(2კ-12)

21 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გაუქმება ან შემსუბუქება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას ან/და შეუსრულებლობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით. ამავე კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ტექნიკური ბარიერებისა და რისკების გათვალისწინებით სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. ზემოაღნიშნულის გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტების გასაჩივრება აჩივებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადავო აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადავო აქტები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მართალია, სამშენებლო საქმიანობის კონტროლის რეგულაციები დადგენილი იყო სპეციალური კანონით, მაგრამ ამ კანონით განსაზღვრული სამართალდარღვევა თავისი ბუნებით წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და მასზე ჩვეულებრივი წესით გრცელდებოდა ის ზოგადი ნორმები, რომელიც დადგენილი იყო სამართალდარღვევისთვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს ჰქონდათ უკუქცევითი ძალა, ანუ გრცელდებოდნენ ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე.

საქმე № ბს-209-207(კ-12)

12 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის* მე-2 მუხლი; „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამხანაგობა „...“-ს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ. თბილისში, ...-ში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა განხორციელდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის № 03/1015 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, არამედ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მშენებლობა არ იყო დასრულებული და მშენებლობის პროცესში შენობა მოყვანილი იქნებოდა პროექტთან შესაბამისობაში, ხოლო სამართალდამრღვევს წარმოადგენს არა ამხანაგობა, არამედ მენარდე – ის პირი, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა შენობის აშენება.

* ძალადაკარგულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დანაწესის თანახმად, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ წარმოადგენს სამშენებლო სამართალდამრღვევს, რამდენადაც ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდება: ა) იურიდიული და ფიზიკური პირების, ამხანაგობების საქმიანობაზე, რომლის დროსაც ხორციელდება შენობა-ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემების ან კვანძების მშენებლობა მონტაჟი, დემონტაჟი ან სხვა სპეციალური სამუშაოები და ბ) დამკვეთზე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში. შესაბამისად, მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ამხანაგობა „...“-ის, როგორც სამართალდამრღვევი სუბიექტის დაჯარიმება განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რამდენადაც უდავოდ იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელის მიერ, რასაც თავადაც არ უარყოფს, გაუქმდა 5 კიბის უჯრედი, დამატებით მოეწყო 3 კარის ლიობი, ასევე დამატებით მოწყობილ იქნა 2 ფანჯრისა და 1 კარის ლიობი, ღერძებს შორის შეცვლილ იქნა კედლის კონფიგურაცია, არ იქნა მოწყობილი 2 ფრანგული აივანი, გაუქმდა კიბის უჯრედი და მოეწყო ჟალუზები.

საქმე № ბს-1211-1197(კ-11)

25 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი; „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ წარმოადგენს სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს და აღნიშნავს, რომ კასატორის მიმართ მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდებოდა სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე იმ შემთხვევაში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი. საკითხის ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). საქმეზე დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე, საჯარიმო სანქციის დაკისრების მომენტში გ. ბ-ე იყო ქ.თბილისში ... №21-ში მდებარე 285 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და 61,10 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე. იმის გათვალისწინებით, რომ ნივთზე საკუთრება არის უფლებათა და თანამდევ ვალდებულებათა ერთობლიობა, რიგ შემთხვევებში მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უძრავ ნივთს, რაც ამ სახის ნივთებზე უფლებათა წარმოშობა/შეცვლა/შეწყვეტის განსაკუთრებული რეჟიმის არსებობითაც დასტურდება. უძრავი ნივთის მესაკუთრეზე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი, არ ადასტურებს უძრავი ქონების მესაკუთრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისი ბრალისათვის, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვლინებას პოულობს მის უმოქმედობაში: სწორედ მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაშიც, სწორედ გ. ბ-ეს ეკისრებოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამშენებლო ნორმატივებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. აღნიშნულის შესახებ გ. ბ-ე გაფრთხილებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 19.10.2010 წ. მითითებებით, რომლითაც გ. ბ-ეს დაევალა ობიექტის სრული დემონტაჟის მოხდენა ან სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენა. ზედამხედველობის სამსახურის

მითითება გ. ბ-ემ არ შეასრულა, რაც გამორიცხავს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საქმის წარმოების შეწყვეტა შესაძლებელი იყო მითითების მიღების შემდეგ დარღვევის გამოსწორების ან თუნდაც 01.11.10 წ. შემოწმების აქტის შედგენის შემდეგ დაადგენილების გამოცემამდე დარღვევის გამოსწორების შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მშენებლობის მწარმოებელი პირის დაუდგენლობა ან მისი გარდაცვალება არ წარმოადგენს შემდეგში სამშენებლო ნორმების დაცვის ვალდებულებისგან ობიექტის მესაკუთრის გათავისუფლების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ბ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობის დაწყებისას იგი არ იყო არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრე და ამიტომ ბრალი არ მიუძღვის უკანონო მშენებლობაში, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.**

საქმე № ბს-525-516(კ-12)

6 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მ. გ-ასათვის ჯარიმის დაკისრების ნაწილში თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 ივლისის № 795 ბრძანების არარად აღიარების საკითხი.

მოსარჩელე გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობას ითხოვს იმ საფუძველით, რომ იგი არ წარმოადგენს მოცემული სამშენებლო სამართალდარღვევის სუბიექტს, რამდენადაც მიშენება განხორციელებული იყო მისი წინამორბედი მესაკუთრის მიერ. ამასთან, უკანონო მიშენება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე მის საკუთრებად დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რაც სადავოდ არ გაუხდია მოწინააღმდეგე მხარეს და განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობა არ მოუთხოვია. ამდენად, არ არსებობს მისი დაჯარიმების საფუძველიც. შესაბამისად, დაჯარიმების აქტის შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ იგი არ წარმოადგენს სადავო სამშენებლო სამართალდარღვევის სუბიექტს, რამდენადაც მიშენება განხორციელა ბინის წინა მესაკუთრემ, შესაბამისად, მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. დადგენილია, რომ მ. გ-ამ აწარმოა მიშენებულ აივანზე სამშენებლო სამუშაოები სათანადო ნებართვის გარეშე (გადახურა აივანი), ანუ ფაქტობრივად მან დაასრულა დაწყებული უკანონო სამშენებლო საქმიანობა, რის შედეგადაც მეზობლებმა საჩივრით მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოს და მოცემულ ფაქტზე დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მ. გ-ას მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე, იგი რეგისტრირებული იყო როგორც სადავო მინაშენის, ასევე მთლიანი საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მესაკუთრეს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაუდგენელია მრავალბინიან სახლზე მშენებლობის მწარმოებელი პირი,* რაც არ გულისხმობს ბრალის გარეშე, სხვის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციე-

* ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალის მიმოქცევის“ კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

ელეგანსი, ნებისმიერი სახის გარეგნობის დადგენა, ან სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლია მხოლოდ მესაკუთრეს. შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა განპირობებულია უმოქმედობით, განახორციელოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მის საკუთრებად სადავო მინაშენის რეგისტრაციის შემდეგ არ არსებობდა მისი დაჯარიმების საფუძველი და აღნიშნული ქმნიდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, დაჯარიმების აქტის არარად ცნობის წინაპირობას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაცია წარმოადგენს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სანივთო უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, ამა თუ იმ ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამის რეესტრში. შესაბამისად, რეგისტრაციის განხორციელება წარმოადგენს უძრავ ქონებაზე უფლების, მოცემულ შემთხვევაში საკუთრების წარმოშობის საფუძველს. **შესაბამისად, ის გარემოება, რომ მ. გ-ამ სამართალდარღვევის საქმის წარმოებამდე საკუთრებად დაირეგისტრირა უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს მისი საკუთრების უფლების გავრცელებას მინაშენზე, მაგრამ არ ადასტურებს მის მიერ განხორციელებული მშენებლობის კანონიერებას.** სადავო მინაშენის კანონიერად ცნობისათვის საჭირო იყო სათანადო ნებართვის მიღება, ან უკვე განხორციელებული მშენებლობის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია.

მ. გ-ა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდა უნებართვო სამშენებლო საქმიანობის წარმოებისათვის. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ აივნის მიშენება განხორციელდა სათანადო საპროექტო დოკუმენტაციისა და ნებართვის გარეშე. ასევე დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მ. გ-ას არ მოუხდენია სადავო მინაშენის ლეგალიზაცია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რის გამოც მ. გ-ას, რომელსაც შესაძლოა არ დაუწყია აივნის მიშენება, მაგრამ უძრავი ქონების შეძენის შემდეგ მიშენებულ ფართზე აწარმოა სამშენებლო სამუშაოები და მას კანონის მოთხოვნათა დაცვით დაეკისრა სამართალდარღვევისათვის ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

საქმე № ბს-126-125(კ-12)

12 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დენადი სამშენებლო სამართალდარღვევა

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მე-11 რაიონის 2011 წლის 6 ივლისის № 1481 განკარგულებით რ. მ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 4 აპრილის № 000662 დადგენილების მე-2 პუნქტი (რომლითაც რ. მ-ს დაევალა განხორციელებული საცხოვრებელი სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დემონტაჟი), ხოლო დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 4 აპრილის № 000662 დადგენილება დარჩა ძალაში (იხ. ს.ფ. 21-28; ტ.1). აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დემონტაჟის გაუქმების ნაწილში აღნიშნული ქ. თბილისის მერიის განკარგულება არ გასაჩივრებულა.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის მერიის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემული აქტი თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია და არ ემყარება საქმის გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნას, კერძოდ, 1. ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გააუქმა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში, თუმცა, ამავდროულად, 2. უცვლელად დატოვა სადავო ადმინისტრაციული აქტი ადრესატის დაჯარიმების ნაწილში. ქ.

თბილისის მერია პირველ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა არა კანონიერების, არამედ მიზანშეწონილობის პრინციპით – „დემონტაჟის შეუძლებლობა“, ხოლო მეორე შემთხვევაში – კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონზე დაყრდნობით, თუმცა ქ. თბილისის მერიას მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას არ უმსჯელია და არ შეუფასებია საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის მერია, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გასაჩივრებული აქტის გამოცემისას ობიექტურად შეეფასებინა საქმის გარემოებები, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაესაბუთებინა.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის მერიამ სადავო აქტით პრაქტიკულად დაუშვა შემდეგი სამართლებრივი შედეგი: უნებართვო ნაგებობის დემონტაჟი უკანონო და მიზანშეწონილია, თუმცა ნაგებობა უკანონოა და წარმოადგენს სამართალდარღვევას. ამასთან, მერიამ არავითარი ზომები არ განსაზღვრა ნაგებობის სამართლებრივი სტატუსის გამოსასწორებლად, რა პირობებშიც ნაგებობა მუდმივად დაექვემდებარება სამართლებრივ კონტროლს შესაბამისი სამსახურის მხრიდან, როგორც დენადი სამართალდარღვევა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ამგვარი შედეგი, მესაკუთრეს აყენებს დილემის წინაშე: მას არ აქვს უფლება მოახდინოს უნებართვო ნაგებობის დემონტაჟი ანუ გამოასწოროს სამართალდარღვევა, შესაბამისად იგი ხდება ქრონიკული სამართალდამრღვევი და არაერთგზის დაჯარიმებული ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დადგენილება გამოსცეს მხოლოდ სამართალდარღვევის შესახებ („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.6. „ა“),* მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაჯარიმება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რ. მ-ს სამართალდარღვევის გამოსწორება შეეძლო არა მხოლოდ დემონტაჟის გზით, არამედ, უკანონო რეკონსტრუქციის ლეგალიზების გზითაც. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე რ. მ-მა აღნიშნა, რომ მან ლეგალიზების მოთხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული არც ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა უარყვეს. ამდენად, აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოქალაქე – რ. მ-ი ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი გადაწყვეტილებით გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო, აუკრძალა მას განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დემონტაჟი და ამასთან, არ ახდენს სადავო რეკონსტრუქციის ლეგალიზებას, რითაც არ აძლევს კასატორს სამართალდარღვევის გამოსწორების შესაძლებლობას და აქცევს მას ქრონიკულ სამართალდამრღვევად.

საქმე № ბს-1424-1360(კ-კს-09)

11 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირების მოხდენის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 6 მარტს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის № 00000213 ოქმი, ხოლო სამართალდარღვევა გამოიხატა იმაში, რომ მ. კ-ვამ ქ. თბილისში, ... № 2-ში მდებარე № 100 ბინის კედლის გამონგრევითა და კარების ჩაყენებით მოახდინა ობიექტის იერსახის შეცვლა შესაბამისი ნებართვის გარეშე, რაც დაკვალიფიცირდა საქართველოს

* ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით.* აღნიშნული ოქმის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილებით მ. კ-ვა, მცხოვრები – ქ. თბილისში, ... № 2-ში მდებარე № 100 ბინაში, ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 200 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ საქმეში შესამე პირად ჩაბმულ მ. კ-ვას დღემდე არ გამოუსწორებია ის სამართალდარღვევა, რომელიც დაფიქსირდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 მარტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის № 00000213 ოქმში და რისთვისაც იგი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დაჯარიმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით ხდება სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირება, რომელიც დამოუკიდებლად არ წარმოშობს არავითარ შედეგს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და სხვა მასალების საფუძველზე უფლებამოსილი ორგანო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს და გამოაქვს დადგენილება – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო დაეხმარა მოსარჩელეს აღნიშნულის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, რის შედეგადაც მოსარჩელემ – თ. შ-შვილმა მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... № 2-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, ამ დარღვევაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილებით მ. კ-ვას სახდელის ზომად განესაზღვრა მხოლოდ ჯარიმა, ხოლო დარღვევის გამოსწორებას ხსენებული აქტი არ ითვალისწინებდა, რის გამოც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას ხსენებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე მოეხდინა რეაგირება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილებით მ. კ-ვა დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 200 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადება არ ათავისუფლებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს იმ მოვალეობის შესრულებისაგან, რომლის შეუსრულებლობისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. შ-შვილის დაზუსტებული საჩივარი დაკმაყოფილდება და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... № 2-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებულ-

* „თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა“.

ლი შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, დაევალება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქმე № ბს-1020-993 (კ-10)

23 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო ნაგებობის ლეგალიზების შემდეგ დამრღვევის მიმართ გამოყენებული სანქციის (ჯარიმის) სამართლებრივი ბედი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და უდავოდ მიიჩნევს კასატორის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის მიჩნეული შემდეგი გარემოებები: 2008 წლის 21 მაისს ქ. ბათუმის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მუშაკების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომელიც ეხებოდა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დაცვას, გამოირკვა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. 137/139-ში მდებარე სახლის 33 ბინაზე უ. ჯ-ძე უკანონოდ ეწეოდა მიშენებას. იმავე დღეს ზედამხედველობის სამსახურის მიერ უ. ჯ-ძეს გაეგზავნა 121 წერილი, რომლითაც მას განემარტა, რომ ერთი კვირის ვადაში მოეშალა მიშენება და ბინა მოეყვანა პირვანდელ მდგომარეობაში. აღნიშნული წერილი მოსარჩელეს ჩაჰბარდა, რაც დადასტურდა სასამართლოში წარდგენილი შეტყობინებით საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ.

ასევე დადგენილია, რომ უ. ჯ-ძემ 2008 წლის 30 მაისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ... ქ. 137/139-ში მდებარე 33 ბინის მინაშენის საკუთრებაში დარეგისტრირება, ამასთან, წარადგინა შპს „...“ და შპს „...“ მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 5 ივნისს უ. ჯ-ძის მიერ ბინაზე მინაშენი დარეგისტრირდა მის საკუთრებად, რაც დადასტურდა საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2008 წლის 6 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის უ. ჯ-ძის დაჯარიმებისა და მიშენების დემონტაჟის დავალდებულების თაობაზე.

სადავო დადგენილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის 52 „გ“ მუხლი,* რომლითაც უ. ჯ-ძე უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმდა 3000 ლარით და ამავე კანონის 58 „გ“ მუხლი, რომლითაც მიწერილობის შეუსრულებლობის გამო უ. ჯ-ძე დაჯარიმდა 1000 ლარით. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით; მოცემული კანონის შესაბამისი ნორმებით უნებართვო მშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობისათვის სამართალდარღვევის ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით გათვალისწინებულია სხვადასხვა ოდენობის ჯარიმები. სასამართლოების მიერ უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ უ. ჯ-ძის საპროექტო დოკუმენტაცია ბინაზე მიშენებასთან დაკავშირებით არ გააჩნდა, რის გამოც მას უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაეგზავნა მიწერილობა, აღნიშნული მიწერილობის საფუძველზე სამართალდამრღვევს დაევალა გამოეწეოდა და დარღვევა და ერთი კვირის ვადაში მოეშალა სამშენებლო ნორმების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა. საგულისხმოა, რომ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონი არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტისა და ჯარიმის დაკისრებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა გამოსწორდება და მიწერილობა შესრულდება მითითებულ ვადაში ანუ სამართალდამრღვევი მითი-

* ძალადაკარგულია 2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონით.

თებულ ვადაში მოშლის საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე არსებულ მიშენებას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების (რომელიც იწყება მიწერილობის გაცემით) შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზაციის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-41 მუხლის მე-31 პუნქტის მეორე წინადადებაზე, რომლის თანახმად არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შეაჩეროს მიწერილობით განსაზღვრული ვადის დინება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. დადგინდა, რომ მოსარჩელეს შემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიწერილობით დადგენილ ვადაში ლეგალიზაციის მოთხოვნით განცხადებით არ მიუმართავს უფლებამოსილი ორგანოსათვის.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი“ განსაზღვრავს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს, რომელიც ვრცელდება აგრეთვე მრავალბინიან სახლებში უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ და დაუმთავრებელ მიშენება-დაშენების მიმართ. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებით ხდება ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონება. ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას. აღნიშნული წესის მე-2 მუხლით ობიექტის ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660 ბრძანებულებით დამტკიცებული მითითებული წესი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს უკანონო ნაგებობის დაკანონებისათვის, არ შეიცავს რაიმე დათქმას ამგვარი ნაგებობის სამართლებრივი რეგისტრაციის შემთხვევაში უკანონო სამშენებლო საქმიანობის წარმოებისათვის პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ნების გამოვლენა უკანონო ნაგებობის დაკანონების შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე არ გულისხმობს პირისათვის სრულ ამნისტიას სამართალდამრღვევის მიმართ, თუმცა 2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-15 პუნქტით განისაზღვრა, რომ ის სუბიექტები, რომელთაც ამ კანონის ამოქმედებამდე დაეკისრათ პასუხისმგებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევისათვის და ამ კანონის ამოქმედების დროისთვის ჯარიმის, საურავის თანხა გადახდილი არ აქვთ ან გადახდილი აქვთ ნაწილობრივ, თავისუფლდებიან ჯარიმის, საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა გამოსწორებულია ამ კანონის ამოქმედების დროისათვის ან გამოსწორდება ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში, ამავე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. იმავე კანონის მე-3 მუხლის „უ“ პუნქტით არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება ნიშნავს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას (არ საჭიროებს ნებართვას). ამდენად, აღნიშნულმა კანონმა სრული ამნისტია განახორციელა მხოლოდ იმ სამართალდამრღვევთა მიმართ, რომლებმაც სამართალდარღვევა გამოსწორეს ამავე კანონით გაწერილი წესისა და პირობების დაცვით. აღნიშნულის გათვალისწინებით,

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორი მოცემული მუხლის საფუძველზე ვერ ჩაითვლება ამნისტირებული პირად.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საკუთრებაში არსებული ქონების გამო პირის დაჯარიმება ხელყოფს კონსტიტუციის 21-ე მუხლით რეგლამენტირებული საკუთრების უფლებას და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მოსაზრებებსა და შეფასებებს, საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ სადავო სამართალურთიერთობაში ადგილი აქვს არა სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლებაში ჩარევას, არამედ, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ნაგებობის აშენებასთან დაკავშირებით დამრღვევის მიმართ გამოყენებული სანქციის (ჯარიმის დაკისრების) კანონიერების შემოწმებას, ხოლო, ამგვარი შემოწმების პირობებში აქტის უკანონობის დადგენისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის IV-VII ნაწილები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული სამართალდარღვევის გამოვლენის დროს მოქმედ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ამოცანებია: ა) მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი; ბ) კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე.

ამდენად, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის № 81/08 დადგენილება გამოიყენა მაშინ, როცა მოსარჩელის მიერ საკუთრებაში აღრიცხული მინაშენი წარმოადგენდა უნებართვო, არქიტექტურულ-სამშენებლო წესების დარღვევით აშენებულ ნაგებობას, ხოლო ამგვარ ნაგებობაზე კონტროლის განხორციელება სადავო პერიოდისათვის მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს-ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არ არსებობს მისი, როგორც კანონსაწინააღმდეგო აქტის, ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმე № ბს-1193-1155(კ-08)

17 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პასუხისმგებლობა პროექტის დარღვევისთვის

სადავოდ გამხდარ დადგენილებებში აღნიშნულია, რომ მ. წ-ელმა და მ. კ-ქმ ქ. თბილისში, ... I გასასვლელი № 7 ბ. № 3-ში პროექტის დარღვევით მოაწყვეს ფანჯრის ღიობები; ხოლო თ. კ-ქმ პროექტის დარღვევით ფანჯრის ღიობებთან ერთად მოაწყო ასევე სახურავზე ლიფტის შახტა და დააშენა მანსარდა; მანსარდის დაშენებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ქ. თბილისის „არქმშენინსპექციის“ მიერ 2005 წლის 24 დეკემბერს გამოტანილი იქნა № 57-3 დადგენილება მოქ. თ. კ-ქმის დაჯარიმებისა და დარღვევის გამოსწორების მიზნით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული დადგენილებებით თითოეულ მათგანს ჯარიმის სახით ცალ-ცალკე არ უნდა დაკისრებოდათ სამ-სამი ათასი ლარი; საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორები დაუსაბუთებლად თვლიან, რომ დაჯარიმება უნდა მომხდარიყო ერთი პროექტის დარღვევისათვის, რაც შეადგენს 3000 ლარს და ეს თანხა უნდა გადანაწილდეს 3 ფიზიკურ პირზე და თითოეულს უნდა დაეკისროთ 1000-1000 ლარი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა სადავო დადგენილებების მიღების დროს მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამ ნორმის თანახმად ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

მონაწილე სუბიექტების მიერ პროექტის დარღვევა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობა ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დამკვეთი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, კანონით განსაზღვრული ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, ან ამხანაგობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამუშაოს უკვეთავს საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. წ-ელს, თ. და მ. კ-ძეებს მართებულად განესაზღვრათ თითოეულს ცალ-ცალკე ჯარიმის გადახდა იმის გათვალისწინებით, რომ მათ აღნიშნულ მშენებარე ბინაში საცხოვრებელი ფართები შეიძინეს ცალ-ცალკე, შესაბამისად მათ დამოუკიდებლად აქვთ შეთავსებული დამკვეთის ფუნქციები.

საქმე № ბს-158-151 (კ-13)

9 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამოცემაზე უარის თქმა უკანონო მშენებლობის არსებობისას

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ვ. მ-ის მიერ უკანონო მშენებლობის განხორციელების ფაქტი, თუმცა, ამავდროულად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს უარი დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით შეაფასა, როგორც კანონიერი ქმედება, იქედან გამომდინარე, რომ მ-ების ბინას ალტერნატიული შესასვლელი არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების მთავარ პრინციპს – კანონიერების პრინციპს და აქედან გამომდინარე, მთლიანად, საჯარო წესრიგს, არ შეესაბამება მართლმსაჯულების ამოცანას – სასამართლო კონფლიქტების კანონშესაბამისად და სამართლიანად გადაწყვეტას, რის გამოც იზიარებს კასატორის მითითებას საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობასთან მიმართებით.

საქმე № ბს-347-336(კ-10)

26 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დემონტაჟის განხორციელების შეუძლებლობა

საქმეში დაცული მასალების საფუძველზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორებს – ი. ლ-ძეს და ნ. ს-ძეს საკუთრების უფლებით აქვთ ქ. ბათუმში, ... ქ. № 13-ში მდებარე 38,4 კვ.მ და 35.36 კვ.მ ფართი. შპს „...“-ს მიერ 29.12.06წ. წარმოდგენილ იქნა დასკვნა ქ. ბათუმში, ... ქუჩა № 13-ში მდებარე ორსართულიანი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმად, აღნიშნული სახლი მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია, არასასურველი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მისი გადაუდებელი დემონტაჟი. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 22.02.08წ. ი. ლ-ძეს და ნ. ს-ძეს გაეგზავნათ მიწერილობა № 17 და № 20, რომლითაც მიეცათ წინადადება 15 დღის ვადაში მოეხდინათ სახლის რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი.

ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 29.12.08წ. მიღებულ იქნა № 237/08 და № 242/08 დადგენილებები, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის ი. ლ-ძისა და ნ. ს-ძის დაჯარიმებისა და სახლის დემონტაჟის დავალდებულების თაობაზე. პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველად გასაჩივრებულ აქტებში მითითებულია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹⁰ მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც ი. ლ-ძე და ნ. ს-ძე ავარიული სახლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობისათვის დაჯარიმდნენ 1 000 ლარით, ხოლო მიწერილობის შეუსრულებლობისათვის იმავე კანონის 5⁸ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თითოეული დამატებით 1 000 ლარით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორებს – ნ. ს-ძეს და ი. ლ-ძეს, იმ ბინათმესაკუთრებთან ერთად, რომლებმაც ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ინვესტორებთან გააფორმეს სათანადო ხელშეკრულებები, დაცლილი ჰქონდათ თავიანთი ბინები. ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსის თითოეული ბინა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, დემონტაჟის განუხორციელებლობის და მიწერილობის შეუსრულებლობის გამო დაჯარიმების კანონიერების დასადგენად სასამართლოს უნდა დაედგინა რამდენად იყო შესაძლებელი კასატორის ბინების ნაწილში დემონტაჟის განხორციელება იმ მობინადრეთათვის საფრთხის შეუქმნელად, რომლებიც არ ეთანხმებიან დემონტაჟს და არ ცლიან ბინებს. ის გარემოება, რომ სახლი ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება, არ ადასტურებს მოსარჩელების მიერ დემონტაჟის განხორციელების შესაძლებლობას. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სხვა წევრებთან შეთანხმებლად, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მხოლოდ თავის ბინას, გამორიცხოს მასზე სხვა პირთა ყოველგვარი ზემოქმედება, თუ ამით იგი არ არღვევს კანონს ან მესამე პირთა უფლებას. ვინაიდან არ არსებობს ბრალის გარეშე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა, დაჯარიმების მართებულობას არ ადასტურებს მოპასუხის მოსაზრება დაჯარიმების შემდეგ მოსარჩელების მიერ იმ მობინადრეთა მიმართ, რომლებიც არ ეთანხმებიან დემონტაჟს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ.

საქმე № ბს-535-526(კ-12)

31 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2011 წლის 14 ივნისის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის № 2421 ბრძანებით მ. მ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე, (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმებაზე. აღნიშნული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მ. მ-მა ქ. თბილისის მერიაში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, სადაც მიუთითებდა, რომ მან არქიტექტურის სამსახურიდან მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, სადაც არ იყო აღნიშნული მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი და საფუძველი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სწორედ დაუსაბუთებლობის მოტივით მოითხოვდა ქ. თბილისის მერიისგან არქიტექტურის სამსახურის გასაჩივრებელი ბრძანების ბათილად ცნობას. აღნიშნულის მიუხედავად ქ. თბილისის მერიამ სადავოდ ქვეული 2011 წლის 28 ოქტომბრის № 2479 განკარგულებით ისე უთხრა უარი მოსარჩელეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ არ უმსჯელია ადმინისტრაციული საჩივრის მოტივებზე. ქ. თბილისის მერიას მოსარჩელისათვის არ განუმარტავს, რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა მის მიერ წარდგენილი პროექტი (იმ პირობებში, როდესაც დადებითი შეფასება მიეცა ... მოედანზე სავაჭრო პავილიონი-ორანჟერეის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადებას).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის № 2479 განკარგულება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის დასაბუთებას, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება აადვილებს ადრესატის მხრიდან მისი კანონიერებისა და გასაჩივრების შესაძლო შედეგების შე-

ფასებას და ამასთან, ზემდგომ ორგანოს უადვილებს აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქ. თბილისის მერიამ საქმის გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტებს და განმარტავს, რომ ქ. თბილისის მერიას, როგორც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების გზით იმსჯელოს და შეფასება მისცეს გასაჩივრებული აქტის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ კანონიერებას და წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე. **საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვას, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებას წინასწარ დადგენილი სავალდებულო ხასიათი აქვს ქ. თბილისის მერიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერიის კომპეტენცია არ შეიძლება შეიზღუდოს საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც თავისი ბუნებით შუალედურ აქტს წარმოადგენს და რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ იგი არ უნდა იქცეს გადაწყვეტილების მიღების ერთადერთ, უპირობო და სავალდებულო საფუძველად. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული დასკვნა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და არ იძლევა პასუხს კითხვაზე „რატომ“.**

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მ. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველს სწორედ საბჭოს მიერ გაცემული დაუსაბუთებელი უარყოფითი დასკვნა წარმოადგენს, სადაც ასევე არ არის მითითებული რა ვახდა უარყოფითი დასკვნის გაცემის საფუძველი, რისი გამოსწორების შესაძლებლობაც შეიძლება მისცემოდა მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეს უნდა სცოდნობა რა მოტივით, რა მიზეზით ეთქვა უარი მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საბჭოს დაუსაბუთებელი უარყოფითი დასკვნა განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასების საგანი შეიძლება ყოფილიყო და არა გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში აზრი დაკარგა მ. მ-ის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენამ, ისევე როგორც ფორმალური ხასიათი შეიძინა ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვამ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერია და ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და შემოიფარგლნენ მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო გადაწყვეტილება მიეღო საბჭოს დასკვნის საფუძველზე. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურა, გასაჩივრებული აქტის კანონიერება და ის, რომ სრულიად დაუსაბუთებელი იყო ქ. თბილისის მერიის გასაჩივრებული განკარგულება და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის დანაწესს.

საქმე № ბს-1015-1007(კ-11)

18 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო ობიექტის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობის კვლევა მშენებლობის განხორციელებამდე („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის № 57 დადგენილების 35-ე მუხლის მე-5 პუნქტი)

საქმეში წარმოდგენილი საქესპერტო დასკვნებით დასტურდება და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ქ. თბილისში, ... გამზ. № 1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მწვავე ავარიულ

მდგომარეობაშია და საჭიროებს გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას. რაც შეეხება მრავალფუნქციური ობიექტის განსახორციელებელ მშენებლობას, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის პროექტს გავლილი ჰქონდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. № 57 დადგენილების 26.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სავალდებულო საექსპერტო შეფასებები. საქმეში დაცულია ექსპერტიზის დასკვნები მრავალფუნქციური მრავალსართულიანი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე, ასევე სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ტექნიკური ანგარიშის შესახებ. აღნიშნული დასკვნების შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული შენობის მდგრადობა და მედეგობა აკმაყოფილებდა მოქმედ სამშენებლო ნორმებს, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილი იყო სამშენებლო ნორმების შესაბამისად და პროექტს მიეცა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

საქმეში დაცული მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა-რეკომენდაციის მიხედვით, ექსპერტს დაევალა მშენებარე შენობის ზეგავლენის დადგენა ქ. თბილისში, ... ქ. № 1-სა და გამსახურდიას ქუჩებზე არსებული შენობის მიმართ. ექსპერტის მითითებით, პროექტირებადი შენობის ხიმიწვანე საძირკვლები დაფუძნებული იყო ნახევრად კლდოვან ქანებზე, რომლებიც ფაქტიურად დეფორმაციას არ განიცდიდა და დეფორმაციის თვალსაზრისით არ წარმოადგენდა საშიშროებას არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებით არ დასტურდება ობიექტის მშენებლობით საცხოვრებელი კორპუსისათვის მავნე ზემოქმედების მოხდენის საშიშროება. კასატორის მითითება საქმეში წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 06.09.10წ. წერილზე, რომლის მიხედვით, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა უარყოფითად იმოქმედებს ავარიული სახლის მდგომარეობაზე, არ ქმნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს. მართალია წერილის შედგენის დროს მოქმედი ქ. თბილისის მერის 29.12.10წ. № 34 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიზანს შეადგენდა ქ. თბილისის ავარიული შენობა-ნაგებობების მონიტორინგი, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა, მაგრამ ხსენებული წერილიდან არ დგინდება თუ რა კვლევას ემყარება მოსაზრება სამშენებლო სამუშაოების შესაძლო მავნე ზემოქმედების შესახებ. სამშენებლო საქმიანობაში მხოლოდ საექსპერტო შეფასებაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ზემოქმედების არსებობის შესახებ დასკვნის გაკეთება.

რამდენადაც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. № 57 დადგენილების 23-ე მუხლის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობაში საექსპერტო შეფასება წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უზრუნველყოფისათვის მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების და შენობა-ნაგებობების მშენებლობის ეტაპების შეფასების საშუალებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ მშენებლობის ობიექტთან მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი კორპუსის არსებობა ქმნიდა სამშენებლო სამუშაოების საცხოვრებელ კორპუსზე ზემოქმედების ზედმიწევნითი გამოკვლევის საჭიროებას, ამ მიმართებით დამატებითი საექსპერტო კვლევის ჩატარების საჭიროებას. არსებული ვითარების გათვალისწინებით საექსპერტო კვლევის საგანი მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს მშენებლობის უშუალო ზემოქმედების გარკვევა ქ. თბილისში, ... გამზ. № 1-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის მიმართ, კვლევის შედეგად უნდა გაირკვეს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის განხორციელების რომელიმე ეტაპზე საცხოვრებელი სახლისათვის ზიანის შესაძლო მიყენების საფრთხე. ამასთანავე, მშენებარე ობიექტთან მოსაზღვრე საცხოვრებელი სახლის ავარიულობის ხარისხი და მისი გამომწვევი მიზეზები დადგენილია შესაბამისი საექსპერტო კვლევების შედეგად და ამ კუთხით დამატებითი კვლევის საჭიროება არ არსებობს. საცხოვრებელ კორპუსსა და ასამშენებელ ობიექტს შორის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საექსპერტო კვლევის შედეგად უნდა გაირკვეს ახალი მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში ავარიულ სახლზე გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა, მშენებლობის დაწყე-

ბამდე გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარების საჭიროება, მით უფრო, რომ ასაშენებელი ობიექტის მხარეს საცხოვრებელი კორპუსის ტორსული კედლის გამაგრებისათვის კონსტრუქციის ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროებაზე (მაგ., შენობის ტორსული მხარის გასწვრივ ხიმიწვების მოწყობაზე) მითითებას შეიცავს სსიპ კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის 13.08.10წ. N31110207 დასკვნა. წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, არსებული შენობის შემდგომი ნორმალური ფუნქციონირებისათვის უნდა შესრულდეს სათანადო კონსტრუქციული გაანგარიშებები, შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა მოითხოვს კონსტრუქციული ღონისძიებების გატარების საჭიროებას (საძირკვლებისა და მზიდი კონსტრუქციების გაძლიერება), ვინაიდან დეფორმაციები დღესაც მიმდინარეობს. ამდენად, დავის სწორი გადაწყვეტა საჭიროებს საექსპერტო კვლევის ჩატარებას, ასეთი კვლევის ჩატარების საჭიროება ემყარება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. № 57 დადგენილების 35.5 მუხლს, რომლის მიხედვით, ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში მშენებლობის განხორციელებისას დამკვეთმა, დამპროექტებელმა და მშენებელმა უნდა უზრუნველყონ ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება, რათა გამოირიცხოს მათი მიზეზით მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია: ასეთი ფაქტის დადასტურებისას საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება; იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების დეფორმაციისა და დაზიანების გამოსწორება, ახდენს შესაბამის კომპენსირებას მოსაზღვრე დაზიანებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე. ამდენად, მოქმედი სამშენებლო ნორმები, მოსაზღვრე ნაგებობების მიმართ ზემოქმედების საშიშროების არსებობის შემთხვევაში, მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებენ მშენებლობის განმახორციელებელ სუბიექტს. სამშენებლო სამართლის საფუძვლებს წარმოადგენს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი ნორმები და წესები (მიწათსარგებლობის, მშენებლობის პროექტირების, სამშენებლო ობიექტების გამოყენების და სხვ.), რომელთა შესრულებაც მშენებლობის პროექტირებისას და ცალკეული ეტაპების განხორციელებისას უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საქმისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობიექტის მშენებლობის მოსაზღვრე ნაგებობაზე შესაძლო ზემოქმედების დადგენას, რაც საჭიროებს სათანადო კვალიფიციურ საექსპერტო შეფასებებს.

საქმე № ბს-1222-1208(კ-11)

15 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ხელმეორედ წარმოება

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვემოთხსენებულ ინსტანციის სასამართლოთა მოსაზრებას, რომ უსაფუძვლოა კასატორის მხრიდან მითითება ერთიდაიგივე სამართალდარღვევისათვის ორჯერ დაჯარიმების შესახებ, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 29 ივნისის დადგენილება ბათილად იქნა ცნობილი და შესაბამისად მას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომელიც გამოცემული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, არ ათავისუფლებს პირს დაიცვას კანონის მოთხოვნები, მოცემულ შემთხვევაში კი კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს წარმოებული მშენებლობა. მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო 2009 წლის 29 ივნისის დადგენილება ა. დ-ს დაჯარიმების შესახებ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამის საფუძველი გახდა დადგენილების გამოცემა ვადის დარღვევით,* ხოლო სამართალდარღვევა – უკანონო მშენებლობის

* იგულისხმება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული 2 თვიანი ვადა, რომლის დაცვითაც მიიღება დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

სახით დარჩა სახეზე. შესაბამისად ა. დ-ა ვალდებული იყო დაეცვა კანონის მოთხოვნები და კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა წარმოებული მშენებლობა, რაც მის მიერ არ განხორციელდა.

საქმე № ბს-215-213 (კ-12)

06 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ხელმეორედ წარმოება

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო აქტის გამოცემამდე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 13.02.09წ. № 00000515 დადგენილებით ფასადის მხარეს ღია აივნის უნებართვო მშენებლობისათვის ნ.გ-ე დაჯარიმდა 25 000 ლარით, დადგენილება ძალაში დარჩა მერიის 18.05.09წ. № 469 განკარგულებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.02.10წ. გადაწყვეტილებით ხსენებული აქტები ბათილად იქნა ცნობილი და საქმის წარმოება შეწყდა აქტის გამოცემის კანონით დადგენილი ვადის გასვლის გამო. **საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უნებართვო მშენებლობა თავისი ბუნებით არის დენადი სამართალდარღვევა, იგი უწყვეტად გრძელდება დროში და ითვლება დენადად მანამ, სანამ არ მოხდება მისი აღმოფხვრა, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ ჰქონდა უფლება ხელმეორედ დაეწყო აღმინისტრაციული წარმოება ბაქნების მიშენებასთან დაკავშირებით. ნ. გ-ის დაჯარიმების შესახებ 13.02.2009წ. დადგენილება გაუქმდა პროცედურული დარღვევების გამო, რაც არ ათავისუფლებდა საცხოვრებელი ფართის მესაკუთრეს წარმოებული მშენებლობის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებისგან და არ გამორიცხავდა შემდგომში, სამართალდარღვევის აღმოფხვრელობის გამო, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, საქმის წარმოების დაწყებას.** აღნიშნული დასტურდება სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონით, რომლის 14.5 მუხლი ითვალისწინებდა ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლის აღმოფხვრელობის შემთხვევაში მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ დამრღვევის დაჯარიმებას, ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 19.10 მუხლი.

საქმე № ბს-215-213 (კ-12)

06 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთ ობიექტზე რამდენიმე სამშენებლო სამართალდარღვევისას დაჯარიმების წესი

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილია ორი სამართალდარღვევის ოქმი, ერთი – ეზოს მხარეს განხორციელებულ მიშენებაზე, ხოლო მეორე – სამი აივნის ბაქნის მიშენებაზე. ამასთანავე უდავოა, რომ პირველი ოქმის შედგენისას სახეზე იყო მეორე სამართალდარღვევა – საცხოვრებელი სახლისთვის სამი ბაქნის მიშენება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ობიექტზე უნებართვოდ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესრულება არ ქმნიდა ცალ-ცალკე ოქმების შედგენის და დაჯარიმების საფუძველს, ვინაიდან სახეზეა ერთი სამართალდარღვევა. სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ 13.12.2010წ. დადგენილების გამოცემის შემდეგ 31.01.2011წ. გამოიცა სამი ბაქნის მოწყობის თაობაზე დადგენილება მაშინ, როდესაც 31.01.2011წ. დადგენილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (საცხოვრებელ სახლზე სამი ბაქნის მიშენება) წინ უსწრებდა 13.12.2010წ. დადგენილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (ეზოს მხრიდან მიშენებას), რაც დასტურდება საქალაქო სასამართლოს 11.12.10წ. გადაწყვეტილებით, აგრეთვე არქიტექტურის სამსახურის 18.11.10წ. № 5712 ბრძანებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 25.08.08წ. № 00000515 მიწერილობით. ამდენად, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ორი სხვადასხვა სამართლებრივი აქტით განხორციელდა დროში ერთდროულად არსებულ სამართალდარღვევებზე რეაგირება. პალატა აღნიშნავს, რომ თუ სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების დროს ერთ ობიექტზე

აღმოჩნდა რამდენიმე სამართალდარღვევა, უნდა შედგეს ერთიანი სამართალდარღვევის ოქმი, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული თითოეული სამართალდარღვევისთვის სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით დაჯარიმება.

საქმე № ბს-204-202(3კ-12)

14 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო ნაგებობის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ დემონტაჟის დავალება

მ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, რომლითაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 11 აპრილის № 000685 დადგენილების და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 10 ივნისის N1228 განკარგულების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ მისი დაჯარიმება მოხდა არასწორად, ჯარიმა განისაზღვრა 10 000 ლარით, რასაც არ დაეთანხმა და გაასაჩივრა გემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. გემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემობათა შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობაზე, რადგან ორგანოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ სადავო უძრავი ქონების მშენებლობა განხორციელებული იქნა 1990-იან წლებში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით და დღეის მდგომარეობით აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა დავა, რომ არ გამოუკვლევიდა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, მ. ბ-ის საკუთრებად ირიცხება ქ. თბილისში, ..., II კვარტალი, კორპუსი I-ის მიმდებარედ არსებული ჯიხური. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა 21.02.2011წ, ხოლო საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად რეგისტრაციის საფუძველია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ კრების ოქმი № 23 N1014638; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 11.04.2011წ. მოცემული ჯიხურის უნებართვოდ განთავსებისათვის განხორციელდა მ. ბ-ის დაჯარიმება 10000 ლარის ოდენობით, და მოსარჩელეს დაევალა აღნიშნული ჯიხურის დემონტაჟი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტს, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში ჰქონდა რეგისტრირებული სადავო უძრავი ქონება და ადმინისტრაციულმა ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოება უკანონო მშენებლობის დემონტაჟთან დაკავშირებით განახორციელა მხოლოდ ნაგებობის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდგომ. ანუ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცეს სადავო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (დაჯარიმების და დემონტაჟის თაობაზე) ქრონოლოგიას, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ არ ყოფილა შეფასებული ის გარემოება, რომ სადავო განკარგულება გამოცემული იქნა იმ ქონების მიმართ, რომელიც განკარგულების გამოტანის მომენტისათვის უკვე რეგისტრირებული იყო მ. ბ-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში, (რეგისტრაცია განხორციელდა 21.02.2011წ. განკარგულება გამოცემულ იქნა 11.04.2011წ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი საქმე წარმოადგენს განსხვავებულ შემთხვევას, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ჯერ უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და აღნიშნულის შემდეგ არის ნაწარმოები ადმინისტრაციული წარმოება უკანონო ნაგებობის დემონტაჟთან დაკავშირებით, ანუ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის საფუძველზე მოსარჩელეზე დაჯარიმებისა და დემონტაჟის დავალება მოხდა უკვე საკუთრებად რეგისტრირებულ ქონებაზე, რაც განსხვავდება საკასაციო სასამართლოში მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შეფასების შემდეგ არის შესაძლებელი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების კანონიერებაზე, ამასთან აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. კონკრეტულ შემთხვევაში კი დემონტაჟს დაქვემდებარებული უძრავი ქონება რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე და სადავო არ არის მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

საქმე № ბს-1518-1475(კ-08)

9 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოვალის უფლებამონაცვლის მიმართ უკანონო მიშენების დემონტაჟის თაობაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის არქმშენისსპექციის მიერ გაცემული მშენებლობის წარმოების ნებართვა № 59/04, ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა № 59/04 და დადგინდა, რომ მოიშალოს ვ. ხ-ძისა და გ. ქ-ძის მიერ უკანონოდ აშენებული ლოჯიები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს, რამდენად შესაძლებელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2006 წლის 20 ივლისის № 3/ბ-182-06 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ამავე სასამართლოს მიერ 2007 წლის 4 ივნისის გაცემული № ბ/ბ-182-06 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, იმ პირობებში, როდესაც ხსენებული სააღსრულებო ფურცელი გაცემული იყო მოვალედ დასახელებული გ. ქ-ძის მიმართ იმ ქონებაზე, რომლის ამჟამინდელ მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის 2007 წლის 21 მაისის ამონაწერის თანახმად ხ. ა-ძე წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხ. ა-ძემ გ. ქ-ძისაგან შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქ. № 8-ში, № 15 საცხოვრებელი ბინა, რომელიც შედგება 100,3 კვ.მ ფართისაგან. ამასთან, საქმეზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება გ. ქ-ძის მიერ ზემოხსენებულ ბინაზე მიშენებული ლოჯიის მოშლის თაობაზე, რაც შემდგომში აღსრულების საგნად იქცა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ახალი მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვას, რომ არ იმსჯელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებსა და დებულებებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. იმავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის საფუძველზე კი, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი კი გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენის ფორმას, რომლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის

თანახმად კი, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქ. ბათუმში, ... ქ. № 8-ში მდებარე № 15 ბინაზე მიშენებული ლოჯიის მოშლა, ხსენებულ ბინაზე საკუთრების უფლების ხ. ა-ძმზე გადასვლის პირობებში, შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომელშიც მოვალედ მითითებულია გ. ქ-ძე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებული სააღსრულებო ფურცელში და სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიცეს კრედიტორზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად იყო შესაძლებელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ამავე სასამართლოს მიერ 2007 წლის 4 ივნისის გაცემული № 3/ბ-182-06 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება ხ. ა-ძის საკუთრებაში არსებულ ბინაზე განხორციელებულ მიშენებაზე იმ პირობებში, როდესაც ხსენებულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ მითითებულია გ. ქ-ძე.

საქმე № ბს-746-730(კ-12)

14 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გაცემა („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 04 მარტის № 57 დადგენილების 63-ე მუხლი)

საქმის მასალების მიხედვით სსიპ არქიტექტურის სამსახურის 19.10.11წ. № 4223 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე სამსახურის 31.08.11წ. № 01/26-04 ბრძანება მშენებლობის ნებართვის ნაწილში და № 5/2734-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობას საფუძველად დაედო საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. № 57 დადგენილების 63-ე მუხლი. ბათილად ცნობის საფუძველად მიეთითა აგრეთვე ის, რომ დამკვეთმა იცოდა ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და არ აცნობა აღნიშნულის შესახებ არქიტექტურის სამსახურს ნებართვის გაცემისა და პროექტის დამტკიცების დროს. საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილების 63-ე მუხლი არ ქმნის სამშენებლო ნებართვის გაუქმებისა და საჯარიმო სანქციების გამოყენების საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. № 57 დადგენილების 63-ე მუხლი ითვალისწინებს დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გაცემის წესს, კერძოდ, ხსენებული მუხლი ითვალისწინებს უნებართვო მშენებლობის წარმოების შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს უფლებამოსილებას იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში 31.08.2011წ. მშენებლობის ნებართვის გაცემის დროისათვის ჯ. მ-ის მიმართ შედგენილი იყო მხოლოდ მითითება, ჯ. მ-ის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევაზე ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება მოგვიანებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, კერძოდ, 14.11.2011წ. შედგა. მშენებლობის ნებართვის გაცემის დროისთვის შედგენილი იყო არა დადგენილება დაჯარიმების შესახებ, არამედ მითითება. პალატა აღნიშნავს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მითითების შედგენა არ ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-

ცემას, მითითება თავისთავად არ იწვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს – დაჯარიმებას, ჯარიმის დაკისრებას იწვევს არა მითითების შედეგადა, არამედ მითითებით განსაზღვრულ ვადაში დარღვევის აღმოუფხვრელობა. მითითება არის შუალედური აქტი, სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითება არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემული შენიშვნა, რათა სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად განსაზღვრულ გონივრულ ვადაში პირმა ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები. მითითება ქმნის პირის დაჯარიმებამდე დარღვევის გამოსწორების პირობას. სამშენებლო სამართალდარღვევაზე მითითების გაცემის დანიშნულება არის სამართალდარღვევის გამოსწორება. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა არ იქნება გამოსწორებული, მითითება შესაძლოა საფუძვლად დაედოს დაჯარიმების შესახებ აქტის გამოცემას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. № 57-ე დადგენილების 63.2 მუხლის დებულება უკავშირდება არა მითითების, არამედ დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობას, ამდენად მოსარჩელე ნებართვის გამცემ ორგანოს ვერ წარუდგენდა აქტს და ჯარიმის გადახდის ქვითარს, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროისათვის დაჯარიმების აქტის არარსებობის გამო, შესაბამისად, არ იკვეთება სადავო სამართალურ-თიერთობის მიმართ სხენებული მუხლის გამოყენების პირობები.

საქმე № ბს-203-200(კ-11)

15 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მშენებლობის ნებართვის გასაჩივრება; მოსამართლის დახმარება მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი. ბ-ი სადავოდ ხდის და არ ეთანხმება საცხოვრებელი ზონა 5-ის საფუძველზე გაცემულ მშენებლობის ნებართვას. ფაქტობრივად მოსარჩელემ, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, გაასაჩივრა მშენებლობის ნებართვა მის საფუძველთან ერთად. მოსარჩელის მიზანია აღდგეს სადავო მშენებლობის ნებართვის გაცემამდე არსებული მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში, ი. ბ-ის ინტერესია არა მხოლოდ მშენებლობის ნებართვის კანონშესაბამისობის დადგენა, არამედ იმ პროცედურების კანონიერების შემოწმება, რის საფუძველზეც გაიცა სადავო მშენებლობის ნებართვა და რაც გათვალისწინებულია მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან. საკასაციო საჩივარიც სწორედ იმ არგუმენტითაა დაშვებული, რომ ეჭვს იწვევს სადავო შემთხვევაში ზონირების წესის განხორციელების კანონიერება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად სარჩელის შინაარსისა და დავის საგნისა, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ზონირების წესის განხორციელების კანონიერებას, მან სასარჩელო მოთხოვნა ჩამოაყალიბა იმგვარად, რომ „მოქალაქე ი. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის 2010 წლის 15 აპრილის № 1320 განკარგულებისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 2 აპრილის № 01/394 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობაზე მიუთითა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის დაწყების დროისათვის მოქმედ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 140 დადგენილებაზე* და განმარტავს, რომ მშენებლობის ნებართვა წარმოადგენს განსაკუთრებული იერარქიის ნებართვას, რომელიც როგორც წესი იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიებად**: 1 სტადია – ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა (სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების

* ძალადაკარგულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით.

** მშენებლობის ნებართვის ასაღებად შესაბამის სტადიებს ითვალისწინებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის მოქმედი N57 დადგენილება.

დამტკიცება); II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III – სტადია მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამდენად, წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ნებართვის მაძიებელი მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ სტადიაზე გადასვლის უფლებას იძენს. ქალაქმშენებლობის პირობების დადგენისა და არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გაიცემა მშენებლობის ნებართვა, რომელიც მესამე და დამასრულებელ, შემაჯამებელ სტადიას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, გ. ზ-ის, კ. კ-ისა და მ. ჯ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სადავო მშენებლობის ნებართვის გაცემა ასევე მოიცავდა სამ სტადიას. მშენებლობის ნებართვის გაცემის I სტადია დადებითად გადაწყდა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს დამტკიცდა სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, რომლითაც ქ. თბილისში, ..., ... ქ. № 1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ფუნქციურ ზონად განისაზღვრა საცხოვრებელი ზონა 5. ხოლო, II და III სტადიები გაერთიანდა ერთ სტადიად და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 2 აპრილის 01/394 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2009 წლის 2 აპრილს მოქ. გ. ზ-ზე გაიცა ნ/382-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს დამტკიცებული სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები და უთითებს, რომ აღნიშნულ საკითხს ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვეს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა ი. ბ-ს არ გაუსაჩივრებია (ვინაიდან მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნაში პირდაპირ არ მიუთითებია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს დამტკიცებული სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ბათილად ცნობაზე), რომ არ გამორიცხა და არ დაასაბუთა, შეესაბამებოდა თუ არა ი. ბ-ის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა საკუთარი უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად მიმართულ საშუალებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას – მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა სარჩელის ტრანსფორმირება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათისა და სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებლობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრვენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეებს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მაშინ როდესაც მხარე პროცესულურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ სარ-

ჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდელიობის გამო, არამედ მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ი. ბ-ი საქმის განხილვის ყველა ეტაპზე სადავოდ ხდიდა და აპელირებდა ზონირების წესის დარღვევაზე. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მოთხოვნის მიზანი, სარჩელის შინაარსი, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურდა მას და სასამართლოს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელისათვის უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობა და დავის საგნის დაზუსტების შემდეგ, ემსჯელა როგორც ზონირების წესის განხორციელების, ისე მთლიანად მშენებლობის ნებართვის გაცემის კანონიერებაზე. ამდენად, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ მოსარჩელის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა არ შეესაბამებოდა სარჩელის შინაარსსა და მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა იყო მისი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რასაც მას კანონმდებლობა ანიჭებს. იგი ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დაუცველობის პირობებში დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ამასთან, იგნორირებულია დავის საგანი და მოსარჩელის ინტერესი, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან მიმართებაში, არ უნდა შეიზღუდოს ხანდაზმულობის ვადით. მართალია, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნაში მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობაზე მიუთითა, რომლითაც მისთვის არასასურველი შედეგი დადგა, მაგრამ იგი ამასთანავე, სადავოდ ხდიდა მშენებლობის ნებართვის საფუძველს, მიუთითებდა ზონირების წესის დარღვევაზე და სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე მის მიზანს სწორედ მშენებლობის ნებართვის ერთიანი პროცედურის განხორციელების კანონიერების დადგენა წარმოადგენდა, რომელიც თავისთავში მოიცავს როგორც საბოლოო შედეგის განმსაზღვრელი – მშენებლობის ნებართვის გაცემას, ასევე, მასთან ურთიერთდამოკიდებულ ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენასა და არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, შეძლებდა თუ არა მოსარჩელე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამოუკიდებლად გასაჩივრებას, იმ პირობებში, როდესაც ჯერ გაცემული არ იქნებოდა მშენებლობის ნებართვის შემაჯამებელი აქტი. მოსარჩელისათვის არასასურველი შედეგი ხომ უშუალოდ მშენებლობის ნებართვის გაცემით დადგა. ასევე, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის შემდეგ შესაძლებელია არქიტექტურის სამსახურს

სულაც უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. ამდენად, საგულისხმოა რა უშუალო და პირდაპირი ზიანი მიადგებოდა მოსარჩელეს იმ შუალედური აქტით, რომელიც საბოლოო შედეგს არ განუსაზღვრავს მხარეს და რომელიც პროცედურულ წინაპირობას წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ცალკე გასაჩივრებას მაშინ ექნებოდა აზრი, როდესაც უარყოფითად გადაწყდებოდა აღნიშნული საკითხი და ამ შემთხვევაშიც გასაჩივრების შესაძლებლობით ისარგებლებდა პირი, რომლის ინტერესიც იყო მშენებლობის ნებართვის გაცემა. **ხოლო, როდესაც I და II სტადიები დადებითად გადაწყდა და შესაბამისად, გაიცა მშენებლობის ნებართვა, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მთლიანად მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთიან პროცედურას (მიუხედავად იმისა, რომ აღმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით ისინი დამოუკიდებელ სტადიებად იყოფა) მშენებლობის ნებართვის გასაჩივრება თავისთავში მოიცავს ამასთანავე მისი საფუძვლების გასაჩივრებას და შესაბამისად, მათი კანონიერების დადგენას.**

საქმე № ბს-1666-1638 (კ-11)

15 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ტექნიკური მომსახურების სადგურის განთავსების ტექნიკური პირობები

წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის № 155 ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეთანხმდა ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩა № 126-ში მდებარე თ. დ-ისა და ნ. მ-ის კუთვნილ ფართში, ავტომომსახურების ობიექტის სამშენებლო პროექტი არსებული სახით და ვარგისად იქნა აღიარებული ფართში ავტომომსახურების ობიექტი, შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის პროექტის შესაბამისად.

დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული პირების საკუთრებაში არსებული ერთსართულიანი სახლის გამოყოფილი, კონსტრუქციისაგანხორციელებული ნაწილი, რომელშიც თ. დ-ისა და ნ. მ-ის მიერ ...ის ქუჩის მხარეს მოეწყო ავტომანქანების ზეთის შესაცვლელი ობიექტი და კასატორის – ი. დ-ს საცხოვრებელი სახლი, განთავსებულია საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც გააჩნია ეზოში საერთო შესასვლელი და საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს საერთო კედლით დაკავშირებულ შენობას.

დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ...ის № 126-ში მდებარე თ. დ-ისა და ნ. მ-ის კუთვნილი ფართის ერთ ნაწილში განთავსებული ავტომანქანების ზეთის შესაცვლელ ობიექტად მოწყობილი შენობა წარმოადგენს ერთსართულიან პირველი კლასის შენობა-ნაგებობას, საერთო ფართობით 62,68 კვ/მ.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის საჭიროების არარსებობის თაობაზე და გასაჩივრებული განჩინების ამ ნაწილთან დაკავშირებით არ წარმოადგენს დამატებით შეფასებებს. რაც შეეხება განჩინების დანარჩენ ნაწილს, საკასაციო სასამართლო შეუსაბამოდ და წინააღმდეგობრივად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და თვლის, რომ აღნიშნული არ ემყარება შესაბამის სამართლებრივ საფუძველს.

„საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და მშენებლობის სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 1-1/251 ბრძანების შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობაში დაშვებულ იქნა დანართში მოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების გამოყენება.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებულია СНИП 2.07.01-89 (სამშენებლო ნორმების) გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნული ნორმის მე-10 ცხრილის შესაბამისად, 10 და ნაკლებ მანქანაზე გათვლილი „ტექნიკური მომსახურების სადგურიდან“ საცხოვრებელ სახლამდე მანძილი უნდა შეადგენდეს 15 მეტრს.

საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას ტექნომსახურების სადგურის განმარტების ნაწილში და ვერ ადგენს რა საფუძველს ემყარება სასამართლოს მსჯელობა „ტექნიკური მომსახურების სადგურის“ „ავტოგასამართ სადგურთან“ იდენტიფიცირებისას.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ „მეთის შესაცვლელი ობიექტი“ ნამდვილად არ არის „ავტოგასამართი სადგურის“ იდენტური, მაგრამ დაუდგენელია, სააპელაციო სასამართლო რა საფუძველით არ მიაკუთვნებს „მეთის შესაცვლელ ობიექტს“ „ტექნიკური მომსახურების სადგურს“.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის № 1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების“ 2.2 მუხლის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური არის ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვას, გაცემას, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

გემოლნიშნული წესი ახდენს „ავტოგასამართი სადგურის“ „ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების შენობისაგან“ გამიჯვნას. კერძოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების შენობად 2.6 მუხლის საფუძველზე მიიჩნევა შენობა, რომელიც განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი სამუშაოების შესასრულებლად.

ამდენად, ცალსახაა, რომ „ავტოგასამართი“ სადგურის არსებობის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის უზრუნველყოფა.

საყურადღებოა, რომ მინიმალური მანძილი ავტოგასამართ კომპლექსსა და სხვა ობიექტებს შორის დადგენილია ამავე წესების საფუძველზე, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დასკვნას, იმ პირობებში, თუ „ავტოგასამართი სადგური“ „ტექნიკური მომსახურების სადგურის“ იდენტური ცნებაა, მაშინ რა მიზანს ისახავს 1992 წლამდე მოქმედ სტანდარტებზე მითითება, როცა, როგორც აღინიშნა, მითითებული რეგულაციები შემოთავაზებულია ნორმატიული აქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას არ გაიზიაროს საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა, ტექნომომსახურების სადგურიდან საცხოვრებელ სახლამდე 15 მ. დაცილების აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ ასეთ პირობებში სასამართლოს შეფასება უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე დაფუძნებული. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებებს იმის თაობაზე, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სადგური და ავტოგასამართი სადგური არის ერთი და იგივე სახის ობიექტი, რომლის არსებობისათვისაც საჭიროა მარიგებელი სვეტების არსებობა, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება.

8. უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზება

საქმე № ბს-953-917(კ-08)

26 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თანამესაკუთრის თანხმობა უნებართვო ნაგებობის ლეგალიზებისათვის

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისში, ც.-ის ქ. № 60-ში მდებარე საეზოვე მიწის ნაკვეთი ფართობით 619 კვ.მ 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1994 წლის 19 ივნისამდე რეგისტრირებული იყო კასატორის – მ. წ.-ის სახელზე.

თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 21 ნოემბრის განკარგულებით მე-2 კასატორს მ. წ.-ს (მ. წ.-ის შვილს) ნება დაერთო მითითებულ მისამართზე მეორე სახლის მშენებლობაზე, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

1994 წლის 13 ივნისს მ. წ.-სა და მე-3 პირს გ. თ.-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მ. წ.-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1/3 გადავიდა გ. თ.-ის საკუთრებაში.

ქ. თბილისში, ც.-ის ქ. № 60-ში განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, დამტკიცებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე, აშენდა მეორე საცხოვრებელი სახლი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 26 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა კასატორების მოთხოვნა სადავო სახლთმფლობელობის დაკანონების თაობაზე და სახლის პირველი სართული დაუკანონდა კასატორ მ. წ.-ს, ხოლო მე-2 სართული გ. თ.-ს.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 ივნისის დადგენილებით, გ. თ.-ის განცხადების საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული დადგენილება სახლის დაკანონების თაობაზე და მხარეებს განემარტათ მისი გასაჩივრების შესაძლებლობა. მითითებული დადგენილება მხარეთა მიერ გასაჩივრებული არ ყოფილა.

2004 წლის 26 აპრილს კასატორმა მ. წ.-მა განმეორებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისში, ც.-ის ქ. № 60-ში მდებარე უნებართვოდ აშენებული სახლის დაკანონება, რაზედაც ამავე გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილებით ეთქვა უარი.

საგულისხმოა, რომ მოსარჩელებმა (კასატორებმა) თბილისის საოლქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოხსნეს მოთხოვნა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და იმავე სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის განჩინებით ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება. ამდენად, სახეზე გვაქვს ერთადერთი მოთხოვნა, აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგდება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას შემდეგ მოსაზრებას: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე ყოველთვის დამოკიდებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობაზე და წარმოადგენს სარჩელის სწორი ფორმით განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა. ამგვარი სარჩელი უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა თუ პირს სარჩელის სასამართლოში აღძვრამდე მიმართული აქვს ადმინისტრაციული ორგანოსადმი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

ამდენად, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის აღძვრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოსარჩელეს ძალუძს დაადასტუროს, რომ მისი უფლება დაირღვა აქტის გამოცემით, ან მის გამოცემაზე უარის თქმით ან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით.

როგორც აღინიშნა, კასატორებმა (მოსარჩელებმა) მოხსნეს მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილება, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა სახლის დაკანონებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური თვალსაზრისით სადავო აღარაა აქტი, რომლითაც სავარაუდოდ მხარის უფლებები შეილახა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი და მოთხოვნის კანონიერება შემოწმებული უნდა იყოს მატერიალური სამართლის ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მხრიდან დაცულია ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის ვალდებულება, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნა სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებაში, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქტის კანონიერების ნაწილში მოხსნილია მოთხოვნა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ იძლევა სარჩელის უარყოფის საფუძველს, ვინაიდან ასეთი ტიპის სარჩელის მიზანს წარმოადგენს არა აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმება, არამედ აღმჭურველი აქტის გამოცემა, რაც სასამართლოს აძლევს საშუალებას იმსჯელოს აქტის გამოცემის მოთხოვნის კანონიერებასა და საფუძველიანობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით არის დასაბუთებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამასთან, სარჩელი დასა-

ბუთებულისა, თუ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია მისი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს კასატორთა კანონიერი უფლებისა და ინტერესის არსებობის ფაქტს, საჭიროდ მიიჩნევს ერთადერთი გარემოების შემოწმებას, გააჩნია თუ არა კასატორის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მმართველობითი ფუნქციის განხორციელების პროცესში, მაგრამ სასამართლო ვერ დაავალებს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც არ გამოდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და არ წარმოადგენს ამ ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას.

როგორც საკასაციო საჩივარი და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ცხადყოფს, კასატორთა (მოსარჩელეთა) მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „პროექტის შემთანხმებელი და შშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მათი ნაწილების დეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი.

მითითებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ობიექტის ან მისი ნაწილის მესაკუთრე ან სხვა უფლებამოსილი პირი აღნიშნული ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართავს შესაბამის ორგანოს, რომელიც მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზაციის ან ლეგალიზაციაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა, ხოლო თუ მიწის ნაკვეთი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაშია, აგრეთვე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ან თანხმობა.

მართალია, წინამდებარე ნორმაში საუბარია მიწის მესაკუთრის თანხმობაზე, მაგრამ უდავოა, რომ ნაკვეთი, რომელზედაც სადავო სახლია აგებული წარმოადგენს კასატორისა და მე-3 პირის თანასაკუთრებას. რაც სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე გამორიცხავს მის მიმართ რაიმე ტიპის სანივთო უფლებების განხორციელების შესაძლებლობას თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ მოსაზრებაზე მითითებას, რომ წინამდებარე შემთხვევაში უდავოდ სახეზეა კასატორთა საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტი, მაგრამ აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასატორები ვერ წარმოადგენენ ზემოაღნიშნულ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ ყველა იმ დოკუმენტს, რომელთა შესწავლაც ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას სასამართლო მოკლებულია უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეაფასოს კანონსაწინააღმდეგოდ და დაავალოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში ერთერთი თანამესაკუთრის მხრიდან სახლის ლეგალიზებაზე თანხმობის მიუცემლობით სავარაუდოდ სახეზეა უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელება ხელყოფს მეორე სუბიექტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, აღნიშნული უფლების დანიშნულების შესაბამისად, ხოლო ნებისმიერი ქმედება, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენების გზით ზიანს აყენებს სხვას, ბათილია. მესაკუთრის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის კატეგორიას, რის გამოც ადმინისტრაციული სასამართლო, იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ არის კომბინირებული სარჩელი

და ამასთან, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ არსებობს, მოკლებულია თავისი გადაწყვეტილებით მი-
თითებულის დადასტურების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართ-
ლო შეფასების საგანს წარმოადგენს ერთადერთი საკითხი, არსებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად
აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის
უფლებას. როგორც, აღინიშნა, იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ არის ლეგალიზების განხორციელებისათვის
საჭირო ყველა დოკუმენტი, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლეგალიზების თაობაზე აქტის გამოცემის და-
ვალეა ეწინააღმდეგება შესაბამისი მატერიალური სამართლის ნორმებს.

საქმე № ბს-451-446(კ-12)

28 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობის საერთო ქონე-
ბაზე განხორციელებული უნებართვო მიშენების ლეგალიზება**

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 26.06.12წ. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. ბ-ის სარჩელი, ბათილად
იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...-ს“ 27.09.10წ. № 1 კრების ოქმი, რომლის მიხედვით გ. ო-ს
საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ... ქ.№ 8-ში მდებარე 23,16 კვ.მ ფართის მიშენება. კრების ოქმის ბათილად
ცნობას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 27.09.10 წ. გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული ამხანა-
გობის ყველა წევრის მიერ. სსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, მხარეებს არ აქვთ უფლება სადავოდ გახადონ
სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. საქართველოს
პრეზიდენტის 24.11.07 წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 6.1 მუხლის თანახმად, შესაბამისი ორ-
განო ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ
ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. სზაკ-ის 60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართ-
ლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან
გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მონაცემები.

საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს, რომ მოპასუხის მიერ წარმოებული მიშენება განთავსებულია
ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ
შემთხვევაში ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერ-
თო ქონების ისეთი განვითარება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევ-
რთა საერთო ქონება და გავლენა მოახდინა ბინის მესაკუთრეთა მიერ, მათ შორის მოსარჩელის მიერ საერთო
ქონების – მიწის ნაკვეთის გამოყენებაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა
ამხანაგობის უკლებლივ ყველა წევრის თანხმობას, ანუ ამხანაგობის წევრთა ერთსულოვნად მიღებულ გა-
დაწყვეტილებას. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07 წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის
შემთანხმებელი და შშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღ-
ვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნის შესახებ განცხადე-
ბას თან უნდა ერთვოდეს განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულება ან თანხმობა.
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას, რომელიც
მიმართულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციის და გან-
ვითარებასთან დაკავშირებული ურთიერთობების წარმოშობის, შეწყვეტის ან შეცვლისკენ. ამავე წესის მე-6
მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმცხადებლის მიერ ლეგალიზებისთვის საჭირო დოკუმენ-
ტაციის წარმოდგენლობა არის ობიექტის ლეგალიზებაზე უარის თქმის საფუძველი. ვინაიდან განსახილველ
შემთხვევაში სახეზეა ლეგალიზაციისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის (კრების ოქმის) წარუდგენლობა, არ
დასტურდება ლეგალიზაციის აქტის გამოცემის და შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილე-
ბაზე უარის თქმის საფუძველი.

განმარტების საგანი: საერთო საკუთრების მიწაზე ნაწარმოები უკანონო მიშენების ლეგალიზება (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი)

უდავოა, რომ მოსარჩელე ვ. გ-ე ი. ს-ესთან და მ. დ-თან ერთად საკუთრების უფლებით ფლობს მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ ფართს. ამდენად, მოსარჩელე დანარჩენ ორ პირთან ერთად წარმოადგენს მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს. დადგენილია, რომ შენობაზე განხორციელებულ მიშენება-დაშენების ლეგალიზაციაზე თანხმობა დანარჩენ თანამესაკუთრეებს არ განუცხადებიათ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში დავა ეხება საკითხის სამართლებრივ ასპექტს, კერძოდ მრავალბინიან სახლში თანამესაკუთრეთა შორის სამართალურთიერთობის რეგულირებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას, ცალსახაა, რომ უკანონო მშენებლობა ნაწარმოებია სწორედ საერთო საკუთრების მიწაზე. ლეგალიზაციის ბრძანების შესაბამისად, მიშენების ფართი შეადგენს 27,71 კვ/მ, ხოლო დაშენების ფართი – 48,61 კვ/მ. ამდენად, ლეგალიზაციის აქტის საფუძველზე ვ. გ-ის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართი გაიზარდა საერთო საკუთრების ხარჯზე. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ცალსახად იქნას ჩამოყალიბებული ის მოტივაცია რაზე დაყრდნობითაც სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ განხორციელებული მიშენებით საერთო ქონების დატვირთვა არ მომხდარა.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ობიექტის ან მისი ნაწილის მესაკუთრე ან სხვა უფლებამოსილი პირი აღნიშნული ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართავს შესაბამის ორგანოს, რომელიც მართივით ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების ან ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ბრძანებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარსს და აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს აქტის გამოცემისას, ისევე როგორც სასამართლოს დავის გადაწყვეტის პროცესში, ავალდებულებს, საკითხი განიხილოს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. იმ ვითარებაში, როდესაც საკითხი ეხება საკუთრებით ურთიერთობას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო სამართლის სინთეზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკუთრების უფლება, მისი განკარგვა თუ რაიმე სახით დატვირთვა წარმოადგენს რა კერძო სამართლის რეგულირების საგანს, არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას ის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები, რაც კერძო სამართლით თანასაკუთრებითი ურთიერთობისათვის არის მახასიათებელი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრების კონსტიტუციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი უარყო დანარჩენ თანამესაკუთრეთა უფლებები, თუ ის ცალსახად და მკვეთრად არ დაადგენს, რომ ადგილი არ აქვს დანარჩენ თანამესაკუთრეთა საკუთრების უფლების ხელყოფას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მოტივაციიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ვერ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვ. გუჯაბიძის მიერ საერთო საკუთრების მიწაზე განხორციელებული მიშენება

არ ხელყოფს დანარჩენი ორი მესაკუთრის უფლებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნული საკითხის დამატებით გამოკვლევა-დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გარდა დაუსაბუთებულობისა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითებს, რომ მრავალბინიან სახლებზე მიშენება-დაშენების ლეგალიზაციისას სხვა მესაკუთრეთა თანხმობა სავალდებულო არ არის, იმავდროულად სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს საკითხი გადაწყვიტოს „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის საფუძველზე და გამოიკვლიოს ვ. გ-ის მიერ წარმოებული მიშენება-დაშენება წარმოადგენს თუ არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთ განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გამოირიცხოს გადაწყვეტილებაში ასახული წინააღმდეგობა და ჩამოყალიბდეს პოზიცია იმის თაობაზე, არსებობს თუ არა თანამესაკუთრეთა თანხმობის მოთხოვნის საჭიროება და დადებით შემთხვევაში, განხორციელებული მშენებლობის საფუძველზე მომხდარია თუ არა საერთო ქონების იმ სახის განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს დანარჩენ თანამესაკუთრეთა საკუთრების უფლებაზე.

ამასთან საკასაციო სასამართლო არაარსებითად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ვ. გ-ის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენება არ იწვევს ი. ს-ის ბინის დაზიანებას ან იზოლაციის ნორმების დარღვევას და შესრულებულია ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მიშენების ტექნიკური შესაძლებლობა არ ადასტურებს და არ ნიშნავს უფლების არსებობას მიშენება-დაშენებაზე და მითითებულს ამ დავისათვის არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა.

საქმე № ბს-275-272(2კ-10)

29 ივლისი, 2011 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო მიშენება-დაშენების ლეგალიზება

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 12.12.08წ. № ... ბრძანებით მოხდა ქ. თბილისში, ... ქ. № 4-ში მდებარე № 5 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული (72,41 კვ.მ) და დაშენებული (18,91 კვ.მ) ფართის ლეგალიზაცია, რომელსაც საფუძველად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი“. ლეგალიზაციის აქტი ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა ... ქ. № 4-ში მდებარე № 4 სახელოსნოს მესაკუთრის ნ. მ-ძის წარმომადგენლის ნ. ბ-ძის მიერ. ქ. თბილისის მერის 01.05.09წ. № ... განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 12.12.08წ. № ... ბრძანება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მერის სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არის დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი. სააპელაციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითებს, რომ მრავალბინიან სახლებზე მიშენება-დაშენების ლეგალიზაციისას სხვა მესაკუთრეთა თანხმობა სავალდებულო არ არის, მეორეს მხრივ სააპელაციო პალატა ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს საკითხის „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის საფუძველზე გადაწყვეტას და იმის დადგენას შეიცვალა თუ არა მნიშვნელოვნად ნ. მ-ძის და სხვა მესაკუთრეთა წილი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მრავალბინიან სახლებზე მიშენე-

ბა-დაშენებისათვის არ არის საჭირო თანამესაკუთრეთა თანხმობა. აღნიშნულს არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებულ ნორმაში განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის ხელშეკრულების ან თანხმობის წარმოდგენის გამომრიცხავ პირობად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიშენება-დაშენების მითითება იმით არის განპირობებული, რომ ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, თავის მხრივ ასეთი განცხადებისათვის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის შესაბამისად საჭიროა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა, კერძოდ ხსენებული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა წევრის თანხმობა საჭიროა ისეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომლის საფუძველზე ხდება: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარება, განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინათმესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მესამე მუხლი ბლანკეტურ ნორმას წარმოადგენს, იგი ვრცელდება წესის პირველი მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთვევაზე, რომელიც ეხება მრავალბინიან სახლებზე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი მიშენება-დაშენების მიმართ, რომელთა დასრულება არ გულისხმობს მიშენების გაზრდას ან/და სართულის (სართულების) დამატებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი განცხადების წარუდგენლობა ამავე წესის 6.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებულ წესს შორის კოლიზია არ არსებობს, ასეთის არსებობის შემთვევაშიც იგი იერარქიულად უფრო მეტი იურიდიული ძალის მქონე აქტის – საკანონმდებლო აქტის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო, კანონქვემდებარე აქტით მოწესრიგება ვერ შეცვლის საკანონმდებლო აქტით დადგენილ რეგულაციას. ამასთანავე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს ობიექტის ლეგალიზების შესაძლებლობას სხვისი საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარჯზე. ხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებენ ობიექტის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. № 140 დადგენილების მოთხოვნისა. ამდენად, ობიექტის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს ლეგალიზების შესახებ განცხადების შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი, სხვა პირთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცულობა, სააპელაციო პალატის მიერ ლეგალიზაციის აქტის ერთგვარი ამნისტიის აქტად მიჩნევა არ გამორიცხავდა ბინათმესაკუთრეთა თანხმობის აუცილებლობას.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მე-2, მე-3, მე-4 სართულის მიშენება და დაშენება არ წარმოადგენს განვითარებას, არის მიწის ნაკვეთისაგან დამოუკიდებელი, კონსოლიდირებული მიშენებები, არ ეყრდნობა საძირკველს და დაკავშირებული არის შენობის შიდა სივრცესთან, საკასაციო პალატის აზრით არ ადასტურებს ლეგალიზაციის აქტის მართლზომიერებას, ვინაიდან საერთო საკუთრების წილს განსაზღვრავს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის ოდენობა, რომელიც ხსენებული მიშენება-დაშენების შედეგად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა ი. ხ-ძის წილი საერთო საკუთრებაში, ვინაიდან თანამიწიერი საკუთრებისაგან განსხვავებით მობინადრეთა წილი საერთო უძრავ ფართზე

წინასწარაა ცნობილი იდეალური წილის სახით, ინდივიდუალურ საკუთრებაში მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრა მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან, შესაბამისად პირის ინდივიდუალური საკუთრების ზრდის კვალდაკვალ მცირდება საცხოვრებელი სახლის დანარჩენ მობინადრეთა წილი საერთო საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რაც თავისთავად საერთო ქონების მნიშვნელოვანი განვითარების შემთხვევაში საჭიროებს მობინადრეთა თანხმობის არსებობას.

საქმე № ბს-1370-1353 (2კ-11)

1 თებერვალი, 2012 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო მშენებლობის ლეგალიზება

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2010 წლის 1 სექტემბერს გ. გ-ი დააჯარიმა 10 000 ლარით ქ. თბილისში, ..., ბინა № 3-ში რკინაბეტონის მონოლითური კარკასის (კოლონები და სართულშუა გადახურვის ფილა) უნებართვო მოწყობისათვის. ასევე დაევალა უნებართვო კონსტრუქციის დემონტაჟი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უნებართვო მშენებლობა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის განხილვა-შეფასების პროცესში სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ სამართლებრივ აქტებთან ერთად, სხვა მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით რეგლამენტირებული ზოგადი პრინციპებით. მითითებული კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დეფინიცია მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლში, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს შემდეგი პირობები: სახეზეა კანონით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო; ქმედების ჩადენა მოხდა ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით); არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ არ არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია მსჯელობა პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. კანონმდებლის მიერ გამოყენებული ტერმინი „ხელშეწყობის ქმედება“ თავისი შინაარსით გულისხმობს კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც არღვევს კანონმდებლობით განმტკიცებულ მართლწესრიგს, დაკისრებულ მოვალეობებს ან ლახავს სხვათა უფლებებს.

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევა ეს არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონით.

ამ თუ იმ სამართალდარღვევის დასრულებულად მიჩნევისათვის აუცილებელია შედეგის დადგომა, რომელიც მიმართულია კანონმდებლობით განმტკიცებული მართლწესრიგის წინააღმდეგ. კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია არსებობდეს დასრულებული ქმედება, შედეგიანი დელიქტი. ზოგიერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნეულმა ქმედებამ შესაძლოა არ ჰპოვოს გამოხატულება მატერიალურ ბიანში. ბუნებრივია, აღნიშნული არ გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირობებში, როდესაც ფაქტობრივად არ დგება რაიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედება უპირობოდ გულისხმობს რეალურად განხორციელებულ ქმედებებს.

სამართალდარღვევის განხორციელების მცდელობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს კონკრეტული პირის მიმართ სადამსჯელო ხასიათის ღონისძიებების გატარებისათვის. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თავისი შინაარსით ნაკლები საშიშროების, საფრთხის მატარებელია, ამიტომაც გამართლებულია კანონმდებლის მიდგომა, რომ მხოლოდ დასრულებული ქმედებისათვის, კონკრეტული შედეგის არსებობისას არის დასაშვები ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის დაცვის კანონით განსაზღვრული ბერკეტების ამოქმედება ანუ პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევისათვის.

საკასაციო სასამართლო ყურდლებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მ. ლ-ის სახელზე რიცხული ბინის ზედა სართულზე მესაკუთრის – მ. ხ-ის მიერ უნებართვოდ მოწყობილი ბაქანი, ამოყვანილი კედლები და გადახურვა კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებულ იქნა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ. აღნიშნული ფართი პირდაპირი მიყიდვის შესახებ 2010 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად იქცა და ამ გზით მოხდა მისი ჩართვა თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში. მ. ხ-ის მიერ ნაწარმოები და შემდგომში კანონიერად აღიარებული მიშენების საყრდენს წარმოადგენს კოლონები და სართულშუა გადახურვის ფილა, რომელთა გარეშეც მითითებული ობიექტი ვერ მოიაზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით მ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ ფართზე განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური კარკასის (კოლონები და სართულშუა გადახურვის ფილა) დემონტაჟი გამოიწვევს ლეგალიზებული მიშენების ჩამონგრევას, რომლის ნაწილსაც აღნიშნული რკინაბეტონის მონოლითური კარკასი თავადვე წარმოადგენს, შესაბამისად არსებობს მყარი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი დასკვნისათვის, რომ სხვა სამართალდარღვევა, გარდა მ. ხ-ის მიერ უნებართვოდ მოწყობილი და შემდგომში კანონიერად ცნობილი მიშენებისა (მის ნაწილების ჩათვლით) სახეზე არ გვაქვს.

ამასთან საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2010 წლის 1 სექტემბრის 000029 დადგენილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, მისი აღსრულება შეუძლებელი გახდება და გამოიწვევს მ. ხ-ის კუთვნილი ლეგალიზებული მიშენების ჩამონგრევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რეალურად სახეზეა თუ არა სხვა დასრულებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის უპირობოდ არსებობას უკავშირებს კანონმდებელი სამართალდამრღვევი პირის მიმართ პასუხისმგებლობის ამ თუ იმ სახისა და ზომის გამოყენებას.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2010 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში, ... №1-ის პირველი სართულის 99.60 კვ.მ-ის მესაკუთრედ დარეგისტრირდა მ. ლ-ე პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიბოლოურ ფასად პრივატიზების საფუძველზე.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის (იმჟამად მოქმედი) 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება ეს არის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პრივატიზების ხელშეკრულება წარმოადგენს ჩვეულებრივ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული საკუთრების უფლების ნამდვილობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა ის გარემოება, რომ ქონების გამსხვიისებელი წარმოადგენდეს მის მესაკუთრეს და ის საკუთრების უფლების გადაცემას მესამე პირებზე ახდენდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე, ვინაიდან ამავე კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე საკუთრების უფლების სხვისთვის გადაცემის სამართლებრივი უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მის მესაკუთრეს, გარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის დებულებებით.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ლ-ის მფლობელობაში იყო 69.76 კვ.მ. ფართი. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მის საკუთრებაში აღირიცხა 99.60 კვ.მ, შესაბამისად მან მოიცვა ის ფართიც, რომელზეც განთავსებულია რკინაბეტონის მონოლითური კარკასები (კოლონები და სართულშუა გადახურვის ფილა).

პრივატიზების წესით მ. ლ-ზე საკუთრების უფლების გადაცემამდე სახელმწიფომ მოახდინა ქონების მის საკუთრებაში აღრიცხვა და მხოლოდ ამის შემდეგ იქცა მითითებული ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ქონების გასხვიისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი განკარგვა მესაკუთრის მიერ. შესაბამისად, მ. ლ-ისათვის პრივატიზების საფუძველზე ქ. თბილისში, ... № 1-ის პირველი სართულის 99.60 კვ.მ-ის გადაცემამდე მითითებული ფართი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას.

ქონების ლეგალიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების ლეგალიზება არის ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე კანონიერი საკუთრების უფლების დადასტურება, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან ჩამორთმეულ იქნას მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე, რომელზედაც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან გარიგებით ამ კანონის ამოქმედებამდე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებისა.

აღნიშნული კანონის თანახმად, ლეგალიზების ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერი ქონება. ქონებას მიეკუთვნება ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც იმყოფება თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში, წარმოადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებას და რომელიც სახელმწიფომ ან/და თვითმმართველმა ერთეულმა გადასცა საკუთრებაში პირს პირდაპირი ან წარმოებული სახით.

ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ხომ არ მოიცავს სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მის საკუთრებაში აღრიცხვა და შემდგომ არსებული სახით მ. ლ-ზე პირდაპირი მიყიდვის გზით საკუთრებაში გადაცემა განხორციელებული მშენებლობის კანონიერად ცნობას (ლეგალიზებას).

9. სააღსრულებო სამართალი

საქმე № ბს-500-494(კ-12)

20 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებით აუქციონზე ქონების გატანა საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის ფარგლებში დავის საგანს წარმოადგენს ჩატარებული აუქციონის კანონიერება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძველია აღმასრულებლის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა და ქონების ნაკლებ ფასად გატანა იძულებით აუქციონზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოთა შეფასების საგანს წარმოადგენს რეალურ ფასად მოხდა თუ არა ქონების აუქციონზე განკარგვა და შეილახა თუ არა მოვალის – სარეალიზაციო ქონების მესაკუთრის უფლება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოების მიზანს წარმოადგენს აღსასრულებელი აქტების სწრაფად და რეალურად აღსრულება. ამ მიზნის მისაღწევად, აღმასრულებელი ახორციელებს იძულებით აღსრულებას კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა აღსრულების მიზანი, სწრაფად და რეალურად აღსრულება, გულისხმობს აღნიშნული სააღსრულებო მოქმედების კანონის ზუსტი დაცვით განხორციელებას, სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში*. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება ისეთ ძირითად უფლებებს, როგორცაა საკუთრება, საცხოვრებლის უფლება და სხვა, აღმასრულებელი ვალდებულია დაიცვას თანამომიერების პრინციპი – წარმოების მონაწილეთა დაცულ პოზიციებს შორის აუცილებელი ბალანსი, ხოლო თავის მხრივ, სასამართლომ უნდა განხორციელოს ეფექტური სასამართლო კონტროლი სააღსრულებო წარმოებაზე.

აღმასრულებლის მოქმედების (უმოქმედობის) გასაჩივრება და სადავოდ გახდა, სააღსრულებო წარმოების მხარეთა და სხვა პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. მართალია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ანიჭებდა მოვალეს უფლებას სასამართლოში გაესაჩივრებინა აღმასრულებლის მოქმედება, რისთვისაც განსაზღვრული იყო ერთიანი ვადა, იძულებითი აუქციონი კი ჩატარდა ორ კვირაში იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა მისი უფლების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, მართალია კანონმდებლობა ანიჭებდა მოვალეს უფლებას სადავოდ გაეხადა აღმასრულებლის მოქმედება, თუმცა ფაქტობრივად აღნიშნული უფლების რეალიზაცია აუქციონის ჩატარებამდე ვერ განხორციელდებოდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლების დაცვის შესაძლებლობა მხარეს უნდა მიეცეს სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლებში. იმ ვითარებაში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აუდიტორული დასკვნა, ერთი, რომელსაც დაეყრდნო აღმასრულებელი, ხოლო მეორე, რომელზეც აპელირებს მოვალე, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია და შეუფასებია აღნიშნული მტკიცებულებები დავის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოების დასადგენად – მოვალის ქონების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე განხორციელდა თუ არა რეალურ ფასად და იმ პირობებში, როდესაც აღმასრულებლისათვის ცნობილი გახდა აუქციონის ჩატარებამდე სარეალიზაციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო დასკვნის არსებობის შესახებ, მის მიერ ყველა ზომა იქნა თუ არა მიღებული მოვალის უფლებების დასაცავად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (აუქციონის ჩატარების დროისათვის მოქმედი რედაქცია) თანახმად, სასამართლო აღმასრულებელს გარდა ამავე კანონის 34-ე და

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი.

35-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ შეუძლია კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს აღსრულება, დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო საბუთი, სსვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედების შესრულება, ამორიცხოს ყადაღადადებული ქონება აღწერის სიიდან, ასეთი მოქმედებები სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შეასრულოს სასამართლო განჩინების საფუძველზე. მითითებული ნორმა აღმასრულებელს ზღუდავს, გადადოს სააღსრულებო მოქმედების ჩატარება კრედიტორის მოთხოვნის არარსებობისას. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებდა იძულებითი აუქციონის დროებითი შეჩერების შესაძლებლობას კრედიტორის თანხმობის არსებობისას. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს და შეაფასოს, იმ ვითარებაში, როდესაც აღმასრულებელს მოვალემ წარუდგინა აუდიტორული დასკვნა და მოითხოვა აუქციონის გადადება, აღმასრულებელს შეეძლო თუ არა თუნდაც კრედიტორისათვის მიემართა, თანახმა იქნებოდა თუ არა იგი დროებით შეჩერებულიყო აუქციონი არსებული ვითარების გათვალისწინებით და აღმასრულებელს სათანადო ზომები გაეტარებინა სარეალიზაციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, სახეზე იყო აუქციონის ბათილად ცნობის საფუძველი, რამდენადაც აღმასრულებლის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აღმასრულებლის მიზანს წარმოადგენდა აუქციონზე ბინის იაფად გაყიდვა კრედიტორის – გ. მ-ის სასარგებლოდ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში 2010 წლის 24 სექტემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აღარ ენიჭება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს. მით უფრო, მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებლის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებული არ არის.

გარდა აღნიშნულისა, მხოლოდ ის გარემოება, რომ აღმასრულებელი მისი დაკითხვის ოქმში, ასევე სასამართლოზე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რომ მისი მიზანი იყო აუქციონზე ქონების იაფად გაყიდვა კრედიტორის სასარგებლოდ, საკმარისი არ არის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სასამართლო იხილავს აუქციონის კანონიერების საკითხს, მისი ბათილად ცნობისათვის არსებითია არა აღმასრულებლის განზრახვის ფაქტის დადასტურება – მისი სურვილი იაფად გაეყიდა სარეალიზაციო ქონება, არამედ შედეგი – რეალურად განხორციელდა თუ არა ქონების საბაზრო ფასზე შედარებით ნაკლებ ფასად გატანა აუქციონზე, რაზეც უნდა იმსჯელოს საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ.

საქმე № ბს-466-445(კ-08)

9 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღმასრულებლის მიერ გაცემული საინკასო დავალების ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, თუ რა წყაროებით არის შესაძლებელი იძულებითი აღსრულების პირობებში გადახდევინების განხორციელება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი – აღსრულების წყაროს დივერსიფიკაცია და ამა თუ იმ შემთხვევისათვის მისი შერჩევა, აღმასრულებლის უფლებამოსილებას წარმოადგენს, ხოლო საინკასო დავალებებში მხოლოდ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლზე მითითება, მისი შესაბამისი კონკრეტული პუნქტის, ამ ნორმატიული აქტის ნომრისა და თარიღის გარეშე, ვერ ჩათვლება ისეთ არსებით დარღვევად, რამაც შეიძლება დააფუძნოს საინკასო დავალების (განკარგულებების) ბათილად ცნობა.

განმარტების საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლის მიმართ („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2671 მუხლი)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას. სააპელაციო პალატა დაეყრდნო, რა აღნიშნულ ნორმას განცხადების უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს (ამ შემთხვევაში განცხადებას) თუ ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული სარჩელი და სააპელაციო პალატისადმი წარდგენილი განცხადება, მათი ელემენტებით წარმოადგენდა ერთსა და იმავე დავას, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მიერ ორი სასამართლოსადმი წარდგენილ მოთხოვნათა იგივეობის დადგენისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი საგნისა და საფუძვლის იგივეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც მოთხოვნის შინაარსი – მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა, ისე მოთხოვნის საფუძველი ე.ი. ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მოთხოვნას უნდა იყვნენ იდენტური. თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის სხვადასხვაობა გამორიცხავს სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ექვემდებარებიან აღსრულებას. შესაბამისად, თითოეულზე გადაწყვეტილებების გამომტანი სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცლები, რომლებიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ცალ-ცალკე წარმოადგენენ სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს. სააღსრულებო წარმოება წარიმართა ორივე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, მაგრამ აღსრულება ვერ მოხერხდა. აღსრულების პროცესში ორივე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო გახდა მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა ეს არის მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზედაც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის, პროცესის დასრულების შემდეგაც, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. ამდენად, თითოეული გადაწყვეტილების აღსრულებამდე დასაშვებია მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა. ამასთან, უფლებამონაცვლეობის დადგენის წესი განსაზღვრულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. **აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს იმ შემთხვევას როდესაც უფლებამონ-**

ნაცვლეობა ნათელია და ასევე შემთხვევას, რომლის დროსაც უფლებამონაცვლეობის დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ შედგენილი დოკუმენტით. ორივე შემთხვევა გულისხმობს განსხვავებული სამართალწარმოების წესს, პირველ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის დადგენა შესაძლებელია განცხადების საფუძველზე იმავე სამართალწარმოების გაგრძელებით, ხოლო მეორე შემთხვევა გულისხმობს ცალკე სამართალწარმოების დაწყებას სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹ მუხლი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესს, რაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მეშვეობით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების პროცესში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისა და ამ პროცესის სწორად წარმართვის მიზნით. ამდენად, ერთ-ერთი სასამართლოს მიერ მისსავე გადაწყვეტილებაზე მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა, ქმნის შესაძლებლობას გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი მხოლოდ ამ გადაწყვეტილებაზე ახლად დადგენილი მოვალის მიმართ. აღნიშნული ვერ გახდება სხვა სასამართლოს (ზემდგომი სასამართლოს) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დადგენილი მოპასუხე პირის (მოვალის), თუნდაც იმავე სარჩელის ფარგლებში, უფლებამონაცვლეობის ავტომატურად დადგენისა და მის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. გ-ის მიერ არჩეული საპროცესო ფორმის მართებულობისა და მისი საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს განცხადების არსებითად განხილვის საგანს. კერძო საჩივრის განხილვის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, სწორად იქნა თუ არა გამოყენებული სააპელაციო პალატის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა თითოეული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას წამოჭრილი საკითხის განხილვა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ სწორი საპროცესო ფორმით. ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. გ-ის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა ორი სხვადასხვა გადაწყვეტილებით, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებებს, თავისთავად ქმნის მ. გ-ის მიერ სხვადასხვა სასამართლოსადმი დაყენებული მოთხოვნების განსხვავებულ საფუძველს, რაც გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განცხადების მიღებაზე უარის თქმას.

საქმე № ბს-354-339(კს-09)

3 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღსრულების შეწყვეტა კრედიტორის მიერ აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 21.05.04წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-იანის და გ. თ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 19.05.03წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის „არქშენინსპექციის“ და ლ. ვ-ვას სარჩელები დაკმაყოფილდა, ნ. მ-იანს ქ. თბილისში, ...ის ქ. № 3, ბინა № 34-ზე მიშენებული აივნის დანგრევა, ტერიტორიის ნანგრევებისგან გაწმენდა და ბინის ფასადის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა დაევალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.01.05 წ. განჩინებით ნ. მ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსასრულებლადაც 27.11.06წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქმის მასალებით, კერძოდ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 07.02.08წ. № 12/5653-2 წერილით, დასტურდება, რომ ნ. მ-იანმა და გ. თ-იანმა განცხადებით მიმართეს ქ.თბილისის მერიას აივნის დაკანონების მოთხოვნით, განცხადება განსახილველად გადაეგზავნა მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, ქ.თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 11.04.08წ. № ლეგ-630 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე ნ. მ-იანის განცხადება და სზაკ-ის მე-100 მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის

24.11.07წ. № 660 ბრძანებულების საფუძველზე ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ.თბილისში, ... რაიონში, ...ის ქ. კორპუსი № 3, ბინა № 34-ზე უნებართვოდ მიშენებული აივანი, განმცხადებელს განემართა, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის საექსპლუატაციოდ ვარგისად აღიარებას და მის ექსპლუატაციაში მიღებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა აღსრულების შეჩერების საფუძველი, მიშენების ლეგალიზების შესახებ განცხადება საფუძველად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აივნის მიშენების ლეგალიზებას, რაც ფაქტურად უტოლდება შემდგომში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის აღსრულების შეწყვეტის საფუძველს, ვინაიდან სადავო მიშენების ლეგალიზებით კრედიტორმა – ადმინისტრაციულმა ორგანომ, ფაქტურად უარი თქვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მისი სარჩელის აღსრულებაზე, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელის საფუძველი.

საქმე № ბს-727-711(კ-12)

7 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ აუქციონის შეჩერება („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილია სპეციალური პროცედურა, სააღსრულებო წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედებები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით კონკრეტულადაა განსაზღვრული ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღიდან განთავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის დებულება არ გამორიცხავს იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებას, გადადებას სხვა საფუძველით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს წარმოადგენდა თუ არა სწორედ ასეთ საფუძველს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვქონდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც შეჩერდა 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება № 3-171-11 ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ნორმების სხვაგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ინსტიტუტი აზრს კარგავს. სარჩელის უზრუნველყოფა ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლებების თავიდან აცილება, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შემზღუდვის გზით. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილებას კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გააჩნია სავალდებულო ძალა ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად, ნებისმიერი პირისათვის. საქართველოს საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განკარგულებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული

მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებებისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. მოქმედი კანონმდებლობით სასამართლო აქტების აღსრულების კომპეტენცია არ არის სასამართლო სისტემის იურისდიქცია, იგი განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას, ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღსრულებლობა, მაშინ, როცა ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით.

საქმე № ბს-1656-1628 (კ-11)

30 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის უფლებრივი მდგომარეობა იძულებითი აუქციონის გზით უძრავი ნივთის რეალიზაციის შემდეგ

2007 წლის 26 თებერვალს შ.პ.ს. „ა-მა“ დააკმაყოფილა დ. გ-ის საა-ო პრეტენზია მოპასუხე ვ. გ-ის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ბინის იძულებით რეალიზაციის შესახებ. 2007 წლის 1 მარტს ა-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ვ. გ-ს დ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 14822 აშშ დოლ. და დღეში 22,9 აშშ დოლარის გადახდა. ასევე, დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით იძულებით რეალიზაციას დაექვემდებარა ვ. გ-ის სახელზე რიცხული ბინა, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქუჩა N64, ბინა N18, წილობრივი მონაცემებით – 54 კვ.მ.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის ვ. ჩიტაძის 01/31-42 განკარგულების თანახმად, ვ. გ-ის სახელზე რიცხული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქუჩა 64, მესაკუთრე, 2007 წლის 27 მარტს განმეორებით იძულებით საჯარო აუქციონზე, გახდა მოქალაქე თ. გ-ი.

საჯარო რეესტრის 2007 წლის 4 მაისის 55986/2007 და 2007 წლის 19 ივნისის № 81729/2007 ამონაწერების მიხედვით ქ. თბილისი, ...ის ქუჩა № 64, ბინა № 18, ფართი 54 კვ.მ საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია თ. გ-ზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საჯარო რეესტრმა 2007 წლის 21 სექტემბერს თ. გ-ის მიერ წარდგენილი საკადასტრო ამომავალი ნახაზის საფუძველზე განხორციელდა დაზუსტებული ფართის რეგისტრაცია, რომლის თანახმად ქ. თბილისში, ...ის ქუჩა N64, ბინა N18-ში 113,08 კვ.მ ფართზე დარეგისტრირდა თ. გ-ის საკუთრების უფლება.

საქმეში დაცული ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გადამოწმების შედეგი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ თ. გ-ის სახელზე რიცხული 18 ბინაში არსებული თავდაპირველი და მიშენებული ფართები წარმოადგენს ერთ სივრცეში მოქცეულ ბინის საერთო ფართს და შესაბამისად, მიშენებაზე, როგორც ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე, უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით მიშენებაზე, როგორც ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე ვრცელდება თ. გ-ის საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის რეგულირების მიზნით სწორად იხელმძღვანელა ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად საერთო (თანაბიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის ვ. ჩიტაძის 01/31-42 განკარგულების თანახმად ვ. გ-ის სახელზე რიცხული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქუჩა N64, მესაკუთრე 2007 წლის 27 მარტს განმეორებით იძულებით საჯარო აუქციონზე გახდა მოქალაქე თ. გ-ი.

ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, „აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.“ ამავ მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, „უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.“

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს იმ გარემოებას, რომ თ. გ-ი გახდა რა ქ. თბილისი, ...ის ქუჩა 64, ბინა 18, ფართი 54 კვ.მ ბინის მესაკუთრე, ასევე საერთო საკუთრების თანამესაკუთრე, მოსარჩელებმა დაკარგეს როგორც საკუთრების, ასევე, საერთო საკუთრებაში თანასაკუთრების უფლებაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სრულიად მართებულად მიიჩნევს სადავო სამართალურთიერთობაზე სადავო პერიოდში მოქმედ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის გავრცელებას, რომლის თანახმად „თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ფართობი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ დაზუსტებულ ფართობზე მეტია ან ნაკლებია მარეგისტრირებელი ორგანო უფლების რეგისტრაციას ახდენს ბოლო საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი ფართობის შესაბამისად.

მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა თ. გ-მა საჯარო რეესტრში წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რათა დაეზუსტებინა მის საკუთრებაში არსებული ბინის საერთო ფართი, საჯარო რეესტრის სამსახურს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი უარი ეთქვა განმცხადებლისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის სადავო ჩანაწერის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობაც ანალოგიურად აწესრიგებს მსგავს სამართალურთიერთობებს, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ან მისი ერთეულის ფართობი სარეგისტრაციო დოკუმენტებში მითითებულ, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაზუსტებულ ფართობზე მეტი ან ნაკლებია, თანამესაკუთრეთა/ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობის შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი ფართობის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზით დგინდება, რომ უძრავი ნივთი წარმოადგენს ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს, რეგისტრაციის განსახორციელებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობა არ მოითხოვება. მითითებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის 15-ე პუნქტის თანახმად უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოებს მისი საერთო ფართის (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) შესაბამისად. იგულისხმება მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთი ერთეული (საცხოვრებელი ბინა). ამდენად, დღეს მოქმედი კანონმდებლობითაც თ. გ-ს აქვს კანონიერი საფუძველი მოითხოვოს მის საცხოვრებელ ბინაში საერთო ფართის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

საქმე № ბს-464-459(კ-12)

12 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის უფლებრივი მდგომარეობა იძულებითი აუქციონის გზით უძრავი ნივთის რეალიზაციის შემდეგ („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი; სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი)

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წლის ოქტომბერში ლ. კ-ასაგან აიღო სესხის სახით 12000 აშშ დოლარი. თანხის დროულად გადაუხდელობის გამო, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა 14000

აშშ დოლარის გადახდა. ვინაიდან თ. ვ-ემ ვერ შესძლო დაკისრებული თანხის გადახდა, საშუამავლო ფირმა „...“ საშუალებით 01.03.10წ. ე. წ-ესთან გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 3 თვის ვადით 20000 აშშ დოლარზე. ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, ... ქ. № 30-32-ში მდებარე 810 კვ.მ მიწა და 333,6 კვ.მ შენობა-ნაგებობები № 1-დან № 8-ის ჩათვლით. აღნიშნული თანხიდან 14000 აშშ დოლარი მოსარჩელემ გადაუხადა ლ. კ-ას. თ. ვ-ემ ვერ შესძლო ე. წ-ის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რის გამოც იპოთეკისაგან გათავისუფლდა № 4 შენობა-ნაგებობა, რომელიც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით დაიტვირთა ბ. ვ-ის სასარგებლოდ. იმავე დღესვე – 29.10.10წ. მეორე ხელშეკრულება გაფორმდა ე. წ-ესთან უკვე 30000 აშშ დოლარზე და იპოთეკით დაიტვირთა № 1, № 2, № 3, № 5, № 6, № 7, № 8 შენობები, ხოლო შეთანხმებით 01.03.10წ. ხელშეკრულება შეწყდა.

მოსარჩელის მითითებით, მას ნოტარიუსისაგან განემარტა, რომ № 4 შენობა-ნაგებობაზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად დამოუკიდებლად გავრცელდებოდა იპოთეკა ბ. ვ-ის სასარგებლოდ და იგი არ შევიდოდა ე. წ-ესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მოსარჩელემ 29.10.10წ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაბამისად, ნოტარიუს თ. ბ-ის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 07.07.11წ. გამართულ აუქციონზე მოხდა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ხოლო 15.08.11წ. საჯარო რეესტრში აუქციონზე გამარჯვებული პირის – თ. თ-ის სახელზე აღირიცხა სრული ფართი № 4 და № 9 შენობა-ნაგებობებთან ერთად იმ მოტივით, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის განუყოფელ ნაწილს. ბ. ვ-ესთან გაფორმებული ხელშეკრულებით № 4 შენობა-ნაგებობაზე წილობრივად არ არის დამატებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ე. წ-ესთან დადებული ხელშეკრულებით შენობა-ნაგებობებზე 810 კვ.მ მიწა სრულადაა მიკუთვნებული, რის შედეგადაც იპოთეკის მთლიან საგნად ჩაითვალა მიწა № 4 შენობასთან ერთად და გასხვისდა აუქციონზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საქმეში ტ.1. ს.ფ. 180-181 წარმოდგენილია ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის მე-7 პუნქტი შეიცავს მითითებას ვალდებულებით დატვირთული იმ ქონების რეალიზაციის თაობაზე, რომლითაც უნდა მოხდეს მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულების აღსრულება. ასეთად მითითებულია მიწის ნაკვეთი 810 კვ/მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები № 1, № 2, № 3, № 5, № 6, № 7 და № 8 მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ... ქუჩა № 30-32.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა სააღსრულებო ფურცლის შინაარსს, თვლის, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონის განხორციელებისა და ქონების შეფასების პროცესში მოქმედებდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებას განეკუთვნება სააღსრულებო პროცედურების განხორციელება და მას არ გააჩნია საკანონმდებლო კომპეტენცია შეცვალოს ან კორექტირება შეიტანოს სათანადო უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში. საქმეში წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცელი კი ცხადყოფს, რომ აღსრულება შემდგარია სწორედ იმ ობიექტზე, რომელიც მითითებულია სააღსრულებო ფურცელში. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცლის გამცემი პირისაგან უნდა მოეთხოვა სადავო ქონების გამიჯვნა, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, რამდენადაც კასატორი ვერ უთითებს იმ ნორმაზე, რომელიც აღმასრულებელს ავალდებულებს მსგავსი ქმედების განხორციელებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სააღსრულებო ფურცელი არ შეიცავს ბუნდოვან და ორაზროვან მითითებებს სარეალიზაციო ქონებასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე არ გამოიციხავს იმ სავარაუდო მიზანს, რის გამოც შენობა-ნაგებობა № 4 არ არის დაკონკრეტებული ე. წ-ესთან 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში. საკასაციო სასამართლო თვლის,

რომ კასატორის მიზანს შესაძლოა მართლაც წარმოადგენდა მითითებული ფართის ამორიცხვა, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ასეთ პირობებში სამართლებრივი შეუსაბამობა დაშვებულია არა აუქციონის გამოცხადებისა და შემდგომ ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაციის პროცესში, არამედ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. კერძოდ, იპოთეკის ხელშეკრულება შეიცავს ცალსახა მითითებას იპოთეკის საგნის 810 კვ/მ მიწის ნაკვეთის თაობაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (ამონაწერის მომზადების თარიღი 03/11/2010წ.) ელ. წ-ის სახელზე რეგისტრირებულ იპოთეკის საგანს წარმოადგენს 810 კვ/მ მიწის ნაკვეთი, რაც შეეხება ბონდო ვეშაპაძეს ამავე ამონაწერის საფუძველზე რეგისტრირებულია მხოლოდ შენობა-ნაგებობა № 4, მიწის ნაკვეთის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს, არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანად დაკავშირებულია ნივთთან (მიწასთან) და როგორც წესი, იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი ანუ შემადგენელი ნაწილი სრულად იზიარებს მთავარი ნივთის ბედს. შეუძლებელია მიწის შემადგენელი ნაწილის მიწისაგან დამოუკიდებლად განკარგვა და აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების მონაწილე პირთა ნებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ პირობებში თუ მხარე მიზნად ისახავდა შენობა-ნაგებობა № 4-ის იპოთეკის საგნისაგან გამიჯვნას, ამ შემთხვევაში ნაგებობა № 4 დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო ცალკე უფლების ობიექტად.

წინამდებარე შემთხვევაში საკასაციო სასამართლო გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში, უფლებათა რეესტრში და შესაბამისად სააღსრულებო ფურცელში იპოთეკის საგანს წარმოადგენს 810 კვ/მ მიწის ნაკვეთი. როგორც უკვე აღინიშნა, იმ პირობებში, როცა იპოთეკის საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული ნაგებობა თუ ნაგებობები ექცევიან იპოთეკის ქვეშ. იმისათვის, რომ უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი ჩაითვალოს იპოთეკისაგან თავისუფლად, მისი გასხვისება და ჩამოცილება უნდა მოხდეს ნივთის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოვალე კარგავს მასზე უფლებას. რამდენადაც № 4 შენობა დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით არ იქცა ცალკე უფლების ობიექტად ის, როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი, გადაჰყვა 810 კვ/მ მიწის ნაკვეთს.

საქმე № ბს-1681-1635(კ-08)

25 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმის შეუდგენლობა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი)

საკასაციო სასამართლო ცალსახად ადასტურებს იძულებითი აღსრულების პროცესში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რიგი პროცედურული ნორმების დარღვევის ფაქტს. კერძოდ, საქმეში არ მოიპოვება 2005 წლის 24 მაისსა და 2005 წლის 4 ოქტომბრის განმეორებითი აუქციონის ოქმები. რითიც დარღვეულია ზემოაღნიშნული კანონის 29-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, აღმასრულებელმა ყოველი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ უნდა შეადგინოს ოქმი, ოქმი უნდა შეიცავდეს შედგენის ადგილს და დროს, აღმასრულებლის ვინაობას, რომელმაც შეადგინა ოქმი, აგრეთვე იმ პირების ვინაობას, რომლებიც ესწრებოდნენ სააღსრულებო მოქმედების შესრულებას; სააღსრულებო საბუთის დასახელებას, რომლის მიხედვითაც ხდება აღსრულება; კრედიტორისა და მოვალის დასახელებას; სააღსრულებო მოქმედების შესრულების საგანს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოების პროცესში ოქმის არსებობა-არარსებობის ფაქტზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აუქციონის კანონიერების საკითხი, მაგრამ, იმავდროულად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული დარღვევა წინამდებარე შემთხვევაში ვერ იქცევა კასაციის დაკმაყოფილებისა და აუქციონის შედეგების ბათილობის საფუძველად, ვინაიდან 2005 წლის 24 მაისსა და იმავე წლის 4 ოქტომბერს ჩატარებულ განმეორებით აუქციონს არ მოჰყოლია სამართლებრივი შედეგი,

აღნიშნულს მხარისათვის არ მიუყენებია პირდაპირი და უშუალო ზიანი, და რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს 2006 წლის 11 აპრილს ჩატარებულ განმეორებითი აუქციონის შედეგები, რომლის კანონიერების შემოწმებასაც წინამდებარე სარჩელის საფუძველზე ითხოვს მხარე.

საქმე № ბს-395-374(კ-07)

18 ოქტომბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის არარსებობის სამართლებრივი შედეგი („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი)*

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტის არარსებობის მოცემულ შემთხვევაში ფორმალური ხასიათის დარღვევად შეფასებას და განმარტავს, რომ, მართალია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე, 48-ე, 63^ე მუხლებიდან გამომდინარე, ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტის არარსებობა აღსრულების პროცედურის დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ სადავო შემთხვევაში აღნიშნული ვერ ჩაითვლება არსებით დარღვევად, რაც აუქციონის შედეგების ბათილად ცნობას განაპირობებს. ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტის ძირითადი დანიშნულებაა იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების აღწერა და დაყადაღება მისი იდენტიფიცირების, სწორად შეფასებისა და შემდგომში გასხვისების თავიდან აცილების მიზნით. აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერის აქტის შეუდგენლობას არ გამოუწვევია აუქციონზე გასატანი ქონების არასწორი იდენტიფიცაცია, შეფასება ან აუქციონის ჩატარებამდე გასხვისება და აღნიშნულის შედეგად კასატორის უფლებების დარღვევა. დადგენილია, რომ აღსრულებას დაქვემდებარებულ უძრავ ქონებას წარმოადგენდა თ. ა-ას მიერ სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, რომლის ადგილმდებარეობა და მახასიათებლები იპოთეკის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. თ. ა-ას საკუთრება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში და ეს ჩანაწერი მისი მხრიდან სადავო არ გამხდარა, გარდა ამისა, მას საკუთრების უფლებით ამ მისამართზე სხვა ქონება არ გააჩნდა. კასატორი ვერ ადასტურებს, რომ სადავო აუქციონზე გასხვისებული არ იქნა სწორედ ის ქონება, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული და საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული. ამდენად, ქონების აღწერის აქტის არარსებობას ხელი არ შეუშლია აუქციონზე გასატანი ქონების სწორი იდენტიფიცირებისათვის. რაც შეეხება ქონების დაყადაღებას, მისი მიზანია ქონების შესაძლო გასხვისების თავიდან აცილება და კრედიტორის ინტერესების დაცვა, რათა ამ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევამდე მოვალემ არ გაასხვისოს აუქციონზე გასატანი ქონება. ამდენად, აღნიშნული ქონების დაყადაღების აქტის შეუდგენლობით კასატორის უფლებების დარღვევას ადგილი ვერ ექნებოდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ აღმასრულებლის მიერ ქონების დაყადაღება განხორციელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსადმი ცალკე მიმართვის საფუძველზე.

საქმე № ბს-1023-976(2კ-06)

29 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებითი აუქციონის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან (თავი XIII) გამომდინარე, იძულებითი აუქციონი წარმოადგენს შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებების საგან შემდგარ ერთიან კომპლექსურ-საჯარო პროცედურას, რომელშიც ორგანულადაა ჩადებული, როგორც ცალკეული მოქმედებების, ისე შესაბამისი სამართლებრივი რეზულტატის – აუქციონის შედეგების ელემენტები, ამასთან, შესაბამისი შედეგების გარეშე აუქციონის არსებობა (მისი ჩატარების შემთხვევაში) იურიდიულად და ფაქტობრივად გამორიცხული და ობიექტურად შეუძლებელია, რის გამოც აუქციონის წარმოადგენა, როგორც ცალკე, შესაბამისი შედეგების გარეშე აღებული სააღსრულებო წარმოების ინსტიტუტისა, მას გადააქცევს

* ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე № ბს-1023-976(2კ-06), 29 მაისი, 2007 წელი.

იურიდიულ ფიქციად. შესაბამისად, აუქციონის ბათილად ცნობის მოთხოვნა იმავდროულად მოიცავს მისი შედეგებისა და ამ შედეგების რეალიზების იურიდიული გაფორმებისათვის აუცილებელი აქტის – ქონების განკარგვის თაობაზე გამოცემული განკარგულების გაბათილების მოთხოვნასაც, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი და გამორიცხული იქნება კრედიტორის მატერიალური უფლებისა და კანონიერი ინტერესის მიმართების თანხვედრა მისივე მოთხოვნის ნამდვილ შინაარსთან. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელი განიხილა სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში და არ დაურღვევია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები.

საქმე № ბს-613-199(კ-05)

10 ნოემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებითი აუქციონის ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი; მოჩვენებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი)

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 მარტის გადაწყვეტილებით ლ. თ.-ისა და ბ. ჯ.-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2002წ. 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ბ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად უქნა ცნობილი კახეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2002წ. 13 მარტს ჩატარებული იძულებითი აუქციონის შედეგები და ასევე ლ. თ.-სა და ბ. ჯ.-ეს შორის 2002წ. 6 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ვენახის სახლი დაუბრუნდა ი. ბ.-ს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს დავის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გადაწყვეტას და ადასტურებს, რომ მითითებული კანონის 2.1 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცელი გამოწერილია გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააღსრულებო ფურცლის გამოწერისას დაირღვა მითითებული ნორმის მოთხოვნები, რის გამოც აღნიშნული ფურცლის საფუძველზე განხორციელებული აღსრულება ყოველთვის ჩაითვლება კანონდარღვევით წარმოებულად.

დადგენილია, რომ მოწინააღმდეგე მხარე ი. ბ.-ი აღსრულების შესახებ ინფორმირებული არ იყო სსკ-ის 70-ე, 78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით აღნიშნულის თაობაზე დამატებით და დაუსაბუთებელ საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინეს თავად კასატორებმაც, რის გამოც, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ ი. ბ.-ის მიმართ დარღვეულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე და მიუთითებს, რომ კანონის ზემოაღნიშნულ ნორმათა უხეში დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს აძლევდა სრულ სამართლებრივ საფუძველს მევენახის სახლზე წარმოებული იძულებითი აუქციონი ეცნო ბათილად.

იმის გათვალისწინებით, რომ კასატორ ლ. თ.-ზე სახლის გადაცემა წარმოადგენს ბათილად ცნობილი აუქციონის შედეგს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. თ.-თან მიმართებაში არ არსებობს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი და, შესაბამისად, ლ. თ.-ის საკასაციო პრეტენზია არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც წესი, უკავშირდება პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, კერძოდ, იცოდა თუ არა და შეეძლო თუ არა სცოდნოდა ნივთის ნაკლის არსებობის თაობაზე.

სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით.

მითითებული ნორმისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ჯ.-ე ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მყიდველად. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის დაიდო თვალთმაქცური გარიგება, კერძოდ, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მე-

ვენახის სახლი მდებარეობს ივრის გაღმა, მარჯვენა სანაპიროზე, რომელსაც გარს არტყამს ვენახები. ბ. ჯ.-ე არ წარმოადგენს მითითებული ვენახის (ან ნაწილის) მესაკუთრეს ან მფლობელს, არ მიეკუთვნება სოფ. ...-ს მკვიდრს, შესაბამისად, არ დასტურდება ამ სახლისადმი მისი სამეურნეო ან კომერციული ინტერესი, როგორც კასატორი ბ. ჯ.-ე მიუთითებს მევენახის სახლის ყიდვის მიზანს წარმოადგენდა სახლის უფრო ძვირად გაყიდვა. საყურადღებოა, რომ სახლი განთავსებულია ივრის გაღმა და მისი ფართი (სასარგებლო) შეადგენს 62,9 კვ/მეტრს. ხელშეკრულების შესაბამისად, ნასყიდობის საგანი შეძენილია 2500 ლარად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რაიონში, არასაცხოვრებელი და არაკომერციული ფართისათვის 2500 ლარი წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ფასს, რაც სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ ლ. თ.-სა და ბ. ჯ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ატარებს მოჩვენებით ხასიათს, რათა თავიდან იქნეს აცილებული აუქციონის ბათილობის სამართლებრივი შედეგი, რაც სკ-ის 56-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს.

საქმე № ბს-1350-925(კ-05)

8 თებერვალი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შემძენის დაცვის გარანტიები იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შემთხვევაში

აუქციონის ჩატარებისას აღმასრულებლის ნების გამოვლენა გამომდინარეობს არა გარიგების დადების სურვილიდან, არამედ, კანონისმიერი ვალდებულებიდან – აღასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები და ამ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას იგი ნების გამოვლენას ახორციელებს არა ხელშეკრულების ფორმით, არამედ ადმინისტრაციული აქტის მიღებით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებლის განკარგულება იძულებითი აუქციონის ჩატარების შესახებ წარმოადგენს არა ნასყიდობის გარიგებას, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და კლასიკური ნების გამოვლენა არ არის სახეზე, საჯარო ვაჭრობის შედეგების ბათილად ცნობის პირობებში შემძენის (ანუ მესაკუთრის) უფლებები დაცულ უნდა იქნას სკ-ის ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ ნასყიდობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა თანახმად, რადგან „საღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ ადგენს იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის პირობებში აუქციონზე გასხვისებული ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის გარანტიებს, რის გამოც ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორი შეფასება მიეცა აღმასრულებლის განკარგულების სამართლებრივ ბუნებას, აღნიშნული ვერ გახდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საქმე № ბს-821-805(კ-12)

25 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია სააღსრულებო წარმოების ფარგლებში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორი – შ. თ.-ა ერთი მხრივ სადავოდ ხდის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს № A11026510-009/001 და № A11026510-011/001 განკარგულებების კანონიერებას, ხოლო მეორე მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 დეკემბრის № 102011245364/3, № 102011245351/3, № 102011245358/3 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას (რომლებითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ყადაღის რეგისტრაცია და ბ. ფ.-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა უძრავი ქონება, მდებარე – ქ. ქუთაისი, ... ქ. მე-2 შესახ. № 10), აღნიშნულ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ყადაღის აღდგენას და სადავო სახლის ს. ბ.-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვას მოითხოვს.

ამდენად, სასამართლომ, უდავოდ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას. კერძოდ, სასამართლოს შეფასების საგანია შეეძლო თუ არა სააღსრულებო ბიუროს ყადაღადადებული ქონების განკარგვა და კანონიერია თუ არა სარეგისტრაციო სამსახურის ქმედება სადავო უძრავ ნივთზე სასამართლოს განჩინებით გამოყენებული ყადაღის გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით შ. თ.-ას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ს. ბ.-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე – ქ. ქუთაისი, ... ქ. მე-2 შესახ. № 10. აღნიშნული ყადაღა რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹ მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით (რომლის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას) განმარტა, რომ ყადაღა მხოლოდ მესაკუთრის მხრიდან ქონების განკარგვის შეზღუდვას ითვალისწინებს და შესაბამისად, კანონიერად მიიჩნია სააღსრულებო ორგანოს მიერ ყადაღადადებული, სადავო ქონების განკარგვა. **საკასაციო სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მისი გამოყენება გადაწყვეტილების აღსრულებას ემსახურება, უსაფუძვლოდ მიაჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ყადაღა მხოლოდ მესაკუთრის მხრიდან ქონების განკარგვის შეზღუდვას ითვალისწინებს. ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის არსსა და მიზნებთან და საფრთხეს უქმნის მოსარჩელის მხრიდან სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლებით სარგებლობას.** სააპელაციო სასამართლო სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას ამოვიდა ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან და ყურადღება არ გაამახვილა თავად ყადაღის არსზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს მიერ ყადაღის გამოყენების მიზანი არა მოპასუხის შეზღუდვა, არამედ, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებაა, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააღსრულებო ორგანოს მიერ ყადაღადადებული ნივთის განკარგვა აზრს არ უნდა უკარგავდეს სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას და შესაძლებლობას აძლევს მას თავი აარიდოს უზრუნველყოფილი ქონებით პასუხისგებას. ამასთან, სადავო საკითხის ამგვარი განმარტება შესაძლებლობას აძლევს არაკეთილსინდისიერ მოვალეს სააღსრულებო ორგანოს მეშვეობით (მოჩვენებითი ხელშეკრულების საფუძველზე) მოახდინოს ქონების განკარგვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია სარჩელის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს მოთხოვნის არსებობას, მაგრამ სასამართლო დავას აზრი არ უნდა დაეკარგოს და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მით უფრო სარჩელის უზრუნველყოფის არსებობის პირობებში, უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს არა მხოლოდ სარჩელის არსებობასთან, არამედ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებასთან, რომლითაც ს. ბ.-ეს შ. თ.-ას სასარგებლოდ 50000 ლარის გადახდა დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის აღძვრის პირობებში მოსარჩელე სარგებლობს ეფექტური დაცვის უფლებით და პრევენციული დაცვის უფლებით. ეფექტური დაცვა თავად სარჩელით მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს, ხოლო პრევენციული დაცვისას მოსარჩელე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ სანამ მას უფლება აღუდგება, უნდა არსებობდეს პრევენცია, რომ ეს უფლება არ გაუქმდება. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კი ისე განმარტეს კანონი, რომ შ. თ.-ასთვის პრევენციულმა დაცვამ აზრი დაკარგა,

მან პრევენციული დაცვის უფლებით ვერ ისარგებლა. ფაქტობრივად შ. თ-ა სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. თ-ას დაუდასტურა ს. ბ-ის მიმართ 50000 ლარის მოთხოვნის უფლება, რომლის უზრუნველსაყოფადაც სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა ყადაღა. სასამართლომ კი ყადაღა იმ მიზნით გამოიყენა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მხარეთა განმარტებით, ს. ბ-ის სახელზე სხვა უძრავი ქონება არ ირიცხებოდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზოგადი წესის მიხედვით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხოლო, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნივთზე რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთი განკარგულია სააღსრულებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი იძულების წესით, ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებული ყადაღა, განკარგვის შეზღუდვა ან აკრძალვა ცხადდება ძალადაკარგულად. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმიდან ცალსახად არ გამომდინარეობს სააღსრულებლო ორგანოს უფლებამოსილება ყადაღადადებული ქონების განკარგვის თაობაზე. აღნიშნული ნორმა ადგენს საგამონაკლისო წესს და სარეგისტრაციო სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიუხედავად ნივთზე რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა, მოახდინოს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაცია. ამდენად, აღნიშნული ნორმა რეგისტრაციის საგამონაკლისო წესს ეხება და სააღსრულებლო ორგანოს ქმედების კანონიერებას მასზე დაყრდნობით ვერ შევაფასებთ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თავის მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურმა გასაჩივრებული 2011 წლის 26 დეკემბრის № 102011245364/3, № 102011245351/3, № 102011245358/3 გადაწყვეტილებებით გააუქმა ს. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-2 შესახ. № 10-ში მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა – სასამართლოს მიერ შ. თ-ას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღა, რის შემდეგაც უძრავ ქონებაზე განხორციელდა მესამე პირის – ბ. ფ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შ. თ-ას სასარგებლოდ ს. ბ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას ყადაღა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით დაედო და უდავოა ის გარემოება, რომ სასამართლოს აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება არ გაუუქმებია. სარეგისტრაციო სამსახურმა კი სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) იგნორირებით გააუქმა სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყადაღა. საყურადღებოა ის გარემოება, ჰქონდა თუ არა სარეგისტრაციო სამსახურს სასამართლოს განჩინებით გამოყენებული ყადაღის საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაუქმების უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის გამოყენებას, თუ იგი დაბრკოლებას არც ქონების განკარგვას უქმნის და მას აზრი არც სარეგისტრაციო სამსახურისთვის აქვს; ხოლო მოსარჩელე სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩება. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება როგორც ყადაღის მიზნებს, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) სავალდებულო ხასიათს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საკასაციო სასამართლოს სხდომებზე სააღსრულებლო ბიუროს წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განმარტებებზე. კერძოდ, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს ქონების რეალიზაციის დროს არაუმ-

რუნველყოფილი კრედიტორის შემთხვევაში ყადაღის გადაყოლის საკითხს. ამასთან, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყადაღის გაუქმების თაობაზე არც ერთ განკარგულებაში არ არის პირდაპირი მითითება.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სასამართლოს მიერ შ. თ-ას სასარგებლოდ გამოყენებული ყადაღა წინ უსწრებდა მესამე პირის – რ. ჭ-ის მოთხოვნას. კასატორის განმარტებით კი უძრავი ქონების შემძენმა – ბ. ფ-ემ იცოდა ნაკლიანი ნივთის თაობაზე.

საქმე № ბს-625-613(კ-12)

18აპრილი 2013 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: კრედიტორის საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადასვლის შემთხვევაში სახელზე არსებული მიწენების სამართლებრივი მდგომარეობა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლს მე-5 პუნქტი; სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი)

მოსარჩელემ მოითხოვა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 იანვრის № 9 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ემსჯელა სადავო ქონების მის სახელზე დარეგისტრირების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. გ-ისა და ლ. მ-ს შორის არსებული სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, 2007 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება. ქ. გ-ემ ვერ გადაიხადა სესხი, რის გამოც საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრის მიერ 2010 წლის 4 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებულ იძულებით აუქციონზე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება შეიძინა კრედიტორმა – ლ. მ-მა და ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მის საკუთრებად იმავე მახასიათებლებით, როგორც აღრიცხული იყო ძველი მესაკუთრის – ქ. გ-ის სახელზე. ანუ აუქციონზე მოხდა იპოთეკის საგნის იმ სახით რეალიზაცია, როგორც ასახული იყო საჯარო რეესტრის მონაცემებში.

ასევე დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აუქციონზე ქონების რეალიზაციამდე, უძრავი ქონების მესაკუთრემ – ქ. გ-ემ მოახდინა მიწენებული ფართის ლეგალიზება, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 იანვრის № 9 ბრძანებით ლეგალიზებული და ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა ქ. ბორჯომში, ... ქ. № 7-ში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე ქ. გ-ის კუთვნილი მიწენება (საცხოვრებელი ფართი 18,7 კვ.მ., დამხმარე ფართი 23,2 კვ.მ.).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითია დადგინდეს და სამართლებრივი შეფასება მიეცეს, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით, აღნიშნული უფლება უნდა გავრცელდეს თუ არა ძირითადი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც – სახლზე განხორციელებულ მიწენებაზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ უნდა იმსჯელოს სასამართლომ ლეგალიზების აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და ლეგალიზების განხორციელებისას ახალი მესაკუთრის უფლებების გათვალისწინებაზე.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ქ. გ-ის მიერ სადავო ბინის შეძენამდე სახლზე განხორციელებული იყო უკანონო მიწენება, თუმცა მის სახელზე საჯარო რეესტრში აღირიცხა მხოლოდ ძირითადი ფართი მიწენების გარეშე, მხარეთა შორის იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებამდე რამოდენიმე დღით ადრე, 2007 წლის 2 აგვისტოს. მხარეები ასევე არ უარყოფენ ფაქტს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებამდე მათ დაათვალთვალეს სადავო ბინა და კრედიტორისათვის ცნობილი იყო მიწენების ფართის არსებობის შესახებ. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უნდა შეფასდეს იპოთეკის ხელშეკრულებაში მიწენების ფართის გაუთვალისწინებლობის მიუხედავად, როცა ფართი გამიჯნული არ ყოფილა ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, არსებობდა თუ არა მხოლოდინი იპოთეკის საგნად მთლიანი ქონების განხილვისა, რამდენადაც იპოთეკის ხელშეკრულებაში მხოლოდ ის უძრავი ქონება მიეთითება, რომელზეც უფლება რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე

მუხლის პირველ ნაწილზე, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში, რამდენადაც იპოთეკით დატვირთეს მხოლოდ 40 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა და არა უნებართვო მიშენება, რის შედეგადაც ლ. ზ-ი გახდა მხოლოდ იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრე. ხელშეკრულებაში მიშენების ფართის მიუთითებლობა განპირობებული იყო ფართის უკანონობითა და საჯარო რეესტრში აღურცხავაობით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებაში ფართის მიუთითებლობა არ ქმნის სარჩელის უსაფუძვლობაზე მითითების საკმარის საფუძველს.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოქმედი კანონმდებლობა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას ითვალისწინებს ნივთის ნაწილის კავშირს ძირითად ნივთთან, მის ბრუნვაუნარიანობას, სამეურნეო დანიშნულებას. ცალკე უფლების ობიექტად შემადგენელი ნაწილის განხილვისათვის შესაძლებელი უნდა იყოს მისი ძირითადი ნივთისაგან გამოცალკევება განადგურების, დანიშნულების მოსპობის, სარგებლიანობის დაკარგვის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ მიშენების ფართი ცალკე უფლების ობიექტად მიიჩნია იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ძირითად ფართს და მიშენებას სხვადასხვა შესასვლელი ჰქონდათ და დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეეძლოთ, თუმცა გაურკვეველია რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო ამგვარ დასკვნამდე, რამდენადაც მხარეთა შორის სადავო და სარჩელის ძირითად ფაქტობრივ საფუძველს სწორედ ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მიშენების ცალკე უფლების ობიექტად დარეგისტრირებით ფაქტობრივად გამოუსადეგარი ხდებოდა საცხოვრებელი ბინა. როგორც მოსარჩელე უთითებდა, ბინას არა აქვს არცერთი ფანჯარა, სახლის გვერდით მეზობლის კედელია ხოლო წინა მხარეს სრულად არის განხორციელებული მიშენება, სწორედ აღნიშნული მიშენებიდან აქვს შესასვლელი სახლს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, მიშენების ფართის ძირითადი ფართისაგან გამოცალკევებით და სხვა პირისათვის მიკუთვნებით კარგავდა თუ არა იპოთეკის საგანი თავის ძირითად დანიშნულებას, რამდენადაც იპოთეკის საგანს, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვრა, წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ინსოლაციისა და განათებულობის პირობებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ფართის ადგილზე დათვალიერების, ან სათანადო საექსპერტო კვლევის გარეშე ამგვარი დასკვნის გაკეთება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას, მით უფრო, თუ მხარეები განსხვავებულ გარემოებაზე მიუთითებენ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მესაკუთრის შეცვლა, ანუ ძირითადი ფართის მესაკუთრედ ლ. ზ-ის აღრიცხვა, ანიჭებდა თუ არა ამ უკანაკნელს უფლებას მოეთხოვა ბინის არსებითი შემადგენელი ნაწილის მის სახელზე რეგისტრაცია, სახლზე არასებული სანივთო უფლებები ვრცელდებოდა თუ არა მასზე განხორციელებულ მიშენებამზე, რამდენადაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტი არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.“ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ფართის ლეგალიზება ქ. გ-ემ მოახდინა უძრავი ნივთის აუქციონზე რეალიზაციამდე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.“ შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, აღნიშნული გა-

რემოცია წარმოადგენდა თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და წარმოადგენს თუ არა ლ. 8-ი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ სუბიექტს და არსებობს თუ არა უძრავი ქონების არსებითი შემადგენელი ნაწილის იმ პირის სახელზე დაკანონების საფუძველი, რომელმაც დაკარგა საკუთრების უფლება ძირითად ნივთზე და ასეთ ვითარებაში სახეზეა თუ არა ახალი მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინების წინაპირობა.

საქმე № ბს-818-812(კ-11)

22 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დარღვეული უფლების დაცვა არ იქნება ქმედითი უკეთესი სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი თავისდროულად არ სრულდება, ვინაიდან სასამართლო აქტი შედეგზე ორიენტირებული აქტია. უფლება სასამართლოს დაცვაზე ილუზორული იქნებოდა ძალაში შესული სასამართლოს სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს განუყოფელ ნაწილად (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები – ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ §40, შპს „...“ და ... საქართველოს წინააღმდეგ §42, შპს „...“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ §47, აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ §55,56, ბურდოვი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ §34). აღნიშნულის შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილების დროული აღსრულება ვალდებული პირის იმპერატიულ მოვალეობას შეადგენს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ამავე კანონის 38.6 მუხლის მიხედვით თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადახდილი საფასურის ოდენობის ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 7%-ს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 7 დღიან ვადაში მოვალის მიერ ჩარიცხული 121 540 ლარიდან პირველ რიგში დაფარულ იქნა სააღსრულებო მოსაკრებელი, ხოლო დარჩენილი თანხით დაიფარა კრედიტორის დავალიანება, რის გამოც კრედიტორმა სრულად ვერ მიიღო დავალიანების თანხა 121 540 ლარი, არ ადასტურებს 7%-იანი განაკვეთის გავრცელებას არა მხოლოდ ვადაში გადაუხდელობა, არამედ აგრეთვე განსაზღვრულ დროში გადახდილ თანხაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტში და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.10წ. № 144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობის და გადახდის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აღსასრულებელი მოთხოვნის 7% განაკვეთზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილ სავალდებულო გადასახდელს, რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე და გაანგარიშებული უნდა იყოს სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული ფულადი სახსრებიდან, აღსასრულებელი მოთხოვნის ფარგლებში. თავის მხრივ აღსასრულებელი მოთხოვნა ნიშნავს არა უკვე აღსრულებულ მოთხოვნას, არამედ – მომავალში აღსასრულებელს. მიუხედავად იმისა, რომ შპს „...“ სარჩელის და სააპელაციო საჩივრის ერთერთ ძირითად საფუძვლად უთითებდა აღნიშნულ გარემოებას, არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა აღსასრულებელი მოთხოვნის მოცულობაზე. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია თუ რატომ უნდა გავრცელდეს აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წინადადების ნებაყოფლობითი შესრულებისათვის კანონით დადგენილ ვადაში გადახდილ თანხაზე.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს, ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.10წ. № 144 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის თანახმად, აღსრულების ხარჯი პირველ რიგში იმ შემთხვევაში იფარება, უკეთუ მოთხოვნა არასრულად ან ეტაპობრივად არის დაკმაყოფილებული, ხოლო შემდეგ იფარება აღსრულების საფასური და აღსასრულებელი მოთხოვნა ამოღებული თანხის პროპორციულად. განსახილველ შემთხვევაში აღსასრულებელი თანხა დადგენილ ვადაში იქნა გადახდილი (საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ მიერ 14.09.2010წ., ანუ კანონით განსაზღვრულ შვიდდღიან ვადაში, თბილისის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გადაირიცხა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა – 121 540 ლარი, ხოლო 1215,40 ლარი გადაირიცხა 21.09.2010წ. (ს.ფ. 59,67)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღსრულების საფასური საგადასახადო კოდექსის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით არ წარმოადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სახელმწიფო ბაჟს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი თავისი არსით ატარებს არა უფლებააღდგენითი სანქციის ხასიათს, რომლითაც ხდება მოვალის მიერ აღსრულების ხარჯების იძულებითი ანაზღაურების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად აღსრულების საფასური ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ირიცხება და სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნულ ბიუროს), არამედ მოვალის მიმართ გამოყენებული საჯარიმო ხასიათის სანქციას, რომლითაც დამატებითი გადახდის ვალდებულება ეკისრება მოვალეს, ამ ვალდებულებას იწვევს მოვალის მიერ სააღსრულებო წესების დარღვევა. კანონი მიზნავს სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრულ მოთხოვნას და მომსახურების საფასურს. განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სააღსრულებო მოთხოვნის დადგენა, დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით აღსასრულებელი თანხის განსაზღვრა. მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის მიცემული ვადა შეეხება სააღსრულებო ფურცელში განსაზღვრულ მოთხოვნას, მისი ძირითადი ამრი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიძნელების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. სააღსრულებო ბიუროს მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის დადგენისას (კანონის 28.1 მუხლის მიხედვით აღმასრულებელი სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა მოვალეს უგზავნის წინადადებას სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მოთხოვნის 7 დღის ვადაში ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ) მისთვის წინასწარ უცნობია თუ რომელი განაკვეთით მოხდება მოვალისაგან მომსახურების საფასურის ამოღება, ვინაიდან აღნიშნული დამოკიდებულია თვით მოვალის მიერ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, სწორედ ამის გამო აცნობებს ორგანო მოვალეს, რომ თანხის ნებით გადახდის შემთხვევაში მოვალეს დაეკისრება აღსრულების საფასურის შეღავათიანი განაკვეთი. მოცემულ შემთხვევაში მოვალის მიერ ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში იქნა შესრულებული სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნა, შესაბამისად სახეზე არ არის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმადაც მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველ რიგში იფარება საფასური ამოღებული თანხის პროპორციულად, ხოლო შემდეგ აღსასრულებელი მოთხოვნა. ამასთანავე კანონის 38.5 მუხლის თანახმად, საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. ის ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად, აღნიშნული თანხის გადახდის რაიმე დამატებითი ვადა, გარდა 7-დღიანი გადახდის ვადისა, მითითებული არ იყო შპს „...“ გაგზავნილ წინადადებაში, წინადადება შპს „...“ ჩაბარდა 08.09.2010წ., აღმასრულებლის წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ შეიცავდა მითითებას, რომ თუ მოვალე დადგენილ ვადაში შეასრულებდა გადაწყვეტილებას მას ეკისრებოდა მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის – მოთხოვნის 1%, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალეს დაეკისრება აღსასრულებელი საფასურის სრული ოდენობა – აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. ვინაიდან მოთხოვნა, რომლის გადახდაც წარედგინა მოვალეს შედგებოდა

აღსასრულებელი მოთხოვნისაგან და სააღსრულებო საფასურისაგან, ამასთანავე 7-დღიან ვადაში მოვალის მიერ ნებაყოფლობით გადახდილ იქნა მხოლოდ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხა (121 540ლ.), ხოლო მოთხოვნის 1% გადახდილ იქნა მოგვიანებით, აღნიშნული თანხის გადახდა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ იძლეოდა მხოლოდ გადახდილი საფასურის – 1215 ლარისა და 40 თეთრის 7%-ის მოვალეზე დაკისრების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს აღმასრულებლის უფლება- მოსილება სახელმწიფოს სახელით დააკისროს მოვალეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანხა, დეტერმინირებულია დადგენილი საჯარო-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სასამართლო და სხვა იძულებითი აღსრულებით და ასახავს სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივ ინტერესს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაში. სასამართლო აღმასრულებლის დადგენილება გადასახდელი თანხის ამოღების შესახებ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარმოადგენს სააღსრულებო დოკუმენტს, რომელიც გამოიცემა სააღსრულებო წარმოების საქმეზე, სასამართლო აქტების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით მისი მიღების გამო ის ატარებს მეორად ხასიათს და მაშასადამე არ ცვლის მათ, არ წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს ახალი, დამოუკიდებელი სააღსრულებო წარმოებისათვის იმავე მოთხოვნებით, ის არ ქმნის დამოუკიდებელი სააღსრულებო წარმოების საფუძველს, ამასთანავე, არ ამცირებს პირველადი სააღსრულებო დოკუმენტის მნიშვნელობას, რომლებიც შეიცავენ სასამართლოს და სხვა ორგანოების მოთხოვნებს თანხის გადახდასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველ რიგში უნდა დაიფაროს სააღსრულებო მოსაკრებელი, ხოლო დარჩენილი თანხით უნდა დაიფაროს კრედიტორის დავალიანება, ქმნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის შეუსრულებლობის შესაძლებლობას, არ პასუხობს სააღსრულებო წარმოების მიზნებს, არღვევს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის არსებულ ბალანსს (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ §27, §63). გარდა ამისა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ იცნობს ტერმინს „სააღსრულებო მოსაკრებელი“, ამასთანავე ვინაიდან საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად, მოვალის მიერ სააღსრულებო ფურცლის 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით აღსრულების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა კრედიტორის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გადახდილი საფასურის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაბრუნების ვალდებულების არსებობაზე, რაც უშუალოდ უკავშირება მოცემულ დავაში აღსრულებელი დავალიანების დადგენის საკითხს. ამასთანავე საქმეში არ მოიპოვება სააღსრულებო საფასურის პირველ რიგში დაფარვის დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეზე არ დადგენილა მოცემულ შემთხვევაში რაიმე იძულებითი ღონისძიების შესრულება სააღსრულებო ბიუროს მიერ, რომელმაც გამოიწვია სააღსრულებო საფასურის პირველ რიგში გადახდა და შესაბამისად მოვალის მიერ კასატორისათვის ძირითადი დავალიანების არასრულად ანაზღაურება.

10. სახელმწიფო ქონების პრივატიზება და კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა

საქმე № ბს-793-777(კ-12)

06 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე პრივატიზაციის განხორციელება სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილებაა და აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმ-

დებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება (სზაკ მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი). დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს ორგანოს არჩევანს კონკრეტულ შემთხვევაში შეასრულოს ან თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისგან, ან გააკეთოს არჩევანი სხვადასხვა ადმინისტრაციულ ქმედებებსა და ადრესატებს შორის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რადგან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად, იმპერატიულად ადგენს, რომ ქონების მმართველი ვალდებულია მოიზაროს განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაეცნოს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მისი სისწორის შემთხვევაში მოიზარეს გაუგზავნოს შეტყობინება შესაბამისი საპრივატიზებო საფასურის გადახდის თაობაზე და მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების შემქმნთან 15 კალენდარული დღის ვადაში დადოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამდენად, მოცემული რეგულაციით ადგილი არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას, არჩევს შესაძლებლობას. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ხსენებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სათანადო პირობების არსებობისას მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის არა უფლება, არამედ ვალდებულება. სათანადო წინაპირობების არსებობისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემოქმედა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-12.7 მუხლით დადგენილი წესით, კერძოდ გაეგზავნა შეტყობინება საპრივატიზებო საფასურის გადახდის თაობაზე და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში დაედო ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქმე № ბს-1135-1103 (კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების ვალდებულება

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მერიისათვის ქ. ქუთაისის მერის 2006 წლის 1 სექტემბრის 433 განკარგულების საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების მოწმობების გაცემის დავალება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქალაქ ქუთაისის მერის 2006 წლის 1 სექტემბრის № 433 განკარგულებით დამტკიცდა მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის მიერ 2006 წლის 22 აგვისტოს ჩატარებული აუქციონის შედეგები, რომლის მიხედვით §9, §32, §33, §35, № 3 ოქმით გამზირზე, სადერივაციო არხის დასავლეთით 500 კვ.მ., (სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით საბოლოო ფასი 6550 ლარი), ქუჩა, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 100 კვ.მ., (სავაჭრო კომერციული ობიექტის მოწყობის მიზნით, საბოლოო ფასი 705 ლარი), ქ. მმე-2 შესახვევი, 435 კვ.მ. (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიზნით, საბოლოო ფასი 2180 ლარი) და ქუჩის მე-8 შესახვევის გადაკვეთასთან 80 კვ.მ. (სავაჭრო ობიექტის მშენებლობის მიზნით, საბოლოო ფასი 505 ლარი) მიწის ნაკვეთებზე აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა რ. თ-ე.

სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის 3.4 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მიწა საკუთრებაში განიკარგებოდა კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო მიწის ნაკვეთი გასხვისებულ იქნა აუქციონის ფორმით, რომლის ჩატარების წესი განისაზღვრებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის 65 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-6 პუნქტის პირველი ნაწილის მიხედვით, აუქციონში ან კონკურსში გამარჯვებულის განსაზღვრიდან 10 დღის განმავლობაში კომისია აუქციონის ჩატარების შესახებ სხდომის ოქმს დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, რომელიც ამტკიცებს მას მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

მითითებული ნორმატიული აქტის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აუქციონის წესით გაყიდვა

წარმოადგენს პროცედურას, რომლის მიზანია გამარჯვებულის გამოვლენა კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. სხდომის ოქმის კანონით დადგენილ პროცედურებთან შესაბამისობის შემთხვევაში, იგი ექვემდებარება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ დამტკიცებას, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნული აქტის საფუძველზე ქონების შექენასთან დაკავშირებით ფორმდება ხელშეკრულება. საგულისხმოა, რომ ქალაქ ქუთაისის მერის 2006 წლის 1 სექტემბრის 433 განკარგულების მიმართ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ნდობა, რომლის საფუძველზეც მან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები, კერძოდ, ს/ს „ს-ის“ იმერეთის რეგიონალური ფილიალის მმართველის მიერ გაცემული ცნობით დადასტურებულია, რომ რ. თ-ემ, აუქციონის ოქმების მიხედვით – განეხორციელებინა აუქციონზე დასახელებული საბოლოო ღირებულების გადახდა, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით – დადგენილ ვადაში გადაიხდა თანხა (სფ. 65).

ამდენად, ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო კანონით დაკისრებული ვალდებულება მოსარჩელის მიერ შესრულებულია, რასაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სამოქალაქო კოდექსით სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ვეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

იმავე სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო ამავე კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეფასება მისცეს, რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს უარი ხელშეკრულების გაფორმებაზე სამოქალაქო სამართლის ზემოაღნიშნულ პრინციპებს, ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სადავო მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული აუქციონის შედეგები დამტკიცებულია და მისი კანონიერება სადავოდ არ არის გამხდარი, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენა ხელშეკრულების გაფორმებაზე გამომდინარეობს მისი გარიგების დადების სურვილიდან, თუ ეს მის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს.

საქმე № ბს-951-908(კ-06)

27 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ქონების პრივატიზაციის დადასტურება

საქმეში დაცული არ არის არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ობიექტის კასატორზე გასხვისების (პრივატიზაციის) ფაქტს. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ ობიექტი აყვანილია მის ბალანსზე, გარდა იმისა, რომ საქმეში დაცული არ არის ობიექტის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის დოკუმენტალური მტკიცებულება, ამასთან საკასაციო სასამართლო კასატორს განუმარტავს, რომ **ბალანსმფლობელობა არ ნიშნავს ობიექტის საკუთრებაში ქონას და სახელმწიფო ქონების გასხვისების ფორმასა და წესის ადგენს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.**

განმარტების საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების მე-2 პუნქტის მე-3 აბზაცზე, რომლის თანახმად, მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემოდა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. ამდენად, საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციისას ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა იყო სავალდებულო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც რ. შ.-მა 1994 წლის 17 ივნისის ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებით მოახდინა ქ. თბილისში, ...-ის ქ. № 15-ში მდებარე ბინის პრივატიზაცია, აღნიშნულ სადავო ბინაში ამ ოჯახის ორი სრულწლოვანი სრულწლოვანი წევრი – რ. შ.-ის მეუღლე – მ. მ.-ი და შვილი – ი. შ.-იც იყვნენ ჩაწერილი და სადავო არ არის ის გარემოება, რომ მათ ამ ბინის პრივატიზაციაზე თანხმობა არ მიუციათ, რითაც დაირღვა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების მე-2 პუნქტის მე-3 აბზაცით რეგლამენტირებული მათი უფლება და ხსენებული პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მართალია, სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება პრივატიზაციის ხელშეკრულების მთლიანად ბათილად ცნობის შესახებ, მაგრამ იმავდროულად არასწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სადავო ბინის 1/5-ზე განხორციელებული პრივატიზაციის ნაწილში. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ 1994 წლის 17 ივნისის ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმებისას ქ. თბილისში, ...-ის ქ. № 15-ში მდებარე ბინაში ჩაწერილი იყო ოჯახის ოთხი სრულწლოვანი წევრი – რ., შ., ი. შ.-ები და მ. მ.-ი, ხოლო ი. შ.-ის ძმა – შ. შ.-ი (დაბადებული 1983 წელს) ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი იმისათვის, რომ სადავო ბინის პრივატიზაციაზე მიეცა თანხმობა და შესაბამისად, ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვდა მხოლოდ დასახელებული ოთხი პირის მხრიდან ამის თაობაზე პოზიტიური ნების გამოხატვას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლოს, ხოლო, მეორე მხრივ, კასატორის მოსაზრებებს, რომ 1994 წლის 17 ივნისის პრივატიზაციის ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, შესაბამისად, 1/5 ნაწილში ან მთლიანად.

განმარტების საგანი: ფორმის დაუცველად დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება

სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა პროცესუალური მოწინააღმდეგეების საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენდა უცილოდ ბათილ გარიგებას, რომლისთვისაც საჭირო არ იყო შეცილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან წარმოდგენილი მოტივაცია ხელშეკრულების თაობაზე ეფუძნება ხელშეკრულების ზედაპირულ შეფასებას და არ შეიცავს დასაბუთებას იმ სამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რაზე დაყრდნობითაც სასამართლო მივიდა ზემოაღნიშნულ მოსაზრებამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს არარა გარიგებების სამართლებრივ ბუნებას და აღნიშნავს, რომ არარა გარიგებები მიეკუთვნება ბათილი გარიგებების ყველაზე კატეგორიულ ფორმას. კანონი არ ითვალისწინებს ასეთი სახის გარიგებების გამოსწორების შესაძლებლობას, გარიგება ბათილია დადებისთანავე და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა მოქმედება და ვერც სასამართლო გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ მისი ბათილად აღიარებისათვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეცილების აუცილებლობას.

არარა გარიგებების კატეგორიულობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სა-აპელაციო სასამართლომ შესაბამის მტკიცებულებებსა და მოტივაციაზე დაყრდნობით დაასაბუთოს, მიეკუთვნება თუ არა საქმეში დაცული ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებების რიცხვს, რომელიც დადებისთანავე ბათილია და არ საჭიროებს შეცვლას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ზემოაღნიშნული ნორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და გამორიცხავს გარიგების მონაწილეთა მხრიდან მისი შეცვლის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს ფორმის მნიშვნელობას გარიგებაში და თვლის, რომ ფორმა გარიგებაში წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების გარანტს. უფრო მეტიც, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ხშირ შემთხვევაში ფორმას ენიჭება კონსტიტუციური მნიშვნელობა.

მოცემულ ეტაპზე სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს სწორედ ის გარემოება, აკმაყოფილებს თუ არა უცილოდ ბათილი გარიგებებისათვის განსაზღვრულ წინაპირობებს სადავო ხელშეკრულება.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში წარმოდგენილი დათქმის შესაბამისად, გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრება გადადიოდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან, ასეთივე მოთხოვნა იყო ჩადებული „სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ“ დებულებაში.

უდავოა, რომ განსახილველ შემთხვევაში ნოტარიუსმა მოახდინა ხელშეკრულების დამოწმება და არა მისი დადასტურება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ პერიოდისათვის მოქმედ კანონმდებლობას. მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 ივნისის № 513 დადგენილებით „სახელმწიფო ქონების აუქციონით და კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულებაში დამატებათა შეტანის თაობაზე“ – „სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ“ დებულების 34-ე პუნქტს და „სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის შესახებ“ დებულების 36-ე პუნქტს დაემატა შემდეგი ტექსტი: „ამასთან ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟი იფარება ქონების პრივატიზაციის შედეგად ამონაგები საერთო თანხიდან“.

ასეთი საკანონმდებლო დათქმის პირობებში, როდესაც ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურება ფაქტობრივად მოცული იყო ერთიანი საპრივატიზაციო პროცესით, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს, სახეზეა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება თუ ადგილი აქვს ხარვეზს ფორმაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ფორმას გარიგებაში აქვს ნების გამოვლენის უტყუარობისა და მტკიცების გარანტია, სავალდებულო არ არის, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ყველა შემთხვევაში იყოს უცილოდ ბათილი, უფრო მეტიც, შესაძლოა ხელშეკრულება არც იყოს ბათილი და ადგილი ჰქონდეს ფორმის ნაკლის გამოსწორებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა რამოდენიმე ძირითადი ელემენტის არსებობა: გარიგება უნდა იყოს მართლზომიერი; მხარეთა უფლებებს უნდა განაპირობებდეს მათი ნება და სახეზე უნდა იყოს სამართლებრივი შედეგი. მართალია ეს უკანასკნელი მახასიათებელია ასევე არარა გარიგებებისათვისაც, მაგრამ საგულისხმოა, რომ არარა გარიგება იწვევს არა იმ შედეგს, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს ჰქონდათ განზრახული.

მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება დასრულებულია, ქონება გამყიდველიდან გადავიდა მყიდველზე, მყიდველმა გადაიხადა ქონების ღირებულება, გამყიდველის უფლებამოსილება და ნება გაესხვისებინა სადავო ქონება ეჭვქვეშ არ არის დაყენებული, სადავო არ არის ფაქტი იმის თაობაზე, რომ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა გ. ნ-ძე, ქონება რეგისტრირებულია ამ უკანასკნელის სახელზე.

ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს, სად არის ნაკლი მისი ნების გამოვლენაში.

აქვე, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს შემდეგ გარემოებაზე: კერძო სამართალი გარიგების დადებისას მხარეებს ანიჭებს არჩევანის ფართო შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ ნების თავისუფლებით. **მართალია, ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება კერძო ავტონომიასა და მხარეთა ნებაზე დაფუძნებულ გარიგებათა რიცხვს, მაგრამ სადავო ხელშეკრულების შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს პრივატიზაციის ერთიანი პროცესის შემდგენელ ნაწილს.**

ხელშეკრულების დადება პრივატიზაციის პროცესში დამოკიდებული არ არის სრულად მხარეთა ნებაზე და მის დადებას წინ უძღვის კანონით გაწერილი მოთხოვნების დაცვისა და შესრულების ვალდებულება.

სადავო პერიოდისათვის მოქმედი დებულების შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე გასაყიდი ქონება შედიოდა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას ქონების შესაბამისი ფორმით გაყიდვის შესახებ; ქვეყნდებოდა ინფორმაცია გასაყიდი ქონების თაობაზე; გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ დგებოდა შემაჯამებელი ოქმი, რომელიც მტკიცდებოდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით და მხოლოდ ამის შემდგომ გამარჯვებულთან იდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენდა საპრივატიზაციო პროცესის შემაჯამებელ აქტს, რომელსაც, როგორც აღინიშნა, წინ უძღოდა რიგი სამართლებრივი მოქმედებები, რომლებიც, პრივატიზაციის პროცესში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდნენ ცალ-ცალკე გასაჩივრების შესაძლებლობას.

იმ პირობებში, როდესაც პრივატიზაცია სადავოდ გამხდარი არ არის და არსებობს საკუთრების პრეზუმფცია, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს 09.09.2008წ № 2036 მიმართვის, როგორც აქტის კანონიერებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სასამართლოთა შეფასებას იმის თაობაზე, რომ ბათილი გარიგება ფაქტობრივად არ განხორციელებულა და მას სამართლებრივი შედეგი შესრულების კუთხით არ მოჰყოლია. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სადავო ქონების 14 წლის განმავლობაში კასატორის სახელზე რეგისტრაციის ფაქტს და სამოქალაქო კოდექსის 1515-ე მუხლის განაწესის გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს მითითებული ფაქტის შეფასებასა და ხანდაზმულობის საკითხის წამოწევას.

საქმე № ბს-170-164 (კ-10)

11 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის კანონიერების შემოწმება

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პრივატიზაცია არის ერთიანი პროცესი, რომელიც სხვადასხვა საფეხურს მოიცავს და განხორციელებული პრივატიზაციის კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ ყველა საფეხურის – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ასევე თანმდევი ხელშეკრულებების კანონიერებაც უნდა შეამოწმოს

საქმე № ბს-542-518(კ-07)

28 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ხანდაზმულობის ვადა

საკასაციო საჩივრის დავის საგანია ქ. ქუთაისის მერიასა და ე. რ-ეს შორის 1993 წლის 15 ექტემბერს დადებული ბინის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და აღნიშნული ბინის ნ. ჩ-ის საკუთრებად აღრიცხვა. სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილებულია პირველი მოთხოვნის – პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ბინის ნ. ჩ-ის საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში

სარჩელზე უარია ნათქვამი. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ბინის ნ. ჩ-ის საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლების არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. ქუთაისის მერიასა და ე. რ-ეს შორის 1993 წლის 15 სექტემბრის პრივატიზების ხელშეკრულების დადების შემდეგ ე. რ-ემ აღნიშნული ბინა გაასხვისა ლ. გ-ასა და ნ. ფ-ზე 2003 წლის 21 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით. ნ. ჩ-ე ისე ითხოვს აღნიშნული ბინის თავის საკუთრებად აღრიცხვას, რომ იგი სადავოდ არ ხდის ე. რ-ის შემდგომი შესაკუთრების მიერ ბინის საკუთრებაში შექმნას. ამდენად, თუნდაც პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა ავტომატურად ვერ განაპირობებს ნ. ჩ-ის სახელზე ბინის აღრიცხვას და ნ. ჩ-ის საკუთრების უფლებას სადავო ბინაზე, რამდენადაც პრივატიზების ხელშეკრულების გარდა სახეზეა აღნიშნულ ბინაზე საკუთრების გადასვლის სხვა სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა არსებობა გამორიცხავს მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას პრივატიზების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების პირობების არსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში პრივატიზების სადავო ხელშეკრულება დადებულია 1993 წლის 15 სექტემბერს, ხოლო სარჩელი აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულია 2004 წელს. ამ შემთხვევაში იმდენად დიდი პერიოდი გასული ბინის პრივატიზებიდან სარჩელის აღძვრამდე, რომ სარჩელის ხანდაზმულობის უარსაყოფად უდავოდ უნდა გამოირიცხებოდეს ნ. ჩ-ის მიერ ბინის ე. რ-ზე პრივატიზების გაგების შესაძლებლობა.

ნ. ჩ-ე იმ გარემოების გამაქარწყლებელ ძირითად არგუმენტად, რომ მას 2004 წლამდე არ შეიძლებოდა სცოდნოდა ე. რ-ის მიერ ბინის პრივატიზების შესახებ, მიუთითებს, რომ იგი 1993 წლიდან 2004 წლამდე იმყოფებოდა აფხაზეთში და აღნიშნული პრივატიზების თაობაზე ვერ ეცოდინებოდა. საქმის მასალებით ვერ დასტურდება 1993 წლიდან 2004 წლამდე ნ. ჩ-ის აფხაზეთში ყოფნის სარწმუნოება და აღნიშნულის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სრულიად დაუსაბუთებელია.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც ნ. ჩ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე ნი. და ნ. ჩ-ებისადმი მუქარის განხორციელების ფაქტზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 5 ივლისის დადგენილების უცვლელად დატოვების თაობაზე, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მითითებულ დადგენილებაში საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში, რაც გაიზიარა საგამოძიებო კოლეგიამ, მითითებულია შემდეგი: 1994 წლიდან ნ. ჩ-ესა და ე. რ-ეს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა ქუთაისში, ... № 9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და გადაწყვეტილება მიიღო ე. რ-ის სასარგებლოდ. აღნიშნული დავის მიმდინარეობისას არაერთხელ მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, რადროსაც 1994 წელს ე. რ-ე და მისი და დაემუქრნენ ნ. ჩ-ეს მოკვლით და სახლის წართმევით. იმავე წელს ნ. ჩ-ის ქალიშვილს დასახელებული პირები დაემუქრნენ სასამართლო პროცესის მოგებით და სადავო ფართის წართმევით. ამდენად, ზემოაღნიშნული სასამართლო დადგენილებით უდავოდ დადგენილია 1994 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნ. ჩ-ეს გასხვისებული აქვს მდებარე საცხოვრებელი სახლის 8/24 ნაწილი, ნ. ჩ-ესა და ე. რ-ეს შორის იმავე საცხოვრებელ სახლზე დავის არსებობა.

ნ. ჩ-ის სარჩელზე, რომელიც მას 2004 წლის 29 ოქტომბერს აქვს აღძრული, ნ. ჩ-ის მიერვე დართულია 1997 წელს გაცემული ტექტიურის ცნობა ე. რ-ის მიერ სადავო ბინის პრივატიზების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ნ. ჩ-ის 1993 წლიდან 1998 წლამდე – 2004 წელს სარჩელის აღძვრიდან ნ

წლის უკან დახევით პერიოდამდე უნდა სცოდნოდა სადავო ბინის ე. რ-ის მიერ დაუფლებისა და პრივატიზების თაობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში გასულია როგორც 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, ისე ახალი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უძრავ ნივთებზე ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა.

საქმე № ბს-496-490(კ-12)

26 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელის საფუძველია 1998 წლის 13 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს პრივატიზების ხელშეკრულება, რომლითაც მ. დ-სა და ლ. ხ-ს გადაეცათ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ... ქ. № 8-ში შენობის სარდაფ-სართულზე განთავსებული 28.5 არასაცხოვრებელი ფართი და შემდგომ აღნიშნულის საფუძველზე 1999 წლის 8 მარტს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ გაცემული № 23/573 საკუთრების მოწმობა, მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განიკარგა და მესამე პირებს – მ. დ-სა და ლ. ხ-ს საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 33 კვ.მ. სარდაფი, მდებარე, ქ. თბილისში, ... ქ. № 8-ში.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიუთითებს, მ. მ-მა სარჩელით (თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 1999 წლის 8 მარტის N23577 საკუთრების უფლების მოწმობის, 1998 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ი. მ-ის N1-4/484 ბრძანების, 1998 წლის 13 აგვისტოს იჯარა-გამოსყიდვის ფორმით დადებული პრივატიზების ხელშეკრულების, 1999 წლის 8 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის, რომლის საფუძველზეც გაიცა N23577 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით) სასამართლოს 2011 წელს მიმართა.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები, სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს, ხოლო ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურ-თიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, მართალია ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურ-თიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ კონკრე-

ტულ შემთხვევაში არ გამოირიცხავს სუბიექტურ მომენტს – იცოდა თუ არა მ. მ-მა 2011 წლამდე ანუ სარჩელის აღძვრის მომენტამდე ან უნდა სცოდნოდა თუ არა საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მ. მ-ის განმარტებას, რომ მისთვის სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესახებ ცნობილი გახდა 2011 წლის 16 ივნისს, როდესაც მან სადავო აქტები ჩაიბარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან, ვინაიდან, მართალია მოსარჩელე მ. მ-ს 1992 წლის 30 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. № 8-ში მდებარე ბინა, ორი ოთახი საცხოვრებელი ფართი 29,11 კვ.მ., საერთო ფართი – 33 კვ.მ., ასევე სარდაფი 33 კვ.მ., რის საფუძველზეც 2007 წლის 4 აგვისტოს აღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის საკუთრებად (იხ. ს.ფ. 32; 132; ტ.1), მაგრამ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მოსარჩელე – მ. მ-ი როდესმე სარგებლობდა სადავო სარდაფით, პირიქით საქმეში არსებული მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან, რასაც თავად მ. მ-იც ადასტურებს, მან სადავო სარდაფი 1990 წლებში სარგებლობის უფლებით გადასცა მეზობელს – ლ. ხ-ის მეუღლეს გ. მ-ეს, რომელმაც აღნიშნულ ფართში გახსნა საცხოვრებელი და იმ დღიდან მოყოლებული დღემდე მესამე პირები სარგებლობდნენ სადავო ფართით და მ. მ-ს 2011 წლამდე არ გასჩენია არანაირი პრეტენზია აღნიშნულზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მ. მ-ი 1990 წლიდან არ სარგებლობდა სადავო ფართით და ამ ფართით წლების განმავლობაში სარგებლობდნენ მესამე პირები, მას უნდა ევარაუდა და გამოერკვია ხომ არ დაირღვა მისი საკუთრების უფლება რაიმე ფორმით, მით უფრო იმ პირობებში, როცა მას არასდროს უსარგებლია სადავო ფართით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნია, რომ მ. მ-ის სარჩელი ხანდაზმულია, მით უფრო მაშინ როცა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადა 3 წელს შეადგენს.

საქმე № ბს-708-693(3კ-12)

04 ივლისი, 2013 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების/საკუთრების მოწმობის გასაჩივრებისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.8 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, სარგებლობის უფლებით გადაცემისა და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესს ამტკიცებს ქ. თბილისის საკრებულო ქ. თბილისის მერიის წარდგინებით. ხსენებული კანონის 10.1 მუხლისა და თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. № 1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზაციის წესის“* 9.1 მუხლის თანახმად სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება.** შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულება (სზაკ-ის 66-ე მუხ., 70-ე მუხ., სზაკ-ის 2 მუხლის „8“ ქვეპუნქტი, 25.2 მუხლი) და მის საფუძველზე გაცემული სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 17.08.10წ. № 1164 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 22-ე მუხლი). ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

* ძალადაკარგულია „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილებით.

** ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N 9-63 გადაწყვეტილების მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული დაპირება.

გამოცემის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც თავის მხრივ საჭიროებს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი კანონმდებლობის განსაზღვრას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აუქციონი – არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ გარკვეულ დროში განვითარებული პროცესი, რომლის ჩატარების კვალდაკვალ გამოიცემა ადმინისტრაციული აქტები (გადაწყვეტილება აუქციონის ჩატარების შესახებ, აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, საკუთრების მოწმობა), სრულდება საჯარო მოქმედებები (ობიექტის აუქციონზე გატანის შესახებ ცნობის გამოქვეყნება, აუქციონის ჩატარება), იდება ხელშეკრულება. ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა, რომელიც ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად, წარმოადგენენ ამ პროცესის დამაგვირგვინებელ, შემაჯამებელ დოკუმენტებს. მათი გასაჩივრებით საჩივრდება მთელი პროცესი, მისი გაუქმებით უქმდება აუქციონთან დაკავშირებული მთელი პროცედურა.

საქმე № ბს-666-253(კ-05)

18 იანვარი, 2006 ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ორმხრივი რესტიტუცია პრივატიზაციის ხელშეკრულების მოშლის შემდეგ

1999წ. 6 ივლისს შპს „ა-სა“ და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის გაფორმდა სს „თამბაქოს ფაბრიკა ქ-ის“ 50,5% აქციათა პაკეტის (409876 ცალი აქცია) ნასყიდობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად, „გამყიდველი“ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემდა, ხოლო „მყიდველი“ პირობადადებულ საკუთრებაში იღებდა ს.ს თამბაქოს ფაბრიკა „ქ-ის“ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ აქციათა პაკეტის 409876 ცალ აქციას.

ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე „მყიდველი“ კისრულობდა ვალდებულებას, ორი წ. განმავლობაში თანაბარპროპორციულად განეხორციელებინა არანაკლებ 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში ინვესტიციები თამბაქოს ადგილობრივი ნედლეულის წარმოების რეაბილიტაციისათვის და საწარმოს ტექნიკური გადაიარაღებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და საკონკურსო პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი, ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ჯარიმდება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის 10%-ით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში, დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა „გამყიდველის“ მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად, მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული ხარჯები.

დადგენილია, რომ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობის დარღვევის გამო, საქართველოს ქონების მართვის მინისტრის 2001წ. 15 ოქტომბრის № 1-3/735 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა მხარეთა შორის 1999წ. 6 ივლისს დადებული ხელშეკრულება.

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის გამო, შპს „ა-მა“ სარჩელის საფუძველზე მოითხოვა, სკ-ის 352-ე მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრული პირობების დაცვა დამხარეთათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნება, რაზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობის (სახელშეკრულებო პირობის) საფუძველზე მყიდველს არ უბრუნდებოდა გადახდილი თანხა.

საკასაციო სასამართლო გაცნო კასატორის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული ვერ იქნება სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულებები, ვინაიდან სახეზეა ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც კასატორისათვის, როგორც ხელშეკრულების მონაწილე პირისათვის, იმთავითვე იყო ცნობილი და რაზეც ხელშეკრულების დადების მომენტში პრეტენზია არ განუცხადებია, კერძოდ, მითითებული პირობები დადგენილი და განსაზღვრული იყო საქართველოს ქონების მართვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზაციის შესახებ დებულების“ 6.4 მუხლით, რომლის შესაბამისადაც, საკონკურსო პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა

განიხილებოდა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად „გამყიდველის“ მხრიდან, „მყიდველს“ არ უბრუნდებოდა თანხა და არ აუნაზღაურდებოდა მის მიერ გაწეული დანახარჯები.*

ზემოაღნიშნული დებულება წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს, ხოლო მასში ჩადებული პირობა ატარებდა სავალდებულო ხასიათს, რომელიც შეეთავაზებოდა კონკურსში მონაწილე ყველა პირს, რის თაობაზეც იმთავითვე ცნობილი იყო არა მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულის, არამედ კონკურსის მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. ამდენად, აღნიშნული პირობა ატარებდა სკ-ის 342.1 მუხლით განსაზღვრულ დატვირთვას, რომლის შესაბამისადაც, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობა, რომელსაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა.

ამავე კოდექსის 319-ე მუხლის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა პირობები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და მისი დებულებები ემყარებოდა მხარეთა თავისუფლებისა და ნებელობის პრინციპებს, რის გამოც არ არსებობს კასატორის მოთხოვნის გამიარების სამართლებრივი საფუძველი.

საქმე № ბს-600-589(4კ-12)

14 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრივატიზაციის შედეგების ბათილად ცნობა

სადავო აუქციონის ჩატარების დროს მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ. № 1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების თანახმად, აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი (4.7 მუხ.), რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას (6.1 მუხ.). აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მხარეთა მიერ ხელმოწერის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველსა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09წ. № 201 ოქმი (ხელშეკრულება) თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნებს. დაუსაბუთებელია ოქმისა და საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის გამომრიცხავ გარემოებად კეთილსინდისიერ შემძენზე მითითება. პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი ყოველთვის არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის მიხედვით კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები, მფლობელობის განხორციელების თვალსაზრისით, დაცულია მესაკუთრის ტოლფასად. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაში სადავო ხელშეკრულების – აუქციონში ე. ბ-ის გამარჯვების ოქმის მოქმედებით ირღვევა ი. გ-ის უფლება და კანონიერი ინტერესი. საქმის მასალებით, კერძოდ, ძალაში მყოფი მერიის 31.12.1999წ. განკარგულებითა და 22.09.2000წ. № 00457 ორდერით, რომელიც ი. გ-ეს უქმნის სადავო ფართის კანონიერი ფლობის და მის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნის საფუძველს, დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებით იზღუდება დაინტერესებული პი-

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი.

რის ი. გ-ის უფლება და კანონიერი ინტერესი. სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ, რასაც ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება) არის უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესის დამაგვირგვინებელი დოკუმენტი, ხელშეკრულების დადებამდე პრივატიზაციის პროცესი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რიგი საჯარო მოქმედებების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას. სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება აუქციონის გამოცხადების შესახებ. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა სზაკ-ის 70-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითებით, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი. სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნავს, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ 18.03.09წ. № 143 ბრძანება ქ. ბათუმში, ... ქ. № 70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, პალატამ დადგინდად მიიჩნია აგრეთვე, რომ № 143 ბრძანების გამოცემის დროს არ იყო დასრულებული სასამართლო დავა ბინის უსასყიდლოდ საკურებაში გადაცემაზე. სააპელაციო პალატა განჩინებაში უთითებს აგრეთვე, რომ № 143 ბრძანება კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რომლითაც მოსარჩელე ი. გ-ის კანონიერი უფლება და ინტერესი შეილახა, რის გამოც ის ბათილია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომელიც საფუძველად დაედო ხელშეკრულებას, დამატებით ქმნის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკრულების) სზაკ-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ან მის გარეშე. პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება ორი სტადიისაგან შედგება: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა და თვით ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, სზაკ-ის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იწვევს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის ბათილობა იწვევს მისი სამართლებრივი შედეგის ბათილობას, აქტის ბათილობის გამოცხადებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო ფართზე აუქციონის გამოცხადების შესახებ მინისტრის 18.03.09წ. № 143 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, გაუგებარია რა სამართლებრივი საფუძველით იქნა კანონიერად მიჩნეული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09წ. № 201 ოქმი (ხელშეკრულება) და ე. ბ-ის სახელზე 24.04.09წ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სზაკ-ის მეხუთე თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები ვლინდება სზაკ-ის ისეთ დანაწესებში, როგორცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის დაუშვებლობა და სხვ.. ამდენად, საჯარო ორგანო მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსით მოწოდებუ-

ლია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება, ბრუნვის სტაბილურობის მოსაზრებები არ წარმოადგენს ერთადერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ, სამართალურთიერთობის ყველა მონაწილის პატივსაღები ინტერესის სამართლიანი ბალანსის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში. მოცემულ შემთხვევაში ი. გ-ის და ე. ბ-ის ინტერესებს შორის, მარეგისტრირებელი ორგანოს გარდა, დგას ქონების განმკარგავი ადმინისტრაციული ორგანო – სამინისტრო, ნივთის შექენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ არ იქონია მსჯელობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სზაკ-ის ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

კეთილსინდისიერი შემძენის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის მსგავსად, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ადმინისტრაციულ სამართალში მიზნად ისახავს კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპი, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადებას. ამდენად, აქტის ბათილად ცნობის საკითხი განიხილება არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მისი საწინააღმდეგო – კანონიერი ნდობის თვალსაზრისით. 24.04.09წ. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობისადმი, ისევე, როგორც აუქციონის გამოცხადების შესახებ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.03.09წ. № 143 ბრძანებისადმი კანონიერ ნდობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 60¹.4 მუხლის თანახმად მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი უკეთუ არსებობდა ირღვევა სხვა პირის კანონიერი უფლებები ან ინტერესები, რაც სადავო ფართთან მიმართებით, კანონიერ ძალაში მყოფი ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. განკარგულებისა და 22.09.2000წ. № 00457 ორდერის არსებობის გათვალისწინებით, სახეგეა. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ი. გ-ეს სარჩელი ხანდაზმულობის ვადის დაცვით აქვს აღძრული, ხოლო კანონიერი ნდობა არ წარმოიშობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების პერიოდში, ვინაიდან ამ დროს დამდგარი შედეგი არ არის მყარი და შესაძლებელია შეიცვალოს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ი. გ-ის კანონიერი ნდობა, მის მიმართ გამოცემული აღმჭურველი აქტების, კერძოდ, მერიის 31.12.1999წ. განკარგულებისა და 22.09.2000წ. ორდერის მიმართ, რასაც სააპელაციო სასამართლოც ეთანხმება თავის განჩინებაში, ამასთანავე, არ დასტურდება სზაკ-ის 9.2, 60¹.4 მუხლებით გათვალისწინებული ნდობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა.

სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფცია მოქმედებს უკეთუ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ საჩივარი არ იყო შეტანილი ან შემძენმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. ამდენად, კეთილსინდისიერი შემძენად ე. ბ-ის მიჩნევისათვის არ არის საკმარისი იმაზე მითითება, რომ შექენისას ქონება ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად იყო აღრიცხული. სასამართლოს არ უმსჯელია აპელანტის მოსაზრებებზე იმასთან დაკავშირებით, რომ მყიდველისათვის ცნობილი იყო ობიექტის ი. გ-ის მიერ შესყიდვისა და მაშასადამე ჩანაწერის უზუსტობის შესახებ, სასამართლო არ შეუფასებია ამ მხრივ მოწმეთა ჩვენებები. სკ-ის 105-ე, 249-ე, 389-ე, 390-ე მუხლების თანახმად სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს თუ რატომ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება და უარყო სხვა მტკიცებულებები. კეთილსინდისიერების უფლების წყაროდ გადაქცევისათვის, ობიექტური სინამდვილის სუბიექტური დამოკიდებულებით შეცვლისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ შემძენისათვის შექენამდე უცნობი იყო ფართზე ი. გ-ის უფლება. სასამართლომ არ იქონია აგრეთვე მსჯელობა სისწორის პრეზუმფციის გამომრიცხავ გარემოებაზე. კეთილსინდისიერი შემძენა გამორიცხულია უკეთუ ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული უფლება ვერ გახდება შემძენის საკუთრება, თუნდაც მან არ იცოდეს რეესტრის უზუსტობის შესახებ. ამასთანავე, ნამდვილია მხოლოდ უძრავ ქონებაზე უფლებამოსილი პირის საჩივარი. ი. გ-ის უფლებამოსილება დასტურდება მერიის 31.12.1999წ. № 340 განკარგულებით და მის საფუძველზე გაცემული ორდერით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აუქციონის ჩატარების პერიოდში ი. გ-ე სასამართლო წესით მოითხოვდა მერიის სახელზე რიცხული ფართის მისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, რაც იყო სადავო ფართზე ი. გ-ის საკუთრების უფლების აღრიცხვის საშუალება, ვინაიდან ფართის პრივატიზაციის საკითხის გადაწყ-

ვეტის გარეშე ი. გ-ე ვერ მოითხოვდა ფართის უშუალოდ მის სახელზე აღრიცხვას, საჯარო რეესტრში ფართზე საკუთრების აღრიცხვა დეტერმინირებული იქნებოდა ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე დავის სასამართლოს მიერ გადაწყვეტით, ამასთანავე უძრავი ქონება აღრიცხული იყო ტექნიკენტარიზაციის ბიუროში და არა საჯარო რეესტრში, რაც არ აძლევდა მოსარჩელეს დავის მიმდინარეობის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის შეტყობინების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ამ გარემოებაზე მსჯელობის გარეშე მიიჩნია ე. ბ-ე კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების ეს ნაწილი არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საქმე № ბს-818-802 (კ-12)

27 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველი

საკასაციო პალატა არ იზიარებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 29.12.11წ. №1-136 ბრძანებაში აღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის სხდომის ოქმის (ხელშეკრულების) შედგენას. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების პროცესში თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულებებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს და სხვა ნორმატიული აქტებით. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას დგება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 22.1-ე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი. თავის მხრივ დაპირება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არის პირის კანონიერი ნდობის საფუძველი. კერძოდ, სზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დანტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. ამდენად მოსარჩელის მიერ აუქციონში მონაწილეობის მიღება, მასში გამარჯვება, მის მიერ დადგენილ ვადაში ობიექტის ღირებულების თანხის გადახდა ცხადია უქმნიდა მას კანონიერ ნდობას ჩატარებული აუქციონის მიმართ, კანონიერ მოლოდინს იმისა, რომ აუქციონის პროცედურა შეჯამდებოდა. აუქციონის შედეგების შეჯამება აუქციონის პროცედურის დამაგვირგინებელი სტადიაა, ჩატარებული აუქციონის შედეგების შეჯამება არის ადმინისტრაციული ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება და არა დისკრეციული უფლებამოსილება.

ვინაიდან აუქციონის შეჯამების ვალდებულება ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, აუქციონის შედეგების გაუქმების პირობას არ ქმნიდა ოქმზე კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა. კომისიის თავმჯდომარის მიერ ოქმზე ხელის მოწერის ვალდებულების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველს. რაც შეეხება აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებული ე.თ-ის ოქმზე ხელმოწერის არარსებობას, საქმეში არ მოიპოვება ოქმზე, ე.თ-ის ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მისთვის არავის შეუთავაზებია ოქმის ხელმოწერა, მოწინააღმდეგე მხარეს არწარმოუდგენია ე.თ-ის მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ყველა საჭირო პროცედურის, მათ შორის ოქმის კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმების კანონისმიერი ვალდებულება გააჩნდა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულება არ ქმნის აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველს. აუქციონი თავისი არსით არის საჯარო მოწვევა, ხელშეკრულების

დასადებად მიცემული წინადადება, მიმართული პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, აუქციონი უქმნის მის მონაწილეებს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, აუქციონის საჯარო გამოცხადება, აუქციონში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება ავალდებულებს აუქციონის ორგანიზატორს სათანადო წესით შეაჯამოს მისი შედეგები. აუქციონის ფორმით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების მიზანია კონკურენტულ გარემოში იმ მყიდველისათვის საკუთრების უფლების გაცემა, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამდენად, აუქციონის ორგანიზატორს, პირის აუქციონში მონაწილეობის მიღებისა და გამარჯვების შემთხვევაში, წარმოეშობა ობიექტის მიყიდვის ვალდებულება. სადავო აქტში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აუქციონის შედეგი, საერთოდ არ არის საუბარი მოსარჩელის მხრიდან აუქციონის წესების რაიმე დარღვევაზე, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19^ე მუხლის მე-6 პუნქტის* თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდება თუ აუქციონში გამარჯვებულმა ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა ქონების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია კანონიერად აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა, რომ არ დაუსაბუთებია ზემოაღნიშნული აუქციონის შედეგების გაუქმების პირობებიდან რომელიმეს არსებობა.

საქმე № ბს-761-745(კ-12)

16 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აუქციონის ფორმით პრივატიზებისას უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის გასხვისება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ 2011 წლის 11 თებერვალს მოსარჩელე მ. დ-მა აუქციონის წესით შეიძინა 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე, ქ. თბილისის ..., ... მე-14 ქუჩა № 35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ უძრავ ნივთზე კომისიის მიერ დადგენილ იქნა აუქციონის პირობები: შეზღუდვა – შშენებლობის უფლების გარეშე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუქციონის პირობებში სერვიტუტის არსებობის თაობაზე მითითება არ ყოფილა. აღნიშნულს არც ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს. ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს სადავო უძრავი ქონების შექმნისას მხოლოდ ის ინფორმაცია მიაწოდა, რომ მას მიწის ნაკვეთზე შშენებლობა არ შეეძლო (რასაც ეთანხმებოდა კიდევაც მოსარჩელე). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა მ. დ-ს, მას არ შეეძლო ევარაუდა მიწის ნაკვეთზე ვალდებულების – სერვიტუტის არსებობის თაობაზე და მას ასეთი ვარაუდის ვალდებულება არც ეკისრებოდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერში ვალდებულებითი გრაფა ცარიელია და იგი სერვიტუტის შესახებ მითითებას არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციას უძრავი ნივთის შესახებ შეიცავს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება იმ ფორმით და იმ მოცულობით არსებობს, რაც დაფიქსირებულია საჯარო რეესტრის მონაცემებში. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე ითვლება, რომ ვალდებულება თუ ასეთი არსებობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, სავალდებულოა რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ვალდებულება არ არსებობს. შესაბამისად, მოსარჩელეს კანონიერი ნდობა იმ ინფორმაციის მიმართ წარმოეშვა, რაც მას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა და რისი გაგების შესაძლებლობაც ჰქონდა მას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას იმის შესახებ, რომ სერვიტუტი დაფიქსირებული იყო საკადასტრო გეგმაში და მოსარჩელეს შეეძლო გაეგო აღნიშნულის თაობაზე. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ კასატორს, იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერში ვალდებულებითი გრაფა ცარიელი იყო, არ წარმოეშვება ვალდებულება უძრავი ნივთის შესახებ ინფორმაცია

* მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 119-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

ედიოს სხვადასხვა დოკუმენტებში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია სამართლებრივი დახმარება გაუწიოს მხარეს. აქვე, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სერვიტუტის შესახებ პირდაპირ მითითებას არც საკადასტრო გეგმა შეიცავს. საკადასტრო გეგმაში მითითებულია ზოგადად ვალდებულების არსებობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს წესი შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს. აღნიშნული წესის მე-11 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ქონების პრივატიზაციის შემდეგ ქონების გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მესაკუთრეს პრივატიზებულ ქონებაზე მასთან არსებული ინფორმაცია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე საქმის განხილვის მთელს ეტაპზე საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევაზე მიუთითებდა. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში არ დაუდგენია, რომელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, როდის, რა პირობებით, რა საჭიროებისათვის და რომელი სამართლებრივი აქტით დატვირთა სადავო 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სერვიტუტით. მოსარჩელეს საფუძვლიანად აქვს იმის მოთხოვნის უფლება, რომ იცოდეს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტის შესახებ ინფორმაცია (სერვიტუტის არსებობის შემთხვევაში), მისი დადების საფუძვლები და პირობები.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ აუქციონის პირობებში მითითებული შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, სერვიტუტს გულისხმობს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეს აღნიშნულის ვარაუდის საფუძველი არ ჰქონდა. იგი ნამდვილად ვერ ივარაუდებდა, რომ შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, სერვიტუტს გულისხმობდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, ცალსახად სერვიტუტის არსებობის ფაქტზე არ მიუთითებს. საყურადღებოა თავად სერვიტუტის არსი; **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის, ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიგხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ. ამდენად, სერვიტუტი მისი შინაარსიდან გამომდინარე თავისთავად მშენებლობის აკრძალვას არ გულისხმობს. შესაძლოა განსახილველ შემთხვევაში მშენებლობის აკრძალვა ქალაქგეგმარებითი ან სხვა ფაქტორების არსებობას ემსახურებოდეს. ამასთან, შესაძლოა სერვიტუტი კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ საფუძველით იყოს გამოყენებული, თუმცა, აღნიშნულს უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა შორის გაფორმებული დოკუმენტი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სერვიტუტის პირობები უნდა განისაზღვრებოდეს სათანადო დოკუმენტით. ზოგადად სერვიტუტის ინსტიტუტი თმენის ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად შეიძლება განისაზღვროს.**

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სერვიტუტის გაუქმების უფლებამოსილება არ გააჩნია; ხოლო საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავად სსიპ ქონების მართვის სააგენტომ იმ საფუძველით უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ მას სადავო მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის

გაუქმება არ მიაჩნდა მიზანშეწონილად. თუმცა, რატომ არ მიაჩნდა მიზანშეწონილად სერვიტუტის გაუქმება, ამამე საუბარი არ ყოფილა. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ მოსარჩელისათვის გაურკვეველია, ვინ და რატომ ზღუდავს მის უფლებებს.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად გულისხმობს შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, მოსარჩელისათვის ღობის შემოვლების აკრძალვას; ამასთან, გასათვალისწინებელია, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ შემოღობვა მშენებლობად. აქვე საგულისხმოა ის გარემოება, განსახილველ შემთხვევაში საუბარია თუ არა კაპიტალურ ღობეზე და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღობის მშენებლობას ჭირდება თუ არა ნებართვა; თუ იგი, როგორც I კლასის ნაგებობა (რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და მოსარჩელეს მხოლოდ შესაბამისი ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება), ექცევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების XIV თავის რეგულირების სფეროში, რომელიც I კლასის შენობა-ნაგებობების მახასიათებლებსა და მათი მშენებლობის მომწესრიგებელ წესებს განსაზღვრავს.

საქმე № ბს-843-827(კ-12) 25 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი
განმარტების საგანი: აუქციონზე ნაკლის მქონე ნივთის გასხვისება (ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“; სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო დავის არსის განსაზღვრისა და საქმის შინაარსში სრულყოფილი წვდომის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 13 მაისს ჩატარდა აუქციონი ელექტრონული ფორმით, რომელზეც გატანილ იქნა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 615 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე, ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, საკადასტრო კოდით: ..., ფუნქცია-საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. „ბეს“ თანხა შეადგენდა 6273 ლარს. ქალაქგეგმარებითი და ქალაქმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები სააუქციონო განაცხადში მითითებული არ იყო. 2011 წლის 13 მაისს ჩატარებულ აუქციონში გაიმარჯვა თ. ც-ამ. აუქციონის პირობების თანახმად, საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2011 წლის 10 დეკემბრამდე. 13.05.2011წ. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი № ე-24-94-613 ოქმის თანახმად, ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, ფართობით 613 კვ.მ საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში. 2011 წლის 16 მაისს, თ. ც-ამ განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა აუქციონზე შექმნილი მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის განსაზღვრა და მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ქალაქ-გეგმარებითი დასკვნის გაცემა, ვინაიდან ჰაერში კვეთდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი. 2011 წლის 20 მაისის № 12/55776-13 წერილით თ. ც-ას სსიპ არქიტექტურის სამსახურმა აცნობა, რომ სამსახურში არსებული ინფორმაციით მიწის ქვეშ გადიოდა მაღალი წნევის წყალმომარაგების მილები, ხოლო ჰაერში იკვეთებოდა მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროსადენი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას. სამსახურს მიწის ნაკვეთის შესახებ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა შეეძლო მას შემდეგ, რაც სამსახურში განსახილველად წარმოდგენილი იქნებოდა მიწის ნაკვეთის ტოპო-გეოდეზიური ანაზომი, სადაც ნაჩვენებ იქნებოდა ყველა სახის ხაზოვანი ნაგებობის ადგილმდებარეობა, რომლებიც უშუალო კავშირში იყო გასხვისებულ ტერიტორიასთან და შესაბამისი ორგანიზაციების მიერ (სს „...“, „ჯ...“) გაცემული დასკვნები ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის შესახებ. განმცხადებელს ეცნობა, რომ მიწის გასხვისება განხორციელდა მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიასთან გაერთიანების პირობით და მისი დამოუკიდებლად განვითარება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. სს „...“ 2011 წლის 23 მაისის წერილით ირკვევა, რომ სადავო ტერიტორიაზე გადის 110 კვ-იანი საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზი „დ...“, რომელიც ირიცხება სს „...“ ბალანსზე. 2011 წლის 16

ივნისს, თ. ც-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა, 2011 წლის 13 მაისის აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და აუქციონზე გადახდილი „ბეს“ – 6 273 ლარის დაბრუნება. საქმის მასალებით ასევე დადგინდა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 10 ივნისის წერილით თ. ც-ას ეცნობა, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 13 მაისის № ე-24-94-613 ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) გაუქმდა და გადახდილი „ბე“ დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა იმ საფუძველით, რომ თ. ც-ა, აუქციონში გამარჯვებული პირი, არ დაეთანხმა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს და ამის შესახებ შეატყობინა სააგენტოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და გადახდილი „ბეს“ დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულვებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ კი ქ. თბილისის მერიის მხრიდან. საკასაციო პალატა მიუთითებს ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს 9-63 გადაწყვეტილებაზე „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე სადაც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს დადგინდება საპრივატიზაციო ლოტის გარკვეული პირობებით რეალიზაციის თაობაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით აუქციონის პირობებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს: „ე“ ქალაქგეგმარებითი და ქალაქშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები და „ვ“ სხვა პირობები, რაც მიზანშეწონილია სააუქციონო ლოტის საპრივატიზაციოდ.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გამოცხადებული აუქციონის პირობებში არ არსებობდა არანაირი აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რა შეზღუდვა ან ვალდებულება ჰქონდა აუქციონზე გამოტანილ მიწის ნაკვეთს. კასატორის განმარტებით, სხვა მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც არსებობდა აღნიშნული შეზღუდვები მითითებული იყო აუქციონის პირობებში, რის გამოც მან შეიძინა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დოკუმენტაციის მიხედვით ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო იყო. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო და მას არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონის პირობებში მითითებინა ის შეზღუდვები და ვალდებულებები, რისი აღნიშვნაც იმოქმედებდა აუქციონის შედეგებზე. საკასაციო პალატა თვლის, სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს თუ რამდენად დიდი იყო ზიანი მოცემულ შემთხვევაში, რომელიც მხარეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით თუ უმოქმედობით მიადგა.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო მოცემულ შემთხვევაში „ბეს“ დაბრუნებასთან დაკავშირებით „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ასევე თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ლაურება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

საქმე № ბს-191-188(კ-11)

20 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერი მოსარგებლე

„კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის პირველი მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დებულების რეგულირების საგანს. მითითებული მუხლის შესაბამისად, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესს და პირობებს.

იმავე დებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს კანონიერი მოსარგებლის ცნებას, კერძოდ კანონიერ მოსარგებლედ ითვლება პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე.

მითითებული მუხლის ნორმატიული განმარტება იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: იმისათვის, რომ პირი აკმაყოფილებდეს კანონიერი მოსარგებლის სტატუსს, საჭიროა, აღნიშნული პირი ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით და ამ ქონებაზე გააჩნდეს უფლებადამდგენი დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელობა არის ფაქტი, რომლის დადასტურებასაც კასატორები ვერ ახერხებენ. უფრო მეტიც, სადავო არაა ის გარემოება, რომ კასატორები 1993 წლიდან დავის განხილვის მომენტამდე არ ფლობენ სადავო ბინას. მათ ამ პერიოდის განმავლობაში არ მიუშართავთ არცერთი ორგანოსათვის იმის თაობაზე, რომ ხელი ეშლებათ საცხოვრებელი ფართით სარგებლობაში და რომ მესამე პირი მათ ქონებას დაუფლებულია მათი ნების საწინააღმდეგოდ, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კასატორები არც პრივატიზაციის და არც პრივატიზაციამდე პერიოდში არ წარმოადგენდნენ ბინის მოსარგებლებს და შესაბამისად დაუფლებული არ იყვნენ სადავო ბინას.

საქმე № ბს-960-953 (კ-11)

7 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერი მოსარგებლე („კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი პრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვალის № 189 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივარში წამოყენებულ პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მესამე პირებს სადავო ფართით არ უსარგებლიათ, რაც გამორიცხავს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულებასთან შესაბამისობასა და ამ კუთხით მისი კანონიერად მიჩნევის შესაძლებლობას.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებუ-

ლი და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობით.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს განმარტოს, რომ პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის მართლაც საჭიროა, სახეზე იყოს არა მხოლოდ კანონიერად სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, არამედ ასევე ფიზიკური პირის მხრიდან არაპრივატიზირებული საცხოვრებელი (არასაცხოვრებელი) ფართის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, მაგრამ აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე და ცალსახად ადასტურებს მითითებული განმარტების მართებულობას. კერძოდ, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირს შეეზღუდოს საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა მხოლოდ იმ არგუმენტზე მითითებით, რომ ის საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვერ დაეუფლა ნივთს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ მ. მ-ის ოჯახი სადავო ფართს ვერ ფლობს მე-3 პირის არამართლზომიერი, განგრძობადი მოქმედების გამო და უშუალოდ მისი ბრალით არ მომხდარა ფართის მფლობელობაში არ მიღება, აღნიშნული ვერ გახდება საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07 წლის N73 ბრძანებულების გამოუყენებლობის საფუძველი. მით უფრო, როდესაც იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია პირები მათი ნების საწინააღმდეგოდ ვერ სარგებლობდნენ სადავო ბინით, ადასტურებს თავად კასატორი, როდესაც აღნიშნავს, რომ სადავო ბინა დაუფლების მომენტში იყო დაუმთავრებელი, ბინაში არ იყო შეყვანილი კომუნიკაციები, ხოლო მის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანამ განაპირობა მისი ოჯახის მხრიდან ფინანსური ხარჯების გაღება.

საქმე № ბს-257-254 (კ-12)

18 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერი მოსარგებლე („კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი პრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვალის № 189 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 მაისის № 994 ბრძანების თანახმად ა. ა-ს (მცხ. ქ. სიღნაღში, ... № ...-ში) უარი ეთქვა მის სარგებლობაში არსებული ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 1 ივლისის № 31 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ა. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 მაისის № 994 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

ა. ა-ის პირადობის მოწმობისა და პირადობის მოწმობის გაცემის ბარათით ირკვევა, რომ ა. ა-ი 1981 წლის 20 ივლისს ჩაწერილ იქნა ქ. სიღნაღში, ... № ...-ში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი პრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 73 ბრძანებულების* გამოყენების მართებულობას და კანონშესაბამისად

* ძალადაკარგულია 2013 წლის 06 სექტემბრის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით.

მიიჩნევს ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებას, რომლის შესაბამისადაც: „კანონიერ მოსარგებლედ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის, ბინის ორდერის, საბინაო წიგნის და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა მითითებული ნორმის ბოლო წინადადებას, მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წლის 17 აპრილს გაცემულ № 3 ცნობაზე. აღნიშნული ცნობის თანახმად, გარდაცვლილი ა. ა-ი ჩაწერილი იყო და მუდმივად ცხოვრობდა ქალაქ სიღნაღში, ... ქ. № ...-ში, მისი გარდაცვალებისთანავე მის ქონებას დაეუფლნენ მისი შვილები მ. და ა. ა-ები (ტ.1; სფ. 15).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბჭოური „ჩაწერის ინსტიტუტი“ განსხვავებით დღეს მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებულ საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციისა, ნიშნავდა საცხოვრებელი ადგილის არსებობას. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩაწერა წარმოადგენდა სახლის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ კასატორის დედა ჩაწერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ სადგომში, ქმნიდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებებს.

საქმე № ბს-581-560(კ-10)

25 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმ ფაქტობრივი გარემოებისა, რომ მ. მ-იას არ გააჩნია სადავო ფართზე ბინის ორდერი, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელეზე „...“ მმს № 2 ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 1993 წლის 31 მარტის საოქმო გადაწყვეტილებით, განაწილდა თბილისში ... № 204 კორპუსის 1-ლი სადარბაზოს მე-5 სართულზე არსებული 32.6 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად წარმოადგენს ბინის ორდერი სადავო ფართზე საკუთრების უფლების მოპოვების აუცილებელ საფუძველს და რამდენად აკმაყოფილებს მ. მ-იაზე გაცემული აქტები საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის № 73 ბრძანებულებით დამტკიცებული კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესით დადგენილ პირობებს.

ამასთან, სსრ საბინაო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად საუწყებო საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს აძლევდნენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებდა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში – ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესახლებულად საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის შემდგომი შეტყობინებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ – ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობამ საქმე განიხილა საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევის გარეშე, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია „...“ მმს № 2 ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 1993 წლის 31 მარტის საოქმო გადაწყვეტილება, რომლითაც მ. მ-იაზე განაწილდა თბილისში ... № 204 კორპუსის 1-ლი სადარბაზოს მე-5 სართულზე არსებუ-

ლი 32.6 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის შეფასების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე, კერძოდ, მითითებული გადაწყვეტილება რამდენად წარმოადგენს ზ. მ-იანზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის საფუძველს, რამდენადაც „...“ მძს № 2 ადმინისტრაციის პროფკომიტეტმა 1993 წლის 31 მარტის საოქმო გადაწყვეტილებით განიხილა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხი და ზ. მ-იანზე განაწილა სადავო საცხოვრებელი ფართი. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე უნდა შეაფასოს ის გარემოება, რომ პროფკომიტეტის საოქმო გადაწყვეტილება არ დამტკიცებულა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ საბინაო კოდექსის 53-ე მუხლით.

საქმე № ბს-323-320(კ-11)

15 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. **დებულების შინაარსიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პირზე ან პირებზე შესაძლებელი არის მხოლოდ მთლიანი შენობის, მთლიანი ფართის საკუთრებაში გადაცემა და არა მისი წილების გადაცემა.**

საქმე № ბს-596-585(კ-12)

29 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა

ბათუმის სახლსაშენი კომბინატის ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის 1993 წლის 22 იანვრის საცხოვრებელი ბინის № 06846 ორდერის, შესაბამისად, შ. ბ-ე და მ. მ-ე წარმოადგენენ ქ. ბათუმში, ... ქ. № 9-ში, № 17 ოროთახიანი ბინის კანონიერ მოსარგებლეებს. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის № 73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-2² ქვეპუნტის თანახმად, მ. მ-ისათვის ბინის უსასყიდლოდ გადაცემისათვის საჭირო იყო შ. ბ-ის თანხმობაც.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ადმინისტრაციულმა ორგანომ – ქ. ბათუმის მერია იმ დროს 2011 წლის 23 სექტემბრის № 02/346 ბრძანება მ. მ-ისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. № 9, ბ. № 17-ში მდებარე 59,49 კვ.მ. ფართის $\frac{1}{2}$ წილის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რომ არ გაითვალისწინა ბინის მეორე მოსარგებლის – შ. ბ-ის უარი მ. მ-ისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. № 9, ბ. № 17-ში მდებარე 59,49 კვ.მ. ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში, ... ქ. № 9, ბ. № 17-ში მდებარე 59,49 კვ.მ. ბინის კანონიერ მფლობელებს შ. ბ-ესა და მ. მ-ეს შორის არსებობს კონფლიქტი, ანუ სადავო ვითარებაა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო – ქ. ბათუმის მერია, მხარეთა შორის კონფლიქტის პირო-

ბებში არ იყო უფლებამოსილი მიეღო სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მით უფრო იდეალური წილების განსაზღვრით, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის შესაბამისად, პირს ენიჭება რაიმე სახის უფლებები და მოვალეობები, ადმინისტრაციული ორგანო არ არის ორ მხარეს შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტი ორგანო, არც წილების განსაზღვრა შედიოდა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის № 73 ბრძანებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულება არ განსაზღვრავს როდესაც ბინის რამოდენიმე კანონიერი დამქირავებლის არსებობის შემთხვევაში, ბინის ერთ-ერთი მფლობელის (ამასთან, აღნიშნული შემოაღნიშნული ბრძანებულება არ ითვალისწინებს ქონების წილობრივ პრივატიზაციას), თანხმობის არ არსებობის პირობებში განცხადების გადაწყვეტის სამართლებრივ შედეგს. რაც გულისხმობს, რომ ამგვარ ვითარებაში ანუ თანამფლობელთა შორის უთანხმოების პირობებში ორგანო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ ორგანოს – ქ. ბათუმის მერიას მ. მ-ის განცხადების განხილვისას უნდა გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს. შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიას უარი უნდა ეთქვა მ. მ-ისათვის განცხადების დაკმაყოფილებაზე, და განემარტა მისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირთა შორის კონფლიქტის გადაწყვეტა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს და მმართველობით ორგანოებს, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა, სადავო საკითხების გადაწყვეტის კომპეტენცია არ გააჩნიათ.

საქმეში მონაწილე ფიზიკური პირების შეუთანხმებლობა სადავო ბინის საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს სამოქალაქო წესით, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე, რის შედეგადაც განისაზღვრება ბინათმფლობელთა სამართლებრივი უფლებები.

საქმე № ბს-308-304(კ-12) 28 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართი

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის № 73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველია კანონიერი მოსარგებლის განცხადება შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოში, ხოლო მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებას უნდა დაერთოს „არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა); კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში აგრეთვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

როგორც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოები ცხადყოფს, ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, ... ქ. 95-ში არსებული 2571,74 კვ/მ კომუნალურ საცხოვრებელ ფართში ჩაირიცხა 1999 წლის 16 ივნისს, ანუ

ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების დროს ფართი ირიცხებოდა გეოლოგიის დეპარტამენტის ბალანსზე.

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 107-ე დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა).

იმავე დებულების მე-6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებაში, ხოლო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემისას ადმინისტრაციისა და მოქალაქეს შორის.

საკასაციო სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ იმ საკანონმდებლო სივრცის პირობებში, როდესაც საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მინიჭებული ჰქონდათ მათ ბალანსზე არსებული საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უფლება, შეუძლებელია, ორგანიზაცია-დაწესებულებებს შეეზღუდოთ იმავე პირობებში სარგებლობაში გადაცემის უფლება.

საქმე № ბს-720-692(კ-კს-08)

5 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერ სარგებლობაში არსებულ ფართზე უფლების დაკარგვა

საკასაციო სასამართლო გარკვეულწილად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი პრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების გამოყენების მართებულობას და კანონშესაბამისად მიიჩნევს ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებას, რომლის შესაბამისადაც: „კანონიერ მოსარგებლედ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის, ბინის ორდერის, საბინაო წიგნის და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე“.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეში დაცულ დოკუმენტს, რომლიდანაც იკვეთება, რომ მა. ს-ე 1979 წლის 3 აგვისტოს ჩაეწერა ქ. ქუთაისში, ... I ჩიხი №1-ში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს: იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორდერი უდავოდ წარმოადგენდა ბინაში შესახლების ერთადერთ დოკუმენტს, მაგრამ იმავდროულად პირს არ ჰქონდა ორი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობა და მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილზე გადასვლის შემთხვევაში პირი კარგავდა ფართზე უფლებას და საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება ითვლებოდა მოშლილად. ამდენად, ფართზე უფლების დაკარგვა პირს ართმევდა დამქირავებლის სტატუსის შენარჩუნების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა აწ გარდაცვლილი მა. ს-ის ...I ჩიხში №1-ში რეგისტრაციის პერიოდს, საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, ხომ არ მოხდა მა. ს-ის ფართზე უფლებადაკარგულად ცნობა და შესაბამისად, რამდენად არსებობს მის მემკვიდრეებზე ამ უფლების გადაცემის ფაქტობრივი საფუძველი.

11. საპროცესო სამართალი

11.1 ადმინისტრაციული პროცესი

საქმე № ბს-348-345(კ-11)

9 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონის განმარტების პრინციპები

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ტრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საქმე № ბს-580-570(კ-12)

26 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის საგანი და საფუძველი

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილებების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, შედგება სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საქმე № ბს-57-52(კ-13)

3 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უფლების რეალიზაცია კანონით განსაზღვრულ ვადაში

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სს „...“ 2011 წლის 11 მარტს, კანონით დადგენილ ვადაში, განცხადებით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსა-

ხურს და მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ 3910 კვ.მ. და 6740 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. შესაბამისად, მოსარჩელემ უფლების რეალიზაცია კანონით განსაზღვრულ ვადაში მოახდინა, ხოლო სარეგისტრაციო წარმოება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისი ბრალის გარეშე გაჭიანურდა. აღნიშნულის მოსარჩელის საწინააღმდეგოდ გამოყენება კი საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიჩნეა. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სარეგისტრაციო სამსახურს სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის საფუძვლად მითითებული აქვს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმომგვრელი დოკუმენტების წარუდგენლობა და არა კანონის გაუქმება. არც ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი არ უთქვამს კანონით დადგენილი ვადის გასვლის მოტივით. აღნიშნულზე მხოლოდ ექვეა ინსტანციის სასამართლოები აპელირებენ, რაც მოსარჩელის მდგომარეობას უდავოდ აუარესებს. ამასთან, **საკასაციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ თუ პირმა უფლების რეალიზაცია კანონის მოქმედების პირობებში მოახდინა, მას ამ უფლების განხორციელება იმ დროს მოქმედი კანონით შეუძლია.**

საქმე № ბს-226-174(კ-05)

30 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მხარეთა მორიგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი)

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, ანუ განსხვავებით კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, სადაც მოქმედებს ნების ავტონომიის პრინციპი, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოვლენის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან. ადმინისტრაციული ორგანო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე ნების გამოვლენისას, კონკრეტულად, არსებითი ხასიათის საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, შეზღუდულია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების და კანონიერების ფარგლებით, რამდენადაც მისი ნების გამოვლენა (სარჩელის ცნობა, მორიგება, სარჩელზე უარის თქმა) ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერი, კანონის ჩარჩოში მოქცეული. ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც პროცესუალური სუბიექტის ნების გამოვლენა ექვემდებარება არა უპირობოდ გაზიარებას, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის შემთხვევაში, არამედ, სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, ვინაიდან სასამართლო არ არის შებოჭილი ადმინისტრაციული ორგანოს ნების (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება) გამოვლენით. სასამართლოს ეს უფლებამოსილება ავალდებულებს შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენის შესაბამისობა მატერიალურ კანონმდებლობასთან, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2. მუხლიდან გამომდინარე, საქმის განხილვა-გადაწყვეტის შედეგი განაპირობოს არა მხარის ნების გამოვლენით, არამედ სამართლის ნორმის შეფარდება-განმარტებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური როლიდან, კერძოდ, განახორციელოს სრული სასამართლო კონტროლი მმართველობითი ორგანოს საქმიანობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არსებითი ხასიათის საპროცესო მოქმედების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის გავრცელება ემსახურება ადმინისტრაციულ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზანს, ხოლო ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებების განხორციელება იწვევს საქმის ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგით დასრულებას, შესაბამისად, კანონიერი სამართლებრივი შედეგით სასამართლო დავის გადაწყვეტა მხოლოდ ამ საპროცესო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელების გზით მიიღწევა. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, რამდენად კანონიერია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნების ამგვარი გამოვლენა.

საქმე № ბს-321-311(კ-09)

19 ნოემბერი, 2009 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: მხარეთა მორიგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი)

დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ 2007 წლის 7 ივლისის № 00000077 დადგენილებით, შპს „...“ დაჯარიმებული იქნა 15 000 ლარით; მათ შორის 10000 ლარით ექსპლუატაციაში მიუღებლად ობიექტის ფუნქციონირებისათვის და 5 000 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა საკასაციო პალატაში მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი; აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე. ამ ნორმის მოთხოვნაა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ შეამოწმა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება პირის ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე და თვლის, რომ კანონი არ ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრების გარეშე პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას; ამასთან საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი არ არის მორიგების კონკრეტული პირობები, რის გამოც მოცემული საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმე № ბს-1369-1308(კ-10)

21 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მხარეთა მორიგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი)

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება და იმავე განჩინებით მორიგება დაამტკიცა მოსარჩელესა და მე-3 პირს შორის 2009 წლის 22 ივლისს გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და თვლის, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საპროცესო სამართალწარმოების პრინციპებთან.

როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ სასარჩელო წარმოებაში, როგორც წესი, მონაწილეობს ორი მხარე: მოსარჩელე და მოპასუხე. მოსარჩელე არის პირი, რომელმაც სასამართლოში აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე პირი, რომელმაც მოსარჩელის

განცხადებით, დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლებები. ამდენად, სასარჩელო წარმოება აუცილებლად გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეთა არსებობას და დავას მათ შორის.

წინამდებარე საქმეში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს – გ. დ-ძე, ხოლო მოპასუხეს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. ამდენად, პროცესში მოდავე მხარე არის ორი, ხოლო ყველა დანარჩენი არის პროცესის მონაწილე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სა-მართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხ-ლით მინიჭებული უფლება-მოვალეობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სა-სამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავ-რონ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მითითებულ ნორმაში არსებულ ჩანაწერს, სადაც საუბარია მხარეთა და არა პროცესის მონაწილეთა შესაძლებლობაზე საქმე დაასრულონ მორიგებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე დავაში მხარეებს წარმოადგენენ გ. დ-ძე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური, რაც შეეხება ლ. თ-შვილს, ის განსახილველ საქ-მეში ჩართულია მე-3 პირად, რაც მას ანიჭებს პროცესის მონაწილის და არა მხარის სტატუსს.

საკასაციო სასამართლო დავის საგნისა და დავის საგნისადმი ლ. თ-შვილის ინტერესის გათვალისწინებით უდავოდ მიიჩნევს, რომ ლ. თ-შვილი საქმეში ჩაბმულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და წარმოადგენს „აუცილებელი“, „სავალდებულო“ მოწვევის მე-3 პირს, რომელიც ამავე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად ლ. თ-შვილისათვის მინიჭებული განსაკუთრებული პროცესუალური სტატუსისა, ის არ წარმოადგენს მხარეს, ამასთან, იმავე ზემოაღნიშნული მუხლის მოთ-ხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად თვლის მორიგებას ამ უკანასკნელის ნე-ბის არარსებობის შემთხვევაში. რაც არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ შესაძლებელია მხარესა და პროცესის მონაწილე პირს შორის შესდგეს მორიგება იმ პირობებში, როდესაც მორიგებაში არ მონაწილეობს პროცესის ერთ-ერთი მხარე და მისი ნება დადგენილი არ არის.

საქმე № ბს-764-758(კ-10)

20 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართ-ლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით ბ. გ-ძის საკასაციო საჩივარი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 2 მარტის № 96 პ/შ ბრძანებისა და 2009 წლის 24 თებერვლის № 317 ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ბ. გ-ძისათვის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ბ. გ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა.

წინამდებარე დავის შინაარსიდან გამომდინარე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსა-

ხილველ შემთხვევაში როგორც მოპასუხე, ისე მოსარჩელე გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. დავა შეეხება სოციალურ საკითხს-სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასაც ავალდებულებს ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმე დაუშვას და განიხილოს სახელმწიფო ბაჟის მოთხოვნის გარეშე.

საქმე № ბს-368-357(კ-13)

4 თებერვალი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საპროცესო ხარჯების ანაზღაურება საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში აქტის გამოუცემლობის სამართლებრივი შედეგები განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. ეს სამართლებრივი დანაწესი არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებისაგან. აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს პირის უფლებას – აქტის გამოცემისთვის კანონით განსაზღვრული ვადის დაუცველობის პირობებში (რაც შეუძლებელია სამართლებრივ სახელმწიფოში ტენდენციის ხასიათს ატარებდეს) მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრით ან სარჩელით სასამართლო ორგანოებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთგვარი პროცესუალური სანქცია, რომლის შესაბამისად, „თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში“. ვინაიდან თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ განუხილავს ა. თ-ის განცხადება და არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაეკისროს ა. თ-ის მიერ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა ა. თ-ის სასარგებლოდ. სასამართლო ხარჯების ამგვარი არაორდინალური გადანაწილების წესი – მოგებულ პროცესუალურ მხარეს დაეკისროს წაგებული მხარის სასამართლო ხარჯების გადახდა, გამომდინარეობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის სპეციფიკიდან, რამდენადაც სასამართლო კონფლიქტი წარმოშობილია სუბორდინაციულ სამართალურთიერთობის მონაწილეთა შორის, რომელთა მხარეები – ფიზიკური და იურიდიული პირები აღჭურვილნი არიან ადმინისტრაციული სამართლის ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უფლებით, მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, როგორც მატერიალურ, ასევე ფორმალურ სამართლებრივი ნორმების დაცვის ვალდებულებასთან მიმართებით.

საქმე № ბს-959-920(კ-2კს-07)

25 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აუცილებელი მოწვევის საფუძველზე პროცესში ჩასაბმელი მესამე პირის საპროცესო უფლებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი)

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირებთან მიმართებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავის დებულებები, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირის სტატუსს, მისი ჩაბმის და სავალდებულო მოწვევის საკითხს, მათ საპროცესო უფლება-მოვალეობებს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკ-

ვიდრებულება როგორც სასამართლოს უფლებამოსილება, ასევე ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5 მუხლის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სსსკ-ის 364-ე მუხლით ხელმძღვანელობისას აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკის გათვალისწინება და ლოგიკური განმარტების საფუძველზე მისი გამოყენება, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დავების განხილვისას მესამე პირის სტატუსი, უფლებები არის მოწესრიგებული, მესამე პირის აპელაციის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ და შეაფასონ სუბიექტი პროცესში უნდა ყოფილიყო თუ არა მოწვეული აუცილებელი წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით განსაზღვრული სუბიექტის მესამე პირად აუცილებელი მოწვევა, ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის პირობებში მესამე პირის აპელაცია ექვემდებარება დასაშვებად ცნობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5 მუხლიდან გამომდინარე, როგორც იმ მესამე პირისა, რომელიც უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაბმული და ვინც ისარგებლებდა აპელაციის შეტანის საპროცესო უფლებით, სასამართლოს მიერ საპროცესო კანონის სწორი გამოყენების შემთხვევაში.

საქმე № ბს-1657-1629(კ-11)

29 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

2008 წლის 21 აპრილს დ. გ-მა № 1074 განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურს და მოითხოვა დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო რუკის გაცემა, რომლის შესაბამისადაც დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება, ხოლო მიწის ფართობად მითითებულია – 0,75 ჰა (დაზუსტებული) უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია: 2008 წლის საკუთრების უფლების მოწმობა № 72; უფლების განაცხადის რეგისტრაციის № 1074/08; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 25 აპრილი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე 2009 წლის 9 თებერვლის განახლებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ფართობის – 7500,00 კვ.მ. „დაზუსტებლის“ მითითება იმ საფუძველით, რომ დ. გ-ის მიერ 2008 წლის 21 აპრილის № 1074 განცხადებით წარდგენილი იყო მხოლოდ ამომავალი ნახაზის ქალაქის ვერსია, რომელსაც თან არ ახლდა რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებული შესაბამის ფორმატში შესრულებული ელექტრონული ვერსია და ამის გამო რეგისტრაცია განხორციელდა დაზუსტებული მონაცემებით, ვერ იქნება საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვინაიდან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით

მოსარჩელის მტკიცებით მას ეს დოკუმენტი წარდგენილი ჰქონდა საჯარო რეესტრში, რის საწინააღმდეგოს მტკიცებაც მოპასუხეს ევალება. არც ერთი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება – დ. გ-ის განცხადების დანართის შესახებ, რომლის შენახვის ვალდებულებაც მას ეკისრებოდა, რაკი თავისი ინიციატივით მოახდინა საკუთრების უფლების საგნის თვისების (დაზუსტებული-დაუზუსტებლით) ახალი რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლოს ასევე იზიარებს კასატორის საკასაციო საჩივრის მოტივს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მტკიცების

ტვირთის გადანაწილების თაობაზე, და ვერ დაეთანხმება ქვემო ინსტანციების სასამართლოების მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დადგენილად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ დ. გ-ის მიერ 2008 წლის 21 აპრილის № 1074 განცხადებასთან ერთად დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იყო მხოლოდ აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსია და მას არ ახლდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია, და იმის მტკიცების ტვირთი, რომ დ. გ-მა ნამდვილად წარადგინა 2008 წლის 21 აპრილს საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია, დააკისრა მოსარჩელეს – დ. გ-ს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრობლემა ვერ კიდევ აქტუალურია, როგორც თეორიული, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბებისას ეყრდნობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე № ბს-626-596(კ-07) ბ. ნ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ), ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს, კონკრეტულად, საერთო სასამართლოების მხრიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის სწორ გაგება-განმარტებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვლავაც ადასტურებს ზემომითითებულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო შეფასებებს და დასკვნებს, თუმცა, წინამდებარე საქმის გარემოებები დამატებით საჭიროებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებების განმარტებას, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრმა თავისი ინიციატივით, ისე რომ მესამე პირის საჩივარი წარდგენილი არ ყოფილა, პრაქტიკულად შეცვალა უძრავი ქონების რეგისტრაცია უძრავი ქონების თვისების მიმართ, რის გამოც რეალურად შეიცვალა უძრავი ქონების ფართის ოდენობა, თანაც ისე, რომ აღნიშნულზე არ ჩაატარა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების სახე, წარმოებაში არ მიიწვია მესაკუთრე, არ მიუღია სათანადო სამართლებრივი აქტი საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე და არც ფაქტობრივად და სამართლებრივად არ დაუსაბუთებია იგი.

საქმის გარემოებების ამგვარი ერთობლიობა საკასაციო სასამართლოს მიანიშნებს, რომ საჭიროა განიმარტოს საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება – მათთან პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დაცულობასთან დაკავშირებით.

უდავოა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ რეგისტრაციაში ჩანაწერი „დაზუსტებული“ თავისი ინიციატივით შეცვალა ჩანაწერით „დაზუსტებელი“, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ისე დაარეგისტრირა ფართი, რომ არ წარუდგინა სათანადო დოკუმენტები.

ამ პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტთა ნუსხის შეუსაბამობის დამტკიცება, ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი საერთოდ არ მოუხდენია, არც კონკრეტული მოსამსახურის მიმართ აღუძრავთ და გამოუყენებიათ რაიმე დისციპლინური ხასიათის ზომა არასრულფასოვანი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის თაობაზე, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის არც ერთი ნორმა არ ავალდებულებს პირებს წლობით ინახავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილ, ჩაბარებულ დოკუმენტთა ნუსხის დამადასტურებელ ასლს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების არსი მატერიალურ სამართალში ძევს, ის, რისი ვალდებულებაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ ეკისრება პირს, საპროცესო სამართლებრივი ნორმითაც ვერ დაეკისრება.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არ დაუმტკიცებია ის გარემოებები, თუ რის საფუძველზე შეუცვალა დ. გ-ს საჯარო რეესტრის ჩანაწერში მითითებული „დაზუსტებული“ ფართი „დაზუსტებელი“, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ დაამტკიცეს ის გარემოება, რომ დ. გ-ის მიერ სარეგისტრაციო წარდგენილ დოკუმენტებში არ იყო საკადასტრო ნახაზის ელ. ვერსია, რამდენადაც რეგისტრა-

ციის მომენტში მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო იყო საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ.ვერსიის წარდგენა და რის გარეშეც ორგანო ვერ დაარეგისტრირებდა ფართს დაზუსტებული მონაცემებით.

იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციული ორგანო ცვლის რეგისტრაციის მონაცემებს თავისი ინიციატივით, ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ტვირთი მასზეა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომა, მით უფრო დაუსაბუთებელი და ფაქტობრივი გარემოებებით ვერ დამტკიცებული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს პირის საკუთრების უფლების შეზღუდვის მიზეზი. მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებული პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით.

საქმე № ბს-97-97(კ-12)

5 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

უდავოა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2005 წლის 7 აგვისტოს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ № 007/887 შეტყობინება გამოიყენა იმ საფუძველით, რომ ი/მ „ლ. რ-შვილს“ საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს 1997 წლის 10 თებერვლის შემოწმების აქტითა და თბილისის სამგორის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინჰექციის 1999 წლის 28 ოქტომბრის საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული თანხები სრულად არ ჰქონდა გადახდილი, როგორც საქმის მასალებით დასტურდება აღნიშნული შეტყობინება ი/მ „ლ. რ-შვილს“ არ გაგზავნია, ამის შემდეგ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 28 ივლისის № 14/04-14553 ბრძანებით ყადაღა დაედო ი/მ „ლ. რ-შვილის“ ქონებას საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ს.ფ. 26; ტ.1), ხოლო 2010 წლის 25 აგვისტოს 314/04-24626 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველად მიეთითა საგადასახადო კოდექსის 150.2 „ბ“ ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლო მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინებაში (საქმეზე № ბს-1657-1629(კ-11) დ. გ-შვილის სარჩელისა გამო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურების მიმართ), ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს:

„საქმის გარემოებების ამგვარი ერთობლიობა საკასაციო სასამართლოს მიანიშნებს, რომ საჭიროა განიმარტოს საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება – მათთან პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დაცულობასთან დაკავშირებით ამ პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტთა ნუსხის შეუსაბამობის დამტკიცება, ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი საერთოდ არ მოუხდენია, არც კონკრეტული მოსამსახურის მიმართ აღუძრავთ და გამოუყენებიათ რაიმე დისციპლინური ხასიათის ზომა არასრულფასოვანი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის თაობაზე, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის არც ერთი ნორმა არ ავალდებულებს პირებს წლობით ინახადნენ ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილ, ჩაბარებულ დოკუმენტთა ნუსხის დამადასტურებელ ასლს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების არსი მატერიალურ სამართალში ძვეს, ის, რისი ვალდებულებაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ ეკისრება პირს, საპროცესო სამართლებრივი ნორმითაც ვერ დაეკისრება“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საყურადღებოა კასატორის განმარტება იმის თაობაზეც, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს 1997 წლის 10 თებერვლის შემოწმების აქტითა და თბილისის სამგორის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინჰექციის 1999 წლის 28 ოქტომბრის საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული თანხების სრულად გადაუხდელობის გამო, გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ № 007/887 შეტყობინება გამოსცა 2010 წელს, 2005 წლის 7 აგვისტოს თარიღით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა

გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხიც და დაადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის მთხოვნათა შესაბამისად, არის თუ არა რეგისტრირებული სადავო შეტყობინება და მისცეს შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა თავისი ინიციატივით 2010 წელს, 6 წლის შემდეგ, 2005 წლის 7 აგვისტოს თარიღით ისე გამოსცა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ № 007/887 შეტყობინება, რომ არ ჩაატარა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების სახე, არ გამოუკვლევიან ი/მ „ლ. რ-შვილის“ პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული დავალიანების წარმოშობის მიზეზი, მით უფრო იმ პირობებში, როცა მეწარმე თავად სთხოვდა ადმინისტრაციულ ორგანოს არქივიდან ი/მ-ის მერ გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრების ამოღებას, საგადასახადო ორგანოს მეწარმის მიერ გადახდილი ქვითრების შედარებით არ გამოურკვევია მართლაც ჰქონდა თუ არა დავალიანებას ადგილი, არ მიუღია სათანადო სამართლებრივი აქტი საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე და არც ფაქტობრივად და სამართლებრივად არ დაუსაბუთებია იგი.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალა განსხილვისას უნდა სრულყოფილად გამოიკვლიოს ი/მ „ლ. რ-შვილის“ გადახდის დამადასტურებელი ქვითრების შედარების საფუძველზე გაჩნია თუ არა ი/მ „ლ. რ-შვილს“ პირადი აღრიცხვის ბარათზე რაიმე სახის დავალიანება და მეწარმის მიერ 1999 წლის 28 ოქტომბერს გადახდილი 790 ლარით სრულად დაიფარა თუ არა მასზე დარიცხული თანხები.

საქმე № ბს-335-317(კ-07) 24 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი
განმარტების საგანი: კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს შორის კონკურენცია (უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა)

მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმად, შპს „დ.-ს“ დირექტორმა 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის უნდა აუნაზღაუროს 5172 ლარი, მეორე მხრივ, პარალელურად არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლითაც იმავე 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შპს „დ.-ს“ გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის 22347 ლარი ერიცხება. აღნიშნული საგადასახადო შემოწმების აქტი არავის გაუუქმებია და ძალაშია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, სასამართლო აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტი, მათ შორის, განაჩენი, გადაწყვეტილება, შესასრულებლად სავალდებულოა ყველასათვის. თავის მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსია პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობების დაწესება, შეცვლა, შეწყვეტა, დადასტურება. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა განაპირობებს შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომას („აწესებს, ცვლის, წყვეტს, ადასტურებს“) და ეს შედეგი აქტით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით ნამდვილია, ვიდრე აქტი ძალაშია.

მოცემულ შემთხვევაში როგორც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ისე საგადასახადო შემოწმების აქტით ერთი და იგივე საკითხი – შპს „დ.-ს“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დასაბრუნებელი გადასახადების ოდენობის შესახებ – შედეგობრივად სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. გასარკვევია, როგორი სამართლებრივი შედეგი უნდა დად-

გეს, როგორ უნდა დაიბეგროს გადასახადის გადამხდელი – კანონიერ ძალაში შესული განაჩენის თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, რამდენადაც განაჩენით დამდგარი სამართლებრივი შედეგი გარკვეულწილად გამორიცხავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან გამომდინარე სამართლებრივ შედეგს და – პირიქით.

აღნიშნული საკითხი, თავის მხრივ, უკავშირდება იურისდიქციულ პრობლემებს ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს, კერძოდ კი, მოცემულ შემთხვევაში – ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს შორის, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალამოსილებასთან მიმართებით ამ სასამართლოთა კომპეტენცია ერთმანეთს კვეთს.

სასამართლო, რომელიც თავის უწყებრივად ქვემდებარე და განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის, საქმის განხილვის პროცესში შეუძლია, გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძოსამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის მიუხედავად.

იმავედროულად, საერთო სასამართლოებს შიგნით, ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების კომპეტენციათა დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს ეკრძალება, ჩაერიოს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს კომპეტენციაში და განიხილოს მათი განსჯადი საქმეები და – პირიქით. ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოთა შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განსჯადობის შესახებ წყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

დავა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსჯად საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო არაუფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს დავა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ, ბათილად, ძალადაკარგულად, არარად გამოაცხადოს ასეთი აქტი.

ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი გარემოებებიდან დანაშაულის ნიშნები იკვეთება, რის გამოც პირს ბრალდება წარედგინება სწორედ აღნიშნული აქტის საფუძველზე. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ გარემოებებს სისხლის სამართლის პროცესში არ ანიჭებს პრეიუდიციულ მნიშვნელობას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ფაქტებს სისხლის სამართალწარმოებაში არა აქვს სავალდებულო ძალა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საქმეზე, ისევე როგორც ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს პრეიუდიციული ძალა.* მიუხედავად ამისა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია) სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების მიზნით ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის წამოწყებისა და ამ დავის დასრულებამდე სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეჩერების შესაძლებლობას. ასეთი ადმინისტრაციული დავის აღძვრა მთლიანად ბრალდებულ პირზეა დამოკი-

* სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს.

დებულები, რომელიც ასეთ შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე ან იყენებს ან – არა. თავის მხრივ, ასევე ალბათობის შემცველია, რამდენად მოეწერება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დადგომამდე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. ამ გადაწყვეტილებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მიმართ ექნებოდა პრეიუდიციული ძალა.

ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფაქტები სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ უნდა იქნეს საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, თუმცა პირდაპირ არ იხილავს აქტის კანონიერების საკითხს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების სისწორის შემოწმებისას, რომელიც, თავის მხრივ, სწორედ აღნიშნულ აქტს ეფუძნება, იმავდროულად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფაქტობრივ დასაბუთებულობაში „იჭრება“ და ამ აქტით ერთხელ უკვე დადგენილი ფაქტების სისწორეს ხელახლა ამოწმებს.

სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო ასეთი ფართო პროცესუალური კომპეტენცია შეიძლება აიხსნას სისხლის პროცესის ფუნქციით, რომელიც ყველაზე ხელშესახებია პირის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ. ამის გამო ძალიან მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო ფართო უფლებამოსილებით იყოს აღჭურვილი და იმავდროულად, მართლმსაჯულებას ოპერატიულად ახორციელებდეს. სწორედ ამიტომ, მართალია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს არ შეუძლია, ბათილად, ძალადაკარგულად, არარად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ იგი ფლობს სრულ იურისდიქციას დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სასჯელის გამოყენების საკითხზე; ამ მიზნით მას აქვს სპეციალური კომპეტენცია, შეამოწმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი გარემოებები აღნიშნული აქტის კანონიერების საკითხის განხილვის გარეშე და დაადგინოს ამ აქტით დადგენილისაგან განსხვავებული ფაქტები, ასევე მოახდინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარაობის საფუძვლების კონსტატირება.

სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ, რომელზეც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წაყენებული ბრალდება შემოწმდა და განაჩენი დადგა, შემდგომში შეიძლება კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს შორის კონკურენცია წარმოიშვას და საჭირო გახდეს ადმინისტრაციულ საქმეზე საგადასახადო შემოწმების აქტით დადგენილი ფაქტების ხელახლა დამტკიცება, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია.

საქმე № ბს-13-13(კ-07)

15 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი)

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი:

- ა. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას;
- ბ. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს;
- გ. უკანონოდ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას.

ამდენად, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია, გასაჩივრებული აქტით ზიანი ადგებოდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს ან უკანონოდ იზღუდებოდეს მისი რომელიმე უფლება. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს, მოითხოვოს საქმის განხილვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით. ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ „თავისი“ უფლების ან თა-

ვისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესულური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი.

საქმე № ბს-1464-1398(კ-09)

24 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მხრიდან სადავოდ არაა ქცეული შემწეობის შეწყვეტის თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სარჩელის საფუძველზე სადავოდა გამხდარი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 02/09-17751 გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. თ-შვილს უარი ეთქვა 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისის ჩათვლით საარსებო შემწეობის გაცემაზე და ასევე სააგენტოს სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 10 ივნისის № 10/10-12377 აქტის ბათილობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარემ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავოდ გახადა ყველა მანამდე არსებული აქტი, ხოლო საბოლოოდ სარჩელის საფუძველზე ითხოვს მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე მიღებული შემაჯამებელი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ბათილობას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველა მანამდე მიღებული აქტი ჩაითვლება კანონშეუსაბამოდ. ამდენად საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მოთხოვნის არასრულყოფილების თაობაზე და თვლის, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეეძლო მოთხოვნის დაზუსტება, სარჩელის ფარგლებში დავის გადაწყვეტით არ დარღვეულა საპროცესო სამართლის ნორმები, რაც არ იძლევა ამ მოტივით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

საქმე № ბს-381-369(კ-10)

21 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მართალია, ს. ტ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის № 1-1/1895 ბრძანების ბათილად ცნობა, მაგრამ საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის ბრძანება წარმოადგენს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ს. ტ-შვილის ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც იგი ასაჩივრებდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურ-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის № 347 აქტს. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის № 1-1/1895 ბრძანების გასაჩივრება თავისთავად მოიაზრებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურ-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის № 347 აქტის გასაჩივრებასაც, რომლითაც ს. ტ-შვილს უარი ეთქვა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე.

საქმე № ბს-1514-1493(კს-11)

16 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მიმართ პირის კანონიერი ინტერესის არსებობა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

კონკრეტულ შემთხვევაში აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დასაშვებობის პირობებს, რომლის თანახმადაც თუ

კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

ინტერესის ცნების დეფინიციას გარკვეულწილად იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან რეალაქტი.

დაინტერესებული მხარის ცნების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი უკავშირდება პირის უფლებას მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ანუ გამოვიდეს მხარედ სასამართლოში.

პირის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენება მის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე, ანუ სარჩელის შემტანს მასში დასმული საკითხებისადმი უშუალო უფლებადამცავი ინტერესი უნდა ჰქონდეს.

მოსარჩელის უფლება ან ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნას დაცული. სიტყვა კანონი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს.

უფლება სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად დაცული ინტერესი. უფლება შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირს მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს და სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად.

პროცესის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება.

ინტერესის არსებობის საკითხს წყვეტს სასამართლო. ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მოსარჩელის განცხადება. მისი არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენენ უფლების დარღვევა ან დარღვევის საშიშროება, რომლებზედაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს. სარჩელი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს მხოლოდ იმ პირმა, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა გასაჩივრებული აქტით.

შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების (ინტერესის) კანონით გათვალისწინებული საშუალებებით დაცვა შესაძლოა მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად წარმოადგენს იურიდიული ფაქტების გარკვეულ წყებას, რომლითაც დასტურდება როგორც თვით უფლების ან ინტერესის არსებობა, ასევე მისი დარღვევა ან სადავოდ ქცევა. დავაში მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესის მტკიცების ტვირთი მასვე ეკისრება.

საქმე № ბს-1506-1485(კ-11)

3მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აქტის ბათილად ცნობის მიმართ კანონიერი ინტერესის არსებობა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას ო. ყ-ისათვის ქ. თბილისში, ჭ-ის მე-2 ჩიხი, № 3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) საკუთრების უფლების მინიჭებისა და საჯარო რეესტრში აღნიშნულ უძრავ ნივთზე ო. ყ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის იმ ნაწილის (მიწის ნაკვეთი 213 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 67.16 კვ.მ.) ბათილად ცნობა წარმოადგენს, რომელსაც მოსარჩელე ფლობდა. ამდენად, სახეზე გვაქვს შეცილებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეცილებითი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. მოსარჩელემ უნდა დაამტკიც-

ცოს მისი უფლების დარღვევის ფაქტი, დავაში მისი უფლებადამცავი ინტერესი და ამასთან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესების სფერო სწორედ მიღებული ზომების შედეგად დაირღვა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ, იურიდიული, კანონიერი დაინტერესება. კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის აღძვრის საბაბის ფაქტები (უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება). კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადასტურებას. განსახილველ შემთხვევაში კი უნდა დასტურდებოდეს ქ. ბ-ის კანონიერი ინტერესი ო. ყ-ის საკუთრების უფლების მიმართ. ამასთან, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისთვის სასარგებლო შედეგი დადგება – გახდება სადავო ფართის მესაკუთრე.

საქმე № ბს-114-107(კ-06)

31 ოქტომბერი, 2006 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლო-ში გასაჩივრების ვადა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა თ. ა-ის სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე გამოტანილია საქმის გარემოებების არასწორი შეფასებისა და კანონის ნორმის არასწორი განმარტების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ თ. ა-ის მიერ სადავო ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის ერთგვანი ვადის ათვლა დაუკავშირა თ. ა-ის ზოგადად ინფორმირებულობას მისი გათავისუფლების საკითხზე, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის 21 და 22 მუხლების თანახმად, მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამავე მუხლის პირველი პუნქტი აღნიშნული ბრძანების გასაჩივრებას ითვალისწინებს „კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში“. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების ვადას განსაზღვრავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის წესი გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლით, რომლის თანახმად, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის აღნიშნული აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით მის გაგზავნას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირს ოფიციალურად ჩაბარდა აღნიშნული აქტი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, თუ როდის ჩაბარდა თ. ა-ს მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მხოლოდ ის გარემოება, თუ როდიდან უნდა ყოფილიყო მოსარჩელე ინფორმირებული მისი დათხოვნის შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დათხოვნის თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქმიანობის შეწყვეტის დღიდან – 2005წ. 25 იანვრიდან, რაც დასტურდებოდა მოსარჩელის 2005წ. 18 თებერვლის პატაკით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული პატაკით არ დასტურდება თ. ა-ის მიერ სადავო ბრძანების გაცნობა. მოსარჩელე ამ პატაკით ითხოვს ბრძანების ამონაწერს და თანამდებობაზე აღდგენას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელე 2005წ. 18 თებერვლის მდგომარეობით არ არის გაცნობილი სადავო ბრძანებას, რაც არ იწვევდა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას.

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი აღძრულია სსაკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა მის მიერ დარღვეულია, რაც საქმის წარმოების დაუშვებლობის მოტივით შეწყვეტის საფუძველია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შპს „...“ მიერ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია სამინისტროში 29.04.11წ., კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაცვით. სამინისტრომ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში, სზაკ-ის 182.2 მუხლით განსაზღვრული 5 დღიანი ვადის დარღვევით, 32 დღის შემდეგ, კერძოდ 31.05.11წ. მიიღო. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის თავმჯდომარეობით და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მდივნობით, ჩატარდა ზეპირი მოსმენა. საქმეში დაცული 14.06.11წ. ოქმის მიხედვით სხდომას ესწრებოდნენ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის, შპს „...“ წარმომადგენელი გ. ც-ე და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს წარმომადგენელი მ. ჭ-ა. მხარეების მიერ თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენისა და შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ზეპირი მოსმენა დასრულდა, მხარეებს გამოეცხადათ, რომ კანონით დადგენილ ვადაში ეცნობებოდათ გადაწყვეტილება (ს.ფ. 160-161). საქმეში არ მოიპოვება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ კანონით განსაზღვრული (სზაკ-ის 183.2 მუხ.) დოკუმენტი ან საქმის განხილვის გადადების შესახებ გადაწყვეტილება, რაც გათვალისწინებულია სზაკ-ის 201.2 მუხლით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ წარმომადგენლის მიმართვის პასუხად, რომელშიც ის ითხოვდა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების შეტყობინებას, სამინისტროს 30.11.11წ. წერილით მოსარჩელეს ეცნობა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, წერილის მიღებიდან 1 თვის ვადაში (28.12.11წ.) მან სარჩელით მიმართა სასამართლოს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამინისტროს მიერ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიუღებლობით დაირღვა სზაკ-ის 183.1 მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების, ზეპირი მოსმენის ჩატარების შემდეგ შპს „...“ გააჩნდა კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. სზაკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ზეპირი მოსმენის გამართვა უქმნის ადმინისტრაციულ ორგანოს ზეპირი მოსმენის გამართვიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას. სზაკ-ის 5.1 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი უარი თქვას მის მიერ გადასაწყვეტი საკითხის გადაწყვეტაზე და შესაბამისი აქტის გამოცემაზე. სზაკ-ის მე-12 მუხლის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უგულვებელყოფილ იქნა სზაკ-ის მე-12 მუხლით დადგენილი ვალდებულება, კერძოდ, მან არ გადაწყვიტა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი საჩივარი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების არმიღება არ უნდა გახდეს მხარის საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძველი (სასამართლოსადმი მიმართვის და განხილვის უფლება).

საქმე № 1345-920(კ-05)

8 მაისი, 2006 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: კოლევგური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ამავე ორგანოს წევრის მიერ (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი)

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ივლისის განჩინებით საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და ა. გ.-ის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, შ. ბ.-ის სარჩელი განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლევგის, შემდეგი მოსაზრებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რაიონულ სასამართლოს ფაქტობრივად არ უმჯავლია, თუ რატომ მიიჩნია შ. ბ.-ის სარჩელი დასაშვებად, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელი დასაშვები იყო, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას.

საკასაციო საჩივრის დავის საგანია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული შ. ბ.-ის სარჩელი დამატებით საჭიროებს თუ არა დასაშვებობის საკითხის შემოწმებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, არსებობს თუ არა საფუძველი, რაც ასეთი შემოწმების საჭიროებას წარმოშობს საქმის სრულყოფილი განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი:

1. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას;
2. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს;
3. უკანონოდ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას.

ამდენად, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია, გასაჩივრებული აქტით ზიანი ადგებოდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს ან უკანონოდ იზღუდებოდეს მისი რომელიმე უფლება. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს მოითხოვოს საქმის განხილვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით.

სასამართლო წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან, არარად ქცევისგან. ამიტომ, რომ საპროცესო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლების (სარჩელზე უფლების) არსებითი ელემენტია, უწინარეს ყოვლისა, თავად უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით, რომლის დაცვის ღირსი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. თუკი განცხადებულ მოთხოვნაზე უფლება ნამდვილად ეკუთვნის მოსარჩელეს, ხოლო სადავოდ გამხდარ უფლებაზე ვალდებულ პირს ნამდვილად წარმოადგენს მოპასუხე, მაშინ საქმის განხილვისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა – მხარეთა ლეგიტიმური შემადგენლობა სახეზეა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ „თავისი“ უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური

უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი. შესაძლებელია, თავისთავად, პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს. პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, ალტრული აქვს თუ არა სარჩელი მოსარჩელეს „თავისი“ უფლების დასაცავად, ანუ არის თუ არა მოსარჩელე მოცემულ კონკრეტულ მოთხოვნასა და შესაბამის სამართალწარმოებაზე უფლების მქონე. პირის პროცესუალური უფლებაუნარიანობისაგან ეს უფლება განუყოფელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხის შემოწმებისას მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს უფლებისა და ინტერესის სუბიექტური ფარგლების საკითხი, რაც უკავშირდება მათ შორის ურთიერთმიმართებისა და განსხვავების გამორკვევას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ინტერესი არ არის სუბიექტური უფლების შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს მისი დაკმაყოფილების განმაპირობებელი სუბიექტური უფლების წანამძღვარს და ამიტომ არ შეიძლება ამ უფლების შემადგენელი ელემენტი იყოს. ამ თვალსაზრისით მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების საფუძველით სარჩელის აღძვრა შესაძლებელია, თუკი ასეთი ზიანი პირდაპირი და უშუალოა მოსარჩელისათვის. ამდენად, ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ წაერთვას ნამდვილი უფლება სარჩელზე და შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე და, მეორე მხრივ, შეცდომით არ მოხდეს სარჩელზე მოსარჩელის არარსებული უფლების განხორციელება და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს მოპასუხის ინტერესები და სამართლიან სასამართლოზე მისი შესაბამისი უფლება.

სადისერტაციო საბჭოს წევრს, როგორც კანონის საფუძველზე მოქმედი კოლეგიური ორგანოს წევრს, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა უფლება, გარდა პოზიტიური სამართლით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მინიჭებულია. თუკი აღნიშნული სამართალი მას პირდაპირ ანიჭებს სარჩელის აღძვრის უფლებამოსილებას, მაშინ სარჩელის დასაშვებობის პრობლემა ამ საფუძველით არ დგება. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დანაწესი პროცესუალური სტატუსის თაობაზე, ამ შემთხვევაში უფლება სარჩელზე პრობლემატურია და საჭიროებს ღრმა ანალიზს სწორი დასკვნის გამოსატანად. სადავო საქმეზე სწორედ მეორე შემთხვევაა სახეზე, როდესაც სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ შეიცავს სადისერტაციო საბჭოს წევრისათვის პირდაპირი უფლებამოსილების მიმნიჭებელ ნორმებს საბჭოს გადაწყვეტილების რევიზიის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის თაობაზე.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე, როგორც კოლეგიური ორგანოს – სადისერტაციო საბჭოს წევრი, ასაჩივრებს ამ ორგანოს მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლისათვის მინიჭების შესახებ, ასევე, შემდგომში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ამ მაძიებლისათვის გაცემის თაობაზე. სარჩელის საფუძველია სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას სადისერტაციო საბჭოსა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი სამეცნიერო ხარისხების მინიჭების აუცილებელი პროცედურის დარღვევა. ამდენად, დავის საგანია პროცედურული დარღვევით გამართული სადისერტაციო საბჭოს სხდომისა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებათა მართლზომიერება. დავის საგანი არ არის უშუალოდ აღნიშნულ პროცედურათა მართლზომიერება. სარჩელის აღძვრის მოტივი, რომლითაც მოსარჩელე სარჩელზე თავის უფლებას ასაბუთებს, არის ის გარემოება, რომ, რამდენადაც მოსარჩელე წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს წევრს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, მოსარჩელეს შეელახა უფლება ამ საბჭოს მიერ პროცედურის დარღვევით, უკანონოდ გადაწყვეტილების მიღებით.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი, ზოგადად, არის თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრი უფლებამოსილი, გამოვიდეს და აწარმოოს პროცესი კოლეგიური ორგანოს წინააღმდეგ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ამ ორგანოს მიერ პროცედურის დარღვევის შემთხვევაში? შეუძლია თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრს, რომელიც თავს აარიდებს კოლეგიური ორგანოს სხდომაზე დასწრებას და თავისი უფლება-მოვალეობების სხდომაზე განხორციელებას, სადავო გახადოს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება? წარმოადგენს თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრი, რომელიც ამ ორგანოს, როგორც ერთიან ორგანიზმს ქმნის, იმავდროულად ავტონომიურ პროცესუალურ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია კოლეგიური ორგანოს, როგორც ერთიანისა და მთლიანის წინააღმდეგ გამოვიდეს? კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მან კენჭისყრის შედეგად მიიღო, უკვე მიღებისთანავე გამოდის თუ არა კოლეგიური ორგანოს კონკრეტული წევრების მაკონტროლებელი იურისდიქციიდან, შეუძლია თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრს, წარადგინოს სარჩელი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ? მეორე მხრივ, აქვე წამოიჭრება კონტრსაკითხი, როგორ შეძლებენ კოლეგიური ორგანოს წევრები, მათზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად შესრულებას, თუკი მათ წართმეული ექნებათ შესაძლებლობა, სასამართლო წესით მოითხოვონ პროცედურის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობა? შესაძლებელია თუ არა, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორცაა აკადემიური ხარისხების სფერო, სადისერტაციო საბჭოებისა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს არაკვალიფიციური საქმიანობისა და უმოქმედობის პირობებში აღმოჩნდეს სასამართლო კონტროლის მიღმა, თუკი სადისერტაციო საბჭოს წევრს არ მიეცემა ამ ორგანოთა გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო გზით შემოწმების შესაძლებლობა?

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი, დასაშვებია თუ არა შ. ბ.-ის სარჩელი, მოითხოვს შ. ბ.-ის, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების, სადავო მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებობის საფუძვლიან ანალიზს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული გამორკვევის გზით. ყოველივე ეს კი ღრმა მსჯელობისა და ანალიზის საგანია და არა ცალსახად გადასაწყვეტი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია აღნიშნული საკითხების გამორკვევის გარეშე, იმ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი, პირველ რიგში, მთლიანად ამ საკითხის გამორკვევის მოთხოვნაზე იყო აგებული. რაიონულ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით აღნიშნულ საკითხზე პასუხი გაცემული აქვს მხოლოდ ერთი წინადადებით, რომელშიც მოცემული დასკვნა სარჩელის დასაშვებობაზე სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ შეიცავს სასამართლოს ამგვარი დასკვნის მოტივაციას (ს.ფ. 192). ამასთან, მართალია, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დასაშვებობის სპეციალური ინსტიტუტის შემოღებამდე, მაგრამ სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი ამავე კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია ასევე ითვალისწინებდა ანალოგიურ მოთხოვნას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობის საკითხზე, რაც საჭიროებდა შემოწმებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ საკასაციო საჩივარი სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებაში სრულიად დაუსაბუთებელია. კასატორი საკასაციო საჩივრის მოტივებად ძირითადად მიუთითებს საქმის არსებითი გარემოებების დამასაბუთებელ საკითხებზე, ხოლო უშუალოდ სადავო საკითხის – სარჩელის დასაშვებობის დამასაბუთებელ მოტივებზე მხოლოდ ზოგადად შემოიფარგლება. ამასთან, კასატორი საქმეზე თავის იურიდიულ ინტერესს საკასაციო საჩივარში ასაბუთებს ახალი გარემოებით, რომ იგი, გარდა იმისა, რომ დაინტერესებული პირია როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესებულია როგორც ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს მხედველობაში და ვერ შეაფასებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას მხედველობაში მიიღება მოსარჩელის მხოლოდ ის ახსნა-განმარტება, რომელიც დაფიქსირებულია სა-

სარჩელო განცხადებაში და რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და საქმის მასალებში. ამ საფუძველით კი მოსარჩელეს სასარჩელო განცხადებით სადავო აქტების ბათილად ცნობა არ მოუთხოვია საქმის მასალების თანახმად. ამასთან, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამორკვევა-დასაბუთებას.

საქმე № ბს-188-181(2კ-10)

28 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ც-ავამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, კერძოდ მოსარჩელემ მოითხოვა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის საკუთრების მოწმობის გაცემის დავალება. მოსარჩელეს არ მოუთხოვია ქ. თბილისის მერიის 09.02.09წ. № 92 და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 20.12.08წ. № ც-5983 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. აღნიშნული აქტებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ. № ..., ბინა № ... პრივატიზებაზე. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის 09.02.09წ. № 92 და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 20.12.08წ. № ც-5983 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ შეადგენენ მოცემული დავის საგანს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას არ იქნა დაცული სსსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მერიის 09.02.09წ. № 92 და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 20.12.08წ. № ც-5983 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალაში ყოფნა გამორიცხავს ბინის საკუთრებაში გადაცემაზე აქტის გამოცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესუალურ საშუალებებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სარჩელის სახეობის გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზეზზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სსსკ-ის 23-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის, ხოლო 33-ე მუხლი მავალდებულებელი სარჩელის საფუძველიანობის პირობებს. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე და სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით განსხვავებულ მიზანს ისახავს. სარჩელის ეს ორი სახეობა არის უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებები. სარჩელის სახეობის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზანს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნის მიზანია აღმოფხვრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დამდგარი მდგომარეობა ანუ აღდგეს აქტის გამოცემაზე არსებული მდგომარეობა. ამის საპირისპიროდ, თუკი მოსარჩელის მიზანია არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა სარჩელის დასაშვები სახეობაა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ასეთი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. **მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმისას, აქტის გამოცემის მოთხოვნა, საერთო წესის თანახმად, იმავდროულად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც, უკეთუ შეუძლებელია აქტის გამოცემის დავალება ადმინისტრაციული ორგანოს იმ აქტის ბათილად გამოცხადების გარეშე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე. ამასთანავე, აღნიშნული არ გამორიცხავს ზოგიერთ შემთხვევაში, უარის თქმის შესახებ აქტის**

გაუქმების მოთხოვნის გარეშე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც თვით უარის თქმის შესახებ აქტის დამოუკიდებლად არსებობა ან არარსებობა მოსარჩელის მიმართ არსებით შედეგს არ იწვევს და მისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილი აქტის გამოცემა. ასეთ შემთხვევაში უარის თქმის შესახებ აქტი გამოიყენება მხოლოდ როგორც სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობა, ვინაიდან, სასკ-ის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ სასარჩელო მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს დაინტერესებული პირისათვის მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმა. მოცემულ შემთხვევაში, ი. ც-ავას მიზანს წარმოადგენდა სადავო ბინაზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ საკუთრების მოწმობის გაცემა, მის სახელზე უკვე გაცემული იყო ორი სახის ორდერი, ქ. თბილისის მერიის 09.02.09წ. № 92 და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 20.12.08წ. № ც-5983 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით არ გაუქმებულა ი. ც-ავას სახელზე გაცემული ორდერები, რომლებიც არ წარმოადგენენ დავის საგანს, საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. № N73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ თანახმად, ორდერი წარმოადგენს ბინის პრივატიზების საფუძველს, შესაბამისად მოსარჩელეს არ აქვს მერიის და გამგეობის ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაზე არსებული მდგომარეობის აღდგენის ინტერესი. ი. ც-ავას ინტერესია არა ქ. თბილისის მერიის 09.02.09წ. № 92 და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 20.12.08წ. № ც-5983 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და აღნიშნული აქტების გამოცემაზე არსებული მდგომარეობის აღდგენა, არამედ გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ საკუთრების მოწმობის გაცემა. აღნიშნული არის სწორედ ის შემთხვევა, როდესაც თვით უარის თქმის შესახებ აქტების, კერძოდ, მერიის და გამგეობის ბინის პრივატიზებაზე უარის თქმის შესახებ აქტების, დამოუკიდებლად არსებობა ან არარსებობა მოსარჩელის მიმართ არსებით შედეგს არ იწვევს და მისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილი აქტის გამოცემა, კერძოდ, მის სახელზე საკუთრების მოწმობის გაცემა.

საქმე № ბს-1031-1002(კ-10)

2 მარტი, 2011 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი)

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესუალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას. სასკ-ით გათვალისწინებული შესაბამისი სარჩელის სახეობის გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებელი სარჩელით პირი მიმართავს სასამართლოს არსებული მდგომარეობის შეცვლის და შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის პირობებს სასკ-ის 23-ე მუხლი, ხოლო სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს 33-ე მუხლი განსაზღვრავს. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა. სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოში მავალდებელი სარჩელის აღძვრამდე პირს მიმართული უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში აქტის გამოცემაზე უარი არის სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობა. უარის თქმაში იგულისხმება როგორც წერილობითი უარი, რომლითაც დაინტერესებული პირის მოთხოვნა შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ იქნეს უარყოფილი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული ვადის დარ-

ღვევა, ანუ ვადაში აქტის არ გამოცემა, უკანასკნელი არის ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. უმოქმედობით უარის თქმა (ვირტუალური უარი).

მოსარჩელისათვის აქტის გამოცემაზე უარის შემთვევაში სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები, არამედ აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა დაევალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სასამართლო უფლებამოსილია აგრეთვე თავად მოაწესრიგოს სადავო საკითხი, უკეთუ სადავო საკითხის მოსაწესრიგებლად არარის საჭირო საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა და საკითხი დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს არ განეკუთვნება. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას სასამართლო ახდენს იმ შემთვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სრულყოფილად არ არის შესწავლილი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ასეთ ვითარებას მით უფრო აქვს ადგილი განსახილველ შემთვევაში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაინტერესებული პირის განცხადებაზე უმოქმედობის შემთვევაში, რაც ნათლად ადასტურებს, რომ ორგანოს არ აქვს შესწავლილი აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი საფუძვლები. სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების შესწავლის და გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი არ გამოირიცხავს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის სადავო საკითხის გადასატრელად საჭირო გარემოებების გამოკვლევის შემდეგ აქტის გამოცემის დავალებას. სასამართლოს ეს უფლებამოსილება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ემყარება, რაც გამოირიცხავს მმართველობითი ფუნქციების სასამართლო ორგანოსათვის გადაკისრების შესაძლებლობას, მოაქცევს სასამართლოს იურისდიქციული, დავის გადამწყვეტი საქმიანობის საზღვრებში. სასკ-ის მე-19 მუხლით განსაზღვრული სასამართლოს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების, სასამართლოს აქტით სადავო საკითხის მოწესრიგების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალების შემთვევაში სასკ-ის მე-19 მუხლის მოთხოვნები არ მოქმედებს. სზაკ-ის 96.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მიიღოს გადაწყვეტილება ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კ. რ-იანმა მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების მოთხოვნით განცხადებით კომისიას მიმართა 10.06.08წ., კომისიის მიერ განცხადება არ განხილულა, საქართველოს პრეზიდენტის 15.09.07წ. № 525 ბრძანებულების მე-14 მუხლის შესაბამისად განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში კომისიას არ მიუღია გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონში 05.12.08წ. კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად, სადავო საკითხის განხილვა – გადაწყვეტა არ განეკუთვნებოდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენციის სფეროს. აღნიშნულის შესაბამისად, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 26.02.09წ. განჩინებით საქმეში მოპასუხის უფლებამონაცვლედ ჩაერთო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახური, რის შედეგადაც, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 01.04.09წ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიეთითა, რომ კ. რ-იანის მოთხოვნას სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს, რადგან რეესტრის სამსა-

ხური მოპასუხედ ჩაბმულ იქნა როგორც უფლებამონაცვლე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე, სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ მოპასუხედ ჩაბმულ რეესტრის სამსახურს აღნიშნულ საქმეზე არ განუხორციელებია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, გაწერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.06წ. № 800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე რეესტრაციის შესახებ“ ინსტრუქციაში. ამდენად, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არც კომისიას და არც საჯარო რეესტრის სამსახურს არ შეუსწავლია საქმის ფაქტობრივი და მატერიალური საფუძვლები, ასეთი არც სასამართლოს გამოუკვლევი, საკითხის ყველა გარემოების გამოკვლევის საჭიროება გამორიცხავდა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოსაცემი აქტის შინაარსის წინასწარ განსაზღვრას. ასეთ პირობებში ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის სზაკ-ის მოთხოვნათა სრული დაცვით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას აქტის გამოცემის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე აქტის გამოცემა დასაშვებია თუ სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, ამასთანავე აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის და შეფასების გარეშე. **სასკ-ის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მავალეებელი სარჩელის საფუძველზე სასამართლოს აქტით ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა აქტი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ ან საერთოდ არ გამოსცა აქტი, რაც უთანაბრდება აქტის გამოცემაზე უარის თქმას. ამდენად, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა კონკრეტული აქტის არსებობას უკავშირდება, 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოუცემლობის პირობებში.** ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა განიხილება სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის ფორმალურ ელემენტად. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსაცემი აქტის შინაარსის წინასწარ განსაზღვრის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალოს. ადმინისტრაციული ორგანო თავის მხრივ უფლებამოსილია საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, სასკ-ის 33-ე მუხლის 1 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალება უპირობოთ არ ადასტურებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის სასურველი აქტის გამოცემის ვალდებულებას, აღნიშნული დასტურდება აგრეთვე სასკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსით, რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

საქმე № ბს-348-345(კ-11)

9 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 33-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის

შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შედეგ, გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში არის შესული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ ნაწილში გ. ც-შვილის სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მავალდებულებელ სარჩელს წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესებზე სარჩელის დაზუსტება ან ტრანსფორმირება არ მომხდარა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეცვლებითი სარჩელი არ წარდგენილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი აწესრიგებს მავალდებულებელი სარჩელის (23-ე მუხლის) საფუძველზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმა უკანონოა ან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოსცა აქტი კანონით გათვალისწინებულ ვადაში (სზაკ-ის მე-100 და 183-ე მუხლები), რამაც შელახა ან დაარღვია მოსარჩელის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩელი დასაბუთებულია, თუ დადგინდება აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონშეუსაბამობა, ან მისი გამოცემის ვადების დარღვევა, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას სასამართლო ასევე არკვევს, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარით რამდენად შეილახა მოსარჩელის ისეთი კანონიერი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ მატერიალური სამართლის ნორმებიდან. ამასთან, სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას უნდა გამოიკვლიოს, მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში; თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის დავალდებულებასაც ითხოვს მოსარჩელი, მოქმედებულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს შეცდომის არსებობა დისკრეციულ უფლებამოსილებაში, ასევე შეამოწმოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ამ უფლებამოსილების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს სასკ-ის 23-ე მუხლით აღძრული სარჩელის დასაბუთებულობის იმ წანამძღვრებს, რაც დადგენილია სასკ-ის 33-ე მუხლით (აქტის გამოცემაზე უარის უკანონობა ან შეცდომა დისკრეციაში), მას ამავე მუხლის მიხედვით შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებით დაავალოს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან თვითონ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. ამასთან, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას. ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემის თაობაზე იყო კანონშეუსაბამო, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. ამასთან, საქალაქო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი თავად მოეწესრიგებინა სადავო საკითხი, ვინაიდან, აღნიშნული ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას საჭიროებდა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-

ებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

საქმე № ბს-622-610(კ-12)

23 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის წინაპირობები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი)

სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას, ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალებას, უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამოდენიმე პირობას, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი, უარის შესახებ აქტი არის სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა, უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე უარი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. სარჩელის დაკმაყოფილება საჭიროებს მოცემული კუმულატიური პირობებიდან ყველას სახეზე არსებობას. სასკ-ის 23-ე და 33-ე მუხლების თანახმად, მავალდებელი სარჩელის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენს სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა.

საქმე № ბს-574-552(კ-08)

30 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

2007 წლის 10 აგვისტოს ი. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მიმართ, ქმედების განხორციელების თაობაზე. მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს, თბილისში, ქ. № 10-ში მდებარე № 29 ბინიდან ყოფილი მესაკუთრის, ზ. კ-ისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების თაობაზე.

2007 წლის 6 აგვისტოს მოსარჩელეს დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს უფროსის № 27/11/6-3-ბ/56 წერილით ეცნობა, რომ მისი განცხადების საფუძველზე განსახორციელებელი გამოსახლების ღონისძიებები შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის № 747 ბრძანების საფუძველზე შეჩერდა, ვინაიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. და ლ. კ-ები წარმოადგენდნენ სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელებს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას აღნიშნულის თაობაზე და თვლის, რომ სარჩელი მართებულადაა დაყენებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე.

საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 2007 წლის 06 აგვისტოს № 27/11/6-3-ბ/56 წერილით ი. ბ-ს უარი ეთქვა ქმედების განხორციელებაზე. ამდენად წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ. ღონისძიება, რომლის განხორციელებასაც პირი ითხოვს, მიმართულია იქითკენ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ იმოქმედოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართულია კონკრეტული ფაქტობრივი მიზნის მიღწევისაკენ.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა იმოქმედოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას სარჩელი აღძრას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ანუ მოითხოვოს ისეთი ქმედების (გამოსახლების) განხორციელება, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. რაც შეეხება კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხს, საკუთრებითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

საქმე № ბს-1591-1545(კ-08)

28 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე ქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ქმედების განუხორციელებლობა, კერძოდ, განაცდური ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს პროცესუალური მოწინააღმდეგის კანონიერ უფლებას – მიიღოს იძულებითი განაცდური, რის გამოც სასამართლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლზე დაყრდნობით უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალება, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქმე № ბს-243-237(კ-08)

23 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ტექალრიცხვის ბიუროს ჩანაწერის გასაჩივრება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

მოსარჩელეებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის 806, მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მარტის № 156, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 25 სექტემბრის № 19.18.1130 დადგენილებების საფუძველზე, მოითხოვეს ტექალრიცხვის სამსახურის ჩანაწერის გაუქმება, რომლის თანახმად სახლი საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო მ. გ-ოვასა და ა. რ-ატის სახელზე. მოსარჩელეებმა ასევე მოითხოვეს, მათ მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული მინაშენების სამართლებრივი რეგისტრაცია და აღნიშნული სახლთმფლობელობის ჩარიცხვა მერიის საცხოვრებელ ფონდში.

საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას სადავო ტექალრიცხვის ბიუროს ჩანაწერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად კვალიფიკაციის თაობაზე, რამდენადაც დავის საგანს – სარჩელის ობიექტს წარმოადგენს არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერების საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიწის ტექალრიცხვის ბიუროს ჩანაწერი არ შეიძლება განხილულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუ-

ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შებლუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ჩანაწერის გამოცემი ტექსტის ბიურო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ მითითებული ელემენტი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისი ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ ის, ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელების მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ორგანოს – ტექსტის ბიუროს ქმედების – განხორციელებული ჩანაწერის კანონიერება, კერძოდ, სარჩელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მოხდა მესამე პირების საკუთრებაში სადავო ფართების აღრიცხვა, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. „გ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს განხორციელებული ქმედების უკანონოდ აღიარების თაობაზე, სარჩელი კი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად.

საქმე № ბს-90-89(კ-10)

7 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

2008 წლის 7 ნოემბერს ჯ. ლ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 აპრილის საოქმოდ განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის თაობაზე და მოცემულ საქმეში სათანადო მოსარჩელედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩაება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს № 1035 განკარგულებით ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი წიგნის) გამოცემისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გამოეყო 30 000 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 ოქტომბრის № 1370 განკარგულებით კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ნება დაერთო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს № 1035 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი 30 000 ლარი გადაერიცხა საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ოფიციალურ გამოცემათა სამსახურისათვის – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკისათვის ... ფონდში გადასარიცხად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი სასარჩელო მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაუშვებელია მოპასუხისათვის მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების დაკისრება. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად „...“ მონაწილეობა საქმეში ვერ იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებად ცნობის საკმარისი საფუძველი და აღნიშნული ვერ ჩაითვლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარჩელო უფლების სამართლებრივ საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოები, ერთი მხრივ, სათანადო მოსარჩელედ მიიჩნევენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჯ. ლ-ავას ნაცვლად, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებენ: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს რომ არ მიუმართავს მოპასუხისათვის კონკრეტული ქმედების განხორციელების მოთხოვნით, ეს მხოლოდ ფორმალური მომენტია, ვინაიდან ჯ. ლ-ავას არაერთხელ მიუმართავს, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ისე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღნიშნული მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით მიყენებული ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური). ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხის გადახდაზე უარი არ განუცხადებია უშუალოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, ხოლო ის ფაქტი, რომ „...“ წარმომადგენელმა, ჯ. ლ-ავამ არაერთხელ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს № 1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის № 1370 განკარგულებების აღსრულების მოთხოვნით ვერ ჩაითვლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დაცული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს უარი ქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ანუ მოსარჩელეს ქმედების განხორციელების თაობაზე უარი უნდა ჰქონოდა მიღებული მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა სრულყოფილად არ იმსჯელეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებობაზე და დასაბუთებულად ვერ გამოორიციეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს.

საქმე № ბს-260-257(2კ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი)

ჟ. წ-ის წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის და ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 30.09.09წ. № წ-4068 უარის, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე მერიის 24.11.09წ. № 12/83350-1 უარის ბათილად ცნობა, გამგეობისათვის ბ. ბ-ის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანის სამსახურისათვის განცხადებით მიმართვის დავალება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოწესრიგება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტი, არ არის სახეზე როდესაც საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება არ იწვევს პირდაპირ სამართლებრივ შედეგს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანის სამსახურისათვის მიმართვა ბ. ბ-ის რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით, პირდაპირ არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. რეალაქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანის სამსახურისათვის მიმართვა პირის რეგისტრაციიდან მოსახსნელად წარმოადგენს ფაქტობრივ რეალაქტს, რომლის განხორციელებითაც არ დგება სამართლებრივი შედეგი – პირის რეგისტრაციიდან მოხსნა. ბ. ბ-ის რეგისტრაციიდან მოხსნა შეადგენს არა გამგეობის, არამედ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კომპეტენციას, რასაც იგი განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შუამდგომლობის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა აქტის გამოცემის, არამედ რეალაქტის განხორციელების დავალებაზე.

საქმე № ბს-206-196(კ-06)

19 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის მატერიალური და საპროცესო ხანდაზმულობა

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა გამოარკვიოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულობის ვადის დაცვით შეტანილად მიიჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე, იმ მოსაზრებით, რომ აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალეების სარჩელი, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სარჩელის შეტანის საპროცესო ხანდაზმულობის ვადის საკითხზე, რასაც აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის აღნიშნული 24-ე მუხლი. რაც შეეხება სარჩელის მატერიალური ხანდაზმულობის ვადას, აღნიშნულზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. მოსარჩელე დაზარალებულთა დახმარების სიაში შეტანას ითხოვს საომარი მოქმედებების დროს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურებისათვის დადგენილი მატერიალური ხანდაზმულობის ვადა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ზიანის ანაზღაურების ზოგადი ხანდაზმულობის ვადა, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, არის 3 წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ამ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. თ. ა.-ს სარჩელი აღძრული აქვს 2005 წლის მაისში.

განმარტების საგანი: ნორმატიული აქტის გამოცემის დავალება

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელი მიზნად ისახავს დავალიანების გასტუმრების ნათელი მექანიზმების შემოღებას, ვინაიდან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ზოგადად ფორმულირებული ნორმა, საბაზისო წესების არარსებობის პირობებში, არ ქმნის დავალიანების დაფარვის ლეგიტიმურ მოლოდინს, ამასთანავე ასეთი წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, რომელზედაც მუშაობს კომისია (იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.02.2012წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ო.ლ-ა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 419). საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. № 108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა, ხსენებულ დადგენილებაში მთავრობის 11.12.11წ. № 463 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა. საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. № 108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისია შემუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და განიხილავს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული და მასთან დაკავშირებული შეასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტი. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია არის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე. კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული სავალდებულების დაფარვის მექანიზმის შესახებ ნორმატიული აქტით მოსაწესრიგებელი საკითხის არაორდინალობის, დავალიანების დაფარვის დიდძალი თანხების მობილიზაციის საჭიროების, საბიუჯეტო თანხების უკმარისობის, მოსაწესრიგებელი საკითხის რაციონალური ეკონომიკური მიდგომის აუცილებლობის, საბიუჯეტო კრიზისის, ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების, ბიუჯეტის დაბალანსების საჭიროების და რიგი სხვა საკითხების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემით დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება საჭიროებს დავალიანების დაფარვის წესთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზედმიწევნით შესწავლას, სათანადო რესურსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეგულაციის მექანიზმის შემუშავება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა, გამართლებულია სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავების და გადაწყვეტილების მისაღებად მათი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნით (კომისიის დებულების 2.1 მუხ.), საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. № 108 დადგენილებით უწყებათაშორისი კომისიის შექმნა. მართალია კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება არ აუქმებს ვალის დაფარვის მექანიზმის შემუშავების ვალდებულებას, მაგრამ დასაფარი დავალიანების მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავალიანების დაფარვის მექანიზმის რაციონალობას, გონივრულობას, დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, დაფარვის მექანიზმის ყველა პრობლემური საკითხის გათვლას და ა.შ., რაც სცილდება სასამართლო კომპეტენციის სფეროს, მით უფრო, რომ მოთხოვნა ეხება ვალდებულების დაფარვის წესის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის გამოცემას, ხოლო სასკ-ის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ მოთხოვნა ითვალისწინებს ინდივიდუალური და არა ნორმატიული აქტის გამოცემას. ამდენად, ვალდებულების დაფარვის რეგულაციის შექმნა ქმნის სათანადო მოწესრიგების შემოღებისათვის საექსპერტო დასკვნის შემუშავების საჭიროებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი ნორმების გამოცემა, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორ-

განოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დეკონცენტრაციის, მისი დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. დელეგირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზებული პროფესიული ცოდნა, დელეგირების არსი ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალური ცოდნის და კომპეტენციის გამოყენებაში მდგომარეობს, რაც დამატებით ადასტურებს განსახილველ საქმეში კომისიის ჩაბმის აუცილებლობას.

საქმე № ბს-740-706(კ-0)

5 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღიარებითი სარჩელის ტრანსფორმირება სხვა ფორმის სარჩელში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა მიზნად ისახავს იმ ქმედების განხორციელებას, რომლის შესრულებაზეც მოპასუხემ მას უარი განუცხადა. საამისოდ მოთხოვნის წარმოდგენმა მხარემ ძირითადად მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი უნდა გამოიყენოს. უფლების და კანონიერი ინტერესის დასაცავად არ არის გამორიცხული აგრეთვე სხვა საპროცესო ფორმებიც, კერძოდ, აღიარებითი სარჩელის აღძვრა. ამასთანავე, სასკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. თ. გ.-ე დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით ითხოვდა დ. ბ.-ის, მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების და მასთან დაკავშირებული პირების იმ ქონებიდან, რომელიც იმყოფება მოპასუხესთან, 4 994 305 აშშ დოლარის ეკვივალენტი ღირებულების ქონებაზე მოსარჩელის უფლების დადგენას, ამასთანავე ამ უფლების განხორციელებას მოსარჩელე მოითხოვდა აღნიშნული ქონების რეალიზაციით და ამონაგები თანხის 4 994 305 აშშ დოლარის მოსარჩელეზე გადახდით. დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ ფაქტიურად შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა სახის სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. აღნიშნული გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ის უნდა ქმნიდეს უფლების თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რომელიც დაირღვა მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გამო. თ. გ.-ის უფლება დ. ბ.-ის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უკვე დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც დაკმაყოფილდა თ. გ.-ის სარჩელი დ. ბ.-ის მიმართ. პროცესის ეკონომიის თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე სარჩელის აღძვრა, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. მოსარჩელე ვერ იქნება აღიარებითი სარჩელის აღძვრით სამართლებრივად დაინტერესებული, თუ მას შესაძლებლობა აქვს სარჩელის სხვა ფორმით მიაღწიოს მიზანს. ამასთანავე, აღიარებითი სარჩელი არ უნდა გახდეს სარჩელის სხვა სახეების დასაშვებობის წინაპირობებისაგან თავის დაღწევის საშუალება. აღიარებითი სარჩელი არ მოიცავს მოპასუხის მიმართ შესრულების მოთხოვნას ან ამ შესრულების იძულების წესით განხორციელებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ თ. გ.-ის დაზუსტებული სასარჩელო განცხადება მოსარჩელის მიერ დასათაურებულია, როგორც აღიარებითი სარჩელი, საკასაციო პალატა თვლის, რომ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში ჩამორთმეული ქონების რეალიზაციის და ამონაგები თანხის 4 994 305 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნა თავისთავად გამორიცხავდა წარმოდგენილი სარჩელის აღიარებით სარჩელად წარდგენის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება განსახილველი სარჩელის სახეობის ნაწილში წინააღმდეგობრივია, პალატა ერთის მხრივ მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნდა აღიარებითი სარჩელის აღძვრის სამართლებრივი საფუძველი, მიუხედავად ამისა აღნიშნული, პალატის აზრით, სარჩელის დაუშვებლობის საფუძველი ვერ გახდებოდა, რადგანაც საქმის მასა-

ლებით არ იკვეთება მოსარჩელის შესაძლებლობა სადავო საკითხთან დაკავშირებით სასკ-ის 22-24-ე მუხ-
ლით დადგენილი სახის სარჩელის აღძვრისა, რის გამო პალატამ კანონიერად მიიჩნია სარჩელის არსებითად
განხილვა-გადაწყვეტა.

სასკ-ის 26² მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ
იგი არ აკმაყოფილებს სასკ-ის 22-25-ე მუხლებით დადგენილი დასაშვებობის მოთხოვნებს, სასამართლო აღ-
ნიშნული საფუძველით წყვეტს საქმის წარმოებას. ამასთანავე, სასკ-ის 26² მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით,
საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების
გამოვლენის შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია და არა ვალდებული მიიღოს საქმის
წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება. საკასაციო სასამართლო, მოსარჩელის
სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების დაცვის მიზნით, საჭიროდ თვლის სარჩელის დასაშ-
ვებობის საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს, ვინაიდან სარჩე-
ლის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისათვის განსჯად სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლო
წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ არსებობს სარჩელის, მოცემულ შემთხვევაში აღიარე-
ბითი სარჩელის ფორმით, დაშვების საფუძველი, მაგრამ შესაძლებელია პირის უფლების დაცვა სხვა ფორმის
სარჩელით, მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს სარჩელის ტრანსფორმირება სხვა ფორმის
სარჩელში (სასკ-ის 28¹ მუხ.). მოსარჩელე ვალდებულია გაარკვიოს და შესაბამისი ფორმა მისცეს სარჩელს,
ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი სასამართლოს არ ანიჭებს უფ-
ლებამოსილებას შეცვალოს სასარჩელო განცხადების შინაარსი მოსარჩელის თანხმობის გარეშე, სასამართ-
ლო ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ამასთანავე სასამართლო არ არის შებოჭილი სასარ-
ჩელო განცხადების ფორმალური შინაარსით. იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე სარჩელისათვის სხვა, სასკ-ის
22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის ფორმის მიცემის თანახმა არ იქნება, სარჩელი დაუშვებ-
ლად უნდა იქნეს ცნობილი და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

საქმე № ბს-337-324(კს-09)

19 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღიარებითი სარჩელი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხ- ლი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი, რის გამოც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს
დასკვნას აღიარებითი სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლების პროცესუალური დაცვის სამართლებრივ საშუალებ-
ბას, სარჩელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელი, რომელიც საქართველოს ადმინისტ-
რაციული საპროცესო კოდექსის 25.1 მუხლის შესაბამისად, აღიძვრება აქტის არარად აღიარების, ან უფლების
ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით, თუ მოსარჩელეს აქვს ამის
კანონიერი ინტერესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინა-
პირობას, კერძოდ, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძვრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძვრას სარჩელი
ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, ზ. კ-ძე სარჩელით ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ-
ლებრივი აქტების არარად აღიარებას, ასევე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებას, შენობის მოშლასა და
პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.2 მუხლის დანაწე-
სი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღი-
არების შესახებ სარჩელის აღძვრა დაუშვებელია თუ არსებობს მავალდებულებელი სარჩელის აღძვრის
წინაპირობა, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო აქტს აქვს კანონსაწინააღმდეგო აქტის ნიშნები,
უპირობოდ არ გამოორიცხავს მისი არარად აღიარების მოთხოვნას, თუ მხარეს აქვს ვარაუდი, რომ აქტი გა-

მოცემულია მაგალითად, არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, რა სახის სარჩელი უნდა იქნეს აღძრული, მხარის ნებაზე დამოკიდებული და სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა დადგინდეს, არსებობს აქტის ბათილად ცნობის, თუ მისი არარად აღიარების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება არ შეესაბამება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის – აქტის არარად აღიარების სამართლებრივ ბუნებას, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამდენად, არარა აქტის გამოცემა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი მავალდებულებელ სარჩელთან შედარებით, სამართლებრივი შედეგის მნიშვნელობის თვალსაზრისით, უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნი.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნი.1 მუხლის შესაბამისად კი, ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონის ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და არარად აღიარება ემყარება სრულიად სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებს, ამგვარი აქტი გამოცემისთანავე არარაა, ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა. შესაბამისად, თუ არსებობს აქტის არარად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი, რაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპზე, აღარ არსებობს მისი კანონსაწინააღმდეგობის მტკიცების საჭიროება. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღიარებითი სარჩელი აქტის არარად აღიარების შესახებ დასაშვებია, თუ უფლების დაცვის მიზნით შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრა.

საქმე № ბს-1076-1038(კ-08)

10 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოსარჩელის სათანადოობის შემოწმება

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მოსარჩელეთა სათანადოობის საკითხის გარკვევას, რა მიზნითაც სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: მართალია, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის მახასიათებელი პროცესუალური ინსტიტუტი როგორცაა სარჩელის დასაშვებობის სტადია, არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს არ ართმევს შესაძლებლობას შეამოწმოს მოსარჩელის სათანადოობის საკითხი, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით. საკასაციო სასამართლო აღიარებს რა ყველა პირის უფლებას, საკუთარი უფლებების დასაცავად დაუბრკოლებლად მიმართოს სასამართლოს, აქვე აღნიშნავს, რომ სარჩელის აღძვრის უფლება არ წარმოადგენს საყოველთაო უფლებას, პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს, უნდა გააჩნდეს სარჩელით წამოყენებული მოთხოვნის უფლება ანუ დავის საგნის მიმართ უნდა გააჩნდეს მატერიალურ – სამართლებრივი ინტერესი.

განმარტების საგანი: დერივატიული სარჩელი

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გ. წ-ურის წარმომადგენლის მოსაზრებას სარჩელის დასაშვებობის თაობაზე და თვლის, რომ გ. წ-ურისა და რ. ბ-შვილის სარჩელზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულიად იქნა შეწყვეტილი საქმის წარმოება.

საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს შემდეგი მოსაზრებების წარმოდგენას: საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს მეპაიეებმა, აქციონერებმა და ა. შ. კორპორაციების მოთხოვნები საკუთარი სახელით წარადგინონ სასამართლოში, თუ ამ მოთხოვნებს თვითონ კორპორაცია სხვადასხვა მიზეზით არ იყენებს. ასეთი ტიპის დერივატიული სარჩელები, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის მმართველობითი ორგანოები არღვევენ საკუთარ მოვალეობებს და ამით ზიანი ადგება კორპორაციის ინტერესებს.

ასეთი ტიპის სარჩელის აღძვრის უფლება უკავშირდება რიგ პროცესუალურ ნორმებს, კერძოდ, დერივატიული სარჩელის აღძვრამდე სავალდებულოა პირმა წერილობით მიმართოს კორპორაციის მმართველ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა თავადვე წარადგინოს მოთხოვნა სასამართლოში და მხოლოდ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, მას ეძლევა პროცესუალური შესაძლებლობა აღძვას სარჩელი.

საყურადღებოა, რომ ქართული კანონმდებლობა არ იძლევა მსგავსი ტიპის რეგულაციების ჩამონათვალს და დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ე.წ. პირდაპირი სარჩელების აღძვრის შესაძლებლობას. რომელიც პირს ანიჭებს უფლებას საკუთარი სახელით განახორციელოს ისეთი პირადული ხასიათის მოთხოვნები, როგორცაა დივიდენდის მოთხოვნა, ინფორმაციის მიღების უფლება, კრების მოწვევის უფლება და ა. შ.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა კოოპერატივის მეპაიეთა (ორი მეპაიის) მიერ აღძრული სარჩელი, რომელიც მიმართულია კასპის რაიკოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონების აუქციონის გზით გასხვისების ბათილად ცნობისაკენ. ამდენად, სარჩელი ცალსახად მიეკუთვნება ე. წ. არაპირდაპირი სარჩელების კატეგორიას და საკითხი იმის თაობაზე კოოპერატივის მეპაიეს აქვს თუ არა ასეთი ტიპის სარჩელის აღძვრის უფლება მოძიებული უნდა იქნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ“ კანონში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

ამავე კანონის 63.1 მუხლის თანახმად, კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კანონის 64.1 მუხლის შესაბამისად, თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენლობითი კრება.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 65-ე მუხლი განსაზღვრავს კოოპერატივებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შესაძლებლობას, რომელიც კონტროლს უწევს კოოპერატივების მმართველობით ორგანოს – გამგეობას.

კოოპერატივის, როგორც საწარმოს, რთული კორპორაციული მოწყობა ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პირადი უფლების გარდა, არცერთი სხვა უფლება უშუალოდ არ დადის ცალკეულ მაპაიამდე. რაც მიმართულია მე-3 პირებთან ურთიერთობაში სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური შინაარსის დებულებებია ჩადებული „სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ“ კანონში, რომლის 5.1 მუხლის შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერატივის მართვის უმაღლეს ორგანოდ მიჩნეულია მეპაიეთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს აღმასრულებელ – განმკარგულებელ და მკონტროლებელ ორგანოს – გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ კოოპერატივის ორი წევრის მიერ აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე

მუხლებით განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მითითებულ მუხლებზე დაყრდნობით მართებულად იქნა საქმის წარმოება შეწყვეტილი.

საქმე № ბს-299-288(კ-10)

21 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს რ. თ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის № 28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა ა. ქ-აიას მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. № 2/6-ში მდებარე 32,57 კვ.მ საცხოვრებელი და 14,43 კვ.მ დამხმარე ფართის – სულ 47,50 კვ.მ ფართობის 1/2 ნაწილის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და მითითებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობა. რ. თ-ძის სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ა. ქ-აიამ უკანონოდ მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე, რითაც შეილახა მოსარჩელის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის კანონით მინიჭებული უფლება – საკუთრებაში მიეღო სამკვიდრო ქონება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. თ-ძის სარჩელი კომბინირებული მოთხოვნების ხასიათს ატარებს, რამდენადაც იგი სარჩელის რამოდენიმე სახეს მოიცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მოთხოვნების ერთი სარჩელის ფორმატში წარდგენა, რომელთა ერთობლივად განხილვა დასაშვებია, თუ სახეზე არ არის სსსკ-ის 182.2 მუხლის მიხედვით, საქმის წარმოებით გამოყოფის პროცესუალური საფუძვლები.

კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო სსსკ-ის 182.2 მუხლის გამოყენებისა და საქმის წარმოებით გამოყოფის პროცესუალური წინაპირობა, რაზეც არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა – რ. თ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ პრევალირებს სხვა მოთხოვნებზე, კერძოდ, ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის № 28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნებზე, სწორედ ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის გადაწყვეტა განაპირობებს სხვა მოთხოვნების გადაწყვეტას, როგორც მისი დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების თანმდევ იურიდიულ შედეგს, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის – ე. ქ-აიას მიერ გარდაცვალებამდე სადავო ბინის კანონიერი სარგებლობის ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ არის. დავის საგანს წარმოადგენს ის, რომ ე. ქ-აიას მიერ შედგენილი შინაურული ანდერძები არის თუ არა იურიდიული ძალის მქონე და სამართლებრივი შედეგის მატარებელი, ანუ რ. თ-ძე გახდა თუ არა ე. ქ-აიას ანდერძისმიერი მემკვიდრე და მიენიჭა თუ არა სადავო ბინის კანონიერი მოსარგებლის სტატუსი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითია მითითებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება და მასზე დამოკიდებული დანარჩენი მოთხოვნების გადაწყვეტა და ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის № 28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობა მხოლოდ ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ მოთხოვნის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რამდენადაც აღნიშნულის შესაბამისად გახდება რ. თ-ძე უფლებამოსილი სადავოდ გადახადოს ა. ქ-აიას სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. თ-ძის სარჩელი – ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის ნაწილში წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთ-

ბიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აღნიშნულზე და თუ მიზანშეუწონლად მიიჩნევს მოთხოვნების ერთი სახის სარჩელით (კომბინირებული ფორმით) განხილვას, სასამართლოს გააჩნია პროცესუალური უფლებამოსილება სსსკ-ის 182.2 მუხლის გამოყენებისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /26-ე მუხლი/, კერძოდ, დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ა“ მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საქმე № ბს-243-237(კ-08)

23 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განმწესრიგებელი სხდომა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი ფუნქციიდან გამომდინარე სსსკ-ის 404.3. მუხლის მიხედვით გააჩნია უფლებამოსილება სარჩელის დასაშვებობის თაობაზე უწყებრივი კომპეტენციის განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის შემოწმებისას სასამართლო სამართლებრივი შემოწმების ფარგლებს არ გასცდება. ადმინისტრაციული სარჩელის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმების შემოწმებისას საკასაციო სასამართლო ვერ გასცდება ამ ინსტიტუტის სამართლებრივ დანიშნულებას და ინსტიტუციონალური კომპეტენციის ფარგლებს ანუ მხოლოდ სამართლებრივი

თვალსაზრისით სარჩელის დაუშვებლობის წინაპირობების გამოვლენის შემთხვევაშია შესაძლებელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26².6 მუხლის გამოყენება.

საქმე № ბს-586-576(2კ-12)

6 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის დასაშვებობის შემოწმება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის ის, რომ სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179 მუხლების მოთხოვნებს, ისე სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მიხედვით (მატერიალური დასაშვებობა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის მატერიალური დასაშვებობის საკითხს სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლი), თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის შეზღუდული ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლინდება სარჩელის დაუშვებლობის საფუძველები, სასამართლო უფლებამოსილია განჩინებით შეწყვიტოს საქმის წარმოება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება ხდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. № 6) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის № 13 ოქმის და ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის № 293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა წარმოადგენს, სახეზე გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცდებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეცდებითი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამასთან, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ის გარემოება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისთვის სასარგებლო შედეგი დადგება.

საქმე № ბს-482-461(კ-08)

14 იანვარი 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთსა და იმავე დავის საგანზე სახელმწიფო ხელისუფლების ორი ორგანოს მიერ სარჩელის შეტანა; ხანდაზმულობის ვადის დაწყება (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი)

27.07.06წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოპასუხე ვ. პ-ის მიმართ, მესამე პირების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ა. კ-ის მიმართ, მოსარჩელემ მოითხოვა ბინის პრივატიზების ბათილად ცნობა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 15.03.2000წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ.თბილისში, პლატო ბინა № 22, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 15.01.01წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (14.05.03წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს (20.02.04წ.) განჩინებებით. ხსენებული სასამართლო აქტებით სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თავდაცვის სამინისტროს თავისი უფლების დარღვევის შესახებ სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების დადებისთანავე (17.12.92წ.) უნდა შეეტყო.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 06.02.2000წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. კ-ის სარჩელი და სადავო ბინიდან გამოსახლებული იქნა ა. კ-ი თანმხლებ პირებთან ერთად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ დატოვებული იქნა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 17.12.92წ. პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ მოთხოვნის მსგავსია, რომელზედაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები. ორივე შემთხვევაში მოსარჩელეთა სამართლებრივ მიზანს, ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნება, ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო საცხოვრებელი ბინა აღმოჩნდებოდა არა რომელიმე სამინისტროს, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაში, ორივე შემთხვევაში სამინისტროები მოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავისი ინტერესი არ აქვს, ის იცავს სახელმწიფო ინტერესს.

საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლის თანახმად, სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის თანახმად, სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას. **სამინისტრო არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირია სახელმწიფო, რომელიც სკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით, სამართალურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით. სამინისტროები სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან სახელმწიფოს სახელით და ახორციელებენ მმართველობას კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, ორივე შემთხვევაში საქართველოს თავდაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ.** სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რიგი ნორმატიული აქტების საფუძველზე (მაგ. მთავრობის 23.04.92წ. № 466, 30.07.92წ. № 766, 09.10.92წ. № 984 დადგენილებები) სამხედრო ობიექტები და მათ ბალანსზე რიცხული სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტები, ძირითადი ფონდები გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. ზემოაღნიშნული დადგენილებების საფუძველზე სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით ვალდებული იყო მოეძია და აღერიცხა რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების მიერ გადმოსაცემი ქონება. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე, რომელიც ფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას. სკ-ის 143-ე მუხლის თანახმად, უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე

უფლებამონაცვლის მიმართაც. სკ-ის 128.3 მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება დადებულია 17.12.92წ., ხოლო სარჩელი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 27.07.06წ. აღიძრა. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის დენის დაწყების მომენტად მიჩნეულ უნდა იქნეს საქმეში სათანადო მოსარჩელის სახით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩართვა.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. **სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი ვერ იქნება დამოკიდებული უძრავი ქონების მიმართ სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების გადანაწილებაზე, ამგვარი მიდგომა შედეგად გამოიწვევს პერმანენტული სამართლებრივი გაურკვევლობის მდგომარეობას, ერთიდაიგივე დავის რამოდენიმეჯერ განხილვას. აღნიშნული ფაქტობრივად უტოლდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონიერების და დასაბუთებულობის კიდევ ერთი, დამატებითი პროცედურის დაშვებას, სასამართლო აქტების გადასინჯვის დადგენილი პროცედურის შეცვლას.** საქმის მასალების მიხედვით, სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სათანადო მოსარჩელედ ჩართვა ა. კ-ის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოტივირებულია იმით, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (ტ.1, ს.ფ.126, 148). საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილება არ წარმოადგენს ერთხელ უკვე გადაწყვეტილი დავის განახლების საფუძველს.

საქმე № ბს-168-162(კს-09)

28 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოსამართლის დახმარება მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლი)

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გაგებულ უნდა იქნას ამგვარად, რომ კანონმდებელმა სიტყვა „ტრანსფორმაცია“ მიანიჭა სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულ უნდა იქნას თავად მისი შინაარსიდან გამომდინარე. ტრანსფორმაცია გულისხმობს გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას, შესაბამისად, ტერმინის სამართლებრივი კონტექსტი ნიშნავს სასარჩელო მოთხოვნის გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაციული სარჩელის სახის – რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25 მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძველებს. სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ. ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სარჩელი და სწორედ პროცესის ეკონომიის პრინციპს ემსახურება სარჩელის სახის გარდაქმნის, სახეცვლილების შესაძლებლობა: აგრეთვე, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირო-

ბებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა, ანუ მაგ. მოსარჩელე ითხოვს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რაც ზოგადი მოთხოვნაა და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს მოთხოვნის ფორმულირებას, დაზუსტებას, ვინაიდან აქტის გაუქმება მოიცავს როგორც მის ბათილად, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადებასაც და ა.შ. სწორედ სარჩელის მოთხოვნის ზუსტი პროცესუალური ფორმულირება განსაზღვრავს დავის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სარჩელის ტრანსფორმაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის საგნის შეცვლის, გადიდების საპროცესო უფლებასთან, ვინაიდან აღნიშნული საპროცესო უფლება თვისობრივად განსხვავდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ დავების სპეციფიკურ ნორმათა ერთობლიობაში გათვალისწინებული საგამონაკლისო პროცესუალური ინსტიტუტებისაგან. სწორედ ამ პროცესუალურ თავისებურებათა გამო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან მიმართებაში ნეგატიური დათქმის პრინციპზე აგებულ საკანონმდებლო აქტს.

დასკვნის სახით: **მოთხოვნის ტრანსფორმირება გულისხმობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის სახეების ფარგლებში ერთი სახის სარჩელის შეცვლას სხვა სახის სარჩელით**, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რადგან მოსარჩელე ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობას და სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის № 7762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის № 05-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს არა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებას, არამედ ფორმალური თვალსაზრისით სასარჩელო მოთხოვნის გამრდას, რის თაობაზეც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ დანაწესს, კერძოდ, სსკ-ის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის გამრდა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

საქმე № ბს-829-813(კ-12)

26 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოსამართლის დახმარება მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლი)

1. ო. ლ-მა 2011 წლის 14 აპრილს სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის თვითმართველ ქ. რუსთავის მერიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე პრივატიზაციის განხორციელების დავალება (იხ. ს.ფ. 3-11 ტ.1).

2. 2011 წლის 14 ივნისს ო. ლ-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე და რუსთავის მერიისათვის, აღნიშნული ფართის ო. ლ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება (იხ. ს.ფ. 65-73 ტ.1).

3. 2011 წლის 21 ივლისს ო. ლ-მა კვლავ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით და ამჯერად მოითხოვა უფლების აღიარება, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ აღიარება. (იხ. ს.ფ. 95-102 ტ.1).

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ო. ლ-ის თავდაპირველ მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ რუსთავის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და აღნიშნული

ფართის ო. ლ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება. მოსარჩელის მიერ რამდენჯერმე მოხდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და მისივე განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითების საფუძველზე მოთხოვნა საბოლოოდ ჩამოყალიბდა სწორედ აღიარებული საარჩელის ფორმით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად გაიგეს და გამოიყენეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით განსაზღვრული – სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა არასწორად ფორმულირდა, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლომ 2009 წლის 28 აპრილის განჩინებაში / საქმეზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელისა გამო მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მიმართ/ განმარტა სარჩელის ტრანსფორმირების მიზანი, ნამდვილი ბუნება და არსი: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გულისხმობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის სახეების ფარგლებში ერთი სახის სარჩელის შეცვლას სხვა სახის სარჩელით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძვრას სხვა სახის სარჩელი, გარდა ამისა, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირობებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვლიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25 მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძველებს, სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ.“

საკასაციო სასამართლოს შეფასებით თუკი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ამ ფორმით აღძვრა დაუშვებელი იყო, სასამართლო ვალდებული იყო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ან შეეწყვიტა საქმე დაუშვებლობის მოტივით ან თავად გამოეყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში, მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, რის შედეგადაც მიღწეულ იქნებოდა პროცესის ეკონომიურობის მიზანი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღიარებითი სარჩელის ფორმით სასამართლოსადმი მიმართვა იყო დაუშვებელი, სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე მხარისათვის შეკითხვის დასმა: „ხომ არ სურს მოთხოვნის ტრანსფორმირება“, არ ნიშნავს მხარისთვის მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარებას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებული საპროცესო შესაძლებლობის ჯეროვნად რეალიზაციას. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების ერთ-ერთ არგუმენტად ისე მიუთითა აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობის შესახებ, რომ კვალიფიციურად და სრულყოფილად არ შეუსრულებია საპროცესო მოქმედება, კერძოდ, მხარისათვის არ განუმარტავს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც შესაძლოა თავიდანვე გამხდარიყო სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო იმსჯელებდა აღიარებითი სარჩელის ფორმით მოთხოვნის აღძვრის დასაშვებობაზე, ცალსახაა არაა, რამდენად შეიძლებო-

და საკითხის განხილვის შედეგი ყოფილიყო საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით იმ პირობებში, როდესაც მხარე უთითებს და საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ მის თავდაპირველ მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მოსარჩელემ რამდენჯერმე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მისივე განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითების საფუძველზე მოთხოვნა საბოლოოდ ჩამოყალიბდა სწორედ აღიარებითი სარჩელის ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს, რა გავლენა მოახდინა პირველი ინსტანციის სასამართლომ ო. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე, რამდენად იყო მოსარჩელე ინფორმირებული ამგვარი ფორმით სარჩელის აღძვრის შედეგებზე, განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები და თავად დაეხმაროს მხარეს სარჩელის სწორი პროცესუალური ფორმულირებით ჩამოყალიბებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გამოარკვევეს აღიარებითი სარჩელის რომელი შემთხვევა იყო სახეზე, რამდენადაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სასამართლოებმა იმსჯელეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის თაობაზე, მაშინ როდესაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სადავო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ აღიარება, ამდენად აქ სადავო არა ის, სახეზეა თუ არა ფართით სარგებლობის ფაქტი, არამედ ის თუ რამდენად კანონიერია ო. ლ-ის მიერ ფართით სარგებლობა, რაც თავისი არსით წარმოადგენს უფლების და არა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარების მოთხოვნას. ამდენად, ო. ლ-ის მოთხოვნა – ტრანსფორმირებული აღიარებითი სარჩელის სახით, განეკუთვნება არა სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას, არამედ, უფლების აღიარების (სადავო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ ცნობა) შემთხვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოთა მსჯელობა გასცდა სარჩელით მოთხოვნილი უფლების პროცესუალურ კონტექსტს, შესაბამისად, სასამართლოთა მსჯელობა და დასკვნები არ პასუხობს და ბუნდოვანს ხდის დავის არსს, რის გამოც სრულიად წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს შეფასებები, მათ შორის, შემდეგზე, რომ მოსარჩელეს, სარჩელის აღძვრისას, დაცული არ აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის № 1/1669 ადმინისტრაციული აქტი, სადავო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის მიერ სადავოდ არ გამხდარა და მას ასევე არ მოუთხოვია სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მაშინ, როცა რუსთავის საქალაქო სასამართლოში არაერთგზის წარდგენილი დაზუსტებული სარჩელებიდან ერთ-ერთის, კერძოდ 2011 წლის 14 ივნისს დაზუსტებული სარჩელის (იხ. ს.ფ. 65-73 ტ.) დავის საგანს სწორედ ეს მოთხოვნები წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია, თუ რამ განაპირობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული, პრაქტიკულად, ყველა სახის სარჩელის წარდგენა სასამართლოში და სახეზე იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის კვალიფიციური გამოყენება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კვალიფიციურად და საპროცესო კანონმდებლობის ზუსტი დაცვით უნდა გამოარკვიოს: სარჩელის მიზანი, თუ რა უფლება შეეღობა მოსარჩელეს და შესთავაზოს მას უფლების დაცვის ადეკვატური საპროცესო ფორმის – სარჩელის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრული რომელიმე სახის გამოყენება სარჩელის ტრანსფორმაციის ფარგლებში, აღნიშნულის შემდეგ, იმსჯელოს სარჩელის დასაშვებობის წინამძღვრებზე, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

განმარტების საგანი: გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებს. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებს. სასამართლოს დროებითი განჩინება ასევე გამოიყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან სხვა საფუძველების გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. ამასთან, ხსენებული მუხლის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია უფლების დროებითი დაცვა ამავე კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, ანუ როდესაც შეუძლებელია ამკრძალავი(შემზღუდველი) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანა სა-სამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნის თაობაზე განცხადების დასაშვებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სარჩელის სახე. თუ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ან უკვე აღძრულია შეცდომების სარჩელი, რომლის დროსაც უფლების დროებითი დაცვა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული მექანიზმის გამოყენება. ამდენად, დაინტერესებული მხარის უფლება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს დროებითი განჩინების მიღება, გამომდინარეობს მისი უფლებებიდან-აღძრას სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ქმედების განხორციელების მოთხოვნით ან აღძრას აღიარებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ სასარჩელო განცხადებით ითხოვს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 16 იანვრის 29 საგადასახადო მოთხოვნის, 2008 წლის 14 იანვრის დ/9 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 29

აპრილის 855 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 სექტემბრის 05-04/8519 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრულია შეცვილების სარჩელი, ამ შემთხვევაში დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინების გამოტანა, რის გამოც შპს "...-ის" განცხადება დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე დაუშვებელია.

საქმე № ბს-1147-1115 (უს-10)

11 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლები)

2001 წლის 14 აგვისტოს ო. კ-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7 ივლისის № 11.149.11 გადაწყვეტილებისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის № 7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის № 17.404.25 გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლების) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. № 3/... ქ. № 54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორებმა ქ. თბილისში, ... ქ. № 3/... ქ. № 54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს (ტ. II, ს.ფ. 78-79).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჩივრის ავტორების მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე, თავისი შინაარსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მიეკუთვნება, ვინაიდან, აღნიშნული განჩინების, როგორც უფლებრივი დაცვის დროებითი საშუალების მიზანი – დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმის დავის საგანს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის № 7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობა წარმოადგენს, ხოლო 2010 წლის 28 მაისს საჯარო რეესტრში სადავო ქონების ს. ნ-იანის სახელზე, საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ფაქტი, საჩივრის ავტორებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენება, იმ შემთხვევაში, თუ პირს შეუძლია აღძვრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცვლითი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 29-ე მუხლით, რომელიც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას უკავშირდება.

საქმე № ბს-329-326(კ-კს-11)

18 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი)

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 07 სექტემბრის № 01-48/78 ბრძანებით შეწყვეტილ (მოშლილი) იქნა შპს „ბ-ს“ შორის 2006 წლის 04 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 24 მარტის № 34 დადგენილება. ეთხოვა ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და გააუქმოს შპს „ბ-ის“ საკუთრების უფლება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ-ში მდებარე 1 100 კვმ და 850 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები მითითებული მიწის ნაკვეთების ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის მიზნით. ბრძანება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება, ანუ სარჩელის სასამართლოში შეტანა არ ატარებს სუსპენზიურ ეფექტს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე, კერძოდ, შპს „ბ-ი“ ითხოვს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 07 სექტემბრის № 01-48/78 ბრძანების (ბრძანება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად), შეჩერებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ ჩერდება, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რომ შემოაღნიშნული აკრძალვა სასამართლოს, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, არ ართმევს შესაძლებლობას, მხარის მოთხოვნით შეაჩეროს შემომთითებული სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

მიუხედავად სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებისა, შეაჩეროს აქტის მოქმედება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული უფლების გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც, შესაძლოა, მოჰყვეს აქტის შეჩერებას, ვინაიდან აქტის შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

განსახილველ კერძო საჩივართან მიმართებაში საკასაციო სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა დასაბუთებულია, კერძოდ, სადავო აქტის თანახმად, აქტით განსაზღვრულ სადავო ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას და განვითარდეს საკურორტო ინფრასტრუქტურა, რაც მაღალ საჯარო და საზოგადო ინტერესს წარმოადგენს, ბრძანების აღსრულების დაყოვნება კი გააჭიანურებს მითითებული მიზნების განხორციელებას, რაც ზიანს მიაყენებს, როგორც საზოგადო ასევე საჯარო ინტერესებს.

საქმე № ბს-1339-1324(კ-11)

14 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ზოგადი ტერმინია და მოიცავს, როგორც აქტის ბათილად ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ბათილად ცნობის ობიექტია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც შეეხება მათ სამართლებრივ შედეგებს, ბათილად ცნობა ავტომატურად არ იწვევს აქტის ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს მისი მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება კი იწვევს მისი მოქმედების შეწყვეტას აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული წინაპირობები. განსხვავებით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან, კანონიერი

ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობების კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრით.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის საფუძველზე განმარტავს: სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონი ამგვარ უფლებამოსილებაზე არ უთითებს სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევისას, ვითარების იდენტურობიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7.2 მუხლის (კანონის ანალოგია) დანაწესის საფუძველზე იგივე მიდგომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაშიც, მაგრამ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, მხარის მოთხოვნით დავის გაგრძელებისა და აქტების ბათილად ცნობისათვის არსებითად არსებობდეს აქტების ბათილად ცნობის მხარის კანონიერი ანუ მატერიალურ-სამართლებრივი იურიდიული ინტერესი ე.ი აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას.

საქმე № ბს-1095-1051(კ-09)

10 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ადმინისტრაციულ ორგანოში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოიცეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. კანონის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია უფლებამოსილებას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დააფუძნოს უკვე გაუქმებულ ან შეცვლილ ნორმებს. საკითხის შემდგომი გამოკვლევის მიზნით საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს საკანონმდებლო ცვლილებები და ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობა, საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქმე № ბს-340-327(2კ-09)

23 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ადმინისტრაციულ ორგანოში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლის გარკვევის დავალება არ წარმოადგენს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს.

საქმე № ბს-534-514(კ-10)

22 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სარჩელთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 27 ნოემბრის № 2094 განკარგულებით, თავის მხრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 6 ნოემბრის № 6/1064 ბრძანება და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებებისა და სა-

მართლებრივი საკითხების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებული საპროცესო ნორმის გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის მისთვის შეუძლებელი საქმის გარემოებების გამოკვლევა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტა, ასევე – ის გარემოება, რომ კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და სათანადოდ შეაფასოს საქმის გარემოებები, რომ აღნიშნულით იგი შესაძლებელია შეიჭრას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმის გამოყენება და რატომ იყო სასამართლოსათვის შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო, ასევე – თუ რატომ განეკუთვნებოდა კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლომ, შემდგომ კი სააპელაციო სასამართლომ ისე დაავალა ქ. თბილისის მერიას შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომ არ უმსჯელია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთოდ იყო თუ არა ქ. თბილისის მერია უფლებამოსილი განეხორციელებინა აღნიშნული ქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მერიას მშენებლობის ნებართვის გაცემის სპეციალური უფლებამოსილება არ გააჩნდა, ვინაიდან, აღნიშნული უფლებამოსილება ქ. თბილისის მერიის 2007 წლის 12 ოქტომბრის № 51 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს ჰქონდა მინიჭებული. ქ. თბილისის მერიამ, როგორც ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გარემოებათა გამოკვლევის საფუძველით ბათილად ცნო ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს აქტი და მას ახალი აქტის გამოცემა დაავალა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამართლებრივი ნორმა, რომელიც თავისი შინაარსით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების იდენტურია და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო განკარგულება, რომლის საფუძველზეც თავის მხრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქა-

ლაქო სამსახურის 2007 წლის 6 ნოემბრის № ... ბრძანება და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საკითხების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი საკითხი – ხსენებული აქტის კანონიერების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამ შემთხვევაში სარჩელის საგანზე არსებითად მსჯელობისა და მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ამ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის თვალსაზრისით.

საქმე № ბს-1547-1508(კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სარჩელთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რის შედეგადაც მივიდა შემდეგ დასკვნამდე: სააპელაციო სასამართლო, მართალია, არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოს მხრიდან დავის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტას, მაგრამ, თავის მხრივ, ფაქტობრივად, არ შედის დავის არსებითად გადაწყვეტის პროცესში, ღიად ტოვებს სასარჩელო მოთხოვნას და არ მსჯელობს მის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო კვლავაც ადასტურებს მისი მხრიდან არაერთხელ განვითარებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, იმ ვითარებაში, როდესაც ამოწურულია დავის ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის ყველა ეტაპი, ამასთან დავა ადმინისტრაციულ ორგანოში განხილულია არსებითად, იმავე ორგანოში საქმის დაბრუნება საკითხის ხელახალი განხილვისათვის ხშირ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლო შედეგს, მაგრამ აღნიშნული მითითება გულისხმობს სწორედ სასამართლოს ვალდებულებას, ასეთ პირობებში თავად იმსჯელოს სარჩელზე და მოტივირებული გადაწყვეტილებით უარყოს ან დაადასტუროს სარჩელის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლზე (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია) დაყრდნობით არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის სისწორეს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო გორის საგადასახადო ინსპექციისათვის დავალებინა საკითხის ხელახალი შესწავლა. კერძოდ, გემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დაასკვნის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემ საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებით განხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის № 5018 ბრძანებით ინდ/მეწარმე „ნ. თ-ის“ 2008 წლის 13 ნოემბრისა და 04 დეკემბრის საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალა გადამხდელის არგუმენტების გათვალისწინებით დამატებით შეესწავლა სადავო საკითხი, დაეზუსტებინა გადამხდელთან ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე გამოვლენილი საქონლის ოდენობა, გადაეანგარიშებინა სსკ-ის 143-ე მუხლის

მე-2 ნაწილის საფუძველზე დარიცხული სანქციები და შესაბამისად, საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელისათვის წარედგინა შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“.

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე ინდ/მეწარმე „ნ. თ-ის“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალა საკითხის ხელახალი შესწავლა, თუმცა ასევე ცალსახაა, რომ საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება გადასახადის გადამხდელს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს საჩივრის სრული მოცულობით დაკმაყოფილება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ინდ/მეწარმე „ნ. თ-ის“ საჩივლის მიზანს წარმოადგენდა მისი სრული საგადასახადო რეაბილიტაცია, რომლის უზრუნველყოფის საშუალებად მისი მხრიდან გამოყენებული იქნა დავის სასამართლო წესით გადაწყვეტა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების და შემოსავლების სამსახურის მიერ საკითხის ხელახალი გამოკვლევის მიზნით საქმის თავდაპირველი აქტის მიმღებ ორგანოში დაბრუნების შემთხვევაში შედგის იდენტურობის თაობაზე და სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ არსებით განსხვავებაზე, რომელიც თან ახლავს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას.

შემოსავლების სამსახურის მხრიდან საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და საქმის გორის საგადასახადო ინსპექციაში დაბრუნების შედეგად ძალაში დარჩა „საგადასახადო მოთხოვნა“ და გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ საგადასახადო ორგანოს შეტყობინება. საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს „შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა“ გაეგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი „შესწორება“, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს ახალი „საგადასახადო მოთხოვნის“ გაგზავნის ვალდებულება, ამავე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, არ ეკისრება. მაშინ როდესაც, სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო, მართალია, არარსებითად, მაგრამ ბათილად სცნობს „საგადასახადო მოთხოვნას“ და ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე მიიღოს და გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს ახალი „საგადასახადო მოთხოვნა“, რომელიც იქნება საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემული ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს საგადასახადო დავის დაწყების ახალ ფორმალურ საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საჩივლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებისა და შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების იდენტურობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება მატერიალური და საპროცესო ნორმების არასწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე გადაწყვეტილების შეფასებისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს კიდევ ერთ გარემოებაზე მითითებას. შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის № 5018 ბრძანებით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ინდ/მეწარმე „ნ. თ-ის“ საჩივარი საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 21 ოქტომბრის № 6399 ბრძანების, № 5366 „საგადასახადო მოთხოვნისა“ და გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ საგადასახადო ორგანოს შეტყობინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს იმავე აქტების გაუქმების მოთხოვნით აღძრულ საჩივრზე უარი ეთქვა სრული მოცულობით. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით ფაქტობრივად გაუარესდა მხარის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც არსებითად ეწინააღმდეგება სამართალწარმოების პრინციპებს.

საქმე № ბს-1635-1589(კ-08)

30 ივნისი, 2009 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: საკასაციო საჩივრის დასაშვებობა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლების განსაზღვრის წესებით შესაძლებელი უნდა გახდეს მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კასაციას:

– ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

– ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

ა) აბსოლუტური კასაცია;

ბ) დივერგენტული კასაცია;

გ) პროცესუალური კასაცია;

აბსოლუტური კასაციის შემთხვევაში კონკრეტული საქმე მოიცავს საპროცესო საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.

აგრეთვე, ისეთ შემთხვევაშიც, როცა თავიდან უნდა იქნას აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი, უხეში განსხვავების დანერგვა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ერთიანი სასამართლო პრაქტიკისთვის. აღიარებულია, რომ სამართლის ნორმის განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული მატერიალური და ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევების ფარგლებს და სერიოზულად ვნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ.

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეულ სამართლებრივი ნორმების განმარტებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობის და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად, შეგნებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული (რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

პროცესუალური კასაციის შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათი, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე /შედეგზე/.

11.2 სამოქალაქო პროცესი

საქმე № № ბს-654-626(2კ-08)

11 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იერარქიით ზემდგომი ნორმატიული აქტის გამოყენება დავის გადასაწყვეტისას

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი მოსაზრებები სარჩელზე უარის თქმის საფუძველად არ მიიჩნია საქართველოს პრეზიდენტის 08.04.06წ. № 255 ბრძანებულებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესი“. აღნიშნულთან მიმართებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, წინააღმდეგობრივია. საქართვე-

ლოს პრეზიდენტის 08.04.06წ. № 255 ბრძანებულებით დამტკიცებული უძრავი ქონების რეგისტრაციის წესის 10.2 მუხლის თანახმად, უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების წინასწარი რეგისტრაცია, ხსენებული ნორმის თანახმად, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის წინაპირობას წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურიდიული სრულად აღდგენა. აღნიშნულის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლო ერთის მხრივ მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო სივრცეში არ მოიპოვება ნორმატიული აქტი ან ნორმა, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ი. თ.-ს უძრავი ქონების შესაკუთრედ აღიარება და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო მეორეს მხრივ რეგისტრაციის უფლების დასადასტურებლად უთითებს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო აქტების ნორმების პირდაპირ მოქმედების ძალაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას ნორმის გამოყენებაზე და დავის გადასაწყვეტად გამოიყენოს იერარქიით ზემდგომი ნორმატიული აქტი (ინციდენტური კონტროლი), სსკ-ის 6-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ თუ საქმის განმხილველი სასამართლოს ამრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით. სასამართლოს უფლება უარი თქვას ნორმის გამოყენებაზე მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო, კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედების ძალის გათვალისწინებით, შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული, აღნიშნულს ადასტურებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.3 მუხლი. ამასთანავე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ეს უფლება გულისხმობს იერარქიით ქვემდგომი ნორმატიული აქტის სასამართლოს მიერ გამოყენებაზე უარის თქმის საფუძვლიან დასაბუთებას, ინციდენტური კონტროლის უფლება სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, უკეთუ სადავო საკითხი პირდაპირ, ცხადად და ერთმნიშვნელოვნად არის ასახული კონსტიტუციის ნორმაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო სასამართლომ უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთებული წარდგინებით.

საქმე № ბს-137-128(კს-07)

27 სექტემბერი, 2007 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონკურენცია

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, შპს „ს.-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 18 მარტის № 63 განკარგულება შპს „ს.-ის“ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით დროებით ...-ის ცენტრალური კარის ჩაკეტვის შესახებ, დადგინდა შპს „ს.-ის“ ცენტრალური შესასვლელი კარის გახსნა ...-ის ქუჩიდან, დადგინდა შპს „ს.-ის“ ცენტრალურ შესასვლელ კართან ...-ის ქუჩიდან დროებითი ღობის აღება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (ს.ფ. 517-523).

2006 წლის 28 ივლისს შპს „ს.-ის“ წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თხოვნით განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ორი კანონიერ ძალაში შესული, ფაქტობრივად, ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილების არსებობას, რომელთაგან ერთი ადგენს, რომ უნდა მოხდეს ღობის აღება, ცენტრალური კარის აღდგენა და გახსნა, ხოლო მეორე ადგენს, რომ ღობე არ უნდა იქნეს აღებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზეა ორი კანონიერ ძალაში შესული, შედეგობრივად ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილების კონკურენციის არაორდინალური შემთხვევა, რა დროსაც აღსრულების საკითხზე საპროცესო კანონმდებლობა და კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ არ შეიცავს კონკრეტულ მოწესრიგებას. საერთო წესის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას. თუკი არსებობს აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევები, აღნიშნული წარმოადგენს აღსრულების შეწყვეტის ან სააღსრულებო საბუთის უკან დაბრუნების საფუძველს „სააღსრულებო წარმო-

ებათა შესახებ“ კანონის 34-35-ე მუხლების შესაბამისად, მაგრამ მითითებული მუხლები სადავო შემთხვევას არ აწესრიგებს. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის ძირითადი მიზანია აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართალურთიერთობის რეალიზაცია. **მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა, რომელსაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება ადგენს, რეალურად ვერ იარსებებს, იგი გამორიცხა შემდგომ მიღებულმა, ამავე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულმა 2006 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებამ.** აქვე გასათვალისწინებელია, რომ პირველი, დროში წინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება ვერ იწვევს მეორე, დროში გვიანდელი, 2006 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართალურთიერთობის ანუღირებას (რამდენადაც ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 დეკემბრის № 94 დადგენილება კანონიერადაა ცნობილი და მოქმედებს), ხოლო ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება გამორიცხავს პირველით დადგენილი სამართალურთიერთობის არსებობას და რეალობას. აქედან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცლის გაცემა სადავო ურთიერთობის რეალიზაციის მიზნით შეუძლებელია.

საქმე № ბს-1290-1234(კს-09)

27 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები)

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ივნისისა და 23 ივნისის განჩინებებით განსაზღვრული ხარვეზი აპელანტმა არ შეავსო და არ წარადგინა უტყუარი მტკიცებულებები (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან უმუშევრობის ცნობა, ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ), რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, ხოლო ის გარემოება, რომ ს. თ-შვილი არის ქვრივი, ხოლო ნ. და ე. თ-შვილები არიან სტუდენტები, სასამართლომ არ მიიჩნია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებად. ამასთანავე აპელანტებმა არ წარადგინეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლის შესატყვისად სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები, როგორც ამ სტანდარტის შესრულების და დაცვის უზრუნველმყოფი ორგანოები, ვალდებული არიან ობიექტურად და მიუკრეძობლად განიხილონ ამგვარი შემთხვევები, რათა პირებს არ შეეზღუდოთ ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საპროცესო სამართლის აღიარებულ დებულებას, რომ სარჩელი წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

სსსკ-ის V თავის ნორმების მიხედვით, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის დადგენილი ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს.

პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ (გასაწევ) ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა.

ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ შესაძლებლობას ადგენს 47-ე და 48-ე მუხლებით. კერძოდ, 47-ე მუხლი სასამართლოს უფლებას ანიჭებს მოქალაქე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინე-

ბით მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან. 48-ე მუხლით კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისათვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ანდა მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული შეღავათების არსებობა ქმნის საფუძველს, რომ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გადაუხდელობამ, ანუ მატერიალურმა უსახსრობამ არ დააბრკოლოს და მხარეს არ წაართვას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებით დაცვის შესაძლებლობა.

საქმის მასალების თანხმად, სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით აპელანტებს ს., ნ. და ე. თ-შვილებს დაუდგინა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად 10 დღიან საპროცესო ვადაში დაავალა ბაჟის გადახდის გათავისუფლების საფუძველის არსებობის უტყუარი მტკიცებულებების ან/და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით საპროცესო ვადა აპელანტებს გაუგრძელდა 10 დღით.

2009 წლის 13 ივლისის განჩინებით კი სასამართლომ აპელანტებს უარი უთხრა ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადებაზე და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აპელანტებმა არ წარადგინეს უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. ხოლო ის გარემოება, რომ ს. თ-შვილი არის ქვრივი და ნ. და ე. არიან სტუდენტები არ წარმოადგენს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს., ნ. და ე. თ-შვილებმა სააპელაციო სასამართლოს საკმარისი მტკიცებულებები წარუდგინეს თავიანთი გადახდისუუნარობის შესახებ. წარდგენილი მტკიცებულებებისა და ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს არ უნდა შეეზღუდა აპელანტებისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება.

საქმე № ბს-22-18(კს-13)

3 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი)

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი/მ „ი.რ.ო-ის“ მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ კერძო საჩივრის ავტორის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას. ი/მ „ი.რ.ო-ი“ უთითებდა, რომ მას და მის ძმას – ი/მ „ზ. რ-ს“ ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული აქვთ თავისუფლების აღკვეთა 05 წლის და 06 თვის ვადით, დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნიათ და დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული აქვთ სახელმწიფოს სასარგებლოდ თითოეულს 50 000ლარის გადახდა ჯარიმის სახით, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით, რომელიც თან ერთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარდგენილ განცხადებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების ან გადახდის გადავადების შესახებ. ამავე განცხადებას ერთვისმეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2012 წლის 12 აპრილის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ი/მ „ი.რ.ო-ის“ მთელ ქონებაზე რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ ქვედა ინსტანციების სასამართლოებში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება ი/მ „ი.რ.ო-ის“ მძიმე მატერიალური მდგომარეობა, იგი არ არის დასაქმებული პატიმრობის გამო და ვერ განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ დაყადაღებულ ქონებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორს უნდა გადაუვადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა პროცესის დასრულებამდე, და განიხილოს საქმე სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

საქმე № ბს-334-324(კს-13)

9 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი)

საქმის მასალების თანახმად, სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საჯარო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან. სარჩელის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს ტ. ბ-ას სახელზე რეგისტრირებული საკუთრების მოწმობის ბარათის გაუქმება და მარტვილის რაიონის, სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთისა და სახლ-კარის შესაკუთრედ ზ. ბ-ას ცნობა (იხ. ტ. 1; ს.ფ. 2-4).

სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 8 აპრილის განჩინებით აპელანტის ტ. ბ-ას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისა ან გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და დაუდგინა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად (იხ. ტ. 2; ს.ფ.32-34).

ტ. ბ-ამ კვლავ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე (იხ. ტ. 2; ს.ფ. 38).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 აპრილის განჩინებით ტ. ბ-ას განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი (იხ. ტ. 2; ს.ფ. 39-41).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აპელანტმა არ წარადგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. ხოლო ის გარემოება, რომ აპელანტი ახალი გათავისუფლებულია პატიმრობიდან და არ გააჩნია სამუშაო ადგილი, არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. ბ-ამ სააპელაციო სასამართლოს საკმარისი მტკიცებულებები წარუდგინა გადახდისუუნარობის შესახებ (სასჯელალსრულების დეპარტამენტის 2013 წლის 23 იანვრის ცნობა № 0696364 იმის თაობაზე, რომ ტ. ბ-ა 2005 წლის 22 მაისიდან 2013 წლის 24 იანვრამდე იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (იხ. ტ. 2; ს.ფ. 27); ასევე, კერძო საჩივარს დაურთო საპენსიო მოწმობა № 547849, რომლითაც დასტურდება, რომ 2004 წლის 4 აპრილიდან 2006 წლის 1 ივნისამდე მინიჭებული ჰქონდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა (იხ. ტ. 2; ს.ფ. 48).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუ არა ამგვარი შემთხვევა, მაშ რა ვითარებაში უნდა მიიჩნიონ ეროვნულმა სასამართლოებმა სსსკ-ის 48-ე მუხლით მოცემული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება საქმის განხილვამდე. ყველა შესაძლებელ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მისცეს მხარეს საშუალება სასამართლო წესით დაიცვას თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, რაც სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მიდგომის პირობებში შეუძლებელი იქნება.

საქმე № ბს-234-221(2კ-07)

18 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი შეეხება უკვე გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, ადვოკატისათვის გაწეულ ხარჯებს და იგი არ ითვალისწინებს იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც ჯერ არ გაუწევია მხარეს და რომლის გაწევასაც იგი აპირებს მომავალში, კერძოდ, ადვოკატისათვის არ გადაუხდია მომსახურების თანხა. კასატორი ლ. ხ-ი მიუთითებს, რომ უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მიერ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმა, რაც ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროს, ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯების გადახდა მოსარჩელესა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, უნდა მომხდარიყო მოცემული საქმის განხილვის დამთავრებისას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან მოცემულ საქმეში წარმოდგენილი არ

არის მოსარჩელე ლ. ხ-ის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების, ანუ მისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, უსაფუძლოა ლ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 1500 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

საქმე № ბს-795-757(2კ-07)

29 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი*)

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 37.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ პროცესის ხარჯებს წარმოადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები, სხვა აუცილებელი ხარჯები, რომელიც არ გულისხმობს სასამართლოში გამოცხადებასა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. საქმის მასალებში არსებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოსარჩელე ე. ც-სა და ადვოკატს შორის, ადასტურებს, რომ ე. ც-ემ აიღო ვალდებულება, ხელმოწერისთანავე გადაეხადა ადვოკატისათვის ჰონორარი 500 ლარის ოდენობით, თუმცა გადახდის ქვითარი საქმეში წარმოდგენილი არ არის. მითითებული მტკიცებულების არსებობის და შეფასების გარეშე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სსსკ-ის 53-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც ნორმა ითვალისწინებს მხარის მიერ გაღებული ხარჯების წაგებულ მხარეზე გადაკისრების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, მტკიცებულება, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა მხარის მიერ თანხის (500 ლარის) გაღებას /გადახდის ფაქტს/ საქმეში არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები განეკუთვნება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, თუმცა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარის მიერ აღნიშნული ხარჯი იქნა გაღებული, საქმის მასალებში არ მოიპოვება, შესაბამისად სარჩელი ამ ნაწილში სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული, რამდენადაც **სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული დანახარჯებით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით**, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ამგვარის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. კასატორის მიერ არც საკასაციო სასამართლოში იქნა წარმოდგენილი დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის სახით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არ არსებობს ამ ნაწილშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საქმე № ბს-1665-1619(კ-08)

2 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლით განსაზღვრული სასამართლო ხარჯების განაწილების კანონიერების თაობაზე, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსამრბრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წინამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მინიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებებზე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, ანუ საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება.

* აღნიშნული მუხლი განსხვავებულად განმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ იხ. საქმე № 3კ-1178-02 15 ნოემბერი, 2002 წ., ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის v თავის ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს.

პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი იურიდიული შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, ისევე, როგორც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სხვა პროცესუალური მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს სარჩელის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დამოუკიდებელ ობიექტს, ვინაიდან სარჩელი აღიძვრის იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და განმტკიცებულია მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობით. საპროცესო სამართალი განსაზღვრავს იმ საპროცესო უფლებების კლასიფიკაციას და მათით სარგებლობის პირობებს, რომლებიც აუცილებელია მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების ეფექტიანად დაცვის უზრუნველსაყოფად.

საპროცესო ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია და შესაძლებელია როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის თანამდევი პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, პირველის გარეშე იგი არ შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს. პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნები წარმოიშობა და ქრება მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად. საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნები სასამართლოს წარედგინება არა სარჩელის (მატერიალური მოთხოვნა), არამედ შუამდგომლობის ფორმით, რამდენადაც საპროცესო სამართლის ნორმები ადგენს (აწესრიგებს) არა მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ, პროცედურულ წესებს, რომელთა ეფექტიანი და კვალიფიციური გამოყენებით, ე.ი. საპროცესო უფლებების მეშვეობით მიიღწევა მატერიალური უფლებების დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის წარდგენა (აღძვრა) არის სასამართლოსადმი მიმართვა კონკრეტული, მოსარჩელის მიხედვებით, სუბიექტური უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დასაცავად, ხოლო პროცესის ხარჯების გადანაწილების მოთხოვნა გამომდინარეობს სარჩელთან დაკავშირებული სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურების პროცესუალური შესაძლებლობიდან, კერძოდ, პროცესის ხარჯები არის სწორედ სარჩელთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სასამართლო ხარჯები) და ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები (სასამართლოსგარეშე ხარჯები).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრება დაინტერესებულ პირებზე მიზნად ისახავს: ანაზღაურდეს დანახარჯი, რომელსაც გაიღებს სახელმწიფო მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სასამართლო ხარჯების განაწილება ასევე ემსახურება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა დისციპლინირებულობის უზრუნველყოფას, მაგ. დაუსაბუთებელი მიმართვების, ასევე ვალდებულებათა შესრულების თავიდან აცილება, რაც აფრთხილებს მხარეს მოსალოდნელი ხარჯების დაკისრების თაობაზე.

სასარჩელო წარმოებაში ხარჯებს გაიღებს მხარე, რომლის მიზეზითაც სასამართლოს მოუწია კონფლიქტის (დავის) გადაწყვეტა. ეს შეიძლება იყოს მოპასუხე (სარჩელის დაკმაყოფილების), ან მოსარჩელე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობის პირობებში), სასამართლოს გარეშე ხარჯები განეკუთვნება დამატებით დანახარჯებს, რომელსაც გაიღებს მხარე, მათ შორის ადვოკატის ხარჯებს, რომლებსაც სასამართლო გადაანაწილებს გონივრულ ფარგლებში (სსსკ-ის 53.1 მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჟ. ზ-ძეს, რომელმაც სასამართლო დავა მოუგო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს და ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული (იხ. ს.ფ. 9-20), სარჩე-

ლის განხილვისას არ აღუძრავს მოთხოვნა პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე, არც ერთი ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ჟ. 8-ძე, რომელმაც თავისდროულად არ ისარგებლა საპროცესო უფლებით, სარჩელთან – მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად წარედგინა თანამდევნი საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნა, არ გააჩნია იურიდიული საფუძველი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოგვარებულ სასამართლო დავაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურებაზე დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენისა, იგი ვერ იქნება მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, რამდენადაც სახეზეა არა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ, დასრულებულ სამართალწარმოებაში გამოუყენებელი საპროცესო უფლების მატერიალური შინაარსის უფლებად წარმოსახვის მცდელობა, რისი შესაძლებლობა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი არ არის და სავსებით ლოგიკურად, ვინაიდან სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქარწყლდება ყველა საპროცესო უფლება, რომლითაც მხარეებს შეეძლოთ ესარგებლათ სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ამასთან, დადგენილია კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ან სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, თუ მოსარჩელე ისარგებლებდა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობით და ძირითადი სარჩელის განხილვისას იშუამდგომლებდა სასამართლოს წინაშე მის მიერ გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ხოლო სასამართლო არ იმსჯელებდა მოსარჩელის შუამდგომლობაზე, ეს უკანასკნელი სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა მიემართა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადი სარჩელის განხილვის სტადიაზე მოსარჩელეს სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით არ მიუმართავს სასამართლოსათვის. შესაბამისად, ამგვარი საპროცესო უფლების – შუამდგომლობის არარსებობის პირობებში, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი თავისი ინიციატივით მიეკუთვნებინა მხარისათვის ის, რაც მას არ მოუთხოვია, განსხვავებით სასამართლო ხარჯების განაწილებისაგან, რადგან სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი. სასამართლოსგარეშე ხარჯების განაწილების შესახებ ამგვარ დანაწევს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ ანიჭებს სასამართლოს საპროცესო კომპეტენციას, თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის არარსებობის პირობებში გადაწყვიტოს სასამართლოსგარეშე ხარჯების განაწილების საკითხი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებმა სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას უნდა განსაზღვრონ რომელი უფლების დასაცავად აღიძრა იგი. გამიჯნონ მატერიალური და საპროცესო უფლებების რეალიზაციის კანონით განსაზღვრული ფორმები, ვინაიდან, პირის ყოველი უფლების დაცვას შეესაბამება ადეკვატური ფორმა, მაგ: განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში; სარჩელი – მატერიალურ-სამართლებრივ უფლებაზე სასამართლოში; შუამდგომლობა – საპროცესო უფლებებზე და ა.შ.

აღნიშნული ფორმების აღრევა და ასეთის დაშვება სასამართლოების მხრიდან არ შეესაბამება სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს.

მატერიალური და საპროცესო უფლებების ერთ სამართლებრივ ფორმაში რეალიზაციის შესაძლებლობა, როგორც შეუსაბამო სამართლის დარღვევისა და მათი ინსტიტუტების კვალიფიციურ გამიჯნასთან, ეწინააღმ-

დეგება საპროცესო სამართლით გარანტირებულ სასამართლოს ბოჭვას – მართლმსაჯულების იმპერატიულ პირინციპს – მართლმსაჯულების განხორციელებას მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე.

საქმე № ბს-429-412(კს-10)

21 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის გამოხმობა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გაიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

გემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობაში განსხვავდება სარჩელზე უარის თქმის ინსტიტუტისაგან, რამდენადაც სარჩელზე უარის თქმას უკავშირდება საქმის წარმოების შეწყვეტა, რა დროსაც მოსარჩელე კარგავს უფლებას, აღძრას სარჩელი იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველით, იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულისაგან განსხვავებით სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მოსარჩელე ინარჩუნებს უფლებას, აღძრას იმავე სახის სარჩელი. თუმცა, საგულისხმოა, რომ ორივე გემოაღნიშნული საპროცესო მოქმედება წარმოადგენს მხარეთა დისპოზიციურობის კონკრეტულ გამოვლინებას და დამოკიდებულია მთლიანად პროცესის მონაწილე მხარეთა ნების თავისუფლებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკას და საჭიროდ მიიჩნევს ადმინისტრაციულ პროცესში მე-3 პირის ინსტიტუტის სამართლებრივ მიმოხილვას, რომლის შემოღებაც უკავშირდება ამ კატეგორიის პირთა ინტერესების დაცვას, ადმინისტრაციული პროცესის ეკონომიურობის შენარჩუნებას და სამართლებრივ უზრუნველყოფას.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი კატეგორიის მე-3 პირებს. მე-3 პირები, რომელთა საქმეში ჩაბმა წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და მე-3 პირები, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა იქნენ საქმეში ჩაბმულნი.

ადმინისტრაციულ პროცესში მე-3 პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება მე-3 პირთა საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მე-3 პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მე-3 პირები. კანონმდებელი, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილი, ამ უკანასკნელის საპროცესო უფლებებს მხარეთა ზოგად უფლებებს უთანაბრებს. კერძოდ, აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირი სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მე-3 პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

სარჩელის გამოხმობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ანალიზი, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში სახეზეა 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირების ინტერესთა თანხვედრა დავის საგანთან, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით მოწვეული მე-3 პირები პროცესუალურად არ არიან ვალდებული აღძრან სარჩელი. აღნიშნული საპროცესო მოქმედების განხორციელების გარეშე ისინი შეუზღუდავად სარგებლობენ მხარის უფლება-მოვალეობებით.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის გამოხმობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოპასუხის თანხმობა. წინამდებარე დავაში კერძო საჩივრის ავტორი აღჭურვილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირის სტატუსით, რაც მას, აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს მხარისათვის მინიჭებული ყველა უფ-

ლებით. აღნიშნული კი, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ მოპასუხის თანხმობასთან ერთად, სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, სავალდებულოა 16.2 მუხლით ჩაბმული მე-3 პირის თანხმობაც.

საქმე № ბს-35-35(კს-09)

4 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში სარჩელის ხელახალი წარდგენა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელმა მოსარჩელეს მიანიჭა რა სარჩელის გამოხმობის უფლება, იმავდროულად გაითვალისწინა მისი სამართლებრივი შედეგიც, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სარჩელი განუხილველი რჩება. სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლით გათვალისწინებულია სარჩელის განმეორებით წარდგენა. ამდენად, სარჩელის განუხილველად დატოვება იმის გამო, რომ მოსარჩელემ უკან გაითხოვა სარჩელი, უფლებას არ ართმევს მას კვლავ აღძრას იგივე სარჩელი აღნიშნულის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული ნორმით გათვალისწინებული მხარის საპროცესო უფლება-გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც; ამასთან, **საკასაციო სასამართლოს მიანიჭა, რომ სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა მიეცეს სარჩელის განუხილველად დატოვების მომენტიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული ვადის დარჩენილ დროში ხელახალი სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა.**

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან ც. კ.-მ თავდაპირველი სარჩელით სასამართლოს მიმართა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ 20 დღიან ვადაში, კერძოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან მე-15 დღეს – 2007 წლის 4 სექტემბერს; სარჩელის გამოხმობის თაობაზე მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 2008 წლის 16 ნოემბერს, ხოლო მან იმავე წლის 19 ნოემბერს კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელით, ე.ი. საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ 20 დღიან ვადაში.

საქმე № ბს-51-51(კ-08)

20 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საპროცესო თანამონაწილეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებს და აღნიშნავს შემდეგს: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს მ. ს-ის, ვ. ჩ-ის, ა. ჩ-ის, ა. გ-ის, ს. გ-ის, ვ. გ-ის, მ. ჭ-ის, ე. კ-ის, მ. წ-ის, კ. კ-ის, ლ. დ-ის, ი. მ-ის, დ.

გ-ის, მ. მ-ის, რ. ნ-ისა და რ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა ზემოაღნიშნულ პირთა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფიზიკური პირის – რ. ნ-ის მიერ.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რ. მ-ის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ მის ნაწილში, მას არ გააჩნდა უფლებამოსილება, პროცესზე წარმოედგინა დანარჩენი მოსარჩე-ლეები.

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების ძირითად მოტივად იქცა ის გარემოება, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება ევალუბოდა საქართველოს შს სამინისტროს, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წინამდებარე დავაში წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს, ხოლო მხარემ (მოსარჩელემ) უარი განაცხადა არასათანადო მოპასუხის სათანადოდ შეცვლაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ, თუ: სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან და სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა საფუძველი და საგანი.

წინამდებარე შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველიდან, რის შედეგადაც სახეზეა თანამონაწილეობა პროცესში, კერძოდ, ადგილი აქვს ფაქტობრივ თანამონაწილეობას, რა შემთხვევაშიც თითოეული თანამონაწილე პროცესზე გამოდის დამოუკიდებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებამ თუ შეუსრულებლობამ არ შეიძლება რაიმე ზიანი მიაყენოს სხვა თანამონაწილეებს ან ზეგავლენა მოახდინოს მათ უფლებებზე.

მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია რ. მ-ის მხრიდან არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე გაცხადებულის უარმა დანარჩენი თანამოპასუხეების მიმართ დააყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით განსაზღვრული შედეგი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორ რ. ჩ-ზე ვერ გავრცელდება ის სამართლებრივი შედეგი, რაც მოჰყვა რ. მ-ის საპროცესო მოქმედებას, რა თვალსაზრისითაც, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სახეზეა ისეთი საპროცესო ხასიათის დარღვევა, რამაც აშკარა გავლენა იქონია კასატორის უფლებებზე.

საქმე № ბს-842-810(კს-08)

9 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საპროცესო თანამონაწილეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის (თანამონაწილეობის საფუძვლები) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის საგანს წარმოადგენს სწორედ საერთო უფლება, კერძოდ, საკუთრების უფლება სადავო ბინაზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა, რომლის დროსაც ერთ-ერთი აპელანტისათვის ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარება ნიშნავს მეორე აპელანტისთვისაც ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებულია სავალდებულო, ანუ აუცილებელი თანამონაწილეობა, რომლის დროსაც ერთ-ერთი მხარის სასამართლოში გამოცხადება ამავედროულად, ნიშნავს ყველა სხვა თანამონაწილის გამოცხადებას. შესაბამისად, ერთ-ერთი სავალდებულო თანამონაწილისათვის სასამართლო უწყების (გზავნილის) ჩაბარება ნიშნავს მის ჩაბარებას სხვა აუცილებელი თანამონაწილისათვის, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან დავალეული მოქმედების სასამართლოს მიერვე განსაზღვრულ ვადაში შესრულების ასპექტით.

საქმე № ბს-1549-1528(კს-11)

14 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობა (სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩო თავისი შინაარსით გულისხმობს იმ ზიანის კომპენსირებას, რომელიც მიადგა სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირის ამა თუ იმ შემთხვევის გამო.

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გადასახდელი სარჩო ემსახურება სარჩოს მიმღები პირის უზრუნველყოფას შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით, ვინაიდან დამდგარი შედეგის გამო მას არ შეეწყვეს უნარი დამოუკიდებლად ირჩინოს თავი.

ბუნებრივია ზოგადად, სარჩოს მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის მიმართაც დადგინდა კონკრეტული შემთხვევის გამო სარჩოს გადახდის ვალდებულება და მისი გადაცემა სხვა მესამე პირებზე არ ხდება. ასეთ დროს დაუშვებელია მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობა შესაბამისად, აღნიშნული გამორიცხავს საპროცესო უფლებამონაცვლეობასაც.

საქმე № ბს-884-866(კს-12)

2 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობა

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა მოსარჩელე რ. გ-ის გარდაცვალების გამო, რ. გ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე. აღნიშნული განჩინება კანონით დადგენილი წესით 2011 წლის 07 ნოემბერს ჩაბარდა რ. გ-ის წარმომადგენელს გ. წ-ეს. ასევე, 2012 წლის 05 სექტემბერს გ. წ-ესა და რ. გ-ის სავარაუდო უფლებამონაცვლეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაეგზავნათ მიმართვა, რათა წარმოედგინათ რ. გ-ის უფლებამონაცვლედ ცნობასთან დაკავშირებით მტკიცებულება, კერძოდ, სამკვიდრო მოწმობა.

2012 წლის 09 აგვისტოს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ რ. გ-ის შვილმა გ. გ-ემ მიმართა ნოტარიუს ნ. ბ-ეს გარდაცვლილი რ. გ-ის სამკვიდროს მიღების მიზნით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, მხარის მიერ, უფლებამონაცვლედ ცნობასთან დაკავშირებით რაიმე მასალები წარდგენილი არ ყოფილა, რომ საქმის წარმოების შეჩერებიდან ერთი წლის ვადაში საქმეში არ ჩაერთო რ. გ-ის უფლებამონაცვლე და არც ვადის გაგრძელების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოსათვის არავის მიუმართავს.

გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „2012 წლის 05 სექტემბერს გ. წ-ესა და რ. გ-ის სავარაუდო უფლებამონაცვლეს გაეგზავნათ მიმართვა იმის თაობაზე, რომ წარმოედგინათ რ. გ-ის უფლებამონაცვლედ ცნობასთან დაკავშირებით მტკიცებულება, კერძოდ-სამკვიდრო მოწმობა“. საკასაციო სასამართლო აფასებს რა ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გაცემულ ცნობას, მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნული მტკიცებულება სათანადოდ გამოკვლეული და შესწავ-

ლილი არ ყოფილა. სასამართლოს არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ უნდა იქნას მიჩნეული გ. გ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულება საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენისათვის საკმარისად.

მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მემკვიდრის მიერ მიღებულად ჩაითვლება თუ: 1. იგი მიმართავს სანოტარო ორგანოს და შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან 2. მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულება – ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გაცემული ცნობა, უდავოდ მოწმობს, რომ გ. გ-ემ, მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მისაღებად მიმართა სანოტარო ორგანოს, რაც შემომთითებელი სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს მემკვიდრის სათანადო უფლება-მოვალეობების დადგენით.

საკასაციო სასამართლო აძლევს რა სამართლებრივ შეფასებას გ. გ-ის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას, მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცნობით დასტურდება გ. გ-ის სამართალმემკვიდრეობის ფაქტი რ. გ-ის ქონებაზე და ის ფაქტი, რომ სანოტარო ბიუროში სამართალმემკვიდრეობის საქმის წარმოება იურიდიულად დასრულებული არ იყო, ანუ სამკვიდრო მოწმობა სააპელაციო სამართალწარმოების მომენტში არ გაცემულა, არ წარმოადგენდა გ. გ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ მიჩნევის დამაბრკოლებელ გარემოებას. მით უფრო, იმის გათვალისწინებით რომ გ. გ-ემ საკასაციო სასამართლოში წარადგინა ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა (იხ. ს.ფ. 368-373).

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ გ. გ-ემ სამკვიდრო მოწმობა დამატებითი მტკიცებულების სახით მხოლოდ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა და სააპელაციო სამართალწარმოებისას მტკიცებულების სახით მხოლოდ ნოტარიუსის მიერ გაცემული ცნობა იყო წარდგენილი, არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი გ. გ-ის რ. გ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ მიჩნევისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 06 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-432-410-2012 აყალიბებს იდენტური შინაარსის პრაქტიკას სამკვიდროს მიღების მომენტთან დაკავშირებით. ხოლო საპროცესო უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „**უფლებამონაცვლედ პირის ცნობისათვის საჭიროა უფლებამონაცვლის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარდგენა, თუმცა, მხოლოდ აღნიშნული არ შეიძლება გახდეს უფლებამოსილ პირად ნ.ბ-ძის მიჩნევის საფუძველი, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრემ ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით მიიღო სამკვიდრო მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ნ.ბ-ძეს სამკვიდრო მოწმობა არ მიუღია, იგი წარმოადგენს მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს და უფლება აქვს, შესაბამისი გარემოებების აცილების შემდგომ მიიღოს სამკვიდრო მოწმობა“.**

საქმე № ბს-376-373(კს-11)

27 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი. მასვე განემარტა, რომ ხარვეზით დადგენილ ვადაში სასამართლოსთვის უნდა წარმოედინა სათანადო დოკუმენტი, რომლითაც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს მინიჭებული ექნებოდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები ემყარება სამართლებრივი ნორმების მცდარ განმარტებას.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა მართალია არ არის იურიდიული პირი, მაგრამ იგი წარმოადგენს მრავალბინიან სახლში მდებარე

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანებას, რომლის ამოცანებია საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია და განვითარება. ამ მიზნით ამხანაგობას შეიძლება ჰქონდეს წესდება, რომელიც განსაზღვრავს ამხანაგობის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს და მათ შორის თავმჯდომარის არჩევის წესსა და უფლებამოსილებებს, საქმეში წარმოდგენილი წესდებით ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოვიდეს სასამართლოში ან სხვა ორგანოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სახელით.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით მოქმედოს.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საქმეს აწარმოებს იმ პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ენიჭება ამხანაგობის სახელით მოქმედების უფლებამოსილება, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ჯ. მ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის თაობაზე, ემყარება საპროცესო და მატერიალური ნორმების („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის) არასწორ განმარტებას.

საქმე № ბს-204-193(კს-07)

1 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სააპელაციო საჩივრის შეტანა

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისას შ. შ-ის წარმომადგენელ ა. ც-ეს არ გააჩნდა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა, რომელშიც სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესახებ, მაგრამ მან თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით დადგენილ ვადაში, ფაქტობრივად, შეავსო იმავე განჩინებით დადგენილი ხარვეზი – 2007 წლის 22 იანვარს (ს.ფ. 52) სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებასთან (ს.ფ. 42-43) ერთად, წარუდგინა თვითონ მისი მარწმუნებლის – შ. შ-ის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივარი ორ ეგზემპლარად (ს.ფ. 46-51).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს და სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობა ანუ მოწონება გარიგების დადების შემდეგ მიცემულ ნებართვას წარმოადგენს, რომლითაც სწორდება გარიგების სამართლებრივი ნაკლი, ხოლო გარიგების შემდგომ მოწონებას აქვს უკუძალა და მოწონებული გარიგება ნამდვილად ითვლება იმავე გარიგების დადების და არა მოწონების მომენტიდან, რაც გულისხმობს, რომ გარიგების მონაწილეთა უფლება-მოვალეობები წარმოშობილად, ამავე უფლება-მოვალეობების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები კი ნამდვილად ითვლება გარიგების დადების მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, შ. შ-სა და ა. ც-ეს სააპელაციო სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ კანონის შესაბამისად გაფორმებული, გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილების შემც-

ველი მინდობილობა, გაცემული ა. ც-ის სახელზე, ანუ შ. შ-ს, იურიდიულად, არ გამოუსწორებია კონკრეტული გარიგების სამართლებრივი ნაკლი, მაგრამ მან, როგორც მარწმუნებელმა, კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის თავისი ხელმოწერით წარდგენით, ფაქტობრივად, მოიწონა მისი წარმომადგენლის, ა. ც-ის მიერ განხორციელებული შესაბამისი მოქმედება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება. შესაბამისად, შ. შ-მა ა. ც-ის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული ნამდვილობა ჩაანაცვლა თავისი სახელით სააპელაციო საჩივრის წარდგენით, რის გამოც შ. შ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენილი სააპელაციო საჩივარი, იურიდიულად, ჩათვლება კანონით დადგენილ ვადაში შეტანილად.

საქმე № ბს-569-564(2კ-11)

17 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ხოლო აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ამდენად, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს,

რომ მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არ აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. **ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს.**

საქმე № ბს-1309-1273 (კ-10)

16 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცებულების განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს მიერ

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ი/მ „ა. ვ-ქემ“ კამერალური შემოწმებისას 2006-2007 წლებში მის მიერ გაწეულ საქმიანობაზე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარადგინა, შესაბამისად არ მოახდინა ამ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რამაც განაპირობა საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოების მიერ მითითებული მოტივი არ ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უმიზეზოდ უარი თქვა მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვაზე, ვინაიდან აღნიშნული მიდგომა ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებებსა და საქმიანობაზე სასამარ-

თლო კონტროლს სძენს ფორმალურ ხასიათს და წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში რეგლამენტირებული შეჯიბრებითობის პრინციპს უპირისპირდება ამავე მუხლში მოცემული საქმის გარემოებების სასამართლოს მიერ გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აქტიურ სასამართლოს, რომელიც მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლოს აქტიურ როლზე მიუთითებს შემდეგი გარემოებაც: **ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ შეიძლება დაუშვას, რომ მოსარჩელის მიერ საკანონმდებლო ნორმების არცოდნამ გამოიწვიოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, არამედ სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის და არ განხილულა არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სამართლებრივი დავის მიმდინარეობის პროცესში.**

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ი/მ „ა. ვ-ძის“ მიერ სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულებები, რა დროსაც სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რაში მდგომარეობდა მათი ადმინისტრაციულ ორგანოში წარუდგენლობის არასაპატიობა, მით უფრო, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს, რომ მის მიერ ხარჯების დამადასტურებელი საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსავლების სამსახურში, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუსაბუთებლად არ მიიღო და შესაბამისად უარი თქვა მათ გამოკვლევაზე.

საქმე № ბს-140-131(კ-07)

5 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა ცნობილი არა ი. ხ.-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ ბრძანება, არამედ ბათილად იქნა ცნობილი მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რაც სულ სხვა სამართალურთიერთობაა და სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსსკ-ის 106-ე მუხლს, მით უფრო, რომ აღნიშნული ნორმა მიუთითებს სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების პრეიუდიციულ ძალაზე, მაშინ, როცა რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება გამოტანილია ადმინისტრაციულ საქმეზე.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესავებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.

მოცემულ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია ადმინისტრაციულ საქმეზე, არ ცვლის მის პრეიუდიციულ ძალას სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის შესაბამისად, თუკი ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106 „ბ“ პუნქტი ასევე მოიცავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების სავალდებულობაზე, მის პრეიუდიციულ ძალაზე, რომლებიც ასევე არ საჭიროებენ დადასტურებას-მტკიცებას მხარეთა მიერ.

საქმე № ბს-993-947(კ-06)

22 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გ. წ-ის გარდაცვალების დროისათვის კომლში სხვა წევრების, კერძოდ, კასატორების რეგისტრაცია.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა ის გარემოება, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 20 სექტემბრის უდავო წარმოების წესით მიღებულ გადაწყვეტილებას მოცემული დავის გადაწყვეტისას ვერ ექნება პრეიუდიციული ძალა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს პრეიუდიციული ძალა სხვა საქმეზე, თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეში არ მონაწილეობს მოცემული საქმის ყველა მხარე.

საქმე № ბს-933-895(კ-07)

15 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106 „ბ“ მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს, კერძოდ, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 დეკემბრის განჩინების თანახმად, სადავო სამართალურთიერთობაში დავის საგანს წარმოადგენდა არასაცხოვრებელი ფართიდან გამოსახლება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. აღნიშნული განჩინებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სადავო 57 კვ.მ არა ერთ მთლიან, არამედ სხვადასხვა დამხმარე ფართის ჯამს წარმოადგენდა. ამასთან, სადავო ფართი არ იყო სხვენი, არის მანსარდა და იგი ასეთადაა აღრიცხული საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რა არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 57 კვ.მ იყო არა ერთი მთლიანი, არამედ სხვადასხვა დამხმარე ფართის ჯამი, ამასთან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო საქმის გადაწყვეტისას სხვა მხარეები მონაწილეობდნენ, კერძოდ, მოთხოვნა არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ, დავა მიმდინარეობდა კერძო პირებს შორის არასაცხოვრებელი ფართიდან გამოსახლებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით, მაშინ, როცა სსსკ-ის 106 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პრეიუდიციულ ფაქტად მიჩნევის ერთი-ერთ პირობას სწორედ იმავე მხარეებს შორის მიმდინარე დავის არსებობა წარმოადგენს, სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 31 მაისს ი. ყ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურს და მემკვიდრეობის საფუძველზე უძრავ ნივთზე (მდებარე ქ. საჩხერე, ... № 3) საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა (ს.ფ. 44). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 4 ივნისის № 882010632490-03 გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შედეგა და განმცხადებელს კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენა დაევალა (ს.ფ. 14). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 20 ივლისის № 186326 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ი. ყ-ის ადმინისტრაციული საჩივარი 2010 წლის 4 ივნისის № 882010632490-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე (ს.ფ. 18). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 5 ივლისის № 882010632490-05 გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ი. ყ-ის განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება (ს.ფ. 116).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ყ-ებისა და ზ-ების ოჯახებს შორის დავა მიმდინარეობს 1992 წლიდან. 2009 წლის 3 აგვისტოს (2009 წლის 28 ივლისის განცხადების საფუძველზე) საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურმა 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მათ შორის სადავო 40 კვ.მ. ნაკვეთის) რეგისტრაცია მოახდინა ზ. ზ-ის სახელზე 1995 წლის 15 მაისის № 371 მიწის მიღება-ჩაბარების აქტისა და 2009 წლის 13 ივლისის 4/8 საარქივო ამონაწერის საფუძველზე და გასცა საკადასტრო გეგმა. 1995 წლის 15 მაისის № 371 მიწის მიღება-ჩაბარების აქტით შ. ზ-ს გადაცემული აქვს სოფელ ...ში მდებარე მიწის ნაკვეთი, მათ შორის მე-6 ნაკვეთი „...“ – 0.07 ჰა საზღვრებში: ჩრდილოეთით – შ-ი, სამხრეთით – გზა, აღმოსავლეთით – ზ-ე, დასავლეთით – ყ-ი (ს.ფ. 101).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დავას არ იწვევს, რომ სადავო მიწის ნაკვეთს დღეის მდგომარეობით ფლობს ყ-ების ოჯახი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ი. ყ-სა და ზ. ზ-ს შორის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე წარმოებულ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ შ. ზ-ე (ზ. ზ-ის მამკვიდრებელი) არ წარმოადგენდა სადავო 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ვინაიდან, საქმის მასალებით ვერ დადგინდა ფაქტობრივი გარემოება ნამდვილად შედიოდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთი შ. ზ-ისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ მიწის ნაკვეთში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე ზ. ზ-ის სარჩელი უსაფუძვლო იყო. ამასთან, სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად. სამოქალაქო საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ყ-ების ოჯახს სადავო მიწის ნაკვეთზე შეუნარჩუნდა მფლობელობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სამოქალაქო საქმეზე მიღებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხს სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა, შემო-

იფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ი. ყ-სა და ზ. ზ-ს შორის წარმოებულ სამოქალაქო საქმესა და განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში სხვადასხვა მხარეების არსებობა გამორიცხავს გადაწყვეტილებებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებას და მოცემულ შემთხვევაში არ გაითვალისწინა და არ დაასაბუთა თუ რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს განსახილველ სამართალურთიერთობის მიმართ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, ი. ყ-სა და ზ. ზ-ს შორის წარმოებულ სამოქალაქო საქმეზე სარჩელი არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ და დავა მიმდინარეობდა კერძო პირებს შორის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით (მაშინ, როცა სადავო სამართალურთიერთობაში დავის საგანს ზ. ზ-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერების დადგენა წარმოადგენს), მაგრამ საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საქმეზე დადგინდა სწორედ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც პირდაპირ კავშირშია სადავოდ ქვეყლი ზ. ზ-ის სახელზე (40 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე) განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერებასთან.

მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საქმეზე, არ ცვლის მის პრეიუდიციულ ძალას სადავო სამართალურთიერთობის მიმართ, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუკი ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ასევე მოიცავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების სავალდებულოებას, მის პრეიუდიციულ ძალას, რომლებიც ასევე არ საჭიროებენ დადასტურებას – მტკიცებას მხარეთა მიერ წარმოებულ ადმინისტრაციულ საქმეზე.

საქმე № ბს-1658-1630(კ-11)

6 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას № 3/1476-06 ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხს სასამართლო ფორმალურად მიუდგა, შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში სხვადასხვა მხარეების არსებობა გამორიცხავს გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებას და მოცემულ შემთხვევაში არ გაითვალისწინა და არ დაასაბუთა თუ რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეს განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე და განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, № 3/1476-06 ადმინისტრაციულ საქმეში ნ. ნ-ი არ წარმოადგენდა მხარეს, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სწორედ განსახილველ

ადმინისტრაციულ საქმეში სადავოდ ქცეულ მიწის ნაკვეთებს ეხება. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება პრეიუდიციულ ძალას იძენს თავად სადავო მიწის ნაკვეთების მიმართ.

საქმე № ბს-1088-1077(კს-11)

19 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს მიერ მხარისათვის საპროცესო მოქმედების არასრულყოფილად განმარტება

საფუძვლიანი კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ მას სააპელაციო სასამართლოს მიერ არ განემარტა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარდგენის ვალდებულება და ამ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესაძლებლობა. ხარვეზის შესახებ განჩინებაში მხოლოდ ზოგადად მიეთითა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საპროცესო ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობაზე, ხოლო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებაზე დათქმას სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს. ვინაიდან მხარეს სრულყოფილად არ განემარტა შესასრულებელი საპროცესო მოქმედების შესახებ, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს მისი საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საქმე № ბს-325-316 (კ-08)

17 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის არსი; სარჩელის უზრუნველყოფის სახით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების აღსრულების წესი

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კომბინატის ადმინისტრაციული შენობისათვის ყადაღის დადების შესახებ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 08.10.02წ. 8/285 განჩინების ასლი 17.10.02წ. ბორჯომის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მუშაკმა ი. ჩ.-მ ჩაიბარა, რაც დასტურდება საქმეში დაცული სასამართლოს განჩინების ასლზე არსებული ხელმოწერით. (ტ.პ.ფ.92). საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აპელანტების მიერ ი. ჩ.-სათვის განჩინების ასლის ჩაბარება არ ნიშნავს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ბორჯომის სამმართველოში მითითებული განჩინების ასლის დადგენილი წესით წარდგენას. საქმეში დაცული ბორჯომის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლის – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს ცნობის მიხედვით, მოქალაქე ი. ჩ.-ე 2007 წლის თებერვლამდე მუშაობდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ბორჯომის სამმართველოში, პრივატიზების ორგანიზების განყოფილების გამგედ, ხოლო 2007 წლის თებერვლიდან მუშაობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოში სპეციალისტად. საპრივატიზაციო საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბორჯომის სამმართველოს უფროსის 21.10.02წ. 95 ბრძანებით 22.10.02წ. დანიშნულ აუქციონთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში, კომისიის მდივნის სტატუსით, შედიოდა პრივატიზების ორგანიზების განყოფილების უფროსი ი. ჩ.-ე. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ი. ჩ.-ე ხელს აწერს აუქციონის შედეგების 22.10.02წ. 112 სადავო ოქმს, ის არის სააუქციონო კომისიის მდივანი. სადავო აუქციონის ჩატარების დროს მოქმედი სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 31.03.99წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 2.8 მუხლის თანახმად სააუქციონო კომისია იქმნებოდა კონკრეტული აუქციონის ორგანიზებისათვის. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ბორჯომის (ამჟამად სამცხე-ჯავახეთის) სამმართველოს პრივატიზების განყოფილების გამგისათვის, სადავო სააუქციონო კომისიის მდივნისათვის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ადმინისტრაციულ შენობაზე ყადაღის დადების შესახებ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 08.01.02წ. განჩინების ასლის

ჩაბარება ადასტურებს მოპასუხისათვის განჩინების ასლის ჩაბარებას და შესაბამისად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შეტყობინებას.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 08.10.02წ. 8/285 განჩინების ასლის ი. ჩ.-სათვის ჩაბარება არ იწვევს სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლო დაცვის, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი საპროცესო უფლებაა და წარმოადგენს საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომელიც იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა“. აღნიშნული დანაწესი განთავსებულია „სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი“-ს თავში და იგი სამართალწარმოების სხვა დანარჩენ ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად (დისპოზიციურობა, შევსებულობა და ა.შ.), ლაიტმოტივად გასდევს როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლებრივ რეგულაციას, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივ ინსტიტუტს. პირის მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფა თავის თავში მოიცავს უფლების დაცვის როგორც ძირითად ასევე დამატებით საშუალებებს. უფლების დაცვის ძირითადი საშუალებაა სასარჩელო წარმოება, ხოლო დამატებითი საშუალებაა საგანმცხადებლო წარმოება, რომელიც ცალკე, იზოლირებულად არ არსებობს და არსებით კავშირშია სასარჩელო წარმოებასთან, მისი თანმდევი. მათი ერთობლიობა კი ქმნის „უფლების სასამართლო წესით დაცვის“ უფლების რეალიზების საპროცესო-სამართლებრივ მექანიზმს. უფლების სასამართლო წესით დაცვის საგანმცხადებლო წარმოების სახეობა – სარჩელის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

„სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებით ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და პირს ართმევს ამ უფლებით სარგებლობის ყველანაირ პრაქტიკულ საშუალებას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში.

საქართველოს კანონმდებლობით, სასარჩელო წარმოება არ არის სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელი ან შემზღვეველი ფაქტორი. სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგაც მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა (სსკ-ის 184.2 მუხლი). ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზების მიზნით, კანონმდებელი უშვებს საერთო წესიდან გადახვევის შესაძლებლობას და ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის სახით დროებითი ღონისძიების გამოყენების წესს. გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის კონკრეტულ მექანიზმს საგანმცხადებლო წარმოება შეადგენს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება პოტენციურად აღსრულებადს ხდის გადაწყვეტილებას და მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებებით განპირობებული დაბრკოლებების თავიდან აცილებას ემსახურება. უზრუნველყოფის აღნიშნული ბერკეტების გამოყენებით მოსარჩელე დაცულია გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მის აღსრულებაზე მოქმედი ობიექტური რისკვაქ-

ტორებისაგან. საგანმცხადებლო წარმოება გადაწყვეტილების აღსრულების გარდაუვალობის ეფექტური მექანიზმიცაა. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულების პრინციპი, პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზებისათვის, დღის წესრიგში უდავოდ აყენებს მოპასუხის ნებაზე ზემოქმედებისა და მისი თვითნებობის გამორიცხვის საკითხს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა ზოგადად და მის მარეგლამენტირებელი თითოეული ნორმის არსებული რედაქცია მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით. კერძოდ, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების, ერთის მხრივ, აღსრულების შესაძლებლობით (ობიექტური ფაქტორი) და მეორეს მხრივ, აღსრულების გარდაუვალობით (სუბიექტური ფაქტორი). ამდენად, სარჩელის (გადაწყვეტილების აღსრულების) უზრუნველყოფა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

სსკ-ის 191-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ შესაბამის გარემოებებზე მითითებით, გადაწყვეტილების აღსრულების მოსალოდნელი გართულების ან შეუძლებლობის ვარაუდით კი წარმოადგენს ამ განცხადების დასაშვებად ცნობის საფუძველს, ხოლო ამ სავარაუდო გარემოებათა შესაძლო შემხებლობა და გავლენის ხარისხი მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულებაზე – მისი დაკმაყოფილების საფუძველს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული (აუკრძალავი) იძულებითი ხასიათის იმ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელიც მიმართულია არა მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანისაკენ, არამედ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულებისკენ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისადმი პირის მომეტებული სამართლებრივი ინტერესის გამო, გადაუდებელ შემთხვევაში, კანონმდებელი უშვებს სარჩელის უზრუნველყოფას სარჩელის აღძვრამდეც – მომავალი სარჩელის უზრუნველყოფას (სსკ-ის 192-ე მუხლი), რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში. პირველ ინსტანციაში სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე (გადაწყვეტილების გამოტანამდე), ხოლო, თუკი გადაწყვეტილება არ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიტეული, სარჩელის უზრუნველყოფის უფლება ერთგვარად ტრანსფორმირდება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის უფლებად და ამ უფლების რეალიზება უკვე შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ნებისმიერ მომენტში (სსკ-ის 271-ე მუხლი). „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების რეალიზების მიზნებიდან გამომდინარეა მოწერსიგებული განცხადების განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარებული წესიც – ამ ტიპის განცხადებას სასამართლო იხილავს მისი შეტანიდან ერთი დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად (სსკ-ის 193-ე მუხლი). სარჩელის უზრუნველყოფის დანიშნულებიდან გამომდინარეა აგრეთვე გადაწყვეტილი განცხადებაზე მიღებული განჩინების აღსრულების საკითხიც. ამ ტიპის განჩინებას კანონმდებელი იმთავითვე დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა რიგს მიაკუთვნებს (სსკ-ის 195-ე მუხლი). სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლებით, სასამართლოს მიერ განცხადების უმოკლეს ვადაში განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებით, განჩინების დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობით და გასაჩივრებისას ასეთ განჩინებაზე სუსპენზიური ეფექტის გაუვრცელებლობით – კანონმდებელი მკაფიოდ გამოხატავს თავის ნებას დაცვას მოსარჩელე გადაწყვეტილების აღსრულებლობის რისკისაგან და იმთავითვე შექმნას მოთხოვნის რეალურად დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი გარანტია.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე და ამავე განცხადების შესაბამისად, წყვეტს სარჩელის განმხილველი სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს „უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის“ მიზანსა (რომელიც თავის თავში მოიცავს აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასაც) და სასამართლოს (და არა მხოლოდ განმცხადებლის) დასაბუთებულ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლობის თაობაზე (სსკ-ის 191-ე მუხლი). ამასთან, **მოსარჩელეა ვალდებული განცხადებაში მიუთითოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გა-**

ტარება მიაჩნია მას აუცილებლად, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ იმ ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, რომელსაც მოსარჩელე მოითხოვს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ამომწურავ ჩამონათვალს. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი სხვა მართლზომიერი ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველსაყოფად ან აუცილებლობის შემთხვევაში, დაადგინოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა რამდენიმე სახის ერთდროულად გატარება (სსკ-ის 198-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლებმა მოითხოვეს ქონებაზე ყადაღის დადება, რაც რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნებისმიერი სახეობა (მაგალბე-ლი, ამკრძალავი, სუსპენზიური) კატეგორიული ხასიათისაა და იმპერატიულად ადგენს ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის შედეგს. გასატარებელ ღონისძიებათა ასეთი კატეგორიულობა გამომდინარეობს თვით სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი ინსტიტუტის იმანენტური ბუნებიდან, მის დანიშნულებიდან შექმნას რეალური გარანტია მოსარჩელის ძირითადი კონსტიტუციური უფლების (თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს) სრულყოფილი და ეფექტური რეალიზებისათვის. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება – შედეგზე ორიენტირებული უფლებაა, იგი მთლიანად პირის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზანს ემსახურება, შესაბამისად, მართლოდენ სარჩელის წარდგენა სასამართლოში და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. „მიმართვის“ უფლება, პირის უფლებათა და თავისუფლებათა „დაცვის“ პროცესუალური, ხოლო თვით „სასამართლო“ ინსტიტუციონალური საშუალებაა. შესაბამისად, კონსტიტუციის აღნიშნულ დანაწესში პრიმატი „უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას“ ენიჭება და არა სასამართლოსადმი მიმართვას, როგორც ასეთს. სწორედ, უფლებათა დაცვისა და საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების მიზნიდან გამომდინარეა გადაწყვეტილი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების აღსრულების წესიც. კერძოდ, სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული განჩინება აღჭურვილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ისეთი ნიშნით, როგორცაა სავალდებულობა და აღსრულებადობა.

სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ყოველი პირი ვალდებულია კანონიერ ძალაში შესული ან დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სასამართლო აქტის გაცნობისთანავე თავისი ქმედებები შეუსაბამოს სასამართლო გადაწყვეტილებას და უშუალოდ შეასრულოს გადაწყვეტილება, თუ იგი მას ეხება ან სხვაგვარად შეუწყოს ხელი მის შესრულებას. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამასთან, **სამართალურთიერთობებში სააღსრულებო ფურცელი არ ენაცვლება სასამართლოს გადაწყვეტილებას, არამედ მხოლოდ ადასტურებს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში ყოფნის ან დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფაქტს.** შესაბამისად, არასწორია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სასამართლოს აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ან აღმასრულებლის მხრიდან რაიმე სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შემდეგ. ასეთი ლოგიკა სასამართ-

ლო გადაწყვეტილებას პრეიუდიციულ აქტად აქცევს სააღსრულებო ფურცლის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება როგორც სასამართლო აქტების სავალდებულობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს, ასევე თვით სააღსრულებო ფურცლის დანიშნულებას. მართალია, სააღსრულებო ფურცელს გასცემს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო (სასამართლო), ხოლო ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს გადაწყვეტილების მიმღები პირი (მოსამართლე), მაგრამ იგი წარმოადგენს არა დამოუკიდებელ სასამართლო აქტს, არამედ ერთგვარ ამონაწერს ამ აქტიდან.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ხოლო ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სააღსრულებო ფურცელზე გაკეთებული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება და გაიცემა გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველსაყოფად, მისი იძულებითი აღსრულებისათვის და არა გადაწყვეტილების სავალდებულობის დროსა და სივრცეში განსაზღვრის მიზნით. საქართველოს კონსტიტუციით, სასამართლო აქტებს (გადაწყვეტილება, განჩინება) პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ და მათი შესრულების სავალდებულობა არაა დამოკიდებული სააღსრულებო ფურცლის არსებობაზე ან სააღსრულებო მოქმედებებზე.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ზემოთმოყვანილი მსჯელობა, სსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად, სრულად ვრცელდება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების მიმართაც. უზრუნველყოფის შესახებ განჩინება ექვემდებარება გასაჩივრებას და გამომტანისთანავე არ შედის კანონიერ ძალაში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფის დანიშნულებიდან გამომდინარე, ასეთი განჩინება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება და იგი იმთავითვე სავალდებულოა ნებისმიერი პირისათვის მისი გაცნობის მომენტიდან, მიუხედავად იმისა დაწყებულია თუ არა მასზე სააღსრულებო წარმოება.

განსხვავებენ ქონებაზე ყადაღის დადების ორ სახეობას – პირველ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადება ხდება კანონიერ ძალაში შესული ან დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით. ამ შემთხვევაში ქონების დაყადაღების გადაწყვეტილებას ღებულობს თვითონ აღმასრულებელი, რომლის წარმოებაშიცაა მოცემული საქმე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით. ქონების დაყადაღების მეორე შემთხვევაში დაყადაღება ხდება სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას ღებულობს უშუალოდ სასამართლო. ამდენად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების პროცედურებისგან განსხვავებით, სარჩელის უზრუნველყოფისას აღმასრულებელი ქონების დაყადაღებას ახორციელებს არა საკუთარი გადაწყვეტილებით, არამედ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ქონების დაყადაღების თაობაზე გადაწყვეტილებას სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს – აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ, ცხადია, განსხვავებულია მათი გადაწყვეტილებების აღსრულების წესიც. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უძრავ ნივთზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამომტანით და ამ განჩინების ქონების შესაკუთრისათვის ჩაბარებით, ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღა დადებულად ჯერ კიდევ არ ითვლება და აღნიშნული ქონების განკარგვის უფლება არ ექვემდებარება შეზღუდვებს, აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა (დაყადაღების) განხორციელებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო მოქმედებები სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ემსახურება და არა მათ სრულყოფას, სასამართლო აქტების გაგრძელებას. აღმასრულებლის აქტები არ წარმოადგენს ექვივალენტურ დოკუმენტებს სასამართლო აქტების მიმართ. შესაბამისად, არ შეიძლება სააღსრულებო მოქმედებები და აქტები სასამარ-

თლო გადაწყვეტილების აღსრულების, მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელ, დამაბრკოლებელ გარემოებად იქცეს. სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის სახით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ყოველთვის განკარგულებითა და არა ნებადამრთავი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებით ნებას კი არ რთავს აღმასრულებელს დაყადაღოს ქონება მისი შეხედულებისამებრ, არამედ მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადების განკარგულებას გასცემს, რომელსაც მყისიერი ეფექტი უნდა ჰქონდეს და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. განკარგულებითი ხასიათის გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლოს განზრახვა მიმართულია ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ, ეს გადაწყვეტილებები იმპერატიული ხასიათისაა და სავალდებულო წესით აყენებს შედეგს, ხოლო მათი ნებაყოფლობით შეუსრულებლობისას იწყება იძულებითი აღსრულების პროცედურები.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონების დაყადაღების განჩინება, როგორც განკარგულებითი ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილება, ითავივთვე სავალდებულოა ყველასათვის, მას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს და მისი მოქმედება დროსა და სივრცეში აღმასრულებლის ნებაზე (ქმედებაზე) არაა დამოკიდებული. შესაბამისად, მოპასუხის საკუთრებაში არსებულ კონკრეტულ უძრავ ნივთზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო განჩინების მოპასუხის მიერ გაცნობისთანავე, მის მიმართ უკვე სრულად ვრცელდება ყველა ის შეზღუდვა, რასაც ამ განჩინებაში ასახული ქონების, აღმასრულებლის მიერ, დაყადაღება განაპირობებს, მიუხედავად სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და სააღსრულებო წარმოების დაწყების ან დასრულების მომენტისა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნკ³ მუხლის (უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება) პირველი პუნქტის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის აკრძალვას. ამასთან, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით (48-ე მუხლი). მართალია, აღნიშნული წარმოადგენს ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მექანიზმს (დაყადაღებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის წინაპირობას), მაგრამ არ არის გამორიცხული იგივე ნორმების გამოყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებისას. თანხის დაკისრების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, იძულებითი გადახდევინების მიზნით დაყადაღებისას, აღმასრულებელი ადგენს მოპასუხის (მოვალის) ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტს, მისი დანიშნულებაა ყადაღის ფარგლების განსაზღვრა – იმ ქონების ზუსტი იდენტიფიცირება, რომლის განკარგვაც ეკრძალება მესაკუთრეს და რომლის აუქციონზე რეალიზებასაც აპირებს აღმასრულებელი და აგრეთვე, ქონების საბაზრო ფასის დადგენა, რომელიც, საერთო ჯამში, გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დავალიანების თანხასთან მიმართებით და რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ქონების საწყის ღირებულებას აუქციონის დაწყებისას. მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებისას, აღმასრულებელი ასევე ვალდებულია შეადგინოს ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტი, მაგრამ ვინაიდან, აღნიშნული ღონისძიების შერჩევითა და გამოყენებისას სასამართლო ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიებათა ადექვატურობისა და თანაზომიერების პირობებს, ამ შემთხვევაში, ყადაღის ფარგლების განსაზღვრას, პრაქტიკულად, სასამართლო ახორციელებს, რაც ასახვას პოვებს კიდევ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, კონკრეტული ქონების მისამართისა და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების სახით. ამდენად, სააღსრულებო მოქმედებები – ქონების განკარგვის აკრძალვის თაობაზე სასამართლოს პოზიტიური ნების (შუამდგომლობა დაკმაყოფილდა განჩინებით) გაფორმებაა მისი იძულებითი აღსრულების მიზნით და არა დაყადაღებული ქონების მიმართ მოპასუხის უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის დამოუკიდებელი წყარო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ კონკრეტულ უძრავ ნივთზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო განჩინების მოპასუხის მიერ გაცნობისთანავე, მის მიმართ უკვე სრულად ვრცელდება ამ განჩინებით იდენტიფიცირებული ქონების საკუთრების უფლების შეზღუდვა – მისი განკარგვის აკრძალვის სახით. ვინაიდან ქონებაზე ყადაღის დადება გამორიცხავს მისი განკარგვის შესაძლებლობას, საკასაციო პალატა თვლის, რომ გამომწვევით მნიშვნელობა აქვს არა იმას

თუ რა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაედო ქონებას ყადაღა, არამედ თვით ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტს, რომელიც გამორიცხავდა მისი აუქციონის წესით რეალიზაციის შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა დაზუსტებული სარჩელის ერთ-ერთ საფუძველს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ყადაღის დადების ან გაუქმების აქტის დაუყოვნებლივ გაგზავნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში. რამდენადაც, თანხის დაკისრების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი გადახდევინების პირობებში, მოვალის ქონების დაყადაღების პირველად გადაწყვეტილებას აღმასრულებელი ლეზღობს, ბუნებრივია, რომ სწორედ ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტი წარედგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის. მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის ღონისძიების გამოყენებისას საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ ასევე წარედგინილი უნდა იქნას სასამართლოს განჩინებაც, როგორც უძრავ ნივთზე ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყადაღის რეესტრი არის ნივთზე ყადაღის წარმოშობის, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. იგივე შინაარსისაა „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი, რომელიც იძლევა საჯარო რეესტრის ზოგად დეფინიციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელშიც ხდება ცალკეულ კერძო-სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია. **საჯარო რეესტრი ახდენს რეგისტრირებული უფლების არსებობის დადასტურებას, საჯარო რეესტრის ჩანაწერის სამართლებრივი შინაარსი დეტერმინირებულია უფლების წარმოქმნელი დოკუმენტაციით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე უძრავ ნივთზე ყადაღა უკვე წარმოშობილია და შესაბამისად, რეგისტრაციას ექვემდებარება უკვე არსებული ყადაღის შესახებ მონაცემები.** „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნივთზე ყადაღის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთზე რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა. მაშასადამე, ყადაღის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ემსახურება არა მის წარმოშობას, არამედ, შესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის განთავსებას და ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ვინაიდან ყადაღის წარმოშობის საფუძველს არ წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოება, საკასაციო პალატა თვლის, რომ უძრავ ნივთებზე ყადაღა ფორმალურად დადებულად ითვლება აღმასრულებლის შესაბამისი მოქმედებების განხორციელების შემდეგ, მაგრამ ყველა ის უფლებრივი შეზღუდვა, რასაც ნივთის დაყადაღება განაპირობებს – მოპასუხისათვის ძალაშია მის მიერ სასამართლო აქტის გაცნობისთანავე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ყადაღის დადების შესახებ სასამართლო განჩინების მოპასუხის მიერ გაცნობის შემდეგ, ამ განჩინებაში ასახული ქონების განკარგვა უცილობლად ბათილად უნდა ჩაითვალოს. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების ინიცირებას სასამართლოში მოსარჩელე ახდენს. იგი განცხადებაში გადმოსცემს მის ნებას – აეკრძალოს მოპასუხეს მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა საქმის არსებითად გადაწყვეტამდე, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე. სასამართლო იზიარებს რა აღნიშნულ განცხადებას, აკმაყოფილებს მას და ადგენს მოპასუხის კუთვნილი ქონების დაყადაღებას. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით ხორციელდება მოსარჩელის ნების ერთგვარი ლეგალიზაცია, მისი ასახვა სასამართლო აქტში, რის შემდეგაც იგი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს და მისი (განკარგვის აკრძალვის) იგნორირება – სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას უთანაბრდება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხის საკუთრების უფლების შეზღუდვის წყაროს წარმოადგენს სასამართლო აქტი და არა სააღსრულებო მოქმედებები (მაგ. დაყადაღების აქტის შედგენა). მას შემდეგ, რაც ქონების მესაკუთრისათვის ცნობილი გახდება სასამართლოს მიერ უფლებათა შეზღუდვის შესახებ (განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ), იგი ვალდებულია იმოქმედოს მართლზომიერად და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე არ განკარგოს ქონება საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე ან დადგენილი წესით გაასაჩივროს განჩინება

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებაზე (დაწყებამდე ან დამთავრებამდე) ქონების განკარგვა, იმ ვარაუდით, რომ ქონება ჯერ კიდევ არ ითვლება დაყადაღებულად ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (სსკ-ის 54-ე მუხ.).

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეებს სასამართლოსათვის არ მიუძღვრათ 22.10.02 წ. დანიშნული აუქციონის ჩატარების შეჩერების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო განჩინების გაცნობის მიუხედავად, მოპასუხის მიერ განჩინებაში ასახული ქონების განკარგვისას, მოსარჩელე, შესაბამისი იურიდიული ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია კვლავ მიმართოს სასამართლოს აღნიშნული ქონების რეალიზაციის შეჩერების მოთხოვნით და ასე დაიცვას თავი მოპასუხის ქმედებისაგან/ქონების გასხვისებისაგან. სასამართლოში უფლების საგანმცხადებლო წესით დაცვის იურიდიული ინტერესის არსებობაზე მეტყველებს მოსარჩელის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ხოლო აღნიშნული ინტერესის დასაბუთებულობაზე კი – სასამართლოს მიერ განცხადების დაკმაყოფილება. დაუშვებელია მოპასუხეს დაუსრულებლად შეეძლოს მის მიმართ გამოტანილი სასამართლო აქტის შეუსრულებლობა და მოსარჩელეს მუდმივად ევალებოდეს ერთსადაიმთხვე უფლების დასაცავად სასამართლოსათვის ერთზე მეტჯერ მიმართვა. სასამართლო აქტების სავალდებულობა დადგენილია კონსტიტუციით და ამის თითოეულ პირამდე დაყვანას, დამატებით, ცალკე სამართალწარმოება აღარ უნდა სჭირდებოდეს. თუკი მოსარჩელემ, თავის უფლებათა დაცვის მიზნით, ერთხელ უკვე მიმართა სასამართლოს მესაკუთრისათვის ამათუიმ ქონების განკარგვის აკძალვის მოთხოვნით და სასამართლომ განცხადება დააკმაყოფილა, იგი (მოსარჩელე) აღარაა ვალდებული მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს მოპასუხის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე, ვინაიდან, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება თავის თავში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც მოიცავს, ეს უკანასკნელი კი გარანტირებულია სასამართლო აქტების სავალდებულობის პრინციპით.

საქმე № ბს-44-44(კს-09)

9 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ, თუ მხარე თავისი განცხადებით მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოძრავ ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადების გამოყენებას, არ არის საკმარისი მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მითითება იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარის უფლების საპროცესო რეალიზებისათვის ასევე აუცილებელია, რომ მისი მოთხოვნა შეიცავდეს არა მარტო აღნიშნულზე მითითებას, არამედ მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებაც (მტკიცებულებებიც) – დოკუმენტი (დოკუმენტები), რომლებშიც კონკრეტულად იქნება მითითებული მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქალაქებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალზე, რომლებზე ყადაღის დადებასაც მოითხოვს მოსარჩელე და ამ მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქალაქებისა და ფულადი სახსრების მოპასუხისადმი კუთვნილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ვერ იმსჯელებს მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების – მოძრავ ქონებაზე, საბანკო ანგარიშებზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადების გამოყენებაზე, ანუ სასამართლო მოსარჩელის მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, ვერ გამოიყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ამ ღონისძიებას.**

საქმე № ბ-1725-10

7 ოქტომბერი, 2010 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას საქმეზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თავალსაზრისით.

განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის ქ. თბილისში, დიდ... ქ. № 64-ში მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების დავალება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ წარმოდგენილი განცხადებით, ბ. ვ-ძე ითხოვს სადავო 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადებას იმ საფუძველით, რომ გააჩნია ვარაუდი, 11.08.10წ. სახელმწიფოს საკუთრებაში აღრიცხული სადავო ნაკვეთის სახელმწიფოს მიერ განკარგვის შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სახელმწიფო ქონების განკარგვა მოიცავს სახელმწიფო ქონების პრივატიზებას, მართვის უფლებით გადაცემას, რეალიზაციას, განაწილებას და განადგურებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან სახელმწიფოს მიერ ქონების განკარგვის შემთხვევაში ზემოაღნიშნული კანონის მე-5 მუხლი ადგენს წინასწარ ინფორმაციის გამოქვეყნების საავალდებულობას. ბ. ვ-ძის მიერ არ არის განცხადებაში მითითებული, თუ კონკრეტულად რა ფორმით აპირებს სახელმწიფო სადავო მიწის ნაკვეთის განკარგვას და არც მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც დაადასტურებდნენ უახლოეს მომავალში სახელმწიფოს მიერ სადავო მიწის ნაკვეთის განკარგვის ნებას, ხოლო მხარის მიერ მითითებული გარემოება, რომ სახელმწიფომ 11.08.10წ. თავის საკუთრებაში აღრიცხა ქ. თბილისში, დიდ... ქ. № 64-ში მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი სასამართლოს მიერ ვერ იქნება მიჩნეული სადავო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს მიერ განკარგვის დამადასტურებელ გარემოებად.

საქმე № ბს-165-158(უს-13)

30 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – აღსრულების შეჩერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი)

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში ზ. დ-ი ითხოვს აღსრულების შეჩერებას საქმის განხილვის დასრულებამდე იმ საფუძვლით, რომ არ მოხდეს სადავო ქონების აუქციონზე გაყიდვა აღსრულების ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულ ფასად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მიმართული ჰქონდა სააღსრულებო ბიუროსათვის აღსრულების შეჩერების მოთხოვნის შესახებ განცხადებით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად არა უმეტეს 3 თვის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდგომ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას. ვადის გასვლის გამო მოსარჩელემ მომართა სასამართლოს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერება. **სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი გულისხმობს აღსრულების შეჩერებას მხოლოდ სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ადასტურებს უზრუნველყოფის ზომის მიღებაზე უარის თქმას, ვინაიდან ხსენებული მუხლი არ შეიცავს აღსრულების შეჩერების ამომწურავ ჩამონათვალს, 36.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეიძლება შეჩერდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.** კანონმდებლობას არ ემყარება აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შეაჩეროს აღსრულება. სასამართლოს ამ მოსაზრებას არ ადასტურებს სსკ-ის 198.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი. ის გარემოება, რომ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში სარჩელის უზრუნველყოფის სახით მითითებულია მხოლოდ აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომელიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის საფუძველზე ან რომელზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ ადასტურებს მხოლოდ ამ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების გამოყენებას. სსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. ამდენად, ის გარემოება, რომ განსახილველი შემთხვევა არ არის პირდაპირ მითითებული სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში, არ ადასტურებს უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების შეუძლებლობას. საჩივრის ავტორი მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეაჩეროს აღსრულება. აღნიშნულ სხვა შემთხვევად განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს სააღსრულებო ბიუროს ქონების შეფასების დასკვნა. საჩივრის ავტორი მიუთითებს კონკრეტულ საშიშროებაზე, საქმის წარმოების პროცესში აუქციონზე დაბალ ფასად რეალიზაციის შესაძლებლობაზე, რაც შეუძლებელს გახდის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას. მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დადასტურებულია, რადგან ზ. დ-ი ედავება აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვს შეფასების სამსახურის დასკვნის გაუქმებას, რომლითაც ზ. დ-ის მოვალის ნ. ხოხიაშვილის კუთვნილი წილი ... საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობაში შეფასებულია 900 აშშ დოლარად. ამხანაგობიდან მოვალის კუთვნილი ქონების განსაზღვრის მიზნით მოსარჩელემ მიმართა აუდიტს, რომლის შეფასებაც აღმასრულებლის მიერ გაზიარებული არ იქნა და შეფასება განახორციელა სააღსრულებლო ბიუროს შეფასების სამსახურმა.

განმარტების საგანი: საპატიო მიზეზით საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოტივი საფუძვლიანია, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ჩ-ის წარმომადგენელმა ს. ვ-მ ყველა ზომა მიიღო, იმისათვის, რომ სასამართლო ჩაეყენებინა საქმის კურსში მისი გამოუცხადებლობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოში გაგზავნა ფაქსით განცხადება, რაც ირკვევა სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმიდან, თუმცა, ფაქსი საქმეს არ ერთვის. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მისი სატელეფონო ნომრის გამავალი ზარების ამონაწერით ირკვევა, რომ მან მოსამართლის თანაშემწეს სამჯერ დაურეკა. მისივე განმარტებიდან ირკვევა, რომ მან ითხოვა პროცესის გადადება და თანაშემწეს განუმარტა, რომ ცნობას მომავალში წარმოადგენდა, ცნობა დართული აქვს საქმეს.

სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად: „მოსამართლემ გამოაქვეყნა ფაქსით გამოგზავნილი შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ, სადაც ს. ვ-ე უთითებდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე, სასამართლოს სთხოვდა პროცესის სხვა დროისათვის გადადებას და აღნიშნავდა, რომ ცნობას ჯანმრთელობის შესახებ უახლოეს მომავალში წარმოადგენდა. მოსამართლემ ფაქსის გამოქვეყნების შემდეგ მოისმინა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც პ. შ-ე აპელირებს, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი. მოსამართლემ ადგილზე თათბირით, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეს არ ერთვოდა ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, აპელანტის გამოუცხადებლობა მიიჩნია არასაპატიოდ. ამასთანავე აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი ს. ვ-ის მიერ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად სასამართლომ იცოდა მისი პრეტენზიები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და თუ სასამართლო საქმის განხილვის პროცესში საჭიროდ ჩათვლიდა დამატებით აპელანტის განმარტების მოსმენას, გადადებდა საქმის განხილვას აღნიშნული მიზეზით. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმეზე შეკრებილი დოკუმენტაცია იძლეოდა საფუძველს, იმისა, რომ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიეღო გადაწყვეტილება.“

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ობიექტურად უნდა შეეფასებინა ადვოკატის დასწრების გარეშე საქმის განხილვა სტოვებდა თუ არა მხარეს – ნ. ჩ-ის სამართლებრივი დაცვის გარეშე, შესაბამისად, მისი საპროცესო უფლებების რეალიზება დგებოდა თუ არა საფრთხის ქვეშ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მეტად დაკვირვებით უნდა შეაფასონ მხარეთა შეტყობინებები (ზეპირი თუ წერილობითი ფორმით) საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, რათა ერთის მხრივ, თავიდან იქნეს არიდებული მხარეთა/წარმომადგენელთა მცდელობები საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით, შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელების არაეფექტიანი ხასიათი, ხოლო, მეორეს მხრივ, საჯარო ინტერესის – მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტიანი განხორციელების ინტერესის ხარჯზე არ დაუშვას მხარეთა საპროცესო უფლებების იგნორირება, რამდენადაც სწორედ მათი პროცედურული უფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის საფუძველზე შეიძლება მართლმსაჯულების კანონიერებისა და ეფექტიანობის განსაზღვრა.

იმისათვის, რომ სასამართლოებმა თავი აარიდონ საპროცესო ნორმების დარღვევას, ზედმიწევნით გულმოდგინედ უნდა შეამოწმონ მხარის/წარმომადგენლის დამოკიდებულება სასამართლოსადმი, მისდამი პატივისცემის გამოხატვის და მხარის საპროცესო დისციპლინის ხარისხი, ვინაიდან, საპროცესო სამართალი სწორედ მხარეთა და პროცესუალურ მონაწილეთა საპროცესო მოქმედებების, უფლება-მოვალეობების განხორციელება-შესრულების წესების, სტანდარტების დამდგენი სამართალია, რომლის დაცვა მათივე ინტერესებშია. კანონით დადგენილი საპროცესო წესრიგის დაცვა და პატივისცემა სავალდებულოა, ხოლო, საწინააღმდეგოს გამოვლენისას, საპროცესო კანონი იქვე ითვალისწინებს პროცესუალურ შედეგებს. ასე, მაგ: საპროცესო მოქ-

მედების ვადაში შეუსრულებლობა იწვევს საპროცესო უფლების გაქარწყლებას, გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში გაუსაჩივრებლობა – მის კანონიერ ძალაში შესვლას და ა.შ.

ყოველი კონკრეტული შუამდგომლობის განხილვისას, (მით უფრო საქმის გადადების თაობაზე) სასამართლომ ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს რა მიზანი ამოძრავებს შუამდგომლობის ავტორს, რამდენად მოწადინებულია იგი ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების განხორციელებას, თუ პირიქით.

იმ პირობებში, როცა მხარე/წარმომადგენელი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (უცარი ავადმყოფობა, კლიმატური ცვლილება და სხვ.) ყველა შესაძლო ზომას იღებს, რომ გააფრთხილოს სასამართლო მისი გამოუცხადებლობის თაობაზე და ამავედროულად, სასამართლოს არა აქვს ობიექტური საფუძველი მხარის/წარმომადგენლის მოქმედებებისაგან გამომდინარე მისი არაკეთილსინდისიერ პროცესუალურ მონაწილედ მიჩნევისათვის, არ იქნებოდა სამართლიანი, პროცესის ყოველი მონაწილე სასამართლოს მიერ ეჭვმიტანილი იყოს, როგორც პროცესუალური დისციპლინის უდავო დამრღვევი, ამგვარმა დამოკიდებულებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადამიანის ღირსების გრძობაზე, რომლის პატივისცემა სახელმწიფო ორგანოებს საქართველოს კონსტიტუციით აკისრიათ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესუალური მხარე იმავედროულად რეალური კონფლიქტის (დავის) მხარეა და ის უამისოდაც განიცდის გარკვეულ დისკომფორტს. მართლმსაჯულების ავტორიტეტი და სასამართლო ნდობის ხარისხი დიდწილად არის დამოკიდებული სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიმართ დეკლარირებული დამოკიდებულების კულტურაზე.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ მხარეთა საპროცესო უფლებების პატივისცემა ვერ იქნება განხილული განყენებულად მათივე ადამიანური ღირსების პატივისცემისაგან. სამართლიანი მსჯელობის შემთხვევაში სავსებით დასაშვებია და არავინ (თვით სასამართლოც) არ არის დაზღვეული იმგვარი მოულოდნელი შემთხვევებისაგან, რომლებიც გამორიცხავენ სასამართლო განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობას კონკრეტულ დროსა და სივრცეში, ამიტომაც, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს შეფასებას, სარწმუნოდ განსაზღვროს ამგვარი შემთხვევების რეალობა და თუ ასეთი ფაქტი უტყუარად ვერ დადგინდება შუამდგომლობის განხილვის მომენტში, ასეთ პირობებში, პატივი უნდა სცეს მხარის არსებით უფლებას – სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რაც ფაქტობრივად საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფას გულისხმობს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სასამართლოს მსჯელობა: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტური გარემოებები, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ნორმის აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს იმგვარ ე.წ. ფორსმაჟორულ შემთხვევებსაც, როცა რომელიმე ობიექტური გარემოება შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობის წარდგენას. რაც ავალდებულებს სასამართლოს ობიექტური შეფასება მისცეს სახეზეა თუ არა სწორედ ამგვარი შემთხვევა.

ამასთან, მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, ავადმყოფობა და დასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და პირდაპირ მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების განმარტებისას ასკვნის, რომ ცნობის წარდგენის ვალდებულება არ გამოირიცხავს ზემო წინადადებით გათვალისწინებულ იმ შემთხვევას,

როცა შეუძლებელია ამა თუ იმ გარემოების გამო სხდომაზე გამოცხადება, მითუმეტეს ავადმყოფობის ცნობის გაგზავნა/წარდგენა, მოცემულ შემთხვევაში ქ. ბათუმიდან ქ. ქუთაისში.

სასამართლო ხელისუფლებისათვის სამართლის შესაბამისად მოქმედება ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილებების მხოლოდ მოქმედი სამართლის ფარგლებში მიღებას. ნორმათა ინტერპრეტაცია იურიდიული მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს.

საკასაციო სასამართლო ადგენს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად ნაწილობრივ გათვალისწინებული დებულება არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვით. მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული ნორმა უნდა განიმარტოს ფართოდ, საპროცესო კანონით დადგენილი მხარის უფლებებთან მჭიდრო კავშირში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო დაცვის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს, უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობა იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც წარმოადგენს მეორე მხარე ან რომელსაც იხილავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ს. ვ-მ, გარდა ფაქტით შეტყობინების გაგზავნისა, მოსამართლის თანაშემწეს სამჯერ დაურეკა და შეატყობინა პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა, რაც გამოწვეული იყო მისი ჯანმრთელობის უცაბედი გაუარესებით და ამასთანავე განუმარტა, რომ ცნობას შემდგომში წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმომადგენლის ამგვარი მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მისი მხრიდან კეთილსინდისიერი საქციელი, რათა სასამართლო ჩაეყენებინა საქმის კურსში, ამ უკანასკნელს გადაედო სასამართლო სხდომა და შესაბამისად, უზრუნველყო საქმის განხილვა პროცესში მონაწილე მხარეების დასწრებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის სამართლებრივ დასაბუთებას, იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან წარმომადგენელ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ამიტომ აღნიშნული ცნობა არ შეიძლება გამხდარიყო ს. ვ-ის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. საკასაციო განმარტავს, რომ მართალია ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული, მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა, მაგრამ ცნობაში მითითებული გარემოება, რომ ს. ვ-ე 2011 წლის 7 ივნისიდან 2011 წლის 13 ივნისამდე მკურნალობდა ამბულატორიულად შ.პ.ს ხელვაჩაურის ამბულატორიულ პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, თავისთავად გულისხმობს, რომ მას შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების შესაძლებლობა, რის გამოც ის ვერ შეძლებდა 2011 წლის 7 ივნისს დანიშნულ პროცესზე გამოცხადებას, რის შესახებაც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ფაქტისა და სატელეფონო კავშირის მეშვეობით, არაერთხელ გააფრთხილა სააპელაციო პალატა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს „საქმის საჯარო განხილვის“ უფლებას, რაც უპირობოდ გულისხმობს უფლებას საქმის ზეპირ მოსმენაზე. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე: „იაკოვლევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია უზრუნველყოფს არა თეორიულ ან ილუზიურ უფლებებს, არამედ, იმ უფლებებს, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია. სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე: „მულტიპლექსი ხორვატიის წინააღმდეგ; 2003წ. 10.07, დაადგინა, რომ საქმის საჯარო განხილვის უფლება მოკლებული იქნება დანიშნულებას, თუკი საქმის მონაწილე მხარე არ არის ინფორმირებული სასამართლოს სხდომის თაობაზე, იმ გათვლით, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა გამოცხადდეს სხდომაზე, თუკი ის გადაწყვეტს ისარგებლოს ნაციონალური კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებებით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილია სასამართლო დაცვის უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის შესაძლებლობასა და სურვილს დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით. დაცვის უფლება აგრეთვე გულისხმობს პირის უფლებას ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.

საქმე № ბს-887-869(კ-12)

14 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს მიერ მთავარი სხდომის არასრულფასოვნად ჩატარება

სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე გადადო მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით, კერძოდ, სხდომის ოქმის მიხედვით: ადმინისტრაციულ ორგანოს – „აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაავალა, წარმოდგინა მტკიცებულება იძულებითი აუქციონის კანონიერ ვადაში ჩატარების თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალებით ზუსტად ვერ ირკვევა, როდის გაიმართა იძულებითი აუქციონი. აღნიშნულ გარემოებას დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.“ (იხ. 2012 წლის 19 ოქტომბრის მთავარი სხდომის ოქმი, ტ.2. ს.ფ. 311)

სააპელაციო სასამართლოს პალატამ მომდევნო სხდომაზე, ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინა საქმის განხილვა წინა სხდომაზე შეწყვეტილი პროცესუალური სტადიიდან, გამოაცხადა მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და განმარტა, რომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასკვნებთან დაკავშირებით. (იხ. ს.ფ. 308-311)

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომის ოქმის მიხედვით სასამართლომ მთავარ სხდომაზე, მოსამართლეთა შეკითხვების სტადიაზე გადადო საქმის განხილვა და კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენა დაავალა მოწინააღმდეგე მხარეს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ხოლო 2012 წლის 25 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე სასამართლო დარბაზში, ისე, რომ არ განუახლებია მთავარი სხდომა შეწყვეტილი სტადიიდან, გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მთავარი სხდომა სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად საპროცესო სტადიას წარმოადგენს, რომლის არჩატარება ან არასრულფასოვანი ჩატარება უხეშად ლახავს მხარეთა საპროცესო უფლებებს, მათ შორის, უფლებას სამართლიანი სასამართლო პროცედურებით განხილვის თაობაზე და მძიმე ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

სააპელაციო სასამართლომ მთავარი სხდომა შეწყვიტა მოსამართლეთა შეკითხვების სტადიაზე და მხარის მიერ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენის მოტივით გადადო ზეპირი მოსმენა სხვა დროისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმე ისე გადაწყდა, სასამართლოს არ ჩაუტარებია საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი მთავარი სხდომის სტადიები, კონკრეტულად, მტკიცებულებათა გამოკვლევა და შემოწმება, მხარეთა პაექრობა და რეპლიკა. სააპელაციო სასამართლოს პალატა სათათბირო ოთახში გაუსვლელად, გამოვიდა სათათბირო ოთახიდან განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად, რის გამოც უხეშად არის დარღვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე თავით დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლოს მთავარი სხდომა არის მხარეთა შორის ზეპირი შეჯიბრების უფლების განხორციელება. საქმის ზეპირი განხილვისას იმპერატიულად დადგენილი საპროცესო სტადიების გავლა – არის ადმინისტრაციული და საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება.

სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ყველა დანარჩენი უფლების დაცვის საშუალება. სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევას, მხარეთა პაექრობასა და რეპლიკას არა გარეგანი, არამედ შინაარსობრივი, საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ სტადიების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გავლის შემდგომ ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა.

განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო უპირველეს ყოვლისა ყურადღებას მიაქცევს შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნას და აღნიშნავს: შპს „...“ სარჩელის საფუძველზე ითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფოს შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის მიერ 2008 წლის 27 ოქტომბრის № 9 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ ოქმს წინ უძღოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის 2008 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი, რომელზეც დამტკიცდა გადაწყვეტილება ტენდერის ჩატარების შესახებ და სსიპ „სახელმწიფო მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის 2008 წლის 22 ოქტომბრის № 6 სხდომის ოქმი, რომლითაც გადაწყდა შპს „...“ მიერ № 15 ლოტზე წარმოდგენილი პროექტის „...“ მე-2 ეტაპზე გადასვლა.

დადგენილია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ორეტაპიანი ტენდერის გამოცხადების ფაქტს.

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,* ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში შესყიდვებში მონაწილეების მსურველი პირები საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად სატენდერო კომისიას წარუდგენენ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს (პირველ ეტაპზე), პირველად სატენდერო წინადადებებს და ზოგად მონაცემებს, ხოლო მე-2 ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემები და შემოთავაზებული წინადადებები აკმაყოფილებს პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

იმავე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები უნდა ეცნობოს პირველადი სატენდერო წინადადებების წარმდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ტენდერი როგორც ერთიანი სამართლებრივი პროცესი შედგება ორი ეტაპისგან, ამასთან, თითოეული ეტაპი წარმოშობს დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო სასამართლომ გადაამოწმა ქვედა ინსტანციებში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საბოლოო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეეხება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის მიერ 2008 წლის 27 ოქტომბრის № 9 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

ამდენად, ცალსახაა, რომ შპს „...“ სადავოდ არ ხდის ტენდერის ორივე ეტაპს, მოსარჩელე არ ითხოვს ტენდერის შედეგების ბათილად ცნობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ იმ შედეგის კანონიერებაზე, რაც დადგა ტენდერის მე-2 ეტაპის საფუძველზე.

* ძალადაკარგულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 4 ივლისის N9 ბრძანებით. ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი განსაზღვრულია 2011 წლის 29 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის № 24 ბრძანებით.

საქმე № ბს-886-879(კს-11)**5 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი****განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის სწორი გაგება საჭიროებს თავად სასამართლო აქტის სტრუქტურისა და მისი შინაარსის გადმოცემის სამართლებრივი კულტურის სტანდარტის სწორ გაანალიზებას. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს. იგი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული, აგრეთვე, უნდა პასუხობდეს უფრო კონკრეტულ მოთხოვნებსაც, სასამართლო აქტი უნდა იყოს სრული, ამომწურავი. მისი შინაარსი ისე მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გამოირიცხოს სასამართლო დასკვნებისა და დადგენილების ორაზროვნება, ბუნდოვანება. **დაუშვებელია დადგენილებითი ნაწილის ალტერნატიულობა (მაგ: „გადაეცეს ნივთი ან გადახდის იქნეს მისი ღირებულება“), სასამართლო აქტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე სახის პირობით დათქმებს, რადგან მისი აღსრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ პირობის შესრულება-შესრულებლობაზე.**

საქმე № ბს-799-783(კს-12)**4 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი****განმარტების საგანი: გადაწყვეტილებით მიკუთვნებული მოძრავი ნივთის ღირებულების განსაზღვრა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 23 მაისის N00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 28 მაისის N1516 საგადასახადო მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება განიმარტა შემდეგნაირად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და შესაბამისად, დაკმაყოფილდა აგრეთვე ინდ. მეწარმე „ბ. ქ-ის“ სარჩელის მოთხოვნა და ბ. ქ-ს ნება დაერთო შპს „...“ გამოეყვანა ავტომანქანა ზილ-130 და მასზე არსებული ტვირთი.

2012 წლის 18 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ბ. ქ-მა და მოითხოვა საქმეზე N3/ბ-1475-07, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის განჩინებით ბ. ქ-ის განცხადება მიკუთვნებული მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება, რაც მოცემულ შემთხვევაში საეჭვო არ არის – სასამართლომ მხარეს დააკისრა ქონების გადაცემა. ამავდროულად, მხარეს უფლება აქვს, კანონის ფარგლებში ხელი შეუწყოს და უფრო მეტად გარანტირებული გახა-

დოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ: ქონების მიკუთვნების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური აღსრულება უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლით, რომლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. ამდენად, მხარე, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულებლობის საშიშროებისას (ქონების განადგურება და სხვა) ამ ქონების ღირებულების განსაზღვრა. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება და მოსარჩელეს ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ სარჩელის ხელახლა აღძვრის საჭიროება არ წარმოეშობა.

საქმე № ბს-586-566 (კს-13)

13 თებერვალი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გადაწყვეტილებით მიკუთვნებული მოძრავი ნივთის ღირებულების განსაზღვრა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს ოპერატიული თანამშრომლის მიერ, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დადების მიზნით, სატრანსპორტო საშუალება და მასზე განთავსებული ტვირთი 24.03.07წ. დაილუქა და მოთავსდა ქ.გორის ტერმინალის ტერიტორიაზე. სასაქონლო ზედნადების არასწორად შევსების გამო საგადასახადო ინსპექციის მიერ 23.05.07წ. შედგა სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო 28.05.07წ. საგადასახადო მოთხოვნით ზედნადების არასწორად შევსების გამო ი.მ. „ბ. ქ-ს“, საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაეკისრა ჯარიმა 65 394 ლარის ოდენობით. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 23.05.07წ. №00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 28.05.07წ. №1516 საგადასახადო მოთხოვნა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.09წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ი.მ. „ბ. ქ-ის“ განცხადება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილება განიმარტა შემდგენიარად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და შესაბამისად დაკმაყოფილდა ი.მ. „ბ. ქ-ის“ სარჩელის მოთხოვნა და ინდივიდუალურ მეწარმეს ნება დაერთო გამოეყვანა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130“ და მასზე არსებული ტვირთი.

სსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ განმცხადებელმა ბ.ქ-მა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130-ზე“ განლაგებული ტვირთი ვერ დაიბრუნა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.11წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბ. ქ-ს უარი ეთქვა მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დავალებულებაზე სოლიდარულად აუნაზღაურონ მას შპს „...“ განთავსებული მოძრავი ნივთების დაუბრუნებლობით გამოწვეული მატერიალური ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 08.07.11წ. გადაწყვეტილებით მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის არაბრალეულობის დადგენა ტვირთის განადგურებაში, არ გამორიცხავს სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე იმ ნივთების ღირებულების განსაზღვრას, რომელიც მოსარჩელეს მოპასუხისაგან სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა გადაეცეს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა

არ აკონკრეტებს რაიმე შემთხვევას, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოსარჩელისათვის მიკუთვნებული ნივთის მოპასუხის მფლობელობიდან გასვლა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სსკ-ის 253-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ დავის საგანი ეხება ნივთის მიკუთვნებას, რაც მოიცავს ნივთზე საკუთრების უფლების დადგენასა და ამ ნივთის მოპასუხისაგან მოსარჩელისათვის (განმცხადებლისათვის) გადაცემას კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. აღნიშნული ნორმის შინაარსი არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული სახის (მიკუთვნებით) საჩივლთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო ქონების ღირებულების ასახვას, მუხლი ზოგადად ვრცელდება ისეთ მოთხოვნებზე, რომლებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მოპასუხისაგან მოსარჩელისათვის ნივთის გადაცემით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ალტერნატიული გზა, რათა გადაწყვეტილების ძირითადი საშუალებით აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი თანხის ჩანაცვლებით გარანტირებულ იქნეს ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება. ის გარემოება, რომ ბ. ქ-ის ტვირთის შპს „...“ შესანახად განთავსებისას მესაკუთრე არ შეცვლილა, არ გამორიცხავს მითითებული საპროცესო ნორმის გამოყენებას, ვინაიდან სსკ-ის 253-ე მუხლის გამოყენება არ არის დამოკიდებული მოპასუხის მფლობელობაში ნივთის გადაცემის ფორმაზე, ასევე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის დაკმაყოფილებით დადგინდა მოსარჩელისათვის ნივთის ნატურით გადაცემა.

სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე ქონების ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. კანონიერ ძალაში მყოფი სააპელაციო სასამართლოს 17.02.09წ. განჩინებით განიმარტა, რომ 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ს“ ნება დაერთო გამოეყვანა შპს „...“ ავტომანქანაზე და მასზე არსებული ტვირთი. სააპელაციო სასამართლოს 14.02.08წ. გადაწყვეტილებით და 17.02.09წ. განჩინებით არ განსაზღვრულა ტვირთის ღირებულება. საქმეზე დადგენილია აგრეთვე, რომ ბ.ქ-მა შპს „...“ ტვირთი უკან ვერ დაიბრუნა, რაც სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე ქმნის ქონების ღირებულების განსაზღვრის საფუძველს. მხედველობაშია მისაღები, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი იმ ქონების ღირებულების განსაზღვრას ითხოვს, რომელიც სასამართლო აქტით უნდა დაბრუნებოდა და ვერ დაიბრუნა და არა ქონებაზე გაწეული ხარჯების ზიანის სახით ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში ნივთის მოსარჩელისათვის ანაზღაურების გზით აღსრულებაზე მითითებით სააპელაციო სასამართლო გასცდა განმცხადებლის მოთხოვნას. სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ სადავო ნივთის ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ალტერნატიულ შესაძლებლობას, აღსრულების ერთგვარ გარანტიას. თავად განმცხადებლის მიზანია მისთვის სასამართლო გადაწყვეტილებით დაბრუნებული ნივთების ღირებულების განსაზღვრა ამავე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან საქმეზე დადგენილია ის გარემოება, რომ მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება შეასრულოს და მოსარჩელეს დაუბრუნოს კუთვნილი მოძრავი ნივთები.

საქმე № ბს-316-299(კ-07)

8 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივი შედეგი

ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია, არ ნიშნავს, რომ მის მიმართ გადაწყვეტილება შევიდა

კანონიერ ძალაში, რამდენადაც დასახელებული გადაწყვეტილება ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა გაასაჩივრა სრულად. სოლიდარული ვალდებულების თავისებურება, სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლიდან გამომდინარე, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად აანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია. **ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის გადახდა, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრება თავისთავად გულისხმობდა მის გასაჩივრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილშიც, რადგან სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოადგენდა მოპასუხეების მთლიანი შესრულების საგანს.**

საქმე № ბს-390-397(კ-კს-13)

3 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დამატებითი გადაწყვეტილება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას ამ მუხლთან მიმართებაში და დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში, მაგრამ აღნიშნული დანაწესის თანახმად, ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას უნდა ესწრებოდეს მხარე (განცხადებელი). იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებიან მხარეები ან არ ესწრება ერთ-ერთი საპროცესო სუბიექტი, მაშინ 7 დღიანი ვადის დენა ამ სუბიექტის მიმართ უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მას ჩაბარდა მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას აპელანტი – რ. ა-ი პირადად ესწრებოდა (ტომი II, ს.ფ. 109-112). შესაბამისად, მას როგორც დაინტერესებულ მხარეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით სასამართლოსათვის 2013 წლის 14 მაისის 24 საათამდე უნდა მიემართა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ეხება მხოლოდ პროცესუალურ შემთხვევას და არა კონკრეტული საქმის ვითარების სამართლებრივ შეფასებას, რომლის განალიზება და არგუმენტირებული გასაჩივრებაც (სააპელაციო/საკასაციო წესით) შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის შვიდი დღის ვადაში დასმის შესაძლებლობა, კანონმდებელმა დაუკავშირა არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემას, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტს და მიიჩნია, რომ ვითარების ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება არ ზღუდავს საპროცესო სუბიექტის შესაძლებლობას, დაარეგულიროს სადავო საპროცესო ურთიერთობა.

საქმე № ბს-1616-1544(კს-09)

30 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გადაწყვეტილების განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის დადგენა ემსახურება სასამართლო აქტის, როგორც აღსასრულებელი ოფიციალური დოკუმენტის, სიცხადეს, რათა აღმოიფხვრას მისი შინაარსის ბუნდოვანება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა გადაწყვეტილების შინაარსის გაურკვევლობა, ბუნდოვანება შეიძლება მისი აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებად იქცეს.

სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობებს:

1. მხარის ან აღმასრულებლის განცხადება;
2. გადაწყვეტილება არ უნდა იყოს აღსრულებული;
3. გადაწყვეტილების აღსრულების ვადა არ უნდა იყოს გასული;
4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულებისა და აღსრულების ვადის გასვლის ფაქტის არსებობა გამორიცხავს განცხადების დაშვებას განსახილველად.

განცხადების დასაშვებობის სხვა წინაპირობა კანონით დადგენილი არ არის. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლით განსაზღვრული ნეგატიური დათქმის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სრულად მოქმედებს სსსკ-ის პირველი მუხლის იმპერატიული დანაწესი, კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით საქმის განხილვის ვალდებულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური უფლებამოსილება – სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის თაობაზე გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას კანონის ტექსტის ლოგიკური, პროგრესული და დინამიკური განმარტების თაობაზე.

ვინაიდან კანონმდებელს არ მოუხდენია დიფერენცირება იმისა, რომ სასამართლოს მხოლოდ შემაჯამებელი გადაწყვეტილების განმარტების უფლებამოსილება აქვს, შესაბამისად, მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს, ხოლო სასამართლოს – კომპეტენცია, იმსჯელოს – არსებობს თუ არა განჩინების, რომლითაც დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, განმარტების წინაპირობა. რაც, ბუნებრივია, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებით მიუკერძოებლობის, კანონიერებისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით.

საქმე № ბს-518-500(2კ-კს-13)

30 იანვარი, 2014 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილების შეცვლა

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განსახილველ ნაწილთან მიმართებით მიუთითებს საქმეში ასახულ შემდეგ გარემოებებს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ტ-ის განცხადება დაკმაყოფილდა: გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

- ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 18 თებერვლის № 2პ-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ

იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

- ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის № 23-079 ბრძანება ა. (კ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (კ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით გ. ქ-ის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე ა. ბ-ის განცხადებები დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის № 23-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

- ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის № 23-082 ბრძანება დაბა ლენტეხის ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ა. (კ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის № 23-079, 2013 წლის 18 თებერვლის № 23-080, 2013 წლის 18 თებერვლის № 23-082 და 2013 წლის 27 თებერვლის № 23-110 ბრძანებები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (კ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებების ძალაში დატოვების ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში სადავო განჩინებები უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვლილია.

საქმე № ბს-128-122(კს-10)

2 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ა1 ქვეპუნქტი)

სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესი გულისხმობს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის პროცესულური საფუძვლები ა)-ვ) პუნქტები არ არის ამომწურავი და შესაძლებელია მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმა შეიცავდეს კონკრეტულ სამართალურთიერთობაში წამოჭრილი კონფლიქტების აღმოფხვრის საფუძველს, რაც პროცესულურ-სამართლებრივ კონტექსტში უნდა განაპირობებდეს სასამართლო დავის შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის მოტივს – არასწორი საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, რომ საქმე უნდა შეწყვეტილიყო სსსკ-ის 272-ე მუხლის ა1) პუნქტის (არ არსებობს დავის საგანი) საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წარმოების შეწყვეტის მითითებული საფუძველი გულისხმობს იმგვარ შემთხვევას, როცა დავის საგანი – სარჩელის ობიექტი, აღარ არსებობს, განადგურდა გვარეობითი ნივთი, რამაც განაპირობა სადავო სამართალურთიერთობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს დავის საგანი – სარჩელის ობიექტი – პირგასამტეხლოს თანხა, მაგრამ კანონქვემდებარე აქტით დადგინდა ვალდებულების შეწყვეტა (პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება) და არა დავის საგნის მოსპობა.

საქმე № № ბს-986-940(კ-06)

6 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასარჩელო მოთხოვნის ნაწილზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მისი დადასტურების პროცესულური ფორმა

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარე უარს ამბობს რა სარჩელზე /მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნების ძირითად ნაწილზე/, ამგვარად გამოხატავს ნებას თავისი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარეთა ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, ნ. ს-ას თავდაპირველი სარჩელის მოცულობით განხილვაზე უარის თქმის შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა პროცესულური თვალსაზრისით კანონიერი, თუ საქა-

ლაქო სასამართლო ნ. ს-ას სარჩელზე /საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, განაცდური ხელფასისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე/ სსსკ-ის 272 – „გ“ მუხლის საფუძველზე შეწყვეტდა საქმის წარმოებას, მაგრამ იმ პირობებში, როცა ამგვარი საპროცესო მოქმედების ამსახველი სასამართლო აქტი საქალაქო სასამართლოს არ მიუღია, სააპელაციო სასამართლო პროცესულურად არაუფლებამოსილი იყო დაყრდნობოდა მხოლოდ სასამართლოს სხდომის ოქმს და აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე გამოეტანა დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ.

საქმე № ბს-836-798(კ-07)

28 თებერვალი, 2008 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლენაა, რომლის მიხედვითაც მხარეები არა მართო იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, არამედ მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს-ცნოს სარჩელი, ამასთან, ფიზიკური პირის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საკასაციო საჩივარზე წარმოებას და არ ამოწმებს საკასაციო საჩივარზე უარის თქმის კანონიერებას, თუ წარმოდგენილია ამის თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული განცხადება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ე. და ჯ. ც-ძეებს განუმარტავს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, ე. და ჯ. ც-ძეების ნაწილში ზემოხსენებულ საკასაციო საჩივარზე წარმოების შეწყვეტის შემდეგ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საქმე № ბს-1439-1397(2კს-08)

10 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეჩერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი)

სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობა არსებობს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის განხილვამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვა, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, რადგან მითითებული ნორმა ავალდებულებს სასამართლოს შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ მისი განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომლის განხილვა და გადაწყვეტა გავლენას მოახდენს სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმის გადაწყვეტაზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აწესებს შეზღუდვას და მითითებულ დათქმას არ ავრცელებს მხოლოდ სამართალწარმოების წესით საქმის განხილვაზე, ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს არც ნორმის შინაარსიდან და არც მისი ლოგიკური განმარტებიდან.

საქმე № ბს-1315-1279(კ-10)

15 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეჩერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ უნდა დადგენილიყო საქმეში წარმოდგენილი დ. ს-ინის მიწის ნაკვეთის № 329 მიღება-ჩაბარების ორი აქტიდან რომლის მონაცემები შეესაბამებოდა რეალობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის – ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შუამდგომლობა სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ იმ მოტივით, რომ № 329 მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში ლანჩუთის რაიონის სოფ. ... თემის საკრებულოში დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ მიიჩნია საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლად იმ დასაბუთებით, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ მიმდინარეობდა სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას, მიიჩნია, რომ ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის დანაწესი, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით. **საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მოცემული საპროცესო ნორმის შესაბამისად, საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად ასევე განხილულ უნდა იქნეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სხვა საქმეზე მიმდინარეობს არა მხოლოდ სამართალწარმოება, არამედ ადმინისტრაციულ ან იუსტიციური ფუნქციების განმახორციელებელ ორგანოში საქმის წარმოება.**

საქმე № ბს-884-866(კს-12)

2 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აპელანტის გარდაცვალებისას უფლებამონაცვლის არარსებობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით განსაზღვრული განჩინების სტრუქტურა, როდესაც სათანადო პროცესუალური კონტექსტის გარეშე ჩამოაყალიბა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, კერძოდ, განუხილველად დატოვა რ. გ-ის სარჩელი, გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე განუხილველად დატოვა აპელანტ ამხანაგობა „...“ და აპელანტ რ. გ-ის სააპელაციო საჩივრები.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის რედაქცია წარმოადგენს სრულ პროცესუალურ ნონსენსს, ვინაიდან დარღვეულია სასამართლო ინსტანციებს შორის იერარქიული პროცესუალური კონტროლი და მისი მექანიზმების გამოყენების ელემენტარული წესი. რ. გ-ის აპელაცია დარჩა განუხილველად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომ მისი გაუქმების ერთადერთი პროცესუალური ინსტრუმენტი – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებული არ ყოფილა. მეტიც, საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით, განუხილველად დარჩა ამხანაგობა „...“ სააპელაციო საჩივარი. რის გამოც ამხანაგობა „...“ შეუზღუდა საპროცესო უფლებები და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილი დისპოზიციურობის პრინციპი. რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლომ საქმეზე მიიღო არასწორი განჩინება. სასამართლოს მითითებული დარღვევა გამოდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის არასწორი გაგება-განმარტებიდან, კერძოდ, მითითებული ნორმის რედაქცია: „მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილ-

ველად დარჩება. ასევე განუხილველად დარჩება მოსარჩელის მიერ შეტანილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრები.“ სასამართლომ გაიგო არა იმგვარად, რომ შესაბამის სასამართლო ინსტანციებში საქმის განხილვისას საქმის წარმოების შეწყვეტის მოცემული საფუძვლის არსებობისას, სასამართლო განუხილველად ტოვებს სარჩელს, აპელაციას ან კასაციას, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ინსტანციაში მიმდინარეობს სამართალწარმოება, არამედ სასამართლომ შეასრულა ყველა საპროცესო მოქმედება, დადგენილი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოსათვის, რომელიც ნორმაშია მითითებული, ნაცვლად იმისა, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების უტყუარად დადასტურების პირობებში განუხილველად დაეტოვებინა რ. გ-ის აპელაცია, რაც იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ადეკვატური გაგება-გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მოქმედებების ამგვარი გამოყენება არ შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას და თვალსაჩინოს ხდის სასამართლო იერარქიის და შესაბამისი საპროცესო ინსტანციების კვალიფიციური გამიჯვნის პროცესუალურ პრობლემას, რაც შესაბამის სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს საკასაციო სასამართლოს მხრიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ყველა სასამართლო ინსტანციაში საპროცესო ინსტიტუტებისა და საპროცესო წესების გამოყენების ნორმატიული საფუძვლები. იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი მიიჩნევს, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს შეუძლიათ | ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი საპროცესო მოქმედებათა შესრულება, იყენებს „ნეგატიური დათქმის“ პრინციპს, ასე, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 399-ე მუხლებით განისაზღვრა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ | ინსტანციის სასამართლოების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების შესაძლებლობა, წესი და ფარგლები. იდენტურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის ფუნქციაც.

ასევე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილია სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები, რომელიც დამოკიდებულია თვით სააპელაციო საჩივარზე, ანუ აპელანტის მიერ გამოვლენილ საპროცესო ნებაზე. სწორედ ამ ნების ფარგლებით არის შებოჭილი სასამართლო, ანალოგიურია საკასაციო სამართალწარმოებაში 404-ე მუხლის დანიშნულება.

სააპელაციო სამართალწარმოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ კოლეგიური წესით ზემდგომი სასამართლო ამოწმებს | ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობას არსებითად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სწორედ სააპელაციო საჩივარი იძლევა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების პროცესუალურ საფუძველს. აპელაციის დაკმაყოფილება (სრულად ან ნაწილობრივ) გულისხმობს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას (შესაბამისი მოცულობით), ანუ გადაწყვეტილების გაუქმება აპელაციის დაკმაყოფილების გარეშე პროცესუალური თვალსაზრისით არათავსებადი, უკანონო მოქმედებაა. აპელაციის განუხილველობის პროცესუალური შედეგი უპირობოდ ნიშნავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელობას, რამდენადაც მხოლოდ აპელაციის განხილვა წარმოშობს გადაწყვეტილების შეცვლის, გაუქმების პროცესუალურ შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი სრულად ეწინააღმდეგება საპროცესო ინსტიტუტების სწორი გამოყენების პრინციპს და პროცესუალური თვალთახედვით სრული ნონსენსია, რადგან აპელაციის განუხილველად დატოვება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის განუხილველად დატოვება, წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო, სამართლებრივად წინააღმდეგობრივ და შეუთავსებელ მოქმედებათა შეთავსების მცდელობას და ეწინააღმდეგება სამართალწარმოების კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ საპროცესო წესების საფუძველზე განხორციელების პრინციპსა და ვალდებულებას.

საქმე № ბს-1376-1340(კ-10)

31 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველმხრივი შემოწმებისა და საქმის სრულყოფილი, კომპლექსური განხილვისათვის. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. **სააპელაციო სასამართლო იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.**

საქმე № ბს-52-52(კ-08)

25 მარტი, 2008 წელი ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას.

მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეკიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანამომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

საქმე № ბს-1211-786(კ-05)

22 თებერვალი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სხდომის ოქმის გარეშე საქმის განხილვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ“ პუნქტი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „თ“ მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

სსსკ-ის 287-ე მუხლი ითვალისწინებს საქმეზე ოქმის შედგენის სავალდებულობას, სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ; აგრეთვე, სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, ოქმის შედგენა სავალდებულოა. სსსკ-ის 289.4. მუხლის თანახმად, სასამართლო კოლექციური შემადგენლობის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში – ოქმს ხელს აწერს სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2005 წლის 29 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმს ხელს არ აწერს სხდომის თავმჯდომარე (იხ. სხდომის ოქმი. ს.ფ. 261), რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული სხდომის ოქმი არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომის ოქმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საპროცესო დოკუმენტს, რომელშიც ასახვას ჰპოვებს სასამართლო პროცესის მსვლელობა, თითოეული საპროცესო მოქმედება, რომლებიც განახორციელა სასამართლო საქმის განხილვისას. სხდომის

ოქმი საპროცესო დოკუმენტად ჩაითვლება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერის შემდეგ, ასეთი ხელმოწერის არარსებობის პირობებში ოქმს უკავშირდება იგივე პროცესუალური შედეგი, როგორც საქმეში სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობას, ანუ ითვლება, რომ საქმეს არ ერთვის სასამართლო სხდომის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რა ოქმის შედგენის სავალდებულობას, შესაბამისად, სასამართლო სხდომის ოქმის გარეშე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას, ვინაიდან სსსკ-ის 385.1. „ა“ და 394. „თ“ მუხლების თანახმად სხდომის ოქმის გარეშე საქმის განხილვა წარმოადგენს არსებით პროცესულ დარღვევას, რის გამოც მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, საპროცესო ნორმების დაცვის საფუძველზე.

საქმე № ბს-1111-1063(კ-07)

9 ივლისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს და საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სამინისტროს ევალუბოდა მოსარჩელისათვის 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს გადახდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. № 48 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც გაუქმებულ იქნა 06.02.07წ. № 93 ბრძანებულებით, რაც, განმცხადებლის მოსაზრებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 423-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების სსკ-ის 423-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს. აღნიშნული ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. **საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული საპროცესო ნორმა „სხვა ორგანოს დადგენილებებში“ არ გულისხმობს ნორმატიულ აქტს, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.** კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ისევე როგორც კანონი არ შეიძლება იქცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განახლების საფუძველად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება და ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება შესაძლოა იქცეს საქმის წარმოების განახლების საფუძველად.

საქმე № ბს-274-270(კს-12)

22 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წინამძღვრები. სსსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის

წარმოების განახლების საფუძველია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, მითითებული ნორმა ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების, ანუ ფაქტობრივად საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუ მხარისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ცნობილი გახდება საქმის განხილვისას მისთვის ახალი რაიმე გარემოება, ან მტკიცებულება, რომლებიც საქმის განხილვის სტადიაზე ცნობილი თუ იქნებოდა სასამართლოსათვის, გამოიწვევდა სხვაგვარი, მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას.

მოცემულ შემთხვევაში, გ. ბ-ი ამგვარ ახლად აღმოჩენილ გარემოებად უთითებდა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად მიიჩნევდა 2011 წლის 24 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლო სხდომაზე სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლის – გ. გ-ს მიერ გაკეთებულ განმარტებას, რადგან ეს განმარტება რომ გაკეთებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის სასამართლო სხდომაზე გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას და მასზე გავრცელებოდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეღავათები და დაკმაყოფილებოდა მისი მოთხოვნა ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და სამართლებრივი შეფასება გ. ბ-ის განცხადების დაუშვებლობასთან დაკავშირებით, რამდენადაც სასამართლომ ისე დატოვა განცხადება განუხილველად იმ მოტივით, რომ განცხადებაში მითითებული არ არის კონკრეტულად რა გარემოება გახდა ცნობილი განმცხადებლისათვის ისეთი, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ, როცა სასამართლომ არ გამოუთხოვია საქმე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მხარე ითხოვდა საქმის წარმოების განახლებას, განმცხადებლის მითითება – რომ სააპელაციო სასამართლო კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მისი სარჩელის არდაკმაყოფილების საფუძველად უთითებს გარემოებას, რომელიც სხვა საქმის განხილვისას უარყოფილი იქნა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის LII თავის – განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი, ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ განცხადების განხილვა ექვემდებარება სტადიებს:

1. განცხადების დასაშვებობა;
2. განცხადების საფუძვლიანობა.

განცხადების დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამოწმებს ორ კრიტერიუმს: 1. განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და 2. განცხადების სსსკ-ის 427.1. მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით გ. ბ-ის განცხადება არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 427.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ საფუძველებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება.

განმცხადებელი გ. ბ-ის განცხადება ემყარება სსსკ-ის 423-ე მუხლის I ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტს, კერძოდ, წარმოდგენილი აქვს სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერები, რომელთა საშუალებით ირკვევა, რომ მოპასუხე – სამინისტროს მტკიცება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე – შეცვლილია.

სააპელაციო სასამართლომ განცხადების დასაშვებობის სტადიაზე უნდა შეამოწმოს მისი შესაბამისობა ფორმალურ სტანდარტებთან – ვადა და შინაარსი. ხოლო, საფუძვლიანობა მხოლოდ დასაშვებობის სტადიის წარმატებით დაძლევის შემდგომ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განცხადების დასაშვებობის სტადიაზე სააპელაციო სასამართლო ირიბად მსჯელობს განცხადების საფუძვლიანობის კრიტერიუმებზე, თანაც ისე, რომ არ შეუსწავლია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძვლები, რამდენად განაპირობა საკითხის ამგვარად გადაწყვეტა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობამ, რომლის შეცვლის დამტკიცებას ცდილობს განმცხადებელი წარმოდგენილი ჩანაწერებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს განცხადების დასაშვებობაზე და კანონიერად, ობიექტურად და სრულყოფილად შეამოწმოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქმის მასალების შესწავლის კონტექსტში.

12. განსჯადობა

საქმე № ბს-1823-1777(გ-10)

10 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საერთო განსჯადობა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ გასაჩივრებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2008 წლის 19 თებერვლის № 1-1/202 ბრძანება, 2008 წლის 19 თებერვლის საკუთრების უფლების მოწმობა, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი № 20 ოქმი, ასევე მოსარჩელე ითხოვს სადავო მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის გამოყოფას და 2008 წლის 18 მარტისა და 2008 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ხოლო სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი, № 12.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

საქმე № ბს-1096-1052(2კ-10)

29 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთობრივი განსჯადობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი)

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული საქმის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა არა თელავის რაიონული სასამართლო არამედ თბილისის საქალაქო სასამართლო, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს, წარმოადგენს მას და მოქმედებს მარწმუნებლის (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) სახელით, მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე სარჩელის წარდგენაც უნდა განხორციელდეს იმ სუბიექტის ადგილსამყოფლის მიხედვით, რომლის სახელით და სასარგებლოდ განხორციელდა ქმედება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში და განმარტავს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ამ შემთხვევაში წარმოადგენს თელავის რაიონული სასამართლო, საქმის ნივთობრივი განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფა, განაწილება და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით და განმარტავს, რომ **კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი.**

ამდენად, თელავის რაიონული სასამართლოსა და სააპელაციო პალატის მიერ საფუძვლიანად იქნა უარყოფილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს შუამდგომლობა, საქმის განსჯად სასამართლოში, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გადაგზავნის თაობაზე

საქმე № ბს-1721-1677(გ-10)

10 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთობრივი განსჯადობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი)

ბ. ქ-ქმ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 23 ოქტომბრის № 213 საკუთრების უფლების მოწმობით მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ დაბა აგარაში მდებარე 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2010 წლის 9 თებერვალს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო № 882010465497 გადაწყვეტილება „ბ. ქ-ძის უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ“, ხოლო 2010 წლის 10 სექტემბერს იგივე სამსახურის № 2324414 გადაწყვეტილებით გაუქმდა 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი აღძრულია მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ამასთან უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. ხაშურში და ამდენად, სახეზეა საქმის ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.

განმარტების საგანი: ტერიტორიული განსჯადობა (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოს ხდის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების-ლ. გ-ისათვის 150 ლარის ოდენობით საურავის დაკისრების თაობაზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილებს, ლ. გ-ისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებს, 2011 წლის 21 მაისის საჯარიმო № გგ006726 ქვითრის (მოსარჩელე დაჯარიმდა 200 ლარით); ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2011 წლის 11 ივლისის № 20/32-7-173 და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს № 20/7-973 გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს.

საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ ზემდგომი – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანო – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის წარდგენა რამოდენიმე მოთხოვნით, რამოდენიმე მოპასუხის მიმართ, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობა აქვთ, განაპირობებს რამოდენიმე სასამართლოში სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. მოცემული საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც ლ. გ-ს დაეკისრა საურავის გადახდა და ჩამორთვა მართვის უფლება, გამოცემულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ, რომლის იურიდიულ მისამართია ქ. რუსთავი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მეორე მოპასუხედ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართბომიერება, შესაბამისად დაუშვებელია მათი ცალცალკე განხილვა. ამასთან, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და აგრეთვე, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლოში პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს № 20/7-973 გადაწყვეტილების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები-ლ. გ-ისათვის 150 ლარის ოდენობით საურავის დაკისრებისა და მისთვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილებების, ასევე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 2011 წლის 11 ივლისის № 20/32-7-173 გადაწყვეტილება გამოცემულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. რუსთავი, ... ქ. № 21.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

განმარტების საგანი: საკომლო წიგნში (დავთარში) ჩანაწერის სამართლებრივი ბუნება; საკომლო წიგნის ჩანაწერის კანონიერებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა

საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, რაც არ იძლევა გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების შესაძლებლობას (სსკ-ს 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სააპელაციო პალატა შემოიფარგლა რა სზაკ-ს 218-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, ფაქტობრივად თავი აარიდა საქმის არსებით განხილვას. უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ...-ის საკრებულოს გამგეობის 31.01.97წ. 6 დადგენილება არის აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი. სსკ-ს მე-2 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, რომლებიც უნდა გამომდინარეობდნენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სახელდობრ, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. განსახილველ დავაში ლ. ბ.-ე და ც. ბ.-ე მოითხოვენ სოფ. ...-ის საკრებულოს გამგეობის 31.01.97წ. დადგენილების ბათილად ცნობას, რომლითაც შ. ბ.-ე გავიდა კომლიდან. კასატორების ამრით კომლიდან გასვლა საჭიროებდა კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობით თანხმობას, რასაც ადგილი არ ჰქონია. **საკასაციო პალატა თვლის, რომ სასარჩელო მოთხოვნა თავისი არსით ეხება კომლის ქონების გაყოფას, კომლის წევრის გარდაცვალებისას მემკვიდრეობის მიღების წესს, რაც თავისი ბუნებით წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას და სსკ-ს მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განიხილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.** სააპელაციო საჩივარში ლ. ბ.-ე, ც. ბ.-ე დამატებით მოითხოვენ გარდაბნის ნოტარიუსის 06.02.01წ. № 1-158 აქტით ჩუქების ხელშეკრულების დამოწმების გაუქმებას, რაც ასევე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს, თუმცა სააპელაციო პალატას სსკ-ს 381-ე მუხლის საფუძველზე არ უმსჯელია დავის საგნის გადიდების მიზანშეწონილობაზე. სოფ. ...-ის საკრებულოს გამგეობის მიერ შ. ბ.-ის თხოვნის დაკმაყოფილება, 31.01.97წ. დადგენილებით 1994წ. გაუქმებული კომლის აღდგენა, შესაბამისად კომლის რეგისტრაცია და საკომლო დავთარში (საკომლო წიგნში) სათანადო ჩანაწერის შეტანა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად არ განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის კომპეტენციის სფეროს. საკომლო დავთარს (საკომლო წიგნს) აწარმოებდა რაისაბჭოს აღმასკომი, რომელიც „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ 25.12.68წ. კანონის 22-ე მუხლის თანახმად, დადგენილი წესით ახდენდა მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერას, რეგისტრაციაში ატარებდა საკოლმეურნეო (გლეხთა) კომლის საოჯახო ქონებრივ გაყოფას, ამასთანავე, მიწის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლი გაყრილად ან გაუქმებულად ითვლებოდა მხოლოდ აღმასკომში რეგისტრაციის მომენტიდან.

ამჟამად მოქმედი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.92წ. 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.93წ. 29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან კოლმეურნეობების გაუქმებასთან დაკავშირებით შეიცვალა საკოლმეურნეო კომლის იურიდიული სტატუსი და იგი ჩამოყალიბდა საკომლო მეურნეობად, რომელიც საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით წარმოადგენს ფერმერულ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით მის ძირითად დანიშნულებას შეადგენს არა დამხმარე მეურნეობის, არამედ მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარმართვა. ფერმერული მეურნეობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-

ბის მიწის საკუთრების შესახებ“ 22.03.96წ. კანონის მე-4 მუხლის თანახმად შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იყოს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული. კანონის აღნიშნული ნორმა გაუქმდა 14.06.2000წ. კანონით, დღემდე არც საადგილმამულო წიგნი შექმნილა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი უთითებს, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. აღნიშნული იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და საადგილმამულო მეურნეობაზე კომპლის წევრთა თანასაკუთრების არსებობა მოწესრიგდეს სამოქალაქო კანონმდებლობის (1323, 1463, 1514 მუხ.) შესაბამისად საადგილმამულო წიგნში რეგისტრაციით, რაც საფუძველი იქნება სოფლად მცხოვრები ოჯახის (რომელიც ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და ამ მიწაზე ეწევა საერთო საქმიანობას) კომლად მიჩნევისა. იმის გათვალისწინებით, რომ შ. ბ.-ის კომპლის აღდგენა ახალი სკ-ს ძალაში შესვლამდე განხორციელდა (31.01.97წ.) სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა განსახილველი ურთიერთობების მიმართ 1964წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 130-ე, 569-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობაზე. ამასთანავე, მხედველობაში არის მისაღები, რომ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.96წ. კანონის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიწის რეგისტრაციას ამჟამად ახდენს რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახური (მთავარი რეგისტრატორი, ზონის რეგისტრატორი), რეგისტრაციის მიზანია მიწის ნაკვეთისა და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების მიმართ უფლებათა წარმოშობის, გაცემის, შეზღუდვისა ან შეწყვეტის აღიარება და დადასტურება სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადღეისოდ კომლთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტი, საკომლო წიგნში (დავთარში) ჩანაწერი, თავისი ბუნებით არ პასუხობს სზაკ-ს მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ აქტის მოთხოვნებს, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებასა და მოვალეობას. საკომლო წიგნში ჩანაწერი, სამართლებრივად ტექნიკენტარიზაციის ბიუროში ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მსგავსია, გამგეობის გასაჩივრებულ აქტს არ აქვს უფლებაწარმოქმნილი მნიშვნელობა, დავთარში რეგისტრაციის სამართლებრივი შინაარსი დეტერმინირებულია უფლების წარმოქმნილი კერძო-სამართლებრივი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი, ქონებრივ-საოჯახო ურთიერთობებით, რის გამო უმართებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლების მოშველიება. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის მიერ არაგანსჯადი საქმის განხილვა იწვევს სამართალწარმოების სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე აგებას, რაც პროცესუალური კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. საქმის გახილვისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მატერიალური ნორმების რეალიზაციის შესაბამისი პროცესუალური, კერძოდ კი სამოქალაქო სამართალწარმოების ნორმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველი დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიათა რიგს.

საქმე № ბს-469-446(კ-06)

6 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2005 წლის 31 ოქტომბრის № 241 ბრძანებით შ. გ-ი გათავისუფლდა აფხაზეთის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „-ის“ დირექტორის თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველად მიეთითა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე

მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია ან მუშაკთა რიცხოვნობისა და შტატების შემცირება).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ კასატორის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სადავო ურთიერთობაზე ვრცელდება შრომის კანონთა კოდექსის და არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება. სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედების გავრცელება გამოიცილა ამავე კანონის პირველი და მე-2 მუხლების, ასევე, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი წარმოადგენს საჯარო მოხელეს და, ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, **„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში, სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალში, არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ აღნიშნული არ გამოიცილავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის, როგორც თვისობრივად საჯარო მოხელის ფუნქციური დანიშნულების მქონე პირის განხილვას.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონით რეგლამენტირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის ბუნების გათვალისწინებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელსა და სახელმწიფოს შორის არსებობს ერთგულებასა და ნდობაზე დაფუძნებული განსაკუთრებული საჯარო-შრომითი ურთიერთობა, რაც, ზოგადად, საჯარო მოხელისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების არსია. **საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სწორედ ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი უთანაბრდება მოხელეს და მის მიმართ ვრცელდება ის ვალდებულებები და გარანტიები, რასაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საჯარო მოხელის მიმართ.**

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია, რომ „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. აქედან გამომდინარე, მისი ხელმძღვანელი აღნიშნული დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივ ფორმად სხვა ფორმებთან ერთად იყენებს და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება არ შემოიფარგლება მისი საქმიანობის ნაწილით, იგი ადმინისტრაციულ ორგანოს განეკუთვნება არა საქმიანობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილში, არამედ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა სრულად ხორციელდება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების მიზნით.

რაც შეეხება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით და სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი არ არის მოხსენიებული, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ბრძანებულების შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაციას არა აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭებასთან მიმართებაში. აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაცია კი არ აქცევს სახელმწიფო მოსამსახურეს საჯარო მოხელედ, არამედ რეესტრი მხოლოდ იძლევა რანგების მიხედვით საჯარო თანამდებობათა კონკრეტულ ნუსხას, რაც შეიძლება არ იყოს ამომწურავი. თუკი რომელიმე დაწესებულების საჯარო მოხელე არ არის რეგისტრირებული მითითებულ რეესტრში, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მას საჯარო მოხელის სტატუსი არ აქვს.

თუკი სადავო ურთიერთობა შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე იქნებოდა წარმოშობილი, ასეთ შემთხვევაში სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანებაც ვერ განიხილებოდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და საქმე არ დაექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით განხილვას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აუცილებელი პირობაა მისი გამოცემა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო შრომის კანონთა კოდექსი არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

საქმე № ბს-116-109(კ-07)

20 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ც. გ.-ის სარჩელი კომბინირებული ხასიათისაა – შედგება ერთ-მანეთთან ორგანულად ურთიერთდაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნებისაგან, კერძოდ, ც. გ.-მა სასარჩელო განცხადებით დააყენა ორი მოთხოვნა – მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ აღრიცხვა წილობრივი მონაწილეობით და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ც. გ.-მა სასარჩელო განცხადებაში ერთ-ერთ მოპასუხედ მიუთითა თერჯოლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოზე (ამჟამად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახური), თუმცა, **საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ არის საკმარისი და გადამწყვეტი წინაპირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის და საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ასევე სადავო სამართალურ-თიერთობის ხასიათსა და მის იურიდიულ ბუნებას, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისი სამართალურ-თიერთობა.**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, არამედ თანამდევნი შედეგია მიწის ნაკვეთის წილობრივი მონაწილეობით თანამესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ ც. გ.-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი არც ერთი ელემენტი. სასარჩელო განცხადებაში მოყვანილი სასარჩელო მოთხოვნებიდან პირველად და ძირითად მოთხოვნას, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მოცემულ საქმეზე დავის საგანს, წარმოადგენს მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ აღრიცხვა წილობრივი მონაწილეობით. აღნიშნულ მოთხოვნას გააჩნია მატერიალური შინაარსი და იმავდროულად თავისი არსით დაკავშირებულია საკუთრების სანივთო უფლებასთან, ანუ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, ვინაიდან სწორედ სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, მოცემული საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საქმე № ბს-132-123(კ-07)

10 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან გათავისუფლებული პირის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავის განსჯადობა (უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა)

დიდი პალატა განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში შ. გ-სა და სსიპ „საზოგადოებრივ მუწყებელს“ შორის დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დაკავებული თანამდებობიდან შ. გ-ს გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს № 636-კ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე.

დიდი პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც რეგლამენტირებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, კერძოდ, ხსენებული ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლის საფუძველზე, აღნიშნული აქტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

დიდი პალატას მიაჩნია, რომ დაკავებული თანამდებობიდან შ. გ-ს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის, გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს 636-კ ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა არ არის თავისი შინაარსის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავა.

დიდი პალატა მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავე კანონის მე-9 მუხლის (საქმიანობა) პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის (მართვა და წარმომადგენლობა) მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზე დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მე-12 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემადგენელი ის ქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან თანხმობას.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე – სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

დიდი პალატა მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-4¹ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად) შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო). **ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შე-**

საბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

დიდი პალატა დამატებით განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის № 286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აქედან გამომდინარე, დიდი პალატა აღნიშნავს, რომ შ. გ-ა მუშაობდა რა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომუწყებლობაში“ საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „...-ის“ მთავარი ...-ის თანამდებობაზე (ს.ფ. 27), არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ იმუამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს 636-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ს.ფ. 5), რის გამოც ხსენებული ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საქმე № ბს-610-580(გ-07)

24 ივლისი, 2007 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 64.4. მუხლის საფუძველზე იმ დოკუმენტაციის წარდგენის დავალდებულება, რაც საჭიროა საავტორო ჰონორარების შეგროვებისა და განაწილებისათვის. საავტორო უფლებების დასაცავად მოსარგებლისაგან ჰონორარების შეგროვებისა და განაწილებისათვის დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნის უფლება არ არის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის, განსახილველ შემთხვევაში კანონმდებლობის მიერ სადავო სამართალურთიერთობების მხარეების გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვა ემსახურება ავტორთა ქონებრივი უფლებების დაცვას და არ ადასტურებს ურთიერთდაქვემდებარებაზე დამყარებული ურთიერთობების არსებობას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათი დასტურდება აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნის („ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“) 1017-ე მუხლით, რომლის მიხედვით, საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორცილდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არცერთი ელემენტი, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ შპს სასწავლო საწარმოო წამოწყება „მცხეთამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ფინანსთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე. უსინათლოთა კავშირის – შპს „მცხეთასა“ და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონს შორის 2001წ. 1 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მცხეთა“ კისრულობდა ვალდებულებას, თავის სპეცსადგომში მოეთავსებინა საგანგებო ლეგიონის მიერ დაკავებული სატრანსპორტო საშუალებებ ტვირთიანად, სადღეღამისო დგომით, მათი დაცვის უზრუნველყოფის პირობით.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005წ. 25 მარტის განჩინების ასლი, რომლიდანაც ირკვევა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 18 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილ ადმინისტრაციულ გარიგებად იქნა მიჩნეული შპს „მცხეთასა“ და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონს შორის დადებული 001წ. 1 აგვისტოს ხელშეკრულება. აღნიშნული განჩინებით მოსარჩელეს განემარტა, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ ართმევდა უფლებას, მიემართა სასამართლოსათვის სხვა საფუძველით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების(უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს(მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ესაა საკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია,

სარჩელი აღძრულია ფინანსთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, რომლებიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, მოცემულ შემთხვევაში მხარეები

ერთმანეთთან კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან და მათი ურთიერთობაც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობაა. კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „სასწავლო-საწარმოო წამოწყება „მცხეთის“ სარჩელი აღძრულია უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. მოსარჩელე სარჩელის სამართლებრივ საფუძველად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 979-ე, 991-ე და 412-ე მუხლებზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, საქმე, შპს სასწავლო-საწარმოო წამოწყება „მცხეთის“ სარჩელის გამო მოპასუხეების-ფინანსთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

საქმე № ბს-177-173(გ-08)

30 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

განსახილველ საქმეზე ლ. ფ-ის სარჩელის საგანია სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მიერ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სამართლებრივ აქტებს. ნოტარიუსის უარი თავისთავად არ განაპირობებს განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნებას. ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას „ნოტარიატის შესახებ“ კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ნოტარიუსის სადავო დადგენილებებით სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე კანონიერ მეკვიდრეთა წრის დადგენის აუცილებლობა. ამდენად, ნოტარიუსის სადავო დადგენილებების კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, სწორად არის თუ არა ნოტარიუსის მიერ გამოყენებული და განმარტებული მოსარჩელესთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ნოტარიუსის უარი ემყარება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს, საქმის განმხილველმა სასამართლომ მეკვიდრეობითი სამართლის ნორმათა საფუძველზე უნდა დაადგინოს სადავო ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი და აღნიშნულის გათვალისწინებით შეამოწმოს ნოტარიუსის სადავო დადგენილებების მართლობიერება, რაც გადამწყვეტია დავის საგნობრივი განსჯადობის დასადგენად. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართალწარმოების, სახელდობრ სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით. სასამართლოს ამ შემთხვევაში არ სჭირდება ნოტარიუსის უარის შინაარსის შეფასება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ის გარემოება, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განიხილავს,* არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ ნორმასთან ურთიერთკავშირში, კერძოდ სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან ერთად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტი. ამდენად, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის დადგენილება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილება ემყარება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერება სამოქალაქო სამართალწარმოების წესების გამოყენებით უნდა დადგინდეს.

* „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მოქმედი რედაქცია მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნევს, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, იგი წარმოადგენს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

საქმე № ბს-872-839(კ-08)

9 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა; უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის № ... საჯარო სკოლის მიერ აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან სკოლის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის გამოთხოვის შესახებ, რაც წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ადგენს როგორც უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მომწესრიგებელ ნორმებს, ისე ნივთის დაუბრუნებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წესებს.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით დადგენილია საკუთრების ცნება და საკუთრების უფლების შინაარსი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი განსაზღვრავს მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172.1. მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე, ხოლო მფლობელობა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სანივთო სამართლის შემადგენელ ნაწილს და არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. საქართველოში იგი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით, მიძღვნილი აქვს ამ კოდექსის II წიგნის სანივთო (ქონებრივი) სამართლი მეორე კარი. ამდენად, მოცემული დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სწორედ ეს კანონმდებლობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის უფლების საკითხებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ის გარემოება, რომ ქუთაისის № ... საჯარო სკოლის სარჩელი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გარდა ეფუძნება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 36.2 მუხლს, რომლის თანახმად საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლებოდა ეფუნქციონირათ ერთ შენობაში, არ გულისხმობს რომ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს არა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონიდან, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სწორედ მითითებული კერძო სამართლის ნორმატიული აქტით არის რეგულირებული უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცედურა და საფუძვლები. ამასთან, სარჩელის მოთხოვნის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ერთ შენობაში საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფუნქციონირების სტანდარტებს, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სარჩელის აღძვრის მიზეზს, მაგრამ არა სადავო სამართალურთიერთობის საფუძველს. სადავო

სამართალურთიერთობა სრულად განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსით დადგენილ სამართალურთიერთობას, რომლითაც განსაზღვრულია მისი მოწესრიგების სამართლებრივი მექანიზმი, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები და სამართლებრივი შედეგები.

საქმე № ბს-733-727(გ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. კ-ას და ტ. კ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და საქმე უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ კოლეგიას და განხილულ იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიციის მიხედვით არის ადმინისტრაციული ორგანო, რაც უპირობოდ არ ადასტურებს განსახილველი დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სუბიექტური შემადგენლობის ანუ მოცემულ შემთხვევაში იმის გამო, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუნების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სამოქალაქო კოდექსის 8.2 მუხლი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით.

მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, სამეწარმეო საქმიანობაში პარტნიორად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ზიანის ანაზღაურება, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობას ეყრდნობა, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს და თვლის, რომ მოპასუხის, როგორც პარტნიორის მოქმედება ეწინააღმდეგებოდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნორმების მოთხოვნებს, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს პარტნიორის მოქმედების „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნორმებთან შესაბამისობის დადგენას. ის გარემოება, რომ ასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში ზიანის ანაზღაურება მითითებულია როგორც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი, იმაზე მითითების გარეშე თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. ასეთი მსჯელობის მიხედვით ზიანის ისეთი ფორმა, როგორცაა სამოქალაქო ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, რაც ეწინააღმდეგება ასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს და ემყარება ასკ-ის მე-2 მუხლის არასწორ გაგებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს არამხოლოდ განსჯადობის განმსაზღვრელი ასკ-ის მე-2 მუხლის რომელიმე ცალკე ნაწილის, კერძოდ, ასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, არამედ ხსენებული მუხლის ყველა ნაწილის და უპირველეს ყოვლისა, მუხლის მე-3 ნაწილთან ურთიერთკავშირში გააზრებას. ასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვება საქმეები იმ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სამეწარმეო საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი

საქმიანობის ფორმაა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არის არა კომპლექსური, კერძო და საჯარო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისაგან შემდგარი, არამედ მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება წარმოადგენენ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ვინაიდან სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იგი შპს-ში პარტნიორად, ხოლო სს-ში აქციონერად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

საქმე № ბს-1333-1318 (გ-11)

26 ოქტომბერი, 2011 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას მოცემული საქმის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში, ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება ლ. ნ-ის მიმართ „გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შპს „...“ დადგენილების კანონიერების საკითხს“. უდავოა, რომ სამართალდამრღვევი პირის გა-მოვლება და მის მიმართ სახდელის შეფარდება წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების სფეროს, რომელსაც შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ახორციელებენ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები. სადავო სამართალურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹, 228² მუხლებითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს № 14 დადგენილებით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობას. კერძოდ, კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 228² მუხლით ბუნებრივი გაზის დატაცებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება აქვთ ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს. ზემოაღნიშნული დადგენილება კი ადგენს ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესებს, რომლის თანახმად შპს „...“ თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე სამართალდამრღვევი პირის მიმართ გამოსცემს დადგენილებას გაფრთხილების ან დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მი-აქცევს მითითებული დადგენილების მე-11 მუხლზე, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობას ზემდგომ ორგანოში-საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად იღებს ერთ-ერთ ქვემოთითხებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს: დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ; დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ; ან დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სწორედ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც უცვლელად დარჩა შპს „...“ თანამშრომლის მიერ მიღებული დადგენი-

ლება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის საფუძველზე სახეზეა დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქმე № ბს-1467-1401 (კ-09)

26 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის; საგნობრივი განსჯადობა

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლის 6 იანვარს ი/მ დ. ა-ძესთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 13 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების პროდუქტების მიწოდება. მართალია, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით (2005 წელს მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფა, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, აღნიშნული გარემოება ასევე არ ქმნის დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. **ხელშეკრულების საფუძველზე მეწარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შემსყიდველისათვის მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვების პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო თვით ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, იგი არ აღჭურავს ი/მ დ. ა-ძეს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.** ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, ან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება თავად სამინისტროს მხრიდან, არამედ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹-ე მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹-ე მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქმე № ბს-206-198(კ-10)

27 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის; საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე განხილულია განსჯადობის წესების დარღვევით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც შპს „...“ დირექტორის – ნ.

ჯ-უას სარჩელი – სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შესახებ წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო მოცემულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რის გამოც იგი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას, ანუ განსაზღვრული საზღაურის გადახდის პირობით გარკვეული სამუშაოს შესრულების შესახებ ორმხრივ გარიგებას, რამდენადაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მიმწოდებელმა – შპს „...“ იკისრა ვალდებულება სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების ოფისში სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, ხოლო თავის მხრივ შემსყიდველს – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უნდა აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ფასი. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება განხილულ უნდა იქნეს არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო ხელშეკრულებად, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა დავის საგნის საფუძველს – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რამდენადაც **სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება იმგვარი ხელშეკრულებაა, როცა სახეზეა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ორი აუცილებელი ელემენტი – მხარეთა თანასწორობა და ნების ავტონომია. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით ხასიათდება მხარეთა უთანასწორობით, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან ურთიერთდაქვემდებარებულ ურთიერთობაში არიან. მხარეთა უთანასწორობა აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამართალურ ურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს ატარებდეს, ვინაიდან სახეზე ვერ იქნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა სუბორდინაციულობის გარეშე.**

2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განისაზღვრა ტერმინის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიცია, რითაც გაიმიჯნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებად. აღნიშნულის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ჰარმონიზირებული გახდა სამოქალაქო კანონმდებლობასთან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრულ დანაწესთან, რომ, „სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი“, რაც ნიშნავს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერი სუბიექტი, თვით სახელმწიფოც, ექცევა სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპებისა და წესების ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უგულებელყოფილ იქნება სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, როგორც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლისა.

კონკრეტულ შემთხვევაში, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო შპს „...“ ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს, როგორც კერძო, და არა როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი, ვინაიდან იგი არ ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას მისი ორგანული ფუნქციის სფეროში. მოცემული შესყიდვა განეკუთვნება ე.წ. დამხმარე ფუნქციათა ჯგუფს – ოფისის რემონტი, რაც სამოქალაქო ხელშეკრულებათა ჯგუფს განეკუთვნება, ვინაიდან ამ შესყიდვას კონკრეტული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, როგორც აუცილებელი ელემენტი, არ გააჩნია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებულია სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის შესრულების შედეგად საპასუხო ვალდებულების –

მიღებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე უარის კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით.

საქმე № ბს-946-920(კ-10)

28 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს № 17.13.598 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ... დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი ... დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის № 20.01.654 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-საბავშვო ... დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნების განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს № 16.148.581 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების ... დირექტორების თანამდებობაზე კასატორების ნაცვლად დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო კასატორებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალი, ზემოაღნიშნული დადგენილებები გამოცემულია ქ. თბილისის მთავრობის (ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, თავისი შინაარსით არ ატარებენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მთავრობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული დადგენილებები გამოცემულია საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილზე რომლის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველის კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს № 16.148.581 დადგენილების საფუძველზე, ... ჩამოყალიბდნენ არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით, რომლის დამფუძნებელსაც აღნიშნულ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობა წარმოადგენდა. ამდენად, არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებდა როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდებით არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სადავო აქტებში მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 231-ე მუხლის „ზ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, თბილისის მერიის დებულებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის № 126 დადგენილების საფუძველზე, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის ნივთობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან, ყველა ზემოაღნიშნულ ნორმაში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე შექმნას სკოლამდელი და ... დაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დაამტკიცოს მათი წესდებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას შექმნან სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღონ არსებული ... დაწესებულებების ქონება, მოახდინონ მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული კი თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს, როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან კასატორთა თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის წლის № 286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში და მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამდენად, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ... დირექტორთა თანამდებობის დასაკავებლად, ვერ დაეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე-36-ე მუხლებს და ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მ. ლ-ძის, დ. ვ-ძის, მ. ლ-ძის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, თ. ნ-ძის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საქმე № ბს-1700-1656(გ-10)

18 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: რეგრესის წესით მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განსჯადობა

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, მოპასუხე ა. შ-ძისათვის რეგრესის წესით მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება,

შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რის თაობაზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ და საკასაციო სასამართლო წყვეტს დავას განსჯადობის თაობაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია. საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპი აისახა ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ, მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“. „სახელმწიფო ორგანოში“ იგულისხმება ის ორგანოები, რომლებიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად: „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის მიხედვით საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება, პირველ რიგში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი (სპეციალური) განსაკუთრებული წესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც კონკრეტული დავის შემთხვევაში გასარკვევია ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 თავი, როგორც სპეციალური ნორმები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობა ვერ წესრიგდება აღნიშნული ნორმებით, შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 207-ე მუხლისა. ამდენად, აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით. როგორც აღინიშნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

განსახილველი დავის საგანი მოსარჩელის დისპოზიციური პრინციპის რეალიზაციის შედეგად ეფუძნება რეგრესულ მოთხოვნას, კერძოდ, თვითმმართველობის ორგანომ გამგებლის საგარანტიო წერილის საფუძველზე თანხა გადაურიცხა კარდიოლოგიურ კლინიკას, რაც თვითმმართველობის სახსრების არამიზნობრივ ხარჯად მიაჩნია და ამ თანხის გამგებლისაგან დაბრუნებას ითხოვს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის ობიექტს წარმოადგენს საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრა. აღნიშნულის გარკვევას საფუძვლად უნდა დაედოს რეგრესის ინსტიტუტის რაობა და ადგილი სამართლებრივ სისტემაში.

რეგრესის მოთხოვნა (წარმოდგება ლათინური ტერმინიდან რეგრესუს – უკან მოძრაობა; ინგლისურად – რევერსე დემანდ) სამოქალაქო სამართალში პირის მოთხოვნა (რეგრესანტი), რომელმაც განახორციელა კრედიტორისათვის მესამე პირისადმი /რომლის ბრალითაც განხორციელდა გადახდა/ გადკუთვნილი თანხის გადახდა, კრედიტორისათვის გადახდილი თანხის უკან, რეგრესანტისათვის დაბრუნების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლება რეგრესული მოთხოვნის თაობაზე დამახასიათებელია მაგ: სოლიდარულ ვალდებულებით ურთიერთობებში; საერთო წესის მიხედვით მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა ვალდებულ პირების მიმართ, თანაბარ წილად, მისი პირადი წილის გამორიცხვით. ასევე, რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ. პირს, რომელმაც ანაზღაურა სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, გააჩნია რეგრესის უფლება ამ პირის მიმართ (მაგ: სამსახურებრივ, თანამდებობრივ ან სხვა შრომითი მოვალეობების შემსრულებელი მუშაკის, ან პირის, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას). რეგრესული მოთხოვნა ასევე შეიძლება წამოყენებულ იქნეს საბანკო გარანტიის ურთიერთობებში. რეგრესის, როგორც მატერიალური უფლების რეალიზაციის პროცესულურ საშუალებას ემსახურება რეგრესული სარჩელი, როგორც სასამართლოსადმი მიმართვა მოთხოვნით გამოიტანოს გადაწყვეტილება

პირის სუბიექტური უფლების რეგრესული მოთხოვნის არსებობის აღიარების (ცნობის) და ამ მოთხოვნის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგრესის ინსტიტუტს გააჩნია არა საჯარო-სამართლებრივი კომპეტენციების აღსრულების, არამედ, კერძო სამართლებრივი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება, რამდენადაც იგი თავის თავში მოიცავს მესამე პირის მიერ მოვალე პირისათვის ანაზღაურებული თანხის უშუალოდ ვალდებული პირისაგან უკან დაბრუნების მოთხოვნას. აღნიშნულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია სუბორდინაციული ხასიათი, არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, დამდგარი შედეგი არ ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების აღსრულებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონფლიქტს საჯარო-სამართლებრივ კონტექსტს ვერ შესძენს ის გარემოება, რომ რეგრესული მოთხოვნის უფლების რეალიზაციის სუბიექტს წარმოადგენს თვითმმართველობა, ხოლო რეგრესანტს ყოფილი თანამდებობის პირი, ვინაიდან საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა კვალიფიცირდება არა ურთიერთობის სუბიექტების, არამედ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის მიხედვით.

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც აღნიშნული არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

როგორც ცნობლია, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „ა“ მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, აღნიშნული არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. „დ“ მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.1 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება.

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 257 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესი“ არ ეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე–36-ე და ამავე კანონის 81-ე–87-ე მუხლებს, შესაბამისად სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ე. გ-ის, როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის მომსახურების სამმართველოს მთავარი ოფიცრის, გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ე. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი-შრომითი ურთიერთობა, ერთის მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით-სამართლებრივ და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ შრომითი ურთიერთობა განსხვავებულად არ არის დარეგულირებული სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსს კოდექსის 11.1. „ა“ მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების პროცესში, არცთუ იშვიათად იყენებს ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე ბრძანების ფორმით ადმინისტრაციის ნების გამოხატვას, რაც „საქართველოს შრომის კოდექსის“ 6.3 მუხლის საფუძველზე უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საქმე № ბს-1522-1483(კ-10)

27 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა –სპს „...“ იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, სპს „...“ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ხელვაჩაურის რაიონში უნდა გაეწია პერპექტიული ჩაის პლანტაციის მძიმედ გასხვლა, მისი შემოღობვა ეკლიანი მავთულით და ხის ბოძებით. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო პერიოდულად, მომსახურების შესრულების მიხედვით, ამ მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რის შესახებაც უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი. იმის გამო, რომ სპს „...“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის მოპასუხემ მიღება-ჩაბარების აქტები არ გააფორმა, სპს „...“ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალდებულება გააფორმოს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები, სადავო სამართალურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ სადავო სამართალურთიერთობები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძ-

ველზე უნდა გადაწყდეს. ამდენად სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საქმე № ბს-150-149 (გ-12)

28 მარტი, 2012 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

მოსარჩელე სადავოდ ხდის სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის № 971 ბრძანებისა და „მ. ჯ-ის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ 2010 წლის 20 ივლისის № გ-772 ბრძანებების კანონიერების საკითხს, ასევე ითხოვს სამუშაოზე აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.1 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ-შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება.

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, შემოსავლების სამსახურში საბაჟო და საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამსახურის თანამშრომელთა ატესტაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ასევე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 12 ივლისის № 971 ბრძანება შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული ბრძანების სამართლებრივ საფუძველზე. „საჯარო სამართლის იურიდიული პირ-შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 257 ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად, ატესტაციის ჩატარების დროსა და საატესტაციო მოთხოვნებს, აგრეთვე ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, სამსახურის უფროსი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსი შიდაორგანიზაციული ხასიათის მოწესრიგების ფორმების (ბრძანებებით) საფუძველზე უფლებამოსილია განსაზღვროს თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, კვალიფიკაციური კადრების შერჩევის მიზნით იგი უფლებამოსილია შექმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისია, რომლის მიზანია, დადგინდეს თა-

ნამშრომლის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა. სადავო ბრძანების მე-7 პუნქტის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს დაევალა ტესტირების ჩატარების უზრუნველსაყოფად სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმდინარე წლის 20 ივლისის 40/1-1092 წერილი დაედო საფუძველად შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ მიღებულ მოსარჩელის განთავისუფლების ბრძანებას.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირ-შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 257 ბრძანება არ ეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე-36-ე და ამავე კანონის 81-ე-87-ე მუხლებს, შესაბამისად სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ვ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძო-სამართლებრივი – შრომითი ურთიერთობა, ერთი მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქმე № ბს-17-13(2კ-13)

18 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიასა და შპს „...“ შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა, კერძოდ, ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა შეფასდეს აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, რამდენადაც მართოდ იმ გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მერია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

გარდა აღნიშნულისა, თავდაპირველად ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო საქართველოს ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოსა და შპს „...“ შორის, ხოლო 2006 წელს ქონების მესაკუთრის შეცვლის გამო ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება და ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოს ნაცვლად ხელშეკრულება გაფორმდა ახალ მესაკუთრესთან – ქ. თბილისის მერიასთან. ამდენად, თავდაპირველად ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შემდეგ მას ჩაენაცვლა ადმინისტრაციული ორგანო – ქ.თბილისის მერია, რაც არ ცვლის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც იგი დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. **განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა და მხოლოდ ის გარემოება, რომ გაქირავებული ქონება არის ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრება არ წარმოადგენს ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელ ფაქტორს, მით უფრო, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანამდე გამქირავებელი იყო კერძო სამართლის სუბიექტი – საქართველოს ... კავშირის გაერთიანების ... სამმართველო და ხელშეკრულების მხარედ ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ ქონების მის საკუთრებაში გადასვლის გამო ჩაენაცვლა, რის შედეგადაც არ შეცვლილა ხელშეკრულების შინაარსი, მისი კერძო სამართლებრივი ბუნება.**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა, ქ. თბილისის მერიის მიერ საჯარო უფლებამოსილებიდან გამომდინარე რაიმე მოქმედების განხორციელება, არამედ ფაქტობრივად მის მიერ მის საკუთრებაში გადასულ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ქირავნობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. წარმოდგენილი სარჩელით ქ. თბილისის მერია ითხოვს ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს დაკისრებას. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით.

13. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები

საქმე № ბს-1227-1213(კ-11)

01 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირის საცხოვრებელი ადგილის ცნება და მისი სახეები (სამოქალაქო კოდექსის 20-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს ქ. ლ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას მხოლოდ იმ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომ პირადობის მოწმობაში საცხოვრებელ ადგილად მისი მხრიდან მითითებულია ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა და დადასტურება უნდა მოხდეს საქმეში დაცული ყველა მტკიცებულების შეფასებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. ამასთან არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკანონმდებლო დანაწესს, რომელიც არეგულირებს სადავო საკითხს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირის დევნილად ცნობის, მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უნდა მოხდეს მოცემული კანონის საფუძველზე და ამ კანონის ფარგლებში.

მითითებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. დასახელებული საკანონმდებლო ნორმა ამომწურავად მიუთითებს იმ აუცილებელი კრიტერიუმების შესახებ, რომელთა არსებობა სავალდებულოა პირისათვის დევნილის სტატუსის მისანიჭებლად.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას და ადასტურებს, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტატუსის მთხოვნელი პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ანუ მას იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან საკასაციო სასამართლო დავის სწორად გადამწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ცნებები „საცხოვრებელი ადგილი“, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ და „რეგისტრაციის ადგილი“.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართვე-

ლოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირი თვითონ განსაზღვრავს და ირჩევს მისთვის სასურველ საცხოვრებელ ადგილს, მას აქვს სრული თავისუფლება თვითონ გადაწყვიტოს სად იცხოვროს. ამავე დროს პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ნიშნავს შესაძლებლობას, პირს ჰქონდეს ამ საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, პირის რეგისტრაცია განიხილება რეჟიმად, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში და აძლევს რეგისტრაციის მოწმობას. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას, რეგისტრაციით ეს უფლება არ იზღუდება, პირიქით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის მიზანია მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით პირის შესახებ მონაცემების, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. ამასთან, აღნიშნული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, პირს მინიჭებული აქვს უფლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და ასეთ შემთხვევაში, პირი არ არის შეზღუდული, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შემთხვევაში საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით და სარეგისტრაციო მონაცემებში მიუთითოს საკუთარი სურვილით არჩეული საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს, პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი. **ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი.** ამასთან პირის ნება, დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახდის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს ძირითადად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებელის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არა დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს სად იყო ქ. ლ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რისი განსაზღვრაც ვერ მოხდება მხოლოდ და მხოლოდ პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემებით. სასამართლო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომ ქ. ლ-ის პირადობის მოწმობაში, მისამართის გრაფაში მითითებულია თბილისი, მისამართის გარეშე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის № 01/12-09-25168 წერილში ქ. ლ-ის რეესტრაციის ადგილად მითითებულია მისამართი ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ... ოთახი 5ნ, ჯ. დ-ის ოჯახი.

საქმე № ბს-226-174(კ-05)

30 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობა (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი)

დაბა ...-ის გამგეობამ და საქართველოს სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტმა სარჩელი აღძრეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – გარდაბნის რაიონის გამგეობისა და შპს „ს.-ის“ მიმართ, მესამე პირების – გ. ბ.-ის, ნ., ბ. და ლ. ჯ.-ების, დ. ს.-ის მონაწილეობით, რომლებმაც მოითხოვეს ადმინისტრაციული აქტების და ხელშეკრულების, კერძოდ, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების: № ...; № ...; № ...; № ...; № ...; № ...; ბათილად ცნობა, ასევე აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების, კერძოდ, 2002 წლის 12 თებერვლის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც დადებული იყო გ. ბ.-ესა და დ. ს.-ს შორის; მიწის სარეგისტრაციო მოწმობის № ... გაუქმება, გაცემული 2002 წლის 8 აპრილს დ. ს.-ზე, ნაკვეთზე № ...; საჯარო რეესტრის № ... ამონაწერის გაუქმება, გაცემული 2002 წლის 6 ივნისს, ნაკვეთზე № ...; საჯარო რეესტრში ჩანაწერის გაუქმება, მიწის ნაკვეთის № ... დ. ს.-ის საკუთრების შესახებ.

სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა რა დავის საგანს – მიღება-ჩაბარების აქტი დააკვალიფიცირა, როგორც ადმინისტრაციული გარიგება (საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავის ნორმები (რომლებიც შინაარსობრივი თვალსაზრისით ფორმალურ-სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენს) ასე, მაგ, სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70.1 მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი. თუმცა, 2000 წლის 1 იანვრამდე დადებული გარიგების მიმართ მათი გამოყენება არამართებულია, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიხედვით ეს არ წარმოადგენს სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ – გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, რამდენადაც, იგი არ წარმოადგენს არსებით დარღვევას. სასამართლომ სწორად შეუფარდა სადავო სამართალურთიერთობას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დადგენის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომლის მიხედვით ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც სადავო მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულება მიჩნეულ უნდა იქნას ბათილ გარიგებებად, რამდენადაც სადავო მიწის ნაკვეთები, როგორც სადავო გარიგებების საგანი არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემული, მეტიც, არ შეიძლებოდა გამხდარიყო გარიგების ობიექტი, შესაბამისად ამგვარ საგანზე ნების გამოვლენა ვერ მიიჩნევა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით დაცულ ნების გამოვლენად, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მიღება-ჩაბარების აქტებს წინ არ უსწრებდა ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებანი, შეთანხმებები, დასკვნები (რაც გახდებოდა დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან მათი გასაჩივრების უფლების რეალიზაციის საფუძველი). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენების სისწორესთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმე № ბს – 941-10-ა-04

11 თებერვალი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გარიგების არარად აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი)

საქართველოს პრეზიდენტის 1998წ. 27 ივნისის №424 განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1998წ. 31 აგვისტოს №1-3/578 ბრძანებით განისაზღვრა სს „აგრომრეწვბანკის“ საწესდებო კაპიტალის 28,59%-ის, 643.297 ცალი აქციის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება სს „აგრომრეწვბანკის“ თანამშრომლებსა და რუსეთის კომერციულ ბანკ „სბს აგრომ“ ნომინალური ღირებულების 50%-ით. აქციათა გასაყიდი ფასი განისაზღვრა 321648,5 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილის 1998წ. 26 ნოემბრის მიმართვის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელმა რეგისტრატორმა შპს „კომპანი-ცენტრმა“ შეიტანა ცვლილებები რეესტრში, რითაც საკუთრების უფლება 643 297 ცალ სს „აგრომრეწვბანკის“ აქციაზე გადაეცათ მყიდველებს. 2000წ. 27 ოქტომბერს ერთი მხრივ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მეორეს მხრივ სს „აგრომრეწვბანკის“ თანამშრომლებსა და რუსეთის კომერციულ ბანკ „სბს აგროს“ შორის გაფორმდა აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება. რომლის 3.1 პუნქტის თანახმადაც, „მყიდველებს“ საკუთრების უფლება ქონებაზე გადაეცემოდათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ. ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ერთ – ერთ პირობას წარმოადგენდა ბიზნეს-გეგმის შესრულება. სწორედ ზემოაღნიშნული ბიზნეს – გეგმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა იქცა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველად. იმ მოტივით, რომ 2000წ. 27 ოქტომბერს, კერძოდ, სს „აგრომრეწვბანკის“ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, აქციები აღარ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა, ხელშეკრულება მიიჩნია მოჩვენებით დადებულ გარიგებად და ჩათვალა ბათილად. **საკასაციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას და აღნიშნავს, რომ გარიგების ბათილად აღიარებისათვის არ არი საჭირო არც შეცვლება და არც ამ გარიგების ბათილობის მოთხოვნა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბათილი გარიგება სკ-ის 61-ე მუხლის საფუძველზე ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. მაგრამ იმავდროულად საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს მოჩვენებითი გარიგების სამართლებრივ ბუნებას და აღნიშნავს, რომ გარიგების მოჩვენებითობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ გარიგებათა მიმართ, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე მეორე მხარის მიერ, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ შეცვლების სავალდებულობის არარსებობის მიუხედავად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს გარიგების ბათილობაზე მაშინ, როცა მხარე გარიგების ბათილობას, როგორც მოთხოვნის უარყოფის საფუძველს სასამართლოს წინაშე არ აყენებენ.**

განმარტების საგანი: ბინით უზრუნველყოფის თაობაზე საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი)

ვ. კ-მა სარჩელი აღძრა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე – ქ. სამტრედიის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ქ. სამტრედიის, ... ქუჩაზე ასაშენებელ ოროთახიან საცხოვრებელ ბინაზე მისი უფლების აღიარება, მოპასუხის დავალდებულება მოსარჩელის ბინით უზრუნველყოფის, ან გარანტიით ჩაბარებული ბინის საბაზრო ღირებულების – 4000 აშშ დოლარის გადახდა

სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1978 წლის 4 ოქტომბრის № 213 გადაწყვეტილებით ვ. კ-ს ჩაბარებული ბინის ნაცვლად მიეცა ერთი ოროთახიანი ბინის გარანტია ქ. სამტრედიის, ... ქუჩაზე ასაშენებელ სახლში. საგარანტიო წერილის თანახმად, მოსარჩელეს ბინა უნდა მისცემოდა აშენების პირველი შესაძლებლობისთანავე. ვ. კ-მა განცხადებით მიმართა ქ. სამტრედიის გამგეობას ბინის აშენების თაობაზე, რაზეც 2002 წლის 24 დეკემბერს პასუხად მიიღო, რომ ... ქუჩაზე მშენებარე სახლი აუშენებელი დარჩა. ასევე, მოსარჩელემ ქ. სამტრედიის გამგეობისგან 2004 წლის 10 დეკემბერს უარყოფითი პასუხი მიიღო ბინის გამოყოფის შესახებ, თავისუფალი საბინაო ფონდის არარსებობის გამო, ხოლო მის მიერ სასამართლოში სარჩელი შეტანილ იქნა 2005 წლის 19 მაისს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასაციის მოტივს, ვინაიდან ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული და არც სახელმწიფო იყო ვალდებული, მოქალაქისათვის ბინა ეყიდა ან შესაბამისად, ბინის ღირებულება გადაეხადა. საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი სახის დაპირება, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, შესაძლებელია გახდეს დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის საფუძველი, კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა წერილობითი დოკუმენტი, კერძოდ, სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1978 წლის 4 ოქტომბრის № 213 გადაწყვეტილება, რაც ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარის – ვ. კ-ისათვის კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანო იკისრა რა ვალდებულება ვ. კ-ის ბინით უზრუნველყოფის თაობაზე, იგი ვალდებული იყო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპიდან გამომდინარე, შესრულებინა საგარანტიო ხელშეკრულებაში ჩადებული პირობა რაც მის მიერ არ განხორციელებულა, შესაბამისად საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში არ იძლევა დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე და ამდენად, უსაფუძვლოების გამო იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტავს, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს კანონმდებელი უკავშირებს იმ ფაქტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის თაობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე, საგარანტიო წერილის შესაბამისად, ბინით უნდა უზრუნველყოფილი აშენების პირველივე შესაძლებლობისთანავე, რის თაობაზეც მან ორჯერ მიმართა განცხადებით სამტრედიის გამგეობას, ხოლო 2004 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელემ გამგეობისგან მიიღო უარყოფითი პასუხი ბინის მიღებასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ თავისუფალი საბინაო ფონდი არ არსებობდა. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. კ-ის მიერ სასამართლოში სარჩელი წარდგენილ იქნა რა 2005 წლის 19 მაისს, ამ უკანასკნელის მიერ დაცულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში დასაბუთებულია, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დაწყება (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 10 ოქტომბრის № 23/01-34977 წერილი, რომლითაც ნ. გ-ძეს ეცნობა, რომ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით ქ. თბილისში, ... ქ. № 11-ში ვ. ყ-ძის სახელზე უძრავი ქონება ირიცხებოდა 1992 წლის 30 ივლისის № 2-874 ხელშეკრულების საფუძველზე (55 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ლოჯიის სათავსო – 32,4 კვ.მ., სათავსო – 3 კვ.მ., სათავსო ლოჯიის ხარჯზე – 12 კვ.მ., ვანა-ტუალეტი – 6 კვ.მ., სამზარეულო – 3 კვ.მ., სარდაფ-სათავსო – 18 კვ.მ., ავტოსადგომი – 18 კვ.მ.).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი ძველი თბილისის რაიონის გამგეობის 2007 წლის 9 ნოემბრის № 03-14/1765 მიწერილობით ირკვევა, რომ ხსენებულ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართა ნ. გ-ძემ 1992 წლის 30 ივლისის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ ხელშეკრულებაში მითითებულ პირს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა განმცხადებლის ფანჯრის წინ მდებარე საერთო სარგებლობის აივნის 18 კვ.მ. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე განმცხადებელს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს ეკრძალებოდათ ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე (სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერ ქონებაზე, რომელზეც საკუთრების შეძენა განხორციელდა ან საკუთრების შეძენის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან გარიგებით ამ კანონის ამოქმედებამდე) საკუთრების შეძენის საფუძვლის მართლმომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება ან ნებისმიერი სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა და შემოწმება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-ძეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მხოლოდ ხანდაზმულობის მოტივით უთხრა უარი და ხანდაზმულობაზე მსჯელობისას განმარტა, რომ ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო იმისდა მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გამორიცხავს სუბიექტურ მომენტს – იცოდა თუ არა დაზარალებულმა ან უნდა სცოდნოდა თუ არა საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ როდის უნდა გაეგო მოსარჩელეს – ნ. გ-ძეს თავისი უფლების დარღვევის თაობაზე. კანონმდებელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს პირის ბრალზე, რომლის თანახმად, მან თავისი დაუდევრობის (გულგრილო-

ბის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია გარემოებები, რომლითაც გაირკვეოდა ნ. გ-ის სუბიექტური მომენტი ანუ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა სცოდნოდა თუ არა მოსარჩელეს თავისი უფლების დარღვევის ფაქტის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლისათვის აუცილებელ მომენტად და არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი.

საქმე № ბს-859-853(კ-11)

9 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დაწყება

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სარჩელი შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მ. გ-ისათვის სოფ. ...ში 889 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, 1997 წლის 30 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი № 6 მოწმობის საფუძველზე 2002 წლის 11 ოქტომბრიდან ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...ში 889 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა მ. გ-ე.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრებას სადავო ურთიერთობაზე სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გავრცელების თაობაზე, საკასაციო სასამართლო სასამართლოთა და მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საერთო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გარდა, სამოქალაქო კანონი ზოგიერთი მოთხოვნებისათვის ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს, რომლებიც შეიძლება იყო საერთო ვადაზე ნაკლები ან მეტი. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნებთან მიმართებაში ადგენს ხანდაზმულობის ექვს წელს. თუმცა, აქვე საყურადღებოა, რომ სპეციალური კანონი, კერძოდ, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი,* განსაზღვრავს, რომ მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ხანდაზმულობის ვადის დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს დროულად იზრუნონ თავიანთი უფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის. სწორედ ამით არის გამოწვეული ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას კანონმდებლის მითითება, რომ მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. თუ დადგენილი იქნება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გაკეთებული მითითება იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როცა ის ოფიციალურად გახდა ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ატარებს ძალიან ზოგად ხასიათს, არ ემყარება შესაბამის სამართლებრივ დასკვნებსა და შეფასებებს, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს ხანდაზმულობის კუთხით გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მიწის მიმართ უფლებათა გარანტირებულ დაცვასა და უძრავი

* ძალადაკარგულია 2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ქონების ლეგალური ბაზრის ფუნქციონირებას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს შექმლო თუ არა მოსარჩელეს სცოდნოდა თავისი დარღვეული უფლების შესახებ.

საქმე № ბს-1588-1547(კ-10)

13 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. საქმეში დაცული საქართველოს კონტროლის პალატის 05.03.10წ. და 16.02.10წ. ცნობებით არ დასტურდება ვალის აღიარება, ვინაიდან ცნობები ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. **ფაქტის და მოთხოვნის აღიარება არ არის იდენტური, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო მოთხოვნის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, მოპასუხის მიერ დავალიანების ფაქტის აღიარება არ ნიშნავს მისი გადახდის აღიარებას.** ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გ. ღ-ზე გაცემული ცნობები, რომლებიც შეიცავენ მის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტებია და არ წარმოადგენენ დავალიანების აღიარებას, თანხის გადახდის დაპირებას და მაშასადამე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის და მისი ათვლის თავიდან დაწყების პირობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებელი გადაწყვეტილება სამკურნალო დახმარების ანაზღაურების საქართველოს კონტროლის პალატისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

საქმე № ბს-1149-1138(კ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში ს.ფ.43-ზე წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2009 წლის 5 მარტის № 22/04-20-101-468 წერილი წარმოადგენს ვალის აღიარებას, ვინაიდან დოკუმენტში ცალსახადაა მითითებული, რომ ო. დ-ზე რიცხული სამივლინებო ხარჯების დავალიანება 468,70 ლარი აღიარებულია კრედიტორულ დავალიანებად, რომელიც შეძლებისდაგვარად იქნება დაკმაყოფილებული ბიუჯეტში თავისუფალი რესურსის წარმოშობის, ან ფინანსთა სამინისტროს მიერ დეპარტამენტისათვის ძველი დავალიანებების დაფარვის მიზნით თანხის დამატების შემთხვევაში.

საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის 2007 წლის 26 თებერვლის № 17/04-03-57-292 ცნობა იმის თაობაზე, რომ 2000-2004 წლებში ო. დ-ისათვის მიუღებელი და დაკრედიტებული სამივლინებო ხარჯები შეადგენს 468,70 ლარს, აღნიშნული დავალიანება აღრიცხულია სატყეო დეპარტამენტის ნაერთ ბალანსში და აღიარებულია შიდა ვალად, რომელიც ანაზღაურებული იქნება ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი თანხების გამოყოფისთანავე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

გემოაღნიშნული დოკუმენტების შინაარსი და სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ო. დ-ისათვის გაცემული ცნობები წარმოადგენენ დავალიანების აღიარებას, თანხის გადახდის დაპირებას და შესაბამისად ხანდაზმულობის

ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს, რაც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს აკისრებს ვალდებულებას მოსარჩელეს აუნაზღაუროს სამიველინებო თანხა-468,70 ლარის ოდენობით.

საქმე № ბს-1536-1111(კ-05)

20 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ახალი სარჩელის შეტანის ვადის დაწყების მომენტი (სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი)*

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის მიხედვით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მითითებას და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს შს სამინისტროს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტსა და ს.ს „...“ შორის მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვადებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ დავას. შესაბამისად ამ ურთიერთობის რეგულირებისას გამოიყენებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრია.

სასარჩელო განცხადებებითა და საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს (ყოფილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი) ს.ს „...“ მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის 31 მარტს, როცა შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ს.ს „...“ შენახული ნავთობპროდუქტები არ აღმოჩნდა რეზერვუარში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ამავე კოდექსის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

მითითებული მუხლის პარალელურად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის დეფინიციას რომლის თანახმადაც, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება სარჩელის შეტანის დღიდან. ხოლო ამავე კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება.

ვინაიდან პირველი სარჩელის შეტანიდან მე-2 სარჩელის შეტანამდე უდავოდ გასულია 6 თვეზე მეტი, ამ ნაწილში ცალსახა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ვერ დაუკავშირდება პირველი სარჩელის შეტანის მომენტს. თუმცა ასევე უდავოა, რომ მე-2 სარჩელის შეტანის მომენტისათვის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს დაცული აქვს 3 წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ასეთ

* აღნიშნული მუხლი განსხვავებულად განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, იხ. საქმე № ას-457-791-05, 5 დეკემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი.

პირობებში საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიის გადამოწმებას იმ თვალსაზრისით, არის თუ არა სახეზე მე-2 და მე-3 სარჩელების უწყვეტობის დადგენის კანონისმიერი საფუძველი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასარჩელო განცხადება შესულია 2002 წლის 19 ივლისს. სარჩელი განუხლიველად დარჩა 2002 წლის 24 ოქტომბერს. განჩინება სარჩელის განუხლიველად დატოვების თაობაზე მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა იმავე დღეს, რაც მხარეთა შორის სადავო არ არის. მე-3 სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2003 წლის 05 მაისს.

საკასაციო სასამართლო სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი პოზიციების შეჯერების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასატორთა არგუმენტაცია ძირითადად ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 6 თვიანი ვადის ათვლა უნდა დაუკავშირდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ოქტომბრის განჩინების ძალაში შესვლის მომენტს, ანუ ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2002 წლის 06 ნოემბრიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ვადის ათვლის შემოთავაზებულ პრინციპს და თვლის, რომ აღნიშნული ემყარება საპროცესო ნორმების არასწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში არასწორად მიიჩნევს მატერიალური ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის პროცესუალური დოკუმენტის ძალაში შესვლის მომენტთან დაკავშირებას, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროდ არ თვლის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვრცობილი მოსაზრების წარმოდგენას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის 1 ნაწილი იძლევა ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული განჩინების მოქმედებას. ამდენად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორთა არგუმენტაცია დასაბუთებული არ არის საპროცესო ნორმებით, რაც არ იძლევა მისი გაზიარების შესაძლებლობას.

საქმე № ბს-538-518(კ-10)

1 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილი)*

საქმის მასალების თანახმად, სადავო 2008 წლის 18 თებერვალს განხორციელებული 882008038511 რეგისტრაციის საფუძველს, რომლითაც ქ. თბილისში, ... ქ. № 11-ში მდებარე ბინა № 40 თანასაკუთრების უფლებით აღირიცხა ზ., ი. მ. და ნ. ჩ-შვილების სახელზე, წარმოადგენდა თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით სადავო ბინაზე არსებულ ჩანაწერში შევიდა ცვლილება და დადგინდა ბინის ბინა, ი., მ. და ნ. ჩ-შვილების სახელზე აღრიცხვა იდეალური წილით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 144.1 მუხლით, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 142.1 მუხლი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1507.3 მუხლზე, რომელიც ადგენს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ურთიერთობების მიმართ ამავე კოდექსის ნორმების გამოყენებას, თუ ისინი ახალ წესებს ითვალისწინებენ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლების ხანდაზმულობის 10-წლიან ვადას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ამგვარი გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებით სარგებლობა უფლების მომპოვებელ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს, დროში შეუზღუდავად. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას სამოქალაქო კოდექსის 144.1 მუხლზე, რამდენადაც არ არსებობს

* ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. სუსკი № ბს-644-639(კ-11), 4 ოქტომბერი, 2011 წელი.

მოცემულ შემთხვევაში მისი გამოყენების წინაპირობა. მითითებული ნორმა ფაქტობრივად განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგებს ვალდებული პირის მიერ შესასრულებელი ქმედებების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა ეხება არა მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შესრულება-შეუსრულებლობას, არამედ სასამართლოს აქტით დადგენილი უფლების აღსრულებას, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმა სამოქალაქო სამართლის, როგორც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, მხარეთა ნების თავისუფლებას ემსახურება. ანუ აღნიშნული ნორმა არეგულირებს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ნების თავისუფლებაზე დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებული პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ხანდაზმულობის ვადის გასვლის პირობებში, რაც არ ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაზე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო შებოჭილია კანონიერების პრინციპით, რაც გულისხმობს უფლებამოსილების განხორციელებას კანონის საფუძველზე და დადგენილ ფარგლებში, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით განისაზღვრება.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონის 33.2 მუხლზე, რამდენადაც მითითებულმა ნორმამ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას დაუქვემდებარა ის უფლებები, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ იყო რეგისტრირებული. მოცემულ შემთხვევაში კი, სადავო რეგისტრაცია განხორციელებულია 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას გამოიყენა სამართლის ნორმები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა ისინი, შესაბამისად არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლების რეალიზაციის ხანდაზმულობის ვადას.

საქმე № ბს-1354-1312(კ-08)

12 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დავალიანების არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის № 9/195 წერილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამართავლოს 2007 წლის 11 დეკემბრის № 1844 ცნობა; ასევე შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის № 298 წერილი, რომლითაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელის მიმართ საფინანსო სამსახურში არსებული გასაცემი დავალიანება შეადგენს 1984,16 ლარს. **საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის № 9/195 წერილი წარმოადგენს აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ ლ., შ. და გ. წ-იანების მიმართ დავალიანებები არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისი წყაროების არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება მათ მიმართ დავალიანებების ანაზღაურების საკითხის განხილვას.**

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ რომ საქმეში წარმოდგენილი ცნობები და წერილები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, ვი-

ნაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით აღიარა ლ. წიანის მიმართ არსებული დავალიანებების არსებობა, რის გამოც საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

საქმე № № ბს-261-247(კ-07)

19 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოძრავი ნივთის უძრავ ნივთად გარდაქმნა

უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსამრება იმის თაობაზე, რომ „რეზერვუარებისა“ და „ტუმბოების“ ერთობლიობით შპს „ც.-მა“ უძრავი ნივთი შექმნა. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და განმარტავს, რომ სანამ „რეზერვუარებისა“ და „ტუმბოებს“ დაამონტაჟებდა, შპს „ც.-ს“ გააჩნდა საკუთრების უფლება შესაბამის უძრავ ნივთებზე, მიწასა და შენობა-ნაგებობებზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები შესყიდული და რეგისტრირებული ჰქონდა საჯარო რეესტრში და ისინი უდავოდ უძრავ ნივთებს წარმოადგენდა. მან იყიდა ალუმინის ფურცლები, როგორც მოძრავი ნივთები და მისგან შექმნილი „რეზერვუარები“ დაამონტაჟა. ამასთან, „რეზერვუარების“ დაამონტაჟებას ან მოხსნას არანაირი ცვლილება საჯარო რეესტრში არ მოჰყოლია და მოგვიანებით აუქციონზე ისინი გატანილ იქნა, როგორც მოძრავი ქონება. თუ აღნიშნული ქონების დაამონტაჟებას ან მოხსნას მოჰყვებოდა შესაბამისი ცვლილების შეტანა შპს „ც.-ის“ კუთვნილი, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ ჩანაწერში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა „რეზერვუარები“ და „ტუმბოები“ მიჩნეულიყო უძრავ ქონებად, ანუ შპს „ც.-ის“ კუთვნილ უძრავ ქონებაში განივთვებულად. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში შპს „ც.-ზე“ რიცხული უძრავი ქონების სამოქალაქო-სამართლებრივი სტატუსი არ შეცვლილა და იგი, საჯარო რეესტრში რეგისტრირების კუთხით, უცვლელი დარჩა.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი, ხოლო იმავე კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მატერიალური ნორმების ანალიზითა და შეჯერებით განმარტავს, რომ უძრავი და მოძრავი ნივთების კლასიკური დაყოფისა და მათ შორის თვისებრივი განსხვავების შესახებ ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს უძრავი ნივთის ცნებას. ის ნივთები, რომლებიც თავისი თვისებითა და ადგილმდებარეობით შეესაბამება ხსენებული კოდექსის 149-ე მუხლით რეგლამენტირებულ დეფინიციას, ქმნის უძრავი ნივთების ჯგუფს. რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, ხსენებული კოდექსი მათ ჯგუფს მიაკუთვნებს ყველა იმ ნივთს, რომლებიც არ ითვლება უძრავ ნივთად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის (იმჟამად მოქმედი რედაქცია) თანახმად, საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომი იყო გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რეესტრში შეიტანებოდა უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. საჯარო რეესტრში შეიძლებოდა ასევე რეგისტრირებულიყო მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები. აღნიშნული მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით კი, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებების განმსაზღვრელია საჯარო რეესტრი და აღნიშნული უფლებების არსებობა დგინდება სწორედ საჯარო

რეესტრის ჩანაწერით. უძრავ ნივთზე შესაბამისი სანივთო უფლება აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და აისახოს საჯარო რეესტრის ჩანაწერში. შესაბამისად, უძრავ ნივთებთან მიმართებაში სა-ნივთო უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა და მას გააჩნია გამაძფყვეტი მნიშვნელობა, როგორც შესაბამისი უფლების არსებობის დადასტურებისთვის, ისე ამა თუ იმ ნივთის სამოქალაქო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის. აქედან გამომდინარე, ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, ერთი მხრივ, მიუთითებს ამ ნივთის უძრავ ხასიათზე, ხოლო, მეორე მხრივ, გამო-რიცხავს იმავე ნივთის მოძრავ ნივთად მიჩნევას. ნივთზე უფლების, ანუ თვით ნივთისა და მისი მესაკუთრის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არარსებობა კი, პირიქით, გამორიცხავს სანივთო უფლებას დაქვემდებარე-ბული ნივთის უძრავ ხასიათს. მოძრავი ნივთის უძრავ ნივთად გარდაქმნა იმ შემთხვევაში იქნება სახეზე, თუ შესრულდება საამისოდ აუცილებელი ზემოაღნიშნული პირობა – განხორციელდება ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია უძრავ ნივთზე შესაბამისი მატერიალური უფლების სახით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეები ძირითად აქცენტს აკეთებენ და ყურადღებას ამახვილებენ მოძრავი ნივთის უძრავის კომპლექსში ჩართვასა და ამის შედეგად ნივთის მიერ მოძრავი ნივთის თვისების დაკარგვაზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევით დადგენილია, რომ, ჯერ ერთი, შპს „ც.-ს“ მის მიერ შექმნილი მასალით არ შეუქმნია და არ უწარმოებია უძრავი ქონება და მეორეც, კონკრეტული დასაბეგრი ოპერაციებით შპს „ც.-ის“ მიერ შექმნილი და შექმნილი ქონება რეალურად და საგნობრივად არ განივთებულა შპს „ც.-სთვის“ მანამდე კუთვნილი, საჯარო რეესტრში უკვე რეგისტრირე-ბული უძრავი ქონების კომპლექსში, არ დაუკარგავს მოძრავი ნივთის თვისება და არ გაუზრდია შპს „ც.-ის“ უძრავი ქონება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოძრავი ქონების უძრავ ქონებაში ტრანსფორმაციის საკითხისადმი ასეთი მიდგომა წარმოადგენს ერთადერთ სწორ მიდგომას.

საქმე № ბს-574-552-(კ-08) 30 ოქტომბერი, 2008 წელი, , ქ. თბილისი განმარტების საგანი: მფლობელობა (სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი)

მფლობელობა მიეკუთვნება სანივთო სამართლით განსაზღვრულ უფლებებს, რომლის რეგულაციებიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 155-162-ე მუხლებში. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მფლობელობა წარმოიშვება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება მფლობელობის კონსტიტუციური ელემენტია, თუმცა მფლობელო-ბის დაცვა შესაძლებელია მოხდეს იქ, სადაც საკუთრების ვარაუდია და არა იქ, სადაც ასეთი ვარაუდი არ არ-სებობს. მხოლოდ ნივთის ფაქტობრივი ფლობა არ იძლევა საკმარის საფუძველს, მფლობელი მიჩნეულ იქნეს მართლზომიერ მფლობელად. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონო-ბას. შესაბამისად, მართლზომიერი მფლობელობა ნაწარმოები უნდა იყოს მესაკუთრის მფლობელობით.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან გამიჯნავს მფლობელობისა და საკუთრების უფლებას. მფლო-ბელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე, არამესაკუთრე, მაგრამ როგორც აღინიშნა, სავალდებულოა, მფლობელობა მომდინარეობდეს მესაკუთრისაგან, ანუ მფლობელის უკან იდგეს მესაკუთრის ნება.

საქმე № № ბს-654-626(2კ-08) 11 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი და სამოქალაქო კოდექ-სის 170-ე მუხლი)

ი. თ.-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ...-ის № 21-ში მდებარე

სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება, ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალება ქ. სოხუმის მერიისათვის.

უძრავი ქონების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის ადმინისტრაციულ ორგანოზე უზრუნველყოფის დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძველად ი. თ.-ა უთითებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველ მუხლს, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მემობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 27.12.01წ. დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილთა სტატუსი ამ სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. ხსენებული დადგენილებით სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება უზრუნველყოფილი დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება შესაბამისი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ. დადგენილების მე-8 პუნქტში აღინიშნა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო საქართველომ განაცხადა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის დებულებათა დაცვაზე, ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველომ მოიხსნა პასუხისმგებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 16.11.04წ. გადაწყვეტილების მიხედვით არ დაკმაყოფილდა მოქ. ა. თ.-ს კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის 27.12.01წ. დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების არაკონსტიტუციურობის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. თ.-ს სასარჩელო მოთხოვნის ის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მისი საკუთრებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლების უზრუნველყოფის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალებას, მართებულად არ დაკმაყოფილდა. ი. თ.-ს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება იქნებოდა არსებული ვითარებისადმი ანგარიშის გაუწევლობა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმის შესრულების დაკისრებას, რისი განხორციელებაც მას არ შეუძლია, შესრულების პირობების ანგარიშის გაუწევლობას არაფერი აქვს საერთო უფლების რეალურ დაცვასთან. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება „ყველას“ მიმართ, რათა მან უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, გულისხმობს სახელმწიფოს სუვერენიტეტს მისთვის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განხორციელოს სახელმწიფო ფუნქციები, ე.ი. გაავრცელოს თავისი იურისდიქცია სრულად-საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო სფეროში. სახელმწიფოს იურისდიქცია შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის სრულად აკონტროლებს, სადაც აქვს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად უზრუნველყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების საქმიანობა. იურისდიქციის სწორედ ასეთ გაგებას ამკვიდრებს ევროსასამართლოს პრაქტიკა („ილაშკუ და სხვები მოლდოვეთის და რუსეთის წინააღმდეგ“ პ. 312, „სანაიძე საქართველოს წინააღმდეგ“ პ. 138). სუვერენიტეტის ფორმალური გამოვლინება (აფხაზეთის ა.რ. კონსტიტუცია, მთავრობა და სხვ.) არ ადასტურებს აფხაზეთის ა.რ. ტერიტორიაზე იურისდიქციის ფაქტობრივ განხორციელებას. განსაკუთ-

რებულ გარემოებებში დაიშვება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის განხორციელების შეზღუდვა. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უცხოური სახელმწიფოს მიერ სეპარატისტული სახელმწიფოს შექმნის ხელშეწყობის, სხვა სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის ოკუპაციის შემთხვევაში („ლოზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“, „კიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“). „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აფხაზეთის ა.რ. ტერიტორია ოკუპირებულია, მასზე ვრცელდება განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც სხვა შეზღუდვებთან ერთად გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებაზე, მემკვიდრეობის გზით ქონების შექმნაზე და სხვა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება რუსეთის ფედერაციას. ვინაიდან, ეფექტური მართლმსაჯულება და ზოგადად სამართლიანობა გულისხმობს ობიექტური სინამდვილის, ტემპარატი ფაქტების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, შეუძლებელია სადავო საკითხის გადაწყვეტა იმის უგულვებლყოფით, რომ სადღეისოდ საქართველო ვერ ახორციელებს აფხაზეთის ა.რ. ტერიტორიაზე იურისდიქციას, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია აფხაზეთის ა.რ. ორგანოებისათვის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე რაიმე ქმედების განხორციელების დავალების შესაძლებლობას. შექმნილი ვითარების შეცვლასა და დევნილის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას უკავშირებს დევნილის უფლების აღდგენას „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად დევნილის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე განპირობებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით. მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციას, სახელმწიფოს არ ეხსნება ვალდებულება დევნილთა წინაშე, საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნული ნორმებით გადავადებულია მისი შესრულება. საქართველო ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ყველა ღონეს ხმარობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქციის სრულად აღდგენისათვის. საკუთრების დაცვის გადავადებით არ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს დაუსაბუთებელი და სამართლებრივად გაუმართლებელი ჩარევისაგან.

საქმე № № ბს-784-746(2კ-07)

13 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს თუ არა ვინდიკაციურ სარჩელს. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ფართის პირველად მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს, მაშინ სახეზეა ვინდიკაცია, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ხანდაზმულობის თაობაზე და აღნიშნავს: საკუთრების უფლება მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რა შემთხვევაშიც ადგილი აქვს მესაკუთრის უფლებათა სასარჩელო დაცვის აბსოლუტურობას და ხელყოფის შემთხვევაში დაცულია სავინდიკაციო სარჩელით. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

აღნიშნული ნორმა და ზემოაღნიშნული მითითებები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ვინდიკაციური სარჩელის არსებობის შემთხვევაში მესაკუთრესთან მიმართებაში დაუშვებელია მოსთხოვნის ხანდაზმულობაზე საუბარი, რის გამოც დავის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცი-

ისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, სადავო ფართი წარმოადგენდა თუ არა კასატორის (მოსარჩელის) საკუთრებას და ნივთი მისი მფლობელობიდან გასულია თუ არა მისივე ნების საწინააღმდეგოდ.

საქმე № ბს-1011-969(კ-09)

10 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის არსებით შემადგენელი ნაწილი

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1992 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ...ში განხორციელდა მიწის რეფორმა, რის შედეგადაც 1998 წელს ა. გ-ძეს-თან გაფორმდა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი № 157, რომლის საფუძველზეც ა. გ-ძეს საკუთრებაში გადაეცა 1750 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მითითებული მიწის ნაკვეთი 2000 წელს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ა. გ-ძის სახელზე და ამჟამადაც წარმოადგენს მის საკუთრებას.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ა. გ-ძის მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ნ „...“, რომლის საკუთრების უფლებაზე პრეტენზიას აცხადებს კასატორი სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო მეურნეობა, მიუთითებს, რომ სადავო აუზები ირიცხება მის ბალანსზე და აღნიშნულის დასტურადაც წარმოადგენს „...“ ტექნიკურ პასპორტს.

საქმის მასალებში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს, რომ ა. გ-ძის მიწის ნაკვეთში განთავსებული „...“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 31 იანვრის № 1-1/171 ბრძანებით შეყვანილია დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების თანდართულ ნუსხაში და დაექვემდებარა პრივატიზაციას.

სააპელაციო სასამართლომ ა. გ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთადერთ საფუძველად მიუთითა სა-მოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზედაც.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან დაკავშირებით ზოგადად ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციის მართებულობას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების ობიექტს. არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანადაა დაკავშირებული ნივთთან და როგორც წესი, იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი. რაც თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ვინც იძენს ნივთზე უფლებას, ის იძენს საკუთრების უფლებას მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არგუმენტს მოკლებულად არ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „...“ არის ა. გ-ძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი, რაც აუზებს ასევე აქცევს ა. გ-ძის საკუთრებად. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმე გამოკვლეულია არასრულყოფილად, არ არის დადგენილი საქმეზე რიგი ფაქტობრივი გარემოებები და საკითხი არ არის გადაწყვეტილი იმ საკანონმდებლო ნორმების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს კანონს „წყლის შესახებ“, რომლის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისადაც, მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამდინარე, ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას, გარდა ამ კანონის 32-ე და 34-ე მუხლებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, დავის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, ე.წ. „...“ მიეკუთვნება თუ არა წყლის სახელმწიფო ფონდს, რომლის რეგულაციებიც, როგორც ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსი ცხადყოფს, მოქცეულია მართვის განსაკუთრებულ რეჟიმში.

მითითებული კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს წყლები, მათი მიწის ზედაპირზე და წიაღში განლაგების ნიშანი, რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით, იყოფა ზედა-

პირულ და მიწისქვეშა წყლებად. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს განეკუთვნება ა) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსაცავები, აგრეთვე არხებისა და ტბორების წყლები.

იმავე კანონის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიწის მესაკუთრეს და მიწით მოსარგებლეს უფლებას ანიჭებს გამოიყენოს მის ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტები ლიცენზიის გარეშე მხოლოდ საერთო წყალსარგებლობის ფორმით, თუ ამით არ ზარალდებიან სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები და არ არის მოსალოდნელი წყლის მახასიათებლების არასასურველი ცვლილება.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ დაადგინოს და გამოიკვლიოს სადავო ობიექტები მიეკუთვნება ჩვეულებრივ სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს, რომლის გასხვისების უფლებაც მიწის ნაკვეთთან ერთად მინიჭებული აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, თუ აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, რომლის განკარგვის სპეციალურ რეჟიმს განსაზღვრავს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქმე № ბს-572-545(კ-07)

20 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, 2002 წლის 24 აპრილს ფ. ო-ზე საკუთრების უფლებით აღირიცხა 2913,697 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ-ში, რომელშიც სადავო 0.13 ჰა-ც შედის, ფ. ო-ამ იგი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა მ. გ-ზე. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი და განმარტა, რომ გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ნ. ხ-ვა წარმოადგენდა და აღნიშნული ცნობილი იყო შემძენისათვის, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. ამასთან, ლაგოდეხის რაიონის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ხ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფ. ო-ასა და მ. გ-ს შორის 2002 წლის 24 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებასა და მიწის დაბრუნებაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მ. გ-ი სადავო მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი შემძენია და საჯარო რეესტრში გამსხვისებლის სააღრიცხვო ბარათში შეტანილი არასწორი ჩანაწერი გავლენას ვერ მოახდენდა მის სანივთო უფლებაზე და ეს გარემოება საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანის საფუძველი ვერ გახდებოდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მ. გ-ზე ნაკვეთის გასხვისებისას ფ. ო-ა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, ითვლებოდა სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ და საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ შემძენისათვის – მ. გ-თვის ცნობილი იყო, რომ სადავო მიწის მესაკუთრეს წარმოადგენდა ნ. ხ-ა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, არ იმსჯელა და არ შეაფასა მხარის – აპელანტის აპელირება იმ ფაქტზე, რომ ნ. ხ-ა 1989 წლიდან თავის ნაკვეთთან ერთად ფლობდა სადავო 0,13 ჰა მიწის ნაკვეთს და მ. გ-მა იცოდა, რომ ნ. ხ-ას ოჯახს დაკანონებული ჰქონდა სადავო ფართი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულ გარემოებაზე და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად შეეფასებინა აღნიშნული გარემოება ქმნიდა თუ არა იმის წინაპირობას, რომ მ. გ-ი სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, მიეჩნია კეთილსინდისიერი შემძენად. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება,

რომ ფ. ო-ას მიერ სადავო მიწის ფართის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, მ. გ-თან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და სადავო ფართის მ. გ-ის სახელზე აღრიცხვა მოხდა ერთსა და იმავე დღეს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნულ გარემოებებზე, რის გამოც ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მ. გ-ი წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს, რადგან ლაგოდების რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ბ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფ. ო-სა და მ. გ-ს შორის 2002 წლის 24 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებასა და მიწის დაბრუნებაზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაუსაბუთებელია, რადგან ნ. ბ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, თანხმობა არ განაცხადა საქმეში მოპასუხედ მ. გ-ის ჩართვაზე, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეს და რომლის ინტერესებსაც ეხებოდა სადავო საკითხი.

საქმე № ბს-85-85(2კ-08)

29 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, უძრავი ქონების გამსხვისებლის მესაკუთრედ მიჩნევისათვის საკმარისია მისი მესაკუთრედ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სკ-ის 185-ე მუხლი იცავს მყიდველის ქონებრივ ინტერესებს, მუხლი იძლევა იმის გარანტიას, რომ თუ მყიდველმა შეიძინა უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში აღრიცხული ნივთის მესაკუთრისაგან, მყიდველი არ დაზარალდება. სკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, სკ-ის 327.1 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ. ამავე კოდექსის 328.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. საქმეში დაცულია კავშირისა და პ. გ.-ეს შორის სანოტარო წესით დამოწმებული სადავო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. სკ-ის 183.1 მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სკ-ის 311.1 მუხლის მიხედვით, რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. აღნიშნული ნორმის თანახმად, საჯარო რეესტრში შეიტანება უკვე მოპოვებული უფლება. უფლებათა რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აუცილებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მას მნიშვნელობა აქვს ბრუნვის სტაბილურობისა და მესამე პირთა ინტერესებისათვის. საჯარო რეესტრი ასრულებს მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას, სსკ-ის 312.1 მუხლის თანახმად რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. შემძენის კეთილსინდისიერება აბათილებს რეესტრის მონაცემთა შესაძლო უსწორობის მდგომარეობას. შედეგობაშია მისაღები აგრეთვე, ის გარემოება, რომ მოსარჩელეებს არ შეუტანიათ საჩივარი საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობაზე, რაც სკ-ის 312.2, 313.2 მუხლების თანახმად შექმნიდა რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ვარაუდს და შეუძლებელს გახდიდა ქონების რეალიზაციას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კავშირისა და პ. გ.-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას უძრავი ქონების გამსხვისებელი – კავშირი რეგისტრირებული იყო ქონების მესაკუთრედ, ქონების რეალიზაციის მომენტში დავა საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებით არ არსებობდა. ამდენად, შემძენს შეეძლო ჩაეთვალა, რომ გამსხვისებელი იყო ქონების მესაკუთრე. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შემძენს ჰქონდა საკმარისი საფუძველი ევარაუდა უძრავი ნივთის არამესაკუთრისაგან

შეძენა, ქონების გადაცემამდე შემძენის არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი რაიმე ფაქტი საქმეზე დადგენილი არ არის, შეძენის შემდეგ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება, საჯარო რეესტრში ქონების პ. გ.-ის სახელზე საკუთრებად აღრიცხვა არ ადასტურებს ქონების შეძენის მომენტში შემძენის არაკეთილსინდისიერებას და არ ქმნის ხელშეკრულების ბათილად ცნობის პირობას. შემძენის კეთილსინდისიერება აბათილებს საჯარო რეესტრის მონაცემთა შესაძლო უსწორობის მდგომარეობას.

საქმე № ბს-1410-1374(კ-10)

19 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალის აღიარება

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან ანაზღაურებს დავალიანებას.

საქმე № ბს-1775-1743 (კ-11)

16 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მომხსურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება (სა-მოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი)

2009 წლის 16 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა – ლ. ყ-მა მოპასუხის შპს „...ას“ მიმართ. მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 10 161,30 ლარის დაკისრებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების მიუხედავად არ მომხდარა დაცვის პოლიციის მიერ თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, მართალია, გამოიგა ბრძანება ინსპექტორის დანიშვნის თაობაზე, მაგრამ აღნიშნული ბრძანება არ გასცნობია კანონით დადგენილი წესით შესაბამის პირს და ფაქტობრივად არ აღსრულებულა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების დადებიდან მთელი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა შპს „...ას“ დირექტორის პირადი დაცვა;

მოწმე გ. ჭ-ის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგენილად მიჩნეული, რომ მას დაცვითი საქმიანობა არ უწარმოებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია სრულყოფილად და ხელშეკრულება შესულია ძალაში. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უარყოფს ან გააქარწყლებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ძირითადად მიმართულია იმ მოსაზრებისაკენ, რომ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ დანიშნული იყო დაცვის თანამშრომელი, თუმცა წარმოდგენილი არ არის

არგუმენტაცია იმის შესახებ, ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე კასატორისათვის და რეალურად განხორციელდა თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შემოადინებული გარემოების დადგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დავის გადაწყვეტის პროცესში, ვინაიდან როგორც საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან იკვეთება, სახეზეა ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რა შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მიექცეს თავად ორმხრივი ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას.

როგორც ცნობილია, ორმხრივი ხელშეკრულების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ამ ტიპის ხელშეკრულებაში თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც, ე.ი. ორმხრივი ხელშეკრულებაში შესასრულებელი ვალდებულებების ობიექტები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს შემხვედრი ვალდებულების შესრულების ზოგად წესს და განსაზღვრავს, რომ შემხვედრია ისეთი შესრულება, რომელიც ვალდებულმა მხარემ უნდა განახორციელოს კონტრაგენტისაგან შესრულების მიღების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმის ძირითადი მიზანია შემხვედრი შესრულების უფლების მქონე სუბიექტისათვის ვალდებულების შესრულებაზე თავის შეკავების ანდა საერთოდ შესრულებაზე უარის თქმის უფლების მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაგენტი არ ასრულებს საპასუხო შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა მომსახურების ხელშეკრულება (ნარდობა), რა დროსაც, როგორც წესი, ჯერ ხდება სამუშაოს შესრულება, ხოლო შემდგომ – გადახდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ორმხრივი ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მომთხოვნი მხარის მიერ შესრულებულია თავისი ვალდებულება, ან მინიმუმ ეს უკანასკნელი შეუდგა თავისი ვალდებულების შესრულებას.

მითითებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მოტივირებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან დაცვის თანამშრომლის დანიშვნის თაობაზე, ვინაიდან მოთხოვნის დასაბუთებულობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოებას, დაიწერა თუ არა ბრძანება დაცვის განხორციელების თაობაზე, არამედ იმას, ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე კასატორისათვის, გაიგზავნა თუ არა თანამშრომელი დასაცავ ობიექტზე და რეალურად განხორციელდა თუ არა მომსახურება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მისი ქმედება არ იყო ხელშეკრულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება და ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებული არ იყო მის აქტიურობაზე.

საქმე № ბს-1163-738(კ-05)

15 თებერვალი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე შეთანხმება (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ქუთაისის დაცვის პოლიციასა და შპს „თ...ს“ შორის დადებული ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად, დაცვის ვალდებულებაში შედიოდა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და არანაირი მატერიალური პასუხისმგებლობა მას ქურდობით ან ყაჩაღობით გამოწვეული ზიანისათვის არ ეკისრებოდა, ვინაიდან ხელშეკრულების 1. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული – „ობიექტის უსაფრთხო დაცვა“, შინაარსობრივად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“, რაც ნებისმიერ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით (შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება № 50, 1999წ. 3 თებერვალი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ) გათვალისწინებული ძირითადი ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებასაც მოიაზრებს, რამდენადაც სწორედ აღნიშნული დებულებაა ის ძირითადი აქტი, რომლის შესაბამისად დაცვის პოლიცია დებს ხელშეკრულებებს კონკრეტულ ფიზიკურ პირებთან და ახორციელებს მესაკუთრის ქონების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეიარაღებულ დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დაცულ ობიექტზე ატარებს სხვადასხვა სახის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთის მიზნით და ა. შ. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაცვის პოლიცია ვალდებული იყო, ემოქმედა როგორც დაცვის პოლიციის დებულების, ისე ამავე დებულებით განსაზღვრული წესით შპს „თ...თან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, ობიექტის უსაფრთხო, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის, დაცვის მიზნით. მით უფრო, რომ თავად ხელშეკრულების 1.“ბ“ პუნქტი ითვალისწინებდა, რომ „...დაცვის პოლიციის თანამშრომლებს დაევალებათ შპს „თ...ის“ შენობაში ობიექტის უსაფრთხო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა...“, ანუ ხელშეკრულებიდანაც გამომდინარეობდა, რომ დაცვის პოლიციის მოვალეობას მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ წარმოადგენდა.

გარდა აღნიშნულისა, მესამე პირთა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად სასამართლომ მიიჩნია სკ-ის 395-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება, კერძოდ, მითითებული მუხლით დადგენილია, რომ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამასთან, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ყაჩაღობის შემთხვევა (რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა) მხარეებმა პირდაპირ გაითვალისწინეს და გამომდინარე ხელშეკრულების არსიდან და მიზნებიდან, ხელშეკრულებაში გააკეთეს დათქმა, რომ პასუხისმგებლობისგან დაცვის პოლიცია გათავისუფლდებოდა, თუ ყაჩაღობა მოხდებოდა არადაცვის დროს (ანუ არასამუშაო საათებში) და დაცვისათვის შეუტყობინებლობის მიზეზით. სხვა ყველა შემთხვევაში დაცვა მატერიალურ პასუხისმგებლობას არ იხსნიდა. დადგენილია და მხარეთა დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ყაჩაღობა დაცვის სამუშაო საათებში მოხდა, ანუ იმ დროს, როცა პასუხისმგებლობა გამოწვეული ზიანისთვის ხელშეკრულებით განისაზღვრა. ზემოაღნიშნული დათქმით მხარეები ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე შეთანხმდნენ (ანუ თუ ყაჩაღობა მოხდებოდა დაცვის სამუშაო საათებში და დაცვა, მიუხედავად მცდელობისა, ვერ აიცილნენ თავიდან მატერიალურ ზიანს, გამოწვეულს ყაჩაღობით, იგი მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობდა). **კოლეგიამ მიიჩნია, რომ მხარეთა ზემოაღნიშნული შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, ვინაიდან ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს და სახელშეკრულებო ურთიერთობაში მისი დადგენა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება.** აღნიშნულის საფუძველია სკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, „თუ სხვა რამ არ არის დადგენილი და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დროს მხარე შეუძლებელი რისკის მატარებელი არ უნდა იყოს და შეთანხმება, რომლისთვისაც ამგვარი პასუხისმგებლობა დააწესეს მხარეებმა, არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ამორალური. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს ამორალურსა და მართლსაწინააღმდეგოს, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს აღიარებს.

საქმე № ბს-186-179(კ-10)

24 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირველადი შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

2007 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომცემი), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიმწოდებელი გამომცემი) კონტროლის განმახორციელებელი, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის „...“ (თანხის გამცემი) და შპს „...“ (სესხის მიმღები) შორის დაიდო ხელ-

შეკრულება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 773 განკარგულების შესაბამისად, „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, შპს „...“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიების“ დასაფინანსებლად სესხის სახით გამოეყო 453 000 ლარი (ტ. I, ს.ფ. 7). 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სესხის სარგებლობის ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის ვადით, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით სესხის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2 კვირის ვადაში, „სესხის გამოყოფისათვის“ წარედგინა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობის საბანკო გარანტია ან დაეგირავებინა ან იპოთეკით დაეტვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება (ტ. I, ს.ფ. 7-10). 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სესხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 773 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „...“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიების“ დასაფინანსებლად, საკრედიტო რესურსად 1 000 000 ლარის გამოყოფა დაევადა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სესხის მიმღები ღვინის ქარხნების შერჩევა და მათთვის საკრედიტო რესურსად გამოყოფილი თანხის სესხის სახით გაცემა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „...“ ერთად შერჩეულ სესხის მიმღებ ღვინის ქარხნებთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმება და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევადა (ტ. I, ს.ფ. 8-9).

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2008 წლის 8 იანვრის 05-03/30 წერილით, შპს „...“ დირექტორს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეცნობათ, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 773 განკარგულებისა და 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინათ საბანკო გარანტია ან დაეგირავებინათ ან იპოთეკით დაეტვირთათ შესაბამისი ღირებულების ქონება, რაც არ განხორციელებულა (ტ. I, ს.ფ. 12).

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ ფაქტს, რომ 2007 წლის 13 დეკემბერს სესხის სახით კუთვნილი თანხიდან შპს „...“ გადაერიცხა პირველი ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 101 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბერს გადაერიცხა მეორე ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 064 ლარის ოდენობით (ტ. I, ს.ფ. 13).

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დარღვეული უფლების აღდგენისათვის სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია, არ არის შესაბამისობაში მატერიალურ კანონმდებლობასთან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება,

შესრულებისათვის დადგინდეს დროში ვალდებულების შესრულებლობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებაში გამოიხატება, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუნიშნოს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. მოვალის მიერ ამ დროში ვალდებულების შესრულებლობისას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად კი ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შემოსავლებისა და სარგებელის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის მე-400, 405-ე და 352-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ სრულად იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (ტ. I, ს.ფ. 12), ხოლო მოვალის მიერ კრედიტორის გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა, მოსარჩელის მხრიდან დარღვეული სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია გამორიცხავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის კანონიერებას – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების, კერძოდ, 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის ან შესაბამისი ღირებულების ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის თაობაზე.

საქმე № ბს-1034-992(კ-09)

5 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოვალის მიერ ვადის გადაცილება (სამოქალაქო კოდექსის 400-ე მუხლი)

სკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულია, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სათანადო დროს. ვადა წარმოადგენს ვალდებულების შესრულების აუცილებელ ელემენტს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხელშეკრულება მხარეებს შორის 26.06.97წ., ათი წლის ვადით დაიდო, იმავე დღეს მეიჯარეს – ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს და მოიჯარეს – პურის სპეციალიზებული მაღაზია № ... შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებით ამხანაგობას (რომლის საფუძველზეც შემდგომში დაფუძნდა შპს „...“) შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მაშასადამე მეიჯარემ – ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა დროულად შეასრულა თავისი ვალდებულება. ვადა ხელშეკრულებაში ზუსტად, კონკრეტული ვადით (2007 წლის 26 ივნისამდე) იყო განსაზღვრული, ვინაიდან სახეზეა ხელშეკრულების დასრულების თარიღი იგი აღმკვეთი ხასიათისაა, აღმკვეთი ვადა სპობს უფლება-მოვალეობას, რადგან ამ ვადის ამოწურვასთან ერთად ილევა მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. **ვადაგანსაზღვრულ ხელშეკრულებებში, ვადა გადაცილებულად ითვლება თავისთავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომის მომენტიდან.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამინისტროს ევალეობა გამაფრთხილებელი მოქმედებების შესრულება. ასეთი მოქმედების შესრულება სამინისტროს ევალეობა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების შუალედური ვადების დაუცველობის შემთხვევაში (იხ.მაგ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 31.03.99წ. № 3/150 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-5.3 მუხ.). საკასაციო

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 26.06.97წ. ხელშეკრულება დაიდო 20.09.94წ. № 555-1ს დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, რომელიც იჯარა-გამოსყიდვის საკითხზე შემდგომში მიღებული ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის აუცილებელ პირობად არ ითვალისწინებდა შუალედური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტამდე მოიჯარის სავალდებულო გაფრთხილებას, ასეთს არც 26.06.97წ. ხელშეკრულების ტექსტი ითვალისწინებდა. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ დამატებითი ვადის დანიშვნა არ შეადგენს კრედიტორის ვალდებულებას, რადგანაც გამოკვეთილად და ნათლად განსაზღვრული დღე თავისთავად აღარ საჭიროებს შეხსენებას („დრო აფრთხილებს ადამიანის მაგივრად“). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული გარკვეული დღე, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არ არის საჭირო შეხსენება, ასეთ შემთხვევაში შეხსენება კრედიტორის უფლებას და არა მოვალეობას წარმოადგენს. სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის გადაცილებად ითვლება მოვალის მიერ ზუსტად განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება, თუ შესრულება დადგენილ დროში არ განხორციელდა. სკ-ის 400-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილება, საჭიროა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების განუსაზღვრელი ვადების პირობებში.

საქმე № ბს-1302-1287(კ-11)

25 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება (სამოქალაქო კოდექსის 400-ე და 401-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იჯარა-გამოსყიდვა ხელშეკრულების დადების მომენტში (30.06.1998 წ.) წარმოადგენდა პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას, პრივატიზება, თავის მხრივ, არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა კანონით დადგენილი წესით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მისი დადების მომენტისათვის უკავშირდებოდა სამომავლო მოქმედებათა დროში ორგანიზებას და ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულებას დროის გარკვეულ შუალედში (05 წელი), ვალდებულების შესრულების შუალედური ვადების განსაზღვრით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ესადაგება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებულ საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 08.09.1997წ., 31.03.1999წ. ბრძანებებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ დებულებების ნორმებს. ზოგადად, ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც კანონმდებლობა უკავშირებს გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომას. კონკრეტულად განსაზღვრული ვადა ემსახურება არამართო პირის დაცვას გაჭიანურებული შესრულებისგან, არამედ სამართალურთიერთობის დროში ზუსტად განსაზღვრას. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მისი მოქმედების დასრულების კონკრეტულ თარიღს, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღმკვეთი ხასიათისაა. აღმკვეთი ვადა თავის მხრივ სპობს უფლება-მოვალეობას, რადგან ამ ვადის ამოწურვასთან ერთად იღვევს მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით, ხელშეკრულების მოქმედება თავისთავად შეწყვეტილია, აღნიშნული სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებული იყო იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების ნ.3 პუნქტითაც. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის გარეშე, იგი 2003 წლის 30 ივნისიდან თავისთავად შეწყვეტილია. ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული ინტერესი იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან მიმართებით არ იკვეთება.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის

მიერ იმ მოთხოვნათა განუხრეველ დაცვას, რომელიც დაკავშირებულია შესრულების საგანთან. ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულია, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სათანადო დროს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-400 და 401-ე მუხლების დისპოზიციებიდან გამომდინარე, უმთავრესი საკითხები, რაც მოვალის მიერ ვადის გადაცილებაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, არის ის, თუ ფორმალურად რამდენად მოხდა ვალდებულების შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა და რამდენად იყო ეს დარღვევა ბრალეული. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გადაცილება დაადგინა ხსენებულ პირობებზე მსჯელობის გარეშე. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ის, თუ როდის მოხდა ვალდებულების შესრულების მიზნით ბოლო გადარიცხვა, ანუ კონკრეტულად რა მომენტში ჩაითვალა საპრივატიზაციო თანხა და საიჯარო ქირა სრულად დაფარულად (მათ სრულად გადახდას არც ერთი მხარე სადავოდ არ ხდის). შესაბამისად, დაუდგენელი დარჩა ის ფაქტობრივი გარემოებაც, მოხდა თუ არა ფორმალურად შესრულების ვადის გადაცილება. მოპასუხემ არაერთხელ აღნიშნა, რომ მან თანხის გადახდა დროულად – 30.06.03 წ. მოახდინა, თუმცა ბანკის მიერ საბანკო ოპერაციის დაგვიანებით შესრულების შედეგად თანხის ჩარიცხვა ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის ანგარიშზე რამოდენიმე დღის (3) დაგვიანებით მოხდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება უდავოდ დადგენილად ცნო, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ (16.03.2011 წ. გადაწყვეტილების 3.1.3. პუნქტი), ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომაც (02.06.2011 წ. განჩინების, 4.4. პუნქტი), თუმცა სასამართლოს არ მიუცია დადგენილი გარემოებისთვის სამართლებრივი შეფასება.

საქმე № ბს-983-941 (კ-09)

25 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დაყოვნების გავლენა ვალდებულების შესრულებაზე

იმ პირობებში, როდესაც მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოიცავს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებას, ხოლო სამუშაოს შესრულებულად ჩათვლა დამოკიდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან, შესრულებული სამუშაოს მიღების დაყოვნება (ამ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დაყოვნება) ვერ წარმოშობს შემსრულებლის პასუხისმგებლობას სამუშაოს შესრულების ვადის გადაცდენისათვის.

საქმე № ბს-529-501(კ-06)

3 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადის დაწესება (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების 5.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან „მყიდველმა“ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის 7.5. მუხლის შესაბამისად, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. ამასთან, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 2.1.“ა“ მუხლით დადგინდა პირობა, რომლითაც მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასის გადახდა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების კონტრაპენტებს შორის შეთანხმების შედეგად განსაზღვრულ პირობას. ამავე დებულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში, დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როგორც სპეციალური კანონმდებლობით – „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს

ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ 5.1. მუხლით, ასევე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობით, აუქციონზე გასაყიდი ქონების ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვრა სააუქციონო ოქმის ჩაბარებიდან 30 დღე. ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად მყიდველის – შპს „ბ. დ-ის“ ვალდებულების შესრულებისათვის მიეცა დამატებითი ვადა ან გაფრთხილება, ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის.

საქმე № ბს-299-296(კ-11)

13 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიუღებელი შემოსავლის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ი/მ ნ. მ-ს შორის 2004 წლის 20 ოქტომბერს, 5 წლის ვადით, ანუ 2009 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, დაიდო იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, დაბა ..., ... ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე ჯარისკაცთა კაფე-მაღაზია. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა ყოველწლიურად – 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2008 წლის 13 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა 2004 წლის 20 ოქტომბერს დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდა ნ. მ-ს ეკისრებოდა 2006 წლის 29 ნოემბრიდან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 28 თებერვლის 1-1/270 ბრძანებით სამინისტრომ ცალმხრივად მოშალა 2004 წლის 20 ოქტომბრის საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა აღიარებული, ხოლო ი/მ ნ. მ-მა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი 2009 წლის 23 და 24 თებერვალს მიწერილი წერილებით უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

კონკრეტულ შემთხვევაში ნ. მ-ი სარჩელით ითხოვს ვალდებულების დარღვევის (საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა) გამო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ვადაში. წინააღმდეგი შედეგი განაპირობებს მხარეთა უფლების წარმოშობას, ვალდებულების დარღვევის გამო მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ზიანის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად, რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს ვითარებას, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი წარმოადგენს როგორც მოვალის, ისე დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელ შედეგს, ამასთან, ზიანის შე-

ფასებისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე სარჩელით სხვა მოთხოვნებთან ერთად ითხოვდა 2008 წლის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ხოლო სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა „...“ მიერ 2009 წლის 13 ნოემბერს შედგენილი მიუღებელი შემოსავლის გაანგარიშების შესახებ აუდიტორული დასკვნა, რომლის მიხედვით, ი/მ ნ. მ-ის მიუღებელი შემოსავლის თანხამ 2008 წლის 13 თებერვლიდან 2009 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდის ანუ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადის მიხედვით, სულ შეადგინა 192886 ლარი /იხ.ს.ფ. 92, ტ. I/. ამასთან, უდავოდ დასტურდება, რომ ი/მ ნ. მ-ის წლიური დაუბეგრავი შემოსავალი მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით, 2005, 2006 და 2007 წლების განმავლობაში სტაბილურად კლებულობდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დაარღვია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგინილად მიჩნეული გარემოებები არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები ამ ნაწილში სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას ამ ნაწილში არ გამოუკვლევია საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, აუდიტორული დასკვნა არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილებისათვის, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რა საპირისპირო მტკიცებულებები არსებობდა აუდიტორული დასკვნის, როგორც მტკიცებულების, გაქარწყლებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა სარწმუნოდ დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რა ოდენობას შეადგენს ი/მ ნ. მ-ის მიერ 2008 წელს მიუღებელი შემოსავალი. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული, საგადასახადო ორგანოში ინდ/მეწარმის მიერ 2005, 2006 და 2007 წლებში წარდგენილი დეკლარაციები, რათა სარწმუნოდ დადგინდეს, თუ რა ბრუნვა ჰქონდა საწარმოს, იზრდებოდა თუ კლებულობდა მისი შემოსავალი სტაბილურად, საშუალოდ რა ოდენობის მოგება გააჩნდა საწარმოს 2005-2007 წლების დინამიკაში. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულებები და აუდიტორული დასკვნები სასამართლომ უნდა შეაფასოს ერთობლივად, რათა დადგინდეს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტი: რა ოდენობის თანხას შეადგენდა საწარმოს მიერ 2008 წელს მიუღებელი შემოსავალი. აღნიშნული ფაქტის დადგენის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, ექვემდებარება თუ არა 2008 წლის მიუღებელი შემოსავალი ანაზღაურებას და თუ ექვემდებარება, რა ოდენობით, ამასთან, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ოდენობის მიყენებული ზიანი, მხარეთა ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის.

საქმე № ბს-1580-1509 (კ-09)

16 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირგასამტეხლო (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის და პირგასამტეხლოს თაობაზე და დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამო-

სიღება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდეგინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს. ასევე, პირგასამტეხლოს ამ სახის – ჯარიმის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში გადახდის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში, გათვალისწინებულია პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე /ხელშეკრულების 7.4.პუნქტი/.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიზნებს, რომლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ა. რ-შვილის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმვა და შეუსაბამოდ მაღალი მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

საქმე № ბს-580-548(კ-05)

11 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბეს ორმაგად დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ქირავნობის ხელშეკრულების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს დამქირავებლისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა. უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა ნიშნავს იმას, რომ დამქირავებელს გადაეცემა ხარვეზისაგან თავისუფალი ნივთი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, ჯეროვანი შესრულებისათვის აუცილებელი მოთხოვნა არ ჩაითვლება განხორციელებულად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სიკეთის მიღება კასატორმა ვერ შესძლო იმის გამო, რომ ფართი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და შემდგომაც დაკავებული ჰქონდა მე-3 პირს, რომელიც მითითებულ ფართზე აცხადებდა საკუთარ პრეტენზიას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, ვალდებულების დარღვევა უარყოფით სამართლებრივ შედეგს იწვევს იმ მხარის მიმართ, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულების პირობები. წინამდებარე შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი აქვს ხაშურის ქონების მართვის სამმართველოს მხრიდან, ამასთან საკასაციო სასამართლო სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი შეუსაბამოდ მიიჩნევს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულების ბრალეულ დარღვევას და განმარტავს, არ არის სავალდებულო ადგილი ჰქონდეს ვალდებულების განზრახ ბრალეულ დარღვევას, ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებისათვის საკმარისია სახეზე იყოს გაუფრთხილებელი ბრალი, რასაც, საკასაციო სასამართლოს აზრით, უდავოდ ჰქონდა ადგილი მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან, ვინაიდან ის, როგორც ქონების მესაკუთრე ვალდებული იყო, სცოდნოდა ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა და მოეხდინა მისი თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა. ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 423.2 მუხლით გათვალისწინებული გარემოება, რაც პროცესუალურ მოწინააღმდეგეს ავალდებულებს ბეს დაბრუნებას ორმაგი ოდენობით.

საქმე № ბს-206-198(კ-10)

27 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 477.1 მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. გარდა აღნიშნულისა, მითითებული ნორმა მისი გამოყენების პირობებშიც, ვერ ვახდება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ საბუთების წარუდგენლობის მოტივით, რადგან სამოქალაქო კოდექსის 477.1 მუხლი ადგენს გამყიდველის მოვალეობას ქონებასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემაზე, რასაც კანონმდებლობა უკავშირებს საბასუხო შესრულებას, მაგრამ ქონებასთან დაკავშირებულ საბუთებად მოიაზრება ის დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ქონებასთან იმგვარად, რომ მათ გარეშე შეუძლებელი ხდება ქონების გამოყე-

ნება ან განკარგვა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ სახის დოკუმენტებად ვერ იქნება განხილული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

საქმე № ბს-193-182(კ-07)

17 ოქტომბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ქირავნობის საგანზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი)

რაც შეეხება მოთხოვნაში წარმოდგენილ პირველ საფუძველს, გაწეული კაპიტალური რემონტის ხარჯების ანაზღაურებას, საკასაციო სასამართლო მითითებულ მოთხოვნას მიიჩნევს ხანდაზმულად და თვლის, რომ არ არსებობს მისი საფუძვლიანობის შემოწმების აუცილებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს რა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. როგორც მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი ვადები, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს სპეციალურ ვადებსაც, რაც განპირობებულია ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობით და იმ გარემოებით, რომ ზოგ შემთხვევაში სადავო გარემოების სრულად და უტყუარად დადგენა შესაძლებელია დროის შედარებით მცირე ფარგლებში. მოთხოვნის სპეციალური ხანდაზმულობის ვადას ადგენს სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს, წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ზიანის ანაზღაურების გამო, გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

მითითებული მუხლი ნივთის შეცვლის ან გაუარესების შემთხვევაში აწესებს ზიანის ანაზღაურებაზე როგორც დამქირავებლის, ასევე გამქირავებლის მოთხოვნის სპეციალურ ვადას. ამდენად, აღნიშნული ნორმა ქირავნობის შეთანხმებიდან წარმოშობილი ვალდებულებით – სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის მხოლოდ ორ – გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების შემთხვევისას ადგენს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებს. ამ ნორმის განმარტებისას მხედველობაშია მისაღები მისი მეორე ნაწილიც, რომელიც განსაზღვრავს პირველ ნაწილში მითითებული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტს და აწესებს, რომ დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის (და არა საპრეტენზიო) ვადის დენა იწყება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

დადგენილია, რომ ზ. პ-ემ 2004 წლის 6 მაისს კვლავ მიიღო კონკურსში მონაწილეობა, რაც უდავო დასტურია იმისა, რომ მითითებული თარიღისათვის მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი. სარჩელი ზ. პ-ის მიერ სასამართლოში აღძრულია 2005 წლის 24 ნოემბერს, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ კასატორმა გაუშვა სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის ნ-თვიანი ვადა.* იმავე სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამის-

* აღნიშნული ნორმა განსხვავებულად განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ (იხ. სუსგ N ახ-169-163-2011, 23 ივნისი, 2011 წელი).

სად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების არსებობის მიუხედავად, მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც უნდა იქცეს ზ. პ-ის სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად.

საქმე № ბს-754-720(კ-07)

15 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იჯარის ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულება

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის – ა. ს-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 1998 წლის 27 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულების მოშლა და მოპასუხისათვის საიჯარო დავალიანების – 1790,05 აშშ დოლარის, ასევე „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 1997 წლის 8 სექტემბრის დებულების 6.2 მუხლის შესაბამისად, ჯარიმის – საპრივატიზებო ღირებულების 10%-ის ოდენობით გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება; ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის ქონების მართვის დეპარტამენტსა და ა. ს-ეს შორის 1998 წლის 27 თებერვალს დადებული საიჯარო ხელშეკრულება, ა. ს-ეს დაევალა 2328 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში საიჯარო ქირის დავალიანებისა და ჯარიმის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები: ხელშეკრულების 6.4 მუხლის თანახმად, თუ საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 1997 წლის 8 სექტემბრის დებულების 6.2 მუხლის შესაბამისად, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარელებულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდება საიჯარო ქონების საბოლოო ფასის 10%-ით. საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, დადასტურდა, რომ 2007 წლის 15 თებერვალს ა. ს-ემ გადაიხადა ჯარიმა 613 ლარი. შესრულებული მოქმედებანი თავისი იურიდიული ბუნებით ფაქტობრივად საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების აღიარების ტოლფასი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე ა. ს-ემ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების საპრივატიზაციო ღირებულებისა და საიჯარო ქირის დავალიანებები სრულად დაფარა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია მიიღო თუ არა ვალდებულების შესრულება მოიჯარემ – თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ. **ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მეიჯარის მიერ ვალდებულების შესრულება მხოლოდ ვადის დარღვევით არ წარმოადგენს ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებად მიჩნევის საფუძველს.**

საქმე № ბს-1090-1042(კ-07)

28 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საიჯარო პერიოდთან დაკავშირებით და ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას ხელშეკრულების შეწყვეტის 3-თვი-

ანი ვადის დაცვის აუცილებლობის თაობაზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ ქირავნობის ხელშეკრულების წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამავე კოდექსის 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, მაგრამ იმავე კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, კასატორის ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლის I ნაწილზე, რომელიც ქირავნობის წესებისაგან განსხვავებით, მოიჯარისათვის ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებულ რეჟიმს. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მოიჯარის მოთხოვნით, რასაც ადგილი აქვს წინამდებარე შემთხვევაში, მაგრამ ასეთ ვითარებაში მოიჯარე ვალდებულია, შეარჩიოს თავისი შემცვლელი მოიჯარე, რომელიც თანახმა იქნება, გააგრძელოს საიჯარო ურთიერთობა უკვე არსებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ამასთან მითითებული მოიჯარე მისაღები უნდა იყოს მეიჯარისათვის.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, განსაზღვრული ვადით დადებულ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, უსაფუძვლოდ მიიჩნევს სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლის შეფარდებას და თვლის, რომ კასატორის არგუმენტაცია ამ თვალსაზრისით მოკლებულია სამართლებრივ მოტივაციას.

საქმე № ბს-381-369(კ-10)

21 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემაზე (სამოქალაქო კოდექსის 489-ე და 490-ე მუხლები)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის № 1-1/1895 ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურ-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსათვის ს. ტ-შვილის მიერ შეძენილი ქ. ბორჯომში, ... ქ. № 7-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლების დავალება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ს. ტ-შვილის სარჩელზე უარის თქმის მოტივად იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ვინაიდან სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ითხოვდა აუქციონზე შეძენილი ქ. ბორჯომში, ... ქუჩა № 7-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლებას, ხოლო რეალურად მას შეძენილი ჰქონდა ქ. ბორჯომში, ... ქუჩა № 9-ში მდებარე შენობა, სარჩელი ვერ დაკმაყოფილებოდა.

საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სარჩელში არასწორად მითითებული მისამართის გამო, იმ პირობებში როდესაც საქმის მასალებითაც დასტურდება და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ს. ტ-შვილის მიერ აუქციონზე შეძენილი და სს „...“ მფლობელობაში არსებული ყოფილი ... სამორიგეო შენობა წარმოადგენს ერთსა და იმავე ობიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შევიწროებული, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. ტ-შვილის მიერ სასარჩელო განცხადებით სადავოდ გამბდარი, მის მიერ აუქციონზე შექმნილი და სს „...“ სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს ერთსა და იმავე ობიექტს, კერძოდ, ქ. ბორჯომში, ... ქუჩა 9-ში მდებარე ერთსართულიან შენობას (ყოფილი ... სამორი-გეო). აღნიშნული ფაქტი საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს საქმეში მონაწილე ადგილობრივ-მა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურმა, ასევე სს „...“. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოებს არსებითად უნდა განეხილათ სასარჩელო მოთხოვნები და ზემოაღნიშნული მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებელი იყო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის № 347 წერილით ს. ტ-შვილს განემარტა, რომ მის მიერ ქ. ბორჯომში, ... ქ. № 9-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის აუქციონის წესით შექმნა მოხდა კანონის სრული დაცვით და მას მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. აღნიშნული აქტი მოსარჩელემ გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, რომლის 2008 წლის 15 სექტემბრის № 1-1/1895 ბრძანებით ს. ტ-შვილს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოების დასაბუთებას, რომ ს. ტ-შვილს გადაეცა უფლებრივად უნაკლო ნივთი და აღნიშნავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის არსებობა არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ პირს, კანონით დადგენილი წესით, გადაეცა უფლებრივად უნაკლო ნივთი. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მისთვის ქონების ფაქტობრივი გადაცემა დადგენილი წესით არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. ბორჯომში, ... ქ. № 9-ში მდებარე შენობა 2007 წლის 29 ივნისს დარეგისტრირდა და სს „...“ საკუთრებად, ასევე დადგენილია, რომ იგი საკუთრების უფლებით ფლობს და განკარგავს ხსენებულ ქონებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამავე კოდექსის 487-ე მუხლის საფუძველზე კი გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლში განმარტებულია ნივთის უფლებრივი და ქონებრივი ნაკლი, რომლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არარსებული უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ითვალისწინებს გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის სამართლებრივ შედეგებსაც, კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 490-ე მუხლის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შესაბამოდ დიდ ხარჯებს, ხოლო ამავე კოდექსის 491-ე მუხლი კი ითვალისწინებს მყიდველის შესაძლებლობას

ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მყიდველისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა. უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა ნიშნავს იმას, რომ მყიდველს გადაეცემა ხარვეზისაგან თავისუფალი ნივთი. როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სიკეთის მიღება კასატორმა ვერ შეძლო იმის გამო, რომ შენობა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და შემდგომაც დაკავებული აქვს მესამე პირს – სს „...“. ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ კასატორს გადაეცა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობების დარღვევას. ამდენად, მოსარჩელეს გააჩნია კანონით მინიჭებული უფლება მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, კერძოდ, უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა, ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს სადავო საკითხი, ვინაიდან აღნიშნული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის № 1-1/1895 ბრძანება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის № 347 აქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ადეკვატურად უნდა იმსჯელონ მოსარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შესახებ და დააკმაყოფილონ ს.ტ-შვილის მოთხოვნა უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ნაკლის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში, იმსჯელონ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე, ანუ ხელშეკრულებით მიღებული შესრულების – თანხის დაბრუნების თაობაზე.

საქმე № ბს-153-149(კ-08)

7 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთის ნაკლის გამო პრეტენზიის განუცხადებლობის შედეგი (სამოქალაქო კოდექსის 538-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას იჯარით გაცემული ფართის ნივთობრივი ნაკლის თაობაზე და აღნიშნავს შემდეგს: საქმეში (ს.ფ. 7) წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო გადასცემს, ხოლო თ. ნ-ე იბარებს ქ. ქუთაისში, გამზ. № 9ბ-ში მდებარე 60,72 კვმ არასაცხოვრებელ ფართს.

იმავე საქმეში (ს.ფ. 33-ზე) დაცულია ექსპერტის დასკვნა, რომელშიც საუბარია ობიექტში არსებულ ანტი-სანიტარიამე, სახურავსა და სართულებს შორის არსებული იატაკის არაფარგისიანობაზე. საგულისხმოა, რომ აქტი არ შეიცავს მითითებას იმ სახის ნაკლზე, რომლის შემჩნევაც შეუძლებელია ვიზუალური დათვალიერების შედეგად.

სამოქალაქო კოდექსის 538-ე მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისათვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ აცხადებს პრეტენზიას ამის გამო, მაშინ მას არ წარმოეშობა 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება (ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების უფლება).

ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს კასატორი და ქონების გადაცემის მომენტში ნივთის ნაკლთან დაკავშირებით არ აცხადებს პრეტენზიას, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დასკვნას, რომ მოიჯარისათვის იმთავითვე იყო ცნობილი აღნიშნული ნაკლის თაობაზე, რაც მას მოცემულ ეტაპზე ართმევს პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობას.

საქმე № № ბს-738-732(კ-11)

29 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სა-
იჯარო ქონების დაუბრუნებლობის სამართლებრივი შედეგი (სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლი)**

ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 30.05.97წ. კანონის 7.6 მუხლი იმპერატიულად ადგენდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთი ფორმის – იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 წლის ვადაში თანხის გადახდას. შესაბამისად მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხელშეკრულების მოქმედების ათწლიან ვადას – 1997 წლის 31 ივლისიდან 2007 წლის 31 ივლისამდე, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლებოდა (ხელშეკრულების 5.3. პუნქტი). ამდენად, ხელშეკრულება ვერ გაითვალისწინებდა პრივატიზების ვადის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას, ასეთი დებულება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო იქნებოდა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ ქონებით სარგებლობა არ ადასტურებს იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით განახლებას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივებას, იჯარა-გამოსყიდვის უფლება განეკუთვნებოდა საჯარო მოწესრიგების სფეროს, კანონმდებლობა უძრავი ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გამოსყიდვას ითვალისწინებდა მხოლოდ დროის განსაზღვრულ ვადაში, გამოსყიდვის მაქსიმალური პერიოდი შეადგენდა 10 წელს, სწორედ ეს მაქსიმალური ვადა იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მიუხედავად ამისა მხარემ დადგინდა ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის – იჯარა-გამოსყიდვის ფართზე საკუთრების მოწმობის გაცემის მოთხოვნის მიმართ სასამართლოს მიერ სკ-ის 559.2 მუხლის გამოყენებლობა არ ქმნის საკასაციო პრეტენზიის გაზიარების შესაძლებლობას, ვინაიდან იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით განახლებას არ ადასტურებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ ქონებით სარგებლობა (26.12.1964წ. სკ-ის 274-ე მუხ., 26.06.97წ. სკ-ის 559-ე მუხ.). შპს „მ...“ მიერ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ, 2010 წელს გადახდილი ქონების გამოსასყიდი თანხის პროპორციულად მოპასუხის მიერ მოთხოვნილი ქონებით სარგებლობისათვის გადასახდელი იჯარის ქირის ოდენობის შემცირება არ ქმნის ქონების გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივების შესაძლებლობას. უკვე აღინიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ქონების გამოსყიდვის უფლება უპირობოდ წყდებოდა. მიუხედავად ამისა მოიჯარის მიერ იჯარის საგნით სარგებლობისათვის ქირის მოთხოვნა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, სკ-ის 591-ე და 567-ე მუხლების თანახმად მართებულია, ვინაიდან მოიჯარეს ეკისრება დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა ზიანის ანაზღაურების სახით (სკ-ის 567-ე მუხ.), საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ მოიჯარის მიერ დათქმულ დროში საიჯარო ქონების დაუბრუნებლობა აკისრებს მოიჯარეს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო ქირა გადაცილებული დროის მიხედვით (სკ-ის 591-ე მუხ.).

საქმე № ბს-1201-1027-კ-04

1 მარტი, 2005 წელი, , ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სესხის ხელშეკრულების დადება (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 28.09.99წ. ს-მ ტენდერში გამარჯვებულ სს „ჭ-თან“ გააფორმა სესხის ხელშეკრულება სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ფინანსური გარანტიების გათვალისწინებით. ხელშეკრულებით განისაზღვრა ხელშეკრულების საგანი, სესხის გაცემისა და დაბრუნების პირობები, მიზნობრიობა, სესხით სარგებლობის საპროცენტო გადასახადი, სესხის უზრუნველყოფის ფორმა, მსესხებლის ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეცვლისა და შეწყვეტის წესი, განსაკუთრებული და დამატებითი პირობები, ხელშეკრულება დადებულია თანმყოფ პირებს შორის და ხელმოწერილია მათ მიერ.

სკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ჭ-სა“ და ს-ს შორის № 13 ხელშეკრულება სკ-327-ე და 624-ე მუხლების მიხედვით დადებულად ითვლება.

სკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საკუთრებაში გადაცემა არ წარმოშობს ყველა შემთხვევაში ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ვალდებულებას. სკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთის გადაცემად ითვლება არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად. განსახილველ შემთხვევაში სს „ჭ-ს“ თანხა არ გადასცემია პირდაპირ მფლობელობაში, მაგრამ გადაეცა საკუთრების უფლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სესხი შპს „ს-ის“ ანგარიშზე სს „ს. ბ-ის“ ფილიალში ჩაირიცხა, თანხები ს-ის სადეპოზიტო ანგარიშიდან გაიციმოდა ყურძნის შესყიდვის დანომრული ქვითრის წარმდგენზე. ქვითარი დამოწმებული იყო სს „ჭ-ს“ ბეჭდით და ადასტურებდა, რომ მან ჩაიბარა მითითებული ოდენობის თეთრი ყურძენი, რომლის საფასურიც მის საკუთრებაში (და კორპორაციის მფლობელობაში) არსებული თანხიდან იფარებოდა. ამდენად, სს „ჭ.“ განკარგავდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თანხის განკარგვის ამგვარ ფორმაზე მხარეებს არ უდავიათ, მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა განსხვავდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობისაგან, სახეზეა სესხის სპეციფიური ნაირსახეობა-კრედიტი, რომლის პირობებში ფულადი სახსრები, როგორც წესი, უნაღდო წესით გაიციმა. მსესხებელს ფულადი სახსრები უნდა გამოეყენებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისთვის (მხოლოდ საქართველოს მოსახლეობიდან (გლეხებისაგან) მხოლოდ თეთრი ყურძნის შესაძენად, შეძენილი ყურძენი უნდა გადამუშავებულიყო იმ ქარხნებში, რომლებშიც მსესხებელი ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს, ან ქარხანა მის საკუთრებაში იმყოფება), ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს არ ჰქონდა უფლება, რაიმე სხვა დანიშნულებით გამოეყენა კრედიტის თანხა. მოცემულ შემთხვევაში, ფულადი სახსრების გაცემის ზემოაღნიშნული წესი განპირობებული იყო საკრედიტო თანხების გამოყენების მიზნობრიობის უზრუნველყოფად. ამდენად, შეთანხმებასთან ერთად რეალურად გადაცემულ იქნა სესხის საგანი, შესაბამისად უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა.

საქმე № ბს-1402-1385(კ-11)

19 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მარწმუნებლის გარდაცვალების შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე, რომ ვ. კ-მ სიცოცხლეშივე-2002 წლის 27 დეკემბერს ო. ბ-ის სახელზე გაცემული რწმუნებულებით გამოხატა ნება განქორწინების მოწმობის აღების თაობაზე; ხოლო თავად ო. ბ-მა მინდობილობის

საფუძველზე იმავე დღესვე მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განქორწინების მოწმობის აღების მიზნით. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2002 წლის 28 დეკემბრის თარიღით, მაშინ როდესაც ვ. კ – ცოცხალი იყო, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მე-2 განყოფილებაში წარსადგენად გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, განქორწინების მოწმობის მისაღებად. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ვ. კ-ს სიცოცხლეში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განქორწინების მოწმობის აღების მიზნით. აქედან გამომდინარე, ო. ბ-ი უფლებამოსილი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გაეგრძელებინა დავალებული მოქმედების შესრულება.

საქმე № ბს-1275-1239(კ-10)

21 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მესამე პირის მიერ მინდობილი ქონების დაზიანების შემთხვევაში მინდობილი მესაკუთრის უფლებამოსილება (სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლი)

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 1 სექტემბერს 14 საათზე ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში, თელეთის მხრიდან ქვემო ფონიჭალის მიმართულებით მოძრაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანა „კრამი“ სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა მძღოლი რ. ბ-ევი. მსვლელობისას, როდესაც მიუახლოვდა აღნიშნული ქუჩის მონაკვეთს, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27.1 მუხლის მოთხოვნები, გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი და შეეჯახა საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა დაცვით მოძრავ გ. ნ-იანის მართვის ქვეშე მყოფ ავტომანქანას ოპელ „ასტრას“ სახელმწიფო ნომრით შეჯახების შედეგად ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს ტ. ნ-იანმა და რ. ბ-იანმა, ხოლო ავტომობილის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1375 ლარი, ავტომანქანის სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანის ხარჯმა 152 ლარი, ხოლო ევაკუატორის მომსახურების ხარჯმა – 80 ლარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ ევაკუატორის მომსახურების – 152 ლარი და საჯარიმო სადგომის ხარჯი – 80 ლარი არ წარმოადგენს მოსარჩელე ბ. ნ-იანის მიერ გადახდილ თანხას, რის გამოც არ არსებობს აღნიშნული თანხების, როგორც მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი. საქმეში წარმოდგენილი შპს „...“ მიერ 2009 წლის 2 სექტემბერს გაცემული ცნობითა და 2009 წლის 4 სექტემბრის შემოსავლის № 1 ორდერით დასტურდება აღნიშნული ხარჯის გაღების ფაქტი, ხოლო ის გარემოება, რომ თანხების შემტანი პირი სერვისცენტრსა და საბანკო დაწესებულებაში არის არა უშუალოდ მოსარჩელე ბ. ნ-იანი, არამედ გ. ნ-იანი, არ გამოირიცხავს გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას, რამდენადაც კასატორს არ დაუსაბუთებია და დაუდასტურებია ის გარემოება, რომ გ. ნ-იანი მოცემულ შემთხვევაში არ მოქმედებდა მოსარჩელის სახელითა და ხარჯით და ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არც საქმის მასალები იძლევა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდისა და დაუსაბუთებლობის მოტივით ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ ბ. ნ-იანი ავტომანქანას ფლობდა რა საკუთრების მინდობის საფუძველზე, მას არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირობებში, როდესაც ავტომანქანის მესაკუთრე – გ. კ-შვილი არ გამოხატავდა ამგვარ ნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის შესაბამისად, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. ამავე კოდექსის 728-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მინდობილი მესაკუთრე სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებით და ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ მინდობილი მესაკუთრე მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობებში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით, რაც მატერიალური უფლებაა და არა პროცესუ-

ალური. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მატერიალური მოთხოვნის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალურ ფორმას სწორედ სარჩელი წარმოადგენს.

საქმე № ბს-455-434(2კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ექსპედიციის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლი)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის შესაბამისად, ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროცენტი. ექსპედიტორის მიმართ გამოიყენება დავალების წესები, თუ სატრანსპორტო ექსპედიციის თავიდან სხვა რამ არ გამოიძინა-რეობს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ექსპედიტორი გამოდის შუამავლის როლში გადაზიდვასა და მის კლიენტს შორის. სწორედ მითითებული ფაქტორი განაპირობებს ექსპედიციის გამოყენების სფეროსა და ექსპედიტორისა და შემკვეთის ფუნქციებს. საექსპედიტორო მომსახურებით გამგზავნი და მიმღები თავისუფლდება ტვირთის გადაზიდვის პროცესის ორგანიზებისა და მისი თანხლები ოპერაციებისაგან. შესაბამისად, ექსპედიტორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპედიცია, როგორც სატრანსპორტო გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება, ხშირად ითავსებს გადაზიდვის ხელშეკრულების ელემენტებსაც, რის გამოც სამართლის თეორიაში, ისევე როგორც პრაქტიკაში განასხვავებენ ექსპედიციის ხელშეკრულების ორ სახეს: კონსესუალურ ხელშეკრულებას და რეალურ ხელშეკრულებას. პრინციპული განსხვავება, რაც ამ ორი ტიპის ხელშეკრულებას გამიჯნავს, გახლავთ ის, რომ კონსესუალური ხელშეკრულების დროს ექსპედიტორის ფუნქცია შემოფარგლება მხოლოდ საექსპედიტორო მომსახურების გაწევს ორგანიზებით, მაშინ როდესაც რეალური ხელშეკრულების არსებობის პირობებში, ექსპედიტორი ახორციელებს მომსახურებას გადაცემულ ტვირთზე.

საქმე № ბს-435-371-კ-04

7 ოქტომბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების დროს (სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სალონის პრივატიზების ბათილად ცნობის შესახებ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სახელმწიფო ქონების მართვის გორის სამმართველო ვალდებული იყო, ი. მ.-ისათვის დაებრუნებინა საპრივატიზებო თანხა 21500 აშშ დოლარი და სკ-ის 981-ე მუხლის თანახმად, აენაზღაურებინა ზიანი. ამიტომ სასამართლომ 2000წ. მარტიდან (გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა) 2001წ. 25 ივლისამდე (დაბუსტებული სარჩელის აღძვრა) გასულ 16 თვეზე სახელმწიფო ქონების მართვის გორის სამმართველოს ზიანის ანაზღაურების სახით დააკისრა დასაბრუნებელი თანხის 3%, რამაც სულ შეადგინა 10320 აშშ დოლარი, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან:

ა) გორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 14 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ი. მ.-ის მიერ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის პრივატიზება. როგორც სადავო პრივატიზების განხორციელებისას მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) 48-ე მუხლის, ასევე ამჟამად მოქმედი სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გარიგების ბათილობას შედეგად მოჰყვება ორმხრივი რესტიტუცია და მხარეები ვალდებული არიან, დააბრუნონ ის, რაც ამ ბათილი გარიგებით მიიღეს. მაგრამ გორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 14 მაისის გადაწყვეტილებაში პრივატიზების ბათილობის სამართლებრივი შედეგი განსაზღვრული არ არის და სასამართლოს მხარეებისათვის არ მიუთითებია რესტიტუციის შესახებ;

ბ) საქმეში არ არის წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულება და ი. მ.-ც განმარტავს, რომ გორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 14 მაისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (2000წ. მარტიდან) სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე წერილობითი ფორმით არ მიუმართავს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსათვის საპრივატიზაციო თანხის, 21500 აშშ დოლარის, დაბრუნების შესახებ, არამედ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერ დაპირებებს, რაც სამმართველოს მხრიდან არ შესრულდა.

საკასაციო პალატა ადასტურებს, რომ გორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 14 მაისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ი. მ.-ს რესტიტუციის საფუძველზე წარმოეშვა ბათილი პრივატიზაციის დროს გადახდილი თანხის, 21500 აშშ დოლარის, მოთხოვნის უფლება, მაგრამ რადგან მან ვერ წარმოადგინა სახელმწიფო ქონების მართვის გორის სამმართველოსათვის ამ მოთხოვნით მიმართვის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება და ამ მოთხოვნით მიმართვის ფაქტი დაუსაბუთებელია, საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ვადაგადაცილებულ 16 თვეზე 3% დარიცხვით, 10320 აშშ დოლარის ი. მ.-ისათვის ანაზღაურების შესახებ უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან, როგორც აღინიშნა, გორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 14 მაისის გადაწყვეტილებას პრივატიზაციის ბათილობის სამართლებრივი შედეგი არ განუსაზღვრავს, შესაბამისად, არც უსაფუძვლოდ მიღებული ქონების (21500 აშშ დოლარის) დაბრუნების ვადა დაუდგენია და რაც მთავარია, არც ი. მ.-ს მიუმართავს დადგენილი წესით სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსათვის 21 500 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნით, მან პირდაპირ სასარჩელო წესით მოითხოვა საპრივატიზაციო თანხის დაბრუნება.

საქმე № ბს-300-293(კ-08)

24 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 981-ე მუხლები)

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გ. ჯ-შვილისა და ც. ჯ-შვილისათვის 4000 ლარის ნაცვლად 18 514 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, სს „...“ აქციათა 31%-ის გაზრდილი ღირებულების დაბრუნების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში ფიზიკურმა პირებმა იმ ვალდებულების შესრულების მიზნით გადაიხადეს სადავო თანხა, რომელიც აღარ არსებობს გარიგების ბათილობის გამო. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებენ ვალდებულ პირს კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდომარეობის აღდგენას. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას განსახილველი დავის სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილების საფუძველზე გადაწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ და კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს უარი არ უთქვამთ ხელშეკრულებაზე. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.09.2000წ. № 1-3/622 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სს „...“ აქციათა პრივატიზება ნულოვან აუქციონზე, რისი სამართლებრივი შედეგიც არის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ვითარების აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მხარეებს ერთმანეთის მიმართ კანონით ზუსტად განსაზღვრული მოთხოვნის უფლება გააჩნიათ. სამოქალაქო კოდექსის 979.1 მუხლის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. ამავე კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ამავე ნორმის მე-2 წინადადებით განსხვავებულად არის მოწესრიგებული ფულის დაბრუნების პირობები. კანონი ითვალისწინებს ფულად ვალზე პროცენტის გადახდას. ასეთ შემთხვევაში სარგებლის მიუღებლობაში მოვალის ბრალის დადგენას სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. აღნიშნული გამომდინარეობს ფულადი ქონების თავისებურებებიდან, რაც განსხვავდება სხვა ქონებრივი ობიექტებისაგან. ფულად საშუალებებს

ყოველთვის შეუძლია სარგებელი მოუტანონ მის მესაკუთრეს. უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება არმიღებული ქონების ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.07.99წ. გადაწყვეტილებით სს „...“ ნულოვან აუქციონზე გასაყიდ ობიექტთა სიაში შეტანა არაკონსტიტუციურად ჩაითვალა იმის გამო, რომ საწარმოს ნულოვან აუქციონზე გატანისას „...“ საქციო საზოგადოებად დარეგისტრირებული არ იყო და არც მისი აქციები არსებობდა(ტ.1 ს.ფ. 137). ამდენად, მოპასუხისათვის ხელშეკრულების ხარვეზის არსებობა ცნობილი უნდა ყოფილიყო აუქციონის ჩატარების დროს, რის გამოც, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სადავო თანხაზე დასარიცხი პროცენტის ანაზღაურება უნდა დაეკისროს თანხის გადაცემის მომენტიდან. ამასთანავე, საქმეზე არ არის დადგენილი მოსარჩეელების მიერ თანხის გადაცემის მომენტი, აგრეთვე მოპასუხის მიერ აქციების შესაძენად გადახდილი თანხის დაუბრუნებლობის ფაქტი.

საქმე № ბს-963-924(3კ-07)

8 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სხვა პირის ქონებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია ც. მ-ის თანხის დაკისრების შესახებ ა. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და არ არსებობს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, ც. მ-ის თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, რადგან მითითებული ნორმის თანახმად, დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულება წარმოიშვება იმ პირის მიმართ, ვის ქონებაზეც მოხდა ხარჯების გაწევა. სამოქალაქო კოდექსის 183.1 მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემდენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ა. მ-ის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების პირობა სახეზე არ არის, რადგან ც. მ-ეს მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული არა აქვს საჯარო რეესტრში.

საქმე № ბს-378-367 (კ-13)

14 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩოს ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი)

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ამდენად, მ. გ-ს, როგორც ნ. გ-ის არასრულწლოვან შვილს, უფლება აქვს მოითხოვოს მამის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოპასუხეთათვის სარჩოს დაკისრება მის სრულწლოვანებაამდე. საკასაციო საჩივრის დაშვებული ნაწილის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სარჩოს ოდენობის სწორად დადგენა, რათა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს გადახდით მიღწეულ იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანი. როგორც უკვე აღინიშნა, აწ გარდაცვლილი ნ. გ-ის შრომის ანაზღაურება (დაბეგრული) შეადგენდა 1780 (900+880) ლარს. მოსარჩეე მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნაა მოპასუხეებს დაეკისროთ მოსარჩეელის სრულწლოვანებაამდე ყოველთვიური სარჩოს გადახდა 1000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის)

იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის გარდაცვალებამდე. მიუხედავად აღნიშნული შეფასების მართებულობისა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციების მიერ მ. გ-ის სასარგებლოდ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის ნ. გ-ის ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებას და აღნიშნავს, რომ პირის გარდაცვალების გამო სარჩენთათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზიანის მიმყენებელს წარმოეშობა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რაც დაზარალებული პირის გარდაცვალების მომენტში არსებობს. ამასთან, სარჩენ პირად მიიჩნევა არა ოჯახის ყველა წევრი, არამედ დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუუნარობის გამო, ასევე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ნ. გ-ის ოჯახი შედგებოდა სამი წევრისაგან და მას კმაყოფაზე ჰყავდა როგორც შვილი – მ. გ-ი, ასევე მეუღლე, საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ არსებობდა ნ. გ-ის მხრიდან მეუღლის – თ. კ-ის კანონისმიერი რჩენის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ის შემოსავლიდან მ. გ-ის წილის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი პირი, თავად ნ. გ-ი და მ. გ-ი, ვინაიდან მხოლოდ მას ჰქონდა უფლება მიეღო მშობლის (მამის) შემოსავლის ნაწილი სარჩოს სახით. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამდენად, მშობლების ვალდებულება – აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველ ნაწილი), მშობლის გარდაცვალების პირობებში, ამავე კოდექსის 1006.1 მუხლის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არასრულწლოვანი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს დაწესებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. გ-ს უფლება ჰქონდა მამის სიცოცხლეში მიეღო ნ. გ-ის კუთვნილი შემოსავლის ნაწილი. როგორც აღინიშნა ნ. გ-ის დაბეგრილი ხელფასი ჯამში 1780 ლარს შეადგენდა. ვინაიდან არც სამოქალაქო კოდექსი და არც სადღეისოდ მოქმედი რაიმე სამართლებრივი ნორმა არ შეიცავს მარჩენალის გარდაცვალებისას სარჩენთათვის გადასახდელი სარჩოს გაანგარიშების წესს, **საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვან მ. გ-ისათვის გადასახდელი სარჩოს ოდენობა უნდა გამოთვლილიყო ნ. გ-ის რეალური შემოსავლის – სარჩოს გაყოფით გარდაცვლილის ჩათვლით სარჩენ პირთა ოდენობაზე.** ამდენად, მ. გ-ის სარჩოს ოდენობა (დაბეგრილი) უნდა განსაზღვრულიყო 890 (1780:2=890) ლარით.

საქმე № ბს-1025-989(კ-08)

27 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღება (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი განსაზღვრავს მემკვიდრეების მიერ სამკვიდრო ქონების მიღების წესს. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება მემკვიდრის მიერ, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. მითითებული ნორმით განსაზღვრული ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება არ გამოირიცხავს სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის აუცილებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სანოტარო წესით სამკვიდროს მიღების დადასტურება ნიშნავს მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის დადასტურებას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის დათქმა, რომ სამკვიდრო მიღებულად ითვლება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი მართვის ან ფლობის შემთხვევაში, არის არა საერთოდ სანოტარო წესით სამკვიდროს მიღების ალტერნატივა, არამედ ფაქტობრივი წინაპირობა სანოტარო წესით სამკვიდროს მიღების დადასტურებისათვის.

14. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი

საქმე № ბს-277-274(კ-კს-11)

29 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სოციალური დახმარების სფეროში მმართველობის განხორციელება

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტები, რომ ი. ჯ-ას უსინათლობის გამო არ შეეძლო კითხვა და ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის აგენტმა 2009 წლის 25 თებერვალს მოტყუებით მოაწერინა ხელი რაღაც განცხადებაზე, რომელიც აღმოჩნდა 22 ლარიანი საოჯახო დახმარების მოხსნის და საარსებო შემწეობის დანიშვნის საფუძველი, ასევე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ი. ჯ-ამ საარსებო შემწეობის დანიშვნის თაობაზე განცხადებაზე ხელმოწერით გამოხატა მისი ნება საარსებო შემწეობის დახმარების მიღებაზე, რის შესაბამისად, დაბალი სარეიტინგო ქულის საფუძველზე, 2009 წლის მარტში, ორ წევრზე დაენიშნა საარსებო შემწეობა 54 ლარის ოდენობით და შეუწყდა საოჯახო დახმარება.“ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად და მიუკერძოებლად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და ცალმხრივად დაეყრდნო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლების ზეპირ განმარტებებს, რომლის საფუძველზეც დადგენილად მიიჩნია ი. ჯ-ას განცხადებაზე ხელმოწერისას მისი ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტი, იმ პირობებში, როცა თავიდანვე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ჯ-ას მხედველობის მძიმე მდგომარეობის გამო დაუდგინდა მკვეთრი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი.

სასამართლომ არ გამიჯნა ერთმანეთისგან ხელმოწერის ფაქტი რამდენად შესაბამისობაშია იმის გაცნობიერებასთან, თუ რა გარემოებებს ეთანხმება განმცხადებელი. საქმის მასალებით ვერ ჰპოვეს დადასტურებას, რომ ი. ჯ-ას ხელმოწერისას გაცნობიერებული ჰქონდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგები, რომელთა თაობაზე ინფორმირება – სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა ადმინისტრაციული ორგანოს აპარატის თანამშრომლებს პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერისას ი. ჯ-ას დანიშნული არ ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი, თუმცა საქმეში არსებული მასალებით ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნებას მხედველობის მკვეთრი გაუარესების გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები – 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 225/ნ „მიზმობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“, მართალია, არ ასახავს ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლების სამართლებრივ ვალდებულებებს, თუმცა, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ მათ ასეთი მოვალეობა არ აკისრიათ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სხდომის ოქმის მიხედვით, არ ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია ეს ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, თუ რამდენად იყო სათანადოდ ინფორმირებული ი. ჯ-ა მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესრიგებს რა პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამართალურთიერთობებს, ადგენს ქცევის საერთო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის განხორციელების მიმართ პირებს გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი და რომლის იგნორირება, კონკრეტულ სამართალურთიერთობებში არგავრცელება შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. ჯ-ას 2006 წლიდან დანიშნული ჰქონდა 22 ლარიანი საოჯახო დახმარება | კატეგორიის ინვალიდობის გამო და 28 ლარი დევნილის დახმარება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების „სოციალური დახმარების შესახებ“ 2006 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, გარდამავალ და დასკვნითი დებულებების მე-12 მუხლით დადგინდა, რომ

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი აირჩევს საარსებო შემწეობის მიღებას, რის საფუძველზეც შეუწყდა საოჯახო დახმარების მიღება, 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა არ განხორციელდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმატიული ნოვაცია არსებითად ცვლის ბენეფიციართა უფლებრივ სტატუსს, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას. სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი – სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა, შესაბამისი საჯარო ფუნქციის განხორციელებელ – სოც. მუშაკებს აკისრებს სამართლებრივ მოვალეობას, სათანადო განმარტებითი სამუშაოების საფუძველზე განხორციელონ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია.

საკასაციო სასამართლოს მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროდ მიაჩნია განმარტოს სოციალური დახმარების სფეროში მმართველობის განხორციელების კანონიერების უზრუნველყოფის მიზანი, ამ სფეროში მომსახურე ბიუროკრატიის როლი და სოციალური ფუნქცია, რათა მომავალში მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული სოციალური დახმარების სუბიექტების კონფლიქტები შესაბამისი საჯარო დაწესებულებებთან.

სახელმწიფოს ფუნქცია – უზრუნველყოს საკუთარი ხალხის საჯარო ამოცანების გადაწყვეტა, ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. საზოგადოებრივი და სოციალური სოლიდარობის ეგიდით სახელმწიფო აფინანსებს გარკვეული კატეგორიის პირებს შემდეგი მიზნით: სოციალურ სფეროში მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სოციალური დაცვის სამართალი, პრინციპები, როგორცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის და ა. შ. სრულად ვრცელდება სსიპ სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ევროპის სოციალური ქარტიის მე-14 მუხლი – სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება /რომელსაც მიერთებულია საქართველოს სახელმწიფო/, ადგენს: სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ: 1. უზრუნველყონ ისეთი სამსახურები, რომლებიც სოციალური საქმიანობის მეთოდის გამოყენებით, ხელს შეუწყობენ როგორც ცალკეულ პირებს, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობას და განვითარებას, ასევე, მათ შეგუებას სოციალურ გარემოსთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობის უკიდურესი სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურის თანამშრომლების კომუნიკაცია ბენეფიციარებთან უნდა ეფუძნებოდეს გულისხმიერების, თავაზიანობის, მზრუნველობის და მათი სრული ინფორმირებისა და ამომწურავი კონსულტირების სტანდარტს, ვინაიდან სწორედ ამგვარი მომსახურების პირობებში არის შესაძლებელი საუკეთესო არჩევანის გაკეთება – ნების ნამდვილი გამოხატვა.

საქმე № ბს-1146-1097(კ-07)

10 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სახელმწიფო პენსიის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო, მართალია, მიიჩნევს, რომ გასაცემი პენსიის ოდენობის სწორად განსაზღვრის ვალდებულება საპენსიო ორგანოს წარმოემვა საპენსიო დანამატის დანიშვნისთანავე და არა პენსიონერის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით შეცდომის გასწორებისათვის მიმართვის მომენტიდან, მაგრამ ამასთან, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ **საპენსიო ორგანოს მიერ პენსიის გაცემა განეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის მიმართაც დადგენილია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადები.*** ჰ. გ-ას საპენსიო დანამატი, 25 პროცენტი, ნაცვლად 50 პროცენტისა, ეძლეოდა 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე (60 თვის განმავლობაში) (ს.ფ. 3). მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს დანამატის

* აღნიშნული საკითხი განსხვავებულად განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ (იხ. სუსგ ბს-738-713(კ-10), 16 ნოემბერი, 2010 წელი ქ. თბილისი).

გაცემის მოთხოვნით მიმართა 2006 წლის 12 ივლისს (ს.ფ. 6-7). შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სხვაობის ანაზღაურება 3 წლის უკან დახევით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ.

მსგავსი კატეგორიის სარჩელებთან დაკავშირებით, სასამართლომ ერთიანი პრაქტიკა დაადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით (ბს-310-293 (კ-07), რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს, სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გათვალისწინებით, უფლება აქვს, მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება 3 წლის უკან დახევით.

საქმე № ბს-1464-1398(კ-09)

24 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ოჯახის დეკლარაციების იდენტიფიკაციის პირობებში განსხვავებული სარეიტინგო ქულების მინიჭება

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2005 წლის 28 ოქტომბერს ნ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გორის რაიონულ განყოფილებას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანის თაობაზე. ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა იმავე წლის 3 დეკემბერს, რის შედეგადაც ოჯახის სარეიტინგო ქულა განისაზღვრა 34710. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის № 145 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და იმავე წესების მე-7 და მე-11 მუხლების საფუძველზე ნ. თ-შვილის ოჯახს 2006 წლის სექტემბრიდან დაენიშნა ფულადი სახის სოციალური დახმარება 2 სულზე, 42 ლარის ოდენობით.

2007 წლის 25 მაისს ნ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სააგენტოს გორის რაიონულ განყოფილებას და მამის გარდაცვალების მოტივით, მოითხოვა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი შესწავლა. შესწავლის შედეგად ოჯახის სარეიტინგო ქულამ შეადგინა 47080, რის საფუძველზეც 2007 წლის 1 სექტემბრიდან გაუგრძელდა საარსებო შემწეობის გაცემა 1 სულზე 30 ლარის ოდენობით, შესაბამისად აუნაზღაურდა შეჩერების მომენტიდან მიუღებელი დახმარება.

2007 წლის ნოემბრიდან, მორიგი გადამოწმების შედეგად, ნ. თ-შვილს შეუჩერდა საარსებო შემწეობის გაცემა. შესწავლისა და მონაცემების არსებული მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ სარეიტინგო ქულამ შეადგინა 59800, რაც ჩაითვალა ზღვარზე მაღალ ქულად და გამოიწვია შემწეობის გაცემის შეწყვეტა.

სააგენტოს შიდა ქართლის საკოორდინაციო ცენტრის 2007 წლის 17 მარტის № 172 წერილით სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტს გაეგზავნა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების სია, რომელშიც მოხსენიებული იყო ნინო თინიკაშვილი და ითხოვდა ნებართვას განმეორებით გადამოწმებაზე. თანხმობის მიღების შემდეგ, 2008 წლის 14 ივნისს შიდა ქართლის საკოორდინაციო ცენტრის მიერ გადამოწმდა ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახს მინიჭა სარეიტინგო ქულა – 50790. სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიერ საქმის შესწავლით დადგინდა, რომ ოჯახის დეკლარაციის შევსების დროს ადილი არ ჰქონია კანონმდებლობით რეგლამენტირებული ნორმების დარღვევას, ოჯახის დეკლარაციით გათვალისწინებული მონაცემები დამუშავებული იყო საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს № 126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიით“, რაც არ იძლეოდა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

ნ. თ-შვილი სასარჩელო განცხადებით სადავოდ ხდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 02/09-17751 გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი ადმინისტრაციული საჩივარი.

სარეიტინგო ქულების გამოთვლის მეთოდოლოგიის სპეციფიკა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლო, მოცემულ პირობებში, მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს სადავო აქტის კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ შემწეობის შეწყვეტის მომენტისათვის შედგენილი „ოჯახის დეკლარაცია“ და 2008 წლით დათარიღებული დეკლარაცია (დაინიშნა შემწეობა) თავისი შინაარსით არის იდენტური, მითითებულ პერიოდში მოსარჩელე ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა და არ გაუმჯობესებულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ პირობებში, როდესაც დეკლარაციები არის იდენტური, ხოლო შეფასება მომხდარია სხვადასხვა სარეიტინგო ქულით, კასატორი ვალდებულია საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, დაასაბუთოს კონკრეტულად რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ქულათა სხვადასხვაობა.

საქმეში წარმოდგენილი „ოჯახის დეკლარაციების“ იდენტურობა და მიღებული გადაწყვეტილების განსხვავებული შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა საფუძველს მივიჩნიოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხი გამოკვლეული და შესწავლილი არ არის სრულყოფილად, გასაჩივრებული აქტი არ იძლევა იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, რამ განაპირობა სარეიტინგო ქულის ცვლილება, იმ ვითარებაში, როდესაც წინო თინიკაშვილი 2007 წლის ნოემბრამდე ითვლებოდა სოციალურად დაუცველ პირად და აკმაყოფილებდა შემწეობის მიღების პირობებს და ასეთადვე ითვლება 2008 წლის ივლისიდან. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წარმოადგინოს დასაბუთება, რა სახის ცვლილებები განიცადა ნ. თ-შვილის სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ მ-თვიან შუალედში, რითიც მას მოესპო სოციალური შემწეობის მიღების უფლება.

საქმე № ბს-735-719(კ-12)

30 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, თ. კ-ამ, კ. ყ-მა და მ. კ-მა შესაბამისი განცხადებებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების განყოფილებებს და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მოითხოვეს. აღნიშნული განცხადებებისა და შესაბამისი კანონის საფუძველზე, თ. კ-ას – 2010 წლის 8 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით), კ. ყ-ს – 2010 წლის 6 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით), ხოლო მ. კ-ს 2010 წლის 3 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით) დაენიშნათ სახელმწიფო კომპენსაცია, თითოეულს – თვეში 560 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თ. კ-ას – 2011 წლის 1 იანვრიდან, კ. ყ-ს – 2010 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო მ. კ-ს – 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შეუჩერდათ/შეუწყდათ სახელმწიფო კომპენსაცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის ი. ლ-ის 2010 წლის 24 ნოემბრის № 04/07-2201, № 04/07-2202 წერილებით (კ. ყ-ს და თ. კ-ას) და გარდაბნის რაიონული განყოფილების უფროსის 2010 წლის 15 სექტემბრის № 05-19-40 წერილით (მ. კ-ს) კასატორებს ეცნობათ, რომ სახელმწიფო

კომპენსაცია შეუჩერდა/შეუწყდათ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე. წერილების შინაარსიდან გამომდინარე, კომპენსაციის შეჩერების/შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მთავრობის დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირები, რომელსაც უნდა დანიშნოდა სახელმწიფო კომპენსაცია არ არსებობდა. კასატორების მიერ არაერთი განცხადების წარდგენის (2011 წლის 1 მარტს, 2011 წლის 23 აგვისტოს, 2012 წლის 10 იანვარს) მიუხედავად, მათზე დანიშნული კომპენსაციის გაცემა არ განახლებულა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების პირობებში (მას შემდეგ, რაც კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად ცალსახად განისაზღვრნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებული პირები) თ. კ-ამ, კ. ყ-მა და მ. კ-მა განცხადებებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის განყოფილებებს და კომპენსაციის ხელახლა დანიშვნა და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურება მოითხოვეს. თ. კ-ას, კ. ყ-ისა და მ. კ-ის განცხადებები კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე დაკმაყოფილდა და კ. ყ-ს – 2011 წლის 30 მარტიდან, თ. კ-ას – 2011 წლის 23 ივნისიდან, ხოლო – მ. კ-ს – 2011 წლის 22 მარტიდან (განცხადებების წარდგენის დღიდან) დაენიშნათ კომპენსაცია, თვეში – 560 ლარის ოდენობით. მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში კი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის № 04/5885 წერილით განმცხადებლებს ეცნობათ, რომ მიუხედავად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებული ცვლილებებისა, რომლის შედეგადაც დაკონკრეტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშვნის უფლების მქონე პირთა წრე, მიუღებელი თანხის ანაზღაურებას კანონი არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, განმცხადებლებს უარი ეთქვათ გასული პერიოდის მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ნორმის სწორ განმარტებას, კერძოდ, იმ გარემოების დადგენას, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია (კომპენსაციის პირველად დანიშვნის დროს მოქმედი რედაქცია), სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად ითვალისწინებდა თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის (დეპარტამენტის) საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებს, თუ მათი კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად განსაზღვრა, მხოლოდ 2011 წლის 11 მარტს აღნიშნულ კანონში შესული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად განხორციელდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ტრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კანონმდებლის ნების სწორი განმარტება, აუცილებელია სადავო საკითხთან დაკავშირებით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ყველა ცვლილების ქრონოლოგიური განხილვა.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (თავდაპირველი რედაქცია) 2005 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს“; ამავე კანონის მე-8 მუხლით კი დადგენილი იყო სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება. მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის მოსამსახურეებზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 4 წელი ფინანსურ პოლიციაში).

ამასთან, კ. ყ-ის, თ. კ-ასა და მ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის დროს მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად (2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული № 4277-რს ცვლილების შედეგად), კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, რომლებიც განსაზღვრულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.

2006 წლის 29 დეკემბრის № 4277-რს კანონით ცვლილება შევიდა მე-8 მუხლშიც და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“; ხოლო მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, რომლებიც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 2 წელი ფინანსურ პოლიციაში ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საგადასახადო/საბაჟო ორგანოების თანამდებობებზე). საგადასახადო/საბაჟო ორგანოებში ნამსახურობის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნებოდა მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრიდან ნამსახურები წლები“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტის № 4384-ის კანონით შეტანილი ცვლილებებით მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს“.

ხოლო მე-8 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე გავრცელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი; ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შედიოდა ნამსახურობა შემდეგ ორგანოებში: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური

სამსახურის ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“.

ამასთან, ამაჟამად მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ: სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს“.

საკასაციო სასამართლო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონის კასატორებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის პირველად დანიშვნის დროს მოქმედი რედაქცია კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტად ცალსახად მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების, მათ შორის საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს.

რაც შეეხება მოცემულ კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებას, ვინაიდან, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამის ვადაში არ გამოიცა დადგენილება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ნუსხას, კანონმდებელმა დააზუსტა/დააკონკრეტა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტთა წრე (კომპენსაციის გაანგარიშების წესიც) და მიუთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, რითიც ხაზი გაუსვა და ნათელი გახადა ის გარემოება, რომ აღნიშნული ნორმა ძველი რედაქციის პირობებშიც ითვალისწინებდა და მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს. ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა კომპენსაციის გაანგარიშების წესში, კერძოდ, ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შევიდა ნამსახურობა შემდეგ ორგანოებში: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორების უფლების რეალიზება და მათთვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ კომპენსაციის პირველად დანიშვნა 2010 წლის სექტემბერში ანუ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის 29 დეკემბრის რედაქციის მოქმედების პირობებში განხორციელდა, შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებლები კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად მიიჩნია. თუმცა, კანონის ამავე რედაქციის მოქმედების პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე შეუჩერა/შეუწყვიტა კასატორებს კომპენსაციის გაცემა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას და ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო შემლუდულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტური პრინციპით – კანონიერი ნდობის პრინციპით, რა პრინციპიც მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ცალსახად დაირღვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი აქტებით ყოვლად გაუგებარია კასატორებისათვის მოხდა სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება თუ შეწყვეტა. ამასთან, საერთოდ არ არის მითითებული იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც კომპენსაციის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, რადგან მოცემულ შემთხვევაში ცალსახად არ არსებობდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის არც 30-ე და არც 31-ე მუხლის წინამძღვრები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კომპენსაციის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებები მოსარჩელებს (კასატორებს) არ ჩაბარებიათ (მათ მხოლოდ შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე წერილები გაეგზავნათ), რაც დამატებით მიუთითებს მოცემულ საქმეზე არსებულ მთელ რიგ მატერიალურ და პროცესუალურ დარღვევებზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პოზიციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან, მთავრობის დადგენილებით არ დაზუსტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშვნის უფლების მქონე პირთა წრე, მოსარჩელებისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მთავრობის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღება სწორედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა და მას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ევალებოდა აღნიშნულზე შესაბამისი ინიციატივის წარდგენა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა არ შეიძლება გამხდარიყო პირის მდგომარეობის გაუარესების საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ პირებს კანონიერი ნდობა გააჩნდათ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

საქმე № ბს-1046-997(კ-06)

5 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულებისას პოლიციელის გარდაცვალების გამო კომპენსაციის გაცემა

მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის პირველი წინადადების თანახმად: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამოწვეული პოლიციელის დაღუპვის შემთხვევის სწორად დაკვალიფიცირებისათვის გადაწყვეტა პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: **პოლიციელის გარდაცვალება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა. გარდაიცვალა თუ არა პოლიციელი სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათების დროს, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.** ამდენად, ზემოაღნიშნული 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნა საფუძველიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი პოლიციელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ვ. ყ-ი გარდაიცვალა სამუშაო საათებში, კერძოდ, მორიგეობის დროს. გარდაცვალების მიზეზად სამედიცინო დასკვნაში მითითებულია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვ. ყ-ის დაავადების – გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის გამოწვევ კონკრეტულ მიზეზს, რამაც მისი გარდაცვალება განაპირობა, წარმოადგენდა ზენორმატიული მუშაობა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა, უაღრესად დაძაბული სამუშაო გრაფიკი, მუდმივი სტრესი და გადაღლილობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, თუ არა ასეთი დაძაბული სამუშაო რეჟიმი, გაურკვეველი იყო, რამ გამოიწვია ახალგაზრდა ჯანმრთელი კაცის გარდაცვალება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიზეზობრივი კავშირის არსებობა ვ. ყ-ის გარდაცვალებასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის არ არის დამაჯერებლად დადგენილი. სააპელაციო სასამართლოს მიერ, ფაქტობრივად, დადგენილია არა პირდაპირი, არამედ სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობა გარდაცვალების მიზეზსა და გარდაცვლილის სამუშაო რეჟიმს შორის, მაშინ როდესაც ასეთი სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე თითქმის ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა უაღრესად დაძაბული სტრესული სიტუაციის პირობებში. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია არც ერთი კონკრეტული შემთხვევა, რაც მოწმობდა უაღრესად დაძაბული სტრესული სიტუაციის არსებობას. მოწმეთა ჩვენებებში კი მითითებულია, რომ ვ. ყ-ის მთელი მუშაობის პერიოდში რაიმე მძაფრ შემთხვევას, რასაც არსებითად შეეძლო ემოქმედა მასზე, ადგილი არ ჰქონია (ს.ფ. 105). გარდაცვალების დღეს, 13 თებერვალს, საქმის მასალებით თანახმად, მთელი დღის განმავლობაში ვ. ყ-ის სამოქმედო ტერიტორიაზე რაიმე შემთხვევას ადგილი არ ჰქონია (ს.ფ. 52-59). საქმის მასალების თანახმად, ვ. ყ-ი 13 თებერვალს დილიდანვე შეუძლოდ გრძნობდა თავს (ს.ფ. 83-86). ის გარემოება, რომ შეუძლოდ ყოფნის მიზეზი სწორედ ვ. ყ-ის სამუშაო იყო, არ არის სარწმუნოდ დადგენილი. ამასთან, საქმეში არსებული არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ ადასტურებს ვ. ყ-ისათვის ზენორმატიული მუშაობის დავალებას.

„პოლიციის შესახებ“ კანონის თანახმად, პოლიციის სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგადად, პოლიციელის სამუშაო განუყრელადაა დაკავშირებული არანორმირებულ სამუშაო რეჟიმთან, მუდმივ სტრესთან და დაძაბულ მუშაობასთან. იმავდროულად, ზოგადად, სტრესები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი მოვლენაცაა. ის, რომ ვ. ყ-ს დაავადება განუვითარდა და გარდაიცვალა სწორედ სამუშაოს მიზეზით, არ არის სარწმუნოდ დადგენილი.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა პირდაპირი კავშირი ვ. ყ-ის მიერ მის თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებასა და გარდაცვალებას შორის, რისთვისაც სააპელაციო სასამართლომ კონკრეტულად უნდა დაადგინოს ვ. ყ-ის სამუშაო რეჟიმი და გაითვალისწინოს შესაბამისი სპეციალისტების მოსაზრება, გამოიწვევდა თუ არა მხოლოდ ასეთი სამუშაო პირის დაავადებას და გარდაცვალებას.

საქმე № ბს-270-266(კ-12)

15 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისათვის ფულადი დახმარების გაცემა („საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის № 560 ბრძანების მე-40 პუნქტი)

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2010 წლის 18 მაისს გაცემულ ექსპერტიზის № 356/33 დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, ლ. ო-ის სიკვდილის მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული ლიმფოლიეიკოზის შედეგად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებული დიაგნოზიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, არსებობდა თუ არა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ლ. ო-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მისი გარდაცვალების გამოწვევებზე ფაქტს შორის, რაც თავის მხრივ გამორიცხავს დაღუპული ლ. ო-ის ოჯახისათვის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის № 560

ბრძანების მე-40 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას. თუმცა აქვე, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის № 560 ბრძანებაში 2011 წლის 4 ოქტომბერსა (№ 778) და 2012 წლის 20 სექტემბერს (№ 785) განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების მე-40 პუნქტის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებში მყოფი პირის ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის სხვა შემთხვევაში მის ოჯახს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურეებში მყოფი პირის სხვა შემთხვევაში დაღუპვის დროს, მიიღოს გადაწყვეტილება დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი და ამით, ის ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ნორმის მიზნების და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. ო-ე იყო გამორჩეული სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში უმწიკვლო მოსამსახურისათვის არაერთი ორდენის და საპატიო სიგელის მფლობელი, ერაცისა და სხვა მრავალი სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხელახლა უნდა განიხილოს ი. ს-ისათვის, მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების მიცემის საკითხი და ლ. ო-ის პიროვნების, მისი როგორც, სამხედრო მოსამსახურის მიერ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებაში შეტანილი წვლილის, ასევე მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლ. ო-ის მეუღლე და შვილები არიან 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები და მათ მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი) უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ლ. ო-ის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლ. ო-ის მეუღლეს ი. ს-ს სადამღვევო კომპანიის მიერ უარი ეთქვა სადამღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაზეც სადამღვევო კომპანიის

მოსაზრებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევა არ ვრცელდება. სადაზღვევო კომპანიის უარი უკავშირდება მის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების იმგვარ განმარტებას, როცა განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი, არც ის ფაქტი, გარდაცვალება მიზეზობრივად უკავშირდება თუ არა უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (რაც შეიძლება მეორე მხარისათვის საკამათო იყოს). რაც შეეხება „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის ანაზღაურების საკითხს, მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პირის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დროს, რისი დადგენაც მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია. ამდენად, ასეთ პირობებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი რჩება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

საქმე № ბს-317-313 (კ-12)

18 აპრილი, 2013 წელიწ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისათვის ფულადი დახმარების გაცემა („საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის № 560 ბრძანების მე-40 პუნქტი)

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორის მეუღლე რ. ნ-ე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის მე-5 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის კაპრალად მსახურობდა. საქმის მასალებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 02.03.2010წ. რ. ნ-ე მე-5 ქვეითი ბრიგადის ავტობარკის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოს შესრულების დროს გულის იშემიური დაავადების გამო განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტით გარდაიცვალა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 04.06.10წ. დასკვნის საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 17.03.11წ. № 7/594 გადაწყვეტილებით ნ.ღ-ეს უარი ეთქვა კომპენსაციის გაცემაზე, ვინაიდან რ.ნ-ის გარდაცვალების მიზეზად გულის იშემიური დაავადების შედეგად განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტი დაფიქსირდა, რაც არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის 30.04.10წ. დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის № ... წინასწარი გამოძიება მე-5 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის კაპრალ რ.ნ-ის გარდაცვალების ფაქტზე შეწყდა, ვინაიდან 24.03.10წ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ რ. ნ-ის სიკვდილის მიზეზი იყო მიოკარდიული ინფარქტი, განვითარებული გულის იშემიური დაავადების შედეგად, შესაბამისად არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა 23.07.10წ. მიმართა სადაზღვევო კომპანიას და აცნობა, რომ რ. ნ-ის გარდაცვალების ფაქტი არ იყო დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას უნდა განეხილა თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების № 9 დანართით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხი. სადაზღვევო კომპანია „...“ 28.07.10წ. შეტყობინებით ნ.ღ-ეს უარი ეთქვა თანხის ანაზღაურებაზე, ვინაიდან რ. ნ-ის გარდაცვალება მიჩნეული იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ შემთხვევად, რაც 31.01.08წ. № 172 ხელშეკრულების თანახმად არ განიხილება სადაზღვევო შემთხვევად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. № 560 ბრძანების მე-40 პუნქტზე და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტზე. საქართველოს თავდაცვის

მინისტრის 26.09.07 წ. № 560 ბრძანების მე-40 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 421 მუხლით განსაზღვრული გარემოებები, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში მყოფი პირის ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის სხვა შემთხვევაში მისი ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს, მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობებად ითვლება: სამხედრო წესდებით დადგენილ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება; მეთაურის (უფროსის) მიერ გაცემული ბრძანების, განკარგულების ან დასახული ამოცანის შესრულება; სამხედრო ნაწილის (დაწესებულების) ტერიტორიაზე ყოფნა დღის განაწესით დადგენილი სამსახურებრივი დროის განმავლობაში, ან თუ ეს გამოწვეულია სამსახურებრივი საჭიროებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებული ნორმები არ ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან აღნიშნული ნორმების გამოყენების, ერთჯერადი კომპენსაციის (15 ათასი ლარი) გაცემის პირობა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასა და სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის უცილობელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კაპრალ რ. ნ-ის გარდაცვალება არ არის გამოწვეული მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. ის ფაქტი, რომ მოსამსახურე სამუშაო დროს და სამუშაო ადგილას გარდაიცვალა, არ წარმოადგენს კომპენსაციის მინიჭების უპირობო საფუძველს. **საქმეზე დადგენილია, რომ რ. ნ-ის გარდაცვალების მიზეზი კარდიოლოგიური დაავადებაა, რაც თავისთავად დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და გარდაცვალებას შორის არ იკვეთება არათუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, არამედ რაიმე რისკ-ფაქტორის არსებობა. ინფარქტი საკმაოდ ხშირად სწორედ გულის იშემიური დაავადების ფონზე ვითარდება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითადი რისკფაქტორებია: მაღალი არტერიული წნევა, ფსიქოემოციური დატვირთვა და სხვ. საქმის მასალებში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს მიერ შედგენილი ნამსახურობის ნუსხით დასტურდება, რომ კაპრალი რ. ნ-ე იყო ჯანმრთელი, მას არ აწუხებდა გულის დაავადებები, შესაბამისად რ. ნ-ეს არ ესაჭიროებოდა სამსახურის რაიმე განსაკუთრებული პირობების შექმნა. საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე რაიმე განსაკუთრებული სამსახურებრივი დატვირთვა, სტრესული სიტუაციის არსებობა და სხვ. გარდაცვლილის ოჯახისათვის თანხის გაცემის დავალებისათვის აუცილებელია, რომ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამოწვევი მიზეზი უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდებოდეს, სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმით, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ადგილს და დროს, კერძოდ იმას, რომ რ. ნ-ე გარდაიცვალა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურისათვის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16.4 მუხლით, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07 წ. № 560 ბრძანების მე-40 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის შემოღება სწორედ იმ მოსაზრებით არის განპირობებული, რომ

სხვა სახის სამსახურთან შედარებით, სამხედრო სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას, თავდასხმის მოგერიებას, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვას, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხის შემცველია. აღნიშნული ესადაგება „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 4.1. მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას სახელმწიფო იძლევა სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07 წ. № 560 ბრძანების 40-ე მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების გაცემა უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით გამოწვეული მიზეზით გარდაცვალებას დასტურდება ამავე დადგენილების 42² პუნქტის შინაარსითაც, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულების გამომრიცხავ გარემოებებს (მე-40 პუნქტით გათვალისწინებული შედეგის დადგომა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ნორმების ან/და წინდახედულობის ნორმების უხეში დარღვევის შედეგად). 26.09.07წ. № 560 ბრძანების მე-40 პუნქტის პირველი წინადადების შინაარსი ერთჯერადი დახმარების გაცემას უკავშირებს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვას ან გარდაცვალებას, გამოწვეულს მიღებული ტრავმის შედეგად, კომპენსაციის გაცემა უკავშირდება სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მიზეზით გარდაცვალებას, წინააღმდეგ შეთხვევაში აზრს დაკარგავდა ბრძანების მე-40 პუნქტში მინისტრის 22.10.07 წ. № 608 ბრძანებით დამატებული მეორე წინადადება, რომელშიც საუბარია დაღუპვის სხვა შემთხვევაზე. მე-40 პუნქტის მეორე წინადადება ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის შესაძლებლობას მოსამსახურის დაღუპვის სხვა შემთხვევაში ანუ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვალება არ უკავშირდება სამხედრო სამსახურს, ასეთ შემთხვევაში ნორმის თანახმად დახმარება გაიცემა მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დახმარების ოდენობა ნორმით არ განისაზღვრება, დახმარების ოდენობა დგინდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კომპენსაციის გაცემა, მისი ოდენობა ასეთ შემთხვევაში შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის პროცესში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.03.13 წ. № 188 ბრძანებით „გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახზე ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ“ გარდაცვლილ რ.ნ-ის ოჯახს მიეცა ერთჯერადი დახმარება 2 000 ლარის ოდენობით.

საქმე № ბს-907-869(კ-07)

20 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამხედრო მოსამსახურისათვის გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი; სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, აღნიშნული ვერ გავრცელდება კასატორის მოთხოვნის მიმართ, ვინაიდან ტრავმის შედეგად ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ გ. ე-ას მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მოთხოვნა „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 16.3 მუხლით ერთჯერადი კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას – დახმარების თანხის გაცემას ეხება. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლი ეხება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობას, ხოლო „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 16.3 მუხლი ითვალისწინებს ერთჯერად და არა პერიოდულ დახმარებას. ამდენად, საფუძველს მოკლებულია სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენება. ერთჯერადი სამხედრო ტრავმის შედეგად მისაღები კომპენსაცია, როგორც სპეციალური სახელმწიფო დაზღვევის სახე, რეგულირდება „სამხედრო

მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16, მე-17 მუხლებით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. № 493 ბრძანებულების 53-ე, 57-ე, 58-ე მუხლებით, დასახინჩრების შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა წარმოადგენს სახელმწიფოს არა პასუხისმგებლობას, არამედ პოზიტიურ კანონისმიერ ვალდებულებას, ამდენად სადავო სამართალურთიერთობების მიმართ არ გამოიყენება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (სკ-ის 1008-ე მუხ.), გ. ე-ას სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

საქმე № ბს-83-80(კ-06)

25 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილე („ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის განმარტებას და სამართლებრივ შეფასებას იმგვარად, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა განმარტებულ უნდა იქნეს არა მარტო საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობად ხსენებულ ტერიტორიებზე, არამედ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიაკუთვნებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეებს: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეებსა და მუშაკებს, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილებს, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხულ სამოქალაქო პირებს, მოხალისეებს. აღნიშნული ნორმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს მიაკუთვნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ამასთან, **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა დაუშვებელია განმარტებულ იქნეს როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე.**

15. სხვადასხვა

საქმე № ბს-21-21(კ-07)

21 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონის უკუძალა (უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა)

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოემვა ამ კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით. აღნიშნული

ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო კომპენსაცია წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის სახეს, რომელიც ენიშნება მხოლოდ ხსენებული კანონით განსაზღვრულ პირებს იმავე კანონით დადგენილ ფარგლებში, კერძოდ, დასახელებული კანონის მე-7 მუხლით დადგინდა კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი, რომლის მიხედვითაც, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. აქედან გამომდინარე, პირს არ შეიძლება დაენიშნოს სახელმწიფო კომპენსაცია 560 ლარზე მეტი ოდენობით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მანამდე შესაბამისი კანონის საფუძველზე იღებდა პენსიას, რომლის ოდენობა აღემატებოდა 560 ლარს.

დიდი პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი წარმოადგენს საჯარო სამართლის, ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. კანონმდებელს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, შეუძლია კანონით ახლებურად დაარეგულიროს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა და ამა თუ იმ ნორმატიულ აქტს მიანიჭოს უკუძალა, რომლითაც შეიძლება, ფაქტობრივად, გაუარესდეს კიდევ პირის მდგომარეობა, ხოლო ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს იმ ნორმატიული აქტისათვის უკუძალის მინიჭებას, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, მოცემულ შემთხვევაში კი ახალი კანონით, კერძოდ, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით განხორციელდა პენსიის ოდენობის ზედა ზღვრის შეზღუდვა კონკრეტული თანხის მიუხედავად, რაც შეუძლებელია, სამართლებრივად გაუთანაბრდეს იურიდიული პასუხისმგებლობის დამძიმებას.

დიდი პალატა განმარტავს, რომ სამართალი ზოგადად იყოფა ორ ძირითად ნაწილად – კერძო და საჯარო სამართლად, ხოლო მათი პრინციპული დიფერენცირება ეფუძნება კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ობიექტურ დივერგენციას. სამოქალაქო სამართალი, რომელიც განეკუთვნება კერძო სამართლის (ჯუს პრივატუმ) სფეროს, პირდაპირ ასახავს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის სუბიექტთა, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა იურიდიულ დამოუკიდებლობასა და სამართლებრივ თანასწორობას, ხელშეკრულების თავისუფლებას, ითვალისწინებს დარღვეული მატერიალური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა-აღდგენას სასამართლო წესით. ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის (ჯუს პუბლიკუმ) სფეროს განეკუთვნება და ორგანულად ეფუძნება საჯარო ინტერესების რეალიზებას, საჯარო სამართლის სფეროში არსებული სამართალურთიერთობისათვის დამახასიათებელია მასში კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, რაც გამოირიცხავს ხსენებული სამართალურთიერთობის სუბიექტთა იურიდიულ თანასწორობას და გარკვეულწილად ზღუდავს მათი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ფარგლებს. თუ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა ჰორიზონტალურია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელია იერარქიულ-ვერტიკალური, დაქვემდებარებითი ხასიათი.

დიდი პალატა განმარტავს, რომ კერძო და საჯარო სამართალი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც შესაბამისი სამართალურთიერთობათა ნორმატიული რეგულირების მექანიზმით, ისე მათთვის თვისებრივად დამახასიათებელი პრინციპებით, რომლებიც პრაქტიკულად რეალიზდება სხვადასხვა სამართლებრივ რეჟიმში. ადმინისტრაციული სამართალი საჯარო, საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას ემსახურება, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის უცხოა კანონის ნამდვილი უკუძალის გამოყენება. **თუ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ახალი კანონით შეამცირა პენსიის ოდენობა იმ ოდენობასთან შედარებით, რაც ძველი კანონით იყო განსაზღვრული, ამ შემთხვევაში არასწორია ასეთი შემცირების მიჩნევა კანონის ნამდვილ უკუძალად. მიუხედავად იმისა, რომ წინანდელ ოდენობასთან შედარებით, პენსიის ოდენობის შემცირებით პირის მდგომარეობა უარესდება, ახალი კანონით სოციალური უზრუნველყოფის მოცულობის შეზღუდვა, სამართლებრივად, არის არა ახალი კანონისთვის ნამდვილი უკუძალის მინიჭება, არამედ შესაბამისი სოციალური უფლების ლეგალური ტრანსფორმაცია.**

დიდი პალატა დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში განმტკიცებულია კანონის უკუძალის პრინციპი და მითითებულია, რომ არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა, ხოლო კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. აღნიშნული პრინციპი ორგანულადაა დაკავშირებული იურიდიულ პასუხისმგებლობასთან, გამოიყენება მასთან ერთობლიობაში და არ მოიცავს სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის საკითხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის ნორმაც იმპერატიულად გამორიცხავს კანონისათვის მხოლოდ ნამდვილი უკუძალის მინიჭებას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. აღნიშნული ნორმაც უშუალოდ შეეხება იურიდიულ პასუხისმგებლობას.

დიდი პალატა ასევე განმარტავს, რომ კანონის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის № 2549-რს კანონს, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან, არ დაუდგენია და არ დაუმძიმებია იურიდიული პასუხისმგებლობა. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივად, გამორიცხულია საერთოდ მითითება კანონისათვის ნამდვილი უკუძალის მინიჭებაზე, ვინაიდან სახეზე არ არის წარსულში მომხდარი და წარსულშივე დასრულებული ფაქტობრივი ურთიერთობები, ანუ ნამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალა.

დიდი პალატა განმარტავს, რომ სოციალურ-სამართლებრივი სფეროს განმსაზღვრელი სოციალური სისტემის ფუნქციონირება და სოციალური უზრუნველყოფის მოცულობა სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობის ხარისხით არის დეტერმინირებული. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება, არ ვრცელდება საჯარო სამართლის სფეროზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში გადასახადის ოდენობის გაზრდა, რაც უდავოდ აუარესებს გადასახადის გადამხდელი პირის მდგომარეობას საგადასახადო პასუხისმგებლობის კუთხით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვრცელდება მანამდე უკვე ფორმირებულ სამართალურ ურთიერთობებზე. ამდენად, თუ საგადასახადო სფეროში ობიექტურად მისაღებია ახალი კანონის გავრცელება მის მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, ლოგიკურად ასეთივე მდგომარეობაა სოციალური უზრუნველყოფის სფეროშიც, მით უმეტეს, რომ სოციალური უზრუნველყოფა არ არის იურიდიული პასუხისმგებლობის სახე.

დიდი პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სწორად განმარტა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-7 და 36-ე მუხლები. ამასთან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მითითება ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნების შესახებ, გულისხმობს ამ კანონის ამოქმედებამდე სხვა საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დანიშნული პენსიის უფლებების შენარჩუნებას და მისი გაცემის გაგრძელებას, როგორც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული კომპენსაციისა. კომპენსაციის ოდენობასთან მიმართებაში იმავე კანონის მე-7 მუხლმა მისი მაქსიმალური ზღვარი ცალსახად განსაზღვრა 560 ლარით, ხოლო დასახელებული კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, კომპეტენტურ ორგანოს – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს იმპერატიულად დაევალა აღნიშნული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით დანიშნული კომპენსაციის ოდენობის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობდა მოსარჩელე ა. ბ.-სთვის ადრე დანიშნული პენსიის ოდენობის 560 ლარამდე – კომპენსაციის მაქსიმალურ ზღვრამდე – შემცირებასა და კორექტირებას

განმარტების საგანი: ნორმის მოქმედების შეჩერების სამართლებრივი შედეგი

საკასაციო სასამართლოს სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ 1974 წლის 22 ივლისიდან 2005 წლის 27 ივლისამდე მუშაობდა ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში; საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს 2006 წლის 1 ნოემბრის № 27/9/6-გ/155 მიმართვით დასტურდება, რომ ვ. გ-ას მიღებული აქვს 1999 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და 2000 წლის დეკემბრის ხელფასი, სულ 504,4 ლარის ოდენობით. ამავე და ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს 2006 წლის 30 ოქტომბრის, 28 თებერვლისა და 11 იანვრის მიმართვებით, ვ. გ-ას უარი ეთქვა მიუღებელი სახელფასო დავალიანებისა და ერთდროული დახმარების გაცემაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის № 624 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო, ხოლო სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვისათვის საჭირო ასიგნებებს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების დასკვნებს და მიაჩნია, რომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად მართებულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, სახეზე არ არის სსსკ-ის 393-394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევა, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სასამართლოებმა მართებულად არ გაიზიარეს მოპასუხის არგუმენტი სათანადო ასიგნებების არარსებობის გამო მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და მართებულად არ მიიჩნიეს აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველად.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვ. გ-ის გასასვლელი დახმარების ანაზღაურების შესახებ და დაუსაბუთებულად მიიჩნევს კასატორის მიერ წამოყენებულ საკასაციო პრეტენზიას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მოახდინა სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეფარდება. შესაბამისად, სახეზე არ არის სსსკ-ის 393-ე მუხლის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის № 139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 75-ე მუხლში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის № 213 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება და დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი. მითითებული ბრძანებულება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს და მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის № 624 ბრძანებულების ამოქმედებამდე, რომლის მე-2 მუხლით მითითებული დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის № 213 ბრძანებულების მიღებითა და ამოქმედებით შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს და მათ შორის მოსარჩელეს წარმოეშვათ სამომავლო უფლება – სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში ერთდროული დახმარების მიღების შესახებ. შესაბამისად, ამგვარი უფლების არსებობაზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის № 624 ბრძანებულების მე-2 მუხლით „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, **საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკანონმდებლო ცვლილებით ჩამოყალიბებული ახალი რედაქციის ამოქმედების ვადის დათქმა, არცერთ შემთხვევაში არ განაპი-**

რობებს არსებული ნორმის შეჩერებას ან უმოქმედობას, რამდენადაც მოქმედი სამართლებრივი სივრცე – საკანონმდებლო ბაზა არ იცნობს ისეთ იურიდიულ ტერმინს, როგორცაა „უმოქმედო ნორმა“ – მისი ალოგიკურობის გამო, ასევე, სამართლებრივი ნონსენსია „შეჩერებული ნორმა“. აღნიშნული ვრცელდება ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართაც, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 5.3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის № 1/3/301 გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა კანონის იმ ნორმის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის 30.4 და 32-ე მუხლებთან, რომლითაც შეჩერდა უკვე არსებული ნორმის მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ამგვარი ნორმა და სამართლიანად აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას და ადამიანის უფლებათა მართლოდენ დეკლარირებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეულ უნდა იქნეს მის ერთ-ერთ კონსტიტუციულ ვალდებულებად“. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ამგვარი მიდგომით ეჭვის ქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც. ასეთ ვითარებაში, უფლებები ფიქტიურ ხასიათს იძენენ და შინაარსგამოცლილი ხდებიან“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები საკანონმდებლო აქტის საფუძველზე აღჭურვილნი არიან ნორმათშემოქმედების კომპეტენციით, რაც გამოვლენას ჰპოვებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების სახით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც შესაბამის ორგანოებს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედების უფლება მისი კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტაც არის, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა სამართალგამოყენებითი, ნორმათშემოქმედებითი საქმიანობა. ადმინისტრაციული ორგანოების ნორმათშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება და ამ ფუნქციით არის დეტერმინირებული. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებს ორგვარი – სამართალგამოყენებითი და სამართალდამდგენი – იურიდიული დატვირთვა აქვს; ეს ნორმები ემსახურება სამართალგამოყენების, ანუ აღსრულების მიზანს, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტები გამოიცემა კანონის აღსრულების მიზნით, ანუ ისინი კანონქვემდებარე აქტებია.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ასევე, ცალკეული კანონები შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ კონკრეტული მმართველობის ორგანო აღჭურვილია, ამავე კანონის საფუძ-

ველზე გამოსცეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ კანონში განისაზღვროს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების „შინაარსი, მიზანი და მოცულობა“. ე.ი. თვითონ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მომავალში ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული სამართლებრივი მოწვევების ჩარჩოები და მიმართულებები ისე, რომ მმართველობის ორგანოს შეეძლოს კანონმდებლის ნების ფარგლებში და შესაბამისად მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის № 139 ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის № 624 ბრძანებულების მე-2 პუნქტი სამართლებრივი თვალსაზრისით გაგებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ ნორმაშემოქმედების მომენტში საქართველოს პრეზიდენტის ნამდვილ ნებას წარმოადგენდა დებულების 75-ე მუხლის მოქმედების გადავადება, რამდენადაც ნორმის შეჩერების უფლებამოსილებით ადმინისტრაციული ორგანოები არ არიან აღჭურვილნი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში, მათ შორის ნორმაშემოქმედებითი ფუნქციისას შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

ამდენად, № 624 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ლოგიკური ინტერპრეტაციის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას, ვინაიდან ნორმით დადგენილი სიკეთის (უფლების) ამოქმედების გადავადება არ იწვევს ამ უფლების არარსებობას.

საქმე № ბს-739-714(კ-10)

21 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 261 მუხლი)

2009 წლის 30 აპრილს ნ. თ-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 16 მარტის № 194 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და მოპასუხისათვის მისი საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ ბრძანებულების გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოქალაქეობის მიცემის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. ზემოხსენებული ორგანული კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის შექმნის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – განკარგულებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობის პირის (ადმინისტრაციული ორგანოს) დისკრეციული უფლებამოსილება არსებობს მაშინ, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას აქვს შესაძლებლობა, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირის (ადმინისტრაციული ორგანოს) დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონი. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის სწორი განმარტება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის „ა“ პუნქტზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობის პირის (ადმინისტრაციული ორგანოს) დისკრეციული უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26¹-ე მუხლზე (განკარგულების გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია), რომლის თანახმად, პირის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძველებია: ა) მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულის ჩადენა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ ფაქტს, რომ ნ. თ-იანი არც მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულის და არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ნასამართლევი (ტ. I, ს.ფ. 94; ს.ფ. 107). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმა უნდა განხორციელებულიყო არა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26¹-ე მუხლის, არამედ ამავე კანონის 33-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე, ვინაიდან, აღნიშნული ნორმების თანახმად, პრეზიდენტს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო **რაც შეეხება 26¹-ე მუხლს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი ნაწილობრივ ბლუდავს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან, მასში ჩამოყალიბებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი პირს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.**

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 6 ივლისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის თანახმად, ცვლილება განიცადა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26¹-ე მუხლმა და აღნიშნულ მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, პირს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე, თუ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი საქართველოს მოქალაქედ მიღება მიზანშეუწონელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ, უფრო მეტად შეზღუდა საქართველოს პრეზიდენტისათვის ამავე კანონის 33-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია განკარგულების გამოცემის დროს არ არსებობდა ნ. თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ-

ლი კანონის 26¹-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26¹-ე მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი და საქმეში წარმოდგენილია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2009 წლის 27 იანვრის № 15/4/2/3-280 წერილი ნ. თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 16 მარტის № 194 განკარგულების ბათილად ცნობა უკვე საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, აღნიშნული აქტის ბათილად ცნობას მხარისათვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

საქმე № ბს-1204-779(კ-05)

20 იანვარი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პირის რეგისტრაცია

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას პირის მოხსნა რეგისტრირებული მისამართიდან დასაშვებია მხოლოდ ახალ საცხოვრებელ ადგილზე პირის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ. საკასაციო პალატა თვლის, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებული არიან, გაიარონ რეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ გააჩნიათ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი – ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პირის საცხოვრებელ ადგილად ამ კანონის თანახმად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. მოსარჩელის რეგისტრაციიდან მოხსნის დროისათვის მოქმედი კანონის მე-4 მუხლის რედაქციის მიხედვით საცხოვრებელი ადგილის სამ თვეზე მეტი ვადით შეცვლისას პირი ვალდებული იყო ათ დღეში ეცნობებინა ამის შესახებ ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის, რომელიც ხუთ დღეში გაატარებდა მას რეგისტრაციაში და მისცემდა რეგისტრაციის მოწმობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებული ნორმებით არ დასტურდება სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ პირის რეგისტრირებული მისამართიდან მოხსნა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ახალ საცხოვრებელ ადგილას პირის რეგისტრაციის ან მისამართის გარეშე მისი რეგისტრაციის შემთხვევაში და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანი ადგება პირთა შესახებ მონაცემების დადგენის კანონისმიერ მიზანს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული კანონის ნორმებში ასახულია საქართველოს მოქალაქის და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ვალდებულებანი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციაში გატარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ნიშნავს რეგისტრაციის გაუქმების შეუძლებლობას, ვინაიდან კანონი არ ახდენს რეგისტრაციის წესის დარღვევის რეგლამენტაციას, რეგისტრაციის მიზანი შეიძლება მდგომარეობდეს პირის შესახებ არა ფორმალური, არამედ რეალური, სინამდვილის შესაბამისი მონაცემების დადგენაში, ფიქციას ამ შემთხვევაში არავითარი ძალა არა აქვს, თუკი პირს ფაქტობრივად გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა ძველ საცხოვრებელ ადგილთან, რის გამოც კანონის ხსენებული ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ პასუხისმგებლობას. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაუცველობის შემთხვევაში რეგისტრაციის გაუქმებით არის განპირობებული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება იმის შესახებ, რომ რეგისტრაციის არქონისათვის არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს, რომელიც აცნობებს რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ და შეასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

განმარტების საგანი: პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 3 ოქტომბრის № 2453 ბრძანების საფუძველზე გაიცა № 19-06/2927 ნებართვა, რომლის საფუძველზეც ი/მ „ა. ხ-იანი-მანი+%-ს“ მიეცა უფლება ქ. თბილისში, ნუცუბუძის ქ. № 179-181 კორპუსებს შორის № 21/004 ნაკვეთზე არსებულ ორსართულიანი შენობის 1 სართულზე, ფართი № 1, კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოეწყოს სათამაშო აპარატების სალონი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის № 127, № 128 დაც № 129 ბრძანებების თანახმად, შემოწმდა რა ი/მ „ა. ხ-იანი-...“ სათამაშო აპარატების სალონი, დადგენილ იქნა, რომ ი/მ „ა. ხ-იანი-...ს“ მიერ დაირღვა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რა დროსაც იგი დაჯარიმდა ცალკე-ცალკე 1000-1000 ლარით ანუ თითოეული ბრძანებით მას დაეკისრა 1000 ლარი, სულ 3000 ლარის ოდენობით (სფ. 93-98).

2009 წლის 30 სექტემბერს გადამოწმებულ იქნა ინდივიდუალური საწარმო „ა. ხ-იანი“ მიერ სანებართვო პირობების შესრულება, რა დროსაც კვლავ გამოვლინდა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტები, კერძოდ ი/მ „ა. ხ-იანი-...“ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის № 19-06/2927 ნებართვით ორგანიზებული საქმიანობა დაიწყო 11 ცალი სათამაშო აპარატის გამოყენებით, დაუდგენელ დროს მეწარმემ აზარტულ თამაშობაში შეიტანა ცვლილება და შემოწმების დროს 2009 წლის 30 სექტემბერს საქმიანობას ეწეოდა 18 ცალი აპარატის გამოყენებით, რის შესახებაც არ აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ასევე მის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათამაშო აპარატების ვიდეომეთვალყურეობის სისტემით მიღებული ჩანაწერები, გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ იყო დამონტაჟებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის № 3781 ბრძანებით დადგენილია, რომ ი/მ „ა. ხ-იანი-...“ მიერ დარღვეულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით, 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტით, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდ. საწარმო „ა. ხ-იანი“ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე კანონით დადგენილი მოთხოვნების განმეორებით დარღვევისათვის დაჯარიმდა 3000 ლარით.

ინდ/ საწარმო „ა. ხ-იანი“ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის № 3781 ბრძანება გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომლის 2009 წლის 17 დეკემბრის № 851 ბრძანებით მიჩნეულ იქნა, რომ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება არ შედიოდა შემოსავლების სამსახურის კომპეტენციაში, თუმცა ქმედების განმეორებითი ხასიათის გამო ჯარიმა დარჩა უცვლელი, შესაბამისად საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოში ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზების და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონის მიზანია საქართველოში ლატარიების, სამორინების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების სფეროს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ძველი რედაქცია) თანახმად, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების გაცემასა და

გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანასა და უწყებრივ სანებართვო რეესტრში რეგისტრაციას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევისათვის ნებართვის მფლობელთა დაჯარიმებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ – შემოსავლების სამსახურმა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის № 3781 ბრძანებით, მოსარჩელეს დააკისრა გასამმაგებული ჯარიმა 3000 ლარი ანუ საკითხის გადაწყვეტისას მოპასუხემ გამოიყენა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.2 მუხლის დებულებანი, რასაც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო:

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.2 მუხლით, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. ამავე კანონის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნტით განისაზღვრა, რომ ნებართვის მფლობელ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის, ნებართვის სახეობების მიხედვით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს: სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ-1000 ლარს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1 მუხლის თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვა აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის. ამავე ნორმის მე-2 პუნქტით პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ნებართვის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის.

საკასაციო სასამართლო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნევს, იმისათვის, რომ უფლებამოსილმა პირმა ვალდებულ პირს დააკისროს გასამმაგებული ჯარიმა, პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს თუ რა სახის სანებართვო პირობების დარღვევას ჰქონდა ადგილი პირველი დაჯარიმების დროს და აღნიშნული დაჯარიმების თაობაზე მიღებული ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადაში მოხდა თუ არა დარღვეული სანებართვო პირობების გამოსწორება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მართალია ინდ/საწარმო „ა. ხ-იანი ...“ მიმართ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის № 3781 ბრძანების გამოცემას წინ უსწრებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის № 127, № 128 და № 129 ბრძანებები, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება არასაკმარისია იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.2 მუხლის დებულებანი. **საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განმეორებითობისათვის გადამწყვეტია დროის განსაზღვრულ პერიოდში ერთი და იმავე ვადისა და გამოუსწორებლობის ფაქტი.** განსახილველ შემთხვევაში არსებითია ის გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის № 127, № 128 და № 129 ბრძანებების გამოცემას საფუძვლად დაედო „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე

მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევა, კერძოდ, შემოწმების პერიოდში 2008 წლის 23 დეკემბერს ინდ/საწარმო „ა. ხ-იანი ...“ სათამაშო აპარატების სალონში სალარო არ იყო აღჭურვილი სათანადო დაცვით, მისი ერთ-ერთი კუთხე იყო ღია და შემინული არ იყო ბრონირებული შუშით, ვიდეომეთვალყურეობის კამერები ვერ მოიცავდა სათამაშო დარბაზის მთელ სივრცეს და დარბაზში არ იყო დამონტაჟებული კონკრეტულად მთავარ და სათადარიგო შემოსასვლელზე ორიენტირებული ვიდეომეთვალყურეობის კამერა, სალარო არ არის აღჭურვილი ცალკე-ცალკე ვიდეომეთვალყურეობის კამერით, რომლითაც შესაძლებელი იქნება სალაროში მდგომი პირის კონკრეტულად დანახვა და იდენტიფიცირება. 2009 წლის 30 სექტემბერს კი შემოსავლების სამსახურის მიერ გამოვლინდა სრულიად სხვა სახის გადაცდომა, კერძოდ სახეზე იყო „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა: მეწარმე 2009 წლის 30 სექტემბერს ნაცვლად 11 ცალი სათამაშო აპარატისა, სათამაშო ბიზნესს აწარმოებდა 18 ცალი აპარატის გამოყენებით, რის შესახებაც არ აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას გადაცდომის განმეორებითი ხასიათის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად აზარტულ და მომგებიან თამაშობებში ცვლილებების შეტანის (რომელიც არ გამოიწვევს თამაშობის არსებით ცვლილებას) შემთხვევაში, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია, გათამაშებამდე ორი კვირით ადრე, თანხმობის მიღების მიზნით, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შემოსავლების სამსახურმა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდო ისეთი სახის სანებართვო პირობების დარღვევა, რომელზედაც არ იყო მითითებული ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის ბრძანებებში და მანამდე გამოცემული არცერთი ადმინისტრაციული აქტით არ ყოფილა განსაზღვრული ვადა სწორედ ამ სახის დარღვევის აღმოსაფხვრელად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე ნებართვის მფლობელისათვის დაკისრებული ერთმაგი, სამმაგი და სამმაგი ჯარიმის კიდევ გასაძაბავი თანხის გადახდის ვალდებულება წარმოადგენს კანონისმიერ ვალდებულებას, რომელიც უნდა შესრულდეს, თუმცა ამავე საკანონმდებლო აქტის 34-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების ერთობლივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯარიმის დაკისრების, ერთმაგი ჯარიმის გასამმაგების, გასამმაგებული ჯარიმის კვლავ გასამმაგების და ბოლოს –ნებართვის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს თავდაპირველი სანებართვო პირობის (პირობების) დარღვევა-შეუსრულებლობა, ხოლო მომდევნო ეტაპებზე-დაჯარიმების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ ამ კონკრეტული სანებართვო პირობების გამოუსწორებლობა.

საქმე № ბს-448-443(კ-12)

13 თებერვალი, 2013 წელი, ქ.თბილისი

განმარტების საგანი: ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლება სამედიცინო მომსახურების მიღებაზე

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებაზე: 02.08.12 წ. ი. კ-ეს დაუდგინდა ქრონიკული B ჰეპატიტი დელტა აგენტთან ერთად, პათოლოგიური პროცესის დაბალი აქტივობით მიმდინარე, თუმცა კასატორს არ ჩაუტარდა შესაბამისი მკურალობა, რასაც საფუძვლად დაედო ინფექციონისტის კონსულტაცია, რომლის მიხედვით, პაციენტის ფსიქიკური სფეროს პათოლო-

გის გათვალისწინებით ანტივირუსული თერაპიის ჩატარება არამიზანშეწონილი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლზე და განმარტა, რომ მსჯავრდებულის უფლება სამედიცინო მომსახურებაზე დამოკიდებული იყო ასეთი მომსახურების საჭიროებაზე, საჭიროების საკითხს წყვეტს შესაბამისი სპეციალისტის მქონე ექიმი – განსახილველ შემთხვევაში ინფექციონისტი. აღნიშნულის შესაბამისად, დაეყრდნო რა ინფექციონისტის კონსულტაციას, სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. კ-ეს უტარდებოდა დაავადებების შესაბამისი მკურნალობა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დამატებით არცერთ გარემოებაზე არ უმსჯელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე ადგენს პატიმრობის კოდექსი, რომლის 119-ე და 120-ე მუხლების თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად, დაავადებულ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო მომსახურება უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საჭიროების დასადგენად გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლო მეთოდი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ისინი სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „მახარაძე და სხვარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“ პ.71). პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ პირს უფლება აქვს ისარგებლოს „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით („პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონი, მუხ. 46). ამასთანავე, ციხეებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების შეფასებისას მთლიანობაში გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო შესაბამისი სტანდარტები („გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ“). პატიმრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საერთო სტანდარტებს და არ გულისხმობს იმ დონეზე მომსახურების გაწევას, როგორც ეს საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებებში ხდება, ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა დამდგარი შედეგით („გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ პ. 71, 75). ამდენად, ის გარემოება, რომ კასატორის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის გამოსწორებული, არ ადასტურებს არა-ადეკვატურ მკურნალობას.

საქმე № ბს-568-539(კ-09)

8 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მუშა-მოსამსახურეთათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 28 მარტის № 342 განკარგულებით დამტკიცდა თბილისის ... საწარმოო გაერთიანების თხოვნა და ამ უკანასკნელს ნება დაერთო მის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე დაეპროექტებინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის საცხოვრებელი კვარტალი. თბილისის სამგორის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 27 მარტის № 06.163 გადაწყვეტილებით პროცესუალურ მოწინააღმდეგეს -ა. წ-ძეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, თბილისის ... საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან, მდებარე მდ. მტკვარსა და გარდაბნის გზატკეცილს შორის, მთავარი არქიტექტურული დაგეგმარებით სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, გამოეყო და დაუმაგრა № 12 მიწის ნაკვეთი.

თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 1995 წლის 27 სექტემბრის № 168-11 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ... გაერთიანების ადმინისტრაციის თხოვნა, საბინაო საკითხთა კომისიის წინადადება და ა. წ-ძე

იმ მოტივით, რომ გათავისუფლებულია საწარმოდან, გამოყვანილ იქნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წევრობიდან და აღდგენილ იქნა საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე, ძველი თარიღის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო აქტში მითითებული მოტივით ა. წ-ძისათვის მიწათსარგებლობის უფლებით ჩამორთმევის უსაფუძვლობის თაობაზე და ადასტურებს ქვემდგომი სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ნაკვეთები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში გამოეყოფოდათ მენაშენებებს იმ საწარმოსა და დაწესებულების მეშვეობით, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. ამ შემთხვევაში საწარმოები და დაწესებულებები წარმოადგენდნენ იმ შუალედურ რგოლს, რომლის მეშვეობით ამ საწარმოში დასაქმებულ ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს (მიწის მესაკუთრეს) შორის მყარდებოდა ურთიერთობა. ინდივიდუალური სახლის მენაშენეთა სტატუსი პრინციპულად განსხვავდებოდა იმ პირთა სტატუსისაგან, რომელთაც დაკავებული ჰქონდა სამსახურებრივი დანიშნულების ბინები და ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული პირების სამართლებრივი მდგომარეობა არ იყო დამოკიდებული მათ სამომავლო ვალდებულებაზე, შეენარჩუნებინათ ბინა იმ პირობებში, თუ შრომით ურთიერთობას განაგრძობდნენ იმავე საწარმოში.

საქმე № ბს-169-339-კ-03

13 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საცხოვრებელ სადგომზე უფლების დაკარგვა

საკასაციო პალატა სავალდებულოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №21 მდებარე ოროთახიანი ბინის პრივატიზაციამდე და პრივატიზაციის შემდეგ ი. როყვას ხსენებულ ბინაში არ უცხოვრია. „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. №107 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. ი. როყვა სადავო ბინის დამქირავებელი არ ყოფილა, ბინის პრივატიზაციის პერიოდში იგი არც დამქირავებლის ოჯახის წევრი იყო, ვინაიდან საქმეზე დადგენილია, რომ ი. როყვა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის სადავო ბინაში არ ცხოვრობდა, ქორწინების შემდეგ ი. როყვა სამუდამოდ საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე, პასპორტის ჩანაწერის მიხედვით 23.10.91წ. იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება თ. თებიძესთან, ამდენად საფუძვლიანია სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ბინის პრივატიზაციამდე ერთი თვით ადრე ი. როყვა სადავო ბინაში არ ცხოვრობდა, იგი არ იყო დამქირავებლის ოჯახის წევრი, შესაბამისად მას დაკარგული ჰქონდა საცხოვრებელი ფართის წილის უფლება. საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრთა დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში მათ ენახებოდათ საცხოვრებელი სადგომი ექვსი თვის მანძილზე, დადგენილი ვადების გადამტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებადაკარგულად პირის ცნობა ხდებოდა სასამართლო წესით. ამასთანავე, საბინაო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრების მუდმივ საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში ან იმავე დასახლებულ პუნქტის სხვა საცხოვრებელ სადგომში გადასვლის შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება სხვაგან წასვლის ან გადასვლის დღიდან მოშლილად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში წასული პირი ავტომატურად კარგავდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას გადასვლის დღიდან, მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფილი იყო თუ არა იგი საცხოვრებელი სადგომით ახალ საცხოვრებელ ადგილზე, რამდენადაც იგულისხმებოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ხდებოდა თავად დამქირავებლის მოთხოვნით. უფლება სადგომზე ამ შემთხვევაში დაკარგულად ითვლებოდა ამის თაობაზე სარჩელის წარდგენისაგან დამოუკიდებლად. იმ გარემოებას, რომ ი. როყვა სადავო ბინაში ფართის პრივატიზაციის მომენტისათვის არ ცხოვრობდა და საცხოვრებელ ფართზე პრეტენზია არ გააჩნდა გარკვეულ წილად დასტურდება აგერთვე ი. როყვას ხელწერილით. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართ-

ველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. №107 დადგენილების საფუძველზე, ი. სამოლინასა და ქ. ბათუმის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №2 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორას შორის ოროთა-ბიანი საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ 22.12.92წ. ხელშეკრულებით არ შელახულა ი. სამოლინას უფლებები.

სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ი. სამოლინას მიერ სადავო ბინის პრივატიზაციის შესახებ ი. როყვამ შეიტყო ბინიდან ამოწერის (08.09.93წ) დღიდან. მიუხედავად ამისა, ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით ი. როყვამ სარჩელით სასამართლოს 06.04.2000წ. მიმართა. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარჩელი სასამართლოში აღიძრა სკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც აგრეთვე წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საქმე № ბს-1548-1527(კ-11)

28 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საცხოვრებელ სადგომზე უფლების დაკარგვა

არ არის საკმარისად დასაბუთებული სააპელაციო პალატის მოსაზრება მოსარჩელის მიერ სადავო ბინაზე უფლების დაკარგვის შესახებ. აღნიშნულს არ ადასტურებს იმუჰამად მოქმედი საბინაო კოდექსის მე-100 მუხლი, ვინაიდან ექვსი თვის განმავლობაში ფართის მიტოვება ავტომატურად არ იწვევდა ფართზე უფლების დაკარგვას, ამგვარი სამართლებრივი შედეგის დადგომას იწვევდა მმართველობის ორგანოს მიერ ფართზე უფლებადაკარგულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. დამქირავებლის ნების გარეშე საცხოვრებელ სადგომზე უფლებადაკარგულ პირად ცნობა, მისი ამ სადგომში დადგენილ ვადაზე მეტი ხნით არყოფნის გამო, საჭიროებდა სასამართლოს მიერ, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას. დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრთა ექვს თვეზე მეტი ხნით დროებით სხვაგან ყოფნა შესაძლოა განხილულიყო საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ სარჩელის საფუძველად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა მანამდე, ვიდრე საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება გასაჩივრებული არ იქნებოდა სასამართლო წესით. **მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ ექვსი თვის მანძილზე სხვაგან ყოფნა, რაც შესაძლოა საცხოვრებელ ფართზე უფლების დაკარგვის საფუძველი ყოფილიყო, განუწყვეტლივ უნდა გაგრძელებულიყო, უკეთუ დამქირავებელი პერიოდულად ბრუნდებოდა, ხოლო შემდეგ კვლავ ტოვებდა ფართს, ასეთ არყოფნას არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი წლის განმავლობაში სადგომში არყოფნის ვადა ექვს თვეზე მეტს შეადგენდა. ფართის მიტოვებას თან ახლავს დამქირავებლის მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილზე გადასვლა, აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება იყოს საცხოვრებელი სადგომიდან დამქირავებლის მიერ ნივთების გატანა, საბინაო წიგნიდან ამოწერა, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიღება, ბინის ქირის გადახდის შეწყვეტა, რაც საქმის მასალებში არ მოიძებნება.**

საქმე № ბს-1423-1405(კ-11)

19 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ყოფილი სარეფორმო მიწების კომისიის დათვალიერება – შერჩევის აქტის სიყალბის აღიარება

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს გონიოს თემის საკრებულოს ყოფილი სარეფორმო მიწების კომისიის 2001 წლის 18 აპრილის მიწის დათვალიერება – შერჩევის აქტის სიყალბის აღიარება, გონიოს თემის საკრებულოს სარეფორმო მიწების კომისიის 2001 წლის 18 აპრილის მიწის დათვალიერება – შერჩევის აქტის და 2003 წლის 28 იანვრის № 2 გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, ბ. მ-ისათვის ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ...ში ციტრუსების ხარჯზე 0,08 ჰა მიწის ნაკვეთის გა-

მოყოფის ნაწილში ბათილად ცნობა და ბ. მ-ზე არსებული საკომლო ჩანაწერების ნაწილობრივ, კერძოდ, ყალბი დოკუმენტის საფუძველზე გამოყოფილი 0,08 ჰა მიწის ნაკვეთის ნაწილში ბათილად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ კომისიის ერთ-ერთი წევრის (გ. ბ-ის) ხელმოწერა არ ეკუთვნოდა მის ავტორს, არ იყო სადავო დათვალეობა – შერჩევის აქტის ყალბ დოკუმენტად მიჩნევის საკმარისი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ ნაწილში არის სრულიად დაუსაბუთებელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საბუთზე (მტკიცებულებაზე) ერთი პიროვნების ხელმოწერის გაცალბების ფაქტის დადგენაც კი აღნიშნული აქტის ყალბ დოკუმენტად აღიარების შესაძლებლობას იძლევა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საქმე № ბს-1490-1472(კ-11)

30 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორების მიმართ ვალდებულების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხეს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. კასატორი სადავოდ არ ხდის მოსარჩელეთა მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტს, იგი არ იზიარებს აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მისთვის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ სალიკვიდაციო კომისიას არ დაუსრულებია მუშაობა, ამასთან, სპეცკავშირი არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენდა ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამოსილს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო სამართლის, ისევე როგორც კერძო სამართლის სუბიექტების ლიკვიდაცია არის მისი არსებობის, საქმიანობის, ფუნქციონირების შეწყვეტის სამართლებრივი ფორმა, საშუალება. ლიკვიდაცია არის სამსახურიდან მოხელის გათავისუფლების პირობა, ამასთან ამ უკანასკნელს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ლიკვიდაციის პროცესი მოიცავს ლიკვიდირებული დაწესებულების ქონების რეალიზაციის, კრედიტორების დაკმაყოფილების, დარჩენილი ქონების შესაბამისი ორგანოსათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურებს, რომელთა განხორციელების მიზნითაც იქმნება სალიკვიდაციო კომისია და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად იგი ასრულებს მუშაობას. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ სპეცკავშირის ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულია, რამდენადაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგინდა სამსახურის ლიკვიდაცია, ლიკვიდაციის შედეგად მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება დაევალა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია და განისაზღვრა მისი შემადგენლობა. ლიკვიდაციის პროცესის დასრულებლობა დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესი და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება მოიცავს კრედიტორული დავალიანებების, მათ შორის სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების პროცესს და სწორედ სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ასრულებს სალიკვიდაციო კომისია მუშაობას. იგივე წესია დადგენილი კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი, კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლიკვიდაციის პროცესის გონივრულ ვადაში დასრულებლობა ვერ იქნება მიჩნეული სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლის სპეციალური აქტით განუსაზღვრელობის გამო არ არსებობს მოპასუხისათვის დავალიანების ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 07.05.04წ. ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 04.01.02წ. № 1 ბრძანებულება „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ“, ამასთანავე საქართველოს მთავრობის 10.09.04წ. № 77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულება სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროს განაკუთვნებს ელექტრონულ კომუნიკაციებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ფოსტას (2.1 მუხ.). აღნიშნული სფეროს სამართავად, მისი სრულყოფისა და ფუნქციონირების კოორდინაციისათვის სამინისტროში შეიქმნა კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი (მე-4 მუხ., მე-9 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 08.11.07წ. № 655 განკარგულება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.07წ. № 1-1/2012 ბრძანება, რომელთა საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა სპეცკავშირის სალიკვიდაციო კომისია, ძალაშია და არ გაუქმებულა. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ლიკვიდაცია არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი მიმართული ლიკვიდირებული სუბიექტის ვალდებულების შესრულებისაკენ. ვალდებულებაში პირთა შეცვლის დროს იცვლება სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო სისტემური კავშირი უფლებამოსილებასა და ვალდებულებას შორის ნარჩუნდება. აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან შტოს, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის ერთიანობა ორგანულად გადადის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ერთიანობაში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო არის გარკვეული მოცულობის უფლებამოსილებების მატარებელი, სამინისტრო დარგობრივი ორგანოს სახით მოქმედებს და ხელმძღვანელობს საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მიუხედავად ამისა, სამინისტრო არ არის წმინდა დარგობრივი ორგანო, პრობლემათა ბრძლის კვალდაკვალ იგი იმთავითვე თავისი დარგის კოორდინატორის როლში გვევლინება და ფაქტიურად დარგთაშორისი რაკურსით მოქმედებს. აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტები ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ინოვაციის შედეგად ორგანოს გაუქმების მიუხედავად სახელმწიფო ინარჩუნებს სახელმწიფო ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობას. შესაბამისად მას უნარჩუნდება არა მხოლოდ შესრულების, არამედ უზრუნველყოფის პასუხისმგებლობაც. სახელმწიფო ორგანოთა შექმნა, მათ შორის ფუნქციების განაწილება წარმოადგენს ხელისუფლების დისკრეციის სფეროს, ორგანოთა გაუქმება, ინოვაციური სიახლეები არ იწვევენ სახელმწიფო ფუნქციების და ამოცანების მთლიანად გაუქმებას, შესაბამისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაუქმებას.

საფუძველს მოკლებულია აგრეთვე დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სპეცკავშირი არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მინისტრთა კაბინეტის 21.02.1995წ. დადგენილებით დამტკიცებული კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის სამმართველოს დებულების თანახმად სამმართველო იყო იურიდიული პირი, ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი, ამასთანავე მისი შენახვა ძირითადად ხდებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, სამმართველოს ქვედანაყოფების დაფინანსება რესპუბლიკურ ცენტრებში ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით (5.1 პუნქტი). საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997წ. № 138 ბრძანებულებით დამტკიცებული სპეციალური კავშირის დებულების თანახმად, სამსახური დამოუკიდებლად ახორციელებდა სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი და კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სპეცკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის (1.3 მუხ.). ამასთანავე, სპეცკავშირი ექვემდებარებოდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს (1.4 მუხ.), სპეცკავშირის ქონება წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და გადაცემული ჰქონდა მას ფლობისა და ოპერატიული მართვის უფლებით. სპეცკავშირის სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის 06.02.1998წ. № 68 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების (1.4 მუხ.) თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო საქვეუწყებო საწარმოო დაწესებულებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს,

რომ საქმეში დაცული შრომის წიგნაკების მიხედვით, 1995 წელს სპეცკავშირის რესპუბლიკური სამმართველო გარდაიქმნა სახაზინო საწარმოდ. აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს შექმნას ითვალისწინებდა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 25.07.1991წ. კანონი, ხოლო შემდგომ 1995 წლის 1-ლი მარტიდან ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 19.02.99წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სახაზინო საწარმოს, როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანებების წარმოშობის დროისათვის (1997-1999წ.წ.) სპეცკავშირი ფუნქციონირებდა როგორც სახაზინო საწარმო. ხსენებული საკანონმდებლო აქტების თანახმად, სახაზინო საწარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ თავისი განცალკევებული ქონებით, თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს საწარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა დაეკისროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელსაც გადაეცა სპეცკავშირის ქონება ლიკვიდაციის შედეგად და დაევალა სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.

საქმე № ბს-564-559(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამხედრო მოსამსახურისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვის ვადის ათვლა

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 5 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით (იხ. ს.ფ. 13-18). ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის № 609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის № 29 ბრძანების შესაბამისად, ნ. ა-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან (იხ. ს.ფ. 19).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამისია ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის ათვლა და ოდენობის დაანგარიშება დაკავშირებულია იმასთან თუ როდის ეცნობა ან ეცნობა თუ არა სამხედრო მოსამსახურეს დათხოვნის ბრძანება, აღნიშნული კი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, აღნიშნული სასამართლო შეფასება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია არცერთ სასამართლო ინსტანციაში.

საქმე № ბს-1270-1234(კ-10)

21 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით მიღებულის დაბრუნების ფარგლები

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ნოემბრის № 2735 ბრძანებით ი. ჯ-ძე კონტრაქტის პირო-

ბების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა სასურსათო ულუფის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს (532,96 ლარი), საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

საქმე № ბს-735-729(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით მიღებულის დაბრუნების ფარგლები

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 3 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. კ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების 7.3 შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ „სამხედრო მოსამსახურე“ მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით შეწყვეტს კონტრაქტს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო სამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების 7.4 პუნქტით აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით (იხ. ს.ფ. 27-30).

საკასაციო სასამართლო ვერ გაზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოპასუხეს ჯარიმი სახით უნდა დაკისრებოდა 5000+19700.58 ლარი, ვინაიდან, როგორც, უკვე აღინიშნა ხელშეკრულების 7.3 „ა“ ქვეპუნტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო სამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა ამ ხელშეკრულებით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯარიმის სახით მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ფიქსირებული 5000 ლარი და არა 5000+1970,58 ლარი, რომელიც, როგორც საქმის მასალებით დადგენილია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურისათვის გაცემულ ხელფასს.

განმარტების საგანი: „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება“ – სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 14 ნოემბერს რ. ფ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შესაბამისად, შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი № 163, მასზედ, რომ იგი ქ. ქუთაისის მერიის სამხედრო საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ გაფრთხილებულ იქნა, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს გამოცხადებულიყო რეზერვისტა შეკრებაზე, მაგრამ რ. ფ-მ საპატიო მიზეზის გარეშე აღნიშნულ შეკრებაზე გამოცხადებას თავი აარიდა. ახსნა-განმარტებაში რ. ფ-ე აღნიშნავს, რომ 2010 წლის 26 ოქტომბერს იმყოფებოდა ქ. გორში. მას დაუკავშირდნენ ქ. ქუთაისიდან და აცნობეს, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს უნდა გამოცხადებულიყო რეზერვისტა შეკრებაზე. 2010 წლის 1 ნოემბერს იგი გამოცხადდა და აუხსნა, რომ იყო იეპოვას მოწვე და მისი რწმენის საფუძველზე თავს იკავებდა წასულიყო რეზერვისტა შეკრებაზე. დროის სიმცირის გამო მან განსაზღვრულ დროში ვერ მოახერხა შესაბამისი ცნობის წარდგენა, რის გამოც ვერ გამოცხადდა რეზერვისტა შეკრებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიუთითებთ, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³, 220-ე, 226-ე, 271-ე და 273-ე მუხლების საფუძველზე, რ. ფ-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შებამისად, დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით (ტ. I; ს.ფ. 16-17). რ. ფ-მ, აღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რაც 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილება რ. ფ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის № 1/1/477 გადაწყვეტილებაზე, საქმე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის № 477) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია. ყველა სხვა უფლების მსგავსად, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ეს უფლება, სასიცოცხლოდ აუცილებელია და არსებითად განმსაზღვრელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობის, განვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული რწმენის თავისუფლება, თავისი ყველაზე საწყისი გაგებით, გულისხმობს, სახელმწიფოსგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისი დამი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება), ანუ ადამიანის ამროვნების შინაგანი სფეროს დაცვას. ამავდროულად, რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც (მოქმედების სფერო). რწმენის თავისუფლება არარეალური და არარეალიზებადი იქნება, მის შესაბამისად ადამიანების კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. უფლებას შინაარსი გამოეცლება, თუკი მისი ნაწილი არ იქნება კონკრეტული რწმენის საფუძველზე და მის შესაბამისად ქმდება, ეს პრაქტიკულად ამ უფლების უარყოფამდე მიგვიყვანს, რადგან რწმენის მხოლოდ ქონა არაფერს იძლევა თავად ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობის თვალსაზრისით. თუ არ არის გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ: 1) სამხედრო სარეზერვო სამსახური თავისი შინაარსითა და სიმძიმით უტოლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რის გამოც, ის სამხედრო სამსახურის მსგავსად, პოტენციურად წარმოშობს ლეგიტიმურ საფუძველებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის; 2) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გამოირიცხავს რეზერვში გასაწვევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში მყოფთა შესაძლებლობას, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური; 3) შესაბამისად, სადავო ნორმით ხდება რწმენის თავისუფლებაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურს, არის გონივრული კომპრომისის მიღწევის გზა კონსტიტუციურ უფლებასა და ქვეყნის დაცვის კონსტიტუციურ ვალდებულებას შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არ არის ან ვერ იქნება მოაზრებული რწმენის თავისუფლების შემადგენელ უფლებრივ კომპონენტად.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა გაწვევა წარმოადგენს რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებლად მძიმე ჩარევას, ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას, რომელიც პრაქტიკულად უფლებით სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, რწმენის თავისუფლებისა და საჯარო ინტერესების დაბალანსების გზად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური შემოიღო საქართველოს კანონმდებელმა (სხვა სახელმწიფოების მსგავსად), ოღონდ ეს შესაძლებლობა არ გაავრცელა ყველა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირზე, რითაც დაარღვია მათი რწმენის თავისუფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ რეზერვში გასაწვევ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს, წვევამდებლებისაგან განსხვავებით, არ აქვთ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის უფლება (ამ დროს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ის პირები, ვინც უკვე მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური). მაგრამ სადავო ნორმის, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართების სწორად დადგენისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ნორმა არ ეხება წვევამდებებს, ის მხოლოდ რეზერვისტებს ეხება. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა რწმენის თავისუფლების დარღვევას. როდესაც ნორმა, ერთი მხრივ, იწვევს კონკრეტული პირების რწმენის თავისუფლების დარღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, ზუსტად რწმენის ნიშნით, ახდენს იგივე პირების დიფერენცირებას დანარჩენი პირებისაგან, ანუ რწმენის ნიშნით დიფერენცირებულ პირთაგან ნაწილის რწმენის თავისუფლების დარღვევას იწვევს, შეუძლებელია ის კანონის წინაშე რწმენის ნიშნით თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს პასუხობდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნათელია, რომ კანონი, რომელიც პირდაპირი ჩანაწერით (გზით), სიტყვასიტყვით აკრძალავს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენის შესაძლებლობას და დაავალდებულებს პირებს, მათი რწმენის გაუთვალისწინებლად, სხვა მოქალაქეების მსგავსად მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, ანუ კანონი, რომლის უშუალო მიზანიც არის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა სხვა მოქალაქეებთან გათანაბრება სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულებასთან მიმართებით, დაარღვევს მათი რწმენის თავისუფლებას. ასევე ლოგიკურია, რომ კანონი, რომელიც არაპირდაპირი გზით იდენტური შედეგის მომტანია, დამოუკიდებლად იმისა, რომ მისი რეგულირების საგანი და უშუალო მიზანი განსხვავებული რწმენის ადამიანების გათანაბრება არ არის, ასევე არღვევს ადამიანის უფლებას რწმენის გამოვლენაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორმა – რ. ფ-მ 2011 წლის 29 დეკემბერს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. კასატორმა მის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნულის გათვალისწინება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამოდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სრულყოფილად არ იმსჯელეს დავის საგანზე და სათანადო შეფასება არ მისცეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მიუცია სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი, გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტისათვის, კერძოდ, მოსარჩელე – რ. ფ-ე წარმოადგენს თუ არა სუბიექტს, რომელსაც გააჩნია „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება“ და რომელიც კანონის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულებისაგან თავისუფლდება.

საქმე № ბს-282-268(კ-06)

19 სექტემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მიწის მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

მიწის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, არამედ ხელშეკრულებას – მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. ანუ მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემისას ადგილი აქვს მხარეთა ურთიერთთანხვედრს, საერთო მიზნისაკენ მიმართულ ნების გამოხატვას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3 მუხლით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. სკ-ის 129.1 მუხლით კი უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის განსაზღვრულია ხანდაზმულობის ნ-წლიანი ვადა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული კასატორის მოსაზრება ს. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ კასატორის მოსაზრების შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა მოხდება 2000 წლიდან, მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, რადგან ს. ლ-მ სარჩელი სადავო მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრა 2005 წელს.

საქმე № ბს-281-267(კ-06)

4 ოქტომბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომლის ქონებაზე თანასაკუთრების უფლების წარმოშობა

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის რეგისტრაცია, თავისი თანმდევი სამართლებრივი შედეგით, არსებითად განსხვავდება კომლში რეგისტრაციისაგან.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის, აგრეთვე შესაბამისი გადაამაშუავებელი მრეწველობის ობიექტისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რაც წარმოადგენს ერთი პირის საკუთრებას, ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომლის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს კომლის წევრად, ის მონაწილეობას უნდა ღებულობდეს კომლის სამეურნეო საქმიანობაში, რაც, ამ უკანასკნელს კომლის ქონებაზე აძლევს თანასაკუთრების უფლებას. **ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოქალაქის რეგისტრაცია თუნდაც სხვა მისამართზე, თავისთავად, არ გამოიციხავს ამ პირის კომლის წევრად რეგისტრაციის შესაძლებლობას, იმ პირობით, თუ პირი აკმაყოფილებს კომლის წევრისათვის დადგენილ მოთხოვნას.**

საქმე № ბს-362-346(კ-06)

28 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება საკომლო წიგნის წარმოებასა და რეგისტრაციას შორის

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონი, როდესაც ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ საკომლო წიგნის წარმოება გაუთანაბრა აღნიშნული კანონით რეგულირებულ ურთიერთობას. მითითებული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციასა და რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო საკომლო წიგნის წარმოება არ არის აღნიშნული რეგისტრაციის იდენტური. საკომლო წიგნი უკავშირდება კომლის ქონების თანამესაკუთრეთა ფიქსაციას, რაც ზემოაღნიშნული კანონის რეგულირების საგანი სრულიადაც არ არის.

საქმე № ბს-1395-1353(კ-08)

23 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომლის სამართლებრივი სტატუსი

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საკოლმეურნეო კომლში მემკვიდრეობის გახსნის თაობაზე და თავის მხრივ, ყურადღებას მიაქცევს შემდეგ მოსაზრებაზე: საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი და ძირითადი სამართლებრივი მახასიათებელი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობის კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებოდნენ. თუ ოჯახში კოლმეურნეობის არც ერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპობოდა და იქმნებოდა მუშა-მოსამსახურის ოჯახი, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებდა ამ კოდექსის 125-ე, 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით.

ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნოდა მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით, ხოლო 125-ე მუხლის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრებოდა იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუნაროსაც, წილი ეკუთვნოდა თანაბრად.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.92 წლის № 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.92 წლის № 29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებასთან დაკავშირებით, არსებობას წყვეტს საკოლმეურნეო კომლიც. საკომლო მეურნეობა, საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ფერმერულ მეურნეობას და მის ძირითად დანიშნულებას შეადგენს არა დამხმარე მეურნეობის, არამედ მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმართვა. ფერმერული მეურნეობა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ 22.03.96წ. კანონის მე-4 მუხლის თანახმად შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით.

საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იყოს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრთა საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული. კანონის აღნიშნული ნორმა გაუქმდა 14.06.2000 წელს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. აღნიშნული იმის შესაძლებლობას იძლევა ჩაითვალოს, რომ ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს, არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.

საქმე № ბს-1081-1070(კ-11)

1 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომლის ქონებაზე უფლების არსებობა

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო მცხეთის არქივის 2010 წლის 9 ნოემბრის № 85 ცნობის თანახმად, მცხეთის რაიონის, სოფელ ...ის საკრებულოს სოფელ ...ის 1986-2000 წლების საკომლო წიგნებში ჯ. თ-ი ცალკე ოჯახად არ ირიცხებოდა. ...ის საკრებულოს 1991 წლის სხდომის ოქმებში, ჯ. თ-ის ქონების შესახებ ინფორმაცია არ აღმოჩნდა, ხოლო მცხეთის არქივის 2010 წლის 19 ოქტომბრის 2010019305-03 ცნობის თანახმად, 1986-2000 წლების ...ის საკრებულოს საკომლო ჩანაწერების მიხედვით, 1991 წლიდან ჯ. თ-ი გავიდა ცალკე კომლად. ამასთან, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის ტერიტორიული ორგანოს 2007 წლის 17 აგვისტოს 445 და 2010 წლის 16 ივლისის № 2010011362-03 საარქივო ცნობების თანახმად, მოქალაქე ჯ. თ-ი ცხოვრობდა ...ში, მისი კომლი შედგებოდა ერთი სულისაგან და ეწერა 1956 წელს აშენებული 40 კვ.მ საცხოვრებელი სახლი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკომლო დავთარს (საკომლო წიგნს) აწარმოებდა რაისაბჭოს აღმასკომი, რომელიც „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის თანახმად, დადგენილი წესით ახდენდა მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერას, რეგისტრაციაში ატარებდა საკოლმეურნეო (გლეხთა) კომლის საოჯახო ქონებრივ გაყოფას. ამასთან, მიწის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლი გაყრილად ან გაუქმებულად ითვლებოდა მხოლოდ აღმასკომში რეგისტრაციის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტი, საკომლო წიგნში დავთრის ჩანაწერი, ჯ. თ-ისა და ლ. თ-ის (ვ. თ-ის) ცალ-ცალკე სახლთმფლობელობა, ცალ-ცალკე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფლობა და ცალკე საკომლო მეურნეობის წარმოება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით ვერ დასტურდება საოჯახო ქონებრივი გაყოფის ფაქტი.

ამასთან, 2001-2006 წლების საკომლო ჩანაწერთან დაკავშირებით (რომელთა საფუძველზეც, ჯ. თ-ი და-რეგისტრირებული იყო ცალკე კომლად, საცხოვრებელი სახლის საერთო სასარგებლო ფართით 40 კვ.მ) საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის № 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის № 29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან კოლმეურნეობების გაუქმებასთან დაკავშირებით შეიცვალა საკოლმეურნეო კომლის იურიდიული სტატუსი და იგი ჩამოყალიბდა საკომლო მეურნეობად. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, საკომლო მეურნეობა იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენდა ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ან/და მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას; მეურნეობა რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში), თუ მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრება იყო, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა დარეგისტრირებულიყო. ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი უთითებდა, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ჯ. თ-ის კომლზე საცხოვრებელი სახლის საერთო სასარგებლო ფართის 40 კვ.მ აღრიცხვა (2001-2006 წლების საკომლო ჩანაწერი) განხორციელდა ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ...ის საკრებულოს სოფელ ...ის 2001-2006 წლების საკომლო ჩანაწერს არ გააჩნდა იურიდიული ძალა. ამასთან, სადავო პერიოდში მოქმედი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიწის რეგისტრაციას ახდენდა რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახური (მთავარი რეგისტრატორი, ზონის რეგისტრატორი), რეგისტრაციის მიზანი იყო მიწის ნაკვეთისა და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების მიმართ უფლებათა წარმოშობის, გაცემის, შეზღუდვისა ან შეწყვეტის აღიარება და დადასტურება სახელმწიფოს მიერ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნული კანონის შესაბამისად, სადავო უძრავ ქონებაზე, ჯ. თ-ის უფლების რეგისტრაციის ფაქტი.

საქმე № ბს-1130-1081(კ-07)

24 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომლის წევრობიდან ამოწერის დადასტურება

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება ზ. ღ.-ის კომლიდან ამოწერის ფაქტი, კერძოდ, არ არსებობს განცხადება ამ უკანასკნელის კომლიდან ამოწერის, ან სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება კომლიდან ამოწერის შესახებ, რომ იგი არ ცხოვრობდა სოფლად, რომ არ ჰქონდა სოფელთან კავშირი, შრომით მონაწილეობას არ იღებდა კომლის მეურნეობაში და უძრავ ქონებას არ ფლობდა, **მხოლოდ ის გარემოება, რომ საკომლო წიგნში ზ. ღ.-ი გადახაზულია, არ ადასტურებს ამ უკანასკნელის კომლიდან ამოწერის ფაქტს, რამდენადაც ამგვარი პირობებში მითითებული უნდა იყოს კომლიდან ზ. ღ.-ის ამოწერის მოტივი (მიზეზი), თარიღი, საფუძველი და ა. შ.**

საქმე № ბს-66-66(კ-08)

11 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამართალმემკვიდრეობა სახელმწიფო მმართველობის სფეროში შემავალი უწყების ლიკვიდაციისას

მართალია, სახეზეა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციის ფაქტი, მაგრამ კერძო იურიდიული პირების ლიკვიდაციისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მმართველობის სფეროში შემავალი უწყების ლიკვიდაცია არ ნიშნავს მისი ვალდებულებების სრულ მოსპობას.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შეპასუხებაში წარმოდგენილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას მისი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე, მაგრამ აქვე საკასაციო სასამართლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის იძლევა შემდეგ განმარტებას: სამართალმემკვიდრეობა სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნავს მოვლენას, როდესაც ერთი სუბიექტის უფლებები და მოვალეობები გადაეცემა სხვა სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების იურიდიულ მემკვიდრეს.

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული აქტების საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დეპარტამენტის ანგარიშზე რიცხული ნაშთი და საშტატო რიცხოვნობა გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მასვე გადაეცა უძრავი ქონების რეგისტრაციის უფლება, რაც აშკარა დასტურია იმისა, რომ საჯარო რეესტრი, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს.

ISBN: 978-9941-0-7573-5



9 789941 075735